

გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
ქართული ენისა და ლიტერატურის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრი

**იაკობ გოგებაშვილისადმი მიძღვნილი მეექვსე
საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია**

14 ივნისი, 2018, გორი, საქართველო
სამეცნიერო კონფერენციის მასალები



GORI STATE TEACHING UNIVERSITY

Faculty of Humanities

Educational Scientific Center of the Georgian Language and Literature

The Sixth International Scientific Conference

Dedicated to Iakob Gogebashvili

June 14, 2018, Gori, Georgia

ARTICLES OF THE CONFERENCE

წინამდებარე კრებული მოიცავს 2018 წლის 14 ივნისს გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ქართული ენისა და ლიტერატურის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის მიერ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტთან ერთად ჩატარებული იაკობ გოგებაშვილისადმი მიძღვნილი მეექვსე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალებს.

საორგანიზაციო კომიტეტი:

- **გიორგი სოსიაშვილი**, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი, კომიტეტის თავმჯდომარე
- **გიორგი ხორბალაძე**, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი, კომიტეტის წევრი
- **ალექსანდრე მღებრიშვილი**, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე, პროფესორი, კომიტეტის წევრი
- **ვიანორ ახალაია**, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ქართული ენისა და ლიტერატურის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის ხელმძღვანელი, პროფესორი, კომიტეტის წევრი
- **იოსებ ალიმბარაშვილი**, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი, კომიტეტის წევრი
- **ანა იმნაძე**, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის საერთაშორისო და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი, კომიტეტის წევრი
- **ლევან მიდოდაშვილი**, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი, კომიტეტის წევრი

პროგრამული კომიტეტი:

- **ვიანორ ახალაია**, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, პროფესორი, კომიტეტის თავმჯდომარე
- **გიორგი გოგოლაშვილი**, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, კომიტეტის წევრი
- **ავთანდილ არაბული**, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, აკადემიკოსი, კომიტეტის წევრი
- **ვაჟა შენგელია**, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, წევრ-კორესპონდენტი, კომიტეტის წევრი
- **თამარ გოგოლაძე**, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, პროფესორი, კომიტეტის წევრი
- **მანანა მიქაძე**, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პროფესორი, კომიტეტის წევრი
- **მამია ფაღავა**, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პროფესორი, კომიტეტის წევრი
- **როინ ჭიკაძე**, იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი, კომიტეტის წევრი
- **სოსო სიგუა**, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი, კომიტეტის წევრი
- **ქეთევან ჭკუასელი**, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პროფესორი, კომიტეტის წევრი
- **თეიმურაზ დოიაშვილი**, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, დოქტორი, კომიტეტის წევრი
- **ლევან ბრეგაძე**, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, დოქტორი, კომიტეტის წევრი
- **რეუვენ ენოხი**, არიელის უნივერსიტეტი (ისრაელი), პროფესორი, კომიტეტის წევრი

სარედაქციო კოლეგია:

- **ვიანორ ახალაია**, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, პროფესორი
- **გიორგი გოგოლაშვილი**, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი
- **ავთანდილ არაბული**, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, აკადემიკოსი
- **თამარ გოგოლაძე**, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, პროფესორი
- **რეუვენ ენოხი**, არიელის უნივერსიტეტი (ისრაელი), პროფესორი

The presented collection covers the articles of the Sixth International Scientific Conference Dedicated to Iakob Gogebashvili held by the Educational-Scientific Center of the Georgian Language and Literature with Faculty of Humanities on June 14, 2018 at Gori State Teaching University.

ORGANIZATION COMMITTEE:

- **Giorgi Sosiashvili**, Rector Gori State Teaching University, Professor, Head of Committee
- **Giorgi Khorbaladze**, Gori State Teaching University, Head of Administration, Associate Professor, Member of Committee
- **Aleksandre Mghebrishvili**, Gori State Teaching University, Deputy Rector, Professor, Member of Committee
- **Vianor Akhalaia**, Gori State Teaching University, Head of the Educational Scientific Centre of Georgian Language and Literature, Professor, Member of Committee
- **Ioseb Alimbarashvili**, Gori State Teaching University, Dean of Faculty of Humanities, Associate Professor, Member of Committee
- **Ana Imnadze**, Gori State Teaching University, Head of International and Public Relations Service, Member of Committee
- **Levan Midodashvili**, Gori State Teaching University, Head of Quality Assurance Service, Professor, Member of Committee

PROGRAME COMMITTEE:

- **Vianor Akhalaia**, Gori State Teaching University, Professor, Head of Committee
- **Giorgi Gogolashvili**, Gori State Teaching University, Doctor of Philology, Member of Committee
- **Avtandil Arabuli**, Georgian National Academy of Sciences, Academician, Member of Committee
- **Vazha Shengelia**, Georgian National Academy of Sciences, Corresponding Member, Member of Committee
- **Tamar Gogoladze**, Gori State Teaching University, Professor, Member of Committee
- **Manana Mikadze**, Akaki Tsereteli State University, Professor, Member of Committee
- **Mamia Paghava**, Batumi Shota Rustaveli State University, Professor, Member of Committee
- **Roin Chikadze**, Iakob Gogebashvili Telavi State University, Associate Professor, Member of Committee
- **Soso Sigua**, Gori State Teaching University, Associate Professor, Member of Committee
- **Ketevan Chkuaseli**, Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Professor, Member of Committee
- **Teimuraz Doiashvili**, Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Shota Rustaveli Institute of Georgian Literature, Doctor, Member of Committee
- **Levan Bregadze**, Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Shota Rustaveli Institute of Georgian Literature, Doctor, Member of Committee
- **Reuven Enokh**, Ariel University (Israel), Professor, Member of Committee

EDITORIAL BOARD:

- **Vianor Akhalaia**, Gori State Teaching University, Professor
- **Giorgi Gogolashvili**, Gori State Teaching University, Doctor of Philology
- **Avtandil Arabuli**, Georgian National Academy of Sciences, Academician
- **Tamar Gogoladze**, Gori State Teaching University, Professor
- **Reuven Enokh**, Ariel University (Israel), Professor

ISBN 978-9941-8-1419-8

შინაარსი CONTENTS

ენათმეცნიერება Linguistics

ვიანორ ახალაია - ნიკოლოზ ბარათაშვილის ენის ზოგიერთი საკითხი – 8
Vianor Akhalaia - SOME ISSUES OF NIKOLOZ BARATASHVILI'S LANGUAGE – 8

ლევან ბრეგაძე - ბარბარიზმი თუ ჟარგონი? – 11
Levan Bregadze - BARBARISM OR SLANG? – 11

ლატავრა ბუკია - თედო სახოკია 150 - „ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი“ – 13
Latavra Bukia - TEDO SAKHOKIA 150 - "THE GEORGIAN FIGURATIVE EXPRESSIONS" – 13

გიორგი გოგოლაშვილი, თამარ ლომთაძე - გრამატიკული ვარიაციები - ენობრივი ნაირსახეობების ურთიერთგამიჯვნის საშუალება (ქართველ ებრაელთა მეტყველების მაგალითზე) – 19
Giorgi Gogolashvili, Tamar Lomtadze – GRAMMATICAL VARIATIONS – A WAY OF SELF-DIFFERENTIATION OF LINGUISTIC VARIETIES (ON THE EXAMPLE OF GEORGIAN-JEWISH SPEECH) – 19

თამილა ზვიადაძე - სიტყვა - მარგალიტზე მკვრივი (სოსო მეშველიანის ენობრივი პოზიცია) – 22
Tamila Zviadadze – THE WORD - MORE DENSE THAN THE PEARL (SOSO MESHVELIANI'S LANGUAGE POSITION) – 22

მარიამ კობერიძე - მევენახეობის ლექსიკა იაკობ გოგებაშვილის ეთნოგრაფიულ ნაწარმოებებში – 25
Mariam Koberidze – VITICULTURE VOCABULARY IN IAKOB GOGEBASHVILI'S ETHNOGRAPHIC WORKS – 25

ეკატერინე ლომთაძე - სათაური, როგორც თარგმანის ენის მხატვრულ-სტილისტური მახასიათებელი – 29
Ekaterine Lomtadze - THE TITLE, AS LITERARY-STYLISTIC CHARACTERISTIC OF TRANSLATION LANGUAGE – 29

ქეთევან მარგიანი, მარინე კაკაჩია, მარინე ჯღარკავა - კონცეპტი თავი ქართველურში – 33
Ketevan Margiani, Marine Kakachia, Marine Jgharkava – CONCEPT 'TAVI' (HEAD) IN KARTVELIAN LANGUAGES – 33

ნათელა მელიქიძე - წარჩინებულ მაჰმადიან ქართველთა გვარები ასპინძის მუნიციპალიტეტის მიხედვით – 41
Natela Melikidze - EXCELLENT ISLAMIC GEORGIAN SURNAME ACCORDING TO ASPINDZA MUNICIPALITY – 41

ომარ მემიშიში - საერთო ლექსიკა ქართველურ ენათა კილოებში – 47
Omar Memishishi - COMMON LEXIS IN THE SUB-DIALECTS OF THE KARTVELIAN LANGUAGES – 47

ნიკოლოზ ოთინაშვილი - ძველი ქართული ენის ბგერითი შედგენილობა ლაპიდარულ წარწერებსა და დოკუმენტებში – 50
Nikoloz Otinashvili – SOUND COMPOSITION OF OLD GEORGIAN LANGUAGE IN LAPAROSCOPIC IN INSCRIPTIONS AND DOCUMENTS – 50

ლევან ფაჩულია - ლექსემა „კოჩი“ მეგრულში: სტრუქტურული, სემანტიკური და პრაგმატული ასპექტები – 52
Levan Pachulia – THE LEXEME K'OCI IN MEGRELIAN: STRUCTURAL, SEMANTIC AND PRAGMATIC ASPECTS – 52

ქეთევან შარიკაძე - ფონეტიკურად სახეცვლილი ფორმები ოტია იოსელიანის შემოქმედებაში – 58
Ketevan Sharikadze – PHONETIC ALTERATIONS IN OTIA IOSELIANI'S CREATIVITY – 58

ჯულეტა ძაძუა - ქართული ენის მნიშვნელობა სწავლა-განათლების აღორძინებისა და ეროვნული თვითმყოფადობისათვის – 62
Juleta Dzadzua – THE IMPORTANCE OF THE GEORGIAN LANGUAGE IN THE REVIVAL OF EDUCATION AND NATIONAL IDENTITY – 62

სოფიკო ჭაავა - განათლების ენა ცხინვალის მხარეში, აჭარასა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიებზე 1921-22 წლებში (საარქივო მასალების მიხედვით) – 66
Sophiko Chaava – LANGUAGE OF EDUCATION IN TSKHINVALI REGION, AJARA AND ON THE TERRITORIES OF THE AUTONOMOUS REPUBLIC ABKHAZIA IN 1921-1922 (ACCORDING TO THE ARCHIVE MATERIALS) – 66

ლიტერატურათმცოდნეობა
Literature Studies

სოფიკო ანთია - *ოსკარ უაილდის მცირე პროზის კონცეფციები* – 76
Sophiko Antia – *CONCEPTS OF OSCAR WILDE SHORT PROSE* – 76

ლევან ბებურიშვილი - *აღაზას მხატვრული სახის გაგებისათვის* – 81
Levan Beburishvili - *CHARACTER OF AGHAZA IN VAZHA PSHAVELAS'S EPIC POEM "HOST AND GUEST"* – 81

ცირა ბერიშვილი - *სიზმრის სემანტიკა კონსტანტინე გამსახურდიას რომანში „დიდოსტატის მარჯვენა“* – 86
Tsira Berishvili - *DREAM SEMANTIC IN KONSTANTINE GAMSAKHURDIA'S NOVEL „THE RIGHT OF THE GREAT MASTER CONSTANTINE“* – 86

დავით ბოთერა - *ბოთერაშვილი - ჩანახატები რაბათის ებრაელთა ყაიდებისა* – 92
David Botera – **Boterashvili** – *SCETCHES ON THE CUSTOMS OF RABAT JEWS* – 92

მაია ბოლაშვილი, ელენე ხოჯევანიშვილი, მარინე ცერცვაძე - *დევიდ ჰერბერტ ლორენსი, როგორც მთარგმნელი* – 97
Maia Bolashvili, Elene Khojevanishvili, Marine Tsertsvadze – *DAVID HERBERT LAWRENCE AS A TRANSLATOR* – 97

კლარა გელაშვილი - *ომგამოვლილთა სტიგმა „საყდრის ჩიტებში“* – 101
Klara Gelashvili – *STIGMA OF THOSE WHO WENT THROUGH THE WAR IN "BIRDS OF THE CATHEDRAL"* – 101

მაია გელიაშვილი - *დღიური, როგორც აღსარების ერთ-ერთი ფორმა, XX საუკუნის მწერალთა ჩანაწერებში* – 108
Maia Geliashvili - *THE DIARY, AS ONE OF THE FORMS OF CONFESSION IN THE RECORDS OF THE WRITERS OF 20TH CENTURY* – 108

იოსებ გიქოშვილი - *გიორგი შატბერაშვილის საბავშვო პროზა* – 111
Ioseb Gikoshvili – *GIORGI SHATBERASHVILI CHILDREN'S PROSE* – 111

თამარ გოგოლაძე - *„კაცობრიობა“ - იაკობ გოგებაშვილის „ბუნების კარის“ ახალი დამატება* – 115
Tamar Gogoladze - *"HUMANITY" - A NEW ADDITION TO THE "BUNEBIS KARI" (A DOOR TO NATURE) BY IAKOB GOGEBASHVILI* – 115

თენგიზ გუმბერიძე - *პეტრე ლარაძის საზოგადოებრივ-ლიტერატურული მოღვაწეობა* – 118
Tengiz Gumberidze – *PUBLIC AND LITERARY WORKS OF PETRE LARADZE* – 118

ლუკა დვალიშვილი - *ალექსანდრე ყაზბეგის ცხოვრებისა და შემოქმედების საინტერესო ფაქტები ილია ჩქონიას პუბლიცისტიკაში* – 123
Luka Dvalishvili - *INTERESTING FACTS ABOUT ALEXANDER KAZBEGI'S LIFE AND WORK IN ILIA CHKONIA'S PUBLICITY* – 123

თეიმურაზ დოიაშვილი - *გალაკტიონის ლირიკული პარადოქსი და მისი ლიტერატურული წყარო* – 128
Teimuraz Doiashvili - *THE LYRICAL PARADOX OF GALAKTION TABIDZE AND THE LITERARY SOURCE OF THIS PARADOX* – 128

ნინო ვახანია - *ილია ჭავჭავაძის მსოფლმხედველობის ზოგიერთი საკითხი* – 131
Nino Vakhania - *SOME ISSUES ON ILIA CHAVCHAVADZE'S IDEOLOGY* – 131

თამარ ვეფხვაძე - *ბიბლიური პარადიგმები კონსტანტინე გამსახურდიას ექსპრესიონისტულ ნოველაში „ზარები გრიგალში“* – 137
Tamar Vepkhvadze – *BIBLICAL PARADIGMS IN THE KONSTANTINE GAMSAXHURDIA NOVEL "BELLS IN THE STORM"* – 137

ვახტანგ ინაური - *ომაზ ჩხეიძის „გახლეჩილი რწმენა“ – მესხეთის ტრაგედია* – 142
Vakhtang Inauri – *OMAZ CHKHEIDZE "THE FRACTURED FAITH" – TRAGEDY OF MESKHETI* – 142

მედეა კვარაცხელია - *ბედისწერით ჩამოყალიბებული ურთიერთობა საბავშვო ლიტერატურასთან (მარიამ წიკლაური საბავშვო პოეზია)* – 145
Medea Kvaratskhelia - *POETRY FOR CHILDREN BY MARIAM TSIKLURI* – 145

- ნანა კუცია** - პოსტმოდერნისტული რომანის აღქმის დონეები (ნაირა გელაშვილის „ჩემი ჩიტი, ჩემი თოკი, ჩემი მდინარე“) – 149
Nana Kutsia - *LEVELS OF POSTMODERNIST TEXT (NAIRA GELASHVILI, "MY BIRD, MY ROPE, MY RIVER")* – 149
- შორენა მახაჩაძე** - ნიჰილიზმი - დეგენერაციის მარკერი /მიხეილ ჯავახიშვილის რომანების - „კვაჭი კვაჭანტირაძე“ და „ჯაყოს ხიზნები“ - მიხედვით/ – 152
Shorena Makhachadze - *NIHILISM - DEGENERATION MARKER /ACCORDING TO MIKHEIL JAVAKHISHVILI'S NOVELS - "KVACHI KVACHANTIRADZE" AND "JAQO'S DISPOSSESSED"/* – 152
- მაია მელანაშვილი** - მარგინალური ანტიგმირის კონცეფცია შუა საუკუნეების პიკარესკაში – 156
Maia Melanashvili - *CONCEPT OF MARGINAL ANTI-HERO IN MEDIEVAL PICAESQUE* – 156
- ციალა მესხია** - გალაკტიონის კოსმიური პოეზია რეზო ადამიას ფერწერაში – 161
Tsiala Meskhia - *COSMIC POETRY OF GALAKTION IN THE PAINTINGS OF REZO ADAMIA* – 161
- ტიტე მოსია** - „ვეფხისტყაოსნის“ მსოფლმხედველობის საკითხისათვის XIX საუკუნის რუსთველოლოგიაში – 167
Tite Mosia - *CONCERNING THE QUESTIONS OF THE WORLD OUTLOOK OF THE POEM "STRETCH IN THE PANTHER'S SKIN" IN THE 19TH CENTURY RUSTVELOLOGY* – 167
- ავთანდილ ნიკოლეიშვილი** - რაფიელ დანიბეგაშვილის „მოგზაურობა ინდოეთში“, როგორც მოგზაურული ჟანრის ნარატივი – 172
Avtandil Nikoleishvili - *"TRAVEL IN INDIA" BY RAPHAEL DANIBEGASHVILI, AS THE GENRE OF THE TRAVEL NARRATIVE* – 172
- ზურაბ ოქროპირიძე** - ქართული დრამატურგიის ისტორიიდან პიესა „სიმახინჯის“ იდეურ-მხატვრული ანალიზი – 179
Zurab Okropiridze - *FROM THE HISTORY OF GEORGIAN DRAMATURGY ARTISTIC AND CONCEPTUAL ANALYSIS OF THE PLAY "SIMAKHINJE"* – 179
- თამარ სიდამონიძე** - აკაკი წერეთელი ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში – 185
Tamar Sidamonidze - *AKAKI TSERETELI IN GEORGIAN LITERARY CRITICISM* – 185
- ნათია სიხარულიძე** - გალაკტიონის ერთი ლექსის იდეალური იმპულსი – 188
Natia Sikharulidze - *THE SECRET IMPULSE OF GALAKTION TABIDZE'S ONE POEM* – 188
- ლუარა სორდია** - გალაკტიონ ტაბიძის „ლურჯა ცხენების“ „ეფემერული და ფერადი ქარები“ – 194
Luara Sordia - *GALAKTION TABIDZE'S "BLUE HORSES" "EPHEMERAL AND COLORED WINDS"* – 194
- ეკატერინე ფანგანი** - მითი და ისტორია რომანში „გზაზე ერთი კაცი მიდიოდა“ – 199
Ekaterine Pangani - *MYTH AND HISTORY IN THE NOVEL "A MAN WAS WALKING DOWN THE ROAD"* – 199
- როინ ჭიკაძე** - ქრისტიანული რწმენითი საზრისი ყრმა ილია ჭავჭავაძისა – 204
Roin Chikadze - *CHRISTIAN FAITH OF YOUNG ILIA CHAVCHAVADZE* – 204
- გიორგი ხორბალაძე** - მარადიული პრობლემების ხედვა თანამედროვე მოთხრობაში (გ. სოსიაშვილის მოთხრობის „გასვლა სხეულიდან“ მიხედვით) – 208
Giorgi Khorbaladze - *THE VISION OF ETERNAL PROBLEMS IN A CONTEMPORARY NOVEL ACCORDING TO G. SOSIASHVILI'S NOVEL "LEAVING THE BODY"* – 208
- გულნარა ჯიოშვილი** - ტროპის ძირითადი სახეები „ვეფხისტყაოსანში“ – 210
Gulnara Jioshvili - *MAIN TYPES OF TROPE IN "THE KNIGHT IN THE PANTHER'S SKIN"* – 210

პედაგოგიკა Pedagogics

- ციური ბაქრაძე** - ოჯახი - ბავშვის პიროვნებად ფორმირების მთავარი ფაქტორი – 216
Tsiuli Bakradze - *THE FAMILY – THE MAIN FACTOR OF BRINY CHILD'S PERSONALITY* – 216
- მანანა ბანძელაძე, დარეჯან ჩხიროძე** - აღზრდის პროცესის მორალური ტენდენციები – 220
Manana Bandzeladze, Darejan Chkhirodze - *MORAL TENDENCIES IN THE PROCESS OF EDUCATION* – 220
- ელენე გეგეშიძე** - წარსულის გამოცდილება თანამედროვე პედაგოგიკაში – 222
Elene Gegeshidze - *PAST EXPERIENCE IN MODERN PEDAGOGY* – 222

ნინო დავითაშვილი - მოსმენის უნარი და სიმღერების გამოყენება მოსმენის სწავლებისას – 227
Nino Davitashvili – *LISTENING SKILL AND SONGS FOR TEACHING LISTENING* – 227

ანა იმნაძე - ნუგზარ შატაიძის მოთხრობის - „მოგზაურობა აფრიკაში“ სწავლებისათვის – 230
Ana Imnadze – *ON THE TEACHING OF NUGZAR SHATAIDZE STORY "TRAVEL TO AFRICA"* – 230

ნანა მაისურაძე - კრიტიკული აზროვნების ტექნოლოგიის გამოყენება ფიზიკის გაკვეთილზე – 234
Nana Maisuradze - *THE USE OF CRITICAL THINKING TECHNOLOGY IN PHYSICS LESSONS* – 234

თეიმურაზ ორმოცაძე - სასკოლო კონფერენციები როგორც ცოდნის გაღრმავების საშუალება (ორთოცენტრული ტეტრაედრის ზოგიერთი თვისების შესახებ) – 239
Teimuraz Ormotsadze - *SCHOOL-AGE CONFERENCES AS A GREAT SOURCE OF KNOWLEDGE ACQUISITION (SOME TRAITS OF ORTHOCENTRAL TETRAHEDRON)* – 239

რუსუდან ფიფია, ქეთევან ჟორჯოლიანი - არაქართულენოვან მოსწავლეთა აკადემიური ჩართულობა სასწავლო პროცესში – 242
Rusudan Pipia, Ketevan Zhorzholiani - *ACADEMIC ENGAGEMENT OF NON-GEORGIAN STUDENTS IN THE EDUCATIONAL PROCESS* – 242

პაატა ქურდაძე - რუსთაველის „მიჯნურობის“ აღმზრდელობითი მნიშვნელობა – 247
Paata Kurdadze – *EDUCATIONAL VALUE OF RUSTAVELI'S "FONDNESS"* – 247

ბროლისა წულაია - ბუნებისმეტყველების საკითხები იაკობ გოგებაშვილისა და ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში – 251
Brolisa Tsulaia - *ISSUES OF NATURALISM IN THE WORKS OF IAKOB GOGEBASHVILI AND VAZHA PSHAVELA* – 251

ენათმეცნიერება Linguistics

ვიანორ ახალაია
გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

ნიკოლოზ ბარათაშვილის ენის ზოგიერთი საკითხი

მწერლის ენის დაწვრილებით ანალიზს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სალიტერატურო ენის ისტორიის პრობლემური საკითხების გადაწყვეტისათვის. ამასთანავე, როგორც ა. შანიძე წერს: „მწერლის შემოქმედების სრული და ყოველმხრივი დაფასება მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, როდესაც გათვალისწინებულია ის ფორმა, რომელშიაც მწერალი თავის ფიქრებსა და გრძნობებს ასახავს, ე. ი. თუ შესწავლილია მისი ენა“ („მაცნე“, 1968, თხ. 134). უკანასკნელ დროს ქართულ სინამდვილეში ყურადღება დაეთმო მწერალთა ენის მონოგრაფიულ შესწავლას. მართალია, ადრე მხატვრული სიტყვის ოსტატთა თხზულებიდან ამ თუ იმ ენის მიმოხილვებსა და გრამატიკაში იმოწმებდნენ ფონეტიკურ, მორფოლოგიურ და სინტაქსურ თავისებურებებს, მაგრამ ამ შემთხვევაში გარკვეული ენა იყო კვლევა-ძიების სფერო, ვიდრე კონკრეტულად მწერლის ენა. მწერლის ენის ინდივიდუალურ თავისებურებათა შესწავლას რამდენიმე შრომა მიეძღვნა. (ახალაია, 2004, 126)

აკაკი შანიძის 1939 წელს დაწერილი სპეციალური მიმოხილვა ნიკოლოზ ბარათაშვილის ენაზე იყო პირველი გამოკვლევა ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში, ერთგვარი წინამორბედი რომელიც ქართული მწერლის ენას შეეხებოდა. ენა ხომ სპეციფიკური გამომსახველობითი მასალაა, რომლის მეშვეობითაც მწერალი ახორციელებს სინამდვილის მხატვრულ წარმოსახვას. ამ დროს ხდება ენობრივი მასალის სახეცვლილება და ამიტომაც ყოველი მწერლის ენა გარკვეული ინდივიდუალურობით ხასიათდება.

ნ. ბარათაშვილის ენის შესწავლისათვის საჭირო გამხდარა მის თხზულებათა ტექსტების დადგენა, მითუმეტეს პოემა „ბედი ქართლისა“ (ორი ავტოგრაფი) და ლექსების უმეტესობა ავტოგრაფების სახით არის მოღწეული და აკაკი შანიძეს ამ ავტოგრაფთა მონაცემები პოეტის ენის მიმოხილვისაც სათანადოდ გაუთვალისწინებია.

ავტორის აზრით, თუმცა ბარათაშვილის მე-19 საუკუნეში წერდა, მაგრამ მისი ლექსებისა და პოემის ენა საერთოდ მძიმეა, ვიდრე მე-17 და მე-18 საუკუნის ზოგიერთი მწერლის (სულხან-საბა ორბელიანის, დავით გურამიშვილის) ნაწერებისა. ამ ერთი შეხედვით უცნაურ მოვლენას თავისი მიზეზი აქვს... („მაცნე“, 1968, №6, 135).

ა. შანიძე დასძენს: საზოგადოდ უნდა ავღნიშნოთ, რომ ენა ბარათაშვილისა ერთი არ არის: სხვაა ის ენა, რომლითაც ის წერს თავის ლექსებსა და პოემას, და სხვაა ის ენა, რომელსაც მის წერილებში ვხვდებით. პოემასა და ლექსებში ბარათაშვილი ცდილობს ძველი სიტყვების შერჩევას, ძნელი გამოთქმების მოყვანას, მძიმე გრამატიკული ფორმების მოხმარებას, წერილებში კი ადვილად გასაგებ ფორმებს მიმართავს, სიტყვებსა და გამოთქმებს ჩვეულებრივი სასაუბრო ენიდან იღებს და, საზოგადოდ, მეტ ბუნებრივობას იჩენს... ზოგიერთი მისი ლექსი, რომელსაც, არა საზოგადოებრივი, კერძოობითი დანიშნულება ჰქონდა, უფრო მსუბუქი ენით არის დაწერილი, ვიდრე, ვთქვათ, „ბედი ქართლისა“, ან უმეტესობა მისი ლექსებისა. ასეთი მსუბუქი ენით დაწერილი ლექსებია: „მადლი შენს გაჩენს, ლამაზო“, „სატრფოვ, მახსოვს“, „ცისა ფერს, ლურჯსა ფერს“, „ელენეს და მაროს“. მაგრამ, ცხადია, რომ დიდი მგოსნის წარმოდგენას ბარათაშვილის შესახებ არც ეს ლექსი გვაძლევს და არც მისი წერილები, (და იქვე სქოლიოში უთითებს, რომ თუმცა მის წერილებს შორის ურევია ისეთი ღრმა გრძნობით განმსჭვალული, როგორიცაა მაიკოსადმი 21 ოქტომ. 1842 წელს მიწერილი, სადაც პოეტი თავის „სულის ობლობას“ მეტად მჭიმეტყველად წარმოგვიდგენს) არამედ „ბედი ქართლისა“, „სული ობოლი“, „მერანი“ და სხვა. ბარათაშვილის ენაო, რომ ლაპარაკობენ, უმთავრესად ამათში წარმოდგენილი ენა აქვთ მხედველობაში. (იქვე, 136)

რა არის ბარათაშვილის ენის თავისებურება, რა ქმნის პოეტის წერის მანერასა და სტილს. ა. შანიძის პასუხი ცალსახაა: ეს გახლავთ ტენდენცია, ძველი გრამატიკული ფორმების ხმარებისა.

აქ ბუნებრივად დგება საკითხი - რა გრამატიკულ-ლექსიკური საშუალებებით ან როგორ მიმდინარეობდა ჭიდილი პოეტსა და სიტყვას შორის, ვიდრე ხელოვანი გაიმარჯვებდა, ე. ი. თავისი აზრისათვის ადეკვატურად შესაბამის სიტყვიერ ფორმას მოიპოვებდა (გ. კიკნაძე).

ა. შანიძის მიერ ჩატარებული ორთოგრაფიულ, ფონეტიკურ, მორფოლოგიურ, სინტაქსურ და ლექსიკურ მონაცემებზე დაკვირვება, მათი აღნუსხვა, ანალიზი და სისტემატიზაცია ენათმეცნიერულად ნათელ წარმოდგენას გვიქმნის ბარათაშვილის ენის თავისებურებებზე. მკვლევარი სრულიად ახალი და საკმაოდ უხვი მასალით ამდიდრებს ჩვენს შეხედულებას ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეტური ენის, გამომსახველობით საშუალებათა აშკარა კავშირზე ძველ ქართულთან და, როგორც სხვათა გამოკვლევებიდანაც ჩანს, სასულიერო, ისე საერო მწერლობასთან.

ორთოგრაფიაზე დაკვირვებისას ავტორი დასძენს, რომ ნ. ბარათაშვილი სოლომონ დოდაშვილის მოსწავლე იყო და ქართულს მისი გრამატიკით სწავლობდა. ამ გრამატიკასა და ნ. ბარათაშვილსაც ანტონის სკოლის გავლენა ეტყობა. ნ. ბარათაშვილი ხმარობს მის დროს ჯერ კიდევ შემორჩენილ ძველ ასოებს.

ზ, ძ, ჯ, კ, ზ, ევროპული ენებიდან მომდინარე კბილ ბაგისმიერი ლათინური ბგერის F გამოსახატავად - ჭ-ს, უმარცვლო ენის გამოსახატავად მიღებული დიაკრიტიკულ ნიშნიანი უბრჯგუ უ-ს და უხვად წარმოგვიდგენს სათანადო საილუსტრაციო მაგალითებს. პირველ ყოვლისა, ყურადღება გვინდა მივაქციოთ კ-სა და ხ-ს სალიტერატურო/ქართულში მე-16 საუკუნიდან არეულად ხმარებას და ნ. ბარათაშვილიც ერთსა და იმავე სიტყვას ხან კარით წერს და ხან ხანით: ერთკელ და ერთხელ; კმა და ხმა; ოხვრანი და ოკვრანი და ა. შ.

ა. შანიძე აღნიშნავს, რომ ანტონის სკოლის გავლენა ნ. ბარათაშვილის ენაზე ყველაზე უფრო ჰ-ს ხმარებაში ჩანს. პოეტი ჰ-ს, მსგავსად ანტონისა, ისეთ ფორმებში იყენებს, სადაც მას ადგილი არ უნდა ჰქონდეს, მაგალითად: ჰგმადლობთ, მიმჰხადა, განჰქრა, ჰრბიან, ჰსცოდა, ჰსცემ; არაზმნები: მჰსწრაფლ, ჰსჯული, ჰსწორთა... ჰ-ს ხმარებას არავითარი მორფოლოგიური მნიშვნელობა არა აქვს, იგია „რადაც სამკაული, რომელიც საჭიროა აკუსტიკური მნიშვნელობის გასაძლიერებლად“, - დასძენს მეცნიერი.

მორფოლოგიიდან, ა. შანიძის აზრით, სახელთა ბრუნებაში, მრავლობითი რიცხვის წარმოებაში, ზმნისწინა ხმარებაში არქაული ფორმები სჭარბობს. მაგალითად: ზმნისწინები აღ, გან, გარდა, შთა ძველი ფორმოითაა გამოყენებული. ასევე ძველი გრამატიკული ფორმებია: არს, რბიოდა, მოვალს, განვედ ჩემგან, არღა მეცემის, დააჩნდების, გარდაეცემის და სხვა.

პოეტის წერის მანერის შედეგი მკაფიო ჩანს მრავლობითის გამოყენებაში. „მრავლობითი რიცხვი ძველებურადაც არის ნაწარმოები და ახლებურადაც, მაგრამ ძველი წარმოების ხმარებულების შემთხვევა ბევრად სჭარბობს ახლოსას. პოემებსა და ლექსებში მკვლევარს საგანგებოდ დაუთვლია ნარ-თანიათი (ძველი) და ებ-იანი (ახალი) მრავლობითი ხმარების შემთხვევები და ასეთი სურათი მიუღია: „ბედი ქართლისაში“ ძველი მრავლობითია 104, ახალი კი 10, ლექსებში კი შესაბამისად: 184 და 27. საერთოდ ასეთი სურათია: ძველ ფორმათა რიცხვია სულ 268 და ახალთა 37... ასეთი ჭარბი ხმარება ძველებური მრავლობითისა მარცვალთა რაოდენობის მოთხოვნებით არ შეიძლება აიხსნას: ბევრია ისეთი ადგილი, სადაც ძველ მრავლობითს თამამად შეცვლის კაცი ახლით ლექსის მოთხოვნილებათა დაურღვევლად - წერს მეცნიერი (იქვე, 140)

ა. შანიძე დიდად აფასებს პოეტს და უწოდებს მას დიდი გრძნობის პატრონსა და ღრმა მოაზროვნეს, რომელსაც თავისი აზრების გადმოსაცემად ზოგჯერ დარღვეული აქვს ენის გრამატიკული ნორმები. ფორმათა გადაკეთების ნება ყოველთვის აქვს პოეტს, მაგრამ ამის ერთგვარი საზღვარი აქვს ხოლმე დადებულიო. შეიძლება ძალიან არ გვეჩოთიროს, მაგალითად, ისეთი გადახვევა ნორმიდან, როგორიცაა მცირი, (რომელიც სარიტმო სიტყვით არის გამოწვეული: თათბირი), ძნელობა, მღელვარი, გვედრებ, მოსალხენი და სხვა. უფრო საჩოთიროა: გარმოისარე, უმტკიცესი, წყნარადი, ასულდმარებს და სხვა.

ყოველი შესიტყვება თუ ლექსიკური ერთეული რაღაც მნიშვნელობის მთქმელია მოვლენათა ან მოქმედ პირთა მიმართ ავტორის დამოკიდებულების შესახებ, რამდენად შეუძლია მას დააინტერესოს, გააოცოს მკითხველი. ამ მხრივ ნ. ბარათაშვილის წერის მანერის შესახებ ა. შანიძე წერს: ლექსიკა ძველი სიტყვებით არის დატვირთული..., თითქმის პოეტი საგანგებოდ არჩევდეს ძველ მწიგნობრულ გამოთქმებს და საილუსტრაციო მაგალითებად მოჰყავს დამახასიათებელი სიტყვები. თუმცა ამათგან ზოგი დღესაც იხმარება თანამედროვე ქართულში. მაგალითად: ასული, ბანოვანი გლაზ (ვაგლაზ), გონ (ვგონებ), ელტვიან (ლტოლვა), ეჭვ (ვეჭვობ), სიყრმე, სპეტაკი, ქიზგა (ორური ქალი), ძალუმს, წმიდა წყლული, ხილვა (ვიხილავ)...

ა. შანიძისთვის ნ. ბარათაშვილის ენის არქაულობა მისი რომანტიკოსობით არის განსაზღვრული, რომ რომანტიზმი აუცილებლობით ირჩევს არქაიზმს, რომ არქაულობა რომანტიზმის მოუცილებელი ნიშანია „ბარათაშვილი რომანტიკოსია მთელი თავისი არსებით, რომანტიკოსია არა მარტო გონებითა და გრძნობით, აზროვნებითა და ემოციებით, არამედ აგრეთვე გარეგანი გამოხატულების საშუალებითაც,

ენით: სიტყვების მარაგით, მათი შერჩევით, ერთმანეთთან შეხამების ხერხით და, საზოგადოდ, ლექსიკურ-გრამატიკული საერთო ტონის მიხედვით.“

საინტერესოა, რომ იმავე მოსაზრებას გვთავაზობს აკაკი გაწერელია: „ნ. ბარათაშვილის ენა მწიგნობრულია, პოეტური მეტყველების საკითხში ბარათაშვილი-ლირიკოსი ბოლომდე დარჩა ერთგული ბიბლიის თარგმანებისა და ქართული ჰიმნოგრაფიისა, ს. დოდაშვილის და გრ. ორბელიანის ენობრივი პოზიციისა, როგორც ჩანს, ნ. ბარათაშვილი პრინციპიალურად იზიარებდა შეხედულებას, რომ სასაუბრო მეტყველება პოზიციისთვის მიუღებელია. ამ საკითხში პოეტი რომანტიკოსთა თაობის ტიპური წარმომადგენელია“ (ნიკოლოზ ბარათაშვილი, 1947, 135)

შეხედულებას, რომ ნ. ბარათაშვილი ენის საკითხში არის კონსერვატორი, არ იზიარებს გრიგოლ კიკნაძე. მისი აზრით არქაიზმი რომანტიზმის აუცილებელი ნიშანი სულაც არ არის, რადგანაც ჯერ ერთი, არიან რომანტიკოსები, რომელთა ენაც არაა არქაული და, მეორეც, არიან რეალისტები, რომელნიც ზოგჯერ საგანგებოდ მიმართავენ არქაიზმებს. მისთვის არ არის გამორიცხული, რომ მოძველებული და ხმარებიდან გასული სიტყვებისა და გამოთქმების საგანგებოდ შემოტანის ცდა, იყოს შემოქმედის მისწრაფება ორიგინალობისაკენ, მას ჰქონდეს სტილისტური ანუ მხატვრული ფუნქცია.

დავიმოწმებთ ამონარიდს გ. კიკნაძის ნაშრომიდან: „ამოსავალი ის კი არ შეიძლება იყოს, რომ მიმართავს თუ არ მიმართავს ნიკოლოზ ბარათაშვილი ძველ სიტყვებსა და გრამატიკულ ფორმებს, არამედ ის, თუ რამდენად სდებს იგი მათში ახალ შინაარსს და რამდენად ახერხებს მათი საშუალებით მომავლის განწყობილებათა გამოხატვას. როგორც კი საკითხი ასე დაისმის, მაშინვე ცხადი გახდება, რომ ის, რაც ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედებაში ენათმეცნიერებისათვის მოძველებული და „საჩოთიროა“, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და ძვირფასია ლიტერატურის ისტორიკოსისათვის. რადგან მათ გარეშე წარმოუდგენელია ამ შემოქმედის პოეტური ინდივიდუალობა, ე. ი. მისი პოეზიის სიდიადე. სხვა პოეტთაგან გამორჩეულ სახეს მის პოეზიას ერთგვარი არქაული ტონიც აძლევს: უიმისოდ ჩვენ ვეღარ დავინახავდით ნიკოლოზ ბარათაშვილის დახვეწილ სწრაფვას და განცდათა სიფაქიზეს. (კიკნაძე, თხზულ. III, 1999, 233)

საკითხის ასე დასმა, თავისთავად ცხადია, მართებულია იმდენად, რამდენადაც საქმე გვაქვს იმასთან, რომ ყოველი მოულოდნელი შესიტყვება თუ ლექსიკური ერთეული, მათი წყობა, გრამატიკულ ფორმებში ჩამოსხმა ინდივიდუალურია რაღაც მნიშვნელობის მთქმელია მოვლენათა ან მოქმედ პირთა მიმართ ავტორის დამოკიდებულების შესახებ. ამით პოეტი მოვლენებისადმი თავის საზრისს, მხატვრული აზროვნების თავისებურებას და წერის საკუთარ მანერას ავლენს.

არც ის ენობრივი გარემო უნდა დაგვაფიქვდეს, სადაც პოეტს უხდებოდა მოღვაწეობა.

და, ბოლოს, მინდა გურამ ასათიანის საინტერესო და დამარწმუნებელი დებულებით დავამთავრო: მართალია, „მერანის“ ავტორის ენა სპეციალისტების მტკიცებით უხვად შეიცავს არქაულ ელემენტებს, მაგრამ პოეტური მეტყველების ფორმა ბარათაშვილის შემოქმედებაში მაინც აშკარად ნოვატორულია, რადგან იგი, როგორც მთლიანი პოეტური სტილი, მხატვრული აზროვნების თვისობრივად ახალი პრინციპების რეალიზაციას მოასწავებს, როგორც მხატვრული ხერხი. ეს იყო ერთადერთი შესაფერისი საშუალება ეროვნული თვითშეგნების ისტორიული შინაარსის გამოსახატავად (ასათიანი, „მერანი და მისი ავტორი“, 12)

ლიტერატურა:

1. ა. შანიძე, ბარათაშვილის ენა, საქ. მეცნიერ. აკადემია „მაცნე“, 1968, №4.
2. ვ. ახალაია, უიარაღო თხზულებათა ენა და სტილი, წერილები, ინტერვიუები, თბილისი, 2004.
3. გ. კიკნაძე, თხზულებანი, III, თბილისი, 1999.
4. გ. ასათიანი, მერანი და მისი ავტორი, თბილისი, 1969.

Vianor Akhalaia *Gori State Teaching University* **SOME ISSUES OF NIKOLOZ BARATASHVILI'S LANGUAGE** **RESUME**

Nikoloz Baratashvili's observation of the language of spelling, phonetic, morphological, syntactic and vocabulary data, their recognition, analysis and systematization linguistically illustrates the peculiarities of genius poet's language. Appears in the obvious connection between the expression of the poetic language of N. Baratashvili with the old Georgian as both secular and secular writings.

ბარბარიზმი თუ ჟარგონი?

„ქართული ჟარგონის ლექსიკონის“ მომზადებისას (პირველი გამოცემა 1999, მეორე - 2005, მესამე - 2013) ასეთი დილემის წინაშე დავდექი: შემეტანა თუ არა ლექსიკონში ქართველი ახალგაზრდების მეტყველებაში ხშირად ხმარებული რუსული სიტყვები, რომლებიც, სახელობით ბრუნვის -ი სუფიქსს თუ არ ჩავთვლით, იმავე ფორმას ინარჩუნებენ, რაც მათ წყაროენაში აქვთ: *ვაბშე, იმენ(ნ)ა, გრეხი, სასტავი, ვესი, შკაფი, კრიშა, ზნაჩიტ* და სხვა მრავალი. პირველ გამოცემაში ამათ უმეტესობაზე უარი ვთქვი: რუსულ-ქართულ ანდა ბარბარიზმების ლექსიკონს ხომ არ ვადგენ-მეთქი! (ზემოთ დასახელებულთაგან ვერ შეველიე „გრეხსა“ და „სასტავს“, ვინაიდან ამათ გარეშე ქართველ ახალგაზრდათა მეტყველების ამსახველი ლექსიკონი ძნელად წარმომედგინა). მაგრამ შემდგომ გამოცემაში სხვა გზას დავადექი: *ვაბშე, იმენა, შკაფი* და ბევრი სხვაც შევიტანე, ვინაიდან შევამჩნიე, რომ ესენი განსხვავდებოდნენ „ჩვეულებრივი“ ბარბარიზმებისაგან, როგორც არის „პოლი“, „სტოლი“, „კარანდაში“, „სტაქანი“, „მალადეც“, „პაჟალუსტა“, „დავაი!“, „საიტი“, „სეივი“ და სხვ.

ამრიგად, ბარბარიზმად ისეთ უცხო სიტყვებს მივიჩნევთ, რომელთა შესატყვისი მიმღებ ენაში გვაქვს, და ბარბარიზმის მისით ჩანაცვლებისას არანაირი აზრობრივ-სტილისტური ნიუანსი არ იკარგება (სტოლი - მაგიდა, პოლი - იატაკი, სტაქანი - ჭიქა, მალადეც! - ყოჩაღ!, საიტი - გვერდი, სეივი - შენახვა და სხვ.).

რაც შეეხება „შკაფს“, თუ ის „კარადის“ ნაცვლად არის გამოყენებული, ბარბარიზმი იქნება, ხოლო თუ *ზორბა, დიდი ტანის ადამიანს* აღნიშნავს, ანუ გადატანითი მნიშვნელობით არის ნახმარი, მაშინ ჟარგონთან გვაქვს საქმე (ეს გადატანითი მნიშვნელობა ამ სიტყვას წყაროენაშიც აქვს).

ასე რომ, უცხო ენიდან შემოსული სიტყვა, ჩემი აზრით, ახალგაზრდული ჟარგონის კუთვნილება მაშინ გახდება, თუ ის თავისი ძირითადი მნიშვნელობ(ებ)ის გარდა დამატებით მნიშვნელობას (ან ნიუანსს) იძენს და სწორედ ამ დამატებითი მნიშვნელობით გამოიყენება ჟარგონის მომხმარებლების მიერ. სხვაგვარად იგი ბარბარიზმად უნდა მივიჩნიოთ. მაგალითად, რუსულიდან შემოსული „კრიშა“ (крыша) ჟარგონის კუთვნილებად მხოლოდ მისი გადატანითი მნიშვნელობით - *დამხმარე, პროტექტორი* - გამოყენებისას უნდა ჩაითვალოს, სხვა შემთხვევაში, ანუ, თუ იგი სახლის სახურავის მნიშვნელობით გამოიყენება, ბარბარიზმი იქნება, გინდ ახალგაზრდა წარმოთქვამდეს მას და გინდ ხნერი. ეს გადატანითი მნიშვნელობა მას შეიძლება წყაროენაშიც ჰქონდეს ან მხოლოდ მიმღებ ენაში შეიძინოს. მაგალითად, „კრიშას“ *დამხმარეს, პროტექტორის* მნიშვნელობა რუსულშიც აქვს. ამასვე ვერ ვიტყვით „სასტავზე“, რამაც ქართულ ახალგაზრდულ ჟარგონში ასეთი მნიშვნელობა მიიღო: *საერთო ინტერესებით მცხოვრები, ერთმანეთთან კარგად შეგუებული, ახალგაზრდების ჯგუფი, გაერთიანება წრე* (ბრეგაძე 2013: 118). ამ მნიშვნელობით „სასტავი“ ჟარგონის კუთვნილებაა, ხოლო როცა მას ქართველი *მატარებლის, სპორტული გუნდის* და მისთანათა შემადგენლობის აღსანიშნავად იყენებს, ეს ბარბარიზმი იქნება.

რა შეიძლება ითქვას „იმენ(ნ)ოზე“? ეს სიტყვა მესამე გამოცემაში შევიტანე და ასე განვმარტე:

„იმენ(ნ)ა – სახელდობრ (რუს. ...). ძალზე ხშირად იხმარება ქართულ ჟარგონულ მეტყველებაში, უმეტესად სრულიად უადგილოდ, ანუ პარაზიტ სიტყვად გვევლინება. ქართული „სახელდობრ“, განსხვავებით მისი რუსული და გერმანული (nämlich) შესატყვისებისგან, მეტისმეტად მწიგნობრულად ჟღერს და ქართულ სასაუბრო მეტყველებაში არ გამოიყენება“ (ბრეგაძე 2013: 76).

ანუ აქ ასეთი ვითარებაა:

ქართულ ჟარგონში გამოყენებული *იმენ(ნ)ა* ბარბარიზმად იმის გამო ვერ ჩაითვლება, რომ იგი *სახელდობრ*-ის სრული შესატყვისი არ არის. კერძოდ, სტილისტურ დონეზე ისინი ერთმანეთის ადეკვატურნი არ არიან: რუსულ სასაუბრო მეტყველებაში დაუბრკოლებლად იხმარება, ხოლო *სახელდობრ* იმდენად მწიგნობრული სიტყვაა, რომ ძნელად წარმოსადგენია იგი ქართველმა მეგობრულ საუბარში გამოიყენოს.

იგივე ითქმის სიტყვაზე „ზნაჩიტ“. ესეც შევიტანე მესამე გამოცემაში და ასე დავასაბუთე მისი ჟარგონულობა:

„ზნაჩიტ – მამასადამე. (რუს. ...). ზოგჯერ ჟარგონი ბარბარიზმებს მიმართავს მაშინ, როცა მშობლიური შესატყვისი ძალიან მწიგნობრულია, როგორც ეს „მამასადამე“ (ბრეგაძე 2013: 72).

იმავეს თქმა შეიძლება „ვაბჟესა“ და მის ქართულ შესატყვისებზე: *საზოგადოდ, საერთოდ.*

თუ დავუკვირდებით ქართულ ახალგაზრდულ ჟარგონში გამოყენებულ რუსულ სიტყვებს, ხშირად აღმოვაჩენთ, რომ ისინი მათი ქართული სალექსიკონო შესატყვისების სრული ანალოგები არ არიან, რის გამოც, ჩემი აზრით, ბარბარიზმებად ვერ ჩაითვლებიან.

ავიღოთ, მაგალითად „გრეხი“ (Грех), რაც ქართულად *ცოდვას, შეცოდებას, ღვთის წინაშე ჩადენილ დანაშაულს* ნიშნავს (ქეგლ 1964: 644). ჟარგონში ის, ცხადია, ამ მნიშვნელობით არ იხმარება, იქ იგი მხოლოდ და მხოლოდ ძველბიჭური დაუწერელი კანონის დარღვევას ნიშნავს. ქართულ ახალგაზრდულ ჟარგონში იგი ქურდული მეტყველებიდან შემოვიდა, სადაც მას დაუწერელი ქურდული კანონის დარღვევის მნიშვნელობა ჰქონდა:

„ადრე მხოლოდ ჯიბგირებს ჰქონდათ უფლება „შლიაპისა“ და „გალსტუკის“ ტარებისა, სხვა ქურდებისთვის „გრეხი“ იყო“ (გია ლომაძე. ლიტ. საქ. 1991: 9).

„ვესი“ (Бес) რუსულში პირდაპირი მნიშვნელობით „წონა“, გადატანით კი - *ავტორიტეტი*, რაც ერთობ მწიგნობრულად ჟღერს. ქართულში „წონა“ სიტყვის გადატანითი მნიშვნელობა არის „ძალა“, მაგრამ არა - ავტორიტეტი („მხოლოდ იმ სიტყვასა აქვს წონა, რომელსაც საქმე მოჰყვება“. - ქეგლ 1964: 1165). ამიტომ, როცა ქართველი იტყვის: „...ბიძაჩემი დგას ჩვენ ბალკონში (...), ფიქრობს, რა ვქნაო, არ უნდა უმამაჩემოთ (...). რატო, ვესი არა გაქ?“ (აკა მორჩილაძე. ლიტ. გაზ. 2010: 8), აქ „ვესი“ ჟარგონია და არა ბარბარიზმი.

ძნელი სათქმელია ბარბარიზმია თუ ჟარგონი ქართველი ახალგაზრდების მეტყველებაში ხშირად ხმარებული „კაროჩე“. ვერ ვიტყვით, რომ ის სტილისტურად ან რამე სხვა ნიშნით განსხვავდებოდეს მისი ქართული შესატყვისისგან: „მოკლედ“. ორივე ნეიტრალური სტილის ჩართული სიტყვაა, ორივე შემოკლებაა (მოკლედ [რომ ვთქვათ], коротко [говорю]), „მოკლედ“ „კაროჩეზე“ ძნელი წარმოსათქმელი არ არის (ორივეში არის „კ“ ხმოვანი, რომელიც წარმოთქმას აადვილებს). ერთადერთი, რაც „კაროჩეს“ განასხვავებს „სტოლისა“ და „პაჟალუსტას“ ტიპის ბარბარიზმებისგან, ის არის, რომ იგი მარტო ახალგაზრდების მეტყველებაში იხმარება. შესაძლოა თუ არა ის მხოლოდ ამის გამო ჩაითვალოს ბარბარიზმად და არა ჟარგონად, ძნელი სათქმელია. ვფიქრობ, მას ასეთი კვალიფიკაცია უნდა მიეცეს: ბარბარიზმი, რომელიც ახალგაზრდების მეტყველებაში გვხვდება.

ალბათ მათ რიცხვს უნდა მივაკუთვნოთ აგრეთვე „ბრიაჟკა“, „ატკაზი“, „მანდრაჟი“, „ნაგლი“ და სხვ.

ლიტერატურა:

ბრეგაძე 2013: ქართული ჟარგონის ლექსიკონი. მესამე შევსებული გამოცემა. თბილისი: ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 2013.

ლიტ.გაზ. 2010: „ლიტერატურული გაზეთი“, 2010, # 25.

ლიტ.საქ. 1991: გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1991, # 7.

ქეგლ 1964: ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. 8. თბილისი: „მეცნიერება“, 1964.

Levan Bregadze

Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

BARBARISM OR SLENG?

RESUME

Sometimes that what we suppose at first view to be a barbarism would be more appropriate to designate as a sleng.

According to our observation a word transported from a foreign language will belong to sleng if it gets an additional meaning besides to its basic meaning, and will be applied in this additional meaning by a sleng-user. Otherwise it should be considered as a barbarism.

We can not consider as a barbarism also a word which is favoured by sleng through its stilistical colouration which differs it from its “local” analogue.

თედო სახოკია 150 – „ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი“

საქართველოს ისტორიაში თედო სახოკია ცნობილია, როგორც ისტორიკოსი, ეთნოგრაფი, ლექსიკოგრაფი, მთარგმნელი, პედაგოგი, ფოლკლორისტი, ასევე პოლიტიკური მოღვაწე. თედო სახოკიას მემკვიდრეობაში განსაკუთრებული ადგილი ეთმობა მეცნიერულ მუშაობას, რომელიც საუნივერსიტეტო განათლებასთან ერთად დაიწყო პარიზის უმაღლეს ანთროპოლოგიურ სკოლაში. თავდაპირველად მთარგმნელობითი საქმიანობით დაიწყო და გააგრძელა ქართული ენის, ლიტერატურის, ეთნოგრაფიის, ფოლკლორისტიკის, პუბლიცისტიკის, და სხვა დარგების შესწავლა-გადრმაგებით. მან სამეცნიერო მოღვაწეობით ფასდაუდებელი სამსახური გაუწია თავის სამშობლოს. მისი სამოცდაათწლიანი მუხლჩაუხრელი შრომის ნაყოფი უდიდესი მონაპოვარია ქვეყნისათვის.

„მწელი დასაჯერებელია ერთი ადამიანის სიცოცხლე ეყოს იმას, რაც თედო სახოკიას შთამომავლობისთვის დაუტოვებია, რაც მას თავს გადახდენია... ამითაც ის პირდაპირი მემკვიდრეა მე-19 საუკუნის დიდი მოღვაწეებისა, რომელთაც მდგომარეობა აიძულებდათ ერთდროულად მწერლებიც ყოფილიყვნენ, ჟურნალისტებიც, ფინანსისტებიც, ეთნოგრაფებიც, ენათმეცნიერებიც, პედაგოგებიც, ამას მოითხოვდა საქვეყნო ინტერესები. საგულისხმო ისაა, რომ თედო სახოკია სავსებით ახალგაზრდა ჩამოყალიბდა ამგვარ მოღვაწედ - წერს **ვახტანგ ჯიბლაძე (ხეც. სახოკიას ფონდი, №80).**

თედო სახოკია სამეცნიერო მოღვაწეობიდან ცალკე გამოვეყოფთ მის ღვაწლს ლექსიკოგრაფიაში. იგი რამდენიმე ათეული წლის მანძილზე, საქართველოს სხვადასხვა კუთხეში აგროვებდა ხალხური ზეპირსიტყვიერების ნიმუშებს, ხატოვან სიტყვა-თქმებს, ეწეოდა მის სისტემატიზაციას.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სამტომეული „ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი“. ეს არის ოცდაათწლიანი შრომის ნაყოფი, განმარტებითი მასალა ხალხურ მეტყველებაში გამოყენებული ფიგურალური გამოთქმებისა, რითაც მან უზომოდ გაამდიდრა ქართული ლექსიკური ფონდი.

„ქანრობრივად ჩარჩოები შემორღვევია ხატოვან სიტყვათა ამ ლექსიკონს, ამიტომაც გამოიყურება მხატვრულ-დოკუმენტურ თხზულებადაც და ნოველების ციკლივით, თუნდ სულაც რომანივით საკითხავადაც გადაქცეულა, მოზაიკურად აღნაგობის რომანივით, გინდ მიჰყევი და იკითხე მოუწყინრად, ვიდრე „აბრუნა წისქვილიდან“ „პოპოპები ჰყავს!..“ - გახვიდოდე და გინდ ნებისმიერ გვერდზე გადაშალე. სიტყვის მნიშვნელობას სიტყვის მნიშვნელობად შეიცნობ თუ დააზუსტებ, ყოფით სურათებს ყოფით სურათებად განიცდი და ისტორიის სუნთქვასაც ძალუმად შეიგრძნობ.“ **(ჩხეიძე, 2015: 648).**

აღსანიშნავია, აკადემიკოს სიმონ ჯანაშიას შეფასება თედო სახოკიას **„ქართულ ფიგურალურ /ხატოვან/ თქმათა ლექსიკონზე“**. „ასეთი ლექსიკონი ყველა კულტურულ ერს მოეპოვება, საქართველოში კი იგი პირველად გამოდის, ამდენად, მისი მნიშვნელობა დიდია“ **(სიმონ ჯანაშიას მოხსენება. 1942 წლის 18/04). (ქლსმ. თ. სახოკიას ფონდი, №19868/302).**

1936 წელს იწყებს თედო სახოკია ამ გამონათქვამების ანბანზე დალაგებას, სათითაოდ იწყებს თითოეული სიტყვის ფრაზის ახსნას, წარმოშობის ისტორიების ჩართვას. საბოლოოდ, ეს სამუშაო ცნობილი ხდება „ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი“-ს სახელით. გამოსაცემად უკვე მზად ჰქონდა, 1941 წელს მეორე მსოფლიო ომის დაწყებამ, ამ ნაშრომის დაბეჭდვის შეჩერება გამოიწვია ვინ იცის, რამდენი ხნით...

„ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი“ 7000-ზე მეტ ერთეულს მოიცავს. გამოცემულია ორჯერ, პირველი გამოცემა სამტომეულის სახით განხორციელდა 1950, 1954, 1955 წლებში. არის სიტყვა-თქმანი, ანუ სიტყვების პირდაპირი მნიშვნელობისა და მათი ფიგურალური მნიშვნელობის განმარტება. ხოლო მეორე 1979 წელს გამოცემა, ერთტომეული და მასში სიტყვების პირდაპირი მნიშვნელობა ამოღებულია, მხოლოდ ფიგურალური მნიშვნელობაა განმარტებული. „ამ საოცარ წიგნს, რომელიც არღვევს ქანრობრივ რეალს და გაცილებით უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე მისი სათაური გვიხასიათებს - ერის სულიერ ცხოვრებას ჰყენს შუქს, ქართველი ადამიანის ბუნებას გვიხსნის და მის ხასიათს გვაცნობს **(ჩხეიძე, 2015:641).**

ლექსიკოლოგიურ წიგნში **„ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი“** ხატოვნად და სხარტად ასახულია ქართველი ხალხის გონებრივი და სულიერი ცხოვრების გამოცდილება, გადმოცემულია ვრცელი ისტორიული და ეთნოგრაფიული ექსკურსები, აგრეთვე ფოლკლორული მასალა. ეს ყოველივე მეტად

საინტერესოა ქართული სულიერი ყოფისა და კულტურის თვალსაჩინოდ წარმოსაჩენად. თუმცა წიგნი ლექსიკონის პრინციპზეა აგებული, მასში საინტერესოდ იკითხება ის ვრცელი ინფორმაცია, რომელიც ახლავს ყოველ სიტყვას თუ ფრაზას.

თედო სახოკიას თავად აქვს გადმოცემული თუ როგორ დაინტერესდა „ხატოვანი სიტყვების“ შეკრება-შეგროვებით და მათი სამზეოზე გამოტანისათვის ზრუნვა დაიწყო. „ერთ წელიწადს სოფლის მასწავლებლად მოვეყვი ქართლის სოფელში. თუმცა ქართულ ენას ძალიან ვეტანებოდი და მეგონა სხვა ენებთან შედარებით, ეს ენა, ასე თუ ისე, ვიცი-მეთქი, მაგრამ ქართლში ყოფნამ და ქართულების ლაპარაკმა დამარწმუნა, რომ დიდი და დიდი მუშაობა მჭირდებოდა ამ ენის შესათვისებლად, რომ არ შემრცხვენოდა საზოგადოებაში ჩემის ქართულის ცოდნით თავის გამოჩენა.

თედო სახოკია თავად აღნიშნავს და იქვე დასძენს, პირდაპირ აღმაფრთოვანა ჩვენის ხალხის ზეპირსიტყვიერებამ, ამ მრავალფეროვანმა და ამოუწურავმა ზღვამ ხალხის სიბრძნისა... აქვე ჩაეყარა სამირკველი ჩემს მიერ ქართულ ხატოვან თქმების სალექსიკონო მასალათა და ანდაზების შეკრების საქმეს.

ქართულ მეტყველების მასალათა შეკრებისა და ერთად თავმოყრისათვის ზრუნვა გადამექცა კულტად, ჩემის სიცოცხლის მიზნად. ამ ათის წელს წინათ შევუდექი ჩემის ახალგაზრდობის დროის ნაღვანის დალაგებას წესრიგზე, დასაბეჭდად დამზადებას. და თავის ქებაში არ ჩამომერთმევა, თუ ვიტყვოდი, რომ იმედი მაქვს, როცა გამოქვეყნდება, მომავალი თაობა არ დაიშურებს, რომ ლოცვა-კურთხევით მომიხსენიოს-მეთქი“ (სახოკია, 1969: 220).

თედო სახოკია თავისი ცხოვრების ამ ერთ მონაკვეთს დიდად აფასებდა „ხუმრობით არაერთგზის უთქვამს, - იგონებს მისი შვილიშვილი, შუქია აფრიდონიძე, - ქართლში უფრო მეტი ვისწავლე, ვიდრე ვასწავლეო და ჭაბუკობიდან მოკიდებულ, სალიტერატურო ქართულს ეს საყრდენი მუდამ ბურჯად ჰქონდა შეეყნებული, მის მართლაც მდიდარსა და წვნიან ენას, რეზო ინანიშვილი „შამპანურივით შუშუნას“, რომ უწოდებდა. აქვე ჩაეყარა საფუძველი ქართული ხატოვანი სიტყვა თქმებისა და ანდაზების შეგროვებას“ (გაზ. „განათლება“, 1998: N11/10).

თედო სახოკიას „ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი“-ზე მუშაობისას დიდი და ვრცელი ინფორმაცია იყრის თავს, წეს-ჩვეულებები, ტრადიციები, რომელიც დაკავშირებულია საუკუნე-გამოვლილ მთისა თუ ბარის, საქართველოს, ქართველი ხალხის ეროვნულ, სოციალურ, კულტურულ-რელიგიურ თუ სხვა საკითხებთან. სწორედ ამაზე ყურადღების გამახვილებაა წარმოდგენილი თედო სახოკიას „ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი“-ში, რომელზედაც იმდენად ვრცელი და მრავლისმომცველი მუშაობა აქვს გაწეული ავტორს, რომ შეუძლებელია, თითოეული სიტყვის განმარტებამ არ აღგვაფრთოვანოს და ქართველი ხალხის მდიდარ სულიერ, მატერიალურ, ენობრივ კულტურის ღირსების დაცვაზე არ მიგვაქცევინოს ყურადღება“ (სახოკია, 1954: 241).

„ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი“, დალაგებულია ანბანზე, სიტყვებისა და ფრაზების მნიშვნელობა გადმოცემულია ან პირდაპირ, ან ხატოვნად, შედარებების მოშველიებით, რომელთა რაოდენობა საკმაოდ ვრცელია, რაკი ნაშრომი სამ ტომს მოიცავს, ხოლო მნიშვნელობების სადემონსტრაციოდ მოხმობილია მაგალითები მხატვრული ტექსტებიდან.

ეთნოგრაფი გოგიტა ჩიტაია წიგნის „ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი“ შესახებ აღნიშნავს: „უზუცესი ქართველი ეთნოგრაფის, თედო სახოკიას ეს ნაშრომი პირველი ქართული გამოცემაა, რომელშიც ფართოდ არის ასახული ჩვენი ერის ხატოვანი სიტყვა-თქმების მდიდარი მარაგი. იგი გულმოდგინედ შეკრებილ მასალას აწვდის მკითხველ საზოგადოებას“ (სახოკია, 1954:241 ტIII).

თედო სახოკიამ, როგორც პირველმა ეთნოგრაფმა განათლებით, კარგად იცის მშობლიური კუთხის ზნე-ჩვეულებები, ადათ-წესები, თავად აქვს გადმოცემული თავის „მოგზაურობანი“-ში (გურია, აჭარა, აფხაზეთი, სამურზაყანო), აგრეთვე ცალკე გამოცემულ ეთნოგრაფიულ ნაწერებში, პუბლიცისტურ წერილებსა და ა. შ. (და არა მარტო), ასახულია საქართველოს ამ მხარეების, ქართველი ხალხის ცხოვრების წეს-ჩვეულებები.

„ყოველთვის ასე იქნება, როდესაც სიტყვის ახსნა თვალწინ წარმოგისახავს ხალხის თვისებასთან დაკავშირებულ რეალობას“ (ითონიშვილი, 2013: 303), აღნიშნავს ცნობილი ეთნოგრაფი ვალერიან ითონიშვილი, მონოგრაფიაში „თედო სახოკიას ღვაწლი ქართულ ეთნოგრაფიაში“, რომელშიც ცალკე თავი ეთმობა „ლექსიკოგრაფიას“. ამ თავში განხილულია ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი, მოძიებული და განმარტებული თედო სახოკიას მიერ. ავტორი თვლის, ენციკლოპედიური ხასიათის გარდა, ამ ნაწილის ეთნოგრაფიულ მნიშვნელობაზე და მეცნიერების სხვა დარგებთან ერთად არის უაღრესად ძვირფასი შენაძენი ქართული ეთნოგრაფიისთვისაც.

ლექსიკონში შეტანილი ყოველი სიტყვის პირდაპირი და გადატანითი, ანუ ხატოვანი, შინაარსის ახსნაში მკვლევარი ეფუძნება მხატვრული ლიტერატურის, ისტორიისა და ეთნოგრაფიის მონაცემებს. ჭარბად გამოყენებული ეთნოგრაფიული მასალის უდიდესი ნაწილი საკუთრივ თედო სახოკიას მიერაა

მოპოვებული, რაც ამ ლექსიკონს დიდ ადგილს უმკვიდრებს ქართულ ეთნოგრაფიულ მეცნიერებაში. თედო სახოკიას არცერთი ეთნოგრაფიული ნაშრომი, რომ არ დაეწერა, მარტოდენ ამ ლექსიკონითაც კი საპატიო ადგილს მოიპოვებდა ქართული ეთნოგრაფიის ისტორიაში.

თედო სახოკიას შეკრებილი ზეპირსიტყვიერების მასალები მრავალფეროვანია; რომელმაც ასევე ასახვა ჰპოვა წიგნში “ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი” ფოკლორული კუთხით ვრცელი სამეცნიერო მასალა იყრის თავს. შრომის ლექს-სიმღერები, საწესჩვეულებო პოეზია, მითოლოგიური თქმულება - გადმოცემები, ზღაპრები, ლირიკა და ა. შ. განსაკუთრებულად გამოირჩევა და ვრცელი ადგილი ეთმობა ნაშრომში **„ქართულ ხატოვანი სიტყვა-თქმანი“**, რომელშიც უხვადაა წარმოდგენილი ზემოთხამოთვლილი ფოლკლორული მასალები ხატოვან თქმებში გაბნეული.

თედო სახოკია სიცოცხლის წლებში ახლოს იცნობდა იმ პერიოდში მოღვაწე ქართველ საზოგადო მოღვაწეებს, მწერლებს, პოეტებს, მათთან მეგობრობდა, მათ შემოქმედებაში გამოყენებულ ხატოვან მასალამ ამ სიტყვების მოძიება-მოკვლევამ, ასახვა ჰპოვა **„ხატოვან სიტყვა-თქმანი“-ში**. ქართველი ერის ხანგრძლივი დროის განმავლობაში დაგროვილი ხატოვანი გამონათქვამები ქართველ კლასიკოს მწერალთა ქართული სამეცნიერო ლიტერატურის ოქროს ფონდად უნდა ჩაითვალოს.

თედო სახოკიას **„ხატოვან სიტყვა-თქმანი“-ში** შოთა რუსთაველის **„ვეფხისტყაოსნიდან“** შეტანილი ხატოვანი გამონათქვამებიც საკმაოდ მოცულობითია, ილია ჭავჭავაძე, (თუ გავადევნებთ თვალს ყველაზე მეტი ხატოვანი გამონათქვამი სწორედ ილია ჭავჭავაძის შემოქმედებით შემკვიდრებულიდანაა აღებული), ასევე აკაკი წერეთელი, ალექსანდრე ყაზბეგი, ვაჟა-ფშაველა, ვასილ ბარნოვი, ეკატერინე გაბაშვილი, ანასტასია ერისთავ-ხოშტარია, დავით კლდიაშვილი, მიხეილ ჯავახიშვილი, ნიკო ლომოური და სხვები.

ავტორი ამ ნაწარმოებებიდან ხატოვან გამონათქვამთა წარმოჩენით აღწერს, ავტორთა დამსახურებას ქართველი ხალხის ეროვნული და სულიერი კულტურის გადარჩენის საქმეში.

ყველა ხატოვანი გამოთქმა, რომელიც გამოყენებულია ამა თუ იმ მწერლის ლიტერატურულ ნაწარმოებში ან სხვადასხვა ეთნოგრაფიულ, პუბლიცისტურ წერილში, მოხვედრილა თედო სახოკიას წიგნში **„ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი“**. და ვინაიდან მასალა საკმაოდ ვრცელია, მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ თედო სახოკიას მიერ წლების განმავლობაში გაწეული მუშაობიდან (ქართველი მწერლების შემოქმედება), მხოლოდ ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაზე მუშაობიდან ამონარიდები. ეს მასალა დაცულია საქართველოს ცენტრალურ არქივში. მასალა ამომწურავ წარმოდგენას გვაძლევს იმაზე, თუ რამდენად დიდი შემოქმედებითი მუშაობა გაუწევია.

თედო სახოკიას „ვაჟა-ფშაველას ნაწერების ბიბლიოგრაფია“ შედგენილი თედო სახოკიას მიერ მკათათვეს 29/01/1920 წელი ტფილისი. ამ სამუშაოს შესრულებისათვის აღებული ჰონორარიც კია მითითებული. (6 000 ათასი მანეთი). საქმეში არის 119 მიწერ-მოწერა გამგეობის წევრებთან და ხელშეკრულება ვაჟა-ფშაველას ნაწერების გამოცემის შესახებ 1919/06 - 22/1920 წლებში; 23 საქმეა, საქმეში დაცული”. (თედო სახოკიას მიერ შედგენილი ვაჟა-ფშაველას თხზულებების ბიბლიოგრაფია (ს.ც.ს.ა. ფონდი 481. საქმე 1881. N649. ფურც 21).

აქედან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ თედო სახოკიას ვაჟა-ფშაველას შემოქმედებიდან ხატოვანი სიტყვა-თქმანის ორასამდე ნიმუში აქვს აღწერილი და შეტანილი. მოვიყვანოთ ლექსიკოლოგიური განმარტებიდან ამონარიდებს.

ა აგრემც დამმარხავ; ალაღის ოფლით პურის ჭამა; აჭრელება; „თოვლი მოიდა ტიალი, ვედარ გადმოხვალ მთასაო, რო მოხვალ, ჩვენსა წამოდი, აგრემც დაჰმარხავ დასაო”. (სახოკია, 1979: 3) „ალაღის ოფლით ლუკმასა სჭამ?” (სახოკია, 1979:15). „შე არა იცი, უჭკუო ხარ, არც ცისა არც ქვეყანისა” (სახოკია, 1979:28). დაუჭერია ხელში მათრახი და, ვინც ქუდს არ მოუხდის... გადუხტება და მათრახით ააჭრელებს” (სახოკია, 1979: 37).

ბ ბაღდადი; ბეჭდის დაკვრა; „ეს ბაღდადი კუთხე მიუჩენია საცხოვრებლად” (სახოკია, 1979:48). „მაგრამ საქვეყნოდ, სულელმა, ვერ უარყვავი მეჩეთი და მოლის ლოცვა-წირვასა უნდა დაუკრა ბეჭედი” (სახოკია, 1979: 55).

გ გაგრილება; გადანაფურთხის ალოკვა; გველისთვალი; გიცხონდებიან მკვდრები; გულიდან გადავარდნა; გულის აყრა; გლის დამჯიღვა. „გადანაფურთხის ალოკვა კაცისთვის დიდი ნაკლია!..” (სახოკია, 1979: 67). „მე იმ ხმლით და ცხოვრებაულის აბჯრით ვიყავი, როგორც გველის თვალს, ეხლა იმ იარაღებს ისე ვინახავ და ვუფრთხილდები” (სახოკია, 1979: 90).

ე ერთ დღეს გაგჩენილვართ ერთ დღეს მოვკვდებით; ერთი სიტყვა არ ჩავარდება; ეშმაკმა ჩამოგვიარა. „რა არის რაზე ხოცთ ერთმანეთს, რა ეშმაკმა ჩამაგვიარათ” (სახოკია, 1979: 192).

ვ ვაი დედის ჩემის მტერსა; ვინ წინ და ვინ უკან; ვირის ბაგაზე დაბმა. „ოღომც დააბას ჩვენმ ჯარმა თათრები ვირის ბაგაზე” (სახოკია, 1979: 204).

ზ ზურგზე ბოლის აყენება; ზურგის ჩვენება; ზურგსა ჰკიდია; ზღვას გაღმა; ზღვის იქით. „ხელი გამიკრა გუთანსა, ზღვას გაღმა გამისრიალა“ (სახოკია, 1979: 215).

თ თავგადაგლეჯით; თავგზიანი; თავზე ტრიალი ვისიმე; თავზე შემოვლება; თავზე ცათა დატყდომა; თავზე ცივი წყლის გადასხმა; თავის გულში თქმა; თავპირის მტკრევა; თავპირის გაკაწვრით; თვალგულს მისვლა, თვალის დაჭერა; თვალის დათხრა; თვალის მოტაცება; თვალის მოშორება; თვალი ჩამომიწყალდა; „თეთრ კბილს გვიჩვენებს, გვიცინის, გული სავეს აქვს შხამითა“ (სახოკია, 1979: 251). „არ ვიცი ვიზე გიჭირავ თვალია“, „თვალი არა გვრან“ (სახოკია, 1979: 261).

ი იარაღის დაყრა; „ჰა ხომ ხედავ იარაღი დამიყრია, სასიკვდილოდ ჩემი ნებით, შენს წინ თავი დამიხრია“ (სახოკია, 1979: 284).

კ კაი ბაგაზე აბია; კალთის გადაფარება დაფარება; კანკალის მოკიდება; კარგი დრო დადგა; კარის გაღება; კატის დაკიდება. „ეს კატა იყოს იმის მკვდრისადა“, „ციცა ჩამოგიხრჩეს, შენ რა უნდა მოგვითხოვს კაცმაო“ (სახოკია, 1979: 318).

მ მანდილის მოხდა; მარჯვენის მიკვრა ციხეზე; მტრის კარს; მტრის ხელების დაკიდება; მუხლებში ჩახვევა; საფლავი. „შამასწვრას ლაშარის ჯვარმა, მოხვიდე გამარჯვებული, გეკიდოს მტრისა ხელები, მხარილივ გადაგებული“ (სახოკია, 1979: 430) და ა. შ.

სტუმარ-მასპინძელი და ფშავი „საკვები, ფშაველს უყვარს კარგი სმა ჭამა, საუკეთესო, მისი საჭმელი არის ხინკალი, კვირაში ერთხელ მაინც სჭამს ერზოიანს საჭმელს. ხაჭო ერზოს, ხავიწს და ხორციან ქადას საფლავზე მისატანად გამოაცხოხოს დედაკაცი (ვაჟა-ფშაველა, 1956: 25) პურმარილუწამებელი კაცი „სხვა ხევსურთ იციან თუ არა, პურმარილუწამებელ კაცს ასავ გოგოვ, გამიგონავის“ (სახოკია, 1979: 507).

ხელი - მასთან ხატოვნად ნათქვამი მნიშვნელობით 165-ჯერ არის ახსნილი. ხელის მომართვა ხელის შეკვრა ხელსა და პირს შესცქერის ხელსა ძლევს „როცა ხელისგული მოუპოხეს, მაშინ მოწმობაც მისცა და „პეჩატიც“ დაუკრა (სახოკია, 1979: 916); „თუკი გარემოება ხელს უმართავს... ხევსური ჯანს და ღონეს არ დაზოგავს საზრდოსა და ქონების მოსაპოვებლად“. „და გჭირდება რამ და, ღმერთმანი, ხელს არ გაგიმართავს!“ (სახოკია, 1979: 920); „ხელი შეგვეკრა, ბიძავე, - სთქვა ერთმა ახალგაზრდამ“. (სახოკია, 1979: 922); „როცა ის ადამიანის ხელსა და პირს შესცქეროდა“ (სახოკია, 1979: 926); „ჩემი შემოხედვა ხელს არ მოგცემს, შვილო, მე იქნება კიდევ ვკვდები, ცხოვრება არ გინდა“ (სახოკია, 1979: 927); „ღმერთო მართლაც, ჩემზე ხელაღებული როდია“, „ხევსური არ არის ხელგაუძრავი, როგორც ზოგსა ჰგონიათ“ (სახოკია, 1979: 906).

საბრძოლო იარაღები: თოფი, ხმალი - ხმალამოღებული ხმლის ძირს დადება, ხმლის შემორტყმა, „მინდა რა სანახავია წელს აღარ არტყა ხმალიო, „ხმალს ნუ ჩახედავ, მოყმეო, ხმალი მშიერთა მგელია“ (სახოკია, 1979: 542); „მუდამ ხმალამოღებული, წელზე შემდგარის თოფითა“ (სახოკია, 1979: 935); ეთნოგრაფიული დახასიათებით ხმალი ერთგვარი იარაღი შუაში ჩაზნექილია, ვადა (ტარი) წვერი ზევითაა აშვერილი. „ფშაველს დრო გმირობისა ვაჟკაცობისა წაერთო, ხმალი ძირს დასდო“ ხმალი მტერზე მისასვლელი და იმავე დროს მტრის მოსაგერიებელი იარაღია და თავის დანიშნულებას პირნათლად ასრულებს (სახოკია, 1979: 937). საბრძოლო იარაღებიდან - თოფი „ხუთით გატენილ თოფი მაქვს, ჯავრს როგორ შავჭამ მტრისასა“.

მიწა-წყალი - „ჩვენი წყლისაა რას ნიშნავდა? მიწა და წყალი, არც ცისაა, არც მიწისა (სახოკია, 1979: 28); „შავი მიწის შემქმელი“ (სახოკია, 1979: 735); „ჩაილურის წყალი დალია“ (სახოკია, 1979: 768); „წვერმოტეხილი ენით“ (სახოკია, 1979: 863).

საიქიო სამყოფელი - ფშაველის წარმოდგენით, საიქიო ქვეყნის შუაგულში არის; საიქიოს ის ეძახის „შავეთს“. შავეთში მართალნი არიან, მკრთალს ნათელში. ეს ნათელი ისე აქვს წარმოდგენილი ფშაველს, როგორც ჩასულის მზის ახლად გამქრალი სხივები მთის წვერებზედ; ყველამ იცის, რომ მთის წვერები ცოტადად-არიან ამ დროს წითლები, ამას ფშაველი ეძახის „მკვდართა მზეს“. შავეთს ჩამოუდის შუაზე დიდი ხევი, რომელზედაც მოდის კუპრის მდინარე, ცეცხლმოდებული; მასზედ არის გადებული ბეწვის ხიდი, მართალი გაივლის იმ ხიდზე, ცოდვილი კი ჩავარდება და იწვის კუპრში. ეშმაკმა ჩამოგვიარა (სახოკია, 1979: 192); ერთ დღეს გაეჩნდებით ერთ დღეს მოვკვდებით (სახოკია, 1979: 178); თქვენი დაუტირებელი მოვკვდე (სახოკია, 1979: 269); გაგრილება (სახოკია, 1979: 66); „შეიძლება დაკეჭნილი (დაჭრილი) რამდენიმე ხნის შემდეგ მოკვდეს - გაგრილდეს.

გარდაცვალება - საიქიოში ჯღანების მბანდველი „აბანდვინე ჯღანო“ (სახოკია, 1979: 158); ხევსური მტერს კაცებს უხოცავს, რამდენ კაცსაც მოჰკლავს, თან დაატანს საიქიოს ჩემი წყლის მზიდველი და ჯღანების მბანდველი იყავიო. მოკლედ აღწერს ჯღანს ეს ერთგვარი ფეხსაცმელებია, პირი ტყავისა აქვს, ხოლო ძირი გამოზღანდულია ტყავის ნაჭრებითა. ზევიდან მოყინულ თოვლზე ასეთი ჯღანებით თულა შეიძლება სიარული, ისე, რომ კაცს ფეხი არ დაუცურდეს. ხევსურს რომ ჰკითხოთ, თოვლი საიქიოშიაღ სცოდნია და, მაშასადამე, ეს ჯღანები იქაც ყოფილა საჭირო, ასე რომ, საპატიო ადამიანი

თავიანთი ღირსებისათვის უფრო საქმეს ხომ არ გაიკეთებენ, თვითონ ხომ არ დაიბანდავენ ჯღანებს! ამისათვის ყმები მსახურნი უნდა ჰყავდეთ...

ჩასაცმელ-დასახურავი - ქუდი მისი ეთნოგრაფიულად დახასიათებულია ყველა კუთხის წეს-ჩვეულებაში მოხსენიებულია 24-ჯერ „მებრალეა შალვა, კაი ვაჟკაცია. ცოდვაა, რომ ეგ უნამუსო (ცოლი) იმას ქუდსა ჰხდიდეს“ (სახოკია, 1979: 695); „ქუდმოხდილს ქვეყნად ნუ მავლებ, პირში ნუ მიმცემ გმობასა“. ძველად ქართველებში მამაკაცების ემბლემა, გარეგნული ნიშანი - ქუდი დედაკაცებისა - ლეჩაქი ანუ მანდილი, ითვლებოდა (სახოკია, 1979: 690). მთაში (ხევსურეთში) ძველად, როცა ვისმე მოჰკლავდნენ, მოკლულის ძმა, მამა, ბიძა... მანამდე ქუდმოხდილი თავშიშველი დადიოდა, როგორც უღირსი ვაჟკაცის სახელის ტარებისა, კაცურად, ქუდიანად სიარულისა და, ქუდს მაშინდა დაიხურავდა, როცა მიცვალებულის წინაშე თავის მოვალეობას მოიხდიდა.

გულმოსულ ხევსურს, მეორისთვის ქუდი მოუგლეჯია თავიდან, ქუდ-მოგლეჯილს ისე შეურაცხყოფილად უგრძენია თავი, რომ ხელად სატევრით გამოუწელებს შეურაცხყოფელი...

ცნობილია ქუდის საშუალებით თხოვნის შესრულება, ქუდით შერიგება ხდება მომრიგებელ შესარიგებელს შორის, „ქუდითა სთხოვენ“, უარის თქმას ვერ ახერხებს, მტერს უნდა შეურიგდეს. აღნიშნულია აგრეთვე, წვეულება ან მიცვალებულის დასაფლავება. მწვეელი თავის ქუდს გაატანს, „ქუდითა სთხოვს“, მწვეელი მოსვლას. „ქუდს უარს ვერ ეტყვის“ და დაესწრება, უბრალო წვეულებათა თუ ქელების.

საინტერესოა, ეკლესიაშიც კი ქართველი მამაკაცები ქუდს არ იხდიდნენ, უქუდოდ დგომა ქართველებმა დაიწყეს, აღნიშნული აქვს თედო სახოკიას, ალბათ, XIX საუკუნის დამდეგიდან (სახოკია, 1979: 690-693).

დასჯის ერთგვარი სასჯელი, რომელსაც მიაყენებდნენ დამნაშავეს, „ლაფის დასხმა თავზე“, თავზე სქლად დარჩენილი ლაფი წარმოადგენდა ერთგვარ სარქველს თავისას ანუ ლაფის ქუდს.

მანდილი - ახსნილი აქვს აგრეთვე მანდილი. ქალი, რომელიც ღამე ლოგინშია კი არ იშორებდა მანდილს, შეუძლებელი იყო, თავშიშველი სჩვენებოდა ვისმე, „მაშინ რაღას მანდილოსანი იქნებოდა!“.. ასევე მამაკაცი, „ქალის მანდილი დამხურეთ, თუნდა ჩამაგდეთ წყალშია, აღარ მწადიან, გაიგეთ, აღარ, გარევა ჯარშია“ (სახოკია, 1979: 672).

მანდილის პატივისცემა კულტად ჰქონდათ გადაქცეული. ორ მოჩხუბარ მამაკაცს შორის შუაში ჩაგდებული მანდილი, მყისვე გაშველდებოდნენ ერთმანეთზე მოსაკლავად მისული მამაკაცები.

ქალამანი - „ფეხზე ქალამანს მე მივცემ იმაზე აღარ შეგაწუხებ“ (სახოკია, 1979: 554). ეთნოგრაფიული თვალსაზრისით ახსნილია ქალამნი, - საქალამნე ტყავი, ფეხსაცმელი საქონლის ტყავისაგან, შესაძლოა თუნდაც გამოუქნელ ტყავისაგან, ყველასათვის არ იყო ხელმისაწვდომი. ამ შემთხვევაში ვინმეს მოსაქრთამავ, გულის მოსაგებ, სამართლის სასწორის თავისკენ გადასახრელ საგნად. ქართლ-კახეთში საქალამნე იხმარებოდა ვისიმე რაიმე დავალების აღსასრულებისათვის გასამრჯელოს მიცემის მნიშვნელობით. ხუმრობით ამსგავსებდნენ რუსულ ათთუმნიან სქელ ქალაღებებს, თუ ვინმეს ორი-სამი ათთუმნიანი ჰქონდა, იტყოდა ხოლმე: ორი სამი საქალამნე მაქვსო.

სამართალი და ფშავი - სამანის ჩასმა. სამანი „სიტყვა-თქმანში“ ალექსანდრე ყაზბეგის ლიტერატურული ნაწარმოებიდანაა აღებული, ახსნილია ვრცლად, ეთნოგრაფიულად ფშავ-ხევსურთა ტრადიციაში სამანი გვიქვია მამულის თუ ქვეყნის საზღვარს, მიჯნის აღმნიშვნელს. ტრადიცია ფშავ-ხევსურეთში, სისხლხორცეულად იყო დამკვიდრებული.

ძუძუზე კბილის დადგმა, ძუძუს მოჭრა - „ფეხშიშველს ძუძუს ნუ მომჭრით, ღმერთს ნუ ჰგმობთ, თქვენი ჭირიმე!“ ფშავ-ხევსურეთში და ძველად ქართველებში ეს ტრადიცია საქართველოს ყველა კუთხისათვის არის დამახასიათებელი ეს იყო დანათესავების დროს ან გაწყვეტილი ნათესაობის აღსადგენად და სხვა. აგრეთვე სისხლის აღების შემდეგ შერიგებისას ახსნილი აქვს ვრცლად (სახოკია, 1979: 846-848).

ცხვირის მოჭრა „ცხვირ მოვსჭერ და იმის კურო დავადუმე, მამა-პაპის ჩვეულება ეგ იყო ჩვენი (სახოკია, 1979: 821) ცხვირის 26 მნიშვნელობაა ახსნილი და, რა თქმა უნდა, ეთნოგრაფიულად სრულად აღწერილი. ძველად საქართველოში ცხვირის მოჭრა ერთგვარი სასჯელი იყო ცოლქმრული წესის დამრღვევი ცოლისათვის. ეს სასჯელი უფრო ზნეობრივი შერცხვენა იყო, ვიდრე ფიზიკური ტანჯვა წვალება, რადგან ცხვირი პირისახის თვალსაჩინო ნაწილია და უიმისობა პირისახეს საშინლად ამახინჯებს. ფშავში ამ სასჯელით დასჯას მოღალატე ცოლების მიმართ თავმოყვარეობაშელახული ქმრები მიჰმართავდნენ.

წარმართობა - დაწყევლა; შეკვრა; შავი ქვა; ცხოველებისა და ფრინველების ხმის ენით ადამიანის დაწყევლა და ა.შ. „წერილი კი არა შავი ქვა გამოატანეს, თავში დაირტყას (სახოკია, 1979: 744). შეკვრა და დახსნა. იქვე, ფიცი და დაფიცება; „აგრემც გიცხონდებიან მკვდარნი“ (სახოკია, 1979: 99); „სული და გული დაეკეტა“ (სახოკია, 1979: 596); „არ დაივიწყო, თუ გწამს უფალი, არ დაივიწყო, შენი კვნესამე“

(სახოკია, 1979: 749). ფშაველი - თავის თემის ხატისას დაიფიცავს და ეს თითქმის ყველა ფიცზე უფრო ძლიერად მიაჩნია. საგანი მათის საფიცარისა ქრისტიანულია ზევრიც წარმართობის დროინდელი არის დარჩენილი. ფშაველი ფიცგულობს „ემ ცეცხლის სინათლის მადლმა“. „ე დედამიწის მადლმა“ „ხარის ქედსა“, „პურის წყალს“ „ლაშარის ჯვარს“. და ა. შ.

ქართველ ხალხში არა მარტო წარსულში, დღესაც ვხვდებით, წეს-ჩვეულებებში, დამკვიდრებულ ტრადიციებს. ცხოველების - ხარი, ძაღლი, კატა; ფრინველების - ყვავი, მამალი, თავიანთ უჩვეულო და უდროო დროის ნაღვლიან კილოზე ხმიანობით ადამიანსა სწყევლიან, უსურვებენ ამოწყდომას, მოსპობას, სიკვდილს... მაგალითად, თუ ეზოში, ან სადმე მინდვრად შეზღავლა, ვინმეს ხარმა, ეს იმის ნიშანი იქნება, რომ ვისაც შეზღავლა, უწინასწარმეტყველა სიკვდილი; თუ ვისმე ყვავმა დასჩხავლა, იმავე სიკვდილს უნდა ელოდებოდეს; თუ მამალმა, დღისით დაიცივლა თქვენს ეზოში, ამით მამალი მეზობლისას გასძახის: აი, ჩვენთან ვინმე უნდა მოკვდეს და ქელეხი გვექნება და, ვინმე არ მოსცდე, ნამუსრევის აკენკვა, გაძლომას. კატამ შემოგნავლათ, გეუბნებათ - უნდა მოკვდეო. ყველაზე მეტად დამადასტურებლად მიაჩნიათ - ძაღლის ყმუილით სამწუხარო მომავლის გამოცნობა.

საინტერესოა ასეთი ტრადიციები, ფრჩხილის ნაკვეთის, თმის ნაკრეჭის, არ გადაგდება, ეშმაკი დაეპატრონებაო, ამიტომ ან დაწვავენ ან გადააგდებენ სადმე მოფარებულ ადგილზე. აგრეთვე, საინტერესოა ძლიერი რწმენა კვირა-უქმე და შაბათი დღის. კვირა დღეს მუშაობა, იარაღის აღება, რომელსაც მოყვება კაცით ან საქონლით დაზარალება და ა. შ.

თედო სახოკიას „ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი“-ში ანი-დან ჰაე-მდე შესული ყველა გამონათქვამი, რომელმაც სწორედ ასეთი სახით, კიდევ ერთხელ საჩინო გახადა, ქართველი ხალხის სულიერი, მატერიალური, რელიგიური კულტურის, მვირფასი მონაგარი ქართული მეტყველი კულტურა. სრულიად თამამად შეიძლება „ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი“ თითოეული ქართველისათვის სამაგიდო წიგნად მივიჩნიოთ.

ამრიგად, თედო სახოკიას „ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი“ ქართველი ერის მხატვრულ, ლიტერატურულ, კულტურულ მემკვიდრეობაში გამორჩეულ ადგილს იკავებს, როგორც სრულიად უნიკალური წიგნი გამომხატველი ქართველი ერის ნიჭიერებისა და პოეტური აზროვნებისა.

ლიტერატურა:

1. კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. თედო სახოკიას ფონდი;
2. გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი. თედო სახოკიას ფონდი;
3. საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი: თედო სახოკიას შესახებ დაცული მასალები;
4. სახოკია, 1969: - თედო სახოკია. კრებული. თბილისი, 1969;
5. სახოკია, 1954: თედო სახოკია. ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი, ტომი III. თბილისი, 1954;
6. სახოკია, 1979: თედო სახოკია. ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი. თბილისი, 1979;
7. სახოკია, 1985: თედო სახოკია. მოგზაურობანი. ბათუმი, 1985;
8. ჩხეიძე, 2015: როსტომ ჩხეიძე. მოციქული თედო სახოკიას ცხოვრების ქრონიკა. თბილისი, 2015;
9. ითონიშვილი, 2013: ვალერიან ითონიშვილი. თედო სახოკიას ღვაწლი ქართულ ეთნოგრაფიაში. თბილისი, 2013.

Latavra Bukia

St. Andrew the first-called Georgian University of the Patriarchate of Georgia **TEDO SAKHOKIA 150 - "THE GEORGIAN FIGURATIVE EXPRESSIONS"** **RESUME**

Tedo Sakhokia worked, in the 90's of the XIX century and the first half of the XX century. His role as a Georgian in Historiography is great.

In the history of Georgia Tedo Sakhokia is known as a worker, the a historian, an ethnographer, a lexicographer, a translator, a folklorist and etc.

The scientific activity of the scientific work is characterized, by the lexicological activity that is presented, as a „Georgian figurative word“.

Tedo Sakhokia's Presented works shows the results of his hard work in lexicology and lexicography.

გრამატიკული ვარიაციები - ენობრივი ნაირსახეობების ურთიერთგამიჯვნის საშუალება (ქართველ ებრაელთა მეტყველების მაგალითზე) ¹

ებრაელთა საქართველოში თანაცხოვრების 26 საუკუნოვანი ისტორია აჩვენებს, რომ რელიგიასთან, ადათ-წესებთან, კულტურის ელემენტებთან ერთად ებრაელთა იდენტობის ერთ-ერთი ნიშანი გახლდათ ენაც. მიუხედავად იმისა, რომ ზ. ჭიჭინაძე (1970:64) მეოცე საუკუნის დასაწყისის ქუთაისელ ებრაელებზე მიუთითებდა, რომ მათი ენა ქართული იყო და ყოვლის მხრივ ქართველობის ნაწილს წარმოადგენენ, ყველამ კარგად იცოდა, რომ ებრაელთა მეტყველება განსხვავდებოდა საერთო ქართულისაგან. სწორედ ამიტომ საქართველოში მეტყველების ამ ნაირსახეობის აღსანიშნავად გავრცელებული იყო ტერმინები: **ჩვენებურული, ისრაელური, ურიული, ყივრული**. უფრო კონკრეტული სახე ჰქონდა მას ქუთაისში, სადაც **ზეითქურული**, ან **შაუმიანური** ნიშნავდა არა მხოლოდ ებრაელისათვის, არამედ **დაბალი ფენის ებრაელისათვის** დამახასიათებელ მეტყველებას. საბჭოთა ეპოქის დასრულების შემდეგ ქართველ ებრაელთა მეტყველების თავისებურებები არაერთხელ გამხდარა მსჯელობის საგანი და აღინიშნა, რომ საქართველოში მცხოვრებ ებრაელთა მეტყველება განსხვავდებოდა სხვა მოსახლეობის მეტყველებისაგან ფონეტიკური, გრამატიკული და ლექსიკური ნიშნებით. მართალია, ებრაელების ძირითადი სამეტყველო ენა ქართული გახლდათ, მაგრამ ქართულის ის ვარიანტი, რომელსაც ისინი გამოიყენებდნენ, აშკარად განსხვავდებოდა როგორც სტანდარტული ქართულისაგან, ასევე იმ კუთხეში გავრცელებული ქართული

დიალექტისაგან, რომელ კუთხეშიც ისინი ცხოვრობდნენ. მათს მეტყველებაში დაჩნდებოდა როგორც გეოგრაფიული, ასევე სოციალური განსხვავებანი, მაგრამ ამავდროულად არსებობდა საქართველოს ნებისმიერ კუთხეში მცხოვრები ებრაელისათვის დამახასიათებელი საერთო ენობრივი ნიშნებიც, რითაც ისინი ერთგვარად ენობრივად ემიჯნებოდნენ საქართველოს მკვიდრ მოსახლეობას. ფაქტია, რომ საუკუნეების განმავლობაში ებრაელები სხვებისაგან გამიჯვნას კვლავ ქართული ლინგვისტური მაჩვენებლებით ახერხებდნენ. (თ. ლომთაძე, 2010).

საქართველოში მცხოვრები ებრაელებისათვის, ისევე როგორც მსოფლიოში გაფანტული უამრავი ებრაული დიასპორისათვის, იდენტობის მთავარი ნიშანი გახლდათ რელიგია. მაგრამ რელიგიური იდენტობა გადაჯაჭვული იყო როგორც კულტურულ, ასევე ენობრივ ასპექტთან.

საქართველოში ებრაელთა მეტყველება სიტუაციების მიხედვით ძალიან განსხვავებული იყო. მაგალითად, 1) ოფიციალური ურთიერთობებისას **მაღალი სოციალური ფენის წარმომადგენლებს** შეეძლოთ გამოეყენებინათ სალიტერატურო ქართული. 2) ყოველდღიურ ურთიერთობებში ქართველ ებრაელთა მეტყველება გახლდათ ქართული ენის **იმ დიალექტზე დაფუძნებული**, რომელ კუთხეშიც ცხოვრობდნენ, მაგრამ მთლიანად არ ემთხვეოდა მას, რადგან ებრაელთათვის დამახასიათებელი სპეციფიკური მოვლენებიც ერთვოდა 3) რელიგიურ თუ ტრადიციებთან დაკავშირებულ თემებზე ერთმანეთთან ურთიერთობისას ებრაელებს შეეძლოთ გამოეყენებინათ ქართულ-ებრაული ნაზავი, რომელშიც სიტყვების უმეტესობა ებრაული იყო, ხოლო გრამატიკული მარკერები კი - ქართული.

ებრაელთა მეტყველების ყველაზე სპეციფიკური მოვლენა გახლდათ ინტონაცია (ლომთაძე, ჯანჯღავა, 2017) და განსხვავებული გრამატიკული თუ ლექსიკური საშუალებების გამოყენება. ისინი ძალიან ხშირად გამოიყენებდნენ ქართულ ლექსიკურ და გრამატიკულ საშუალებებს განსხვავებული მნიშვნელობით. ამის ნათელი მაგალითია დასავლეთ საქართველოში მცხოვრებ ებრაელთა მეტყველებისათვის დამახასიათებელი ფორმა „**დაგენაცვლე**“.

დღეისათვის დასავლეთ საქართველოში, კერძოდ ქუთაისში, ისევე როგორც სალიტერატურო ქართულში, გამოიყენება ფორმა „გენაცვალე“, თუმცა ებრაელთა მეტყველებაში ამ მნიშვნელობით დასტურდება „დაგენაცვლე“ და ეს ფორმა მათი მეტყველების საკუთრებაა. როცა უნდათ არაებრაელებს

¹ ნაშრომი შესრულებულია შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის 2017 წლის „ფუნდამენტური კვლევებისათვის“ სახელმწიფო გრანტის (FR_17-158) – „ქართული ენის გრამატიკა ნორმასა და ვარიაციებს შორის“ – ფარგლებში. წაკითხულია მოხსენებად ი. გოგებაშვილისადმი მიძღვნილ მე-6 საერთაშორისო კონფერენციაზე (ქ. გორი, 2018)

მინიშნება პირის ებრაელობაზე, სწორედ ამ ფორმით მიმართავენ: **დაგენაცვლე**, *კაი შარვალ-კოსტუმი მინდა...* ზოგჯერ ეს სიტყვა ტერმინ **ებრაელის** სინონიმად იხმარება: **დაგენაცვლე** *მაგი?*

არის შემთხვევები, როდესაც ამ ენობრივ ფაქტს იყენებს მწერალი, პერსონაჟის ებრაულ წარმომავლობაზე თუ აკეთებს აქცენტს: „*აბრამმა მუშტარს ახედა; სწორი ბრძანდები დაგენაცვლე*“ (რ. მიშველაძე).

შენიშვნა: როცა წყაროს არ ვუთითებთ, მაგალითს ვიმოწმებთ ქეგლ-დან.

თავისთავად საინტერესო ფაქტია: ებრაული წარმოშობის ქუთაისელი (კულაშელი, ზანდელი, სენაკელი) გამოიყენებს ფორმას, რომელსაც არ ხმარობს ქართული წარმოშობისა და ამით გახაზავს თავის ებრაელობას. რა არის ეს, მიზანმიმართული შერჩევა ფორმისა, მცდელობა ურთიერთგამიჯვნისა?

ქეგლ-ის მიხედვით, „გენაცვალე, გენაცვალე“ საალერსო მიმართვის ფორმაა (იხ. ენაცვალეა, შემოგველე, გეთაყვანე ქეგლ, 3, 2015).

შენიშვნა: აქვე დავსძენთ, რომ გენაცვალესა და გეთაყვას შორის დიმიტრი ყიფიანი გენდერულ სხვაობას ხედავდა: **გენაცვალეს** ქალი იტყვის, **გეთაყვას** კაციო...

„დაგენაცვლე“ საუბრული ფორმისადაა მიჩნეული ქეგლ-ში, თუმცა ეთნიკურ მომენტზე არაა ყურადღება გამახვილებული. ეს ფაქტი გასაგებია: საილუსტრაციოდ ქეგლ-ში აკაკი წერეთლისა და გიორგი ლეონიძის მაგალითებია მოყვანილი. „*ჰო, მაგრე! მაგრე! თქვენ დაგენაცვლეთ! დაჰკარით, სანამ მიწა სველია* (აკაკი), *წამლად დაგენაცვლე, წამლად დაგედე! ჩემო სიყრმის მზევ, შენ კი დაგენაცვლე! - ჭირი მოვჭამე* (გ. ლეონიძე)“. აღნიშნულ მწერლებთან ეს ფრაზები არ ჩანს ეთნიკური ნიშნით განსხვავებული.

იქვე ქეგლ-ში ასეთი უზმნისწინო ფორმებია დამოწმებული: „*ბები, ჩემო ტკბილო ბები, აგრემც გენაცვლე* (გ. ქუჩიშვილი), *ძმად მოწვეულო, რადა მტრობ, აგრემც კი გენაცვალე* (ა. ყაზბეგი), *როცა მოვკვდე, გენაცვალე, ძეგლად გადამეფარე* (ი. გრიშაშვილი); *არა, გენაცვა, შემოსასვლელად სადა მცალია* (ჯ. ქარჩხაძე).“

როგორც ვთქვით, განმარტებით ლექსიკონში წარმოდგენილი მასალის მიხედვით და-ზმნისწინიანი ფორმა სასაუბრო მეტყველების ფაქტად გაიაზრება, უზმნისწინო - ლიტერატურულად. ცხადია, ფუძისეული ა-ს ნულთან მონაცვლეობაზე აქ ყურადღება არაა გამახვილებული: თანაბრად ნორმალურად მიიჩნევა **გენაცვლები** და **გენაცვალე**. ამთავითვე ერთ ფაქტს მივაპყრობ ყურადღებას: და-ზმნისწინიანი ფორმა მხოლოდ შეკუმშულ ფუძეს ემყარება. არ დასტურდება „**დაგენაცვალე**“.

„დაგენაცვლე“ და „გენაცვალე“ ფორმათა კვალიფიკაციისას შეიძლება საუბარი იმაზე, რომ პირველი არალიტერატურულია, რამდენადაც იგი თანამედროვე ქართულში დასტურდება მხოლოდ ერთ ნაირსახეობაში – ქართველ ებრაელთა მეტყველებაში.

ზემოთ დავსვით კითხვა, რა არის ეს? – ქართველი ებრაელები თავიანთი მეტყველებისათვის ნიშანდობლივ ფორმას თავად ქმნიან, თუ არსებულ ვარიანტთაგან ფორმები განაწილდა ქართველ და ებრაელ მოქართულეთა შორის? შევეცდებით ამ კითხვაზე პასუხის გაცემას.

ზემოთ ჩვენ აკაკი წერეთლისა და გიორგი ლეონიძის მაგალითები მოვიყვანეთ. ფაქტია, მე-19 და მე-20 საუკუნეთა მიჯნაზე „**დაგენაცვლე**“ ფორმას არ ჰქონდა ეთნიკური ელფერი.

საინტერესო ვითარებას გვიჩვენებს დავით კლდიაშვილის შემოქმედება. აქ პერსონაჟთა მეტყველებაში ჩვეულებრივია, როგორც ერთი (**გენაცვალე**), ისე მეორე (**დაგენაცვლე**) ფორმა.

საერთოდ, წყევლა-დალოცვის ფორმულებში ზმნის ფორმაწარმოების შესაძლებლობები შეზღუდულია. არ გვაქვს ყველა მწკრივის ფორმა; იმ მწკრივებში, რომლებიც გამოიყენება, პირთა ყველა შესაძლო კომბინაციაც არ გვხვდება.

ჩვეულებრივ, დალოცვის ფორმებში გამოიყენება პირთა კომბინაციები მე შენ (მე თქვენ); ძირითადად, ეს ვარიანტია: *არაფერს არ დავებებ, შენ დაგენაცვლე!* - *აწრიალდა იგი* (1: 134),

„*ხომ არ ავადმყოფობ მაინც, შენ დაგენაცვლე* (1:32)“

„*რავა დევიგვიანებ, შენ დაგენაცვლე! ცხონებას მპირდები*“

„*შენ დაგენაცვლე, კაბა რომელი ჩავიცვა?* (2: 9)

„*შენ დაგენაცვლე მაგ მოქარგულ ენაში!*“ (2:22)

„*ამათთან ნურაფერს იზამ, შენ დაგენაცვლე!* (საუნჯე 373)“

ვერაფერი გავიგე, შენ დაგენაცვლე! (საუნჯე 357)

შენ დაგენაცვლე, შენი ჭირი შემეყაროს (საუნჯე 350)

როცა მესამე პირი არის „სული“, **წყევტილში** ჩვეულებრივ პირთა კომბინაციაა მე მას:

გვიშველე, შენს სულს დაგენაცვლე! აღარ ვართ მაგისგან (1:325)

სეკრეტარი უსათუოდ უნდა მაწვიო, მაგის სულს დაგენაცვლე, უსათუოდ! (1: 321).

მამა, ჩემო მამა, შენს სულს დაგენაცვლე, გამიშვი (1: 30).

მამა, შენს სულს დაგენაცვლე, ჩემო მამა! (საუნჯე 355)

შენს სულს დაგენაცვლე! საუკუნო მოსამსახურედ გამიხადე (საუნჯე 343)

გამოიყენება მეორე კავშირებითის ფორმები; პირთა კომბინაცია, ის შენ:

ნუ გეშინია, შვილო, ნუ გეშინია, შენ დაგენაცვლოს შენი დედა (1: 35)

შენი ჭირიმე... შენ დაგენაცვლოს შენი და დარიკო (1:91)

პირთა კომბინაცია ის მას:

შენს სულს დაგენაცვლოს დათიკა გიორგამე (2:84)

ერთი შემთხვევა დავადასტურეთ მყოფადის ფორმით:

შენ დაგენაცვლება ნათლიაშენი (საუნჯე 359)

ყველა ეს მორფოლოგიური ვარიანტები დასტურდება უზმნისწინო ვარიანტითაც:

ღმერთი გადაგიხდის, გენაცვალე მის ძლიერებას (1:148)

მაგას ენაცვალა მისი ბებია (1:257)

კი, შვილო, კი, გენაცვალე (1:257)

მაგას გენაცვალე (1:108)

ჩვენ შეგვაშინებს უფრო, შენ გენაცვალე! (1:318)

შენს სულს გენაცვალე (1:115)

ღმერთი მოწყალეა, გენაცვალე მის ძლიერებას! (1: 78)

რა მოგივიდა, გენაცვალოს მამაშენი (1:114)

შენ გენაცვალოს შენი დედა

დავით კლდიაშვილთან არ შეგვხვედრია, მაგრამ გვხვდება მყოფადის ფორმებიც: „*ლალები, ლალები, შენ კი გენაცვალე*“.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ დ. კლდიაშვილთან ზმნისწინიანი (*დაგენაცვლე*) და უზმნისწინო (*გენაცვალე*) ვარიანტები გვხვდება არა მარტო ერთსა და იმავე მოთხრობაში, ერთსა და იმავე პერსონაჟთან (როგორც მამაკაცთან, ისე ქალთან), არამედ ზოგჯერ ერთსა და იმავე რეპლიკაშიც: *აწი გათავისუფლდები, შენ გენაცვალე, და შენი საწყალი დედის გულს გაახარებ შენი კარგი იღბლითა... შენ დაგენაცვლეთ ყველანი... ყველანი (1: 193)*

უი, შენ დაგენაცვლა მამიდაშენი, რავა მშვიდობით, შენ გენაცვალე (2: 11)

ის ფაქტი, რომ ამ მეორე მაგალითში უცხო „*გენაცვალეს*“ ეუბნება და ძმისშვილს „*დაგენაცვლეს*“ აქვს თუ არა რაიმე მნიშვნელობა, ძნელი სათქმელია. ისე ამ ვარიანტსაც არ გამოვრიცხავთ, რადგან დ. კლდიაშვილის პერსონაჟთათვის ამგვარი დამოკიდებულება თანამოსაუბრეთა ვინაობასთან შეიმჩნევა (იხ. გოგოლაშვილი, 2013)

ფაქტია: დავით კლდიაშვილისთვის ზმნისწინიანი და უზმნისწინო ფორმები ერთი და იმავე ენობრივი ერთეულის ვარიანტებია და სტილის მრავალფეროვნებისათვის ახდენს მათ შენაცვლებას. იმერულში დადასტურებული პარალელური ფორმების ამგვარი გამოყენება დ. კლდიაშვილის სტილის ერთ-ერთი თავისებურებაა (მაგრამ – მარა, როგორ – რავა: გოგოლაშვილი, 2013).

ის, რაც დ. კლდიაშვილთან ჩვეულებრივ გამოიყენება, დღეს იმერულ დიალექტში აღარ გვხვდება; ზმნისწინიანი ფორმების გამოყენება გამორიცხულია. როგორც აღვნიშნეთ დასაწყისში, ზმნისწინიანი ფორმა მხოლოდ დაბალი ფენის ქუთაისელ ებრაელთა მეტყველებისათვისაა დამახასიათებელი:

დალოცვა -

შენ დაგენაცვლა შენი ბებია... მაგ დაგენაცვლა შენ... შენ დაგენაცვლე...

წყევლა -

დამნაცვლებია თავში... დაგნაცვლებია თავში... მაგ დამენაცვლა მე...

ცხადია, ჩნდება კითხვა: თუ *გენაცვალე* და *დაგენაცვლე* ფორმები XIX – XX საუკუნეების მიჯნაზე სასაუბრო ქართულში პარალელურ ვარიანტებად გამოიყენებოდა, მომდევნო პერიოდში რატომ მოხდა მათი ხმარების გამიჯვნა ეთნიკური ნიშნის მიხედვით: *დაგენაცვლე* ებრაელთა ქართულის კუთვნილებად იქცა და აღარ გამოიყენებს არაებრაელი წარმოშობის ქართველი... ერთი დაზუსტებაც: *დაგენაცვლე* დაბალი ფენის ებრაელთა მეტყველებისათვისაა დამახასიათებელი... გავიხსენოთ ისიც, რომ ქეგლ-ის მიხედვით *დაგენაცვლე* სასაუბრო მეტყველების ფაქტად მოიაზრება, *გენაცვალე* - სალიტერატურო ფორმად.

მოგეხსენებათ, დაბალი ფენის ქუთაისელ ებრაელთა საქმიანობა ძირითადად ვაჭრობა იყო; კლიენტთან ურთიერთობისას *გენაცვალე/დაგენაცვლეს* ხშირი გამოყენება ხდებოდა; როგორც ჩანს, ებრაელი უპირატესობას ანიჭებდა სასაუბრო ფორმას (*დაგენაცვლე*) შინაურული სიტუაციის შესაქმნელად; ასე იქცა მათი მეტყველების საკუთრებად *დაგენაცვლე...* ეს ფორმა ამ პროცესის (ვაჭრობის) თანმდევად იქცა... შემდეგ მკვიდრდება როგორც ამ ეთნიკური ჯგუფის მეტყველების დამახასიათებელი ფორმა... შესაბამისად არაებრაელი ქართველი გაემიჯნა ამ ფორმას, როგორც ებრაელთა მეტყველებისათვის დამახასიათებელს...

ასე მოხდა ერთი და იმავე მნიშვნელობის პარალელურ ფორმათა გადანაწილება ეთნიკური ნიშნის მიხედვით ... ესაა მეტყველების ნაირსახეობათა ურთიერთგამიჯვნის საინტერესო მაგალითი.

ლიტერატურა:

- გოგოლაშვილი 2013 – გ. გოგოლაშვილი, ქართული სალიტერატურო ენა, ნარკვევები, თბ. 2013
კლდ. ტ. I – დავით კლდიაშვილი, თხზულებანი ორ ტომად, ტ. I, თბ. 1981
ლომთაძე, 2010 – ლომთაძე, თანამედროვე ქართული სოციოლექტები, თბ., 2010
ლომთაძე, ჯანჯღავა, 2017 – თ. ლომთაძე, ც. ჯანჯღავა, ქართველ ებრაელთა ინტონაციისათვის, იკე, ტ. 46, თბ., 2017
ქეგელ – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი
„ჩვენი საუნჯე“ – დ. კლდიაშვილი, თხზულებანი: „ჩვენი საუნჯე, ტ. XIV, 1961
ჭიჭინაძე 1970 – ზ. ჭიჭინაძე, ქართველი ებრაელები საქართველოში, თბ., 1970

Giorgi Gogolashili
Gori State Teaching University
Tamar Lomtadze
Akaki Tsereteli State University
**GRAMMATICAL VARIATIONS – A WAY OF SELF-DIFFERENTIATION
OF LINGUISTIC VARIETIES
(ON THE EXAMPLE OF GEORGIAN-JEWISH SPEECH)
RESUME**

The term *დაგენაცვლე* “darling” that is typical for the speech of Kutaisi Jews is an equivalent of the literary Georgian term *გენაცვალე*. As it turns out, in the Lower Imeretian speech the forms *გენაცვალე/დაგენაცვლე* were parallelly used at the juncture of XIX-XX centuries. *დაგენაცვლე* had non-literary or informal meaning. Their separation was caused by the self-differentiation of the Georgian speech variations – *დაგენაცვლე* was taken by Georgian Jews, mainly the class of merchants to make customers feel of a home.

თამილა ზვიადაძე
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სიტყვა - მარგალიტზე მკვრივი (სოსო მეშველიანის ენობრივი პოზიცია)

სოსო მეშველიანის ლექსებსა და მინიატურებს უკვე კარგად იცნობს ქართული საზოგადოება. პოეტი ორიგინალური სახეობრივი აზროვნებით გამოირჩევა და ურთულეს გრძნობათა გამოხატვას ახერხებს სიტყვის საშუალებით. კარგად იცნობს, კარგად იცის მშობლიური ენა. მის მხატვრულ ქმნილებებში ერთდროულად ჩნდება როგორც ძველი, ასევე ახალი ქართული ენის ფორმები. არქაული ლექსიკა ხან დიალექტურადაა გააზრებული, ხანაც თანამედროვე ქართულის მოდელთან გათანაბრებული. ეს ერთიანობა ქმნის თავისებურ ენობრივ ქსოვილს, გარჩეულს და უდაოდ საინტერესოს.

მწერლისთვის სიტყვებია ფერები, სიტყვით ისხამს ხორცს ის პოეტური სამყარო, რომლის თანაზიარი ხდება მკითხველი, სიტყვას ძალუმს გამოიწვიოს სულის მღელვარება და ნეტარი სიმშვიდეც. და არის სოსო მეშველიანის სიტყვა „მარგალიტზე უფრო მკვრივი, მაგრამ ძალზე სათუთი, ვით ჩიტის კვერცხი ან თვალის გუგა!”

ყველა განცდას, შეგრძნებას, ხედვას და სმენას მწერალი სიტყვებად გარდაქმნის. სიტყვებად გარდაქმნილი აზრები კი, თავისთავად სცილდება სალექსიკონო მნიშვნელობას და მეტაფორად იქცევა, ისეთებად, როგორიც არის „ბედნიერი შიმშილი“ - მუდმივი განცდა, რომელიც სულ თან დაჰყვება, „ძაღლის ყევაში მოქცეული სოფლის სივრცე“, „მწიფე მსხლის წვენი დათხუპნული ბავშვობა“, „ღამე, საცა ვეება ნაძვებს კენწეროებზე ვარსკვლავები ასხია“, „შეხორცებული კაკლის ფულურო“ „გადამწიფებული თუ დანამცეცებული ფიქრები“...

სიტყვა ზოგჯერ ცივია და ბასრი, ეს მაშინ, როცა „წააწყდები სულის დამდაღ სინამდვილეს და ტკივილიც არ გაყუჩდება“, ჟანგდება ამ დროს სიტყვა, სიტყვა - „ტკივილი“, „ასე რომ ჰგავს იმ ციკქნა ლითონს, კისრის ძვალში რომ ჩარჩენილა“... ტკივილი, რომელსაც გრძნობს ყოველთვის, როცა სამშობლო ენატრება, როცა ფოტოზე აღბეჭდილ საოცნებო მხარეს ხედავს... მაგრამ ფოტოზე არ ჩანს ტკივილი, ტკივილის დასურათება შეუძლებელია... ტკივილის სიმძაფრე იხატება აზრთან, გრძნობასთან სიტყვის ადეკვატურ შეხამებაში: „იცოდეთ, საბანს თუ გადამხდით, კანიც გაჰყვება“!

და გრძნობ, რომ სისხლხორცეულია, ღვიძლია პოეტის სიტყვა, რომელიც: „ქინქლივით უნდა საკუთარი სისხლით გაბერო გასკდომამდე, გასკდება, მორჩა!“

რთულია შემოქმედებითი პროცესი: პოეტი გონებაში აწყობს ლექსის რამდენიმე ვარიანტს, დროთ განმავლობაში რომ ერთმანეთში იხლართება, ერთმანეთს იწოვს, სანამ საბოლოო სახეს არ მიიღებს, ერთ მთლიანობად არ იქცევა. გამთლიანდება და მაშინვე გრძნობ, სხვებისთვის შეუღწეველ ენობრივ სამყაროში ხვდება. ეს სამყარო საოცრად მეტყველი და ორიგინალური სიტყვიერი სამოსით წარმოჩნება, ეს არის შედარებები, აშკარად გამორჩეული და საინტერესო:

ჩიტის წვივებით გადამტყდარი ქოლგის სამაგრები;

„მოცხარის წყალწითელა ნაყოფივით გადამწიფებული ფიქრები;

ეკლესიის გუმბათი, რომელიც ფეთქავს, **როგორც ჩვილის ყიფლიბანდი**;

ბავშვობა, **ბოჩოლასავით მომწყდარი ბაგას**;

„ძეძვებში **ლანდივით დარჩენილი შავი მოსასხამი**“;

„**მგელი, რომელმაც ხაფანგს შეატოვა წინა კიდური**“;

„ამ სამყაროში ისეთივე უმნიშვნელო, **როგორც კალია მოქანავე ხორბლის თავთავზე**“;

ხშირად მსჯელობენ იმაზე, რომ ენის მთელი ლექსიკური მარაგი, ნებისმიერი ლექსიკური ერთეული ერთგვარად „მოსახერხებელი“ არ არის პოეტური ენის შესაქმნელად, მაგრამ შემოქმედს შეუძლია პოეტური მაღლი მიანიჭოს ენაში არსებულ ნებისმიერ სიტყვას, სულ სხვა, მოულოდნელი რაკურსით წარმოაჩინოს. სწორედ ეს მოულოდნელი ეფექტები გზიბლავს, როცა სოსო მეშველიანის ლექსებს კითხულობ:

„ჟამიდან ჟამზე წვიმა წვეთავს მხეცის ბეწვიდან, სად სველ შამბნარში გაშლართული ჯოგის ისვენებს“;

„გამთენიისას გაცრეცილი სიზმრის ნასხლეტში წვიმასთან ერთად თითქოს სუნთქვაც ჟონავს ნადირის“...

„მე ხომ იმთავითვე ცოდვილი ვარ, რაც უარყვავი ბუნების კანონზომიერება და ბუზი გავათავისუფლე ობობას ქსელიდან“.

„მერე რა, თუკი ვერ მიხვდებით, სად როგორ შევწყდი. ერთია... ზღმარტლის ღპობის ფერით ჩამომწიფება“.

ანდა: „მე აქ დავბერდი, მუდამ ღიაა ჩემი ფანჯარა, ვანიავებ სიმარტოვე-სიცარიელეს“.

როგორ გარდაიქმნება სამყაროსეული თუ ცხოვრებისეული რეალიები პოეტურ ხატებად? ლექსის კომპონენტები გაიაზრება არა როგორც რაიმე რეალური ფაქტის გამომახილი, არამედ როგორც პოეტური მეტყველების ატრიბუტები:

„მიწის მსუყე სუნი“, „ხელებში დამძვლებული პური“, „მაჩვების დინგით ამოთხრილი პატარა ორმო“, „ლობიოს სარზე ჩამომჯდარი ნემსიყლაპია“, „ზვინი, რომელიც წვიმაში დაღპა“, „ობობას ქსელში გაბმული მწერი“, „მზის ალმაცერი სხივებით დამფრთხალი ლოკოკინა“, „მძაფრი სუნი ნაწვიმარ ანწლის“, „ჟუხვა მსხლის სიტკბო“, „შხამიან სოკოზე მიმხმარი ლოკოკინა“, „სუსხიანი ჭინჭრის ყვავილები“, „ტოტებეწვიანი ცირცელი“, „ვარდების სიმაღლეზე აყვავებული მოლოქა“, „კომბოსტოს ყვავილობა“, „ოხრახუშის ნაწვიმარი ბაღი“... რომლებიც გამორჩეულ პოეტურ შინაარს იძენენ.

ამ ე.წ. „არაპოეტური“ ლექსიკური ერთეულებით, ჩვეულებრივ, ეფექტიურობის თვალსაზრისით რომ არც გამოირჩევიან, პოეტი ენობრივ სამკაულებს ქმნის, რომლებიც ისეთი პოეტური ხიბლით იტვირთებიან, რომ არც მოიძებნება სხვა სიტყვა თუ შესიტყვება, რომელიც მათ მაგივრობას გასწევს.

ენაში ბევრი რამ არის ისეთი დაუჩვენებელი, რომელიც ხორცშესხმას ელის. ამისთვის იმის გაცნობიერებაა საჭირო, რომ ენა მარტო გამოხატვის საშუალება არ არის, იგი არსებითად „აზრთა შემოქმედების“ საშუალებაცაა. აზრთა შემოქმედება თვალნათლივ იხატება მაშინ, როცა სოსო მეშველიანი

ორ განსხვავებულ სამყაროს წარმოგვიდგენს. განსხვავებულს, მაგრამ მაინც ერთს. ასეა: როცა პოეტის ემოციის აღქმის სფეროში ხვდები, გრძნობ, როგორი ერთიანია იგი. იქ, შორეულ უცხო მხარეშიც უხარია გულს, მოსწონს, უყვარს... იქაც პოულობს სილამაზეს, იქაურობაც ენატრება, მაგრამ საკუთარი გულთან ახლოა, ვერ თმობს... ეს ვერდათმობა ხანდახან უცნაური სიმბოლოებითაც კი გამოიხატება. ანდა რაღა უცნაური, აქაც ტკივილიანი გრძნობაა:

„მიყვარს ასეთი სოფელი, კაფე- ბარიდნ გამოსული,
აყვავებული ანწლის ბუჩქებით რომ გაუყვები მოსაფლტებულ გზას,
მიყვარს ასეთი ქალაქი, მწვანე კონცხზე ძველისძველი სახლი რომ დგას
იმის დასტურად, რომ მ აქ ოდესღაც სოფელი იყო.
მიყვარს ასეთი ხალხი, გაღიმებული რომ მიგასწავლის
იმ სკვერს და ქუჩას, რომელსაც ეძებ....
მაგრამ მაინც შინ მიმეჩქარება იმ ხოჭოსავით,
გამხმარ ფუნაში რომ ცხოვრობს“.

სოსო მეშველიანის ლექსებში კარგად ჩანს თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ლექსიკური ფორმების გამომსახველობითი შესაძლებლობანი. პოეტი აცოცხლებს მივიწყებულ ქართულ სიტყვებს, ქმნის ახალს. წარმოგვიდგენს დარგობრივ ლექსიკას, ტოპონიმებს, ანთროპონიმებს, მიმართავს ჟარგონსაც. სასაუბრო ენის მასალა მხოლოდ ლექსიკა – ფრაზეოლოგიით შემოიფარგლება. ისინი ხელს უწყობენ არა მარტო მხატვრული ფრაზის შინაარსობრივი მხარის გამოკვეთას, არამედ ემოციური ზემოქმედების გაძლიერებასაც.

თავისებურად დანახული საგნები სავსებით ახლებურ სიტყვათშეხამებას მოითხოვენ, როგორიცაა ვთქვამთ „ინფრაბერების სკა“, „მეხსიერების სატელიტი“, „მღრღნელების ჰოლოკოსტი“, „აკუსტიკური ჭერი“ და სხვ.

შეგვხვდა არაერთი საინტერესო სახელი და მეტსახელი: სოსო მეშველიანი

ერთ-ერთ ნოველაში, გამოგონების საოცარი ნიჭით დაჯილდოებულ თევდორეს გვაცნობს: „სახტად ტოვებდა ყველას, ისეთ მეტსახელს შეარქმევდა ადამიანს, ზუსტად რომ შეეფერებოდა გარეგნობას, ქცევას თუ ხასიათსო“. სახელდების პრინციპი ენათმეცნიერული თვალსაზრისითაც საინტერესოა და, რა თქმა უნდა, ფსიქოლოგიური თუ ლოგიკური ასპექტებითაც რის განპირობებული. ამოსავალი საგანსა და სახელს შორის კავშირითაა შეპირობებული. საგანს და სახელს შორის კი შუამავალი ცნობიერებაა, კერძოდ, ჩვენეული აზრი. ეს აზრია, ასე რომ გამოარჩევს ნიჭით ნოველის პერსონაჟსაც.

ავტორი, თავადაც აღტაცებული ამ მეტსახელებით, გვაცნობს მათ:

„ბუხრის ცოცხი“ – თმაგაგჩეილი, შავი ქალი;

ხის ჭია- მეტყვევე , მიმწლეული კაცი;

წყალთაშუა - ციცქნა ჩიტია, წყლის ზედაპირზე წრიალებს, მოუსვენარ პატარა კაცს შეარქვესო;

ბლერიანი კაცი- მექალთანე წითური კაცი და სხვ.

ექსპრესიას აძლიერებს ტოპონიმები და მიკროტოპონიმეც, საოცრად მეტყველი და ასახსნელად ძალზე საინტერესო. სოსო მეშველიანი ზოგიერთ მათგანს თავად ხსნის და სემანტიკაც გამჭვირვალე ხდება: ესაა „მოცალადაშტე“-სადათვე, **ლაორჩხალის** სათიბი **ნაწორის** ტევრი და სხვ.

საინტერესოაა წარმოდგენილი დარგობრივი ლექსიკა:

ჭაფხვირი, ღოღე - მყრალსუნიანი ბუჩქი; ლახვრა, ღუა - მარხილის ფეხი, ხურგო - ყურძნის ჩასაყრელი, რმის ორჩატა, აკრი - მიწის საზომი, ჟუხვა, ბლის ვარჯი, ონჭყო...

ცნობილია, რომ თანამედროვე ქართველ მწერალთა ნაწერებში მოჭარბებულად იგრძნობა ჟარგონიზმებით გატაცება, რომლებიც არცთუ იშვიათად ექსპრესივებად ყალიბდებიან, ისინი ყოველთვის ვერ აღწევენ მიზანს და შტამადაც იქცევიან ხოლმე, როცა კარგავენ გამომსახველობას. არანორმატიული ლექსიკის ჭარბი გამოყენება ამძიმებს და აუფრულებს ენობრივ ქსოვილს, სოსო მეშველიანის მინიატურებშიცაა ეს ფორმები, მაგრამ იმდენად მოზომილად, რომ ექსპრესია შენარჩუნებულია და ნამდვილად ვერ განვიხილავთ მათ როგორც ენობრივი სტილის მაპროვოცირებელ მოვლენას.

ცალკე შეიძლება განვიხილოთ ნოველებში წარმოდგენილი ეთნოლენგვისტური მასალა. ნოველებში, ლექსებშიც საინტერესოაა აღწერილი სარიტუალო დღესასწაულები, რომლებიც შეიცავენ მდიდარ მონაცემებს მითოლოგიაზე, რელიგიურ რწმენა-წარმოდგენებზე, სოციალურ-რელიგიურ ინსტიტუტებზე, სამეურნეო კალენდარულ ციკლსა და რელიგიურ სანახაობრივ რიტუალებზე. ამ დღესასწაულთა სახელწოდებანი საინტერესოა ლინგვისტური თვალსაზრისითაც (**კოხინჯრობა, აულ-მაული, ქუნარემ...**);

ერთ-ერთი ძირითადი ნიშანი მხატვრული მეტყველების არამხატვრულისაგან განსასხვავებლად „პოეტური თავისუფლება“, რაც ენაში პოტენციურად მოცემული ფორმისა და ფუნქციის ინდივიდუალური რეალიზაციაა მწერლის მიერ. პოეტს შეუძლია ამოაშუქოს ენაში დაუნჯებული

საზრისი და ამით ახალი ძალა მიანიჭოს მას, შექმნას განსხვავებული, ინდივიდუალურია ხელწერა, რაზეც თამამად შეგვიძლია ვისაუბროთ სოსო მეშველიანის ლექსებსა თუ ნოველების გაცნობის შემდეგ.

Tamila Zviadadze
Sokhumi State University
THE WORD - MORE DENSE THAN THE PEARL
(SOSO MESHVELIANI'S LANGUAGE POSITION)
RESUME

Georgian society is already familiar with Soso Meshveliani's poems and miniatures. The poet is distinguished with original phenomenal thinking and he can to express the most difficult feelings through the word. He knows amazing the native language. In his artistic creations appear at the same time the forms of old and new georgian language. The archaic vocabulary is thought to be dialectical or some times it is equal to model of modern georgian. This unity creates a peculiar language tissue that is undoubtedly interesting.

Soso Meshveliani's poems include the sectoral vocabulary, toponyms, anthropomies, slang. They promote not only the contents of the artistic phrase, but also the strengthen the emotional impact.

One of the main signals to disting the artistic speech ffrom non-artistic is a "poetic freedom", which is the individual realization of the potential given form and function in the language by the writer. The poet is able to illuminate and revive the old vocabulary of the language and in this way give it a new force, create a different, individual handwriting. We can easily talk about after reading Soso Meshveliani's poems or novels.

მარიამ კობერიძე
გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

მევენახეობის ლექსიკა იაკობ გოგებაშვილის ეთნოგრაფიულ ნაწარმოებებში

მევენახეობა მეურნეობის ერთ-ერთი ძირითადი დარგია საქართველოში. ამ დარგთან დაკავშირებულ არაერთ საინტერესო და მნიშვნელოვან ლექსიკურ ერთეულებს ვხვდებით იაკობ გოგებაშვილის „დედა ენასა“ და „ბუნების კარში“. ეთნოგრაფიული ხასიათის მასალა მკითხველსა და მოზარდ თაობას აძლევს ღრმა ცოდნას საქართველოს სხვადასხვა კუთხის მცხოვრებთა შრომა-საქმიანობის, ყოფა-ცხოვრების წესებისა და ზნე-ჩვეულებების შესახებ.

ვაზის მოვლა-პატრონობა მევენახის დიდ ცოდნასა და გამოცდილებას მოითხოვს. „მეტადრე ძლიერ უჭირს ბუნების ცოდნა ზედმიწევნით იმისთანა ხალხსა, რომელნიც ხვნა-თესვით, მევენახეობითა და მებადეობით ცხოვრობს, როგორც ქართველებია. რაოდენობა ყოველი გვარის მოსავლისა დამოკიდებულია ორ ძალაზე: ადამიანის შრომაზე და ბუნების თვისებაზე. რაც უნდა მუყაითი მუშა იყო, უხვ მოსავალს ვერ ეღირსები. თუ ბუნების ძალას არ დაიხმარებ, არ იმსახურებ, ხოლო ბუნება ხელს უწყობს და ემსახურება მართო მას, ვინც მისი ავი და კარგი ზედმიწევნით იცის, შესწავლილი აქვს მისი თვისებანი, მისი კანონები" (ი. გოგებაშვილი, 1986: 206). ამ ამონაწერიდან კარგად ჩანს ავტორის თვალსაზრისი და დიდი ინტერესი, საბუნებისმეტყველო ცოდნით შეაიარაღოს ახალგაზრდობა. „ვენახის მომვლელი ყველაფერს, რაც ვაზთან არის დაკავშირებული, თავ-თავის სახელს უწოდებს. შედეგად გვაქვს უხვი, მრავალფეროვანი, დიდი ისტორიის მქონე მევენახეობის ლექსიკა, -- უტყუარი მოწმე თვით ვაზის კულტურის მდიდარი ისტორიისა საქართველოში" (ლ. ასათიანი, 1978:4).

ყურადღებას იქცევს იაკობ გოგებაშვილის მიერ ეთნოგრაფიულ ნაწარმოებში გამოყენებული ლექსიკური ერთეულები. მაგალითად:

ვენახი-ადგილი, სადაც ვაზია გაშენებული. „სოფლებში ყველა გლეხკაცსა აქვს თავისი **ვენახი**" (ი. გოგებაშვილი, 1982: 251) (შდრ. ქეგლ). „ვარიანს ირგვლივ შემორტყმული აქვს **ვენახები**. ეს **ვენახები** სავსეა **ვაზებით**, ხილი კი მათში ნაკლებად არის დარგული" (ი. გოგებაშვილი, 1982: 1).

საქართველოს სხვადასხვა კუთხეებისათვის დამახასიათებელი განსხვავებული კლიმატური პირობები აისახება ყურძნის მოსავალსა და ღვინის ხარისხზე. „კახეთის ველს სიცხესთან ცის ნამივ საკმაოდ აქვს. ტყიანი მთები წვიმის ღრუბლებს თავისკენ იზიდავს და კახეთს თავის რიგზე წვიმას არ აკლებს. იმისთანა ფერდობს ადგილებში, რომელთაც მზის შუქი და სიცხე უზვად მისდის და წვიმა ხშირად არ რწყავს, ჩინებული თვისებების **ვაზი** ხარობს. თუ ნიადაგიც ხელს უწყობს. ამიტომ კახეთი მრავალი **ვენახით** არის მოფენილი და აქაური ღვინო მთელს საქართველოში და საქართველოს გარეთაც განთქმულია. შრომას უმეტეს ნაწილად ვენახებს ახმარებენ" (ი. გოგებაშვილი, 1982: 229). კახეთისაგან განსხვავებით „გრილის ჰავის გამო ქართლში ყურძენი კარგად ვერ მწიფდება და ამიტომ ღვინო **მდარე** დგება. ქართლური ღვინო ქართლშივე თუ გაიყიდება, თორემ სხვა ადგილებში ვერ წაიღება **სიმდარის** გამო". (გოგებაშვილი, 1982: 229). შდრ. საბა: „დარე და მდარე-მცირედ მოკლებული" (1991: 199).

ზვარი - დიდი ვენახი. „პური და ღვინო უფრო კარგი ქვემო რაჭაში იცის. თავადის ყოფიანების **ზვრების ღვინო** ბევრად მიემსგავსება **კარგს კახურ ღვინოსა**. რადგანაც მაღალ ადგილებზე **ღვინო არ მოდის**. ამიტომ იქაურს მცხოვრებლებს **ზვრები** გაშენებული აქვთ დაბლობს ადგილებში, რიონის პირად" (ი. გოგებაშვილი, 1982: 259-260). შდრ: ქეგლ: „მსხმოიარე **ზვარი** მეტად სასიამოვნო სანახავია" (ი. გოგებ.).

იაკობ გოგებაშვილი სვამს კითხვას: **რა განსხვავებაა ვენახსა და ზვარს შორის?** მისი განმარტებით „**ზვარი** დიდი ვენახია" (ი. გოგებაშვილი: 1976: 75, 262). ქართული ენის განმარტებით ლექსიკონშიც გვხვდება იგივე განმარტება. საილუსტრაციო მაგალითიც დასახელებულია იაკობ გოგებაშვილის შემოქმედებიდან. „მსხმოიარე ზვარი მეტად სასიამოვნო სანახავია" (ი. გოგებ.). ხოლო **ვენახი** არის „მიწის ნაკვეთი, რომელზედაც გაშენებულია ვაზი -ვაზის ბაღი". ვფიქრობთ, ვენახსა და ზვარს შორის განსხვავებას ქმნის ისიც, რომ ვენახი პატარა ადგილზეა გაშენებული. თანაც ვაზებთან ერთად სხვა ხილიც შეიძლება შეგვხვდეს. „**შუაგული ვენახისა** კი დაჭერილია ხშირად ჩაყრილი **ვაზებითა**. შიგა და შიგ **ვაზებს შორის ატამია** ამოსული ... მაგრამ **ვენახი** შემოდგომაზე უფრო საუცხოვო სანახავია. **დამკრახული ყურძნის მტევნები**, თეთრ-წითლად დამწიფებული **ატმები**, **კომშები** და **საზამთრო ვაშლები** სწორედ **სამოთხედ ამსგავსებენ ვენახსა**" (ი. გოგებაშვილი, 1976:195). იაკობ გოგებაშვილი მოთხრობაში - „იავნანამ რა ჰქნა" კახეთის ბუნებას ასე აღწერს: „შენს თვალწინ ქვემოლ გადაიჭიმება ვებერთელა ვაკე, რომელსაც ჰვარავს მთელი მწვანე ზღვა **ვენახებისა** და **ზვრებისა**.... დასავლეთით ამ სოფელს ერტყა **ზვრები და ვენახები**" (ი. გოგებაშვილი, 1940: 221).

ბაგას რა ჰქვია? კითხვას სვამს იაკობი. **ბაგა** -ახალი ვენახი. საბა: „ბაგა-ახალი ვენახი" (1991: 88). იმავე მნიშვნელობით გვხვდება ქართული ენის განმარტებით ლექსიკონშიც. საილუსტრაციო მაგალითი დამოწმებულია ნიკო ლომოურის მოთხრობიდან: „ეს ალაგი ზაქარია დიაკვანს მიემატ'ებინ'ა თავის'ი **ბაგისათვის** და ამნაირად სამკუნჭულიანი უშნო ვენახისათვის გამოება მეოთხე კუნჭულიც" (2008: 935).

ვენახთან დაკავშირებით გვხვდება ორ ტერმინი: **დაბლარი** (დაბალი ვაზი) და **მაღლარი** (ხეზე ასული ვაზი). აღმოსავლეთ საქართველოში ვაზი უმთავრესად დაბლარია, დასავლეთ საქართველოში შეიძლება შეგვხვდეს **დაბლარიც** და **მაღლარიც**. „ვენახები ზემო იმერეთში **დაბლარია**, ესე იგი ვაზები ხეებზე კი არ არის აშენებული, როგორც ქვემო იმერეთში, **სარებზედ არის მიკრული ...** რადგანაც ქვემო იმერეთში ადგილი ძალიან ნესტიანია. ამიტომ ვენახები **მაღლარია**, ე. ი. **ვაზები სარებზე კი არ არის მიკრული, მაღალ ხეებზე არის აშენებული**. რამდენადაც ვაზი უფრო მაღლა არის ასული და დედამიწას მოშორებული, იმდენად უფრო კარგად მწიფდება ყურძენი, უფრო ნაკლებად აქვს წყალი წვენში და უფრო მაგარ ღვინოს აყენებს ... ვენახები გურიამი ძლიერ ბევრია. ვენახები აქ სულ **მაღლარია**, ესე იგი ვაზები მაღალ ხეებზეა გაბმულ-გამობმული (ი. გოგებაშვილი, 1982: 252-254).

ვაზის ნაყოფი **ყურძენია**. „მაგრამ **ვენახი** შემოდგომაზეა უფრო კიდევ საუცხოვო სანახავი. **დამკრახული ყურძნის მტევნები**, თეთრ-წითლად დამწიფებული **ატმები**, **კომშები** და **საზამთრო ვაშლები** სწორედ **სამოთხედ ამსგავსებენ ვენახსა**" (ი. გოგებაშვილი, 1976: 195).

ყურძნის კრეფის პერიოდი **რთველია**. გხვდება გამოთქმები: „**ვენახს შესევია**", „**ვაზებს სმარცვავს**". „მშვენიერი სანახავია კახეთი ენკენისთვეში, როცა **რთველია** და ყურძენი იკრეფება. ვენახებიდან ბევრგვარი საამური ხმაურობა და სიმღერა მოისმის აქ ნახავ, მთელი ჯალაბობა **ვენახს შესევია** და დიდი სიხარულით **სცარცვავს** ვაზებს" (ი. გოგებაშვილი, 1982: 227-228).

აკიდო-მოკლედ აჭრილი წყვილმტევნიანი ვაზის რქა. „ყმაწვილები **აკიდოებს** სჭრიან, ერთად კრავენ და **ჯაგნებს** აკეთებენ" (ი. გოგებაშვილი, 1982: 180). (შდრ. საბა: „აკიდო ხილი ერთად შებმული"; ქეგლ). **ჯაგანი**-ერთად შეკრული მტევნიანი რქა. იაკობ გოგებაშვილი „**ჯაგანს**" მეორე განმარტებასაც უძებნის „**მაფზე ასხმული მტევნები**" (1976: 265).

ლექსიკური მარაგი, რომ ადვილად გასაგები ყოფილიყო ბავშვებისათვის, იაკობ გოგებაშვილი კითხვებს სვამს, განმარტავს და ზოგ ტერმინს სინონიმურ პარალელებს უძებნის.

ყურძენს რა ისხამს? საცა ბევრი ვაზი სდგას, ამ ადგილს რა ჰქვია? რა განსხვავებაა ვენახსა და ზვარს შუა ? ბაგას რა ჰქვია? რქები. ყვავილსა ? **კვირტი**. წალამი რას ჰქვია? გამხმარ რქებს ვაზისასა.

როდის მწიფდება ყურმენი? როცა ყურმენი იკრიფება, ამას რა ჰქვია? რთველი. რასა ჰქვია ჯაგანი? ჭაჭა? ზადაგი? მაჭარი? **ჩურჩხელა, ანუ ჯანჯუხი** როგორ ვაყენებთ ღვინოსა? (ი. გოგებაშვილი, 1976: 75).

კალათა - „წნელი, ტკერისა (ბწკალის, აგრეთვე ლერწმისა, ჩალისა და მისთანათაგან) დაწნული ჭურჭელი რისამე ჩასაწყობად ან გადასატანად“ (ქეგლ). „ყველას დანა უჭირავს და ყურმენს **კალათში** ჰკრეფს. კალათებს რომ გაავსებენ, **გოდორში** ჩაჰყრიან და გოდორებით საწნახელში მიაქვთ დასაწურად“ (ი. გოგებაშვილი, 1982: 179-180).

კალანჩხა - პატარა კალათა. „სწრაფათ სჭრის პატარა მჭრელი დანით მტევნებსა და ფრთხილად ჰყრის პაწია **კალანჩხაში**“ (ი. გოგებაშვილი, 1940: 246).

გოდორი. „კალანჩხა გაეცხო, მიიტანა და ჩაყარა ყურმენი დიდს **გოდორში**, დიდი გოდორიც მალე მოიყარა პირამდის“ (ი. გოგებაშვილი, 1940: 246). შდრ. საბა: „წკეპლის ჭურჭელი“ (1991: 164); ქეგლი: „წნელისაგან (ტკერისაგან) დაწნული მაღალი, მოგრძო კალათი“ (2010: 1568).

საწნახელი: „დიდი გოდორიც მალე მოიყარა პირამდის; მოჯამაგირეს აჰკიდეს და ამანაც მიიტანა და ჩასცალა გარეცხილს და მოკრიალეზულს **საწნახელში**“ (ი. გოგებაშვილი, 1940: 246).

ქვევრი//თაღარი//ჭური. „საწნახელი მთლად აივსო ყურმნითა, თეთრითა და შავითა. ბოლოს ფეხები დაიბანეს მამაკაცებმა, შესდგნენ ყურმენს ზედა და მხიარული ხტუნვა დაუწყეს, წურვა. დალოცვილმა ტკბილმა იქუხა, გამოვარდა მილიდან და დაიწყო დენა **ოცკოვიანს თაღარში, ანუ ჭურში**. კაკო მალი-მალ უშვერს **ჯამს ტკბილსა**, ავსებს და სვამს გაუმადრისად“ (ი. გოგებაშვილი, 1940: 246). შდრ. „ქვევრი - ღვინის შესანახი თიხის დიდი ჭურჭელი, კვერცხის მოყვანილობისა; ჩვეულებრივ მიწაშია (ჭური) (ქეგლ). ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით „თაღარი ქვევრის მაგვარია, თიხისაა, მაგრამ პირი უფრო განიერი აქვს“ (ქეგლ). იაკობ გოგებაშვილთან საილუსტრაციო მაგალითების მიხედვით **ქვევრი, თაღარი, ჭური სინონიმური მნიშვნელობის ტერმინებია**.

ტკბილი- ყურმნის წვენი. „ბოლოს **რთველი** გაათავეს, **ყურმენი საწნახელში** დასწურეს და **ტკბილი** ქვევრებში ჩაასხეს“ (ი. გოგებაშვილი, 1982: 179-180). „ტკბილმა იქუხა“. **ზადაგი**- მოდულეზული ტკბილი ყურმნისა (ი. გოგებაშვილი, 1976 : 262). **ჭაჭა** - ყურმნის ნარჩენი დაწურვის შემდეგ (შდრ. ქეგლი). **მაჭარი** - „ახლად დაყენებული, დუღილდაუმთავრებელი ღვინო“ (ქეგლ).

ქოცო -პატარა ქვევრი (ი. გოგებაშვილი, 1976:264).

იაკობ გოგებაშვილთან **კოკა** ორი მნიშვნელობით გვხვდება: 1. დიდი სურა წყლისა (გოგებაშვილი, 1976: 263). 2. ღვინის საწყაო . „ოცკოვიან თაღარში ანუ ჭურში“ (გოგებაშვილი, 1940: 246). შდრ. ქეგლი: კოკა 1. წყლის საზიდი თიხის ჭურჭელი: მოზრდილი, დიდმუცლიანი, ვიწროქუსლიანი, დაბალყელიანი და ცალყურიანი“; 2. ღვინის საწყაო, სხვადასხვა კუთხეში ზომისა (საშუალოდ ერთი ფუთიდან ფუთ ნახევრამდე) .

ჯამი -- ღვინის ამოსადები ჭურჭელი. შდრ. „ჩაღრმავებული ჭურჭელი“ (ქეგლ).

წალამი//ჭილაბი-ვაზის გამხმარი ტოტები ანუ რქები „წალამი-ვაზის ნასხლავი“ (საბა, 1993:162).

ჩურჩხელა ანუ ჯანჯუხი -მაფხე ასხმული ნიგოზი ან თხილი თათარაში ამოვლებული.

ღვინოსთან დაკავშირებით გვხვდება ტერმინები: „ღვინის დაყენება“, „ღვინის მოყვანა“.

კარგი ღვინის აღმნიშვნელად დასტურდება: „**ზედაშე**“ (შდრ. ზედაშე: 1. „წითელი ღვინო, რომელსაც ხმარობენ ზიარების დროს ან ჯვრის წესის შესრულებისას; 2. საუკეთესო ხარისხის ღვინო (ქეგლ); „**მაგარი ღვინო**“ (ქვემო იმერეთში); „**კარგი კახური ღვინო**“; „**ჩინებული ღვინო**“ (გურიაში); „**ძლიერი ღვინო**“ (სვანეთში); „**მაგარი და გემრიელი ღვინო**“ (სამეგრელოში); „**მშვენიერი ღვინო**“ (სამეგრელოში); „**მირონ-ღებული ღვინო**“ (ზოგადად კარგი ღვინის აღმნიშვნელი); „**ბლომი ღვინო**“ და სხვა.

დაბალი ხარისხის ღვინის აღმნიშვნელად გვხვდება: „**ქართლური მჟავე ღვინო**“; „**თხელი, უწონო და წყლიანი**“; „**მდარე ღვინო**“...

ყურმნის ჯიშებიდან დასტურდება : **თითა** - გრძელმარცვლიანი ყურმენი (ი. გოგებაშვილი, 1976: 263). **ჩხავერი**- „წითელყურმნიანი ვაზის ჯიში, მოგრძო მტევანი აქვს. გვიან მწიფდება; გავრცელებულია გურიაში და აჭარაში (უპირატესად მაღალარად)“ (ქეგლ). „ვაზის სნეულებამ სრულიად ამოაგდო საუკეთესო ჯიშის ვაზები-ჩხავერი, რომელსაც ჩინებული ღვინო მოჰყავდა. ახლა ამ ვაზებს **ამერიკული ვაზების პირზე** ამყნობენ და აშენებენ ვენახებს“ (გოგებაშვილი, 1982: 263-265). **სვანური ყურმენი** - „ოჯალემის ღვინოს აყენებენ ერთგვარი ყურმნისაგან, რომელსაც რომელსაც მეგრელები „სვანურს“ უძახიან. **ოჯალემის ვენახები** ქრისტეშობისთვის გასულს იკრიფება. ხანდახან თოვლი მოუკრეფავს ვენახებს მოუსწრობს ხოლმე, მაგრამ ვერაფერს ავნებს, რადგანაც სამეგრელოს მხურვალე ბუნება მალე აღნოხს თოვლს. ვაზის ავადმყოფობამ მეტად აზარალა სამეგრელო. თოთხმეტის წლის წინათ **ძლიერ ბევრი ღვინო** მოდიოდა ამ ქვეყანაში და შაურად ორ ბოთლს იყიდდი. ახლა მოსავალი მეტად შემცირდა. მაინც ღვინო იაფია: **კარგს ღვინოს კოკას** სამ მანეთად იყიდი, ე. ი. ბოთლს შვიდ კაპიკად“ (ი. გოგებაშვილი, 1982: 268-269).

ვაზის მოვლა გარკვეულ სამუშაოებს მოითხოვს. ეს არის **გასხვლა, შეყვლა, დამცნობა**. ჭიგოს ანუ **დიდი სარის** შედგმა. „გაზაფხულზე ვაზები ისევ უნდა ააყენოს, **გასხლას**, სარი შეუდგას **შეჰყელოს**“ (ი. გოგებაშვილი, 1982: 252).

„საზამთროდ ვაზის **დამარხვა** ბევრგან საჭიროა. **დამარხვა** იმაში მდგომარეობს, რომ ვაზებს შემოდგომაზე სარებს აცლიან, ძირს აწვენენ და ზედ მიწას აყრიან. თუ გლეხმა ვაზები დაანარჩუნა, ზამთარში დასძრავს და გახმება, მეტადრე თუ ცივი ზამთარია (შდრ. ძვ. ქართ. „დამარხვა შენახვა“ ზ. სარჯველაძე, 2001: 63). ვაზის **დამარხვა** როგორც ტერმინი ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში შესულია ი. გოგებაშვილის შემოქმედებიდან.

ამრიგად, მევენახეობის ლექსიკაზე დაკვირვებიდან კარგად ჩანს, რა მრავალფეროვან სიტყვობრივ მარაგს იყენებდა იაკობ გოგებაშვილი მოსწავლისა და ნებისმიერი მკითხველისათვის დარგობრივი წესით და სისტემური თანამიმდევრობით სამეტყველო ცნობიერების გასამდიდრებლად. ზოგი ტერმინი დღესაც ცოცხალია და გვხვდება საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, ზოგი ტერმინი და მისი განსხვავებული მნიშვნელობა კი იაკობ გოგებაშვილის შემოქმედებამ შემოგვინახა (მაგ. დამარხვა, ჭილაბი...).

ლიტერატურა:

1. ლ. ასათიანი, ვაზის კულტურასთან დაკავშირებული ლექსიკა ქართულში, თბ., 1978.
2. ი. გოგებაშვილი, მოთხრობები (პროფ. გ. თავზიშვილის რედაქციით და შესავალი წერილით), თბ., 1940.
3. ი. გოგებაშვილი, დედა ენა, მეორე ნაწილი, საკითხავი წიგნი ანბანის შემდეგ, თბ., 1912, 1976.
4. ი. გოგებაშვილი, საგანძური, თბ., 1982.
5. ს. ს. ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, თბ., 1991.
6. ს. ს. ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, თბ., 1993.
7. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. I, 2008.
8. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. II, 2010.

შემოკლებათა განმარტება:

ი. გოგებ. - იაკობ გოგებაშვილი

ქველ - ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი: <http://www.ice.ge/liv/liv/ganmartebiti.php>

Mariam Koberidze

Gori State Teaching University

VITICULTURE VOCABULARY IN IAKOB GOGEBASHVILI'S ETHNOGRAPHIC WORKS RESUME

Viticulture is one of the main spheres of farming in Georgia. There are many interesting and important lexical units associated with this field in Iakob Gogebashvili's „Deda Ena” and „Bunebis Kari”. The ethnographic material gives readers and adolescents a profound understanding about the work, life-style and morality of the inhabitants of different regions of Georgia. The lexical units used in the ethnographic works by Iakob Gogebashvili draws attention: „Vazi”-Vine, „Venakhi”-Vineyard (where the vines are grown), „Zvari” (large vineyard), „Baga” (new vineyard), „Rtveli”-Vintage (grapes picking), „Jagani” (clusters of grapes on the thread), „Kalanchkha” (small basket), „Kvevri”-Pitcher // „Taghari” // „Tchuri” (The pottery, where the wine is kept), „Satsnakheli” (grape-crushing tub), „Damarkhva”-Bury (save the vine for winter, bury the vine in the ground), „Churchkhela” // „Janjukhi” (food made from nuts and grape juice), „Tkbili”-Sweet (grape juice), „Matchari” (grape juice in the boiling process), types of grapes: **Ojaleshi, Tita, Chkhaveri**. From the observation of the viticulture vocabulary, it is clear that Iakob Gogebashvili used a wide variety of textual supplies to enrich the speech of pupils and any readers with the sectoral manner and systemic sequence.

სათაური, როგორც თარგმანის ენის მხატვრულ-სტილისტური მახასიათებელი

თანამედროვე ქართულ სალიტერატურო ენაში უაღრესად მნიშვნელოვანი პროცესები მიმდინარეობს, რომელთა შესწავლა, შეფასება და რეგულირება საშუალო საქმეა. მხატვრული ლიტერატურა წარმოადგენს რეალობის მხატვრულ და ესთეტიურ განსახიერებას. ნაწარმოების ესთეტიური ფასეულობა და მკითხველზე მისი ემოციურ-ექსპრესიული ზეგავლენის დონე განისაზღვრება იმით, თუ როგორი ფორმით ხდება შინაარსის მატერიალიზება. ენის გამდიდრების საქმეში მნიშვნელოვანი როლი ენიჭება თარგმანს. ჭეშმარიტად მაღალმხატვრულ თარგმანს შეუძლია მშობლიურ კულტურაში ორიგინალური ლიტერატურის ტოლფასი წვლილი შეიტანოს, გაამდიდროს იგი უცხო კულტურის საუკეთესო მიღწევებით ენის სფეროში, გამოაცოცხლოს და ახალი ელვარება შესძინოს.

მხატვრული ტექსტი არის სხვადასხვა სტილისტური ელემენტის ნაერთი და ყველა ეს სტილისტური ელემენტი ერთიანდება განსაკუთრებულ ლიტერატურულ სისტემაში. თარგმანის პროცესში გარდაუვალია ინფორმაციის დამატება, ან პირიქით დაკარგვა, რაც განპირობებულია მიმღები და ორიგინალის ენებს შორის განსხვავებით. მხატვრული თარგმანის მიზანს უცხო ნაწარმოების მარტო შინაარსის გადმოცემა როდი წარმოადგენს, თარგმანის მიზანია ასევე სრულფასოვნად ადადგინოს ნაწარმოების იდეურ-ესთეტიკური ფუნქცია და ზედმიწევნით ზუსტად გადმოიტანოს მწერლის სტილისტის დამახასიათებელი ძირითადი ნიშნები. თარგმანის შესაძლებლობის ფაქტი ენის თვისებიდან გამომდინარეობს, რომ არ არსებობდეს ენისა და აზროვნების დიალექტიკური ერთიანობა, ენას, რომ არ ჰქონდეს უნარი გარდასახოს ყოველი აზრი, რომ არ გააჩნდეს სიტყვათქმნადობის ამოუწურავი შესაძლებლობანი, თარგმანი ვერ იარსებებდა.

რა თქმა უნდა ორ ენას შორის არსებული განსხვავებანი: სხვადასხვა ენაში სიტყვის სხვადასხვა სემანტიკური ტევადობა, სიტყვების სხვადასხვა კომბინატორული ცვლილებანი, სიტყვათშეკავშირების სხვადასხვა კანონები თუ ფრაზეოლოგიური ერთეულების სხვადასხვა მეტასომიტიური საფუძველი თარგმანისას გარკვეულ სიძნელეებს წარმოშობს, მაგრამ სათარგმნ ტექსტში ასახული სინამდვილის სწორი და ღრმა გაგების შესაძლებლობა ამ სიძნელეებს დასაძლევს ხდის. როგორც არ უნდა იყოს ორი ენის შეჯახებისას წარმოქმნილი სიძნელეები, თუ თარგმანი შემოქმედებაა, არ არსებობს უთარგმნელი ნაწარმოები, როგორც არ არსებობს სინამდვილე, რომლის ასახვაც მწერალს არ შეეძლოს.

უცხო მხატვრული ლიტერატურის ტექსტის ნაცნობობა მკითხველთან იწყება მისი სათაურით. ამ მხრივ ჩვენთვის ძალიან საინტერესოა ამერიკელი მწერლის ჯერომ დევიდ სელინჯერის რომანის „The catcher in the rye“ თარგმანის სათაურები, დიახ სათაურები, რადგან ეს რომანი ქართულად ორჯერ არის ნათარგმნი და ორივე შემთხვევაში სხვადასხვა სათაური აქვს. 2009 წლის პირველ იანვარს მწერალს ჯ.დ.სელინჯერს 90 წელი შეუსრულდა. ამ მნიშვნელოვანი თარიღის აღსანიშნავად მთელ მსოფლიოში, თითქმის ყველა ენაზე, თავიდან გამოიცა მისი ნაწარმოებები. სელინჯერის შემოქმედებას ბევრი თაყვანისმცემელი ჰყავს საქართველოშიც და ამ მხრივ არც ჩვენი წიგნიერი სამყარო ჩამორჩა საერთო ალტკინებას და მისი ერთადერთი რომანი არამარტო გამოიცა, არამედ თავიდან ითარგმნა და საიუბილეოდ მკითხველმა იხილა რომანის ახალი თარგმანი ახალი სათაურით. ამერიკელი მწერლის იუბილე რუსეთშიც ახალი თარგმანით აღნიშნეს და აქ თქვენს საყურადღებოდ გვინდა წარმოვადგინოთ ამ რომანის ოთხი თარგმანის -ორი ქართული და ორი რუსული თარგმანის სათაურების ანალიზი. საინტერესოა ის ფაქტი, რომ პირველი ორი თარგმანი შეიქმნა მეოცე საუკუნის 60-იან წლებში, ხოლო ორი ახალი თარგმანი 21-ე საუკუნის დასაწყისში და მათ თითქმის 50 წელი აშორებს ერთმანეთისგან.

როგორც უკვე ავღნიშნეთ ოთხი თარგმანიდან ოთხივე სხვადასხვა სათაური აქვს.

დედანი: „The catcher in the rye“;

ვახტანგ ჭელიძე: „თამაში ჭვავის ყანაში“;

გია ჭუმბურიძე: „კლდის პირზე, ჭვავის ყანაში“;

რიტა რაით კოვალიოვა: „Над пропастью во ржи“;

მაქსიმ ნემცოვი: „Ловец на хлебном поле“.

ჩვენ ვეცდებით განვიხილოთ თითოეული მათგანი და მოგახსენოთ ჩვენი აზრი, რით შეიძლება იყოს განპირობებული მათარგმნელთა არჩევანი. თარგმანის სწორი გაანალიზების მიზნით თარგმანმცოდნეობაში ვიყენებთ ტერმინს „მათარგმნელის ენობრივი პიროვნება“ (ვინოგრადოვი, 1980 წ.),

რადგან შეუძლებელია ვიმსჯელოთ თარგმანის ენაზე და მხატვრულ სტილისტიკურ მხარეზე, თუ არ შევისწავლით მთარგმნელის ენობრივ პიროვნებას. ჩვენ ვფიქრობთ, რომ მხატვრული ნაწარმოების ასეთი განსხვავებული ხედვა, აღქმა და გააზრება სწორედ მთარგმნელის ინდივიდუალური სტილით არის განპირობებული და აგრეთვე ეპოქალური სხვაობით.

ლიტერატურათმცოდნეობის სფეროში და, კერძოდ, თარგმანმცოდნეობაში ბევრს კამათობენ იმაზე, თუ რა ზეგავლენა ხდება ნაწარმოებზე, როცა ის განიცდის ერთი ენიდან მეორეში ტრანსფორმაციას. ეს ოთხი თარგმანი, თუ მათ შევისწავლით ლექსიკურად და სტილისტიკურად, ნათელი მაგალითია იმისა, რომ ეპოქა მაინც ახდენს ზეგავლენას ენაზე. ენა ცოცხალი ორგანიზმია, ის იცვლება, ვითარდება, ფეხდაფეხ მისდევს (თუ არ უსწრებს კიდეც) ეპოქალურ სიახლეებს. მასზე აისახება სოციალური, სამეცნიერო და ტექნოლოგიური ცვლილებები, რომლებიც მოაქვს ახალ ეპოქას. მაგალითად, არც თუ დიდი ხნის წინ (ენის საზომით) ჩვენი წინაპარი მთელი დღის ხვნა-თესვის შემდეგ დაღლილი იტყოდა: „ქანცი გამწყდაო“. ხვნა-თესვა არც დღეს არის ჩვენთვის უცხო, მაგრამ შრომით დაღლილი თანამედროვე ადამიანი იტყვის „სამინლად დავიღალე“ და ასე გამოხატავს თავის ფიზიკურ მდგომარეობას. ანდა ავიღოთ გამოთქმა <გულს შემომეყარა> (განვიცადე). თავად ეს სიტყვა ჩვენი თანამედროვეობისთვის გაუგებარი არ არის, მაგრამ ძნელად წარმოიდგენია თანამედროვე ახალგაზრდა შესაბამის სიტუაციაში იმახდეს <გულს შემომეყარაო>. ასეთი მაგალითები უხვად შეგვიძლია მოვიყვანოთ, ან უფრო მეტიც შევადაროთ ქართველი ერის წიგნთაწიგნის „ვეფხისტყაოსანი“-ს ენა მეცხრამეტე საუკუნის ილია ჭავჭავაძის ეპოქის მეტყველებასთან, მაშინ ყოველივე თვალნათელი და აშკარა გახდება, მაგრამ ეს ძალიან შორს წავგიყვანს ჩვენი ნაშრომის ძირითადი თემისგან.

თუ შედარების მიზნით ერთდროულად წავიკითხავთ ვახტანგ ჭელიძის ბრწყინვალე, დახვეწილ რომანს და გია ჭუმბურიძის ახალ, ძალიან ახალგაზრდულ, ძალიან ენამოსწრებულ თარგმანს, ეს ცვლილებები შეუმჩნეველი არ დაგვრჩება. ენა და ოსტატობა არ დაეწუნება არც ერთ მთარგმნელს, ნაწარმოებიც ერთი და იგივეა და სამუშაო ენაც ორივეს ქართული აქვთ, მაშ რატომ არის ასეთი თვალში საცემი განსხვავება ამ ორ ნიმუშს შორის? აქ არ არის საუბარი ჩვეულებრივ სინონიმურ ჩანაცვლებაზე. არა, ამას ნამდვილად არ ვაკადრებთ ახალი თარგმანის ავტორს. ეს განსხვავება მოიტანა სწორედ ენაში ასახულმა ეპოქალურმა ცვლილებებმა. ასეთი ცვლილება არ განუცდია მხოლოდ ქართულ ენას, ანალოგიურ ფაქტებს ვხვდებით ორ რუსულ თარგმანს შორისაც. რუსი მეცნიერი ა. ბორისენკო სამეცნიერო ნაშრომში (2001 წ.) აღნიშნავს, რომ განსხვავებული ეპოქა და მკითხველი ითხოვს განსხვავებულ, მის ეპოქაზე მორგებულ თარგმანს. მართლაც, თუ ვთანხმდებით იმაზე, რომ თარგმანი იქმნება საზოგადოებისთვის, მაშინ იგი მისთვის ნათელ და გასაგებ ენაზე უნდა შესრულდეს. ეს არამც და არამც არ ნიშნავს გადმოქართულებას, ან რაიმე ძირეულ ცვლილებებს; ნაწარმოებს თუ არ შეემატება ღირსება, არც უნდა მოაკლდეს.

სათაურის თარგმნისას მიმართავენ ძირითადად ორ საშუალებას. პირველი, ეს არის პირდაპირი, ანუ სიტყვასიტყვითი თარგმანი და ამის ბევრი მაგალითია მხატვრულ ლიტერატურაში. მაგ: „ომი და მშვიდობა“ (Воина и мир), „ალუბლის ბაღი“ (Вишневый сад), „ტომ სოიერის თავგადასავალი“ („The adventures of Tom Sawyer“), „მარტინ იდენი“ („Martin Eden“) და სხვ. თარგმნის მეორე ხერხია, ტექსტის შინაარსიდან გამომდინარე, აზრობრივი თარგმანი. ჩვენს შემთხვევაში საქმე გვაქვს სათაურის სწორედ აზრობრივ თარგმანთან და ვფიქრობთ ეს სწორი მიგნებაა. ჩვენი მიზანი არ არის იმის განხილვა ვინ უფრო სწორად თარგმნა სათაური ორიგინალიდან, მითუმეტეს, რომ აზრობრივი თარგმანის შემთხვევაში ასეთი მიდგომა არც არის გამართლებული, რადგან ეს მეთოდი უფრო სუბიექტურია და დიდად არის დამოკიდებული თავად მთარგმნელის აღქმაზე. ჩვენ შევეცდებით ავხსნათ რითი ხელმძღვანელობდნენ ისინი ასეთი მრავალფეროვანი სათაურების შექმნისას.

„The catcher in the rye“ სიტყვასიტყვითი თარგმანი არის „დამჭერი ჭვავში“, რა თქმა უნდა, იგულისხმება ჭვავის მინდორი, ასეც არის ტექსტში: „Field of rye“ (ჭვავის მინდორი), სადაც ბავშვები თამაშობენ: „Little kids playing in this big field of rye“, მაგრამ ინგლისური ენის სტრუქტურა არ ითხოვს დაკონკრეტებას, რომ ეს ხდება მინდორში. თვითონ სელინჯერმა სათაურისთვის შესაფერი სიტყვები აიღო შოტლანდიელი პოეტის რობერტ ბერნსის ლექსიდან „Comin’ thro the rye“, რომელიც 1782 წელს დაიწერა.

რა ხდება ამ მხრივ პირველ ქართულ თარგმანში- „თამაში ჭვავის ყანაში“, რომელიც ბრწყინვალედ შეასრულა ვახტანგ ჭელიძემ. ჩვენთვის საინტერესო გამოდგა სიტყვათშეხამება „ჭვავის ყანა“. ენაში ესა თუ ის სიტყვა არსებობს მისი აუცილებლობიდან გამომდინარე, ანუ ყოფა-ცხოვრებაში დანიშნულების მიხედვით. სიტყვა „ყანა“ ქართულ სინამდვილეში გაცილებით უფრო ადრე არსებობდა, ვიდრე ქართულ სოფლის მეურნეობაში შემოვიდოდა აგროკულტურა ჭვავი. ყანაში სიმინდისა და ხორბლის სათესად მიმავალი გლეხი ამბობდა „ყანაში მივდივარ“-ო. ყანა არ საჭიროებს დამატებით დაკონკრეტებას რა ითესება იქ, ქართულ სინამდვილეში ყანაში მოდის სიმინდი, ვენახში-ყურძენი, ბოსტანში-მწვანელი.

მაშასადამე, ამ დაკონკრეტებას „ჭვავის ყანა“ ქართული რელია არ საჭიროებდა, თავის მხრივ, არც სიტყვა „ყანა“ არის გასაგები ინგლისურ ენოვანი მკითხველისთვის. ამრიგად, ვ.ჭელიძემ ქართული ელემენტი შეიტანა სათაურის თარგმანში „ყანა“, მაგრამ კი არ გადმოაქართულა, პირიქით, სრული შერწყმა მოახდინა. როგორც უკვე ვახსენეთ, რ.ბერნსი შოტლანდიელი პოეტია, შოტლანდია კი ცნობილია თავისი უხვმოსავლიანი ჭვავის გაშლილი მინდორ-ველებით და არა „ყანით“. სიტყვა „ჭვავი“, როგორც რ.ბერნსის ლექსში, ასევე ჯ.დ.სელინჯერის რომანის სათაურში მთავარი ელემენტია, ამიტომ მას გვერდს მთარგმნელი ვერ აუვლიდა, ვერ გამოტოვებდა ან ვერ შეცვლიდა მაგალითად სიმინდით, მაგრამ მეორეს მხრივ ქართული ფენომენისთვის სიტყვა მინდორი ასოცირდება ყვავილებთან, ბალახთან და არანაირად სამეურნეო კულტურასთან - ყვავილების მინდორ-ველი. ამიტომ მთარგმნელმა, ვფიქრობთ, უნივერსალურ გადაწყვეტილებას მიაგნო გამოიყენა რა კონკრეტიზაციის მეთოდი- „ჭვავის ყანა“.

ასეთი სიტყვათშეხამება, რომელიც ვ. ჭელიძეს ეკუთვნის (თუ საპირისპირო მტკიცებულება იქნება ჩვენ გავითვალისწინებთ ამას) და ვფიქრობთ სწორედ მან შემოიტანა, ძალიან ორგანული აღმოჩნდა ქართული ენისთვის და ლექსიკური დისონანსი არ გამოუწვევია. ვფიქრობთ, ჭელიძისეულმა ასეთმა ზუსტმა მიგნებამ და საინტერესო მხატვრულ-სტილისტიკურმა გადაწყვეტილებებმა განაპირობა ქართველ მკითხველში რომანისადმი ასეთი სიყვარული და ერთგულება.

გია ჭუმბურიძის მიერ შესრულებული მეორე ქართული თარგმანი, რომელიც 2006 წელს იხილა საზოგადოებამ, დაიბეჭდა სათაურით „კლდის პირზე, ჭვავის ყანაში“. როგორც ვხედავთ, არც ამ შემთხვევაში გვაქვს საქმე სიტყვასიტყვით თარგმანთან, უფრო მეტიც, მან შემოიტანა ორი ახალი სიტყვა „კლდის პირზე“, რაც ორიგინალურ სათაურში საერთოდ არ არის. ამ შემთხვევაში, ვფიქრობთ, მან საფუძვლად გამოიყენა რომანის 22-ე თავში მოყვანილი მთავარი გმირის ჰოლდენ კოლფილდის სიტყვები: „ეს ჭვავის მინდორი იყო ციცაბო კლდის პირას“ („On the edge of some crazy cliff“). ამ შემთხვევაშიც მთარგმნელმა აზრობრივი თარგმანის ხერხს მიმართა, დაეყრდნო რა ტექსტში მოცემულ ყველაზე მნიშვნელოვან ფრაგმენტს, სადაც ბავშვები თამაშობენ ჭვავის მინდორში (ყანაში) კლდის პირას. სათაურის მთავარი კომპონენტი- ჭვავი, აქაც შენარჩუნებულია.

მეორე სათაურში ასევე გაჩნდა საინტერესო კომპონენტი, ეს არის პუნქტუაციის ნიშანი-„კლდის პირზე, ჭვავის ყანაში“, მთარგმნელმა მძიმით გამოყო სათაურში შემოტანილი ახალი დაკონკრეტება. ის ფაქტი, რომ უკვე ნაცნობი ქართული ელემენტი „ჭვავის ყანა“ აქაც მეორდება, ვფიქრობთ, გარდა ლიტერატურულისა, კონკრეტული პრაქტიკული დატვირთვა აქვს.

პირველი რუსული თარგმანი, რომელიც ასევე მეოცე საუკუნის 60-იან წლებში იხილა მკითხველმა სათაურით „Над пропастью во ржи“, ეკუთვნის რუს პოეტსა და მთარგმნელს რიტა რაით კოვალიოვას. უნდა ავღნიშნოთ, რომ სათაურის ეს ვარიანტი ყველაზე უფრო პოეტურია, როგორც სტილისტურად, ასევე რითმულად. ისევ და ისევ, სათაურში ვხვდებით ტექსტის შინაარსიდან აღებულ სიტყვას - „უფსკრულის პირას“ (Над пропастью). უნდა აღვნიშნოთ, რომ თავდაპირველად მოგვეჩვენა თითქოს გარკვეული მონათესავე სტრუქტურული წყობა შეიმჩნევა ამ რუსულ სათაურსა და გ.ჭუმბურიძის თარგმანის სათაურს შორს, თუმცა უნდა ვაღიაროთ, რომ მათ შორის მნიშვნელოვანი სტრუქტურული განსხვავებაა, აღარაფერს ვამბობთ პუნქტუაციაზე.

და ბოლოს, 2008 წელს დაიბეჭდა მაქსიმ ნემცოვის მიერ შესრულებული თარგმანი სათაურით „Ловец на хлебном поле“. მ.ნემცოვმა გადაწყვიტა ორიგინალი სათაურის პირველი სიტყვა „დამჭერი“ (The catcher) წამოეწია წინ და პირდაპირ თარგმნა „Ловец“. ეს ერთადერთი შემთხვევაა, როდესაც სიტყვა „დამჭერი“, რომელიც ასე მნიშვნელოვნად მიიჩნია თავად რომანის ავტორმა, გადმოვიდა თარგმანშიც. რომანის ავტორს სათაურში სიტყვა „The catcher“ შემთხვევით არ შეუტანია. ამ სიტყვას ინგლისურ ენაში და განსაკუთრებით ამერიკულ რეალობაში სწორედ ის დატვირთვა აქვს, რაც ძირითად აქცენტად გასდევს მთელ რომანს და თემატურად კრავს სიუჟეტს. „დამჭერი“-ასე ჰქვია სპორტული თამაშის ბეისბოლის მთავარ მოთამაშეს, რომელიც იჭერს ნასროლ ბურთს, რათა ის მინდორის ზოლს არ გადასცდეს. რომანის მთავარი გმირი ამბობს, რომ ერთადერთი რისი კეთებაც სინამდვილეში მას სურს, ეს არის მინდორში მოთამაშე ბავშვებზე ზრუნვა, ყურადღების მიქცევა, რომ დროზე დაიჭიროს ისინი, რათა კლდის პირა მინდორში მოთამაშენი არ გადაცვივდნენ უფსკრულში. ამრიგად, ეს სიტყვა თავისი შინაარსობრივი დატვირთვით სათაურშივე შლის მთავარი გმირის მხატვრულ სახეს.

რა ხდება ამ მხრივ რუსულ ანალოგიურ თარგმანში? სიტყვის „Ловец“ (დამჭერი) ეთიმოლოგიას რუსულ ენაში უფრო რელიგიური თემატიკისკენ მივყავართ. ბიბლიაში ნახსენებია, რომ მეთევზე ძმები, პეტრე და ანდრია თუ ქრისტეს გზას აირჩევდნენ, თევზის ნაცვლად ადამიანის სულების დამჭერები, გადამრჩენები გახდებოდნენ, რათა კაცობრიობა ცოდვის უბსკრულს გადაარჩინონ. „Будите ловцами человеков“-პირდება მათ იესო. ამგვარად, რუსული ენის მეხსიერებაში სიტყვაზე „Ловец“ უკვე საფუძვლიანად არის დამკვიდრებული ეს დატვირთვა, არა მხოლოდ როგორც დამჭერი, არამედ გადამრჩენელი, მშველელი.

თანამედროვე რუსული ლიტერატურული საზოგადოება კრიტიკულად შეხვდა მ. ნემცოვის ამ გადაწყვეტილებას. მათთვის რელიგიური ეთიმოლოგიის მქონე სიტყვა მიუღებელი აღმოჩნდა ამ ნაწარმოების სათაურისათვის, მაგრამ ჩვენი აზრით ეს ძალიან საინტერესო მიგნებაა. ჰოლდენი ხომ მართლაც მშველელად და გადამრჩენელად ევლინება მინდორში მოთამაშე პატარა ბავშვებს, როგორც მეთევზე ძმები, ისიც მათი უმანკო სულების გადარჩენას ცდილობს სიყალბით და თვალთმაქცობით სავსე სამყაროში.

ჩვენი აზრით, შეუსაბამობა უფრო შესამჩნევია სათაურის მეორე ნაწილში, „на хлебном поле“. გაუგებარია, რატომ გადაწყვიტა მთარგმნელმა შემოეტანა სიტყვა პური, მაშინ, როცა ორიგინალში ჭვავის მინდორზეა საუბარი. კიდევ უფრო უცნაურია ის, რომ თავად მასაც ნაწარმოების ტექსტში ყველგან ჭვავის მინდორი აქვს ნახსენები. თვალსაჩინოებისთვის მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს დედანიდან და შესაბამის თარგმანს, რომელიც მ. ნემცოვს ეკუთვნის:

„You know that song “If a body catch a body comin’ through the rye”;

„Знаешь такую песню – „Если кто ловил кого-то сквозь густую рожь“;

“It’s “If a body meet a body coming through the rye”;

„Там: „Если кто-то звал кого-то сквозь густую рожь“.

ჩვენი აზრით, გაცილებით უკეთესი არჩევანი იქნებოდა „Ловец во ржи“ (დამჭერი ჭვავში), ასეთ შემთხვევაში მთარგმნელი მიაღწევდა ორიგინალთან სრულ ავთენტურობას და გვეჩვენოდა რომანის სათაურის ერთადერთი პირდაპირი თარგმანის ნიმუში.

ის ფაქტი, რომ ოთხივე მთარგმნელი თავისებურად მიუდგა რომანის სათაურს, იმაზე მეტყველებს, რომ თარგმანისადმი ოთხივეს განსხვავებული მიდგომა აქვს. სათაურებს თუ გადავხედავთ და შევადარებთ ორიგინალს, იგრძნობა, რომ თარგმანის შემთხვევაში სათაურები გაცილებით უფრო პოეტური და რომანტიულია.

ლიტერატურა:

1. დ. ფანჯიკიძე, ქართული თარგმანის ისტორიის საკითხები, თბ., 1999.
2. ნ.საყვარელიძე, თარგმანის თეორიის საკითხები, თბ., 2001.
3. В.В. Виноградов, О языке художественной прозы (избранные труды)1980.
4. А. Л. Борисенко, „С любовью и всякой мерзостью“, Иностранная литература 2001, №10.
5. J. D. Salinger, “The catcher in the rye”, 1994.
6. თარგმანები: „თამაში ჭვავის ყანაში“; „კლდის პირზე, ჭვავის ყანაში“; „Над пропастью во ржи“ „Ловец на хлебном поле“
7. И. Капанадзе, Особенности передачи древнегреческих сакральных лексем в славяно-русских библейских книгах, 2012.

Ekaterine Lomtadze

Samtskhe-Javakheti State University

THE TITLE, AS LITERARY-STYLISTIC CHARACTERISTIC OF TRANSLATION LANGUAGE RESUME

In this report Jerome David Salinger’s novel title’s translated variations are being discussed and evaluated for its linguistic and cultural meaning. It’s clearly underlined, that any fiction text is the compound of different stylistic elements and all those elements are united in special literary system. In the process of translation, it’s impossible to avoid adding or omitting of some information that is caused by linguistic and cultural differences of the original and recipient languages. Fiction style widely borrows elements of different styles of the language, which requires flair and profound knowledge of both languages from the translator. Translating the fiction is the special form of the language. This language is given as qualitatively inclusive category, where sometimes styles and eclectic characters are mixed.

Aim of the report is to define who could clearly translate the title from original, where meaningful translation is not justified, as this method is more subjective and largely depends on the perception of the translator. We aim at clarifying how translators created such variety of titles.

With specific examples, there are given obstacles, which translators face while translating the titles, as title contains not only mechanical information, but also short content and symbolic formula of the novel.

Key words: translation, title, novel, field of rye, stylistic features.

ქეთევან მარგაიანი, მარინე კაკაჩია
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
მარინე ჯღარკავა

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი

კონცეპტი თავი ქართველურში

ლინგვისტიკის, კულტუროლოგიის, ეთნოლოგიისა და სხვა მომიჯნავე მეცნიერებათა განვითარების თანამედროვე ეტაპზე შეიმჩნევა განსაკუთრებული ინტერესი კონცეპტებისა და მათი ტიპების შესწავლისადმი. როგორც ცნობილია, „ენის სიმდიდრე განისაზღვრება არა მარტო ლექსიკური მარაგისა და გრამატიკული შესაძლებლობების სიმდიდრით, არამედ კონცეპტური სამყაროს, კონცეპტოსფეროს სიმდიდრით, რომელშიც ყალიბდება ეროვნული ენობრივი პიროვნება“ (მასლოვა, 17). საკითხს სწავლობენ როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული თვალსაზრისით, მიუხედავად იმისა, რომ ჯერ კიდევ გრძელდება თავად კონცეპტის დეფინიციის დაზუსტება. ამ მხრივ ქართველურში უკვე შეიქმნა და თანდათან ივსება სამეცნიერო- პრაქტიკული ბაზა. ჩვენ რამდენიმე კონცეპტი შევისწავლეთ იმ მიზნით, რომ გაგვეჩვენა, რა არის საერთო და განსხვავებული ქართველურის ენობრივ მონაცემებში და რამდენად ესადაგება ისინი ერთიან ლექსიკურ-სემანტიკურ სისტემას. ამჯერად ამ თვალსაზრისით ვცადეთ გამოგვეკვლია კონცეპტი **თავი** სვანურსა და მეგრულ-ლაზურში. ეს კონცეპტი უნივერსალურია, რადგან ნებისმიერ კულტურაშია წარმოდგენილი. იგი კაცობრიობის უძველესი კონცეპტია, რომელშიც აისახება ადამიანის ძირითადი მახასიათებლები, გონება და ინტელექტუალური შესაძლებლობები. „კონცეპტი თავი, როგორც ადამიანის სხეულის უმნიშვნელოვანესი ნაწილი, ჭკუა-გონების სათავსო, ბუნებრივია, არის ნებისმიერი ენის, კულტურის, ყოველი ადამიანის ძირითადი ცნება. ეს აისახება მსოფლიო ხალხების ანდაზებში, ფრაზეოლოგიზმებში, სიმღერებში“ (იმმურზინა, 3).

ლექსემა **თავი** ქართულ ენაში სხვადასხვა მნიშვნელობით გვხვდება: 1. ადამიანის სხეულის ნაწილი; 2. რისამე მწვერვალი ან ზედა ნაწილი; 3. რისამე სარქველი, სახურავი; 4. რისამე წინა ნაწილი; 5. დასაწყისი, სათავე; 6. მიზეზი; 7. ხელმძღვანელი, მეთაური, წამომწყები; 8. თხზულების ნაწილი და სხვ. (ქეგელ, 204). თავი გვხვდება უამრავ კომპოზიტსა და ფრაზეოლოგიაში.

წარმოვადგენთ თავის ლექსიკურ-სემანტიკურ ბუდეებს ქართველურში: 1. სვანურში; 2. მეგრულ-ლაზურში.

1. **სვანურში** „თავი“ არის **თხტიმ**. მისი ლექსიკურ-სემანტიკური ბუდე ასეთია:

თხტიმ – თავი; **თხტიმ გეზალ** – პირმშო, სიტყვასიტყვით „მთავარი შვილი, თავი შვილი“, **მა-თხუმ-ი** – მეთაური, წინამძღოლი; **უ-თხტიმ-ულ** – უთავო, უკუღმართი, უკუღმა; **თხტიმე გუჯ** – კეფა; **ლი-თხტიმ-ალ** „მითვისება, მისაკუთრება“, **თხტიმე მელხნე** – საკუთარი თავის დამლახინებელი; **თხტიმე მგჭრე** – გამრჯე, მშრომელი, საკუთარი თავის „გამამწარებელი“; **თხტიმე მუნტადი** – საკუთარი თავის გამნებვირებელი, **თხტიმმენტე** „თავდახრილი“ ...

სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილია, რომ საერთოქართველურ დონეზე აღდგება არქეტიპი ***თხემ**.

საერთო ქართვ. ***თხემ**–

ქართ. **თხემ**– **თხემ-ი** „თხემი; მწვერვალი“

სვან. **თხუმ**– **თხუმ** „თავი“; **მა-თხტიმ-ი** „მეთაური“

გვხვდება ძველ ქართულ ენაში: ვდგე **თხემსა** ზედა მის ბორცვასა (გამოსლვ. 17,9); ჯდა **თხემსა** ზედა მთისასა (IV მეფ. 1,9); ტერფით შენიტგან ვიდრე **თხემად** შენდამდე (II შჯულთა 28,35 (მცხეთის ბიბლია); თქმული იოვან ოქროპირისა წმინდათა მათ **თხემთა** მოციქულთა პეტრეს და პავლესათვის (A-95 77v, 1-3a) და სხვ.

ქართული **თხემ** – ძირს სვანურში შეესატყვისება **თხუმ** „თავი“. ქართ. ე: სვან. უ ალბათ **მ**–ს ზეგავლენით აიხსნება (გ. მაჭავარიანი, 1956: 367).

სვანურში არის **თხუიმ** ვარიანტიც, მიღებული უმლაუტის გზით.

ქართული და სვანური ენების მასალა შეაპირისპირა მ. ჯანაშვილმა (იხ. R. Erckert, 1895, გვ. 292). გ. კლიმოვმა საერთო ქართველური ფუძე ენის დონეზე აღადგინა ***თხამ**– არქეტიპი. ორივე არქეტიპის (***თხამ**–; ***თხემ**–) აღდგენა გარკვეულ სიმძნელებს აწყდება ქართველურ ენათა შორის არსებულ ხმოვანშესატყვისობათა თვალსაზრისით (ფენრიხი, სარჯველაძე, 1990: 159).

თხუმი (-იშ, **თხუმარ** ბზ., -არ ღნტ., **თხუმემ**, -არ ბქ.), **თხუმ** (-არ) ღმზ. **1. თავი.** ალ დჷს სგა ლახსედა ეშხუ თხუმი (ბზ. 250) -- ამ დევს ერთი თავი შერჩენია. დჷმდჷდ ალის თხუმი ქა ახჷტიც (ბქ. 17) -- დათვმა ამას თავი მოსჷრა. ღაშხე თხუმს ღგე ჯჷთინელ მურყუამ (ღმზ. 1) -- ღაშხეთის თავში ძველი კოშკი დგას. ტახი თხუმიშისა სემი შტატალ ლოქ არი (ღნტ. 279) -- ტახის თავში სამი მერცხალიაო. **2. მეთაური.** ჩოთღორუტეხ დერხი თხუმი მარალს (ბზ. 4) -- ზოგი მეთაური კაცი მოატყუეს. ლილთხუმი ესერ ჩი ხოხალდეს ეჰე, მჰგ 570 თხუმი ირი (ანდ.) -- მეთაურობა ყველამ რომ იცოდეს, ყველა მეთაური იქნებაო. **3. მთავარი, ძირითადი.** თხუმი მოსაჟალ ალ სოფელს ლი კუტეცენ ი სიმინდ (ბქ. 1) -- ამ სოფელში ძირითადი მოსავალი პური და სიმინდია. თხუმ მორაჟი ეჯი ირი (ღმზ. 47) -- მთავარი მედიატორიც ის იქნება. **4. პირის ნაცვალსახელი - თავი.** ჯ' ესერ ჟი ხოჭუტენი ი თხუმიშ ამეჩუ იწური (ბზ. 4) -- მე უკან დავბრუნდები და სისხლს აქ ავიღებო (თავს აქ "ვისისხლებო"). დემის ესერ ხაცრგლნე მიჩა თხუმ დჷმდჷშარს (ბქ. 206) -- ჩემს თავს დათვებს არ დავაფლეთინებო. ლახასისკენ თხუმი ალ დენას (ღნტ. 300) -- ამ გოგოს თავი შესძულდა. **5. თხემი, კენწერო; მწვერვალი.** გოგუერ დედბერ ჟჷმჩედელი კოჯჷ თხუმთემსგა (ბზ. 64) -- კუდიანი დედაბერი კლდის თხემამდე (თავამდე) ასულა. ლირჰალდ ჟი მეჩდე ხჷსჷდ ღწკურიაშ თხუმთეჟი (ბქ. 206) -- გათენებამდე ჭიუხის თხემზე ავედით (ასული ვიყავით). **6. თავნი. მარა თხუმი...** ხად ლეცდე (ბქ. 292) -- კაცს თავნი ჰქონდა მოსატანი. **7. ზმნს.** -- **წინ, თავში.** თხუმ მი ხუი (ბქ. 207) -- თავში (წინ) მე ვარ. **კნინ. თხუმილდ** ზს., ღნტ., **თხუმულ** ღმზ.

თხუმცხენურ (-იშ, -ალ) ღმზ., **თხუმიცხენურ** (-ალ) ღნტ. -- თავშიშველი. დინელ თხუმცხენურ ანჯადხ (ღმზ.) -- გოგონები თავშიშველი მოვიდნენ. თხუმცხენურ ეკლეიხო დემ ღერის (ღნტ.) -- თავშიშველი ეკლესიაში არ მიდიან.

თხუმიუცხენა (-ნაშ, -ნალ ბზ., -ნაშ, -ნელ ღმზ.), **თხუმიუცხენა** (-ნაშ, -ნაუ ბქ., -ნაშ, -ნალ ღნტ.) -- თავდაუვარცხენელი. ალ ბეფშუ ჩი ლადელ თხუმიუცხენა ლი (ბზ.) -- ეს ბავშვი ყოველდღე თავდაუვარცხენლია.

უთხმულ ბზ., **უთხმულ** ბქ., **ინთხმულ** ღმზ., **ითხმულ** ქს., ზმნს. -- უკულმა, თავდაყირა, თავდაღმა. ჭყენტარ უთხმულ ლემარდხ ლაყურალისგა (ბზ.) -- ბავშვები თავდაღმა წოლილან (ყოფილან) ლოგინებში. ესნარი გაზეთ უთხმულ ხალტენა ისმას (ბქ. 252) -- ისმას გაზეთი უკულმა ეჭირა თურმე. მეთეთხ ესერ უთხმულ ხორკა (ბქ.) -- ღამურა თავდაყირა ჰკიდაო.

მუთხუმი, მათხუმი (-მიშ \ -შშ, -არ \ -მა ბზ., -შშ, -არ ბქ.), **მუთხუმი** (-მიშ, -არ ღმზ., -ამ, -ალ ღნტ.) **1. მეთაური, წინამძღოლი.** შჷანე მუთხუმიარ ახჷოლუჷხ შჷანე ჯარს (ბზ. 4) -- სვანეთის წინამძღოლები გასძლოლიან სვანეთის ჯარს. ჯარიშ მუთხუმი დარ იროლე? (პოეზ. 64) -- ჯარის მეთაური ვინ იქნება? **2. მოთავე.** ლისყალე მუთხუმი \ მუთხუმი ჩიგარ ხოშა მარელ ლიხ (ღმზ.) -- შერიგების მოთავე ყოველთვის უფროსი კაცები არიან. ჩიესკივ ხოჩა სჷქმე მუთხუმი ადამოშა სასო ღას (ღნტ.) -- ყველა კარგი საქმის მოთავე ადამიანთ სასო იყო.

ლითხუმი - სახელი ხ-ოთხუმი... ზმნის მოქმედებისა, - წინამძღოლობა, ხელმძღვანელობა, მეთაურობა. სი სჷხელწიფხიშ ლითხუმი სგა ღაშხერაჟ (ბქ. 106) -- შენ სახელმწიფოს წინამძღოლობა ჩაიბარე. ხოჩა სჷქმე ლითხუმი მადილ ლი (ღნტ.) -- კარგი საქმის ხელმძღვანელობა მადლია. ჯარი ლითხუმის დარ ჰპირე (პოეზ. 64) -- ჯარის მეთაურობას ვერავინ ბედავს ("აპირებს").

თხუმრშ, თხურმშ (-იშ, -მშალ) ბზ., **თხუმრშ** (-ალ) ღმზ., **თხუმრშ** (-რაშარ) ბქ. სასთუმალი.

აფხნეგდ ჩოთდარჯე თხურმშ (ბზ. 288) - ამხანაგმა სასთუმალთან დაუდარაჯა. ალსიმშ ჯაყულდ მიზ თხურმშ (ბქ. 101) -- აღმასის დანა სასთუმალთან 569 მიძევს. ეშხუ მუტუარ თხუმრშ ხატურენა (ღმზ. 72) -- ერთი სანთელი სასთუმალთან ენთო თურმე. ოთარს დაშნილ თხუმრშ ხორაკდა (პოეზ. 86) -- ოთარს ხმალი სასთუმალთან ეკიდა.

2. მეგრულ-ლაზურში თავის აღმნიშვნელი საერთო ლექსემაა დუდი და მას, როგორც ქართულში, სხვადასხვა მნიშვნელობა აქვს, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ლაზურში **თავი** არის **თი**, რომელიც გაცილებით პროდუქტიულია სიტყვათწარმოებასა და ფრაზეოლოგიზმებში, ვიდრე **დუდი**. ალიო ქობალიას **თი** მეგრულშიც აქვს დაფიქსირებული: „**თი** ოჯახი, სახლი, გვარის განაყარი; ოჯახის საცხოვრისი; **თავი, მწვერვალი (მთისა);**...“თი-სგან უნდა იყოს ნაწარმოები მეორე ლექსემა - **თია**, რომლის მნიშვნელობებია **წილი, ნაწილი, ხვედრი; ულუფა, კერძი, ჯერი; ქვეგანაყოფი (ჯარისა)**...“ (ქობალია, 315).

ლექსიკურ-სემანტიკური ბუდეები მეგრულში

მეგრულში დუდი ნიშნავს თავს და მას, როგორც ქართულში, სხვადასხვა მნიშვნელობა აქვს:

დუდი - 1. თავი.

მუშენი რე, თაში დუდეჟ გგაჯოგენი?: (ქსს, 2, 40) - „რატომაა, თავი ასე რომ შეგძულდა?“ ჩქიმი დუდეჟ ქგგგალუ: (ი. ყიფშ., 145) - „ჩემი თავი შემოგვევლოს“. დუცგ მერკვათ ნინათია: (ხალხ. სიბრ., 1, 41) - „თავს მოგჭრი ენით“.

დუდი -2. უკუქცევითი ნაცვალსახელი.

სი მუთ გაღოლენი, ირფელი სქანი დუდით. - „რაც დაგემართება, ყველაფერი შენი თავით“.

ჯინუთ ისქილიდუანდუ დუს - „ნადირობით ირჩენდა თავს“. არძო მუშ დუს უმარდუ - „ყველა თავის თავს უმადლის“.

დუდიშო(თ): - ო(თ) თანდებულიანი დუდიში, -- თავისთვის, თავის სასარგებლოდ.

დუდი დო ბოლო - 3. თავი და ბოლო/დუდიშე ბოლოშა(ხე) თავიდან ბოლომდე.

დუდი დო ბოლოქ ვეგიადგინუ ათე ამბეშა - „თავი და ბოლო ვერ შეძლო დაედგა ამ ამბისათვის“. ოსურს ქეჩუ ირფელი დუდიშე ბოლოშ(ახ): (ხუბ.,17) - „მეუღლეს უამბო ყველაფერი თავიდან ბოლომდე“.

დუდი დო დუდი - 4. თავი და თავი /მთავარი/ ძირითადი. ირი საქმეში დუდი დო დუდი თინა რდუ - „ყოველი საქმის თავი და თავი ის იყო“. პჰკომია დუდ-დუდი ოჰკომალი: (ხუბ., 38) „ვჰამეო თავი და თავი საქმელი“.

დუდიოხვამერი//დუდიოხვამური - მთავარი სალოცავი, თავსალოცავი.

დუდი - დღახუ - თავი - დღესასწაული, მთავარი დღესასწაული. ბარბალობა ხორეფიში დუდი დღახუ რდუ - „ბარბალობა ხორავების თავდღესასწაული იყო“.

დუდიშ(ი) ძაფ-ი - თავის ძაფი: აბრეშუმის პარკიდან პირველად ამოსული ძაფი, რომელიც მსხვილია, მოსაქსოვად არ გამოდგება; ხმარობენ სხვა საჭიროებისათვის (მასალები, ტ. 2, ნაწ. 2, გვ. 217).

დუდება // დუდალა //დუდალაფა - 5. თაოსნობა. თავობა, მეთაურობა. ხელმძღვანელობის აღება, რისამე სათავეში დგომა. რაგადუუ მაჟირა მულირი კოჩქ, ნამუთი დუდენდუნი, თიქ: (ხუბ., 16) - „ილაპარაკა მეორე მოსულმა კაცმა, რომელიც თა[ვ]ობდა იმან“. მოჯგირემ დუდალათ გაგმინწყუუ საქმე - „მოკეთის მეთავობით მოგვარდა (გამოეწყო) საქმე“.

დუდ[ი]კათა - თავკაცები. წოხოლე დუდი -კათაქე მოლართეს: (ყიფშ., 99) - „წინ თავკაცები წამოვიდნენ“.

დუდი-კოჭოჭია - 6. თხემი, თავის მწვერვალი. ჯაშ კოჭოჭია დუს ქუგუდოხოდუა -- ხის წვერზე (კი) ავიდაო. კოჭოჭია დუს ქუმოხვადუ ტყვიაქ -- თავის თხემზე მოხვდა ტყვია. ქოგმალე დუდი-კოჭოჭიას -- შემომეველე თავზე (თავის თხემზე).

დუდამი //დუდიორი//დუდიერი - თავიანი (ჰკვიანი, ნიჭიერი). დუდამი//დუდიორი კოჩიე - „თავიანი კაცია“.

დუდით დათმება - თავით დათმობა, დათანხმება, შერიგება. ცხორცხალი დუდით ვადათმენს - „ცოცხალი თავით არ დათმობს: არ შეურიგდება“.

დუდიშა გედგინა - თავზე დადგომა. დუს ქიგიოდირთუ დო შურიში აშალაფაშა ვადარცხიებუ.- „თავზე დაადგა და სიკვდილამდე (სულის ამოხდომამდე) არ მოშორებია“.

დუდიშა გენთხაფა - თავზე დაცემა. დუს ქიგიანთხეს დო გორჩვეს - „თავს დაესხნენ (დაეცნენ) და გამარცხეს“.

დუდიშა გეხუნა - თავზე დაჯდომა, გადატ. გაბრიყვება ვისამე. ნაბეტანი ქიმიირჩქანუ დო დუდიშა გეხუნა დუუპირუ - „ნამეტანი შემოიჩვია და გაბრიყვება (თავზე დაჯდომა) დაუპირა“.

დუდიშა გინორღვაფა - თავზე გადაყრა, გადატ. ჭარბად,ბლომად, თავსაყრელად ქონა რისამე. ირფელი დუდიშა გინარღვაფალი ულუ - „ყველაფერი თავზე საყრელი აქვს“. დუს გინმააწენს ქონება - „ჭარბად აქვს ქონება, თავზე გადასდის“.

დუდიშე გამართება - თავიდან გამართლება. ბაღანაქ დუდიშე ვაგუუმართუ - „ბავშვმა თავიდან არ გაუმართლა“.

დუდიშე ეჩილითაფა - თავიდან აცილება.

დუდიშე მიკოჯინა - თავიდან მიხედვა. თე ამბეს დუდიშე ოკოდუ მიკოჯინა - „ამ ამბავს თავიდან უნდოდა მიხედვა“.

დუდიშე მოშორება - თავიდან მოცილება, მოშორება. მიუთ მიიშორუ დუდიშე - „ძლივს მოცილა თავიდან“.

დუდიშე რჩქინა - თავიდან ცოდნა.

დუდიშე ხეში ეღალა - თავიდან ხელის აღება.

დუდიში ათოლუაფა - თავის აღება; გადატ. გადაწყვეტა. ართ დღას ათიბლეე დუდი დო მიდაბრთი - „ერთ დღეს გადავწყვიტე (ავიღე თავი) და წავედი“.

დუდიში არდება/დუდიარდებული - თავის აგდება; სხვისთვის ანგარიშის გაუწევლობა, არად ჩაგდება, თავაგდებული. ცირა, დუდიარდებული, თენა რდუო მართებული?: (ყიფშ.,120) „გოგო, თავაგდებულო, ეს იყო მართებული?“ მა დუდიში არდება ვეითმაჰოფე - „მე თავის აგდება (დაუფასებლობა) არ შემძლია ავიტანო“.

დუდიში განებება - თავის დანებება, მიტოვება.

დუდიში გიწოტყურუა - თავის გამოტყუება, გადატ. დაძვრენა.

არმას ჯგირი გურით დუდი გეიწოტყურუ: (ხუბ.,27) - „ყველას კარგი გულით თავი დასტყუა (თავი დაიმკრინა)“.

დუდიში გიმოდვალა - თავის გამოდება.

დუდიში გიმორჩინა - თავის გამოჩენა. დუდი გიმირჩინუ ჯგირო - „თავი გამოიჩინა კარგად“.

დუდიში გინოდვალა - თავის გადადება, თავის გაწირვა. ართიდოართიქ გინოდვი დუდი დო ქიდიგურე ქადარდი (ყიფშ.,7) - „ერთ-ერთმა გასწირე თავი და ისწავლე წერა-კითხვა (ქაღალდი)“.

დუდიში გინორაგვაფა / დუდიში გინოჟოთამა - თავის გადაგდება; გადატ. გასვლა. გეგნირაგუ დუდი დო მიდართუ - „გავიდა და წავიდა“.

დუდიში გედგუმა - თავის დადგმა. ჩქიმი ქვიშილი ქიგედგუნს ეს დუს - „ჩემი ქვისლი დაადგამს ამას თავს“. მუთუნ საქმემა დუთქ ვეგიადგე: (ხუბ., 195) - „ვერაფერ საქმეს თავი ვერ დაადგა“.

დუდიში გიშალალა - თავის გამოტანა; დაძვრენა რაიმე საქმიდან. „დუდი გეიშელუ აკობანდლილ საქმეშე - „თავი დაიმკრინა დახლართული საქმიდან“.

დუდიში დიხაშა ზურსაფი / დუდიში დიხაშა მაგაფი - თავის მიწაში კვრა, გადატ. დამარხვა. დუდი დიხაშა ქუბურსეს - „დამარხეს (თავი მიწაში უკრეს)“. დოვკყენი, ვეიშურთუმუ დიდი ხანსი დო დუდი დიხაშა ქუმაგი - „რომ დავწყევლე, არ გასულა დიდი ხანი და დავმარხე (თავი მიწაში ვუკარი)“.

დუდიში გიმე დოვინა / დუდიში დიხაშა დოჩანაფა - თავის დაბლა-დახრა, დაწვევა. უწუ უჩაში ვეზირქ დო დუდის გიმე დუკინ: (ხუბ., 18) - „უთხრა უფროსმა ვეზირმა და თავი დაბლა დახარა“. ირ კოჩქ ართო დიხას ქედააჩანუ დუდი: (ხუბ.,18) - „ყველამ ერთად თავი დახარა“.

დუდიში გოხარცქა - თავის გასკდომა, ძალიან დიდი ტკივილი. დუდი გოხარცქას მილუ - თავი მისკდება, - ძლიერ მტკიცვა.

დუდიში დაზოგება - თავის დაზოგვა. დუს ვაზოგურენს, უდუშვანდებუო მუშენს - „თავს არ ზოგავს, შეუსვენებლად მუშაობს“.

დუდიში დაკება მაღალას - თავის მაღლა დაკავება, სხვის არად ჩაგდება.

დუდიში დაკრება - თავის დაკვრა, მისალმება. ეშელ (ზოშიქ) დო დუდი დუუკრე: (ქხს, 2, გვ. 234) - ამოვიდა (ბიჭი) და მიესალმა (თავი დაუკრა).

დუდიში დორგუაფა - თავის დახრა (საპატივცემლოდ). დუდი თუდო ქიდაარგუ - „თავი დაბლა დახარა“.

დუდიში ეშქუმალა - თავის აშვება.

დუდიში ეჭოფუა//წიმოჭოფუა/დუდიში წიმოჭოფუა - თავის აღება, აწევა; ძალიან ცუდად ყოფნა ფიზიკურად. თავის წამოწევა; წამოდგომა. გოლანერიშაზ ვამწუჭოფუ დუდი - „გუშინდლამდე არ ამდგარა“.

დუდიში მერჩინა - თავის მიჩენა. მკვდარს რომ დაასაფლავებენ, თავის მხარეს დაუდებენ დიდ ქვას ნიშნად იმისა, რომ თავი ამ ადგილას (ამ მხარეს) აქვს.

დუდიში მეჩამა - თავის მიცემა, გაქცევა; გადატ. გაგება.

დუდი ქიმეჩუ ტყას დო ვიშო ინტუ - „თავი მისცა ტყეს და გაიქცა იქით“. იშა სი მეგაჩენო დუდი, მუდოს სო ურსუნი - „იმას შენ გაიგებ (მისცემ თავს), როდის სად წავა“.

დუდიში მიდაღალა - თავის წართმევა, დაუმორჩილებლობა. ცხენქ დუდი მიდულუ - „ცხენი არ დაემორჩილა“.

დუდიში მიკოდვალა - თავის მიდება. დუდიში მიკოდვალა დო ქიდარულუ ხათე - „თავის მიდება და დაემინა მაშინათვე“.

დუდიში მოკირუა - თავის მოკვრა; გადატ. მიჩუმებობა. ათე ამბეს სი ოკო მუუკირე დუდი. - „ეს ამბავი შენ უნდა მიაჩუო (მოუკრა თავი)“.

დუდიში ნწყულა//ნწყულაფა თავის ყვინთვა (წყალში); გადატ. დაჭერა, დაპატიმრება. ციხეშა დუდი ქოუნწყუეს: (ყიფშ., 157) - „ციხეში უკრეს თავი“.

დუდიში ოსხუნური - თავზე უფრო საყვარელი, ძვირფასი. შვიდებით ჩქიმი გრიშა, დუდიში ოსხუნური ჯიმა - „მშვიდობით, ჩემო გრიშა, თავზე უფრო საყვარელო (//გამორჩეულო) ძმაო“.

დუდიში ოხერი - თავისთავის ოხერი, უკუღმართი. დუდიში ოხერი ოსეთის გეგმოჩესია: (ყიფშ.,180) - „თავის თავის ოხერი ოსეთში გაყიდესო“.

დუდიში რსიოლი - თავბრუ. დუდიში რსიოლი უდუ - „თავბრუ აქვს (ესხმის)“.

დუდიში სქილადა - თავის მორჩენა. შელორცათ დუდი დიისქილიდუ - „შელოცვით თავი მოირჩინა“.

დუდიში ცვილუა - თავის მოკვლა. იცვილუნს დუს, მარა ვაუჩქუ მუშენინი - „ბევრს შრომობს (თავს იკლავს), მაგრამ არ იცის რისთვის“.

დუდიში ღალა - თავის მოწონება, ამპარტავნობა. დუდი მეულუ თეში, ნიტე მუთუნს წარმადგინენდასინი - „თავი ისე მოაქვს, ნეტავი რაიმეს წარმოადგენდეს“.

დუდიში ღვენა - თავის ქონა. მუთუნიში დუდი ვაულუ - „არაფრის თავი არ აქვს (შეუძლია)“.

დუდიში შაყარუა // დუდაკოშაყარელი - თავშეყრა, თავშეყრილი. ქოძირუ დუდაკოშაყარელი კათა - „ნახა თავშეყრილი ხალხი“.

დუდიში წურაფა - გადატ. გაგზავნა. ეიკინეს დო ჩხუბიშა ქომიწურეს დუდი: (ხუბ., 42) - „აილეს და ჩხუბში გამგზავნეს (მიკრეს თავი).“

დუდიში წყუნაფა - თავის ტკენა. იშახ დუდი ვარწყუნაფუდას -- მანამდე თავი არ აგტკივებოდეს.

დუდიში ჭკირუა - თავის მოჭრა, შერცხვენა. დუდი მეჭკირუ. -, თავი მოჭრა, - შეარცხვინა“.

კომპოზიტებში:

დუდგანებებული - რასაც თავი გაანებეს, - თავგანებებული. ქომონჯიშე დუდგანებებული ოსური ლე- „ქმრისგან თავგანებებული ქალია“.

დუდგითობუმაფილი - თავგამოკიდებული.

დუდგიმორჩქინელი - თავგამოჩენილი, - ვინც თავი გამოიჩინა.

დუდგინოდვალირი - თავგადადებული, - ვინც თავი გადადო; დუდგინოდვალირი ხანდა - თავგადადებული შრომა.

დუდგინოჟდიფილი / დუდგინოჟდიფილო - თავქუდმოგლეჯილი. ზმნზ. თავქუდმოგლეჯილად, დაურიდებლად. დუდგინოჟდიფილო მინილუ ცუჟა - „მოურიდებლად შევიდა სახლში“.

დუდგინოტაბაკელი - თავგადატვლეპილი; მელოტი.

დუდგინოლობილი - თავგადალობილი.

დუდგოზისხირელი - თავგასისხლიანებული.

დუდ[ი]კვათირი - თავმოჭრილი. ქიგესორგუდუ დუდიკვათირი ნდიეფი - „ეყარა თავმოჭრილი დევები“. ვეჩინგ დუდი - კვათირი კოჩი: (ცაგ., 48) - „ვერ იცნო თავმოჭრილი კაცი“.

დუდგოტახილი - თავგატეხილი, გადატ. უსირცხვილო, უტიფარი, უდიერი.

დუდგოჯოგერი - თავგამეტებული, თავდაუზოგავი (სიტყ.-სიტყ. თავშემულებული). დუდგოჯოგერი კოჩი რე, მუთუნქესათ ვადიკინანს უკახალე „თავდაუზოგავი კაცია, არაფრისგზით არ დაიხვეს უკან“.

დუდ[ი]მოკაღულერი - თავმოკაუჭებული, თავმოხრილი.

დუდ[ი]ქოჩორო - თავქოჩრიანი, თავქოჩორა.

დუდ[ი]მატირკინაფალი - მეტიჩარა; საკუთარი თავის გამოჩენის მოყვარული.

დუდ[ი]უჩა - თავშავი. გადატ. ნიშნავს ყვავს (ტაბუ) (ქესს, 1, გვ. 302).

დუდგინბე - გრძელთავა; დუდრინგვალი//დუდირიგვა - თავმსხვილი; დუდიკვეკვა //დუდირიგვა, დუდირიკვალი - თავკომბალა, თავმრგვალი. დუდგოდორო - დიდთავა. გიდლის მოყვანილობის თავის მქონე.

მეგრულში თავის მნიშვნელობით გვხვდება შემოკლებული ფორმები (**დუს ქიგიოთანდუ - თავზე დაათენდა; დუს ქიგიოტირხუ - თავს დაატყდა**). არც ზმნიზედის წარმოქმნაა მიუღებელი (**დუდგიმე / დუდინე/დუდინეშე - თავდაღმა, თავდაყირა, თავქვე.**

ქანჭიქ ქიდმელახესი დო დუდიგიმე გითობუნა: (ქხს, 1,189) - „ჭიები ავად გაგვიხდა და თავდაღმა ჰკიდიან“.ლეჯიქ დირმლუა დო ბეჟე (როფე) ნიჩვით დუდიგიმე გამნართინუა: (ხალხ.სიბრ.,1,148) - „ლორი გამლა და გობი დინგით თავდაღმა გადაატრიალაო“. მონწყუ ართი ჭყონი, დუდინე ქედნაჩანულ: ი. ყიფშ., გვ. 33 - „მოგლიჯა ერთი მუხა, თავქვე ჩადო (ჩარგო).“

დუდიშე //დუდიშენო - თავიდან. თე დუდიშე მივანწყუათ ხონუა დო ბარუას: (ქხს, 1, გვ. 330) - „ამ თავიდან მივყვეთ (მივწყნოთ) ხენასა და ბარვას“. დუდიშენო კუჩხიშახ -- თავიდან ფეხამდე.

დუდიშე ბოლოშა[ხ] - თავიდან ბოლომდე. დუდიშე ბოლოშა დოხულ: (ყიფშ.,43) - თავიდან ბოლომდე დაარღვია.

დუდიშე - თავაღმა, პირაღმა.

ლაზურში

დუდი არის 1. „თავი“; 2. მწვერვალი; 3. თხემი; თავის ზედა ნაწილი: ჩაქი ქეჭოფუ დო მუმულიში დუდი ნოკვათუ (ყიფშ., 76) „ჯაყვა აიღო და მამალს თავი მოკვეთა“. თიშ დუდის გემიძინ (თანდ., 217) „თავის ზედა მხარეზე მიდევს“.

ძირი **დუდ** გვხვდება წარმოქმნილ სახელებსა და კომპოზიტებში: **დუდერი** კეჟერა ფხალის თავი; **დუდერონი** კეჟერა ფხალის თავიანი; **დუდიმწკო** მსხვილკაკლებიანი წყავის ჯიში (მცენ.); **დუდიკვათა** ადგილის სახელი სარფსიქითა ლაზეთში, სოფ. აზლადამი (თანდ., 217).

დუდი ბაჯენი - დიდთავა; დუდი ბურგალი - თავბოტორა; ბაყაყისთავა; დუდი ჯებათერი - ღარიბი, თავჩაღუნული, „კისერში მოხრილი“, ობოლი: ნანა უღურუმ დუდი ჯებათერი ქოდოსკუდუ (ნენფუნა, 183)- „დედა ვისაც მოუკვდება, კისრემოხრილი (ღარიბი) რჩება“; დუდი ჯებათუ (ვიწ.)- თავი

დალუნა, „მოიწყინა“: ნანა-მუში ოხორის ვარ ძირუს, დუდი ჯაბათუ (ნენფუნა, 183) - „დედამისს სახლში რომ ვერ ნახავს, თავს ხრის (მოიწყენს); **დუდიშე ჯედმალუ** - თავიდან ჩამოვარდნა, თავის ქნევა...; **დუდი ჯენგზალუ** - (სიტყვ. „თავი წაუვიდა“) - აღგზნება, შეშინება, აღელვება; **დუდი ჯენგზერი** - (სიტყვ. თავი ზემოთ“) დრო მზის ამოსვლიდან: მჟორა დუდიშე ჯენგზერი ლიმჯიშა დიშქა მთორით (ნანაფუნა, 183) „მზის ამოსვლიდან სადამომდე (ხე) შეშა ვზიდეთ“; **დუდი მენტხერი** - (სიტყვ. „თავმოკიდებული“), გავლენიანი, ბრძენი, მახვილგონიერი; **დუდი ოტახუ** -1. თავსატეხი, 2. თავის ტეხვა; **დუდი ხუტალი** - თავგოგრა, (ანუ „თავცარიელი“).... და სხვ.

საინტერესოა კომპოზიტი **თიდუდი > თიშდუდი** - „თხემი“, სიტყვა-სიტყვით „თავის თავი“, რომელშიც ორივე ძირია წარმოდგენილი ნიუანსურად განსხვავებული მნიშვნელობებით.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ლაზურში ძირითადად გამოიყენება სიტყვა **თი**, რომლის მნიშვნელობაა „თავი“. ა. თანდილავას ლექსიკონში მოცემულია მისი ფონეტიკური ვარიანტიც **ტი** (თანდ., 709).

თი კომპოზიტებში ძირითადად პრეპოზიციამია წარმოდგენილი.

შეიძლება გამოვყოთ კომპოზიტთა სემანტიკური ჯგუფები:

1. თავის გარეგნული მახასიათებლების გამომხატველი: **თი-ბაგენა** - დიდთავა; **თი-ბლერი** - თავგაპარსული; **თი-ხაპერა** - თავგახოტრილი, თავხოტორა; **თი-მანგანა** - დიდთავა; **თი-ტეტელი** თავშიშველი; **ი-ეშელი** - ლურჯთავა; **თი-მჩხუ** - მსხვილთავა; **თი-ოკოჩითერი** - თავგახეთქილი, თავგაპობილი; **თი-პეხი** მელოტი;

2. ადამიანის ემოციისა და ხასიათის გამომხატველი: **თი-ბუზგულა** - აღელვებული, აჩქარებული; **თი-დვერი** - აღელვებული; **თი-დოქაჩერი** თავდაჭერილი; **თი-მენჯლიმერი** - თავნადრდობი (გამოჩერჩეტებული); **თი-მეჩამეი** - თავგასული: „მა მიჩქინ, თქვა ჰაშო თი-მეჩამეი მოთ ეთ (კარტ., 173) „მე ვიცი თქვენ ასე თავგასული რად ხართ“ ; **თი-ოდგიმაფა** - თავდადგმა, მოწესრიგება; **თი-ოდგიმერი** მოწესრიგებული; **თი-მეჭკირელი** - თავმოჭრილი (შერცხვენილი);

3. თავის მდგომარეობის გამომხატველი : **თი-გებუტა** - თავდახრილი; **თი-გეკიდერი** თავჩაკიდული თავჩაქინდრული: „ქომოხთუ ჰე ბერე ოხორშე თი-გეკიდერი (კარტ., 169) „მოვიდა ის ბავშვი სახლში თავ-ჩაქინდრული“; **თი-გენჯერი** თავდახრილი; **თი-გემალუ** თავგალუნვა: ოსმანი თი-გემალეი ოდას ქამახთუ (ჩიქ., 47) - „ოსმანი თავგალუნული ოთახში შევიდა“; **თი-ეწაზდიმერი** - თავაწეული / **თი-ეზდიმერი** - თავადებული;

4. ადამიანის სოციალური მდგომარეობის აღმნიშვნელი: **თი-გემჩალე** - უფროსი, ხელმძღვანელი: ჰემინდორას ჩალანდარიში თი-გემჩალექ ხარამი-ნა ვარ იფხორტუ, კოჩის უწუ (ჟღენტი, 35) - „იმ დროს (მაშინ) ყაჩაღების ხელმძღვანელმა, არამს რომ (არ იღებდა) არ ჰამდა, კაცს უთხრა...“; **თი-გემჩანუ** - თავის დამდგემელი, თავმჯდომარე: ოფუტეში სუდიში „თი-გემჩანუ“ ბორტი (ჟღენტი,13) - „სოფლის სასამართლოს თავმჯდომარე ვიყავი“.

5. თმის ფორმისა და ფერის გამომხატველი: **თი-კერკელი** - თმახუჭუჭა; **თი-ფოჩხო** - თმბაწეწილი; **თი-ბუჩხი** - თმაწეწილი; **თი-ბარდი** - თავზვინა;

თი-სირმალი წითელ თმიანი: არ ბიჭი, არ კულანი თი სირმალი დოვოინაფ (კარტ., 44) - „ერთ ბიჭს, ერთ გოგოს წითელთმიანს ვშობ“.

ხაზგასასმელია ის, რომ სხვადასხვა თმის ფერით ლაზები სხვადასხვა რელიგიის წარმომადგენლებს აღნიშნავდნენ (სავარაუდოდ, გადატანითი მნიშვნელობით, ფარულად)... : **თი-მჭითა** - თავწითელა (ყიზილბაში); **თი-უჩა** - შავთავა (მუსლიმანი); **თი-ხჩე** - თავთეთრა (ქრისტიანი);

6. სამედიცინო ტერმინები: **თი-სენა** - თავბრუს ხვევა; **თი-ქთალა** - გაბრუება, თავბრუდახვევა; **თიშ-წკუნი** - თავის ტკივილი; **თი-წუნა** - თავის ტკივილი;

7. მრავალცნებიანი კომპოზიტები: **თი-კუჩხე** - თავ-ფეხი; **თი-ტანი** - თავ-ტანი; **თი-თვა** - თავ-პირი: არ მჩხუ ბიგა თი-თვას ქოხომოტახუ (ჩიქ., ჭან. გრ. ან., 84) - „ერთი მსხვილი ჯოხი თავ-პირზე გადამატება“; **თი-ქუნი** - ჭკუა, თავ-ტვინი;

8. ანტონიმები: **თი-ოდგიმუ** - აურ-ზაური და **თი-ოდგუ** - თავის დადგმა, მოწესრიგება

9. ჰიბრიდული კომპოზიტები: **თი-ქუნი** - ჭკუა, თავ-ტვინი; **თიშდუნი** (ლაზ.-თურქ. თიშ-yuni) თავშალი [პარალელურად გვხვდება საკუთრივ ლაზური ძირებით თხზული: **თი-ეწაღმალე** თავსაბურავი; **თიშ-მოთვალუ** - თავსახური: არ ჩქვა თიშდუნი ქემიჭოფი! (თანდ., 289) - „ერთი კიდეც თავშალი მიყიდე!“; **თიში** მოთვალუ ვა მაძიუ (კარტ., 123) - „თავზე დასახური ვერ ვნახე“.

11. ზმნიზებები: **თი-გალე** - გარეთ (გარეთკენ); **თი-გემთუმანი/ თი-ემთუმანი** - თავდაღმა; **თი-დოლოზე** - შიგნიკენ; **თი-თუდე** - თავქვე; **თი-მელე** - იქითკენ; **თი-მოზგვალა** - თავდაყირა; **თი-მოლე** - აქეთკენ; **თი-ჟილე** - ზემოთკენ; **თი-წალე** - ქვემოთკენ;

12. ნაცვალსახელები: **თი-მუშუმენი** - თავისთვის, თავის თავისათვის;

ლაზურში გამოიყენება თურქულიდან ნასესხები ძირები:

1. **ბაში**¹ (თურქ. başı) თავი; პირველადი, მეთაური, გადატ. - კარგი, უკეთესი: გზას გედგითა-ში-კულე თელ ბოზოფეშ ბაში (რე) (ყიფშ., ჭან. ტექსტ., 23) - „გზაზე რომ დადგები მთელი გოგოების თავი (თვალი) ხარ“. მუ გიწუ ნანა სქანიქ მერდევენ ბაში-კალა (ყიფშ., ჭან. ტექსტ., 68) - „რა გითხრა დედა შენმა კიბის თავთან“; **ბაში**² (თურქ. baş) გადატ. თავის მობმა, ხელმძღვანელობა, დაწყნარება: უკულე ჰემ კოჩის ოხარჯალეფეშ ბაში ვარ ახენუდორე... (ყიფშ., ჭან. ტექსტ., 56) - „მერე იმ კაცმა ამ ქალებს ხელმძღვანელობა ვერ გაუწია, ვერ დააწყნარა“. **ბაში**³ (თურქ.) ნავის თავი: ჭელუკა ძალი - ძალი, ბაში-კიჩი ბოძალი (კარტ., 217) - „ნავო ნაპირ-ნაპირ, თავი და კიჩო შეღებილო“. **ბაში**⁴ (თურქ. baş) მოთავეობა (საქმის): ... დეჟოფინუთე ბაში ვარ მახენენან!...(ჩიქ., ჭან. გრ. ან., 21) - „ყიდვას ვერ ვმოთავეობთ“.

ბაშლული (თურქ. başlık) ყაბალახი (თავსაბური): ბაშლული ქოდომისქიდუ!...(ჩიქ., ჭან. გრ. ან., 112) - „ყაბალახი დამრჩა“; **ბაშლული** (თურქ. başluk) - უფროსობა, მეთაურობა; **ბაშლულონი** - ყაბალახიანი;

2. **კაჭა** (თურქ. kafa) თავი: კოლი მოხთუ დო ორჭაფეფეში არ ნაფენში კაჭას ქონობტუ-დორენ (დიუმეზ.,IV, 139) - „კალია მოვიდა და ორჭელების ერთი რომ არის იმის (ერთ-ერთ ორჭელის) თავზე დაჯდა“.

ამ ლექსემასთან დაკავშირებით მეგრულ-ლაზურში საკმაოდ ბევრი ანდაზა გვაქვს, რაც იმის დასტურია, რომ ხალხურ აზროვნებასა და ეთნოკულტურაში **თავს** დიდი მნიშვნელობა ენიჭება. წარმოგიდგენთ რამდენიმე მაგალითს:

ანდაზებში:

დუდიში წყუმილი კურხის მუთას ელაკითხანსია: - „თავგახსნილი (ჭკვიანი) ფეხს რჩევას არ ჰკითხავსო“.

დუდიშა ქეგმაშქვინენ-და, ჭკის ირი კოჩი ქოფჩანს: - „თავზე თუ ხელს დავირტყამ, მჭადს ყველა მაჭმევს“.

დუდიში უბედური ოფსეთის (ჩოხათის) გ მოჩესია: - „თავის უბედური ოსეთში(ჩოხათში) გაყიდესო“.

დუდიში ცქვაფა კაპეკი კილარხვილშა ვაღირ ნია: - თავის ქება გახვრეტილ კაპიკად არ ღირსო“.

დუდშა სი ოკო ვეცქუე, შხვაქ ოკო გოცქუასია: - „თავი შენ არ უნდა იქო,სხვამ უნდა გაქოსო“.

თი სქანი სი მო ომცქვაფ, ბაშქაქ გომცქვას: - „შენს თავს ნუ აქებ, სხვამ გაქოს“.

თიქ გიჭკოუმს-ნა, წანა-სქანის ვა ბოწკუ: - „თუ თავი გიჭრის, შენს ასაკს არ ვუყურებ“.

თი ჩქიმიში დოხთორი მან ვორე: - „ჩემი თავის ექიმი მე ვარ“.

თი სქანი სი ოქაჩაგინონ: „ შენი თავი შენ უნდა შეიკავო“.

თი ჩქიმიში სელამეთი ნენა-ჩქიმიში უჯის რენია: - „ჩემი თავის სამშვიდობო ჩემი ენის წვერზეაო“.

(შეროზია რ., მემიშიმი ო.)

დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ ქართველურში კონცეპტი **თავი** მოიცავს მოიცავს სხვადასხვა სემანტიკური ხასიათის ლექსემებს, ფრაზეოლოგიზმებს, რომლებიც აღნიშნავს ქართველი ხალხის უძველეს წარმოდგენებს თავის, როგორც ადამიანის ყველაზე მთავარი სხეულის ნაწილის შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ ქართული, სვანური და მეგრულ-ლაზური გამოიყენებს სხვადასხვა ძირებს, არის თანხვედრები ლექსიკური და სემანტიკური თანხვედრები თხზულ სახელებსა და ფრაზეოლოგიზმებში, ანდაზებში, რომლებიც, როგორც ცნობილია, ხალხური ისტორიული აზრის გადმოცემის უძველესი ფორმაა. ეს თანხვედრები გვაძლევს უფლებას დავასკვნათ, რომ კონცეპტი **თავი** ქართველურში ერთიან სისტემას ასახავს.

ლიტერატურა:

1. ასათიანი ი., „ლაზური ლექსიკონი“, თბილისი, 2012;
2. დიუმეზილი ჟ., „ლაზური ზღაპრები და გადმოცემები“ (მ. ბუკია, ლექსიკონი), თბილისი, 2009;
3. თანდილავა ა., „ლაზური ლექსიკონი“, თბილისი, 2013;
4. თოფურია ვ., ქალდანი მ., სვანური ლექსიკონი, თბ., 2000;
5. იშმურზინა, Ишмурзина И. А., Чжан Миньсинь, Концепт «голова» в русской и китайской языковых картинах мира, <https://cyberleninka.ru/.../sravnenie-russkoy-i-kitayskoy>
6. ლიპარტელიანი ა., სვანურ-ქართული ლექსიკონი (ჩოლურული კილო) თბ. 2014;
7. მასლოვა ვ., Маслова В. А. Введение в когнитивную лингвистику, М., 2004;

8. ნენაფუნა, - ბუჩაკლიში ი., უზუნჰასანოგლუ ჰ., ალექსივა ი., დიდი ლაზური ნენაფუნა, İsmail Bucaklışı, Hasan Uzunhasanoğlu, İrfan Aleksiva, Büyük Lazca Sözlük, Didi Lazuri Nenapuna, სტამბული, 2007;
9. ჟენტი ს., ჭანური ტექსტები, თბ., 1936;
10. სამუშია კ., ქართული ხალხური პოეზიის საკითხები, მეგრული ნიმუშები, თბ., 1979;
11. სვანური ენის ქრესტომათია, (ტექსტები შევრიბეს ა.შანიძემ, მ. ქალდანმა, ზ. ჭუმბურიძემ), თბ. 1978;
12. ფენრიხი ჰ., სარჯველაძე ზ., ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბ., 1990;
13. ქართული ხალხური სიტყვიერება, მეგრული ტექსტები, ტ. მე-2, თბ., 1991;
14. ქაჯაია ო., მეგრულ-ქართული ლექსიკონი, I-IV ტომები, თბ., 2001-2006;
15. ქეგლ, ტ. მე-4, თბილისი, 1955;
16. ქობალია ა., მეგრული ლექსიკონი, თბ., 2010;
17. შეროზია რ., მემიშიში ო., მეგრული და ლაზური ანდაზები, თბ., 1994;
18. ჩიქობავა არნ., I, „ჭანური ტექსტები“, ტფილისი, 1929;
19. ჩიქობავა არნ., „ჭანურის გრამატიკული ანალიზი“, 1936;
20. ცაგარელი ა. Мингрельские этюды, первый выпуск. Мингрельские тексты с переводом и объяснениями. Санкт-Петербург, 1880;
21. ყიფშიძე ი., რჩეული თხზულებანი, თბ., 1994;
22. ყიფშიძე ი., ჭანური ტექსტები“, ტფ. 1939;
23. ხუბუა მ., მეგრული ტექსტები, ტფ., 1937.

Ketevan Margiani, Marine Kakachia

Sokhumi State University

Marine Jgharkava

Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Arnold Chikobava Institute of Linguistics

CONCEPT ‘TAVI’ (HEAD) IN KARTVELIAN LANGUAGES

RESUME

At the present stage of development of Linguistics, Culturology, Ethnology and other related sciences a special interest is taken in study of concepts and their types. As it is known “the richness of language is defined not only by the richness of vocabulary and grammatical means, but also by the fullness of concept world in which a native- language speaker is developed”(Maslova, 17). This issue is studied from a theoretical point of view and from practical too, though clarification of the definition of concept is still going on; With regard to it the scientific –practical base has already been created and is being expanded gradually in the Kartvelian languages. We’ve studied three concepts to make clear what is common and what is different in the linguistic data of the Kartvelian languages and how well they match the unified lexico-grammatical system. Regarding to it, this time, we have studied concept ‘Tavi’ (head) in Svan and Laz languages. In Svan ‘Tavi’(head) is expressed by the lexeme თბ იმ (thwim), in Megrelian and Laz languages by დუდი (dudi) (a common root) and თი (thi) (only in Laz); Though some borrowed roots from the Turkish language are seen (ბაში, კაფა -bashi, kafa).

წარჩინებულ მაჰმადიან ქართველთა გვარები ასპინძის მუნიციპალიტეტის მიხედვით

მე-16 საუკუნის ბოლოს დაპყრობილ მესხეთში საათაბაგოს გამგებელნი ცდილობდნენ ქართული სოციალურ-პოლიტიკური სისტემის შენარჩუნებას და თურქეთის წინაშე მოხარკეობას კისრულობდნენ, რაც იმას ნიშნავდა, რომ ქვეყანაში ქრისტიანული სარწმუნოება ხელშეუხებელი დარჩებოდა, მაგრამ თურქები დათმობაზე არ მიდიოდნენ და ათაბაგებს „სრულად მის მამულს“ გამაჰმადიანებისა და ფაშობის პირობით აძლევდნენ (შარაშიძე, 1961: 53).

მ. სვანიძის ცნობით, მე-17 საუკუნის 30-იანი წლებისათვის ახალციხის საფაშოს ფეოდალთა კლასის უმრავლესობა ჯერ ისევ ქრისტიანია. ლალა ფაშას სამცხე-საათაბაგოს ფეოდალებისათვის უფლება მიუცია, დარჩენილიყვნენ ქრისტიანებად, შეენარჩუნებინათ თავიანთი მამული და თანამდებობა მემკვიდრეობის უფლებით. ეს წესი ძალაში ყოფილა როსტომ ფაშას დრომდე (სვანიძე, 1971: 322). როსტომ ფაშას დროს გამოცემულა ბრძანება, რომ ყოველ დიდ მოხელეს უნდა დაეტოვებინა ქრისტიანული რელიგია, უარის შემთხვევაში დაკარგავდნენ თანამდებობებსა და პრივილეგიებს. ფეოდალისათვის მაჰმადიანობა გარდაუვალი იყო. ხშირად მშობლებსა და შვილებს, დებსა და ძმებს ერთ ოჯახში სხვადასხვა სარწმუნოება ჰქონდათ. ამის მაგალითად პროფ. შ. ლომსაძე ასახელებს მე-18 საუკუნის დასაწყისში ხეობაში მჯდარ გიორგი ავალიშვილს, რომელიც ქრისტიანი იყო და სამცხეს, სოფელ ლოგათხევში მყოფ გიორგის ძმას, უკვე მაჰმადიანს (ლომსაძე, 2011: 287). ვახუშტის ცნობით, „ივლტოდიან კვალადცა, რომელთა არა ინებეს გამაჰმადიანება: ქართლს, იმერეთს, ოდიშს, გურიას, კახეთს... მოისპობოდენ ეპისკოპოსნი, თვინიერ ადგილ-ადგილ იპოვებოდნენ მღუდელნი“ (ვახუშტი, 1973: 169). თურქთა აგრესიამ და დაპყრობამ სახრეთ საქართველოს მიგრაციული პროცესები განაპირობა. საისტორიო წყაროებზე და ეთნოგრაფიულ მონაცემებზე დაკვირვება ნათელყოფს, რომ სამცხელთა გადასახლებანი ძირითადად დასავლეთ საქართველოსაკენ (გურია, იმერეთი) იყო მიმართული, ჯავახები კი აღმოსავლეთ საქართველოში (ძირითადად ქართლში) მიგრირდებოდნენ (თოფჩიშვილი, 2013: 83).

ნაშრომში მიმოვიხილავთ წარჩინებულ მაჰმადიან ქართველთა გვარებს: **აბაშიძე, ავალიშვილი, დიასამიძე, ვაჩნაძე, ზუბალაშვილი, თულავეი, მაჩაბელი, ორბელიანი, ფალავანდიშვილი, შალიკაშვილი, ხიდირბეგიშვილი**, რომელთა ერთი ნაწილი პირსახელიდან მომდინარეა, ნაწილი – გეოგრაფიული სახელიდან, ზოგს მეტსახელი უდევს საფუძვლად. აღნიშნულ გვართა გაქრობა სოციალ-პოლიტიკურმა ვითარებამ განაპირობა. ამჟამად ასპინძის მუნიციპალიტეტში თერთმეტი გვარიდან მხოლოდ ერთი ფიქსირდება – დიასამიძე.

აბაშიძე – მომდინარეობს საკუთარი სახელიდან აბაშ-ი, რომელიც დადასტურებულია „ქართლის ცხოვრებასა“ და „ტბეთის სულთა მატინაში“. ალ. ლლონტს მითითებული აქვს: აბაშ, აბაში, აბაშო, აბეშ – მამაკაცთა სახელებში, აბაშა – ქალთა სახელებში (ლლონტი, 1967: 43, 169). „პირველი დოკუმენტური ცნობა ამ საგვარეულოს შესახებ XV საუკუნის II ნახევარს ეკუთვნის. XV-XVI სს. მიჯნაზე ზემო იმერეთში ჩამოყალიბდა აბაშიძეების სათავადო, რომელიც განსაკუთრებით გაძლიერდა XVIII ს. მიწურულსა და XVIII ს. I ნახევარში. აბაშიძეები იყვნენ იმერეთის მეფის უძლიერესი ვასალები. 1774 წელს ერეკლე II-მ თავის სიმამრს ზაალ აბაშიძესა და მის შვილებს კახეთში უბოძა ყმა-მამული. კახეთის აბაშიძეები მათგან მომდინარეობენ. იმერელი აბაშიძეების განაყოფად მიიჩნევენ ქართლის აბაშიძეებსაც. XVIII ს. I ნახევარში იმერელი აზნაური აბაშიძეები ბათუმის მხარეში ჩასახლდნენ, გამაჰმადიანდნენ და ოსმალთა მთავრობისაგან სანჯაყ-ბეგობა მიიღეს (ქსე, 1975: 20). მესხი აბაშიძეების აჭარიდან წარმომავლობაზე საუბრობს დავით ზედგინიძე: „თოკელი აბაშიძეები ბეგები იყვნენ. რაც ბაღებია თოკში, სულ აბაშიძეების ბაღებია. ესენი აჭარიდან გადმოსული აბაშიძეები იყვნენ. მოვესწარი მე, ვამხანაგობდით ერთმანეთთან“ (ბერიძე, 2005: 421).

ს. ხოსიტაშვილისა და ა. ფრონელის ინფორმაციით, ხერთვისა და თოკში ბეგებად აბაშიძეები იყვნენ, ამასვე ადასტურებს ინფორმატორ ვასო ასპანიძის მოგონება: „თოკში ბეგები იყვნენ აბაშიძეები, ბატონები იყვნენ და ემ პატარა სოფელ ოთხი ბეგი ჰყავდა“ (ბერიძე, 2005: 148). ა. მარტიროსოვის „ქართული ენის ჯავახური დიალექტის“ თანდართულ ტექსტებში იკითხება: „საროში ყოფილან მებატონეები აბაშიძეები, სამი ძმანი, გაუკეთებიათ სამი ციხე თავენტვინ, ეკლესიაც გაუკეთებიათ. ჩონ ეკლესიაში ერთი ხატი იყო წინათ, ძოლი დარჩენილი, (ზედ)

დაწერილი იყო: „ქრისტე, ადიდე ძენი აბაშიძენი და გლახაკი ივანე“. აბაშიძეები რო შეუწყუხებიათ, თათრობა მიიღეთო, ამდგარან და თოკში გადასახლებულან, ვითომ დამალიან თათრებს, მაგრამ იქაც მიუგნიათ და გაუთათრებიათ“ (მარტიროსოვი, 1995: 139).

ავალიშვილი – ფეოდალური საგვარეულო საქართველოში, დაწინაურდა მე-15-მე-16 სს. ძველი თორის მხარეში. აქ ჩამოყალიბდა ავალიშვილების სათავადო (საავალიშვილო), ცენტრი სადგერი იყო. საავალიშვილო 1535-1545 წლებში იმერეთის სამეფოში, ხოლო 1545 წლიდან სამცხე-საათაბაგოში შედიოდა. მე-16 საუკუნის 70-80-იან წლებში ოსმალებმა დაიპყრეს. მე-17 საუკუნეში ავალიშვილების ერთი ნაწილი შიდა ქართლში, კახეთსა და იმერეთში გადასახლდა, საკუთარ მიწა-წყალზე დარჩენილნი გამაჰმადიანდნენ და ბეგების წოდება მიიღეს (ქსე, 1975: 114); ავალიშვილები ძველად ციციშვილთა გვარს ენათესავებოდნენ და წინაპარს სახელად ავალა ერქვა. თავდაპირველად სახლობდნენ ახალციხის ახლომახლო, როცა ათაბაგი „განდგა და დაიპყრა ახალციხე თავისად შეწევნითა თურქთა წელსა 1601, მათგან რომელიმე შთავიდნენ იმერეთს, სხვანი მოსახლე იყვნენ ძველადვე მტკვრის ხეობასა შინა და იწოდებოდნენ მტკვრის მოურავად და მერე მტრიანობის მიზეზთა აიყარნენ და შთამოვიდნენ ბრეთსა. რომელნიმე განვიდნენ კახეთს და არიან მუნითგან წოდებულნი ავალიანნი ქართლს მოსახლენი და კახეთს მოსახლენი, ხოლო ქართლს მოსახლენი არიან უპირველესნი: პეტრესშვილები, გოგიასშვილები, ანუ გიორგისა და სხვანი ამათნი სახლის კაცნი“ (საანალიზო ლექსები... 21); ავალიანები და ავალიშვილები ერთი ძირისანი არიან. ისტორიულად სამცხის სათავადო გვარეულობაა. ვახუშტი მთავართა და წარჩინებულთა გვარებს შორის იხსენიებს (ქართლ. ცხ. IV, 34) (ახუაშვილი, 1994: 196). ა. ლლონტი „ქართველურ საკუთარ სახელებში“ ადასტურებს ავალ და ავალო ფორმებს (ლლონტი, 1967: 45). ს. მელიქიძე ახალდაბის (ბორჯომის რაიონი) მცხოვრებთა შორის აფიქსირებს ავალიშვილებს და განმარტავს, რომ მე-19 საუკუნის 50-იან წლებამდე ხეობა მათ ეკუთვნოდათ; შემდეგ ჩამოურთმევიათ რომანოვებს და ხაზინისთვის გადაუციათ. ძნელბედობის ჟამს წასულან კახეთში, ქართლში, სამეგრელოში, სამცხეში (აქ ზოგს მუსულმანობაც მიუღია); მეცნიერის აზრით, ფუძე მესხეთიდანაა (მელიქიძე, 2009: 174). ავალიშვილები სოფელ ოშორის ბეგები ყოფილან. მიუხედავად იმისა, რომ ზედა და ქვემო ოშორა ქართველი მაჰმადიანებით იყო დასახლებული, მათ სკოლაში რუსულ-თურქული სწავლება მიმდინარეობდა, მოსახლეობა „ქართულის სწავლებასა და წიგნს მოკლებული ყოფილა“. ცნობილი პუბლიცისტის ილია ალხაზიშვილის საგაზეთო წერილით ვიგებთ, რომ „ერთხანს აქაურები სკოლის გარეშე კი ხალისით ასწავლიდნენ ერთმანეთს მამა-პაპურ ქართულ ანბანს. ამ სოფლის ბეგი ავალიშვილი ქართველობას ჩემულობდა და მამულიშვილობაზედ მოჰქონდა თავი“ (სუდაძე, 1998: 61). ცნობილია, ერთ-ერთმა ავალიშვილმა აკად. ექვთიმე თაყაიშვილს მოგზაურობის დროს უსახსოვრა დიდი რუდუნებით შენახული ვეფხისტყაოსნის ხელნაწერი (ლომსაძე, 1996: 87).

დიასამიძე – წარჩინებულ გვარეულთაგანი სამცხეში (ქართლ. ცხ., IV, 35); საკ. სახ. დიასამ (ლლ. სახელები); დიასამიძის სახლი მაწყვერელის სამწყსოშია მოხსენიებული (ჟორდ., II, 53) (მაისურაძე, 1990: 56). ისტორიული წყაროებში მითითებულია, რომ დ[ი]ასამ დ[ი]ასამიძე მოწმედაა დასახელებული იესე ხერხეულიძის ყმის ნასყიდობის წიგნში (1676წ.); ხოლო მე-16 საუკუნის შუა წლებში დიასამიძე ვახუშტი, სამცხე-საათაბაგოს პოლიტიკური მოღვაწე, მხარს უჭერდა ქართლის მეფეს ლუარსაბ I-ს (ახუაშვილი, 1994: 327). ყველაზე ადრინდელი საბუთი, რომელშიც დიასამიძეები არიან მოხსენიებული, 1443 წლით თარიღდება: ვარამ დიასამიძეს, ავთანდილისა და დიასამის მამას, შიოს კათალიკოსობის დროს, სვეტიცხოვლისათვის შეუწირავს ყვებისელი გლეხი ფერიაშვილი თავისი მამულით (პალ, 1993: 78). დიასამიძეები ლობიეთის მმართველებად ჩანან მე-16 საუკუნეში: „ლობიერნი, სასაფლაოთა, მონასტრითა და კარის ეკლესიითა, დიასამიძეთა აქუს“ (შარაშიძე, 1961: 31).

ვაჩნაძე – საკუთარი სახელიდან (ვაჩა, ვაჩე) მომდინარედ თვლის ი.მაისურაძე, ამავე ფუძისად მიაჩნია ვაჩაძე და ვაჩიშვილი (მაისურაძე, 1990: 65). ზ.ჭუმბურიძის აზრით, ვაჩე ძველ საქართველოში ფართოდ გავრცელებული სახელი იყო, ერქვა ქართლის მეოცე მეფეს; წარმოშობით ირანული სახელია და ყმაწვილს, ბავშვს, ბიჭს, შვილს ნიშნავს. შდრ. ქართული „ბიჭიკო“ (ჭუმბურიძე, 1992: 112). ა. ლლონტთან დაფიქსირებულია: ვაჩან, ვაჩე, ვაჩიტო (ლლონტი, 1967: 79). ჯავახეთში არის სოფელი ვაჩიანი, რომელიც შესაძლებელია ადრე ვაჩნაძეთა მემკვიდრეობას წარმოადგენდა. ვაჩეს გავრცელება ქართულ მოსახლეობაში დოკუმენტურად დასტურდება X საუკუნის შუა ხანებიდან. ვაჩე ერისთავი (პირობითად 964წ.) ფიგურირებს კუმურდოს წარწერებში: „სახელითა ღმრთისაითა, მე, იოვანე ეპისკოპოსმან დაუდევ დღე აღუსებაი ალაპად ვაჩე ერისთავსა. ვინ შეცვალოს – კრულია ამით ხატითა, ჩემითა ჯუარითა“ (სილოგავა, 1994: 84). ვაჩაი გურაისა და მირაის გვერდით, რომლებიც „როგორც ჩანს, ძმები იყვნენ, შესაძლებელია ერთად დაღუპულები“, მოხსენებულია ხეოთის სამრეკლოს წარწერებში (X-XI სს.): „ქრისტე განუსვენე სულსა ვაჩაისასა, გურაისასა, მირაისასა“. ამ სახელების კნინობითი ფორმით გადმოცემა, ვ.სილოგავას აზრით,

საკუთარ სახელთა სოციალური ბუნებით უნდა აიხსნას და მოწმობს, რომ წარწერაში დასახელებული პირები წერილი აზნაურებია (სილოგავა, 1997: 17, 28).

გვარსახელთა ფუძეებში ფონეტიკური პროცესების ტიპობრივ შემთხვევად განიხილავს ი.მაისურაძე ვაჩნაძეს, რომელშიც ი ხმოვანი ამოვარდება: ვაჩინასძე > ვაჩნაძე. შდრ. ჯიბლაძე < ჯიბილასძე, მელქაძე < მელიქასძე, სანგია < სანიგია. ვაჩინა, თავის მხრივ, კნინობითი ფორმაა საკუთარი სახელისა ვაჩე, – დასძენს მეცნიერი (მაისურაძე, 1979: 54).

ფურცელაანთ ქრონიკის მიხედვით, ასპინძის ბრძოლაში თავი უსახელებია ახალგაზრდა ლუარსაბ ვაჩნაძეს (ჟორდანი, 1967: 320).

ახალციხის საფაშოს ბოლო წლების პოლიტიკურ ისტორიაში საინტერესო ფიგურაა ხერთვისის სანჯაყ ბეგი აღზიაჩული, იგივე მამედ ბეგ ვაჩნაძე, რომელიც ჩანს მე-19 საუკუნის 20-იანი წლების (1816 წ.) მესხეთის აჯანყების მეთაურად. ამ ბრძოლის შემდეგ ერთიორად გაზრდილა მამედ ბეგ ვაჩნაძის ავტორიტეტი, საფაშოში მის დაუკითხავად არცერთ მნიშვნელოვან საკითხს აღარ წყვეტდნენ თურმე (ლომსაძე, 2011: 147-151).

აღსანიშნავია ერთი ფაქტი: გ. ბოჭორიძე სიძველეთა დაცვის კომიტეტისათვის მიწერილ მოხსენებით წერილში სიძველეების დაცვისა და საზოგადო სამსახურისათვის ერთდროული დახმარების მიცემას ან მადლობის წიგნის გაგზავნას ითხოვს ხერთვისელი რწმუნებულისათვის, ხალის ვაჩნაძისათვის (ბოჭორიძე, 1992: 253). ეს ის ბოქაული ხალისბეკ ვაჩნაძე უნდა იყოს, რომელმაც ნაზირა ვაჩნაძის პაპის – სულეიმან ვაჩნაძის, ძირძველი ხერთვისელის, – გარდაცვალების შემდეგ მისი შვილების მეურვეობა, როგორც განაყოფმა, თავის თავზე აიღო. ეს არის დადასტურება იმისა, რომ გასული საუკუნის 30-იანი წლებისათვის ვაჩნაძეები ჯერ ისევ ცხოვრობენ ხერთვისში და წარჩინებულ თანამდებობებზეც არიან.

ზუბალაშვილი/ზუბალოვი – გვარს უკავშირებენ საკუთარ სახელს ზუბა. ამავე ძირისად მიაჩნიათ: ზუბაშვილი, ზუბიაშვილი, ზუბაძე. შდრ. ზუბიტაშვილი, ზუბულაშვილი (მაისურაძე, 1990: 70). „ქართველურ საკუთარ სახელებში“ დასტურდება: ზუბა, ზუბაია, ზუბია, ზუბიტა, ზუბელი, ზუბუა (დლონტი, 1967: 82). გ.ბოჭორიძესთან საუბარში, ასპინძელ მოხუცს განუცხადებია, ზუბალა არის ჩემი გვარიო (ბოჭორიძე, 1992: 18). ასპინძის მკვიდრთა გვარებში ზუბალაშვილები მითითებული აქვს ს.ხოსიტაშვილს (ბერიძე, 2009: 32). მე-17 საუკუნეში ასპინძის ზუბალაშვილები „შეძლებულნი იყვნენ, ქვეზეზად ირიცხებოდნენ და ოსმალთ წინაშე ცნობილნი იყვნენ, ვითარცა მათი ერთგულნი. მაგრამ ნამდვილად კი ასე არ ყოფილა, – გვამცნობს ზ.ჭიჭინაძე, – ზუბალაშვილები დიდი თანამგრძნობი ყოფილან მეფე ერეკლესი, რომლისთვისაც მათ იმედები უძლევიან თმში საიდუმლო დახმარებისათვის“ (ჭიჭინაძე, 2017: 6). მეფე ერეკლეს ერთგულებისათვის ფაშას გაუსამართლებია ისინი და კათოლიკობის მიუხედავად, გათათრება მოუთხოვია. „ზოგნი წინააღმდეგნი გამხდარან გათათრებისა, მამულისათვის თავი დაუნებებიათ და სხვაგან გადასახლებულან, მამულები კი მეგვარეებისათვის დაუტოვებიათ. ვინც ასპინძას დარჩენილან, იმათ ცხოვრების საქმე ძალიან გასჭირვებიათ და ფაშისთვის გამოუცხადებიათ გათათრების ნატვრა“ (ჭიჭინაძე, 2017: 6). ზ.ჭიჭინაძისავე ცნობით, გათათრების შემდეგ ერთი კომლი ახალშენში დაუსახლებიათ, დანარჩენები კი ასპინძაში დაუტოვებიათ. 1877 წლის ომის შემდეგ ზუბალაშვილების რამდენიმე ოჯახი ოსმალეთში გადასულა. 1903 წლისათვის ასპინძაში უცხოვრია ზუბალაშვილების ერთ კომლს, რომელთაც დავიწყებული ჰქონიათ ქართული და „ნამდვილი თათრის ფანატიკები“ გამხდარან.

თულავეი – 4 კომლს უცხოვრია ტოლოში, ოდნავ სახეცვლილი ფორმით – თულივეი – ეს გვარი დასტურდება ახალქალაქის მაზრის სოფელ დიდ ხოსპიოში (თოფჩიშვილი, 2016: 4). ა. დლონტთან გვხვდება: თული, თულა, თულუდა (დლონტი, 1967: 86). ქართული შესატყვისით, ამავე ძირისაა: თულაშვილი, თულაძე, თულიანი, თულოშვილი. ი. მაისურაძე გვამცნობს, რომ მე-10 საუკუნის სამწევრისის ტაძრის წარწერაში მოხსენიებულია მამასახლისი გიორგი თულაისძე (მაისურაძე, 1990: 76). თულო ჯავახურში: „თივისაგან გაკეთებული სალტეა, ეჭირება ისევ თივას“ (ბერიძე, 1981: 65); „თივისაგან დაგრეხილი თოკი, ბოლოებში ქვამობმული თაიაზე გადასაკიდებლად, ქარს რომ არ აეწეწა, ან არ წაეღო“ (ზედგინიძე, 2014: 151). 1942 წელს თბილისიდან სოფელ ერკოტაში მასწავლებლად მივლინებული ჯულიეტა რუხაძის ეთნოგრაფიული ჩანაწერები გვაუწყებს: „(ბერიკაობისას) ყვენი თავზე თულოს იკეთებდა, დაგრეხილ თოკს, თულოში დებდნენ გრძელ ფრთას...“ (რუხაძე, 2002: 234). მამასადაძე, თულო ბალახის გვირგვინია, მაგრამ გვარსახელში ამ მნიშვნელობით მისი გადასვლა სარწმუნოდ არ მიგვაჩნია.

ი. ახუაშვილის ინფორმაციით, თულა აზერბაიჯანულ ლექსიკონში „მაღლის ლეკვია“ (ახუაშვილი, 1994: 373). თულ-ი მოხეურში, ფშაურსა და თუშურში ყაჩაღს, შემოსეულ მძარცველს, მტერს აღნიშნავს (დლონტი, 1984: 254). გ. ზედგინიძესთან „თულაგი“ თაღლითს, საქმიანობაში:

ღალატთან მიუთითებს (ზედგინძე, 2014: 154). ვფიქრობთ, გვარს საფუძვლად მეტსახელი უდევს, რომელიც არასანდო ადამიანს უნდა რქმეოდა.

მაჩაბელი/მაჩაბელოვი – სადაურობის აღმნიშვნელ სახელებში აერთიანებს ამ გვარს ზ.ჭუმბურიძე და გამოყოფს მ-ელ მაწარმოებლებს: მაჩაბ-ელ-ი (აჩაბეთ-იდან), ისე, როგორც: მატაბელი (ატაბე-დან), მეტრეველი (ეტრევე-იდან), მარგველაძე/მარგველაშვილი (არგვეთ-იდან) (ჭუმბურიძე, 1992: 73). „გვარადქცეული მფლობელობისა და სადაურობის სიტყვა“, – წერს ი.მაისურაძე, – ს. ჯანაშიას მითითებით, მაჩაბელთა ძველი გვარი ანჩაფაძე ყოფილა, ისინი აფხაზეთიდან მოსულან და ლიახვის ხეობაში დამკვიდრებულან. ამავე საფუძველზე წარმოქმნილა ხსენებული სოფლის სახელწოდებაც – ანჩაფეთი > აჩაბეთი (ს.ჯანაშია, შრომები, II, 478), ამავე ძირისაა მაჩაბლიშვილი (მაისურაძე, 1990: 105). სემანტიკური თვალსაზრისით, მაჩაბელი ისეთ გვარსახელებში ერთიანდება, რომელთა ფუძეებში გეოგრაფიული სახელებია ჩაქსოვილი და სათანადო სუფიქსაციის (მ-ელ) საშუალებით მიუთითებენ საგვარეულო შტოს წარმომავლობის პირვანდელ გეოგრაფიულ პუნქტს (მაისურაძე, 1979: 25). თუ ს.ჯანაშიას მოსაზრებას გავიზიარებთ, გვაროვნულმა სახელმა ფონეტიკური სახეცვლილების შედეგად (ნ-ს დაკარგვითა და ფ-ს გამჟღერებით) მისცა დასაბამი გეოგრაფიულ საცხოვრისს: ანჩაფაძე > ანჩაფეთი > აჩაბეთი. რამაც, თავის მხრივ, დასაბამი დაუდო ახალ გვარს. განსხვავებული მოსაზრება აქვს ჯ.გვასალიას, რომლის თანახმად, მაჩაბლების ადრინდელი გვარი ყოფილა თავხელიძე, რაც დადასტურებულია თირის ღვთისმშობლის ეკლესიის (XIII ს.) წარწერაში: „თავხელიძეთა სიაოშ და რატის და ასათს და ხელას და მაჩაბელსა და მშობელთა მათთა შეუნდვენ ღმერთმან“. წარწერა XIV საუკუნით არის დათარიღებული და მასში ექვს გარეშეა ის გარემოება, რომ „მაჩაბელი“ მხოლოდ და მხოლოდ მამაკაცის სახელია. არც ისაა გამორიცხული, რომ თავხელიძეები თუ ნამდვილად ფლობდნენ აჩაბეთს, მათ გვარში პირველად წარმოქმნილიყო სახელი მაჩაბელი და შემდეგ ეს სახელი გვარსახელადაც ქცეულიყო (თოფჩიშვილი, 2011: 213).

1807 წლის რუსეთ-თურქეთის ომის დროს (ახალქალაქისა და ხერთვისის ციხეების აღების მიზნით) წალკაში დაბანაკებულ მთავარმართებელ გუდოვიჩთან გამოცხადებულა ახალციხის საფაშოდან გამოქცეული, ახალქალაქის ციხის ყოფილი კომენდანტი, ქართველ თავადთა გამაჰმადიანებული შთამომავალი ბეგი მაჩაბელი, რომელსაც მფარველობა უთხოვია და თავისი სამსახური შეუთავაზებია მთავარმართებლისათვის. გუდოვიჩს მთელი ომის განმავლობაში თან ჰყოლია ბეგი მაჩაბელი, როგორც გზამკვლევი და ბევრი საიდუმლო საქმის მცოდნე. „მაჩაბელს მშობლები და ძმები ისევ ახალციხის საფაშოში ჰყავდა (სოფელ დანიეთსა და შალოშეთში)“, – ვკითხულობთ შ.ლომსაძის წიგნში (ლომსაძე, 2011: 118).

ორბელიანი – ა. ლლონტის საკუთარ სახელებში დადასტურებულია: ორბა და ორბელ (ლლონტი, 1967: 112). ზ.ჭუმბურიძის აზრით, ძველ ქართულში ზოგიერთი პიროვნული სახელი (ბირთველ, ორბელ, გაგელ, ვარძელ, თორელ და სხვა) ნაწარმოებია ადგილის სახელწოდებისაგან. შემდგომში ამ სახელებისაგან გვარებიც წარმოიქმნა: თორელი, ორბელიანი, ბირთველიშვილი, ვარძელაშვილი, ოდიშელიძე... (ჭუმბურიძე, 1992: 71). სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილია, რომ ორბეთის ციხეს XII-XIII სს. ორბელები ფლობდნენ. ორბელთა შთამომავალნი არიან ქაჩიბაძე-ბარათაშვილები, რომელთა შორის სახელი ორბელი ტრადიციულია; შემდეგ ამ სახელის გამო უკვე ბარათაშვილების გვარიდან გვიან შუა საუკუნეებში წარმოიქმნა გვარსახელი ორბელიშვილები/ორბელიანები. ორბელიანები თავადთა შორის ჯამბაკურ-ორბელიანის გვარსახელით არიან შეყვანილი. ორბელიშვილ-ორბელიანთა გვარის ჩამყრელი ორბელ ბარათაშვილი იყო, რომელიც გაეყარა თავის ძმას იოთამს. იოთამმა იოთამიშვილების ფეოდალურ სახლს ჩაუყარა საფუძველი, ორბელმა – ორბელიშვილებს (თოფჩიშვილი, 2011: 265). ორბელიანთა შესახებ მ.ბერიძის „პირდაპირი რეპორტაჟები წარსულიდან“ გვატყობინებს, რომ სოფელ საროში მცხოვრებ ორბელიანებს მიუღიათ მაჰმადიანობა. იმ დროისათვის ექვსი ოჯახი ყოფილა. „თათართა“ აწიოკებისაგან გულმოსულ თანასოფლელებს შური მათზე უძიებიათ და ამოუხოცავთ. გადარჩენილა ერთი ოჯახი და ისინიც 1944 წელს გაუსახლებიათ (ბერიძე, 2005: 142-143).

ფალავანდიშვილი/ფალავანდოვი – გვარის პირველ კომპონენტს, საკუთარ სახელს ფალავანდი, ი. მაისურაძე აიგივებს სპარსულ სიტყვასთან ფალავანი – მოჭიდავე, გმირი, ვაჟკაცი (ქეგლ) (მაისურაძე, 1990: 162). სამეცნიერო ლიტერატურიდან ჩვენთვის ცნობილია, რომ „ჯავახეთში მარგასტნისა და წუნდის ბაღებში, რომლებიც ადგილობრივ ბეგს – ფალავანდიშვილსა და ბაიბურთელს ეკუთვნოდა, თითქმის სულ ადგილობრივი ვაშლის ჯიშები იყო გაშენებული 4-5 დესეტინაზე. ტოლოში 4 დესეტინა ბაღი ადგილობრივ მემამულეს – ხიდირბეგოვს (ხიდირბეგიშვილს) ეკუთვნოდა. ზედა ოშორაში 21 დესეტინაზე დარგული ბაღი იყო ზია ბეგ ავალიშვილისა“ (სუდაძე, 1998: 144). საყურადღებოა, რომ XVIII ს-ის სპილენძის ლანგარი წარწერით:

„ფლვინდიშვილი. ფენდი. შვილი“ მგელსუნდაში მცხოვრებ გეგიმეებთან აღმოუჩენია გბოჭორიძეს (ბოჭორიძე, 1992: 226). იბაგრატიონი ფალავანდიშვილების ისტორიას 1184 წლიდან იწყებს და სამცხიდან გადმოსახლებულად მიიჩნევს: „...შემდგომად ამისა, წელსა 1600, რა დაიპყრეს საათაბაგო თურქთა, მაშინ მათგანი რომელიმე გათათრდნენ და დარჩნენ ახალციხეს, ხოლო სხვანი გადმოვიდნენ და მეფემან ლუარსაბ უბოძა მამული ძალინის ხეობასა შინა და დაასახლა მუნ... ამა მეფემან მიიღო მესამისა თავადობისა ხარისხით წელსა ქრისტეს აქეთ 1615-სა შინა და იწოდებთან ფალავანდიანად, ვინაიდგან ამათაგან გვართა პირველ ჟამსავე ფალავნობისა გამო გაუგვარდათ“ (თოფჩიშვილი, 2011: 319).

შალიკაშვილი – მომდინარეობს საკუთარი სახელიდან შალიკა (> შალვა). ვახუშტი ბატონიშვილი შალიკაშვილთა ადრინდელ გვარად ასახელებს როჭიკაშვილს: „როჭიკაშვილი არს შალიკაშვილი, მოვიდა სამცხიდან“ (ვახუშტი, 34). „მესხურ ქრონიკებში“ შალიკაშვილები ოთისა და თმოგვის მეპატრონეებად ჩანან: „ოთარი, სასაფლაოთა, მონასტრითა და კარის ეკლესიითა შალიკაშვილთა აქუს“, „თმოგუელნი, სასაფლაოთა, მონასტრითა და კარის ეკლესიითა შალიკაშვილთა ელისბაალს და იოთამს აქუს“ (შარაშიძე, 1961: 31). პროფ. თ. იველაშვილის ცნობით, შალიკაშვილების ფეოდალური გვარი საკმაოდ დაწინაურებული ყოფილა მე-16 საუკუნის სამხრეთ საქართველოში. მათი ერთ-ერთი წარმომადგენელი, ცნობილი პიროვნება კოკოლა შალიკაშვილი, მნიშვნელოვან როლს თამაშობდა იმდროინდელი რეგიონის პოლიტიკურ ცხოვრებაში. სხვადასხვა დროს ათაბაგის კარზე მას საპასუხისმგებლო თანამდებობები ეკავა და საკუთარი ციხესიმაგრისა (ურთის ციხე) და ეკლესიის (ჯვართამელლების ეკლესია) პატრონიც იყო (იველაშვილი, 2016: 8). ცნობილია, რომ ასპინძის სანჯაყის ბეგობა შალიკაშვილების გამაჰმადიანებულ სახლს ეკუთვნოდა, რომლებიც ჯერ ძველ ციხეში ცხოვრობდნენ, შემდეგ მათ მიერვე აშენებულ ახალ ციხეში. ასპინძის უკანასკნელი სანჯაყ-ბეგი იყო ახმედ-ბეგ შალიკაშვილი, რომელიც 1828 წლის ომის დროს თურქეთში გაიქცა და შემკვიდრეობა თავის შვილს, მუსტაფას, დაუტოვა. რუსეთის ხელისუფლებას მუსტაფასთვის სანჯაყ-ბეგობა არ დამტკიცებია, მუსტაფაც იძულებული გამხდარა, რომ მამულები გაეყიდა და თურქეთში გადასულიყო (ლომსაძე, 2011: 268). რამდენიმე წლის შემდეგ, 1831-1834 წლებში, სამცხე-ჯავახეთში მოგზაურობისას დიუბუა დე მონპერე შენიშნავს: „ოდესღაც თურქებით დასახლებული ასპინძა, ერთ-ერთი ბეგის საკუთრება ყოფილა. იმის შემდეგ, რაც რუსების მფლობელობაში გადავიდა, თურქს სოფელზე თავისი უფლებები ერთი სომხისთვის მიუყდია... ახალ მეპატრონეს გლეხებისაგან მოსავლის მეოთხედი მოუთხოვია, მეტორმეტედის ნაცვლად, რასაც მათგან ბეგი ითხოვდა. როდესაც მე იქ გავიარე, შევესწარი, რომ გლეხები ძალიან შეწუხებულები იყვნენ და ჩიოდნენ ამ უსამართლო მოთხოვნის გამო. სოფლის მცხოვრებნი ყველანი ქართულად ლაპარაკობდნენ, ისინი ოდითგანვე ქრისტიანი ქართველები იყვნენ“ (მაღრაძე, 2002: 97). ცხადია, ფრანგი მოგზაური თურქებად მიიჩნევს გამაჰმადიანებულ ქართველებს, რომლებსაც მშობლიური ენა ისევ შენარჩუნებული აქვთ; ხოლო ბეგი, რომელიც საკუთარ შემკვიდრეობაზე იძულებით ამბობს უარს, მუსტაფა-ბეგია.

ხიდირბეგიშვილი/ხიდირბეგოვი – ალ.დლონტს დადასტურებული აქვს: ხიდუა (როგორც პირსახელად, ისე მეტსახელად) და ხიდირბეგ (დლონტი, 1967: 157). გვარსახელში თვალსაჩინოა თურქული ტერმინის – ბეგის არსებობა. მ.ჯიქია აღნიშნავს: „მახლობელი და შუა აღმოსავლეთის ხალხთა ანთროპონიმიკის თავისებურება ისაა, რომ ბევრი ტიტული ან წოდება, სოციალური მდგომარეობისა თუ თანამდებობის აღმნიშვნელი სიტყვა იქცა საკუთარ სახელად ან თხზული სახელის კომპონენტად. სულთანია და შაჰი, მირზა თუ მელიქი, ალა და ხანი, ბეგი თუ ამირა ანთროპონიმად ქცეული წოდებებია. თურქული ტიტულატურა, სამხედრო-სამოხელეო წოდებები და სოციალური მდგომარეობის აღმნიშვნელი ტერმინები მრავლად გვხვდება ქართველურ ანთროპონიმებსა და პატრონიმთა ფუძეებში (ჯიქია, 1995: 27). იოანე ბაგრატიონის მიხედვით, ხიდირბეგიშვილები „არიან გვარით ამილახვრისა გვარისანი. ხიდირბეგიშვილობა მიიღეს ამით, რომელ გათათრდა ამათი წინაპარი ახალციხეს დროსა დაპყრობისა თურქთაგან და უწოდეს სახელად ხიდირბეგ და ამის გამო მიიღეს მისთა შთამომავალთა ხიდირბეგიშვილობა. ხოლო ამ ხიდირბეგიშვილნი მოვიდნენ ქართლს შინა სურამის ხეობის ადგილსა ხაშურსა შინა და მუნ მოუბოძა მეფემან ადგილი იგი წელსა 1630-სა და ნათელ იღეს ამათ და იწოდენ გვარად ხიდირბეგისშვილებად და არიან ამათნი გვარნი შთამომავალნი ახალციხეს ხიდირბეგისშვილებად თათრებად და სხვანი ქართლში მამუკასშვილებად და კვალად ხიდირბეგისშვილებად“. ხიდირბეგიშვილთა გვარში ტრადიციული სახელი იყო „ხიდირბეგ“. ხიდირბეგ ხიდირბეგიშვილი მოწმედ დასახელებულია 1743 და 1751 წლების დოკუმენტებში (თოფჩიშვილი, 2011: 434). სამეცნიერო ლიტერატურა ხიდირბეგიშვილად მოიხსენიებს ტოლოშის ბეგს, რომლის ხილის ბაღზე ზემოთ უკვე იყო საუბარი (იხ. გვარი ფალავანდიშვილი). ტოლოშელ მაჰმადიანთა ყოფა მხატვრულად ასახა ომაზ

ჩხეიძემ წიგნში „გახლეჩილი რწმენა“. ტოლოშის ბეგი აქ სელიმ ჰუსეინ-ოღლი ხიდირბეგიშვილია, რომელიც იძულებულია სხვა თანამემამულეებთან ერთად დატოვოს სამშობლო (ჩხეიძე, 2005).

ლიტერატურა:

- ახუაშვილი, 1994** – ი. ახუაშვილი, ქართული გვარ-სახელები, მასალები ქართული გვარების ისტორიისათვის, I, თბილისი, 1994.
- ბერიძე, 2005** – მარინე ბერიძე, პირდაპირი რეპორტაჟები წარსულიდან (მესხეთი და მესხები, 1918-1944 წწ.), თბილისი, 2005.
- ბერიძე, 2009** – მერაბ ბერიძე, მაჰმადიანი მესხების ფესვები და დღევანდელი, 2009.
- ბოჭორიძე, 1992** – გ. ბოჭორიძე, მოგზაურობა სამცხე-ჯავახეთში, თბილისი, 1992.
- ვახუშტი, 1973** – ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსი, ქართლის ცხოვრება, IV, თბილისი, 1973.
- თოფჩიშვილი, 2011** – რ. თოფჩიშვილი, საქართველოს თავად-აზნაურთა გვარების ისტორია, თბილისი, 2011.
- თოფჩიშვილი, 2013** – რ. თოფჩიშვილი, სამცხე-ჯავახეთის ეთნიკური ისტორიიდან, თბილისი, 2013.
- იველაშვილი, 2016** – თ. იველაშვილი, შალიკაშვილების ჯვართამაღლების ეკლესია ქალაქ ახალციხეში; გაზეთი „ლიტერატურული მესხეთი“, №4 (208), 2016.
- ლომსაძე, 1996** – შ. ლომსაძე, მესხები, ახალციხური ქრონიკები, II, 1995.
- მაისურაძე, 1979** – ი. მაისურაძე, ქართული გვარსახელები (სემანტიკა, სტრუქტურა, ეტიმოლოგია), თბილისი, 1979.
- მალაძე, 2002** – ლ. მალაძე, ფრედერიკ დიუბუა დე მონპერეს ცნობები სამცხე-ჯავახეთის შესახებ; კრებული „ჯავახეთი, ისტორია და თანამედროვეობა“, I, ახალციხე, 2002.
- მელიქიძე, 2009** – ს. მელიქიძე, ონომასტიკური ძიებანი, II, თბილისი, 2009.
- განმარტებათა ლექსიკის საძიებელი დაურთო ილია აბულაძემ, თბილისი, 1993.
- სილოგავა, 1994** – ვ. სილოგავა, კუმურდო, ტაძრის ეპიგრაფიკა, თბილისი, 1994.
- სუდაძე, 1998** – ნ. სუდაძე, სოციალური ვითარება და საგანმანათლებლო საკითხები XIX საუკუნის სამცხე-ჯავახეთში, თბილისი, 1998.
- ქსე, 1975** – ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, I, თბილისი, 1975.
- ღლონტი, 1967** – ა. ღლონტი, ქართველური საკუთარი სახელები, ანთროპონიმთა ლექსიკონი, თბილისი, 1967.
- შარაშიძე, 1961** – ქრ. შარაშიძე, სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები (XV-XVI სს.), თბილისი, 1961.
- ჩხეიძე, 2005** – ო. ჩხეიძე, გახლეჩილი რწმენა, თბილისი, 2005.
- ჭიჭინაძე, 1913** – ზ. ჭიჭინაძე, მუსულმან ქართველობა და მათი სოფლები საქართველოში, აღწერილი ზ.ჭიჭინაძისაგან, ტფილისი, 1913.
- ჭუმბურიძე, 1992** – ზ. ჭუმბურიძე, რა გქვია შენ? თბილისი, 1992.
- ჯიქია, 2007** – მ. ჯიქია, თურქიზმები ქართველურ ანთროპონიმიკონში (სადისერტაციო მაცნე), თბილისი, 1995.

Natela Melikidze

Samtskhe-Javakheti State University

EXCELLENT ISLAMIC GEORGIAN SURNAME ACCORDING TO ASPINDZA MUNICIPALITY RESUME

In this paper there is well discussed about excellent Islamic Georgian Surnames: Abashidze, Avalishvili, Diasamidze, Vachnadze, Zubalashvili, / Zubalovi, Tulaevi, Machabeli, Orbeliani, Falavandishvili / Falavandovi, Salikashvili, Khidirbegishvili / Khidirbegovi, they are showed in the municipality of Aspindza in the 20-40 years of XX Centuries. Some surmanes of is coming from own surnames (Abash-i, Avala, Diasam, Vache, Zuba, Salika...), some parts are coming from geographical names, (Machabeli < Achabeti, Orbeliani < Orbeti), some of them are coming from nicknames (Tulaevi). These names are disapaerd because of social-political situation, from these twelve surnames there is one stayed in Aspindza Municipality this is – Diasamidze.

საერთო ლექსიკა ქართველურ ენათა კილოებში

ქართველურ ენათა დიალექტების არეალოგიური შესწავლა გულისხმობს იმ ფონეტიკურ, გრამატიკულ და ლექსიკური ტენდენციების გამოვლენას, რომლებიც საერთოა ამა თუ იმ რეგიონში გავრცელებული დიალექტებისათვის.

სხვადასხვა დიალექტში იდენტური ლექსიკური ერთეულები შედეგია დიალექტების ურთიერთზეგავლენისა და სხვადასხვა დიალექტში დამოუკიდებლად წარმოქმნილ მოვლენებთან.

ქართული ენის სამხრულ-დასავლურ დიალექტებს საერთო ლექსიკა მეგრულ-ლაზურთან კიდევ ერთხელ ხელშესახებს ხდის ქართველურ ენათა მჭიდრო ურთიერთობას.

ლაზურისა და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს კილოებთან მიმართება საერთო ლექსიკის თვალსაზრისით გამოავლენს რიგ თავისებურებებს წარმოქმნილს ხანგრძლივი კონტაქტების შედეგად.

აჭარული დიალექტისა და ლაზურის საერთო ლექსიკა ცალკე შესწავლილი არ არის, თუმცა ამ საკითხის მიმართ მეცნიერული ინტერესი უთუოდ შეინიშნება მონოგრაფიულ ნაშრომებსა და სტატიებში, რომლებიც აჭარულ კილოს ეხება (ნიჟარაძე, 1971; სიხარულიძე, 1958, თანდილავა, ნარაკიძე, 1986:90-110, მემიშიში, 2005: 84:87).

ამჟამად წინამდებარე ნაშრომში წარმოვადგენთ საერთო ლექსიკას ლაზურში, აჭარულში, ტაოურსა და შავშურში.

წარმოდგენილ საერთო ლექსიკაში შეიძლება შეგვხვდეს ნასესხები სიტყვებიც.

ბადგარი – ეკლესიანი მარადმწვანე ბუჩქი, ჭყორი (ნიჟარაძე, 1971: 101; აჭარ. საუნჯე I, 2013:626, ფუტკარაძე, 1993:396).

დაფუნჩხვა – დაფუნა, დაქუცმაცება (აჭარ. საუნჯე I, 2013: 629; მუჰაჯირ..., 2017:416; აჭარ. საუნჯე II, 2017:601; ფუტკარაძე, 1993:595; ნოლაიდელი, 2015:250) ლაზურში იდენტური მნიშვნელობით გამოიყენება.

ბორა/ბორიო – კოკისპირული წვიმა (ნოლაიდელი, 2015:43) სუსტი ქარი, ნიავი (აჭარ. საუნჯე I, 2013:627).

დაკვანჩხული – დაკრუნჩხული, კვანჩხვა-კრუნჩხვა (ნოლაიდელი, 2015:79-136) ძირეული მორფემა ლაზურთან იდენტურია: კვანჩხ, რომელიც აღნიშნავს დაღლას მუშაობით.

კამპარა – მცენარე (ნოლაიდელი, 2015:131) ლაზური: მცენარე – დიდგულა.

კარკალი – კაკანი (ნოლაიდელი, 2015:133) ლაზ. ოკარკალუ-კაკანი.

ბანდალი – გაჭირვებით სიარული, ბარბაცი (ფუტკარაძე, 1993:392). ლაზური: ობანდალუ-ბარბაცი; ბანდალაფს – ბარბაცებს.

ჩუჩუნ – ძლივს, ნელა, ზღაზვნით მოძრაობა (ნოლაიდელი, 2015:300). ჩუჩუნა ლაზურში აღნიშნავს ნელ-თბილს; გადატანითი მნიშვნელობით ნელად საქმის მკეთებელს მიემართება.

კაპეტი – დიდიხნის დაუმუშავებელი მიწა, ყამირი (ნოლაიდელი, 2015:132), ლაზური: მაგარი, მაგარი შეიძლება იყოს მიწა, დაუმწიფებელი ხილი...

კარდალი, კარდალა – საშუალო ზომის ქვაბი, პატარა ქვაბი, სპილენძის ჭურჭელი სპილენძის მოზრდილი ქვაბი (ფუტკარაძე, 1993: 482; აჭარ. საუნჯე III, კარდალი მცირე და საშუალო ზომის ქვაბს აღნიშნავს).

კაპანი – მკვეთრად დაქანებული ადგილი, დამრეცი ქვიანი ადგილი (ფუტკარაძე, 1993:482; ნოლაიდელი, 2015:132). ლაზური: აღმართი და დაღმართი ქვიანიცა და ქვის გარემეც.

აზარგვა – ალაგება, ყანიდან მოსავლის აღება (მუჰაჯ. 2017:406). აზარგუ (აზარგვა). ანალოგიურია და ლაზურშიც მოსავლის აღება-დაბინავება.

ხაპერი – ადამიანის თავი, თავის ქალა (შავშეთი, 2011:611; აჭარ. საუნჯე, III, 2017:183; ნოლაიდელი, 2015:331). ლაზურში გადაპარსული თავის აღმნიშვნელია.

ბოგა – საქონლის სადგომი, სქელი ფიცრებით დაგებული იატაკი (ნოლაიდელი, 2015:42; მუჰაჯირ. 2017:409). ლაზური: თხის სადგომი.

მაჯაჯღა – ჩიტის სახელი (კლარჯეთი, 2016:1060). ლაზურში ერთგვარი ჩიტის სახელია.

კოლონწი – მწერი, კოლო (კლარჯეთი, 2016:1058). ლაზური: კოლონი – კოლო.

კალაში – მშრალი, ზენა ქარი (ნოლაიდელი, 2015:130). ლაზურში ქარის აღმნიშვნელია...

დუდერი – კომბოსტოს ღერო, მხალეულის კომბოსტოს ძირი (ფუტკარაძე, 1993:439, კლარჯეთი, 2016:1052). ლაზური: დუდერი/დუდეი ფხალის ან კომბოსტოს ღეროთი დამზადებული კერძი.

დააგამინებს – ტოტს მიწაში გადააწვენს დასაფესვინებლად, დაწინდავს (ფუტკარაძე, 1993:422). ლაზური: დონგამინუ – ტოტის გადაწვენა, დაწინდავა.

ედრაგუნება – დაუფიქრებლად, მოურიდებლად ლაპარაკობს (ფუტკარაძე, 1993: 443). ლაზური: დრანგუნს – დაუფიქრებლად ლაპარაკობს.

ჯალინი – გაღიზიანება-გამოჯავრება, დაცინვა (კლარჯეთი, 2016: 1081, ფუტკარაძე, 1993:682). ლაზურში: აჯალის – ერჩის, აჯავრებს.

ფურთუნა – ქარიშხალი, ავდარი (აჭარ. საუნჯე, II, III, 2017:181, 613). ლაზურში ავდრის, კოკისპირული წვიმის აღმნიშვნელია.

დაჭუჭვა – დახუჭვა (თვალის) (აჭარ. საუნჯე, I, 2013:630). ლაზური: ოჭუჭუ-ჭუჭვა; თოლი ჭუჭუფს, თვალს ჭუჭავს, ხუჭავს.

ყირყიტონი – ხორხი, სასუნთქი მილი (შავშეთი, 2011: 606, ფუტკარაძე, 1993:619). ლაზური: ყირყიტონი/ყიყინტონი – ხორხი, სასუნთქი მილი.

ჰყაპი – ჩვილი, თოთო, ახალი, ნორჩი, შემოუსვლელი (ფუტკარაძე, 1993:605. ნოლაიდელი, 2015, 328). ლაზური: ჰყაპი – ნორჩი, უმწიფარი, ახალშობილი.

ფუში – სტომაქი, კუჭი; მუცელი სტომაქი (შავშეთი, 2011:603, ნოლაიდელი, 2015:251). მუაჭირ., 2017: 433); ლაზური: მუცლის შიგნელი.

ჩირბული – კვერცხით შემზადებული საჭმელი, კერძის სახეობა (კვერცხით) (ნოლაიდელი, 2015:297; მუჰაჯირ., 2017:438) ლაზური: ჩირბული/ჩიბული – კვერცხით შემზადებული კერძი.

ქუნცხი/ქურცხი – ეკალი-ბარდი, ჯაგნარი (აჭარ. საუნჯე, 2013:640; ნოლაიდელი, 2015:261) ; ლაზური: ეკლიანი ბუჩქი, ჯაგნარი.

გაბღეზება, ფღეზი – გაბრაზება (შავშეთი, 2011:574; მუჰაჯირ. 2017:410) ძირეული მორფემა შეესატყვისება ლაზურ მღეზ, რომელიც აღნიშნავს ჭირვეულობას, გაბრაზებას.

ფუფული – მუწუკი, გამონაყარი (კლარჯეთი, 2016:1072; მუჰაჯირ. 2017:433; ფუტკარაძე, 1993:596) (საბა: გართხმული მუწუკი). ლაზური: ფუფული – მუწუკი.

ჩაფულა/ჩაფულაჲ ფეხსაცმელი (ფუტკარაძე, 1993:638; მუჰაჯირ. 2017:437). ლაზური: ჩაფულა-ფეხსაცმელი.

დაღლუმპვა – ჩაყვინთვა (კლარჯეთი, 2016: 1050); ლაზური: ოღლიპუ-ყვინთვა, ოღლიპავს-აყვინთებს.

ლუკუმზა – მცენარე, ხეჭრელი (ნოლაიდელი, 2015:154) ლაზური: ლუკუმზა.

ბალახის სახელები: ეკლიკაკაი (ფუტკარაძე, 1993:391); ლაზურის სარფის მეტყველებაში: დამი-კაკა-ეკლის კაკა, ეკლის ნაყოფი.

კერას ნახშირი – იტყვიან დიდი ხნის უნახავი ადამიანის სტუმრობის დროს (ფუტკარაძე, 1993:484). ლაზური: კირას ნოშქერი – კერას ნახშირი. მნიშვნელობა იდენტურია.

ეყოლება – შვილი მიეცემა (ფუტკარაძე, 1993:451) შდრ. საბა: (ეყოლა – შვილი მიეცა). ლაზური: აყვენ – ეყოლება, ენათესავება. ბერე აყვენ-შვილი ეყოლება.

ვახტი არა აქვს – უქეიფოდ არის. ავადმყოფობს (ფუტკარაძე, 1993:454); ვახტი – ჯანი, ღონე (აჭარ. საუნჯე, 2017:603); ლაზური: ვახტი ვაულუნ-ვახტი არა აქვს, ავადმყოფობს.

კოწოლი – აკიდო, კუნჭულა (ნოლაიდელი, 2015:144). ლაზური: კონწოლი-აკიდო, ნ განვითარებულია.

კატარი – მცენარის წვერო (ნოლაიდელი, 2015:134) ; ლაზური: კანტაი ნ-ს განვითარებითა და რ-ს დაკარგვით აღნიშნავს მცენარის წვეროს, ყლორტს.

კერკეტაჲ – კაკლის ჯიში, რომლის ნაყოფსაც ძალიან მაგარი ნაჭუჭი აქვს (ნოლაიდელი, 2015: 136). ლაზური: კერკეტა/კეკეტა-მაგარი კაკალი;

ხაპერაჲ – გოგრის სახეობა (შავშეთი, 2011:611). ლაზური: ხაპერა/ხაპეა – გოგრის ჯიში.

რენდე – სალამინი (ნოლაიდელი, 2015:206, ფუტკარაძე, 1993:550) ; ლაზური: რენდე-სალამინი.

ნერჩი – ძირი, ფსკერი (აჭარ. საუნჯე, II, 2017:608) ; ლაზური: ნავის სამირე ნაწილი.

მაყაყი – ბაყაყი (ფუტკარაძე, 1993:500; კლარჯეთი, 2016:1060). ლაზური: მაყაყი/ბაყაყი, ნჯაშ მაყაყი – ხის ბაყაყი.

ფუჩქული – ფოჩვი (სიმინდის), (კლარჯეთი, 2016:1072). ლაზური: ფუსქული – ფოჩვი სიმინდის, კაბის.

კოპერი – კაკლის წენგოვანი ნაყოფი (მუჰაჯ. 2017:423) ლაზური: კოპერი/კოპეი – კაკლის წენგო.

ხერგელი – უწველავი, პირუტყვი (მუჰაჯირ. 2017:440). ლაზური: ხერგელი – უწველავი, ხერგელი ფუჯი – უწველავი ძროხა.

ქერეჭი – ქერქი (აჭარ. საუნჯე, II, 2017:613); ლაზური: ქერეჭი-ქერქი; ქუალის ქერეჭი – პურის ქერქი.
კუჭი – მწიფე (ნოღაიდელი, 2015: 147) ; ლაზური: კუჭი –მწიფე. კუჭი მცხული – მწიფე მსხალი.
ქერწელი – თევზის ქერცლი (ნოღაიდელი, 2015: 257). ლაზური: ქერცელა – თევზის ქერცლი.
ჭარფალი – წვრილი თევზის ჯიში (ნოღაიდელი, 2015:323), ლაზური: ჭაფალა – თევზის სახეობა.
ფორკა – კაბა (აჭარ. საუნჯე, I, 2013:639) ; ლაზური: ჭორკა/ფორკა-კაბა.
ფუშხი – ნაკელი (აჭარ. საუნჯე, I, 2013:639) ; ლაზური: ფუშქი/ჭუშქი – ცხენის განავალი, ნაკელი.
მადარა – გამოქვაბული (მუჰაჯირ. 2017:424) ; ლაზური: მადარა – გამოქვაბული, სორო.
მურგვი – ძაფის გორგალი (მუჰაჯირ. 2017:426) ლაზური: მურგი – ძაფის გორგალი.
ტაკუნნი – კაკუნნი (მუჰაჯირ. 2017:431). ლაზური: ოტანკუ-კაკუნნი, ტანკუფს – აკაკუნებს: ლაზურში ნ განვითარებულია.

დერგული – პატარა დერგი (ფუტკარამე, 1993:434). ლაზური: დერგულა-დერგი.

ბათმანი – მსხლის ჯიში (ფუტკარამე, 1993:391). ლაზური: მცხულ-ბათმანი – მსხალ ბათმანი (მსხლის ჯიში).

ზითვალი – მზისთვალი, მზე (ფუტკარამე, 1993:459). ლაზური: მქუაშ თოლი – მზის თვალი, მზე.

კანდრაი – ხის ჭურჭელი (ფუტკარამე, 1993:481). ლაზური: კანდრე – საწყაო ჭურჭელი.

მაიმახი – არაპროპორციული აგებულების ადამიანი, ფეხებმოგრებილი (ფუტკარამე, 1993:417). ანალოგიური მნიშვნელობით იხმარება ლაზურშიც.

სელენდერი – ბეღელი (ფუტკარამე, 1993:563), ლაზური: სელენდერი/სელენდეი – სასიმინდე.

ფაწალა – ტყირპი (ფუტკარამე, 1993:587), ლაზური: ფაწალა – ელენტა.

ქარა – ჭურჭლის ზედაპირის კიდე (ფუტკარამე, 1993:598). ლაზური: ქარა – გოდორის ზედა ნაწილზე შემოსაკრავი თხლად გათლილი ტკეჩი; (თანდილავა, 203:793). საცერის რკალურა, ჩარჩო (მარი, 1910:196).

დობირო – ეზო, კარ-მიდამო (ნოღაიდელი, 2015:94); ლაზური: დობირა – ნაყოფიერი მიწა, ნაყოფიერი ყანა, მეგრული: დობირა, დობერა (ნენაფუნა, 2007:148).

კინჩხი – კისრის მალეხი (ნოღაიდელი, 2015:139) ; ლაზური: კინჩხი: კანგაცლილი კანაფის ღეროები.

კონკი – მონძი (ნოღაიდელი, 2015:142), ლაზური: კონკი-მონძი.

მანგალი – ნამგალი (ნოღაიდელი, 2015:155, ფუტკარამე, 1993:497; შავშეთი, 2011:590). ლაზური: მანგალი/ორალი.

ხედიკი – თხილამური (შავშეთი, 2011:611). ლაზური: ხედიკი.

დიდი – ასაკოვანი (მუჰაჯირ., 2017:417; შავშეთი, 2011:581). ლაზური: დიდი – ასაკოვანი, უფროსი.

დიდბაზაი – ბაბუა (მუჰაჯირ., 2017:417), ლაზური: დიდი ბაბა – დიდი მამა, ბაბუა, პაპა.

ჩეჩმა/ჩეჩმე – საპირფარეშო (კლარჯეთი, 2016:1077). ლაზური: ჩეჩმე – საპირფარეშო.

ფელუკა ი- პატარა ნავი, ნავი (ფუტკარამე, 1993:587; ნოღაიდელი, 2015:243). ლაზური: ჭელუკა/ფელუკა – ნავი.

ტუტა – ნაცრის ნაყენი (ფუტკარამე, 1993:576). ლაზური: მტუტა – ნაცარი.

ჩხოკი – ხმელი, ქვიანი ადგილი (ფუტკარამე, 1993:646). ლაზური: ტოტეზგაშხლართული ხმელი ხე.

პლაკე – ფრიალო, სალი კლდე (ნოღაიდელი, 2015:202). ლაზური: პლაკე – კლდე.

ძაბუნი – უძღური (ნოღაიდელი, 2015:366); ლაზური: ძაბუნი-უძღური, ავადმყოფი.

ჭვანგი – კლანჭი (ნოღაიდელი, 2015: 324). ლაზური: ჭანგი – კლანჭი.

ჭონჭყო – სველი, ჭაობიანი ადგილი (ნოღაიდელი, 2015:326). ლაზური: ჭონჭყოპი – ჭაობი.

ღარღალი – ხმამაღლა ლაპარაკი (ნოღაიდელი, 2015: 2015:262). ლაზური: ხოფურში ოღალალუ/ოღარღალუ – ლაპარაკი.

ლობუთი – დაბალი და მსუქანი ბავშვი (ნოღაიდელი, 2015:153). ლაზური: ლობუთა მსუქანი ბავშვი.

სადე – სადა, მარტივი (ნოღაიდელი, 2015:210), ლაზური: სადე, სადა, სადე მქირი – სადა ფქვილი მჭადის ფქვილი.

განხილული ლექსიკური ნიმუშები ვერ ამოწურავს საერთო ლექსიკას დასახელებულ დიალექტებში. შემდგომი კვლევა კიდევ მრავალ ახალ მასალას წარმოაჩენს.

ლიტერატურა:

1. ნიჟარამე, 1971: შ. ნიჟარამე, ქართული ენის აჭარული დიალექტი, ლექსიკა.
2. სიხარულიძე, 1985: ი. სიხარულიძე, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმთა, წიგნი I.
3. თანდილავა, ნარაკიძე, 1986: ზ. თანდილავა, ც. ნარაკიძე, ზანური ლექსიკური სუბსტრატის კვალი აჭარულ დიალექტში, აჭარული დიალექტის დარგობრივი ლექსიკა, V.
4. მემიშიში, 2005: ო. მემიშიში, ლექსიკური შეხვედრები ქართველურ ენებში, ბსუ, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი, კრებული IV.

5. ფუტკარაძე, 2005: შ. ფუტკარაძე, ჩვენებურების ქართული.
6. აჭარ. საუნჯე I, 2013: აჭარული საუნჯე, წიგნი I.
7. აჭარ. საუნჯე II, 2017: აჭარული საუნჯე, წიგნი II.
8. ნოლაიდელი, 2015: ჯ. ნოლაიდელი, აჭარული კილოს სალექსიკონო მასალები.
9. აჭარ. საუნჯე III, 2017: აჭარული საუნჯე, წიგნი III.
10. შავშეთი, 2011: შავშეთი, ავტორები: მ. ფაღვა, თ. შიოშვილი, შ. მამულაძე, მ. ცინცაძე, მ. ჩოხარაძე, ზ. შაშიკაძე, ნ. ცეცხლაძე, თ. ფუტკარაძე, მ. ბარამიძე, ჯ. კარალიძე, ვ. ჩოხარაძე
11. მუჰაჯირ, 2017: ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლები თურქეთში, წიგნი პირველი. მაჭახლელი მუჰაჯირები. ავტორები: მ. ფაღვა, მ. ცინცაძე, ს. ჩოხარაძე, თ. შიოშვილი, მ. ბარამიძე, ზ. შაშიკაძე, ნ. მგელაძე, რ. ბარამიძე.
12. კლარჯეთი, 2016: კლარჯეთი, ავტორები: მ. ფაღვა, მ. ცინცაძე, მ. ბარამიძე, მ. ჩოხარაძე, თ. შიოშვილი, შ. მამულაძე, რ. ხალვაში, ნ. მგელაძე, ზ. შაშიკაძე, ჯ. კარალიძე.
13. მარი: 1910: Н. Марр, Грамматика чанского (лазского) языка.
14. ნენაფონა, 2007: Büyük Laza Sözlü Didi Lazuri Nenapuna, ავტორები: ისმაილ ბუჯაქლიში, ხასან უზუნხასანოლლუ, ირფან ალექსივა.
15. თანდილავა, 2013: ა. თანდილავა, ლაზური ლექსიკონი; ლაზური ნენაფუნა.

Omar Memishishi

Batumi Shota Rustaveli State University

COMMON LEXIS IS THE SUB-DIALECTS OF THE KARTVELIAN LANGUAGES RESUME

The identical lingual phenomena in different dialects are the results of mutual influence of the dialects as well as the phenomena originated within the dialects independent of one another.

The common lexis revealed and identified in Laz, Ajarian, Shavshuri, Tao and Klarjuli speeches is the result of the unity of the Kartvelian linguistic world and the longtime historical road of national consolidation.

ნიკოლოზ ოთინაშვილი

გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

ძველი ქართული ენის ბგერითი შედგენილობა ლაპიდარულ წარწერებსა და დოკუმენტებში

მეცხრე-მეათე საუკუნეებში არაბთა უღლის გადაგდების შემდგომ საქართველოში ეკონომიკური და კულტურული ცხოვრების აღმავლობა დაიწყო. წარმოიქმნა და დაწინაურდა მთელი რიგი ფეოდალური გვარები ქართლში, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, გაჩნდნენ ერისთავები, ერისთავთ-ერისთავები, გამგებლები, გამოცოცხლდა სამშენებლო საქმე. ამ დროიდან საფუძველი ჩაეყარა დიდ საკულტო ნაგებობებს, რომლებიც დღესაც აქტიურად ემსახურებიან მოსახლეობას.

ამ ძეგლებზე შემორჩენილია ლაპიდარული წარწერები, რომლებიც კონსერვატიზმით გამოირჩევიან თუმცა ზოგჯერ საკამათოდაა ქცეული ბგერისა თუ ბგერათკომპლექსის კვალიფიკაცია, ფუნქციის საკითხი.

ამ მიმართებით საინტერესოა შიდა ქართლის მონუმენტური ტაძრების ტბეთის, დოდოთის, თიხრევის, ერედვის, ფლავის და სხვათა ასომთავრული წარწერების ბგერითი შედგენილობა, ასევე მხედრული გრაფიკით შესრულებული სიგელების ფონეტიკური მონაცემები.

ძველი წერილობითი ძეგლების მონაცემების მიხედვით დ-იოტა ბგერა ძირითადად გვხვდება ა, ო, უ ხმოვნებზე დაბოლოებულ სახელებთან სახელობითი ბრუნვის ნიშნად, ასევე სხვა პოზიციაში.

მდინარე ლეხურის სათავეში 864 წლის არმაზის ბაზილიკის წარწერაში აღნიშნული ბგერა გვხვდება სიტყვის ბოლოში ხმოვნის შემდეგ: დავიწყე წმიდა ეკლესია, ასევე სიტყვის შუაში: სახელითა ღმრთისათა.

ერედვის 906 წლის წარწერა:

სახელითა ღმრთისათა

სულისა წმიდისათა

შობელისათა

მეფედ გააქცია

თაფლამძემან დავდე

იქვე აღეშენა წმიდა ეკლესია ესე ყოველთა ტბელთა ბრძანებითა.

ბიეთის მღვიმეური ეკლესია მდებარეობს მდინარე მეჯუდის მარცხენა მხარეს, წარწერა შესრულებულია ასომთავრულით გარეულია ნუსხური გრაფიკაც: ადიდე ერისთავთ-ერისთავი იოვანე ძე ბაკურ ყანჩაელისა უფალი და პატრონი ამის წმიდისა ეკლესიისა დადევნე წმიდა მრემლი სამეცხისა ყოველ.

უმარცვლო უ-ს ძველ ქართულში საკუთარი ნიშანი არა ჰქონდა და ისე იწერებოდა, როგორც უ ხმოვანი. ძველი უმარცვლო უ ვ-ს სახით არის წარმოდგენილი. ის ძირითადად დასტურდება თანხმოვნის შემდეგ სიტყვის შუაში ან ბოლოში. გვერდისძირის სოფელ ჭარების მეთავე საუკუნის ეპიტაფია ხარამსძეებისა. წარწერა ასომთავრული გრაფიკით მოთავსებულია იატაკზე:

ქრისტე ექმენ მეოხწინაშე ღმრთისა, ცოდვილთა განუსუენე სულსა გაბრიელისა ბაკურ ურდუხტის მიქაელისა გუარამავრსთა სულსა სტეფანესი და გიორგისა ხარამსძეების.

ფლავის (გორის რაიონი) ეკლესიის წარწერა.

ავმართე ჯუარი სალოცველად ჩუენდა და ჩუენტა ნათესავთა და მომავალთა ყოველთა.

ტბეთის -ბორცვისჯვრის ეკლესიის წარწერა, თარიღდება 914 წლით: ჯუარო ბორცვისაო მეოხმექმენ.

მეთვრამეტე საუკუნის შუაწლებში ანტონ კათალიკოსმა უმარცვლო უ-ს დაუსვა თავზე სამკუთხა (^) ნიშანი და უწოდა უბრჯუ, რომელიც ხან უ-დ გამოითქმის, ხან ვ-ს ენაცვლება, თანხმოვნისაკენ იხრება.

წარწერებში და ისტორიულ დოკუმენტებში გვხვდება ჯ(ხარი) ბგერა, რომელიც ძირითადად შედიოდა სიტყვის ძირში და გადაჰყვებოდა ამ ძირისაგან ნაწარმოებ სიტყვებს.

ნასოფლარი თიხრევი მდებარეობს ცხინვალის დასავლეთით სამი კილომეტრის დაშორებით, სადაც ეხლაც არის ეკლესიის ნანგრევები. ასომთავრულ წარწერაში მოხსენებულია -ელ სუფიქსიანი გვარი - თიხრეველი: ესე ბალაჰვარი თიჭრეველთა ითვიხანთ ჩუენ დავსდეთ. 982 წლის ასომთავრული წარწერა რატი ერისთავისა: ადიდე აქა ჯორციელებრ წინაშე შენსა სულებრ რატი ერისთავი ძე იგი ლიპარიტ ერისთავისაო, რომელმან აღაშენა ესე სახლი ღმრთისა და ბჰეი ცათაი წმიდაი ეკლესიაი სალოცველად სულისა მათისა.

ქსნის ხეობის 1781 წლის სტატისტიკურ აღწერაში, რომელიც მხედრული გრაფიკით არის შესრულებული, სოფელ ალევში პარალელურად გამოიყენება ხ და ჯ(ხარი) ბგერები: ხერველაძე, ჯერველაძე სიტყვის თავში ასევე სიტყვის შუაში: სამჯარაული ივანე. გვხვდება ასევე სხვადასხვა პოზიციაში.

ზ - ეი (ემერვე) დადასტურებულია ზემოხსენებული ძეგლების წარწერებში. შედგება ორი ელემენტისაგან: ე+ა (ეა). ე-ს შეუძლია მარცვლის შექმნა, დ-ს კი ვერა. გვხვდება ზემო ნიქოზის ეკლესიის წარწერაში: ...აღვაშენე წმიდა ეკლესია სახლის ღმრთისა ბჰეი ცათა სალოცველად და სულის ჩემისათჳს.

ურბნისის მეთავე საუკუნის ასომთავრული წარწერა: ...შეიწყალე თევდორე ებისკოპოსი მომადლა ღმერთმან ამის ყოვლისა აღმწუნება...

სარგის კაკაბაძე ზ-გრაფემის შესახებ აღნიშნავს, რომ მეთავე საუკუნიდან და შემდგომ აღნიშნულ გრაფემა ქრება (ს. კაკაბაძე, 1929, გვ. 17).

გ. მიძიშვილი თვლის, რომ ზ ნიშნით ედ დიფთონგის გამოხატვა მეორეულია, ცოცხალ მეტყველებაში მომხდარა ცვლილება (მიძიშვილი გ. 1960, გვ. 28).

თ. გამყრელიძე აღნიშნავს, რომ ზ გრაფემა დიფთონგური მნიშვნელობით არის გადმოსული ბერძნულიდან ქართულ ანბანში და მის შესაბამისად იკავებს ანბანში მერვე ადგილს (თ. გამყრელიძე, 1969, გვ. 136).

ქართული ფონეტიკური სისტემა, როგორც ამ მცირე მაგალითების მოხმობითაც დასტურდება, მრავალფეროვანია და თვალსაჩინოა ძველისა და ახლის თანაარსებობა, როგორც ჩანს სალიტერატურო ენის განვითარება რთულად ყალიბდება, თუმცა სიმტკიცე და მონოლითურობა ყველაფერში იგრძნობა, თუმცა ფუნქცია თანდათან იშლება.

ლიტერატურა:

1. ლაპიდარული წარწერები I (V-XII) შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ნ. შოშიაშვილმა, თბ., 1980.
2. გ. ძიძიშვილი, ფონეტიკური პროცესები ძველ ქართულში, თბ., 1960.
3. თ. გამყრელიძე, წერის ანბანური სისტემა და ძველი ქართული დამწერლობა, თბ., 1989.

Nikoloz Otinashvili
Gori State Teaching University
**SOUND COMPOSITION OF OLD GEORGIAN LANGUAGE IN LAPAROSCOPIC
IN INSCRIPTIONS AND DOCUMENTS
RESUME**

Laparoscopic inscriptions are still preserved in a number of monuments of Shida Kartli. Which are distinguished by conservatism. In this respect, it is interesting to know about Tbeti, Dodoti, Tikhrevi, Eredvi, Plavi and sound composition of other temples, as well as diplomas, phonetic data of census. According to these inscriptions from the old gaps there are found Iota, Ubrjgu, Khari, Ei, which are prover in different positions of speech.

In the report we have reviewed the frequency of their use according to the monuments.

ლევან ფაჩულია
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ლექსემა „კოჩი“ მეგრულში: სტრუქტურული, სემანტიკური და პრაგმატული ასპექტები

მეგრულში „კაცის“ აღმნიშვნელი ლექსემაა **კოჩი**, რომელშიც შესაბამისი ქართული სიტყვის- **კაცის** კანონზომიერი რეგულარული ბგერათშესატყვისობები ფიქსირდება (ქართ. **ც** ზან. **ჩ**, ქართ. **ა** ზან. **ო**) და ავლენს მასთან სრულ სემანტიკურ იგივეობას. ეს ლექსემები ჯერ კიდევ გ.როზენმა დაუკავშირა ერთმანეთს [როზენი 1845: 30]. ისინი „ერთი იმ ფუძეთაგანია, რომელიც ხმოვან-თანხმოვანთა კანონზომიერი შესატყვისობის ნიმუშს გვაწვდის ქართულისა და ზანურის შედარებისას. მასთან არც ქართულს და არც ზანურს არ განუცდია შემდგომი ცვლა. მათში მოცემული ვარიანტები დაგვრჩა წინანდელი სახით [ჩიქობავა 1948: 258].

კაც- და **კოჩ-** სახელური ფუძეების საკითხს ეხება გ. კლიმოვი, რომელიც აღნიშნავს, რომ „ზანური ფორმა კანონზომიერად შეესატყვისება ქართულისას; ფუძის მნიშვნელობა იდენტურია“ [კლიმოვი 1964:106], რაც ქართულისა და ზანურის ახლო ნათესაური კავშირის კიდევ ერთი ღირსსაცნობი მაგალითია.

სპეციალურ ლიტერატურაში მითითებულია, რომ **კაცი** ქართული ლექსიკის თავისთავადი ინვენტარის უძველესი სიტყვაა, რომელიც წინ უსწრებს უცხოური სამყაროდან შემოსულ **ადამიანს** [დლონტი 1971: 29]. მისი სემანტიკა ძველ ქართულში და შემენილი ფუნქციები საშუალო ქართულში, ლექსემა **კაცის** ვიწრო და ფართო მნიშვნელობები საკმაოდ ვრცელადაა განხილული ალ.დლონტის „ქართული ლექსიკოლოგიის საფუძვლებში“ [იქვე: 27-35].

ქართული **კაც-** და ზანური **კოჩ-** სახელური ფუძეების ეტიმოლოგია მოცემულია ჰ. ფერნიხისა და ზ.სარჯველაძის „ქართველურ ენათა ეტიმოლოგიურ ლექსიკონში“ [ფერნიხი, სარჯველაძე 2000: 265].

ქართულში სიტყვა **კაცის** გენეზისის, სტრუქტურისა და სემანტიკის საკითხები ლექსიკოგრაფიული წყაროებისა და ძველი ქართული წერილობითი ძეგლების მიხედვით სრულადაა წარმოჩენილი ნ.ხახიაშვილის სტატიაში „კაც-სიტყვის ისტორიისათვის“. მასში გამოვლენილია ლექსემა **კაცის** დენოტაციური და კონოტაციური მნიშვნელობები, ნაირგვარი სემანტიკა; **კაც**-სახელურ ფუძეზე (ძირზე) სადერივაციო აფიქსების დართვით ნაწარმოები მრავალფეროვანი ლექსიკური ერთეულები [ხახიაშვილი 2009]. ლექსიკოგრაფიული და კორპუსული მონაცემების საფუძველზე ქართული **კაცი** და ინგლისური man განხილულია გენდერლინგვისტიკურ ჭრილში ზ.კიკვიზის ნაშრომში [კიკვიძე 2015].

დაფიქსირებული (გამოქვეყნებული) მეგრული ტექსტები და ცოცხალი მეტყველებიდან აღებული სინტაქსემატიკა, მდიდარი ლექსიკოგრაფიული მასალა მოწმობს, რომ ქართულის მსგავსად მეგრულშიც დასტურდება **კაცის** აღმნიშვნელი ლექსემის **დენოტაციური** (ძირითადი), ე.ი.საკუთრივ ცნებითი, არსებითი, და **კონოტაციური** (დამატებითი) ანუ ექსპრესიულ-ემოციონალური მნიშვნელობები.

ისევე როგორც ქართულში [ხახიაშვილი 2009:288], მეგრულში ლექსიკოგრაფიული წყაროების მიხედვით **კოჩის** ძირითადი დენოტაციური მნიშვნელობებია: „კაცი“, „ადამიანი“: **კოჩი** человек [ყიფშიძე 1914: 261] „კაცი“; **კოჩი** „კაცი“ [ელიაშვილი 1997: 200]; **კოჩი** „კაცი“ [ფერნიხი, სარჯველაძე 2000:30]; **კოჩი-ი** (კოჩის//კოს//კოსუ//კოც): 1. „კაცი“ [ქაჯაია 2002: 161]; **კოჩი** „კაცი“, „ადამიანი“ [ქობალია 2010:373]. იგი ორი სემანტიკური იპოსტასითაა წარმოდგენილი - **მამრი** და **მდედრი**, რომლებიც თანაზომიერად თანაარსებობენ „კაცის“ ზოგადი მნიშვნელობით, ანუ გულისხმობენ ორივე სქესის წარმომადგენელს-მამაკაცსა და ქალსაც: **კოს** ვაარაგადე იში გლახა „კაცი (ვერავინ) ვერ იტყვის მის ცუდს (მასზე ცუდს)“; **კოჩის** ვაუწუა თე ამზე „კაცს (არავის) არ უთხრა ეს ამბავი“; **კოჩის** ვაურაგადე „კაცს (არავის) არ ელაპარაკება“ და სხვა.

კოჩი მეტწილად განმაზოგადოებელი მნიშვნელობითაა გამოყენებული მეგრულ ანდაზებში, ანდაზურ გამოთქმებში, იდიომებში, შეგონებებში:

(1) **კოჩი** კოჩიში წამალი რენია „კაცი კაცის წამალიაო“ [ხალხური სიბრძნე, I, 1994: 73].

(2) **კოსგ** თინა გიოსქიდუ, მუთუნ ქიშმაძუდა დუსუ „კაცს ის შერჩება, რამე თუ უძევს თავში“ [იქვე: 68].

(3) **კოჩიშ** სიტყვაში მენდული ოკო ორდევა „კაცი სიტყვის პატრონი („მოიმედე“) უნდა იყო“ [იქვე:73]. თუმცა მეგრულში, მსგავსად ქართულისა, უპირატესი, **კოჩი**-ს სემანტიკურ სტრუქტურაში დომინანტური მდგომარეობა უკავია **მამაკაცს**, რაც აღნიშნულია კიდეც 2013 წელს გამოცემულ „მეგრულ-ქართულ-რუსულ ლექსიკონში“, სადაც **კოჩი** განმარტებულია ასე: „კაცი, მამაკაცი“ (человек, мужчина) [კლიმოვი, ქაჯაია 2013:170]. ამ მნიშვნელობით სიტყვა **კოჩი** პოვნირია მეგრულ ანდაზებშიც:

(1) **კოსი** ოსური სინჯენსია, ოსურს- ოქრო დო ოქროს- დაჩხირი „კაცს („მამაკაცს“ ლ.ფ.) ცოლი გამოცდის, ცოლს - ოქრო და ოქროს - ცეცხლი“ [ხალ.სიბრძნე., I, 1994: 70].

(2) **კოჩი** შუმილობას თის რაგადანს, ხერზელობას მუთ გურს უღუნია „კაცი („მამაკაცი“ ლ.ფ.) სიმთვრალეში იმას ლაპარაკობს, სიფხიზლეში რაც გულში აქვსო“ [იქვე: 73].

(3) **კოჩის** კოჩანა ვაულუნდა, ოშმეში კატუს ხოლო უღუნია „კაცს („მამაკაცს“ ლ.ფ.) თუ კაცობა არა აქვს, უღვაში კატასაც აქვსო“ [იქვე: 74].

ამა თუ იმ სქესისადმი მიკუთვნებულობის აღსანიშნავად ქართულის მსგავსად [ხახიაშვილი 2009: 291] მეგრულშიც გვაქვს თხზული სახელები: **ქომოლკოჩი** (←ქომოლი-კოჩი) „მამაკაცი (გულადი კაცი)“ [ქაჯაია 2002: 161]; „მამაკაცი, მამრი, ვაჟკაცი“ [ქობალია 2010: 638] და **ოსურკოჩი** (← ოსური-კოჩი) „დედაკაცი (ქალი კაცი)“ [ქაჯაია 2002: 161]; „დედაკაცი, დიაცი“ [ქობალია 2010: 546], რაც **კაცის**//**კოჩის** ზოგადი სემანტიკის გარკვეული იერარქიის მაჩვენებელია. სულხან-საბა ორბელიანის მიხედვით, „კაცი ზოგადად ყოველთა ეწოდების“, მაგრამ „ესე კაცი განიყოფ(ვ)ების **მამაცად** და **დიაცად**, რომელ არს **მამაკაცი** და **დედაკაცი**“ [ორბელიანი 1991: 359].

სწორედ ამგვარი ზოგადი სემანტიკური იერარქიის დამადასტურებელია მეგრული **ქომოლკოჩი** („მამაკაცი“) და **ოსურკოჩი** („დედაკაცი“, „დიაცი“):

1. **ქომოლკოჩი**:

(1.1.). **ქომოლკოჩი** ჟუდეს ვარენ, კიდალეფი ინგარანია „მამაკაცი როცა სახლში არ არის, კედლები ტირიანო“ [ხალხური სიბრძნე, I, 1974: 144].

(1.2.). **ქომოლკოჩო** გინორთელ ოსურშა გვერს ხოლო ოშქურუნია „მამაკაცად გადაქცეული ქალისა გველსაც ემინიაო“ [იქვე: 144].

(1.3.). **ქომოლკოჩი** კოს ვაჟვილუნსია „ვაჟკაცი კაცს არ მოკლავსო“ [იქვე: 144].

ო. ქაჯაიას მეგრულ-ქართულ ლექსიკონში „მამრის“, „მამაკაცის“ აღმნიშვნელ ლექსემად დასახელებულია **მუმა-კოჩი**-ც [ქაჯაია 2002: 161], რაც ქართული **მამაკაცის** პირდაპირ კალკად უნდა

მივიჩნიოთ და გარკვეულწილად ხელოვნურობის ელფერი დაჰკრავს. მითუმეტეს, რომ მეგრულში ნაკლებსაფარაუდოა **მუმა-კოჩის** ანალოგიით **დიდა-კოჩი**. სამაგიეროდ ფართოდ გამოიყენება **ოსურკოჩი**:

2.ოსურკოჩი:

(2.1.) **ოსურკოჩიში** იარაღი კიჟინი (ჩილამური) რენია „ქალის (დედაკაცის) იარაღი კივილი (ცრემლი) არისო“ [იქვე: 111].

(2.2.) **ოსურკოჩიში** პატივცემა ჯოდორს ხოლო უჩქენია „ქალის (დედაკაცის) პატივისცემა ძალღმაც იცისო“ [იქვე: 111].

(2.3.) სივა **ოსურ-კოჩი** რექია [ხუბუა 1937: 289] „შენო დედაკაცი ხარო“.

ქართულ **დედაკაცსა** და მეგრულ **ოსურკოჩს** შორის გამოყენების თვალსაზრისით შეინიშნება გარკვეული სემანტიკური ნიუანსური განსხვავება; კერძოდ, **დედაკაცი** ქართულში გვხვდება „მოსამსახურის, მოჯამაგირის“ მნიშვნელობით და რიგ შემთხვევაში დაკნინების, დამცრობის სემანტიკის მატარებელია: „დედაკაცო, ფეხი გამოადგი!“ ..., რაც არ ჩანს მეგრულში.

კოჩის სხვა კონოტაციური მნიშვნელობებია: „ქმარი“, „ქვეშევრდომი“, „მოსამსახურე, მსახური (მოჯამაგირე), ხელქვეითი“ [დლონტი 1971: 33]: „ქმარი“ [ფერნიხი, სარჯველაძე 2000:30]; „ვინმეს ყმა კაცი“ [ქაჯაია 2002: 161].

კოჩი „ქმრის“, „მეუღლის“ მნიშვნელობითაა გამოყენებული სინტაგმაში **ჩქიმი კოჩი**:

(1) **ჩქიმი კოჩი** მოურს „ჩემი ქმარი მოდის“ (ზედმიწ. „ჩემი კაცი“ ქალის მეტყველებაში);

(2) **ჩქიმ კოჩიქ** მიწულ „ჩემმა ქმარმა მითხრა“ (ზედმიწ. „ჩემმა კაცმა“ ქალის მეტყველებაში);

(3) **ჩქიმ კოჩის** უჯინექ „ჩემს ქმარს ვუცდი“ (ზედმიწ. „ჩემს კაცს“ ქალის მეტყველებაში).

იგივე სინტაგმა ფართო კონტექსტში შეიცავს აგრეთვე „თანამზრახველის, მხარდამჭერის, თანამოაზრის, თანამდგომის, თავისიანის“ სემანტიკას: **ჩქიმი //ჩქიმ კოჩი რე** „ჩემი კაცი არის“ გულისხმობს, რომ მავანი „ჩემიანია“, ე.ი. „ჩემი მხარდამჭერია“, „თანამოაზრეა“, „თანამდგომია“ და სხვა.

„ქვეშევრდომის“, „მოსამსახურის“, „მსახურის“, „მოჯამაგირის“, „ხელქვეითის“ სემანტიკითაა ნახმარი **კოჩი** შემდეგ შესიტყვებებში:

(1)**დადიამ კოჩი: დადიამ კოჩიქ** მიდართ „დადიანის კაცი („მსახური“ „ქვეშევრდომი“, „ყმა“) წავიდა (ზედმიწ. „დადიანის კაცი“);

(2) **ჩიქვანიში კოჩი**: თინა **ჩიქვანიში კოჩი** რდუ „ის ჩიქვანის კაცი (ყმა) იყო“ [ქაჯაია 2002: 161]; **ფაღავაში კოჩი**: **ფაღავაში კოჩი** რდუ „ფაღავას კაცი იყო“ [იქვე: 161].

(3) **ჯოდორიაში კოჩი** [ყიფშიძე 1914: 328] „ჯოდორიას (მამაკაცის სახელი) კაცი“; **მაფაშ კოჩი**: **მაფაშ კოჩიქ** ქომორთასი... ღვინი ქოჩი“ [იქვე:328] „მეფის კაცი თუ მოვიდა (რომ მოვიდეს) ... ღვინო დააღვინე“.

ქართულის მსგავსად, მეგრულში **კოჩ-** ფუძეზე (ძირზე) შესაბამისი აფიქსების დართვით ან თხზვით (კომპოზიციით), ან კიდევ თხზვა-დერივაციით იწარმოება სხვადასხვა სემანტიკის შემცველი ლექსიკური ერთეულები.

1. **აფიქსაციით კოჩ-** სახელური ფუძისაგან ნაწარმოები ლექსიკური ერთეულებია: **კოჩანა** человечность, честность, мужество [ყიფშიძე 1914: 465] „ადამიანობა, პატიოსნება, მამაცობა“; „კაცობა“ [ელიავა 1997: 200, ქობალია 2010:373]: ჩქიმ **კოჩანა** ქოგიშინით „ჩემი კაცობა გაიხსენეთ“ [ქს 1975: 10]; **კოჩანიერი// კოჩიერი** „კაცური კაცი ვაჟკაცი, ადამიანური; კაცრიელი, დასახლებული“ [იქვე: 373]; **კოჩანიერო** „კაცურად, ადამიანურად“ [იქვე: 373]: **კოჩანიერო** მიიქელ „კაცურად მოიქცა“; **კოჩა** (муж.имя, прозвище) Коча [ყიფშიძე 1914: 465] (მამაკაცის სახელი): **კოჩაქ** აშო გინორთასგ [იქვე: 328] „კოჩა აქეთ გადმოვიდეს“; **კოჩია// კოჩელა** „კაცუნა, პატარა კაცი (ბიჭუნაზე იტყვიან) [ქობალია 2010:373]; **კოჩიშობა** „კაცთაგანობა, კაცობრიობა“ [იქვე: 374]; **კოჩობური** „კაცებრი, კაცრიელი“ [იქვე: 374]; **კოჩური** человеческий [ყიფშიძე 1914: 465] „ადამიანური“; „კაცური“ [ქობალია 2010: 374]; **კოჩურო** „კაცურად“ [იქვე:374]; **კოჩური** საქმე აკეთ „კაცური საქმე გააკეთა“; **გაკოჩება** „გადიდკაცება“ [იქვე:74]; **გაკოჩებული** „გადიდკაცებული“ [იქვე: 74]; **დაკოჩება** „დაკაცება“ [ელიავა 1997: 111, ქობალია 2010:233]: ილოშ ბოში **დაკოჩებე** „ილოს ბიჭი დაკაცებულა“ [ელიავა 1997: 111] და სხვა.

2. **თხზვით (კომპოზიციით)** არის მიღებული შემდეგი ლექსემები: **აკაკოჩი** (← აკა-კოჩი) „ეული, მარტოკაცი“ [ქობალია 2010: 15]: **აკაკოჩი** ცოდა რენია „მარტოკაცი ცოდა არისო“; **ანდამიერკოჩი** (← ანდამიერ-კოჩი) „ადამიანი, კაცი, სულიერი“ [იქვე:18]: მუ **ანდამიერ კოჩი** რექია „რა ადამიანი (სულიერი) ხარო“ [ხუბუა 1937: 205]; **ბაღანა-კოჩი** „ბავშვი“ (ბავშვი კაცი) [ქაჯაია 2002: 161]: **ბაღანა კოჩიშ** ნარაგადუსგ ირჩქილენდესგ „ბავშვის (ზედმიწ. „ბავშვი კაცის“) ლაპარაკს ისმენდენ“; **ბოშკოჩი** (← ბოში-კოჩი) „ჭაბუკი, ყმაწვილი კაცი; ვაჟბატონი (ირ.)“ [ქობალია 2010: 66]: **ბოშკოჩ**, მუსუთ თქუანქენი, მუკუდირთი ქუაცალო „ჭაბუკო (ყმაწვილო), რასაც იტყვი, ამოუღე ქვასავით“ [ქს 1975: 160]; **ბოშ-კოჩ** ვორდი

ქებულია „ბიჭი ვიყავ ქებული [იქვე: 275]; **გვალაშ კოჩი** „მთის კაცი“ [იქვე: 114]; **გერკოჩი** (← გერი-კოჩი) „მგელკაცი, კარგი კაცი“ [იქვე: 96]; **გერმაკოჩი** (← გერმა-კოჩი) „ტყის კაცი, ბანჯგვლიანი კაცი“ [იქვე: 96]; **გვერდკოჩი** (← გვერდი-კოჩი) „განახვერებული, არასრულფასოვანი, ხეიბარი, დიდი ფიზიკური ნაკლის მქონე“ [იქვე: 115]; ზედმიწე. „ნახევარკაცი“: **გვერდკოჩქ** დოსქიდგ „ნახევარი კაციღა დარჩა“; **გლეხკოჩი** (← გლეხი-კოჩი) „გლეხკაცი“ [იქვე: 186]; **გლეხკოჩის** შრომა დასაფასებელიე „გლეხკაცის შრომა დასაფასებელია“; **გურკოჩი** (← გური-კოჩი) Гури-кочи (проз.,букв.сердце-человек) [ყიფშიძე 1914:465-466], **გურიკოჩი** „გულიანი, გულითადი კაცი“ [ქობალია 2010: 230]; **გურიკოჩი** - ჯგირი კოჩი [ყიფშიძე 1914: 124] „გულიანი კაცი- კარგი კაცი“; **დიხაშკოჩი** „მიწის კაცი, ხთონური სული, დაკავშირებულია მიწასთან, საიქიოსთან, მიცვალბულებთან; ტრიტონი, ხვლიკი, რომელსაც კიდურები გაძლიერებული აქვს, გულ-მუცელი - წითელი, ხორკლიანი, ცხოვრობს ჭაობში. წარმართული რწმენით, გადატრიალებული დიხაშკოჩის ნახვა საბედისწეროა, ვინც შეხედავს, მოკვდება; ჯუჯა, დაგვაჯული კაცი“ [ქობალია 2010: 244]; **დიდკოჩი** (← დიდი-კოჩი) „დიდკაცი“: თენა **დიდკოჩი** რე „ეს დიდკაცია“ [ელიავა 1997: 121]; **დუდი კოჩი** „თავკაცი“ [ქაჯაია 2002: 161] // **დუდკოჩი** (← დუდი-კოჩი) „თავკაცი, წარჩინებული; მწყემსთა ბინისთავი; ოკათურის, მეჯოგეთა გაერთიანების უფროსი [იქვე: 257]; **დუდკოჩო** დარინეს დიარას „თავკაცად დანიშნეს ქპრწილში“ (ზედმიწე. „დააყენეს“); **ზღვაშ კოჩი** „ზღვის კაცი, მეფესი“ [იქვე: 311]; **თასკოჩი** (← თასი+კოჩი) „მამამთავარი; კაცი წამლად, კაცის თესლი, კაცთაგანი“ [იქვე: 313]; **კოჩთაგანი** „კაცთაგანი, სულიერი“ [იქვე: 373]; **კოჩიმაკითხე** (← კოჩი-მაკითხე) „შეპყრობილი,მედიუმში“ [იქვე: 373]; **კოჩისქუა** (← კოჩი-სქუა) „კაციშვილი“ [იქვე: 374]; **კოჩისქუა** ვეპალუდგ „კაციშვილი არ იყო“ („კაცის ჭაჭანება არ იყო“); **კოჩიყინტუ** (← კოჩი+ყინტუ) „კაციყლაპია, კაციჭამია“ [იქვე: 374]; **კოჩიყინტუ** რენია „კაციყლაპია (კაციჭამია) არისო“; **კოჩიშფერი** (← კოჩიშ-ფერი) „კაცისფერი;კაცის სახე, ნორმალური გამომეტყველება“ [იქვე: 374]; **კოჩიშფერ** ვეგნომ სახესგ „კაცისფერი არ აძევს სახეზე“; **კოჩითინი** (← კოჩი-მითინი); **მათი-კოჩი** (← მა-თი-კოჩი) Мати-кочи, имя собаки (букв. и я человек) [ყიფშიძე 1914: 466], ზედმიწე. „მეც კაცი ვარ“; **ოჩო-კოჩი, ოჩი-კოჩი** Очо-кочи, Очи-кочи (букв.козел-человек) сказочное чудовище, напоминающее Минотавра [იქვე: 466] „ზღაპრული არსება, რომელიც მინოტავრს მოგვაგონებს“; „ტყიური, რომელსაც ვაცის ჩლიქები და რქები აქვს, ხშირი ბანჯგვლები და მკერდზე საჩეჩელივით ამოჩრილი ძვალი, რომელზედაც წამოიხევეს ხოლმე მსხვერპლს“ [ქობალია 2010: 553]; ვეზირქ **ოჩოკოც** მუთა უწუ [ყიფშიძე 1914:253] „ვეზირმა ოჩოკოცს („ვაც-კაცას“) არაფერი არ უთხრა“; **რჩინკოჩი** (← რჩინი-კოჩი) „მოხუცი კაცი“ [ქობალია 2010:575]; ჯიმალეფი, **რჩინ კოჩიში** ქიანას ვაღირ რინა „ძმებო, მოხუცი კაცისა ქვეყანაზე არ ღირს ყოფნა“ [ქს 1975:164]; მა **რჩინ კოჩი** ვორექია [ხუბუა 1937: 247] „მე მოხუცებული კაცი ვარო“; **ტყაშკოჩი** (← ტყა+კოჩი) „ტყის კაცი“: **ტყაშკოჩი** ხოლო დო ხოლო უმოსის ღვარანც [ყიფშიძე 1914: 290] „ტყის კაცი უფრო და უფრო მეტად ყვირის“; **შქაკოჩი** (← შქა-კოჩი) „შუახნის კაცი“ [ქობალია 2010:666]; **შქა კოჩანაშა** ქიმერთგ დო უკული ოსური ქითხუ [ხუბუა 1937: 135] „შუახნის კაცობამდე რომ მიაღწია (ზედმიწე. „მივიდა“) ცოლი შეირთო“; **ჯიმაკოჩი** (← ჯიმა-კოჩი) „ძმაკაცი“ [ქობალია 2010: 739]: ... ზაკაიკი **ჯიმაკოჩი**, დუდიში ოსხუნური [ხუბუა 1937:33] „... ზაკაიკი ძმაკაცი, თავზე მეტად რომ მირჩვენია“; **ჯვეშკოჩი** (← ჯვეში+კოჩი) „ძველი კაცი“ // გადატ. „გამოცდილი, მცოდნე კაცი“ [ქაჯაია 2002:161]; „მოხუცი, ძველი, წინაპარი“ [ქობალია 2010: 738] // **ჯვეშკოჩი**: **ჯვეშკოჩქ** თქუა: კოს ფსუა გეიალენი, თიწკმა დინუნია „ძველ კაცს უთქვამს: კაცს რომ ფრთები გამოუვა, მაშინ ილუპებაო (იკარგებაო)“ [ხალხური სიბრძნე, I, 1994: 192] და სხვა.

3.თხზვა-დერივაციითა ნაწარმოები: **დიდკოჩური** „დიდკაცური“: **დიდკოჩური** რინა-ყოფაშა მიშეელუ [ცაგარელი 1880: 4] „დიდკაცურ ყოფაში შევიდა“; **კოჩურკოჩი** „კაცური კაცი“ [ელიავა 1997: 200, ქობალია 2010: 374].იგი შეიძლება განვიხილოთ როგორც ქართული სალიტერატურო ენის გავლენით გაჩენილი შესიტყვება [შენგელია 2015:209]; **კოჩურკოჩი** რენია „კაცური კაცი არისო“; **კოჩურკოჩანა** „კაცურკაცობა“ [ქობალია 2010: 374]; **ქომოლკოჩანა** „ვაჟკაცობა“ [იქვე: 638]; **ქომოლკოჩანა** გიმირჩქინგ „ვაჟკაცობა გამოიჩინა“; **ოსურკოჩანა** ? (არაა დაფიქსირებული ლექსიკონში) ზედმიწე. „ქალკაცობა“ და სხვა.

კოჩი მონაწილეობს ისეთ შესიტყვებებში, როგორიცაა: **გამა კოჩი** „ნაცვალი“ (ხენწიფეშ გამა „მეფისნაცვალი“) [ქობალია 2010: 75]; **დოდგომილ კოჩი** „ჩამოყალიბებული, დადინჯებული კაცი“ [იქვე: 245],ზედმიწე. „დამდგარი კაცი“: თენა **დოდგომილ კოჩი** რენია „ეს **დონწყილ კოჩი** „დინჯი, რიგიანი

კაცი“ [იქვე: 247], ზედმიწე. „დაწყობილი კაცი“; **კოჩი** ართი „კაცთაგანი, არსება, სულიერი“ [იქვე: 374]; **კოჩი** გოლუფარი „კაცის შემოსავლები, სანაცვლო“ (სანთელი, ზვარაკი და მისთ.) [იქვე: 374]; **კოჩი** გარაგანი „არაადამიანი, ადამიანისა რომ არა სცხია“ [იქვე:374]; **კოჩი** გოლუფა „კაცის შემოვლება, შემოდნობა, შეწირვა“ [იქვე: 374]; **კოჩი** გოჯოგელი „კაცისგან მოძულებული“ [იქვე:374]; **კოჩი** გოჯოგელი რენია „კაცისგან მოძულებული არისო“; **კოჩი** თასი „კაცის თესლი, ნატამალი“ [იქვე:374]; **კოჩი** თასო **კოჩითური** „კაცთ ნათესავი, კაცთაგანი“ [იქვე:374]; **კოჩი** კოჩი „კაცის კაცი“ [იქვე:374]; **კოჩი** მაცვილარი „კაცის მკვლეელი, მომაკვდინებელი“ [იქვე:374]; **კოჩი** მაჭკომალი „კაციჭამია“ [იქვე:374]; **კოჩი** მოძირაფა „კაცის ლანდი, ვითომ კაცი, არარა“ [იქვე:374]; **კოჩი** ნათესე „კაცთ ნათესავი, კაცთაგანი, ადამიანი“ [იქვე:374]; **კოჩი** ნოდი „მამაკაცის ნადი განსაკუთრებით რთული, საკაცო საქმისათვის“ [იქვე: 374]; **კოჩი** ოლი „კაცთ სავალი, ქვეითთა გზა“ [იქვე:374]; **კოჩი** სინთელეთ „კაცთ უვნებლად“ [იქვე:374]; **კოჩი** ტარიელი „კაცთაგან გამირობით გამორჩეული“ [იქვე:374]; **კოჩი** უძირაფუ „კაცთუნახავი“ [იქვე:374]; **კოჩი** უძირაფუს **კოჩიშვერ დინაფილი** „კაცის სახედაკარგული, ფერდაკარგული, დადედლებული“ [იქვე:374]; **კოჩიშვერ** ვეგნოდუდ „კაცის ფერი არ ედო სახეზე“; **კოჩი** ღურუ „კაცის მომაკვდინებელი, კაცთ სიკვდილი, სასიკვდილო სენი“ [იქვე:374]; **კოჩი** შური „კაცის სული, ჭაჭანება“ [იქვე:374]; **კოჩი** ხეშე „კაცის ხელისაგან“ [იქვე: 374]; **კოჩის ხეშე** ირფელე გიშელენსია „კაცის ხელიდან ყველაფერი გამოვაო“; **კოჩი** ხვანცა „კაცის ძვრა, ჭაჭანება“ [იქვე:374]; **კოჩი** ხოკო „კაცის თავისქალა“ [იქვე:374]; **ხვათახვალე კოჩი** „მარტო კაცი“ [საჯაია 2002: 161] // **ხვალახე კოჩი**: **ხვალახე კოჩი** ცოდო რენია „მარტოხელა („მარტოსული“ ლ.ფ.) კაცი ცოდვა არისო“ [ხალხური სიბრძნე, I, 1994: 183] და სხვა.

კოჩი მეგრულში, ისევე როგორც **კაცი** ქართულში, დასტურდება განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელისა და შორისდებულის ფუნქციით.

განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელის მნიშვნელობითაა გამოყენებული **კოჩი** შემდეგ წინადადებებში:

(1) **კოჩი** // **კოჩი** თქუასინ, მუთუნ ვაუჭირსე „კაცმა რომ თქვას, არაფერი უჭირს“

(2) **კოს** ვაურაგადე „კაცს (არავის) არ ელაპარაკება“;

(3) თენა // ენა **კოჩის** ვაურჩილე „ეს კაცს (არავის) არ უსმენს და სხვა.

შორისდებულის ფუნქციას ასრულებს იგივე ლექსემა, როცა ვამბობთ: **სი კოჩი** // **კოჩი** // **კოი**, მუს მეჩიებუქ // მირაგადუქ „შე კაცო, რას მეუბნები // მელაპარაკები“. ეს საერთოქართველური სტრუქტურის შესიტყვება მიმართვისას გამოიყენება [ჯანჯღავა 2000: 63]. იგი ქართულში მიმართვის ისეთი სპეციფიკური კონსტრუქციაა, რომელიც შეიცავს მეორე პირის **შენ** ნაცვალსახელის თანხმომავმოკვეცილ **შე** ფორმას („შე კაცო“) და ამ შემთხვევაში მსაზღვრელია [აფრიდონიძე 2000: 14-16]; ე.ი. სინტაგმა **შენ კაცო** მსაზღვრელ-საზღვრულისაგან შედგება, სადაც მსაზღვრელია მეორე პირის ნაცვალსახელი **შენ**, ხოლო საზღვრული- **კაცო**, რომელიც არსებითი სახელითაა გადმოცემული და მიმართვის ფორმაა: „**შენ, კაცო**, საქმეს მიხედე!“.

თანხმომავმოკვეცილი ფორმა **შე კაცო** ასევე ორკომპონენტია მიმართვაა, ოღონდ უკვე შორისდებულის ფუნქციით, რომელიც გარკვეულ ემოციონალურ შეფერილობას იძენს კონტექსტიდან, მთქმელის მიზანდასახულობიდან გამომდინარე: „**შე კაცო**, რას მაწვალე!“. ეს გასაგებიცაა, რადგანაც მიმართვა, როგორც გრამატიკულად დამოუკიდებელი და ინტონაციურად განსაზღვრული კომპონენტი წინადადებისა ან უფრო რთული სინტაქსური მთლიანობისა, რომელიც ვერბალური ურთიერთობის ფართო კონტექსტის განსაკუთრებული ელემენტია, ზოგადად, ქართველურ ენებსა და მსოფლიოს ენათა სხვა გენეტიკურ თუ ტიპოლოგიურ ჯგუფებში, მატარებელია ორი, ჩვეულებრივ, ერთად რეალიზებადი ფუნქციისა- აპელაციურისა (მიმართვისა) და შემფასებლურისა (ექსპრესიულისა). მიმართვის ფორმა **შე კაცო** სწორედ ამის მაგალითია.

ანალოგიური ვითარებაა მეგრულშიც, ოღონდ ქართულისაგან განსხვავებით, სადაც მიმართვის ფორმად ცალკე აღებული **კაცი**-ც გამოიყენება (შდრ. „**შე კაცო**, რას აკეთებ!“ და „**კაცო**, რას აკეთებ!“), მეგრულში, როგორც წესი, **კოჩი**- სახელურ ფუძეს მეტწილად ახლავს მეორე პირის ნაცვალსახელი **სი** „**შენ**“ როგორც მამაკაცის, ასევე ქალის მეტყველებაში. შესაბამისად გვაქვს:

(1) **სი კოჩი**, სო რექ ეზმა ხანს, მედინინი? „**შე კაცო**, სად ხარ ამდენ ხანს, რომ დაიკარგე? [ქაჯაია 2002: 161].

(2) მორთი, **სი კოჩი**, დიბრაგადუათ „**მოდო**, **შე კაცო**, დავილაპარაკოთ“.

(3) მუს ორთუქი, **სი კოჩი** ! „**რას აკეთებ**, **შე კაცო**!“ და სხვა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ქართული სინტაგმა **შე კაცო** და მისი მეგრული ეკვივალენტი **სი კოჩი** მიმართვის სპეციფიკური შესიტყვებებია (ფორმებია), რომლებშიც

ერთდროულად რეალიზებულია მიმართვის აპელაციური ფუნქცია და მრავალფეროვანი ექსპრესიულ-ემოციონალური შინაარსი, რასაც კონტექსტი განსაზღვრავს.

ლიტერატურა:

- აფრიდონიძე 2000 - აფრიდონიძე შ. მიმართვებში მსაზღვრელებად II პირის ნაცვალსახელთა შემცველი კონსტრუქციები ქართულში: სტრუქტურა და სემანტიკა. არნ. ჩიქობავას საკითხავები, XI, თბილისი, 2000.
- ელიავა 1997 - ელიავა გ. მეგრულ-ქართული ლექსიკონი, მარტვილი-თბილისი, 1997.
- კიკვიძე 2015 – Kikvidze, Zaal. The English *man* and Georgian *K'aci*: An outline of (dis)similarities // II, ELLE: Entre je(a), ed. By Dominique Gay-Sylvestre. Limoges: PULIM- press Universitaires de Limoges, 2015, 17-25.
- კლიმოვი 1964 – Климов Г. А. Этимологический словарь картвельских языков. М. 1964.
- კლიმოვი, ქაჯაია 2013 – Г. А. Климов, О. М. Каджаиа, мегрельско-русско-грузинский словарь. М. 2013.
- როზენი 1845 - G.Rossen, Uber das Mingrelische, Svanische und Abchasische; Abhandlungen de Preuss. Akademie der Wissenschaften zu Berlin, Phil.-hist., Berlin, 1845.
- ორბელიანი 1991 - ორბელიანი ს.ს. ლექსიკონი ქართული, I, თბ. 1991.
- ფერნიხი, სარჯველაძე 2000 - ფერნიხი ჰ. სარჯველაძე ზ. ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი. მეორე, შევსებული და გადამუშავებული გამოცემა, თბილისი, 2000.
- ქხს 1975 - ქართული ხალხური სიტყვიერება, მეგრული ტექსტები, I, პოეზია, თბილისი, 1975.
- ქაჯაია 2002 - ქაჯაია ო. მეგრულ-ქართული ლექსიკონი, II. ტ. თბილისი, 2002.
- ქობალია 2010 - ქობალია ა. მეგრული ლექსიკონი, თბილისი, 2010.
- ღლონტი 1971 - ღლონტი ალ. ქართული ლექსიკოგრაფიის საფუძვლები, თბილისი, 1971.
- შენგელია 2015 - შენგელია ვ. ადამიანის აღმნიშვნელი სიტყვები მეგრულ იდიომატურ გამოთქმებში, იკე, XLIII, თბ. 2015.
- ყიფშიძე 1914 – Кипшидзе И. Грамматика мингрельского (иверского) языка с хрестоматией и словарем. С.-Петербург. 1914.
- ჩიქობავა 1948 – Чикобава А.С. Картвельские языки, их исторический состав и древний лингвистический облик. ИКЕ, 1948.
- ცაგარელი 1880 – Цагарели А.А. Мингрельские этюды. Вып. I. Мингрельские тексты с переводом и объяснениями. Собранные и изданные Ал. Цагарели. С.Петербург; 1880.
- ხალხური სიბრძნე 1994 - ხალხური სიბრძნე, I, მეგრული და ლაზური ანდაზები. შემდგენელები: რ. შეროზია, ო. მემიშიძე, თბილისი, 1994.
- ხახიაშვილი 2009 - ხახიაშვილი ნ. კაც- სიტყვის ისტორიისათვის, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, X, თბილისი, 2009.
- ხუბუა 1937 - ხუბუა მ. მეგრული ტექსტები, ტფილისი, 1937.
- ჯანჯღავა 2000 - ჯანჯღავა ც. მიმართვის ფორმისათვის მეგრულში, არნ. ჩიქობავას საკითხავები, XI, თბილისი, 2000.

Levan Pachulia

Sokhumi State University

THE LEXEME K'OCI IN MEGRELIAN: STRUCTURAL, SEMANTIC AND PRAGMATIC ASPECTS RESUME

It has been repeatedly stated in the scholarly literature that the Georgian **k'ac** and Megrelian **K'oc** demonstrate the structural and semantic parallelism is represented by means of the regular sound correspondences and of the co-existence of two meaning generic Rhuman being and specific Radult maie man.

Similarly to Georgian in Megrelian lexical tems of various meanings are formed by means derivation compounding and derivation-compounding of the nominal stem K'oc.

ფონეტიკურად სახეცვლილი ფორმები ოტია იოსელიანის შემოქმედებაში

დიდი ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის – ოტია იოსელიანის შემოქმედებაში თვალსაჩინოდ აისახა ქვემოიმერულისათვის დამახასიათებელი თავისებურებანი. თავად მწერალი ქართულ ენას მშობლიურ სოფელში გამზრდელი ბებიის წყალობით და მეოხებით ეზიარა. სიტყვის დიდოსტატი ენას ერის სულს უწოდებს: „**ენა ერის სულია! რა არის ერი, რაა ქვეყანა, ვინაა, თუ არა ენა! ენა ერს სულივით თან ახლავს და უმისობა კი არა, ხელყოფაც კი სენია, დაავადებაც და დახეობაც**“.

...სიტყვა-ლექსიკა ჭურჭელია ენისა და გარედან ჭურჭლის დანახვა, დახატვა შეიძლება, მაგრამ შიგნით რა დევს, საღაროს მფლობელმაც არ იცის. სიტყვა გარეგნული სხეულია ენისა, თვითონ ენა კი-სული“.(I, 39)

იმერული დიალექტი ქართული ენის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ქვესისტემაა, შენაკადი და მასაზრდოებელი წყაროა. ცნობილია ისიც, რომ ჩვიდმეტი ერთეულიდან იგი ყველაზე დიდი დიალექტური ერთეულია. იმერული ორ მსხვილ კილოკავად იყოფა: ზემოიმერულად (ხარაგაული, საჩხერე, ჭიათურა, ზესტაფონი) და ქვემოიმერულად (თერჯოლა, ტყიბული, ბაღდადი, ვანი, წყალტუბო, სამტრედია, ხონი). გამოყოფენ აგრეთვე გარდამავალ ზოლს (ოკრიბა, ტყიბული, თერჯოლა, ბაღდადი).

შენიშნულია, რომ იმერულის ბგერითი შედგენილობა არსებითად ახალი ქართულისებურია (ჯორბენაძე, 1989, 445).

ოტია იოსელიანის შემოქმედებაში მნიშვნელოვნად აისახა იმერული დიალექტისათვის დამახასიათებელი სპეციფიკური ფორმები. შეიძლება ისიც კი ითქვას, რომ მისი, როგორც დიდი მწერლის ენისა და სტილის ჩამოყალიბებაში იმერულმა თავისი კუთვნილი წვლილი შეიტანა.

მწერალი დიალექტურ ფორმებს იყენებს მაშინ, როცა სურს მოქმედი პირის ხასიათი, მისი ბუნება გადმოსცეს. ამ გზით იგი ახერხებს სიღრმისეულად გვიჩვენოს პიროვნების გუნება-განწყობა და ექსპრესიულად გამოხატოს მისი შინაგანი სულიერი მდგომარეობა. დიალექტური ფორმების გამოყენებით მწერალი მეტ გამომსახველობასა და სიცხადეს ანიჭებს თითოეულ ფრაზას, ამბაფრებს, უკეთ გადმოსცემს თავის სათქმელს.

ოტია იოსელიანის შემოქმედებიდან ამჯერად ყურადღებას გავამახვილებთ ფონეტიკურად სახეცვლილ ფორმებზე.

როგორც აღვნიშნეთ, იმერულის ბგერითი შედგენილობა ახალი ქართულისას ემთხვევა. სხვაობას იძლევა მხოლოდ რამდენიმე ბგერა, რომლებიც ფონემურ ნაირსახეობას წარმოადგენს.

ქვემოიმერულისათვის დამახასიათებელია ჟ-ს არსებობა, რომელიც ოტია იოსელიანის შემოქმედებაში უმეტესად ვინაია წარმოდგენილი:

აქამდე თუ არ მიხსნავს, თვარა ხო არ გამიკეთებია (I, 35); თვარა ამდენ შემას ვინ მოგაშავებდა ბატონის ტყეში (I, 163)

ია ბოლოკიდურ პოზიციაში წარმოდგენილია, როგორც იე:

მალაქიე ტყეშია, თვარა ის კი მიხვდებოდა (V,187).

ხმოვანთა ასიმილაციური ცვლილებები ხდება აი, აე, ოე, აუ, ეუ კომპლექსებში:

აი → ეი: რას დეინახავს უკეთესს ორი თვალი (V, 259).

წეიხარე, წეიხარე და ისე მიეჩვევი (V, 48).

ჩააფიცხე მაინც, ვერ გადეიტან კისერში (V, 143).

დეილუპა, ბატონო ქვეყნიერება, მმა არ უშლისო? (V, 175).

ცოცხალს ვილა დეეძებდა, კუდარი რო არ დეიკარგა (V,156).

ჩვენი ქორწილი ვინ გეიგონა? (V, 219).

აუ → ოუ: უყურე შენ, რავა დოუჯაბნია ბოვში (V, 127).

ღმერთს შენთვის არაფერი დოუკლია (V, 184).

უსაშველო გოუჩადა შენ მტერს (IV, 64).

ქე ეჭირა თვალი აქოურობაზე (V, 168).

ვის გოუგონია და ვის მოსწრებია ქალბატონის მოტაცება (V, 173).

კაი ქნა, მალაქიას რო მოჯამაგირეობა დოუფასა (V,166).

ჩემი ქალბატონობა ვის გოუგია? (V, 167).

მატარებელი გაჩერებულა და თემი დოუკავებიათო (V, 187).

სახში წიგნი არ გოდოშულია, ისე დაამთავრა კლასი (IV, 351).

აე — **ჟე სრული რეგრესული ასიმილაციით:**

თოვლობაზე რო ურემი გადოუბრუნდა და დეეცა (V, 219).

აქნობამდი რო დეეგვიანა, ახლაც იქინე იქნებოდენ (IV, 462).

ოი — ეი: შორს მოჭრილი რო გქონდეს, ვერ მეიტან (V, 163).

კაცები რო მეიყრიენ თავს, აქანა რა გააჩერებს (V, 165).

გაზდა თუ არ აცალე, რას მეიგებ (IV, 172).

ოე — ეე: მე ქე მემეჭრა თავი (V, 241).

შენც ვერაფერი მემეხმარე (IV, 484).

აა — აე: რა ქენი, შე ხვთის გლაზა, კილო გადეიხიე ფეხი? (IV, 257).

რო შელამდა, იორდანესთან გადევიდენ (V, 245).

ჩააფიცხე მაინც, ვერ გადეიტან კისერში (I, 45).

კინიგზაზე იარ, გადეირიე, ზებია? (V, 44).

იმნიერი რავა უნდა დეიჩემო, რასაც რომ გადეიბრუნონ, ვერავინ ვერაფერს ვერ გოუგებს (IV, 74).

ვე — **ო:** ერთს და ორს რო ვაქეიფებთ, მესამეს და მეოთხეს რატომ უშობენ? (V, 95).

კაი ცხოვრებამ მალე იცის მიჩოვა (V, 4).

შენ მართლა არ ხარ შენი შვილებისგან სახლში შესაშობი (IV, 23).

შენ გადაღმა გაგიშობდი? (V, 241).

რკინიგზა რო ჩანს, მიყობი, გაყობი... (IV, 44).

ოთხ წელიწადს მუშაობდა და აღარ უშობდა (V, 71).

სად დადის აწი ეს ბედდამწვარი, ასე რომ დასოლებულა? (II, 247).

რას შობი ამნიერ უცნაურს! (IV, 65).

როულები და წიგნები ქე ყრია (IV, 201).

ვი — **უ:** საქვეყნოდ ხომ აწუმს და საძირკველია შესაცვლელი (V, 158).

ზოგჯერ ო გვაქვს -ევ კომპლექს პოზიციაში: კილო გადეიხიე ფეხი რამეზე? (IV, 257)

კილო კარგი, ახლა მაინც ბუნტობენ (IV, 163)

მრავალფეროვანია თანხმონებთან დაკავშირებული ფონეტიკური ცვლილებებიც. ღირსსაცნობია:

ვინ-ცა-ღა, რა-ცა-ღა ნაცვალსახელები პროგრესული ასიმილაციით: ვინცხა, რაცხა...

რაცხა მაგენი ნამეტანი შენსკენ არიან (V, 36)

ამ უპატრონო ქვეყანას რაცხა ხო უნდა უსაშველონ (V, 502)

რაცხას იმედს ხარ ჩაფრენილი (IV, 42).

ფეხზე გაიძრე, რაცხა ფაჩუჩებს მოგიძებნი (V, 45)

მატარებული გაჩერებულა, ვინცხა-ვინცხეები ჩამოსულა (V, 187)

მაშინ საცხა ტყეში დამმალე და დამტოვე (V, 277)

ხშირია სუბსტიტუციის შემთხვევები, ბ — ჟ: ჩემს თავს არ დავებეფ, ცხენს პატრონი ყავს (IV, 249)

საქმე რო გვინდა, იმიზა ვამბოფ (IV, 158)

რაფრა დევიჯერო, რო გიყურეფ (IV, 47)

არ ვიცი, რაფერ ვალამეფ და ვათენეფ (V, 201)

რ — **ლ:** მაქანე დღეში ასჯერ გევიარ და არაფელი მინახავს (IV, 127)

რავალი მომჭირნე იყო, თუ იცი (V, 32)

უყურე, რავალი ყვარებია (V, 245)

ბ — **პ:** რა ვქნა, აპა, ბოღმა რო კისერში წამიჭირებს (IV, 465)

აპა, რაიზა ვართ მოსახლე და ოჯახისშვილი (IV, 73)

აპა, აპა, რო ვუთხარით, შენი ძმის მეგობარი გელოდება-თქვა (V, 75)

ფერმაში ხპორებს რძეს ვპარავდით (IV, 49)

ვ — **ფ:** ესაა, ალბათ, ბევრ ბატონს რო თვალებს უფსებდა (V, 188)

ვერ ვიცანი მე თვალეზდაფსებულმა (IV, 120)

შენ ამ თოვლში რასაა, რო ემეფ? (IV, 127)

საქმე რო გვინდა, იმიზა ვამბოფ (IV, 156)

ჯერ ქე გვაქ ნაფთი (V, 166)

წ — **ტ:** სასტაული იქნებოდა, რაღაცა და... (V, 282)

ტყვილა ფეხებში ედება, აღარც სტავლაა მისთვის (V, 219)

დეიქვა ჩემი გაჩენა, ვერ ვისტავლე (IV, 440)

მაგის ფასს რას ისტავლის, თუ იცი? (IV, 353)

ვ — **ბ:** კაი თებზები გვინდოდა (V, 172)

იმიზა მახსობს კარქათ (IV, 160)

ვ —> ბ: ხო გახსობთ, რა საწყალობელი სიცილი ქონდა (IV, 208)

ჯ —> ჟ: ტაქსში რო იყდენ (III, 392)

სულ ქეა უქმურზე შემქდარი და ჯუჯღუნობს (IV, 49)

დ —> თ: ჩააბარა სახორცეთ (V, 222)

ისე აგიხთინოთ ღმერთმა კაი და კაი (V, 213)

მაშინ ხშირათ ყოფილხარ ჩვენ ოჯახში (V, 190)

მეორეთ ჯვრისწერა რავა იქნება (V, 184)

ბოვშები უდედოთ არ დამიტოვოთ (V, 202)

სონია ბებია იყო ჩვენთან ფქვილის სასესხებლათ (V, 167)

მ —> ფ: კითხე, რა ფხარი ეცვალა (IV, 127)

ზ —> ს: მე კი არ მოგზედევთ, მარა საბუთები იშოვეთ (IV, 452)

არ დაბრუნდება და მე უნდა ვზდიო (IV, 44)

გარბის და მივზდევ (IV, 44)

გ —> ქ: კარქი რო იყო, მაშინაც გითხარი (IV, 87)

მარა კაი მინდა, კარქი (I, 150)

დაკარქე ჭკუა, ასე რავა ივარგებ? (IV, 452)

ძ —> ზ: მყავს იორდანე, ჩემი მზახალი (V, 254)

მზახლებთან რომ მივალ და ძაღლებმა არ შემომიყეფოს... (VII, 47)

მ —> ნ: ხალხი ნამეტანს ენდუროდა (V, 218)

უნცროს- უფროსობა რო არ გეყურებოდა (IV, 40)

ა —> ო: დედომიწაზე იმნიერი საცოდავი არაფერი უნახავს ჩემ თვალებს (IV, 45)

დოუგდე ყური, თვითან გეტყვის (IV, 244)

ნ —> ლ: მე ერთ ნიტრა ღვინოს ილიაში ამოვიდებ და გადავალ (VII, 480)

ვ —> ნ: ჩემი კაცი ამბობს, დავისვენე, რაც დამცვინდაო (IV, 38)

ღ —> ხ: რა ქენი, შე ხვთის გლახა, გადეიხიე ფეხი რამეზე? (IV, 257)

ო —> ვ: მეზობლები თითვან მეიტანენ (IV, 166)

ს —> ც: როიც იცოდი მისანა გაჯიუტება (IV, 40)

ხშირია ზგერის დაკარგვის შემთხვევები. ქვემოთმხროლში იკარგება: ს, ვ, ნ, მ, ლ, რ, თ, გ ზგერები, აგრეთვე, ერთდროულად რამდენიმე თანხმომივანი. იკარგება ვ ზგერა:

ბოვშები უდედოთ არ დამიტოვოთ (IV, 202)

რ: ეს რა უნდა იყოს, ქთამია? (V, 160)

აკადემიკოსი შვილი რო გვეზდება, დაულუპავ მომავალს? (IV, 355)

მომავალს რო ზდი, რაცხის იმედს ხარ ჩაფრენილი (IV, 42)

კინიგზაზე იარ, გადეირიე ბებია? (V, 44)

მ: თელი ღამე შამფურივით ვტრიალებ (V, 184)

იმ ციხეშია თამარი დაწყდოული (V, 74)

ძლივს იდგა სხვილ ფეხებზე (IV, 49)

ცოცხალს ვილა დეემებდა, კვდარი რო არ დეიკარგა (IV, 156)

ღვდელი გგონია, არც ქე ყოფილა (IV, 98)

ყორიფელზე თავის დაქნევა ვაჯობინე (IV, 106)

გ: წელს რავალი გაზაფხული იქნება (I, 50)

უყურე რავალი ყვარებია (V, 245)

ლ: სახში წიგნი არ გადოშლია, ისე დაამთავრა კლასი (IV, 351)

ქაღალდი ჩემ სახში გაჩნდა (V, 166)

ჰო, მაგენი გვაკდა (IV, 123)

ნ: მაგარ არაყს მეც ქე დავაგუბებივ პირში (V, 215)

რომ შეღამდა, იორდანესთან გადევიდენ (V, 242)

უსაშველო გოუჩდა შენ მტერს (IV, 464)

ეს ერთი ბოთლი კონიაკი დაალევიე და... (V, 82)

შენ რომ პატოისანი იყო, მაგ სიმიდის ძირში არ შემვრებოდი (V, 69)

იკარგვის -ს მიცემითი ბრუნვის ნიშანი: ქაღალდი ჩემ ოჯახში გაჩდა (V, 166)

უსაშველო გოუჩდა შენ მტერს (IV, 464)

ჩემ დღენძელობას ვინ ჩივის (IV, 61)

ჩემ მანქანას ქვეშ რო უკაკუნებს, არ იცი მაგი? (IV, 80)

ჩამატებულია ნ: მენდლები და ორდენია დამაგრებული (V, 159)

იმ ჩემ დღენმელობას რას ჩივით (IV, 61)

რ: ამნეირები ვივარგებთ ურცხო ადამიანთან? (III, 246)

თ: მასთე ჯობია (IV, 46)

ხოდა მასთე ვიზამ (IV, 445)

მე ბოდიში უნდა მოვიხადო ყველა თქვენთაგანთან (V, 193)

ასეთი სიმართლე არცერთ ჩვენთაგანს არ უთქვამს (V, 314)

ხ: როცხა არევი გიჭერდა, ჩამოსულიყავი (IV, 48)

ივარგება სპ: მარა მაინძელმა რო მაინძლობა იცის (IV, 73)

მდ: თლა პრაპეზორიო (IV, 225)

რგ: კარგი-კაი: კაი ქნა, მალაქიას მოჯამაგირეობა რო დოუფასა (V, 166)

ისე აგიხთინოთ ღმერთმა კაი და კაი (V, 213)

ეს: აღარც ზოგა და ზოსელი გვაქ (V, 223)

ქვეყნიერება გაქ შემორებული (III, 53)

თვალეზი გამოციებული მაქ (III, 97)

საბუთები რო საყოფათ არ მაქ, ხმის ამოღების ქე მეშინია (III, 82)

ჩვენებითი ნაცვალსახელი ფონეტიკურად მარტივდება:

დეისვენებდენ: ცხენიც, ი კვიციც, მისი პატრონიც, მეც და ე ხალხიც (IV, 38)

ე მიწადასაყრელი გული არ შობოდა, თვარა (IV, 65)

აპა, ი ეკლესია კლუბიზა და ბიბლიოთეკიზა კი არ ოუშენებია (IV, 158)

ფართო დადასტურებისაა “ ქე “ ნაწილაკი:

იქნებ ცოდვაშიც ქე ჩავდგი ფეხი (V, 161)

ჩემო მალაქიე, ქე ხარ მაქ, შე კაცო (V, 164)

ხელი არც ქე ურევია მაგათ გაჩენაში (V, 38)

მშიერი ქე ვარ და დამანებეთ ბარემ თავი (V, 161)

მაგ არაყს მეც ქე დავაგუბები პირში (V, 215)

სხვათა სიტყვის ნაწილაკ-მორფემოიდია -თქვა:

მე ვთქვი, ქალი მაინც ქალია-თქვა (V, 202)

გაშინაურებისთვის კი არ მითქვამს, მიხაკო-თქვა (V, 191)

ხომ გითხარი, ეშმაკის მოგონილია-თქვა (V, 165)

რა ჭირს კოკას ჩემი ხელსაკრავი-თქვა (V, 66)

ამდენად, დიდძალი საანალიზო მასალის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ ოტია იოსელიანის შემოქმედებაში თვალსაჩინოდ აისახა ქვემოიმერულისათვის დამახასიათებელი ფონეტიკური და ლექსიკური თავისებურებანი. დიალექტიზმები გამოიხატა ისეთ ფონეტიკურ მოვლენებში, როგორიცაა ასიმილაცია, დისიმილაცია, სუბსტიტუცია, ბგერის დაკარგვა, ბგერის გაჩენა... მასალის ანალიზმა იმაშიც დაგვარწმუნა, რომ იმერულისათვის დამახასიათებელი არაერთი ფონეტიკური მოვლენა არ ჩანს მწერლის თხზულებებში (მაგ. სწ/სტ კომპლექსს როცა ცვლის ს: სორი, სავლა, გაასრო... ქვემოიმერულისათვის ბუნებრივი მრავლობითის წარმოების ფორმები – ბიძეები, ამისანეები... შეიძლება ითქვას, რომ ძალზე იშვიათია ოტია იოსელიანის შემოქმედებაში. ამასთანავე ზოგიერთ ფონეტიკურ მოვლენას სისტემატური ხასიათი აქვს, ზოგიერთი კი (მაგ. ბგერათმონაცვლეობა) შედარებით იშვიათად გვხვდება. მთლიანობაში კი, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ოტია იოსელიანის ენა და სტილი ძალზე საინტერესოა და კვლევის საკმაოდ საინტერესო ასპექტებს სახავს.

ლიტერატურა:

ჯორბენაძე 1989 - ბ. ჯორბენაძე, ქართული დიალექტოლოგია, I, თბილისი.

იოსელიანი 2006 - ო. იოსელიანი, თხზულებანი ათ ტომად, ტ. III, თბილისი

იოსელიანი 2006 - ო. იოსელიანი, თხზულებანი ათ ტომად, ტ. IV, თბილისი

იოსელიანი 2006 - ო. იოსელიანი, თხზულებანი ათ ტომად, ტ. V, თბილისი

Ketevan Sharikadze
Sokhumi State University
PHONETIC ALTERATIONS IN OTIA IOSELIANI'S CREATIVITY
RESUME

Imeretian dialect is known as one of the most important dialects of Georgian language. After Georgian language it is the largest dialectal unit. Imeretian is divided into two large dialects: Zemo Imeretian (Kharagauli, Sachkhere, Chiatura, Zestaponi) and Kvemo Imeretian (Terjola, Tkibuli, Baghdadi, Vani, Tskaltubo, Samtredia, Khoni), and the transition line (Okriba, Tkibuli, Terjola, Baghdadi region) is separated.

Imeretian sound composition is essentially new Georgian.

In the works of Otia Ioseliani, the speech characteristic to Kvemo Imeretian was clearly visible. The writer uses dialectal forms, when he wants to describe the character of the acting person, his nature. In this way he manages to show the person's mood deeply and express his/her inner spiritual condition.

In the works of Otia Ioseliani we find phonetic changes of the consonants and vowels, such as: აუ-ოუ, აე-ეე, ოი-ეი, ოე-ეე, აა-აე, ვე-ო, ვე-უ, ევ-ო, ბ-ფ, რ-ლ, ბ-პ, ვ-ფ, მ-ნ, ვ-ნ, წ-ტ, ვ-ბ, ჯ-ჟ, ზ-ს, გ-ქ, ო-ვ... , also in the event of loss of sounds and originating of sound, the following consonants are lost: ს, ვ, ნ, ლ, მ, რ, თ, several consonants are lost simultaneously: სპ, რგ, მდ, ვს...

In the works of Otia Ioseliani almost all the phonetic changes characteristic of Kvemo Imeretian were reflected, some of which have more systematic nature (for example, ვე-ო, აე-ეე, აუ-ოუ...); some are relatively rare (მ-ფ, ა-ო, ვ-ბ, მ-ნ...).

ჯულეტა ძაბუა
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

**ქართული ენის მნიშვნელობა სწავლა-განათლების აღორძინებისა და ეროვნული
თვითმყოფადობისათვის**

სასკოლო განათლების ენობრივი პოლიტიკა ქვეყნის საგარეო და საშინაო პოლიტიკის შემადგენელი ნაწილია. ყველას კარგად გვახსოვს ის დრო, როდესაც რუსეთის იმპერიაში შემავალ ყველა ქვეყანას (მათ შორის საქართველოსაც) უნდა ჰქონოდა ორი „მშობლიური“ ენა: ერთი დედაენა, მეორე - ყველასათვის სავალდებულო და საჭირო რუსული ენა. ეს საკითხი - ორი მშობლიური ენის პრობლემა - სადისკუსიოდ ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის ქართული პრესის ფურცლებზე იქცა. ეს ის პერიოდია, როდესაც ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში სასკოლო განათლების ერთადერთ ენად რუსულია მიჩნეული, ხოლო ქართული ენა მთლიანად განდევნილია სასკოლო განათლების სფეროდან. ი. გოგებაშვილის თქმისა არ იყოს, „რუსეთთან შეერთების შემდეგ სარწმუნოება უზრუნველყოფილი იქნა, მაგრამ დიდი განსაცდელის წინაშე დადგა ჩვენი ენა“¹. ჩვენს წინაპრებს დაუღალავი ბრძოლა დასჭირდათ იმისთვის, რომ ქართული ერთ-ერთ სავალდებულო საგნად მაინც დარჩენილიყო სკოლაში. „ქართული ენა უნდა გახდეს სავალდებულო საგნად ყველა ქართველთათვის, მიენიჭოს სრული უფლება სამტატო საგნისა... ქართული ენის მასწავლებელს ეძლეოდათ იმდენივე ჯამაგირი, როგორც სხვა საგნის მასწავლებლებსა“². ერის მამად აღიარებული – დიდი ილიას აზრით კი, „პირველ სამ წელიწადს მოსწავლე მხოლოდ დედა ენაზე უნდა მეცადინეობდეს, შემდეგ მეოთხე წლიდან უნდა შემოდიოდეს სკოლაში რუსული და სხვა ენები“. მხოლოდ მე-19 საუკუნის მიწურულს შეიმუშავა საგანგებო კომისიამ ალექსი ჭიჭინაძის თავმჯდომარეობით „სასწავლო გეგმა“, რომლის მიხედვით სწავლება დაწყებით სკოლაში უნდა წარმართულიყო მშობლიურ (ქართულ) ენაზე. რა თქმა უნდა, ეს გეგმა მაშინდელი ოფიციალის მიერ

¹ ი. გოგებაშვილი, ეროვნული სენის მიზეზი და წამალი, ტ. მე-3, 1954.

² ი. გოგებაშვილი, შევიწროება ქართული ენისა და ქართველებისა სწავლა-განათლების სფეროში, ტ. მე-4, 1955.

უარყოფილ იქნა. უფრო მეტიც - გაორმაგებული ძალით შეუტეეს ქართულ ენას და იგი საგანმანათლებლო სივრციდან თითქმის მთლიანად განდევნეს.

ქართული ენის დევნა განსაკუთრებული სიმძაფრით სამეგრელოში გამოვლინდა. 1899 წლის სინოდის ახალი დებულების (ბრძ.1207) თანახმად, ქართული არასავალდებულო ენად ცხადდება. მისი ცოდნა არც პედაგოგებს მოეთხოვებათ. ხელისუფლება სეპარატიზმის პოლიტიკის გამტარებელი იყო და ცდილობდა დაესაბუთებინა, თითქმის „მეგრელმა ბავშვებმა არ იცოდნენ ქართული ენა, და რომ მეგრულ ენას უნდა გაეჩია მათთვის რუსული ენის სწავლებაში დამხმარე როლი“. [1, გვ. 137]. ჩვენი ეროვნულობის დასაკნინებლად გაჩაღებულ ამგვარ კამპანიას ადგილობრივმა მოსახლეობამ იმთავითვე აშკარა უნდობლობა გამოუცხადა. ეს გრძელდებოდა წლების განმავლობაში.

საქართველოს პირველი რესპუბლიკის ხელისუფლებას (1918–1921) უპირველეს ამოცანად მიაჩნდა სწავლა-განათლების სისტემის ახალი დროის შესაბამისად გარდაქმნა, სკოლის ეროვნულ ნიადაგზე გადაწყობა და ქვეყანაში საყოველთაო დაწყებითი განათლების შემოღება. ამ გეგმის განხორციელებაში აქტიურად მონაწილეობდა სამეგრელოს რეგიონიც. ხელისუფლებამ გადაიბირა არსებული სკოლები, აღრიცხა მოსწავლეთა რაოდენობა და სკოლის გარეშე დარჩენილ ბავშვთა რიცხვი. შეადგინა ახალი სკოლების აშენების, პედაგოგთა გადამზადებისა და საჭირო კადრების მომზადების გეგმა. იღვწოდა გაეზარდა პედაგოგთა ხელფასი, შეექმნა მათი საქმიანობისათვის აუცილებელი პირობები.

დემოკრატიული საქართველოს ერთ-ერთ ურთულეს პრობლემას სწავლა-განათლება წარმოადგენდა. განათლების სისტემის ეროვნულ ყაიდაზე გადაწყობა ქართული ენის მოვლა-პატრონობის საკითხსაც გადაწყვეტდა, რაც ათწლეულების განმავლობაში ვერ მოგვარდა. ამ პრობლემამ ყველაზე მტკივნეულად, როგორც ცნობილია, სამეგრელოში იჩინა თავი. აქ 1918 წლის მონაცემებით, სასკოლო ასაკის ბავშვთა ნახევარზე მეტი (50–60%) სკოლის გარეშე იყო დარჩენილი. მთავრობას ამის მიზეზად მიაჩნდა მასწავლებლებისა და სკოლების უკმარისობა. „საქართველოში ბევრი კუთხეა ჩამორჩენილი, – წერს „სახალხო საქმე“, – მაგრამ სკოლების გახსნის დროს უპირატესობა სამეგრელოს უნდა მიეცეს, რადგან აქ განსაკუთრებული პირობებია. ბევრ სოფელში ხალხმა ქართული არ იცის, უმეტესწილად ქალებმა და ბავშვებმა. მამაკაცებში ქართულის მცოდნეთა რიცხვი არ აღემატება 40%-ს. ცხადია, აქ გადმოსროლილი პროვოკაციული თესლი მუდამ ნაყოფს გამოიღებს და საქმეს საწინააღმდეგო გაგვიხდის“. კორესპოდენტი სრულიად მართებულად აკეთებს დასკვნას, რომ „ასეთი მდგომარეობის შესახებ კარგად იცოდნენ ბოლშევიკებმა და ამიტომ ხალხს არწმუნებენ, მეგრელები სხვანი ვართ და ქართველები სხვანი, რუსი ბოლშევიკები კი ჩვენი ძმები არიანო“¹.

სამეგრელოში (ზუგდიდში, სენაკსა და გალში) ჩატარებული ყრილობების დადგენილებათა მიხედვით, ადგილობრივ მმართველობებს მეტად მნიშვნელოვანი გადაუდებელი სამუშაოები უნდა ჩაერთარებინათ სახალხო განათლების სფეროში. გაეზარდათ ეროვნული (ქართულენოვანი) სკოლების რიცხვი, უზრუნველყოთ მასწავლებლები საცხოვრებელითა და ხელფასით. როგორც ჩანს, ადგილობრივი ხელისუფლების მუშაობა მასწავლებელთა დასაკმაყოფილებლად არაეფექტურად წარმართულა, რადგან აბაშის რაიონის მასწავლებელთა ყრილობაზე გამოითქვა დიდი უკმაყოფილება მთავრობის არაეფექტური მუშაობის გამო. ერთმა მასწავლებელმა განაცხადა: „ეროვამ დაადგინა უზნის მასწავლებელთათვის განსაზღვრული თანხის მიცემა, მე გავახსენე გამგეობას თავისი დადგენილება და უმორჩილესად ვთხოვე გაეხსნათ კრედიტი ერობის თანხებიდან, მაგრამ უარი მივიღე. შემომითვალეს, მატერიალურ კრიზისს განვიცდითო. მეც რა ვქნა, ვსწავლობ ჯერ ხანი, მაგრამ გაისად აქაურობა ღმერთმა ნუ მანახოს, წავალ და თან წავიღებ მწარე მოგონებებს ჩემი აქ მასწავლებლობისა“². ბევრი ამბობდა, მთავრობა არხეინად ზის, სამი თვის ხელფასი არ გამოუწერია, ხალხს ჰგონია გასამრჯელო არც კი უნდა ჰქონდეს პედაგოგებსო.

იყო შემთხვევა, როცა ერთ-ერთ მასწავლებელს ეჭვი გაუჩნდა ადგილობრივი მთავრობის კომპეტენციაზე. პედაგოგმა თქვა, რომ ადგილობრივი ხელისუფლება მოუშზადებელი კადრებითაა დაკომპლექტებული, თორემ რა მიზეზია, რომ სამინისტროს მიერ გამოცემულ კანონებს არ იცნობენ და უბრალო რამეზე აურზაურს ატეხენო. „გაიძახიან, ჩვენ ვართ მთავრობა, ჩვენ დაგვექვემდებარეთ და რომელმაც არც კი იცის, რომ ხარჯთაღრიცხვის დაუმტკიცებლად არც ერთი შაურის დახარჯვა არ შეიძლება და თუ იცის გაჭიანურებით საქმეს ვნებს. მე ვიცი ერთი შემთხვევა, – განაგრძობს იგივე, – ერობის გამგეობამ დასამტკიცებლად წარდგენილი ხარჯთაღრიცხვა შეინახა უჯრაში, მასწავლებლებს კი შემოუთვალა, რომ მანდ მოვალთ, ქონებას ჩავიბარებთ და დავამტკიცებთო. მაგრამ თვეები გადის, არ მოდიან და სასწავლებელი იღუპება ან უკანონოდ იხარჯება ფული ყოველდღიური გასავლის დასაფარავად. რა ჯამაგირი უნდა გამოუწეროს ერობამ, რა კრედიტის გახსნა შეუძლია, როცა არც კი იცის, არსებული კანონის თანახმად, ვის რა ერგება. ერობასაც კი წაუკითხავს იანვრის ორი კანონი, სადაც

¹ გაზეთი „სახალხო საქმე“, #348, 1920.

² იქვე.

გარკვეულად არის აღნიშნული თითოეული თანამდებობის პირის ჯამაგირი. მოდი ეხლა და ამისთანა ერობას ჩააბარე სკოლა ასაყვავებლად“.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ, რა თქმა უნდა, იყვნენ ადგილობრივი ხელისუფლების გვერდით მოღვაწე მასწავლებლებიც. მაგრამ ისინი, როგორც ჩანს, უმცირესობას წარადგენდნენ. საბოლოოდ კრებამ აირჩია ორი კაცი, რომელთაც უნდა ეშუამდგომლათ მთავრობასთან შესაფერისი კრედიტების გახსნისა და მიუღებელი სამი თვის ჯამაგირების მიცემისათვის.

სენაკის სამაზრო ერობის ეს მაკომპრომენტირებელი მასალა საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის მთავარი კომიტეტის ორგანოში დაიბეჭდა. „სახალხო საქმე“ 11 მაისის ნომერში მ. თათარაშვილის სტატიას ბეჭდავს სათაურით: „სენაკის მაზრის ერობა და სკოლის საკითხი“ (ეს ორგანო ყველაზე დიდ ყურადღებას უთმობს ქართულ ენაზე სწავლა-განათლების საკითხს სამეგრელოს რეგიონში). სტატიის ავტორის განცხადებით, განახლებულ სკოლებში არ აღმოჩნდა ეროვნულ ნიადაგზე მომზადებული საკმარისი რაოდენობის მასწავლებელი, რომ ყველა¹ ტიპისა და საფეხურის სკოლები განიცდიან უკიდურეს გაჭირვებას, ადგილობრივი ხელისუფლება მოვალეა მიეშველოს სკოლას, მოუმზადოს ქართულენოვანი მასწავლებლები. სენაკის სამაზრო ერობამ გადადგა პირველი ნაბიჯები ამ მიმართულებით. სხდომებზე დაადგინა, რომ ქალაქ ახალ სენაკში სკოლებში მეცადინეობის შეწყვეტის შემდგომ გამართოს საზაფხულო თვენახევრიანი კურსები, ხოლო სექტემბრიდან გახსნას საოსტატო სემინარია. სტატიის ავტორს საოსტატო სემინარიის გახსნა სოფელ ახალ ეკში ნაადრევად მიაჩნია. რადგან ამისათვის დიდი ხარჯის გაწევას საჭირო, რაც ერობას ჯერჯერობით არ შეუძლიაო. გარდა ამისა არ გვყავს მომზადებული კადრები, გამოცდილ მასწავლებელთა პერსონალი. ამ მოსაზრებით, სასურველად მიმაჩნია, რომ ერობა ისე მოლოწიერდეს, რომ დააარსოს ერთ-ერთ პირველდაწყებით სასწავლებელთან ორწლიანი სამასწავლებლო კურსები, რომელიც შედარებით იაფი დაჯდება და სასარგებლო იქნება პირველ ხანებში, – ასკვნის წერილის ავტორი².

იგივე პრობლემები წამოჭრა სენაკის მაზრის ხმოსანთა მეორე ყრილობამ, რომელიც 1919 წლის 5 აპრილს გაიხსნა. სახალხო განათლების ნაწილზე მოხსენება გააკეთა გამგეობის წევრმა პ. ფიჩხაიამ. მისი გამოსვლა დიდი დოზით თვითკრიტიკასაც შეიცავდა. მან განაცხადა, რომ პირველი ყრილობისაგან დავალებული ჰქონდა 10 დაწყებითი სასწავლებლის გახსნა. გახსნილა მხოლოდ 9. მათი შენახვა დაჯდება ნახევარი მილიონი წლიურად და თუ ამ ხარჯებში მთავრობა არ დაგვეხმარა, მათი ბედი ძალიან უნუგემო იქნებაო. პროფესიონალური და ტექნიკური სასწავლებლები არ გაგვიხსნია იმიტომ, რომ ამისათვის არც სახსრები გვქონდა და ვერც სპეციალისტები ვიშოვეთო.

ერობის სასწავლო განყოფილებას დაუზავანია ყველა სასწავლებლისათვის საანკეტო ფურცლები. გარკვეულა, რომ სკოლის გარეშე დარჩენილი სასწავლო ასაკის ბავშვების რიცხვი ყოფილა 11 ათასამდე, მაშინ როდესაც სკოლებში მოსწავლეთა რიცხვი 10 ათასს აღწევდა. მომხსენებლის აზრით, საჭირო იყო პირველ რიგში სკოლის გარეშე დარჩენილთა სასწავლებლებში შეფარებაზე ეზრუნათ. ფიჩხაიასაც მიაჩნია, რომ აუცილებელი იყო საოსტატო სემინარიის გახსნა. ამის შესახებ მოლაპარაკება გაუმართავთ ზუგდიდის ერობასთან, მაგრამ იგი უსახსრობის გამო არ გამოხმაურებია ასეთ ინიციატივას. მიუხედავად ამისა, ამ საქმეს უნდა შეეუდგეთო 1 სექტემბრიდან, – აცხადებს ფიჩხაია. წლიურად ამას დასჭირდება 120 ათასი მანეთი. მიზნად დავისახეთ აგრეთვე მასწავლებელთათვის საზაფხულო კურსების გახსნა. ამ კურსებისათვის ერობამ გამოყო 5000 ათასი მანეთი. ბოლოს მომხსენებელი აცხადებს, თუ მასწავლებელთა თვითური ჯამაგირი 500 მანეთი მაინც არ იქნა ნაცვლად 400-ისა, მოსალოდნელია სკოლების დაცარიელება მასწავლებლებისგანო.

მოხსენების გარშემო კამათი გაიმართა ყრილობაზე. ხმოსანმა საბახტარაშვილმა აღნიშნა, რომ სწავლა-განათლების დარგში ცუდი მდგომარეობა ჰქონდათ. უმაღლეს პირველდაწყებით სასწავლებლებში ისეთი მასწავლებლები დაუტოვებიათ, რომელთაც განათლება მიუღიათ დაბალ ორკლასიან სასწავლებლებში. ერთი რიგიანი მასწავლებელიც კი არ მოგიწევიათ სკოლებში მაშინ, როდესაც არა ერთი და ორი კარგად მომზადებული მასწავლებელი ელოდება მოწვევას, – საყვედურობს მომხსენებელი კომიტეტს. ხმოსანი მოითხოვს ყველგან გიმნაზიებისა და პროგიმნაზიების ფუნქციონირების ნაცვლად, სადაც ჩვენს თაობას „ლათინურმა ტვინი გამოუღაყა და გამოუხადეგარი გახადა ცხოვრებისათვის, გაიხსნას პროფესიული სასწავლებლები“. საბახტარაშვილის აზრით, ჩვენი ქვეყნის წარმატებისათვის აუცილებელია გაიხსნას დაბალი ორკლასიანი აგრონომიული სასწავლებელი. თუ არ გვყავს მომზადებული მასწავლებელი, მოვიწვიოთ რუსი მასწავლებლები, მოვიწვიოთ ვინც არ უნდა იყოს, მხოლოდ გვასწავლოს ხვნა, თესვა და თოხნაო.

¹ გაზეთი „სახალხო საქმე“, #348, , 1920. თბილისი.

² ალ. ბენდიანიშვილი, საქალაქო მმართველობა და ბრძოლა მისი დემოკრატიზაციისათვის საქართველოში, თბილისი.

საბახტარაშვილი მოითხოვს აგრეთვე მასწავლებლების უზრუნველყოფას ჯამაგირით. წინააღმდეგ შემთხვევაში ქართულის კარგად მცოდნე რიგიანი მასწავლებლები გაგვექცევინ და დავრჩებით უვარგისთა ამარაო. რადგან სენაკის მაზრაში 11 ათასი ბავშვი სკოლის გარეშეა დარჩენილი, იგი მოითხოვს დაწესდეს გადასახადი. დაიბეგროს ბურჟუაზია და სწავლა-განათლების საქმე მყარ საფუძველზე დადგეს.

ხმოსანი ბოკერია კატეგორიულად შეეწინააღმდეგა ამ აზრს. ხალხს რომ ვთხოვოთ მასწავლებელთა დახმარება და გამოვუცხადოთ ხაზინას არა აქვს და შენ გაიღე სახსრებიო, ხალხი გამოგვედევნებო.

სკოლების მეთვალყურე ვლ. გაგუამ ყრილობაზე აღნიშნა, რომ ერთი კვირის განმავლობაში დაათვალიერა 19 სკოლა ნოსირში, წყეში, გეჯეთში, საგამსახურდიოში, კოტიანეთში, ნოსირში, ლეგოგინეთში, უშაფათში, უფლის კარში, ეკში და სხვ. მისი აზრით, მდგომარეობა არც ისე უნუგეშო იყო. ძალიან კარგად არის დაყენებული ეროვნულ სკოლებში სწავლის მდგომარეობა ნოსირში, ნოქალაქევისა და ბეთლემის სასწავლებლებში. ზოგიერთ სოფელში სკოლის ძველი შენობები მიუვალ, უხერხულად იდგებიან აშენებული, რომელთაგან მისვლა-მოსვლა წვიმიან დღეებში საერთოდ ძნელი ხდება. როგორც მასწავლებლებისა ისე მოსწავლეებისათვის სკოლის შენობები ისეთ ცუდ და ავარიულ მდგომარეობაში არიან, რომ ითხოვენ კაპიტალურ შეკეთებას. მართალია უცენზო მასწავლებლები ასწავლიან ჩვენს სკოლებში, მაგრამ ეს მხოლოდ ქაღალდზე, „პედაგოგიური თვალსაზრისით მომზადებულნი არიან და გამოცდილნიო“.¹ მისი შთაბეჭდილება ზოგადად ასეთი იყო: საშველი იქნება, უნუგეშო მდგომარეობა არ არის.

ხმოსანი კეკელია შეეკამათა საბახტარაშვილს გიმნაზიების საკითხში. ერობას ერთი გიმნაზიაც არ გაუხსნია. რაც არსებობს იმის დაკეტვა შეუძლებელია, სანამ თვითონ არ დაიხოცებიან ბუნებრივი სიკვდილითო, –განაცხადა მან. კეკელია მოითხოვს, მოსახლეობას გააგებინონ, მასწავლებელთა დამცირებული ყოფა. ისინი არ არიან უზრუნველყოფილი საარსებო ხელფასით. ხალხი შეცდომაშია შეყვანილი. მას ჰგონია, რომ მასწავლებელი სახელმწიფოსგან იღებს ჯამაგირს. გაიგოს ხალხმა, რომ სახელმწიფო უძღურია ნივთიერად უზრუნველყოს მასწავლებელი. იგი დაფიქრდება და შესაძლებელია თვითონ იკისროს მასწავლებელთა ხელფასებით უზრუნველყოფა.²

სენაკის მაზრის საერო ბოკერია შეეკამათა მეორე ყრილობამ დაადგინა: ვინაიდან მაზრაში მომზადებულ მასწავლებელთა რიცხვი ისე მცირეა, რომ სასკოლო ასაკის ბავშვთა 55% სკოლის გარეშეა დარჩენილი და ზოგი მასწავლებელი მოკლებულია სათანადო მომზადებას, დაევალოს საერო ბოკერია გამგეობას, რომ ამ ზაფხულშივე მოაწყოს სენაკში მასწავლებელთა ორთვიანი კურსები, სადაც ქართული ენის მასწავლებლების მომზადებას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცესო.

სწავლა-აღზრდის საქმეში მთავრობა ძალიან ბევრს იღწვოდა. ზოგან გიმნაზიების დაარსებასაც ითხოვდნენ, ხშირად ორი-სამი გიმნაზიისაც. ასეთ მიდრეკილებებს ხალხი ეწინააღმდეგებოდა და უფრო სპეციალური სკოლებისათვის ზრუნავდნენ და აქეზებდნენ მათ, მაგრამ, სამწუხაროდ, სათანადოდ მომზადებულ პირებს ვერ შოულობდნენ.

ქართული ენის მასწავლებელთა რიცხვი სკოლებში მცირეა. საერთოდ ყველა აღმზრდელი დიდ ნივთიერ გაჭირვებას განიცდის. არის შემთხვევა, როდესაც მასწავლებელი 4 განყოფილებას უვლის. ასეთი არანორმალური მდგომარეობა დიდად აფერხებს სწავლა-აღზრდის მკვიდრ ეროვნულ ნიადაგზე დაყენების საქმეს. მასწავლებელთა რიცხვის გასამრავლებლად სენაკში დავაარსეთ საოსტატო სემინარია, სადაც ამჟამად 32 ახალგაზრდა მეცადინეობს, უმეტესობა ქართული ენის მასწავლებელია. სკოლებისათვის გამოყოფილი სახსრები ძალიან მცირეა. არ არის საკმარისი პროფესიონალი კადრების მომზადებისთვის. ამიტომ მეტი ხარჯია გასაღები, რომ საქმე დროულად გაკეთდეს და ხელი არ შეეშალოს ეროვნული სულისკვეთების გაღვივებას მოსახლეობაში. ის, რასაც იძლევა მთავრობა სკოლებისათვის, საკმარისი არაა და ერობამ ამ დარგში დახარჯა საკუთარი ბიუჯეტიდან 200 000 მანეთი³.

მიუხედავად სირთულეებისა, აღნიშნულ პერიოდში სამეგრელოს რეგიონში განთავსებულ სასწავლებლებში ქართული ენა არა მხოლოდ ერთ-ერთი ძირითადი სასწავლო დისციპლინა გახდა, არამედ ის იყო სხვა საგანთა სწავლების საფუძველიც. მაშინდელი პრესა მკაფიოდ აღნიშნავდა, რომ „იგი მშობლიური ენაა, დედაენაა, რომლის სწავლებაც ბავშვის აზროვნების, ინტელექტის განვითარებისაკენ არის მიმართულიო“⁴.

¹ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა, 1920, 14 თებერვლის ნომერი.

² იქვე.

³ ალ. ბენდიანიშვილი, საქალაქო მმართველობა და ბრძოლა მისი დემოკრატიზაციისათვის საქართველოში, თბილისი.

⁴ გაზეთი „სახალხო საქმე“, #348. 1920.

თანამედროვე საქართველოში ქართული ენისა და ლიტერატურის საგნობრივი სტანდარტის საფუძველს წარმოადგენს ენა, როგორც პიროვნების მენტალიტეტის, აზრის ფორმულირებისა და გავრცელების საშუალება. ეროვნული ენის სწავლება სკოლაში ემსახურება აუცილებელი ენობრივი უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას სამი მიმართულებით (ზეპირმეტყველება, კითხვა და წერა).

ლიტერატურა:

1. ი. გოგებაშვილი, 1954–ი. გოგებაშვილი, ეროვნული სენის მიზეზი და წამალი, ტ. მე-3. თბილისი.
2. ი. გოგებაშვილი, 1955–ი. გოგებაშვილი, შევიწროება ქართული ენისა და ქართველებისა სწავლა-განათლების სფეროში, ტ. მე-4, თბილისი.
3. ალ. ბენდიანიშვილი, 1982 - ალ. ბენდიანიშვილი, საქალაქო მმართველობა და ბრძოლა მისი დემოკრატიზაციისათვის საქართველოში, თბილისი.
4. გაზეთი სახალხო საქმე“, #348, , 1920., თბილისი.
5. გაზეთი „ეროზა“, #4, 1920, თბილისი.
6. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა, 1920, 14 თებერვლის ნომერი, თბილისი.

Juleta Dzadzua

Sokhumi State University

THE IMPORTANCE OF THE GEORGIAN LANGUAGE IN THE REVIVAL OF EDUCATION AND NATIONAL IDENTITY RESUME

The importance of the Georgian Language to increase knowledge was one of the most important problems in Democratic Georgia. To instruct in the Georgian language at schools do maintain to solve the problems existed in Georgia for decades The Georgian language became not only the main discipline but it became the means to learn other subjects.

The government of Democratic Georgia established new schools, recorded the number of children who were not rolled at schools. Primary education became obligatory, planned to build new schools, to prepare qualified teachers ,tried to increase teachers' salary, to create working conditions, To change educational system, to instruct subjects in the Georgian language Performing all those ones was almost impossible for decades.

სოფიკო ჭაავა

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

განათლების ენა ცხინვალის მხარეში, აჭარასა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიებზე 1921-22 წლებში (საარქივო მასალების მიხედვით)

1921 წელს საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ შექმნილი ახალი სოციალური და პოლიტიკური რეალობის გამო ძირეული გარდაქმნები მიმდინარეობდა ყველა მიმართულებით. მათ შორის უმნიშვნელოვანესი იყო განათლების სისტემაში არსებული და დაგეგმილი პროცესები. სახალხო განათლების კომისარიატის საარქივო ფონდში დაცულ დოკუმენტურ მასალებში სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად აღწერილია აღნიშნული პერიოდის სოციოლინგვისტური ვითარებაც, კერძოდ, ასახულია ენობრივი კანონმდებლობის, ენათა სწავლების, ეთნიკურ-ენობრივი იდენტობისა და კომპეტენციის საკითხები.

როგორც ზემოაღნიშნული წყაროებიდან ირკვევა, განსახკომი მონდომებით აღწესდებოდა მემკვიდრეობით მიღებულ სტატისტიკურ მონაცემებს და მაქსიმალურად ცდილობდა შელამაზებულად წარმოეჩინა ახალი პერიოდის შეცვლილი ან ახლადშექმნილი საქმეების “სიდიადე”. ამას ადასტურებს მაზრებში საგანგებოდ გაგზავნილი ისტრუქტორებისა და განათლების მუშაკების ანგარიშები საქართველოს სხვადასხვა მხარეში სწავლა-განათლების მდგომარეობის შესახებ. წინამდებარე ნაშრომში განხილულია საბჭოთა ხელისუფლების ხელშეწყობით შექმნილი ახალი პოლიტიკურ-ადმინისტრაციული სტატუსის მქონე ე. წ. სამხრეთ ოსეთის, აჭარისა და აფხაზეთის რესპუბლიკებში არსებული ეთნიკური შემადგენლობა, ენობრივი სიტუაცია და საგანმანათლებლო სფეროს რეფორმები.

1921 წლის 8 მარტს გაიმართა განსახკომის სასწავლო კოლეგიის სხდომა, რომელსაც დაესწრნენ: განათლების კომისარი მ. ორახელაშვილი, სასწავლო კოლეგიის წევრები: ალ. წერეთელი და ნ. მგელაძე, სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი ივ. ჯავახიშვილი. ქალაქების სკოლების გამგე გ. კონიაშვილი და სკოლების მთავარგამგენი: ნ. თაქთაქიშვილი და ს. კანდელაკი. ოქმში წარმოდგენილია ინსტრუქტორ გიორგი მელიქიძის მოხსენება ე. წ. სამხრეთ ოსეთის განათლების კომისარიატის მუშაობის შესახებ. განსახკომის თანამშრომლის ანგარიშში აღწერილია კომისარიატის სტრუქტურის, მისი პირადი შემადგენლობისა და სკოლების სტატისტიკური მონაცემები. გ. მელიქიძის ცნობით:

“განსახკომს სათავეში უდგას სახალხო კომისარი **პ. გ. თედევი**, რომელსაც დამთავრებული აქვს ტფილისის საოსტატო ინსტიტუტი და 27 წელიწადი მსახურობს პედაგოგიურ ასპარეზზე.

• სახალხო კომისრის მოადგილე /იგივე მოანგარიშე/ **ზ. გ. ქუმარიტოვი**, დაუმთავრებია ქუთაისის სამეურნეო დაბალი სკოლა. პედაგოგიური სტაჟი სულ არა აქვს.

• მდივანი **თ. სანაკოვე** და 1 რეგისტრატორ-მემანქანე - **ვ. სამონოვის ასული** - ორივე საშუალო განათლებით, ყველა ეს პირი არიან უპარტიო.

სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე ითვლება 45 სკოლა. ამ რიცხვებში განსახკომს შეტანილი აქვს ის სკოლებიც, რომლებიც არსებობენ მათ ტერიტორიის გარეთ, მაგ. დუშეთის, გორის და სიღნაღის მაზრებში. მათში სწავლობს 3126 მოწაფე ორივე სქესის. ჰყავთ სულ 89 მასწავლებელი” ფონდი 300, ანაწერი 4, #2, 1921 საქმე #18, ოქმი განსახკომის სასწავლო კოლეგიის სხდომისა 1921 წლის 8 მარტს.

ოქმში დასახელებულია 89 გამგისა და მასწავლებლის პირადი შემადგენლობა, რომელთა შორის 88 იყო ეროვნებით ოსი და მხოლოდ 1 (სოფიო მიროტაძე) ქართველი. განათლების და სტაჟის მიხედვით: უმაღლესი განათლება ჰქონდა - 11 კაცს, საშუალო - 34-ს, დაბალი და საშინაო - 46-ს (ამათგან ზოგიერთს არა ჰქონია დამთავრებული 4 კლასი).

ინსტრუქტორის აზრით, “ეს ციფრები შეიძლება არ შეიცავდეს სიმართლეს, მაგრამ ცოტა თუ ბევრათ მაინც მაჩვენებელია იმისა, რომ ოსეთის განსახკომს მასწავლებელთა კადრის შექმნისთვის მიზნად დაუსახავს მხოლოდ რიცხვი და რაც შეეხება ხარისხს, მისთვის გვერდი აუხვევია” ფონდი 300, ანაწერი 4, #2, 1921 საქმე #18, ოქმი განსახკომის სასწავლო კოლეგიის სხდომისა 1921 წლის 8 მარტს.

როგორც ჩანს, ინსტრუქტორისთვის გამგეთა და მასწავლებელთა მონაცემები მიუწოდებია ე. წ. სამხრეთ ოსეთის განსახკომს. გ. მიქელაძე ვარაუდობდა, რომ მასწავლებელთა განათლების ცენზის შესახებ ინფორმაცია არ შეესაბამებოდა სიმართლეს. თუმცა, ჩვენი აზრით, საეჭვოა მასწავლებელთა ეთნიკური შემადგენლობაც, ვინაიდან საპირისპირო სურათს იძლევა განსახკომის სხვა ფონდში დაცული საარქივო მასალები, რომლებშიც მაზრებისა და სოფლების მიხედვით დასახელებულია მასწავლებელთა ეთნიკური შემადგენლობა და განათლების მიღების ადგილი, კერძოდ:

ცხინვალის რაიონი: ვანათი, ერედვი, არბო. მასწავლებელი - 3, ქართველი - 3, ისწავლეს საქართველოში;

ქარელის რაიონი: ქარელი, ზღუდერი, კლდე, ქვემო ხვედურეთი, კეხიჯვარი, ელბაქიანთ-კარი, სამწერისი, ტყემლოვანი. მასწავლებელი - 22, ბერძენი - 11, ქართველი - 6, ოსი - 5 (ქელესავეი ნიკოლოზი, გაგლოვეი გიორგი, ბერეკოვეა ვერა, ბერეკოვეი ტიმოთე, ჯიოვეი პეტრე), ისწავლეს საქართველოში;

მეჯვრისხევის რაიონი: პატარა მეჯვრისხევი, აძვი, ზერტი, ბერშუეთი. მასწავლებელი - 6, ქართველი - 6, ისწავლეს საქართველოში;

ტყვიავის რაიონი: ტყვიავი, ტირმისი, ფლავი, ქიწნისი, მეღვრეკისი. მასწ. 5. ქართვ. 5. ისწავლეს საქართველოში;

ხელთუბნის რაიონი: ხელთუბანი, სვენეთი, კარალეთი. მასწავლებელი - 3, ქართველი - 3, ისწავლეს საქართველოში;

კავთისხევის რაიონი: კავთისხევი, თვალადი, ჩოჩეთის-უბანი, თელათ-გორი, წინარეხი, იდლეთი, ოლლა, ჩივანთ-უბანი. მასწავლებელი - 8. ქართველი - 7, სომეხი - 1, ისწავლეს საქართველოში;

სურამის რაიონი: ბეკამი, ქემფერი, იტრია, ქვიშხეთი, წაბლოვანი, ცოცხნარა, ტეზერი. მასწავლებელი - 11, ქართველი - 11, ისწავლეს საქართველოში;

ქვემო ჭალის რაიონი: ქვემო ჭალა, სამთავისი, კასპი. მასწავლებელი - 4, ქართველი 4 (დავითაშვილი მელანია - პეტერბურგის სამეურნეო უმაღლესი კურსი; **ტაგანაშვილი ალექსანდრა** - რიაზანის სასწავლო სამეურნეო კურსი), 2-მა ისწავლა საქართველოში, 2-მა - რუსეთში;

ხიდისთავის რაიონი: ხიდისთავი, ატენი, ჭვარები, ღვარები. მასწავლებელი - 6, ქართველი - 5, ოსი 1 (**გაგლოაშვილი დავითი**), ისწავლეს საქართველოში;

შინდისის რაიონი: შინდისი, ზემო ხვითი, ფხვენისი, ქვემო ნიქოზი, ზემო ნიქოზი, ვარიანი. მასწავლებელი - 7. ქართველი - 7, ისწავლეს საქართველოში;

რუისის რაიონი: რუისი, დირბი, ბებნისი, ურბნისი, საღოლაშენი, ბრეთი. მასწავლებელი - 10, ქართველი 10, ისწავლეს საქართველოში”, **ფონდი 300, ანაწერი 8, საქმე #14, 1921.**

ე. წ. სამხრეთ ოსეთის განსახკომის მიერ გ. მიქელაძისთვის წარდგენილი ცნობა, თითქოს აღნიშნულ მხარეში მოღვაწე 89 მასწავლებლიდან 88 ეროვნებით ოსი და 1 ქართველი იყო, სიყალბეა და მიზნად ისახავს ოლქის არსებობის გამართლებას. სინამდვილეში კი ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე არც ერთი ოსი მასწავლებელი არ სახელდება ახლახან დამოწმებულ საბუთში, ხოლო ყოფილი ოლქის ფარგლებს გარეთ მასწავლებლად უმუშავია 6 ეროვნებით ოს პედაგოგს, კერძოდ, 5 მათგანს (**ქელესაივი ნიკოლოზი, გაგლოევი გიორგი, ბერეკოევა ვერა, ბერეკოევი ტიმოთე, ჯიოევი პეტრე**) უცხოვრია ქარელის „რაიონში“, ხოლო **გაგლოაშვილ დავითს** ხიდისთავში, ამჟამინდელ გორის მუნიციპალიტეტში.

68 ქართველი მასწავლებლიდან მხოლოდ ორს მიუღია სკოლის შემდგომი განათლება რუსეთში, ხოლო 6 ოსი, 11 ბერძენი და 1 სომეხი მასწავლებლიდან ყველას განათლება მიუღია საქართველოში.

მართალია, მითითებულ წყაროში არ ჩანს, თუ რომელ ენებზე სწავლობდნენ საქართველოს სხვადასხვა სასწავლებლებში ზემოაღნიშნული მასწავლებლები, მაგრამ მოსალოდნელია, რომ მათი დიდი უმრავლესობა ქართულ ენაზე მიიღებდა სწავლა-განათლებას.

მომხსენებელი გამგეებისა და მასწავლებლების მონაცემების გარდა, თავის ანგარიშში ასახელებს ე. წ. სამხრეთ ოსეთის სასწავლო დაწესებულებების სტატისტიკურ მონაცემებსაც:

“თვით ცხინვალში აქვთ გახსნილი: 1 ოსური პედაგოგიური ტექნიკუმი, რომლის პირად შემადგენლობას წარმოადგენს 9 მასწავლებელი და სწავლობს 25 მოწაფე. ამ რიცხვში 20 ოსია და 5 სომეხი. 2 ოსური სრულკომპლექტიანი შრომის სკოლა, სადაც სწავლობს 192 მოწაფე და ჰყავთ 15 მასწავლებელი, დანარჩენი 42 სკოლა გახსნილია შემდეგ პუნქტებში:

(სოფლები - სკოლების მოსწავლეთა რაოდენობით): არკენთი - 57, ბელოთი - 73, ვახტანა - 62, გაღმა ხევი - 44, გეორგი წმინდა 85, გრომი - 70, ჯავა - 104, ჯამისი - 55, ჯრისი - 42, ძარი - 47, დმენისი - 49, ზაკორსკი - 35, ზოუბირი - 49, იმერხევი - 38, ქალეთი - 55, ქვათეთრი - 48, ყორნისი - 98, მეტეხი - 43, მსხლები - 80, ორტევი - 54, პიჩიჯინი - 73, ორინევი - 45, რუსთავი - 69, სამწყარო - 85, სათიკარი - 69, სნევი - 42, თერეგვანი - 77, ტილიანი - 40, ტყისუბანი - 52, თორმანეული - 86, სხლითი - 83, წონა - 57, წორბისი - 107, წრესი (? - ს.ჭ.) - 49, წნენისი (? - ს.ჭ.) - 80, წუნარი - 71, ცხინვალი - 192, ჩასავალი - 98, შუა ხევი - 60, გერი - 88, წხსიონი (? - ს.ჭ.) - 73, წირსი - 96, თედელეთი - 87. ზემოხსენებული 2 ქართული და 1 სომხური სკოლის გარდა, ოსეთის ტერიტორიაზე არსებობენ კიდევ შემდეგი ქართული სკოლები: კეხვის (1 მასწ. 36 მოწაფე), ქურთის (1 მასწ. 31 მოწაფე) და ვანათის (1 მასწ. და 36 მოწაფე)” **ფონდი 300, ანაწერი 4, #2, 1921 საქმე #18, ოქმი განსახკომის სასწავლო კოლეგიის სხდომისა 1921 წლის 8 მარტს.**

ამასადამე, ე. წ. სამხრეთ ოსეთის განსახკომის მმართველობის ქვეშ ფუნქციონირებდა **სულ 45 სკოლა. მათ შორის, 39 - ოსური, 5 - ქართული და 1 - სომხური.** აღნიშნულ სკოლებში მოსწავლეთა ყველაზე მცირე რაოდენობა იყო 31, ხოლო ყველაზე მეტი - 192. **გორის, დუშეთისა და სიღნაღის ტერიტორიებზე არსებული ოსური სკოლებიც რატომღაც ამავე კომისარიატის იურიდიულ დაქვემდებარებაში შედიოდნენ.** როგორც ვხედავთ, ე. წ. სამხრეთ ოსეთის განათლების კომისარს, მის მოადგილესა და სხვა ქართველი თუ არაქართველი მასწავლებლების უმრავლესობას სკოლის შემდგომ საფეხურზე განათლება საქართველოში ქართულ ენაზე მიუღიათ. სწორედ ეს მასწავლებლები უნდა გადანაწილებულიყვნენ 45 სკოლაში, რომელთაგან 39 იყო ოსური. მოსალოდნელია, რომ ეროვნებით ქართველი მასწავლებლები, თუ მათ პრაქტიკულად არ იცოდნენ ოსური ენა ვერ შეძლებდნენ ოსურ ენაზე სასწავლო პროცესის წარმართვას. მეტიც, ამ ენის მცოდნე ოს მასწავლებლებსაც კი ალბათ გაუჭირდებოდათ სრულფასოვნად წარემართათ სწავლება ოსურ ენაზე.

საანალიზო დოკუმენტის ტექსტში ჩამოთვლილი სოფლების მოსახლეობა ტრადიციულად ქართული იყო, მაგრამ მათში ოსური სკოლების გახსნა აშკარად გამიზნული იყო მოსწავლეთა ეთნიკური იდენტობისა და ენობრივი კომპეტენციის შესაცვლელად.

სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების შესახებ ინფორმაციის გადმოცემისას, გ. მიქელაძე ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საბავშვო ბაღის მომავალმა გამგემ არ იცოდა ოსური ენა: **“წასული 1920-21 წლის განმავლობაში ოსეთში არ ყოფილა არც ერთი საბავშვო ბაღი, სახლი და თავშესაფარი, ბინის**

მოწყობილობისა და მომზადებულ ხელმძღვანელთა უქონლობის გამო. ახლო მომავალში ოსეთის განსახკომს განზრახული აქვს გახსნას სოფელ თამარაშენში საბავშვო სახლი - თავშესაფარი ოსეთის ობოლ ბავშვთათვის. ამ მიზნისთვის დაკავებულია ყოფილ თავადის ვასო მაჩაბლის სახლი. საბავშვო სახლის გამგედ დასახელებულია **სანაკოვეისა**, რომელსაც დაუმთავრებია კიევში ფრემელის კურსები, მხოლოდ ოსური ენა არ იცის” **ფონდი 300, ანაწერი 4, #2, 1921 საქმე #18, ოქმი განსახკომის სასწავლო კოლეგიის სხდომისა 1921 წლის 8 მარტს.**

გ. მელიქიძე თავის მოხსენებაში ყურადღებას ამახვილებს ცხინვალის სომხურ სკოლაზე და მნიშვნელოვან ცნობებს იძლევა ე.წ. სამხრეთ ოსეთში მცხოვრებ სომხებად მიჩნეული მოსახლეობის ენობრივ კომპეტენციაზე. მისი ინფორმაციით: **“ქ. ცხინვალში არსებობს სომხური სამრევლო სკოლა. ამ სკოლას ინახავდა ჯერ საქველმოქმედო საზოგადოება, შემდეგ სომეხთა ეროვნული საბჭო და ამჟამად იმყოფება გორის განსახკომის განმგებლობაში. შარშან მეცადინეობდა იქ ჩვეულებრივ ადგილობრივი მღვდელი გრიგორიანცი. მიზანი სკოლის დაარსებისა ყოფილა ის, რომ შეასწავლონ ბავშვებს სომხური ანბანი, რათა სომხურ ეკლესიას ჰყოლოდა მსახურნი - მაგალობლები. მთლიან დამთავრებულ სწავლას ხსენებული სკოლა არ იძლეოდა. დაჰყოფდა რა მოწაფე ერთ-ორ წელს, დასტოვებდა და გადადიოდა ყოფილ სამინისტროს სკოლებში, სადაც ასრულებდა კურსს. სამრევლო სკოლაში შეძენილს კი ივიწყებდა, ვინაიდან სომხურ ენას ცხინვალში არავითარი პრაქტიკული მნიშვნელობა არა აქვს. სომხების მცხოვრებთა 100% ლაპარაკობს ქართულად, მათი 98% -მა სომხური ლაპარაკი სულ არ იცის. სომხის ბავშვი, როგორც სახლში, ისე გარეთ ლაპარაკობს მხოლოდ ქართულად, მის სამშობლო ენათ ითვლება ქართული ენა. ამიტომ ხსენებული სკოლის მაგ სახით დარჩენა უბრალო შემთხვევით შეცდომათ კი არ უნდა ჩაითვალოს, არამედ პედაგოგიურ არცოდნათ, ვინაიდან იმ მეთოდს, რომელსაც სამწუხაროთ ჰქონდა ფეხი მოკიდებული, დიდი ხანია დაჰგმო პედაგოგიურმა მეცნიერებამ. ამიტომ საჭიროა ეხლა მაინც მოზარდი თაობა დავეყენოთ გაჯანსაღებულ გზაზე. ამ გზის გამონახვა იქნება ის, რომ სომხური სკოლა შეუერთდება რომელიმე ქართულ სკოლას და რომ არ შეილახოს ზოგიერთ მშობელთა სურვილი, იქმნას შემოღებული სომეხთა ეროვნული / სამშობლო ენას ვერ ვუწოდებთ/ ენის სწავლება მხოლოდ მეოთხე განყოფილებიდან, როგორც მიღებულია საერთო წესით”** **ფონდი 300, ანაწერი 4, #2, 1921 საქმე #18, ოქმი განსახკომის სასწავლო კოლეგიის სხდომისა 1921 წლის 8 მარტს.**

სომხებად მიჩნეული მოსახლეობის მიერ ქართული ენის სრულყოფილად ფლობა და მათ მიერ ამ ენის “სამშობლო ენად” აღქმა, სავარაუდოდ, განპირობებული იყო 3 მიზეზით:

- ქართულ ენობრივ გარემოში ცხოვრებით;
- მათი არაკომპაქტური და დისპერსიული განსახლებით;
- სომხებად მიჩნეული მოსახლეობის ერთი ნაწილი წარმოშობით ქართველი, მაგრამ კონფესიურად გრიგორიანი იყო, რის გამო მათ სომხებად მიიჩნევდნენ.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ე.წ. სამხრეთ ოსეთში სკოლების უმრავლესობა იყო ოსური, სავარაუდოდ, სომეხ და გასომხებულ მოსწავლეებს ნაკლები შანსი ექნებოდათ ქართულ სკოლებში მოხვედრისა და მათი უმრავლესობა ისწავლიდა ოსურად. მიუხედავად ამისა, გ. მიქელაძე დაბეჯითებით ამტკიცებს, რომ სომხის ბავშვები შინ და გარეთ ლაპარაკობდნენ მხოლოდ ქართულად და ვფიქრობთ, რომ ეს რეალური ამბავი უნდა იყოს. ამ ფაქტიდანაც დასტურდება, რომ **ე.წ. სამხრეთ ოსეთის მცხოვრები არაქართველები (ოსები, სომხები, ბერძნები) სალაპარაკოდ და განათლების ენად იყენებდნენ ქართულ ენას.**

გ. მიქელაძის გადმოცემით:

“ცხინვალში სწავლა სწარმოებდა წარსული წლის განმავლობაში შემდეგ სასწავლებლებში:

1. ოსური პედაგოგიური ტეხნიკუმი (ტეხნიკუმის გამგე **კოჩიევი**);
2. ქართული სამეურნეო ტეხნიკუმი - 5 მასწავლებელი, 10 მოწაფე (სასწავლებელი დაიხურა კომისარიატის განკარგულებით);
3. ოსური სრულკომპლექტიანი შრომის სკოლა - 15 მასწავლებელი, 192 მოწაფე;
4. ქართული სრულკომპლექტიანი შრომის სკოლა - 2 მასწავლებელი, 119 მოწაფე;
5. სომხური ორგანყოფილებიანი შრომის სკოლა.

ყველა ამ სასწავლებელში ითვლებოდა 652 მოწაფე და მეცადინეობა წარმოებდა 3 შენობაში 2-3 რიგად. მომავალი წლიდან ოსური სკოლებისთვის ეთმობათ 2 დიდი ახალი შენობა, მხოლოდ 1 შრომის სკოლას აქვს მცირე წიგნთსაცავი. არანორმალურად მძიმე პირობებში მიმდინარეობდა სასკოლო ცხოვრება ცხინვალის სრულკომპლექტიან შრომის სკოლებში და მით უმეტეს ტეხნიკუმებში”. **ფონდი 300, ანაწერი 4, #2, 1921 საქმე #18, ოქმი განსახკომის სასწავლო კოლეგიის სხდომისა 1921 წლის 8 მარტს.**

მართალია, ოსურ სკოლებში მასწავლებელთა და მოსწავლეთა რაოდენობა ბევრად ჭარბობდა ქართული სკოლების პედაგოგთა და მოსწავლეთა რაოდენობას, მაგრამ, ჩვენი აზრით, ეს არ უნდა

ასახვდეს იმდროინდელ ცხინვალში არსებულ ეთნიკურ ვითარებას. სინამდვილეში ცხინვალში ქართული მოსახლეობა ბევრად მეტი იყო, ვიდრე ოსური, რაზეც შემდეგი ციფრები მიუთითებს:

1910 წლის აღწერით ცხინვალის მოსახლეობა იყო 5.033 ადამიანი, მათ შორის იყვნენ: 42.3% ქართველი ებრაელები, 33% ქართველები, 13.4% სომხები და 11% ოსები. 1989 წელს ჩატარებული საბჭოთა ცენზის მიხედვით ცხინვალის მოსახლეობა შეადგენდა 42.934 ადამიანს. ამჟამად მისი მოსახლეობა დაახლ. 20.000-ს შეადგენს. (იხ. ცხრილი)

ეროვნება	1886	1922	1959	1970	1989
ქართველები	1,1	1,4	4,6	5,5	6,9
ოსები	-	0,6	12,4	20,8	31,5
ებრაელები	1,9	1,7	1,6	1,5	0,4
სომხები	0,7	0,8	0,9	0,8	0,7
რუსები	-	0,1	1,6	1,2	1,8
სულ (ათასებში)	3,8	4,6	21,6	30,3	42,3

<https://ka.wikipedia.org/wiki/>

რაც შეეხება ოსური სკოლების მასწავლებელთა ეროვნულ შემადგენლობას, როგორც ზემოთ აღინიშნა, შიდა ქართლში იმ დროს სულ 6 ოსი მასწავლებელი ჰყავდათ და, ბუნებრივია, ქალაქ ცხინვალის სკოლაშიც ყველა მასწავლებელი ქართველი ყოფილიყო.

ინსტრუქტორმა გ. მიქელაძემ ოსეთის ცენტრალური აღმასკომის სხდომაზე, რომელსაც ესწრებოდნენ პარტკომის პრეზიდიუმი, პროფკავშირების წარმომადგენლები და სახალხო კომისრები, წარადგინა რეკომენდაციები ე. წ. სამხრეთ ოსეთის სახალხო განათლების კომისარიატისთვის:

„1. გაუქმდეს ცხინვალის განათლების განყოფილება, ყველა არა ოსური სკოლები გადავიდნენ გორის განათლების განყოფილების განკარგულებაში;

2. ის ოსური სასწავლებლები, რომლებიც არსებობენ ოსეთის ტერიტორიის გარეთ, დაექვემდებაროს სათანადო განათლების განყოფილებებს: გორის, დუშეთის და სიღნაღის;

3. შეუერთდეს ცხინვალის სომხური სკოლა რომელიმე ქართულ შრომის სკოლას და მე-4 განყოფილებიდან შემოღებულ იქნას მსურველთათვის ეროვნული ენის სწავლება;

4. ოსური პედაგოგიური ტექნიკუმის 75%-ის ხარჯის გადატანა ადგილობრივ თანხებზე დადასტურდეს, ან არადა სულ დაიხუროს და მის მაგიერ გაიხსნას შრომის სკოლასთან 1-2 წლიანი კურსები მასწავლებლების მოსამზადებლად;

5. ვინაიდან ოსეთის მასწავლებელთა დიდი ნაწილი შესდგება გამოუცდელ პირებისაგან და ძველი მასწავლებლებიც არ არიან გაცნობილი შრომის საფუძველზე აღზრდის პრინციპებთან და ახალ მეთოდებთან, ამიტომ ცხინვალში გაიხსნას ამ სამოსწავლო წელშივე მოკლე ვადიანი კურსები” **ფონდი 300, ანაწერი 4, #2, 1921 საქმე #18, ოქმი განსახკომის სასწავლო კოლეგიის სხდომისა 1921 წლის 8 მარტს.**

ახსნას მოითხოვს გ. მიქელაძის წინადადება ცხინვალის რაიონის განათლების განყოფილების გაუქმების შესახებ. როგორც გ. მიქელაძის მოხსენებიდან ირკვევა, იმ დროს მთელ საქართველოში იწყებოდა განათლების განყოფილებების გამსხვილების პროცესი, რისი ერთ-ერთი მიზეზიც იყო საანგარიშგებო დოკუმენტების არარსებობა ან არასრულყოფილად წარმოება, აგრეთვე საქმის არაპროფესიულად წარმართვა. შესაბამისად, ჩვენ გამოვრიცხავთ ეთნიკური მიზეზით ამ განყოფილებების დახურვას.

გ. მიქელაძის რეკომენდაციის მეორე პუნქტი მართებული იყო, ვინაიდან იცავდა განათლების მართვის ტერიტორიულ პრინციპს.

მომხსენებელი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ სომხური სკოლის არსებობა ფუჭი და უსარგებლო იყო, თუმცა თავის რეკომენდაციაში მაინც დაუშვა მე-4 კლასიდან ეროვნული ენის სწავლების შესაძლებლობა მსურველთათვის. წინააღმდეგ შემთხვევაში, ამას შესაძლოა სომხების უკმაყოფილება გამოეწვია.

რეკომენდაციის მეორე პუნქტიდან ჩანს, რომ ოსური სკოლები არსებობდნენ ოსეთის ტერიტორიის გარეთაც, კერძოდ, გორის, დუშეთისა და სიღნაღის მაზრებში. იმის გასარკვევად, თუ რამდენი ოსური სკოლა არსებობდა აღნიშნულ მაზრებში, მოვიძიეთ კონკრეტულად ამ რაიონების მონაცემები.

“გორის მაზრაში შრომის სკოლები სულ 67:

ქართული - 61;

სომხური - 4 (ცხინვალში - 1, ქ. გორში - 2, წითელ სულარში - 1);

ბერძნული - 1 (ქ. ბორჯომში);

რუსული - 1 (ქ. ბორჯომში).

მასწავლებლები გორის მაზრაში: სულ 138 (ქალი 84, კაცი 54). ქართველი - 108, სომეხი - 16, დანარჩენი - 14”.

მოსწავლეები ეროვნებისა და დედაენის მიხედვით გორის მაზრის შრომის სკოლებში:

მოსწ. სულ	კაცი 2384	ქართვე	სომხ	რუს	ოსი	ბერძ	გამოურკ
4764	ქალი 2380	2513	675	74	227	48	121
	დედაენა	4275	199	110	166	10	გერმ. 4

ფონდი 300, ანაწერი 8, საქმე #14, გორის მაზრა/ საერთო ცნობები შრომის სკოლის შესახებ, 1921.

როგორც ვხედავთ, კონკრეტულად ამ მონაცემების მიხედვით, გორის მაზრაში არ ფუნქციონირებდა არც ერთი ოსური სკოლა. ამასთანავე, საინტერესო სურათს იძლევა გორის სხვადასხვა ეროვნების მოსწავლეთა განაწილება დედაენის მიხედვით. მართალია, გარკვეული უზუსტობებია ამ სტატისტიკურ მონაცემებში, მაგრამ ზოგადი ვითარების შეფასება მაინც შესაძლებელია. კერძოდ, სულ აღრიცხულია 4764 მოსწავლე, მათ შორის ქართველია 2513, ხოლო დედაენად ქართულს აღიარებს 4275 მოსწავლე. ანუ 2251 არაქართველი მშობლიურ ენად აღიარებდა ქართულ ენას. 699 სომხიდან 199 აღიარებდა სომხურს დედაენად, 227 ოსიდან 166 ოსი, ხოლო 48 ბერძნიდან 10. მონაცემებში ნაჩვენებია 74 ეთნიკური რუსი, ხოლო რუსულს თავის დედაენად მიიჩნევს 110 ადამიანი. 121 მოსწავლეს გარკვეული არ ჰქონდა თავისი ეთნიკური და ენობრივი იდენტობა. გარდა ამისა, სავარაუდოდ, მოსწავლეებს გაუჭირდებოდათ დედაენის მიხედვით კუთვნილების განსაზღვრა თუ ისინი სხვადასხვა ენებს იყენებდნენ საშინაო და განათლების ენებად. მიუხედავად ამისა, მნიშვნელოვანია ქართულის დედაენად აღიარების მაღალი მაჩვენებელი, ვინაიდან ამ მონაცემებითაც ჩანს, რომ არაქართველი მოსახლეობის უმეტესობამ იცოდა ქართული ენა და თავის მშობლიურ ენადაც მიიჩნევდა მას.

დუშეთის მაზრა: “სულ დუშეთის მაზრაში მთლიანი შრომის სკოლა 37: ქართული - 31, სხვა ეროვნების - 3, გერმანული - 1, ოსური 2 (ოსურ სკოლებში მეცადინეობა სწარმოებს რუსულ ენაზე). ერთკომპლექტიანი ქართული სამეურნეო პროფესიული სკოლა - 1, ტექნიკური მაზრაში არ არსებობს.

მასწავლებლები და ადმინისტრაციული მომსახურენი სულ - 66, ქართველი - 60, ოსი - 4, სომეხი - 2.

კომუნისტი - 2, ფედერალისტი - 7, უპარტიო - 58”.

მოსწავლეები ეროვნებისა და დედაენის მიხედვით დუშეთის მაზრის შრომის სკოლებში:

მოწაფეები	ქართვე	სომეხი	ოსი	დანარჩენი
სულ 1729 (კაცი 864, ქალი 865)	1503	126	88	12
დედაენა	1647	-	82	-

ფონდი 300, ანაწერი 8, საქმე #3, განათლების სახალხო კომისარიატი 1921-1924, საერთო ცნობები და მასწავლებელთა სიები დუშეთის მაზრის შრომის სკოლებისა 1921წ.

მაშასადამე, დუშეთის მაზრაში 37 სკოლიდან მხოლოდ 2 იყო ოსური სკოლა, ისიც ფორმალურად, ვინაიდან წყაროში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ „ოსურ სკოლებში“ სწავლება რუსულ ენაზე მიმდინარეობდა.

გორის მაზრის მსგავსი ვითარებაა დუშეთის მაზრაში დედაენის მაჩვენებლების თვალსაზრისით. კერძოდ, აღრიცხულია 1503 ეთნიკური ქართველი, ქართულს დედაენად აღიარებს 1647 მოსწავლე. 88 ოსიდან ოსურს მშობლიურ ენად მიიჩნევს 82. დაფიქსირებულია 126 სომეხი და 12 ამა თუ იმ ეროვნების ადამიანი, რომელთა ენობრივი კუთვნილება არ არის მითითებული. ქართველების გარდა, სწორედ ამ უკანასკნელთა საერთო რაოდენობა თვლის თავის დედაენად ქართულს.

სიღნაღის მაზრა: “მთლიანი შრომის სკოლა: ქართული - 62, რუსული - 8, სომხური - 3, სხვა ეროვნების (თათრული) - 6. ტექნიკური ქართული - 2, რუსული - 1, სომხური - 1.

შრომის სკოლები სიღნაღის მაზრაში:

სკოლები	გადაჯგუფებამდე	გადაჯგუფების შემდეგ
ქართული	61	65
რუსული	8	7
სომხური	3	3
თათრული	6	6

სიღნაღის ტექნიკური იყო სომხური განყოფილებით, რომელიც გადაჯგუფების ანუ სკოლების გამსხვილების შემდეგ მოისპო. ტექნიკურში მოწაფეები სულ 157: ქართველი - 134, რუსი - 11, სომეხი - 12". ფონდი 300, ანაწერი 8, საქმე #16, სიღნაღის განათლების განყოფილება.

ზემოაღნიშნული საარქივო მასალებით ირკვევა, რომ გორისა და სიღნაღის მაზრებში არ ფუნქციონირებდა არც ერთი ოსური სკოლა, მხოლოდ დუშეთის მაზრაში არსებობდა 2 ოსური სკოლა, რომლებშიც სწავლება რუსულ ენაზე მიმდინარეობდა. თუმცა სხვა წყაროში შემდეგი სახის ინფორმაციაა განთავსებული, კერძოდ, „სია ეროვნულ უმცირესობათა დაწყებით და უმაღლეს დაწყებითი სკოლებისა 1920-21 წლებში“ შემდეგ სტატისტიკას გვაწვდის: „ოსური სკოლები საქართველოში: ტფილისში - 1, სიღნაღში - 5, გორში - 45, შორაპანში - 1, სულ 48 ოსური სკოლა“ ფონდი 300, ანაწერი 8, საქმე #154.

ჩვენს აზრით, ეს მონაცემები ცხინვალის განათლების კომისარიატის გაუქმების შემდეგაა ჩაწერილი, ვინაიდან ამ ფონდის საარქივო ჩანაწერებით გორის მაზრაში 45 სკოლაა დაფიქსირებული, ანუ. წ. სამხრეთ ოსეთში სწორედ ამდენი ოსური სკოლის არსებობაა დადასტურებული. ამ მონაცემებს ემატება სიღნაღის, თბილისისა და შორაპნის ოსური სკოლები, რაც ზემოთ აღნიშნულ მონაცემებში არ იყო დაფიქსირებული.

ამგვარად, ჩვენ მიერ მოპოვებული განსახვომის საარქივო მასალების მიხედვით 1921 წელს ე. წ. სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე არსებული ენობრივი სიტუაცია შეიძლება ასე დავახასიათოთ:

- სკოლების უმრავლესობას შეადგენდა ოსური სკოლები და მათ შორის იყო რამდენიმე ქართული და 1 სომხური სკოლა; ფუნქციონირებდა ასევე ქართული, ოსური და სომხური ტექნიკუმები;
- დუშეთის ოსურ სკოლებში სწავლება რუსულ ენაზე მიმდინარეობდა, ამიტომ შეიძლება ვივარაუდოთ რომ, ასევე იქნებოდა ე. წ. სამხრეთ ოსეთის ოსურ სკოლებში, ვინაიდან ოსურ ენაზე სწავლებისათვის საჭირო პირობები იმ დროს ჯერ კიდევ არ არსებობდა. კერძოდ, არ არსებობდა ოსური ენის სასკოლო სახელმძღვანელოები და არ იყვნენ ოსური ენის მცოდნე პროფესიონალი მასწავლებლები;
- არაქართველი მოსახლეობის დიდი ნაწილი (სომხები, ოსები, ბერძნები) მშობლიურ ენად მიიჩნევდნენ ქართულ ენას და მას შინსახმარ და განათლების ენად იყენებდნენ. გამოდის, რომ ე. წ. ოსურ სკოლებში ისინი იძულებით სწავლობდნენ რუსულ ენაზე (სამწუხაროდ, ასეა დღემდე!)
- მასწავლებელთა და გამგეთა უმეტესობას შეადგენდნენ ქართველები, თუმცა მათ გვერდით მომუშავე სხვა ეროვნების სომეხ, ბერძენ და ოს მასწავლებლებსაც განათლება საქართველოში (შესაძლოა ქართულ ენაზე) ჰქონდათ მიღებული.

1921 წლის 18 სექტემბერს დასავლეთ საქართველოში განათლების მდგომარეობის შესასწავლად გაემგზავრა სპეციალური კომისია. კომისიის წევრები იყვნენ: სახალხო განათლების კომისარი დ. კანდელაკი, ტფილისის განათლების განყოფილების გამგე დ. რუხაძე, მუსიკალური დარგის მცოდნე და ხელმძღვანელი, კომპოზიტორი მ. ბალანჩივაძე და კომისარიატის საქმეთა მმართველი ალ. მიქაბერიძე. კომისარი დ. კანდელაკი თავის ანგარიშში აღწერს აჭარის საგანმანათლებლო სფეროში არსებულ ვითარებას:

“აჭარისტანის რესპუბლიკა. ქ. ბათუმში სასწავლო წლის განმავლობაში არსებობდნენ: 1. 3 ტექნიკური, 2 - ჰუმანიტარული და 1 - მექანიკური და ელექტრო ტექნიკური განყოფილებით. 2. 13 შრომის სკოლა, ამათგან 2 სრულკომპლექტიანი და დანარჩენი 1 კომპლექტიანი. 3. 2 საბავშვო ბაღი, 4. სამკურნალო კურსები მოზრდილ მუშათათვის. 5. ხელგარჯილობის კურსები, 6. ქართული ენის კურსები ორი განყოფილებით, ხოლო მთელ ოლქში კი სულ 33 შრომის სკოლა ითვლებოდა.

აჭარისტანის განათლების კომისარის ახ. ლორთქიფანიძის ცნობით ოლქში არცერთი ქართული ენის მასწავლებელი არ მოიპოვება. სწავლებას თურქულ ენაზედ აწარმოებენ თურქი მასწავლებლები, რომლებიც ძრიელ სუსტად არიან მომზადებულნი და სრულიად არ შეეფერებიან თავის საპასუხისმგებლო თანამდებობებს.

მაგრამ ყველაზე უფრო სამწუხარო მოვლენად უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ მთელს ოლქში სასწავლებლები ხელში ჩაუგდიათ სასულიერო პირებს, ხოჯებს, რომლებიც თავისი შეხედულების მიხედვით სწვრთნიან მოზარდ ახალ თაობას და უნერგავენ გულში ათასგვარ ცრუმორწმუნეობას.

კომისიამ გაითვალისწინა რა ზემოაღნიშნული ანორმალური პირობები და გაეცნო რა პირადის დათვალიერების საშუალებით, დაავალა განათლების განყოფილებას ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან შეთანხმებით შემდეგი: 1. გაიხსნას ქ. ბათუმში საბავშვო სახლი 50 ღარიბ და უმწეო ბავშვთათვის. 2. ვინაიდან ვაჟთა სახლი #3 მეტად ანტისანიტარულ პირობებშია და ხელმძღვანელთა პერსონალი თავის დანიშნულებას არ შეეფერება, დაუყონებლივ დათხოვნილ იქმნას ყველა მასწავლებლები და მათ მაგივრად მოწვეულ იქმნას უფრო გამოცდილნი და მომზადებულნი ხელმძღვანელებად. 3. აუცილებლად მოეწყოს ქ. ბათუმში 1 საცდელ-საჩვენებელი შრომის სკოლა. 4. გადაცემულ იქმნას აჭარისტანის განსახვომის სრულ გამგებლობაში ქ. ბათუმში და ოლქში არსებული

თეატრების და კინოთეატრების იდეური ხელმძღვანელობა. 5. ვინაიდან საზოგადოდ აჯარისტანში მასწავლებლების ნაკლებობაა, აღიძრას სათანადო შუამდგომლობა, რათა დაკანონებულ იქმნას როგორც დროებითი ზომა, მასწავლებელთა მობილიზაცია. 6. ოლქის შრომის სკოლებში, საცა წარსულ სასწავლო წლის განმავლობაში საერთო საგნების სწავლა არ სწარმოებდა, დაუყონებლივ დაინიშნოს გამოცდილი მასწავლებლები და ამრიგად ხოჯების უშუალოდ ზეგავლენას ბოლო მოეღოს. 7. სასურველია მოკლე ვადაში დაარსებულ იქმნას მასწავლებელთა კურსები”, ფონდი 300, ანაწერი 1, საქმე #15, სწავლა-განათლების საქმის მდგომარეობა დასავლეთ საქართველოში, 1921.

როგორც ვხედავთ, აჭარის ტერიტორიაზე არსებული 33 სასწავლებლიდან მხოლოდ 1 2-განყოფილებიანი სკოლა არსებობდა ქართულ ენაზე. დანარჩენ სკოლებში, სავარაუდოდ, თურქი ეროვნების სასულიერო პირები თურქულ და არაბულ ენებზე წარმართავდნენ სწავლებას.

კომისარი დ. კანდელაკი ზემოაღნიშნული ბრძანებით მოითხოვდა მოქმედ მასწავლებელთა დათხოვნას და ახალი კადრების მომზადებას, რაც შესაბამისად გამოიწვევდა აჭარის საგანმანათლებლო სისტემის ენობრივი სიტუაციის მართებულად შეცვლას - თურქული და არაბული ენების პოზიციების შესუსტებასა და ქართულის ენის ფუნქციონირების გაფართოებას.

სწორედ ამგვარი არასახარბიელო ვითარების გამო, საგანმანათლებლო სისტემისა და არსებული ენობრივი გარემოს შეცვლას ჰპირდებოდნენ ახალი ხელისუფლების მესვეურები აჭარის მოსახლეობას და ასეთი სლოგანით ცდილობდნენ მხარდაჭერის მოპოვებას: “გაუმარჯოს საბჭოთა მთავრობას! აჭარის მშრომელთ! აჭარას საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების არსებობის დროს საშუალება ეძლევა თავისუფლად ისწავლოს, სწეროს თავის ენაზე, იქონიოს თავისი მშრომელი მთავრობა”, უწყებები ბათუმის რევკომის და მე-XI წითელი არმიის პოლიტგანყოფილებისა. 1921 21 მარტი, გვ. 2.

1922 წელს სახალხო განათლების კომისარიატმა განმარტებითი ბარათი გაუგზავნა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, რომელშიც განხილული იყო აფხაზეთის საგანმანათლებლო სისტემაში არსებული მძიმე ვითარება:

“სსრ რესპუბლიკის სახალხო განათლების კომისარიატის მიერ დანიშნულ იქნა საგანგებო რევიზია აფხაზეთში სწავლა-განათლების მდგომარეობის შესასწავლად. რევიზიის ხანგრძლივმა მუშაობამ და საქმის დეტალურად გაცნობამ გამოარკვია ანორმალური მდგომარეობა, რომელშიაც მოქცეულა სწავლა-განათლების საქმე აფხაზეთში. ცხადი გახდა, რომ აფხაზეთის სკოლებში დიდი არეგ-დარევაა გამეფებული და რომ არ ტარდება ცხოვრებაში დაწესებულ პროგრამასთან შეფარდებული მინიმალური მოთხოვნილებანიც კი. განათლების ბედი აფხაზეთში დაკავშირებული დისციპლინასთან და საერთო პროგრამასთან და მის გამავრცელებელ ტექნიკურ პერსონალთან - მასწავლებლობასთან - საფრთხეშია ჩავარდნილი, ვინაიდან როგორც ეს რევიზიამ გამოარკვია, არც ერთი ზემოთ აღნიშნული ელემენტი სწავლა-განათლების ხალხში რეალიზაციისთვის არ არის დაყენებული სათანადო სიმაღლეზე.

აფხაზეთი, როგორც კულტურულ-პოლიტიკური მოვლენა საქართველოს განუყრელ ერთეულს წარმოადგენს და ამიტომ ორივე ქვეყნის კულტურულ წინსვლელობის ინტერესები მოითხოვენ მჭიდრო კავშირს და მთლიან სამოსწავლო გეგმას, რასაკვირველია, ადგილობრივი ინტერესების და ანგარიშის გაწევით, პატივისცემით და დაცვით.

აფხაზეთში სწავლა-განათლების შეფერხების ერთ-ერთი მიზეზად შეიძლება დასახელებულ იქნეს სწორედ ის გარემოება რომ მისი სახალხო განათლების კომისარიატი მოქმედებს განცალკევებულად, არა აქვს საერთო საქმისთვის აუცილებელი კავშირი საქართველოს რესპუბლიკის სახალხო განათლების კომისარიატთან და ახორციელებს უშუალო დამოკიდებულებას რ. ს. ფ. ს. რესპუბლიკასთან.

ამ მიზნით მას ყავს თავისი რწმუნებული საბჭოთა რუსეთის სახალხო განათლების კომისარიატთან, მაშინ როდესაც უკანასკნელთან იმყოფება სსრ რესპუბლიკის რწმუნებული ამხ. ჯგუზში.

მოგახსენებთ რა ზემოთხსენებულს სსრ რესპუბლიკის სახალხო განათლების კომისარიატი ამასთანავე დასძენს თავის შეხედულებას აქ აღძრულ საკითხის შესახებ:

- აფხაზეთში სწავლა-განათლების სათანადო დონეზე დაყენებისთვის აუცილებელია მჭიდრო კავშირის შექმნა სახალხო განათლების კომისარიატთან.

- სწავლა-განათლების გატარებაში ერთი სისტემის და პოლიტიკის ჩამოყალიბება ადგილობრივი ინტერესების სასტიკი დაცვით.

- არ არის მიზანშეწონილი და საჭირო აწარმოოს აფხაზეთის სახალხო განათლების კომისარიატმა უშუალო დამოკიდებულება რ. ს. ფ. რ. სახალხო განათლების კომისარიატთან.

- უნდა გაუქმდეს აფხაზეთის სახალხო განათლების კომისარიატის რწმუნებულება საბჭოთა რუსეთში და ყოველგვარი დამოკიდებულება მასთან აწარმოოს სსრ საქართველოს სახალხო განათლების კომისარიატის საშუალებით.

მხოლოდ ასეთი ზომების განხორციელება შესძლებს აფხაზეთის სწავლა-განათლების მდგომარეობის გამოსწორებას. ზედმეტი ხარჯების შემცირებას ცალკე რწმუნებულის შენახვისთვის

გაწეულს და შექმნის მტკიცე შეთანხმებულ მუშაობას ორ კულტურულად განუყრელ რესპუბლიკას შორის განათლების საქმეში”, ფონდი 300, ანაწერი 4, საქმე #16, საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატი.

მართალია, კომისარიატის აღნიშნულ მიმართვაში პირდაპირ არ არის ნათქვამი, თუ რომელ ენებზე მიმდინარეობდა სწავლება აფხაზეთის განათლების სისტემაში, მაგრამ შეგვიძლია ვივარაუდოთ, რა მიმართულებით და რომელი ენის სასარგებლოდ წარიმართებოდა ენობრივი პოლიტიკა აფხაზეთის სხვადასხვა ტიპის სასწავლებლებში იმ პირობებში, როცა აფხაზეთის საგანმანათლებლო სისტემა პრაქტიკულად დაქვემდებარებული იყო რსფსრ-ს განათლების სისტემისადმი - რსფსრ-ში არც მაშინ და არც მომდევნო პერიოდებში დაშვებული არ იყო სრული სასკოლო სწავლება არარუსულ ენებზე.

საქართველოს განათლების კომისარიატი საგანგებოდ აღნიშნავდა, რომ აფხაზეთი საქართველოს განუყრელი კულტურულ-პოლიტიკური ერთეული იყო, ამიტომ განცალკევებულად და დამოუკიდებლად არ უნდა ემოქმედა. მნიშვნელოვანია კომისარიატის მიერ ამ წერილში დაბეჭდილებით გამეორებული პირობა, სურვილი თუ მოთხოვნა - განათლების ერთიანი სასწავლო გეგმის შექმნის შესახებ: “ადგილობრივი ინტერესების და ანგარიშის გაწევით, პატივისცემით და დაცვით”... “სწავლა-განათლების გატარებაში ერთი სისტემის და პოლიტიკის ჩამოყალიბება ადგილობრივი ინტერესების სასტიკი დაცვით”. ცხადია, ქართული განსახვობი ადგილობრივი ინტერესების გათვალისწინებაში აფხაზეთში მცხოვრები სხვადასხვა ეროვნების და მათ შორის, განსაკუთრებით, ქართველთა და აფხაზთა ეთნიკური, ენობრივი და კულტურული ღირებულებების დაცვასა და განვითარებას გულისხმობდა.

სოხუმის ოლქი - 1915-1920 წლებში დაწყებით და უმაღლეს დაწყებითი სკოლები:

სოხუმის ოლქი	1915 უმაღლ.დაწყ.	1920 უმაღლ.დაწყ.	1915 დაწყ.	1920 დაწყ.
კოდორის მაზრა	1	1		28
სამურზაყანოს მაზრა		3		50
გუმისთის მაზრა	1	3		28
გუდაუთის მაზრა	1	1		28
სულ აფხაზეთში	3	8	64	287
საქართველოში სულ	30	131	877	1772

სია ეროვნულ უმცირესობათა დაწყებით და უმაღლეს დაწყებითი სკოლებისა 1920-21 წწ. აფხაზეთში:

ქალაქები	რუს	სომხ	ბერძ	გერმ	ესტონელთა
სოხუმი		1			
გუდაუთი			1		
მაზრები					
გუმისტა	8	15	22		
გუდაუთი	5	5	3	1	3
გაგრის რაიონი		3			
სულ აფხაზეთში	13	24	26	1	3
სულ საქართველოში 281	58	67	66	3	3

ფონდი 300, ანაწერი 8, საქმე #154

“სია უმაღლეს და საშუალო სასწავლებლებისა მასწავლებელთა და სხვა მოსამსახურეთა რაოდენობის ჩვენებით:

ქ. სოხუმში და მის ოლქში:

1. ვაჟთა გიმნაზიები - 4, მასწავლებელთა და სხვა მოსამსახურეთა რიცხვი - 72;
2. ქალთა გიმნაზიები - 3, მასწავლებელთა და სხვა მოსამსახურეთა რიცხვი - 63;
3. რეალური სასწავლებელი - 2, მასწავლებელთა და სხვა მოსამსახურეთა რიცხვი - 35;
4. საოსტატო ინსტიტუტი და სემინარია - 1, მასწავლებელთა და სხვა მოსამსახურეთა რიცხვი - 23;
5. ტექნიკური და საპროფესიო სასწავლებელი - 4, მასწავლებელთა და სხვა მოსამსახურეთა რიცხვი - 43;

6. საერთო ჯამი სასწავლებლები - 14, მასწავლებელთა და სხვა მოსამსახურეთა რიცხვი - 236”, ფონდი 300 ანაწერი 1, საქმე #25. საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატი სოციალური აღზრდის მმართველობა 1921.

შენიშვნა: დოკუმენტი მთლიანად გადახაზულია.

მოვიყვანთ კიდევ ერთ მნიშვნელოვან დოკუმენტს:

"სია სსრ რესპუბლიკის საშუალო სასწავლებლების:

- სოხუმის ვაჟთა გიმნაზია, მასწ. 22, მოსწ. 327. - ქ. სოხუმი;
- სოხუმის ქალთა გიმნაზია - მასწ. 29, მოსწ. 318, ქ. სოხუმი;
- გაგრის ვაჟთა გიმნაზია - მასწ. 17, მოსწ. 266;
- გუდაუთის 4კლასიანი ვაჟთა გიმნაზია - მასწ. 8, მოსწ. 125. სოხუმის ოლქი.
- ოჩამჩირის 4 კლასიანი - მასწ. 18, მოსწ. 253.

საერთო ჯამში აფხაზეთში 98 სასწავლებელი, მასწ- 1927, მოსწ. 27 447", **ფონდი 300, ანაწერი 1, #19. საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატი, 1921.**

როგორც ვხედავთ, 1920-21 წლებში აფხაზეთში სულ 295 სასწავლებელი (8 უმაღლეს-დაწყებითი და 287 დაწყებითი) ფუნქციონირებდა, მათ შორის, ქართული - 228, ხოლო 67 არაქართული სკოლიდან ყველაზე მეტი და თითქმის თანაბარი რაოდენობით იყო ბერძნული (26) და სომხური (24) სკოლები, ბევრად ნაკლები იყო სხვაენოვანი სკოლები: რუსული - 13, ესტონელთა - 3 და გერმანული - 1. გაურკვეველი მიზეზის გამო, ამ სტატისტიკურ მონაცემებში სრულებით არ არის ასახული აფხაზური სკოლების რაოდენობა.

მასშადად, 1921-22 წლების საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატის არქივში დაცული მასალები მნიშვნელოვან და საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის ე. წ. სამხრეთ ოსეთის, აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკების განათლების ენისა და ზოგადად, აღნიშნული რეგიონების ენობრივი სიტუაციის შესახებ. ჩვენ მიერ ამ ეტაპზე მოპოვებული მასალებით ირკვევა, რომ:

- მიუხედავად იმისა, რომ ე. წ. სამხრეთ ოსეთში მრავალი ოსური სკოლა იყო გახსნილი, იქ მცხოვრებ ქართველთა და არაქართველთა უმრავლესობა (ოსები, სომხები, ბერძნები) საშინაო და განათლების ენად იყენებდა ქართულ ენას და მას მშობლიურ ენადაც მიიჩნევდა; ფორმალურად ოსურ სკოლებად სახელდებულ სასწავლებლებში სინამდვილეში სწავლება რუსულ ენაზე მიმდინარეობდა.
- აჭარაში თურქი ეროვნების სასულიერო პირების მეშვეობით, რომლებიც ამავდროულად სასწავლებლებში მასწავლებლის ფუნქციასაც ითავსებდნენ, ფაქტობრივად, იგნორირებული იყო ქართული სახელმწიფო ენა და მის ნაცვლად სწავლების ენად გამოყენებული იყო თურქული და არაბული ენები;
- აფხაზეთის განათლების კომისარიატი საქართველოს განსახკომის ნების გარეშე უშუალოდ ექვემდებარებოდა რუსეთის განათლების კომისარიატს და იქიდან იღებდა მმართველობის დირექტივებს, რაც პირდაპირ სეპარატიზმის წახალისება ჩანს. ნიშანდობლივია, ქართული განათლების კომისარიატის დაჟინებული თხოვნა თუ მოთხოვნა, რომ აფხაზეთის წარმომადგენლობას შეეწყვიტა დამოუკიდებლად მოქმედება რუსეთის სახელმწიფოსთან. ამავდროულად, საქართველოს განსახკომი აფხაზეთს ადგილობრივი ინტერესების სრულ დაცვას ჰპირდებოდა ერთიანი საგანმანათლებლო სისტემის შესაქმნელად, რაც თავისთავად იქ მცხოვრებთა ეთნიკურ-ენობრივი ინტერესების დაცვას გულისხმობდა.

ლიტერატურა:

- ფონდი 300, ანაწერი 4, #2, 1921 საქმე #18, ოქმი განსახკომის სასწავლო კოლეგიის სხდომისა 1921 წლის 8 მარტს;
- ფონდი 300, ანაწერი 8, საქმე #14, 1921;
- ფონდი 300, ანაწერი 8, საქმე #14, გორის მაზრა/ საერთო ცნობები შრომის სკოლის შესახებ, 1921;
- ფონდი 300, ანაწერი 8, საქმე #3, განათლების სახალხო კომისარიატი 1921-1924, საერთო ცნობები და მასწავლებელთა სიები დუშეთის მაზრის შრომის სკოლებისა 1921;
- ფონდი 300, ანაწერი 8, საქმე #16, სიღნაღის განათლების განყოფილება;
- ფონდი 300, ანაწერი 8, საქმე #154;
- ფონდი 300, ანაწერი 1, საქმე #15, სწავლა-განათლების საქმის მდგომარეობა დასავლეთ საქართველოში, 1921;
- უწყებები ბათუმის რევკომის და მე-XI წითელი არმიის პოლიტგანყოფილებისა. 1921 21 მარტი;
- ფონდი 300, ანაწერი 4, საქმე #16, საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატი;
- ფონდი 300, ანაწერი 8, საქმე #154;
- ფონდი 300 ანაწერი 1, საქმე #25. საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატი სოციალური აღზრდის მმართველობა 1921;
- ფონდი 300, ანაწერი 1, #19. საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატი 1921.

Sophiko Chaava

Sokhumi State University

**LANGUAGE OF EDUCATION IN TSKHINVALI REGION, AJARA AND ON THE TERRITORIES
OF THE AUTONOMOUS REPUBLIC ABKHAZIA IN 1921-1922
(ACCORDING TO THE ARCHIVE MATERIALS)
RESUME**

Following the new social and political reality after the establishment of the Soviet Power in 1921, thorough changes occurred in every field. The most important of them were the ongoing and planned reforms in the educational system. The documentary materials preserved at the Archives of the People's Commissariat of Education, among other important issues, describe the sociolinguistic situation of that period, in particular, issues of linguistic legislation, teaching of languages, ethnical-linguistic identity and competence.

The materials preserved at the Archives of the People's Commissariat of Education of Georgia of 1921-22 give us important and interesting information about the reorganization of the ethnic background, linguistic situation and educational field in the so called Republics of South Osetia, Ajara and Abkhazia, having acquired a new political-administrative status with the support of the Soviet power. The documents and statistical data presented in the work were compiled based on the reports of the Commissioner, instructors and other managers of the People's Commissariat of Education.

The materials obtained by us at the given stage of our study make it clear that in the above-mentioned period:

Even though there were many Osetian schools opened in so called South Osetia, the majority of the Georgians and non-Georgians (Osetians, Armenians, Greeks) living there used the Georgian language as an everyday and educational language and also considered it as their native language. Formally, the teaching process at the educational establishments called Osetian schools was Russian.

With the efforts of the Turkish clerical persons in Ajara, who at the same time were serving as teachers at schools, the Georgian state language was virtually ignored and the Turkish or Arabic language was used at schools instead.

The Commissariat of Education of Abkhazia was immediately subordinate to the Commissariat of Education of Russia without a will of the People's Commissariat of Education of Georgia and received managerial directives from it what seems an immediate encouragement of separatism. An insistent request or demand of the People's Commissariat of Education of Georgia for the representation of Abkhazia to stop acting on its own with the state of Russia is typical. At the same time, the People's Commissariat of Education of Georgia promised Abkhazia to thoroughly protect their local interests to create a single education system what of itself, meant protecting the ethnical-linguistic interests of the local people.

**ლიტერატურათმცოდნეობა
Literature Studies**

სოფიკო ანთია

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ოსკარ უაილდის მცირე პროზის კონცეფციები

ოსკარ ფინგალ ო'ფლაჰერტი უილს უაილდი (ინგლ. Oscar Fingal O'Flahertie Wills Wilde; (დაიბადა 16 ოქტომბერი, 1854 წ. გარდაიცვალა 30 ნოემბერი 1900 წ.) ირლანდიური წარმოშობის ინგლისელი დრამატურგი, მწერალი და პოეტი, გვიანდელი ვიქტორიანული ლონდონის ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული დრამატურგი, უაღრესად პოპულარული თავის თანამედროვეთა შორის, ცნობილი ენამახვილობითა და მჭევრმეტყველებით, თუმცა დრამატული კრახის განცდის შემდეგ პატიმრობაში გაატარა რამდენიმე წელი. მან დიდი გავლენა მოახდინა სალიტერატურო ინგლისური ენის განვითარებაზე.

საკულტო რომან „დორიან გრეის პორტრეტთან“ ერთად უაილდი არის შესანიშნავი მცირე პროზის ავტორი. ის დგას ინგლისური მოდერნიზტული აზროვნების სათავეებთან.

The Portrait of Mr. W. H. ბ-ნ უ. ჰ-ის პორტრეტი არის ოსკარ უაილდის მოთხრობა, რომელიც პირველად გამოქვეყნდა 1889 წელს ჟურნალ Blackwood's Magazine - ში. ეს ისტორია დაფუძნებულია თომას თიერითის თეორიაზე იმის შესახებ, რომ შექსპირის სონეტები არის მიძღვნილი ვინმე უილი ჰიუზისადმი, რომელიც ნაწარმოებში წარმოდგენილია როგორც ქალების როლის უზადლო შემსრულებელი, სწორედ მისი იდენტობის დადგენის მცდელობები დეტალურადაა აღწერილი ამ მოთხრობაში.

The Portrait of Mr. W. H. ბ-ნ უ. ჰ-ის პორტრეტი არის ნაწარმოები, დაწერილი ოსკარ უაილდის მიერ, რომელშიც გადმოცემულია ქარიზმატული ნახევრად-მახვილგონიერული და ნახევრად სერიოზული სტილით. ძნელია რომელიმე ჟანრისთვის ამ ნაწარმოების მიკუთვნება, ზოგჯერ თითქოს იგავ-არაკია, ზოგჯერ გეჩვენება რომ ლიტერატურული კრიტიკის მაგალითს წარმოადგენს. უაილდს ისე კარგად აქვს ჩართული ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრებები, რომ პერსონაჟების კრიტიკაც თითქოს არასტაბილურია. მკითხველს აშკარად უნდა დაიჯეროს თეორია უილი ჰიუზზე, სურს რომ ის სიმართლეს შეესაბამებოდეს, რადგანაც ეს თეორია კარგად არის შეწყობილი ჩვენს აზროვნებასთან. თუმცა სწორედ ამის გაკეთებას არ გვირჩევს მწერალი. უაილდი ამას ორი პერსონაჟის, ერსქინისა და მთხრობელის, მეშვეობით ცდილობს გვაჩვენოს, რომლებიც თავიდან დარწმუნებულები იყვნენ თავისი თეორიის ნამდვილობაში და ბოლოს ხვდებიან, რომ შეცდნენ.

ნებისმიერ შემთხვევაში უდაოა, რომ ეს ნაწარმოები წარმოადგენს მნიშვნელოვან გაკვეთილს, ისევე როგორც ცოცხალ ზრახვარს, სადაც ნათლად არის წარმოდგენილი მწერლის შეხედულებები და შესაძლებელია მისი ცხოვრების რომელიმე ეპიზოდსაც ასახავდეს.

სანიმუშო მილიონერი, რომელიც ოსკარ უაილდმა პირველად გაზეთში გამოაქვეყნა 1887 წლის ივნისში საუბარია ისეთ თემებზე, როგორიცაა: გარეგნობა, დიდსულოვნება, მეგობრობა, მადლიერება, სიყვარული, თანაგრძნობა, ქველმოქმედება, ერთგულება, ბრძოლა და ბედნიერება. ამბავი მოთხრობილია მესამე პირის - უცნობი მთხრობელის მიერ. ჰიუი, რომელიც მხოლოდ გარეგნობით აფასებს ბარონს, მარტივად იჯერებს, რომ ის არის მათხოვარი და სოვერენს ჩუქნის მას, ფიქრობს, რომ ეს ფული მას უფრო სჭირდება. ჰიუი იჩენს დიდსულოვნებას, გულუხვობას ამ საქციელით, იმის მიუხედავად, რომ თვითონ უფულოდ რჩება. ასევე საინტერესოა ფაქტი, რომ პოლკოვნიკი მხოლოდ ფინანსური მდგომარეობით აფასებს ჰიუის და სწორედ ამის გამო უარს ეუბნება ნიშნობაზე, სანამ არ იშოვის 10 000 გირვანქა სტრელინგს. ის მხოლოდ ფინანსური სტატუსით აფასებს ჰიუის და სულ არ იღებს მხედველობაში იმას, რომ ლორას და ჰიუის ერთმანეთი უყვართ. აქედან აშკარად ჩანს რომ ქალებს არ ჰქონდათ ისეთივე უფლებები, როგორც კაცებს და რომ ქალების ბედი სხვა ადამიანების მიერ განისაზღვრებოდა ამ შემთხვევაში ამის მაგალითს წარმოადგენს პოლკოვნიკი. მას გადაწყვეტილი აქვს, რომ ლორას არ გააყოლებს ჰიუის, სანამ ფულს არ იშოვის. უაილდი ამით ხაზს უსვამს იმდროინდელი საზოგადოების ხისტ და უდრეკ ბუნებას. ხაზს უსვამს იმ საზოგადოებას, ვისთვისაც ფული უფრო პრიორიტეტულია, ვიდრე სიყვარული. მიუხედავად ამისა, საყურადღებოა რომ ჰიუი მთელი მოთხრობის განმავლობაში მაინც ერთგული რჩება ლორასი. მათი სიყვარული იმდენად ძლიერია, რომ ისინი არ ნებდებიან და კვლავ განაგრძობენ შეხვედრებს.

ალან ტრევორი, ჰიუის მეგობარი, უყვება რა ბარონს ჰიუის ისტორიას, ცდილობს მის დახმარებას. რომ არა ალანი, ჰიუი ვერასოდეს მოახერხებდა ფულის შოვნას და ამის გამო ის მადლიერია ალანის. ორივეს კარგად ესმის მეგობრობის ფასი. ჰიუი მადლიერებას იჩენს ბარონის მიმართაც და ამის ნიშნად მოიწვევს მას თავის ქორწილში.

სიუჟეტის ბოლოს საინტერესოა ალანის შენიშვნები. მისი აზრით, ის, რომ სანიმუშო მილიონერები იშვიათობას წარმოადგენს ამით ავტორი კვალ ხაზს უსვამს იმ დროინდელ საზოგადოებას, კერძოდ იმას, რომ მდიდრები თითქოს არ უნდა დაეხმარონ მათ, ვისაც ნაკლებად გაუმართლა ცხოვრებაში. ნაცვლად იმისა, რომ ღარიბებს დაეხმარონ, განზე დგებიან. ბარონმა კი შეძლო ჰიუისთან კავშირის დამყარება, მაგრამ ეს შესაძლებლობა შეიძლება სხვებს არ ჰქონდეთ, არა იმიტომ, რომ მათ არ აქვთ ამის უნარი, არამედ იმიტომ რომ ისინი თავს არიდებენ ნაკლებად შეძლებულ ხალხთან ურთიერთობებს. ბარონი ამ შემთხვევაში გამონაკლისს წარმოადგენს და სწორედ მისი დახმარებით ჰიუი პოულობს ბედნიერებას. მისმა სულგრძელობამ უდიდესი ტვირთი ჩამოხსნა ჰიუის ზურგიდან და ის ბედნიერია საყვარელ ქალთან ყოფნით.

სფინქსი იდუმალების გარეშე არის მოკლე მოთხრობა, რომელიც პირველად 1887 წ. მაისში, გაზეთ TheWorld-ში გამოქვეყნდა. აქ მოთხრობილია ლორდ მერჩისონისა და ლედი ელროის ამბავი. ლედი ელროის აქვს საიდუმლო, თუმცა არ სურს ეს საიდუმლო გაანდოს ლორდ მერჩისონს და ის ბოლოს მაინც ვერ შეძლებს ამ საიდუმლოს გაგებას.

ამ მოთხრობაში ოსკარ უაილდი, ერთი მხრივ, ხაზს უსვამს სიყვარულის თემას. ეს მოთხრობის დასაწყისშივე ჩანს, როცა მოთხრობელი ხვდება თავის მეგობარს ლორდ მერჩისონს, კაცს რომელიც აფორიაქებულია ლედი ელროისადმი სიყვარულის გამო. აღსანიშნავია, რომ ლორდი თავდაპირველად ქალის სილამაზით და მშვენიერებით მოიხიბლა და ავტორი ამით ამტკიცებს, რომ სიყვარული ისეთივე სილამაზე და მშვენიერებაა, როგორც ნებისმიერი სხვა უფრო სიღმისეული რამ შეიძლება იყოს. ლორდის ასეთი სიყვარული და ლედიზე დაქორწინების დიდი სურვილი უფრო საინტერესოს ხდის ამ მოთხრობას.

მეორე მხრივ, აქ არის ნაჩვენები იდუმალების თემაც. უაილდს აინტერესებს, თუ რატომ არის იდუმალება ასეთი მიმზიდველი და დამაინტრიგებელი. ეს კარგად იკვეთება ლედი ელროის გმირში და მისი ცხოვრების ბევრ საიდუმლოში: ყვითელი ეტლი, მისი გასხვავებული მისამართი და სახლი, რომელსაც ლედი ელროი ქირაობდა.

ოსკარ უაილდის მრავალი ლიტერატურული ნაშრომის მსგავსად, მისი მოკლე მოთხრობა „ქანთერვილის მოჩვენება“ პირველად ჟურნალ „სასამართლო და საზოგადოების“ მიმოხილვაში, 1887 წლის თებერვალში გამოჩნდა.

ამბავი იწყება, იმით, რომ ბატონი ჰაირამ ოტისი, ამერიკელი მინისტრი და მისი ოჯახი ყიდულობს „ქანთერვილ ჩეიზს.“ მიუხედავად იმისა, რომ ყველა აფრთხილებდა ეს სახლი მოჩვენებებით არის სავსეო. რამდენიმე კვირის თავზე, როცა სახლის შესყიდვა დასრულდა, მინისტრი თავის მეუღლესთან, მის ლუკრეცია რ. თაფანთან, ვაჟთან, სახელად ვაშინგტონი, ტყუპებსა და ქალიშვილ ვირჯინიასთან ერთად გადმოდის საცხოვრებლად „ქანთერვილ ჩეიზში.“ თავდაპირველად, არც ერთი ოჯახის წევრს არ სჯერა მოჩვენების, მაგრამ მათი გადმოსვლიდან ცოტა ხნის შემდეგ ვერ უარყოფენ სერ საიმონ დე ქანთერვილის არსებობას. მათ გამუდმებით ესმით ჯაჭვების ჟღარუნის, ისინი მოწმენი ხდებიან ბუხრის წინ მკრთალი, წითელი ლაქის არსებობისა, რომელიც ყოველი მოწმენდის შემდეგ სხვადასხვა ფორმითა და ფერით ჩნდება ხოლმე. თუმცა ოტისების ოჯახი ამით არ შემინებულა, პირიქით, როცა ბატონი ოტისი იგებს მოჩვენების ფოლადის ჟღარუნს და დაინახავს მოხუცი კაცის საზარელ სახეს, რომელსაც თვალეები ცეცხლმოკიდებულ ნახშირს მიუგავდა- სთხოვს დაჟინებით ჯაჭვების დაზეთვას და სთავაზობს „რაიზინგის“ საპოხის აღებას. ის ტოვებს ბოთლს მარმარილოს მაგიდაზე და ბრუნდება თავის ოთახში. მიუხედავად მოჩვენების უამრავი ძალისხმევისა, ის ვერ ახერხებს ამ ოჯახის დაშინებას და სერ საიმონი სულ უფრო და უფრო უმწეოდ და დამცირებულად გრძნობს თავს.

უაილდი აღწერს ქალბატონ ოტისს, როგორც „ძალიან მშვენიერი შუახნის ქალი“, დახვეწილი თვალის ჭრილითა და საუცხოო პროფილით. მრავალ ღირსებათა შორის, ის ჭეშმარიტი ინგლისელია. სიუჟეტში ყველაზე ფერადი ხასიათის მატარებელი უდავოდ არის მოჩვენება, სერ საიმონი, რომელიც თავის მოვალეობებს თეატრალური ნიჭით ასრულებს. იგი ირგებს მრავალ წარუმატებელ როლს, რათა შთაბეჭდილება მოახდინოს და დააშინოს ოტისები, თუმცა ამაოდ. ის ტყუპების დასაშინებლად, ხან შავ ისააკად, ჰოვლის ტყის მონადირედ არის გადაცმული, ხან უდარდელი რუპერტის ანუ უთავო თავადის სახით გამოჩნდება ხოლმე. სწორედ ამ დროს, როცა მან, ეფექტის მოსახდენად, კარები ფართოდ გააღო, წლით სავსე, მძიმე დოქი დაუპირქვავდა თავზე და მთლიანად გაილუმპა.

მთელი მოთხრობის განმავლობაში კარგად ჩანს აჩრდილის ემოციები, ის თავის თავს მიიჩნევს მამაცად, გაბედულად, საშიშად და ბოლოს დეპრესიულად და სუსტად. ის თავის დაუცველობას ვირჯინიასთან შეხვედრის დროს ამჟღავნებს. ვირჯინია ბატონი ოტისის 15 წლის ქალიშვილია და საიმონი აღიარებს, რომ ის ძალიან გასხვავდება, მისი ოჯახის დანარჩენი წევრებისგან. ის ეუბნება მას, რომ მას სამი წლის განმავლობაში არ ეძინა და ამასთანავე უყვება თავის ტრაგიკულ ისტორიას, თავის მეუღლე ლედი ელენორ დე ქანთერვილზე. ვირჯინია არ უარყოფს მას, პირიქით, სიბარლულით ივსება, როცა დაინახავს თავის ოთახში. ის ყურადღებით უსმენს საიმონს და ღებულობს მნიშვნელოვან გაკვეთილს, ისევე, როგორც ჭეშმარიტების ჭეშმარიტ მნიშვნელობას. სერ საიმონ დე ქანთერვილი სთხოვს მას სიკვდილის ბაღში გაყოლას და ეუბნება, რომ მან უნდა გამოიგლოვოს მისი ცოდვები, რამეთუ მას არ აქვს ცრემლები; სთხოვს ვირჯინიას, რომ ილოცოს მისი სულისთვის, რადგან მას არა აქვს რწმენა; შემდეგ კი სიკვდილის ანგელოზთან ერთად უნდა დაემშვიდობოს სიკვდილს სიკვდილის წყალობით. ვირჯინია თანხმდება მას და მიყვება სიკვდილის ბაღში.

შუალდამით ის გამოჩნდება ზარდახშით ხელში და უყვება თავის ოჯახს, რომ საიმონი მკვდარია და რომ ის ძალიან ნანობდა თავის ცუდ საქციელს. ოჯახი მას გაოგნებით მიაშტერდება, მაგრამ ვირჯინია ამაყი იყო თავისი საქციელით. მან ყველა ჩაიყვანა პატარა სენაკში, რომელსაც პაწაწინა გისოსებიანი სარკმელი ჰქონდა. გაძვალტყავებული ჩონჩხი კედელზე ჯაჭვით იყო მიბმული. ვირჯინიამ ჩონჩხთან ჩაიმუხლა, ხელები მოკეცა და ლოცვა დაიწყო, დანარჩენები კი გაკვირვებულები უცქერდნენ ამ საშინელ ტრაგედიას, რომლის საიდუმლოც უკვე ამოხსნილი იყო.

სიცოცხლისა და სიკვდილის პრობლემა აშკარაა ამ მოთხრობაში. მოჩვენება წუხს და მას არ სურს ცოცხალი ყოფნა, სახლში ყველა დასცინის მას, 300 წლის განმავლობაში არ სძინებია და სიკვდილი

სწყურია: „სიკვდილი, ალბათ, ძალზე ლამაზია“. მისთვის ეს იქნება ყველაზე სასურველი მშვიდობა. მაგრამ მას სჭირდება პატარა გოგონა ვირჯინიას დახმარება. ეს იმას ნიშნავს, რომ სიცოცხლე და სიკვდილი ერთმანეთთან კავშირშია და ყოველთვის მეორე არ არის ისეთი საშინელი.

„სიყვარული სიკვდილზე ძლიერია“, - მოჩვენება ეუბნება პატარა ვირჯინიას. სიყვარული გვაძლევს დიდ ძალას, მსოფლიოს შესაცვლელად და სხვების დასახმარებლად. ყველა ჩვენი კეთილი საქმეები შესრულებულია სიყვარულის სახელით. ამიტომაც ვირჯინია ეხმარება მოჩვენებას, რომ მას სიკვდილის სახლის პორტალები გაუხსნას, „...სიყვარული ყოველთვის შენთან არის“, ამბობს ის. ეს სიტყვები აძლევს მას ძალას, რომ ბოროტებამ არ შეაშინოს, ყველა იმ „საშინელი ჩრდილებისა და ბოროტების შიშით, რომლების ჩურჩულიც ჩაესმის ყურში“, უბრალოდ, ვერ დააზიანებდნენ მას, რადგან მას სიყვარულით ჰქონდა გული სავსე და ჯოჯოხეთის ძალები ვერაფერს დააკლებდნენ პატარა ბავშვის სიწმინდეს.

სიკვდილის ბალი მშვიდობისა და სიმშვიდის სიმბოლოა, სადაც ყველა უსიამოვნება ქრება და შენ შეგიძლია ცხოვრებაზე დაფიქრება. იქ არც გუშინდელი დღეა და არც ხვალისდელი. აქ შეგიძლიათ დაივიწყოთ დრო და მიუტევო ცხოვრებას, რათა სიმშვიდეში იმყოფებოდეთ.

„ქანთერვილის მოჩვენება“ არის პაროდია ამერიკული და ბრიტანული კულტურის სხვაობებზე. მოქმედება მიმდინარეობს ძველ ინგლისურ სასახლეში, რომელიც აჩრდილის სახლისთვის დამახასიათებელი ყველა აღჭურვილობით არის სავსე: ხის პანელები, ბიბლიოთეკა, რომელიც შავი მუხით არის მოპირკეთებული, ბოლოში ფერადმინიანი სარკმელია დატანებული, და აბჯარი, რომელიც შემოსავლელშია წარმოდგენილი. უაილდი გვიხატავს გოტიკურ სურათს და ამით ძველ სამყაროს ახალთან აპირისპირებს. ეს არის ინგლისელი დეკადენტებისთვის დამახასიათებელი სტილი, ამ გოტიკური ატმოსფეროდან ჩანს, რომ ავტორი მოჯადოებულია სიკვდილით. უაილდი აღწერს ამერიკული ოჯახის ისტორიას, ათავსებს მათ ბრიტანულ გარემოში, მთელი რიგი წარუმატებლობით და მარცხით ახდენს ორი კულტურის დაპირისპირებას. ის ქმნის სტერეოტიპულ გმირებს, რომლებიც წარმოადგენენ როგორც ინგლისს და ასევე ამერიკის შეერთებული შტატებს, იგი პერსონაჟს წარმოადგენს როგორც კომიკურ ფიგურას, ამით ის სასაცილოდ იგდებს ბრიტანეთისა და ამერიკის ტრადიციებს, მათ გემოვნებას და მათ გადაწყვეტილებებს.

ბატონო საიმონი არ არის ინგლისის სიმბოლო, როგორც, ალბათ, ქალბატონი ამნი, არამედ ის წარმოადგენს ბრიტანული კულტურის ნიმუშს. ის სრულიად განსხვავდება ბატონი ოტისისგან. ბატონო საიმონი ვერ უგებს მას, ისევე, როგორც ოტისს არ ესმის მისი. აქ უაილდს აშკარად სურს ხაზი გაუსვას ინგლისის და ამერიკის შეერთებული შტატების კულტურათა შორის შეჯახებას.

ამბავი ასახავს უაილდის ტენდენციებს ურთიერთსაპირისპირო სიტუაციებში. ამ შემთხვევაში მოჩვენება საიმონი შიძლება შევაფასოთ როგორც „გმირი“- რადგან სწორედ ის დგება ბევრი გამოწვევის წინაშე, უწევს ბევრი რამის მოთმენა და სირთულეების გადალახვა იმისათვის, რომ მოიპოვოს სიმშვიდე და „ცხოვრება უკეთესობისკენ შეცვალოს“.

ერთგული მეგობარი, რომელიც 1888 წელს გამოიცა, არის კომიკურ სტილში დაწერილი შესანიშნავი ზღაპარი, რომელიც გამოკვეთილია საინტერესო საკითხები, როგორიცაა მორალი, იდეოლოგია, ნამდვილი მეგობრობა, მეგობრობის არსი, ერთგულება და ეგოიზმობა.

ოსკარ უაილდი მოგვითხრობს ერთგულ მეგობრობაზე, იმ ერთგულ მეგობარზე, რომელმაც საკუთარი სიცოცხლე საფრთხეში ჩაიგდო. მთავარი იდეა არის ის, რომ ნამდვილი მეგობარი მართლაც ჭირში გამოიცნობა, თუმცა ავტორი გვეუბნება, რომ მდიდრები ძალიან ძუნწები არიან, მათ არ სურთ ღარიბების დახმარება გაჭირვების ჟამს, მათ არ იციან ნამდვილი მეგობრობის ფასი. მეწისქვილე შვილის გადასარჩენად კი არ წირავს თავს და ჰანსს აგზავნის ექიმთან. აქედან კარგად ჩანს, თუ როგორი თვითმწყობი და ეგოისტი კაცია მეწისქვილე.

პატარა ჰანსი, ამ მოთხრობის მთავარი გმირი, არის გულითადი, წრფელი კეთილი გულის ადამიანი, მას მეწისქვილის თითოეული სიტყვის სჯერა და ვერ ხვდება, რომ მეწისქვილე ამას თავის სასარგებლოდ იყენებს. მიუხედავად მეწისქვილის ყველა დავალების შესრულებისა, ჰანსი მაინც ვერ იღებს ურიკას მისგან. ის მის კეთილგანწყობას მხოლოდ თავისთვის იყენებს. მეწისქვილე ჰგავს მტაცებელს, რომელიც უდანაშაულო ჰანსის კეთილგანწყობით სარგებლობს.

მეწისქვილე მომხიბვლელად საუბრობს მეგობრობაზე, თუმცა ის მხოლოდ საკუთარ თავზე ფიქრობს, რომ მხოლოდ თვითონ ნახოს სარგებელი. სინამდვილეში მას არ აინტერესებს ჰანსთან მეგობრობა. ეს აშკარად ჩანს, როცა ის ჰანსს სულ მარტო ტოვებს ზამთარში და არ ეხმარება მას. მას მხოლოდ ცალმხრივი მეგობრობა შეუძლია და ჰიუსს, როგორც მოსამსახურეს, ისე ექცევა. მოთხრობის ბოლოს კი აშკარაა, რომ ის ჰიუსს გარდაცვალებას საერთოდ არ განიცდის, პირიქით, ის თავის დიდსულოვნებას აბრალებს მის სიკვდილს. მას თავისი თავი მსხვერპლად გამოჰყავს, თუმცა ერთადერთი მსხვერპლი ამ მოთხრობაში პატარა ჰანსია, რადგანაც მან ერთგულების ნიშნად სიცოცხლეც კი გაწირა და სანაცვლოდ არაფერი მიუღია.

სიმბოლოურია ასევე ის, რომ მთავარ გმირს „პატარა ჰანსი“ ჰქვია, ხოლო მეორე მთავარ გმირს - „დიდი მეწისქვილე ჰიუ“. მწერალი ამით გვიხსნის, რომ მდიდრები არა მარტო ფიზიკურად, არამედ ყოველმხრივ მაღლა დგანან ღარიბებზე და ამათ კარგადაც მანიპულირებენ. ისინი თავიანთი ძალაუფლებით სარგებლობენ. ასე იყო ჰანსის შემთხვევაშიც. ჰიუ მისი მეგობარი არასოდეს ყოფილა, ის მხოლოდ მანიპულირებდა ჰანსით, მეწისქვილეს ხომ მისთვის არაფერი გაუკეთებია, გარდა მეგობრობაზე ამო სიტყვებით საუბრისა.

ლიტერატურა:

ოსკარ უაილდი, „ქანთერვილის მოჩვენება“, მოთხრობები, ზღაპრები, პიესა. გამომცემლობა პალიტრა L, თბილისი, 2016.

[<https://www.slideshare.net/mailakshdeep/the-canterville-ghost-oscar-wilde>]

[<https://www.quora.com/What-is-the-theme-of-the-Canterville-Ghost>]

[Kelly La Rue, Veteran, small business owner, Master Electrician]

[Answered Jul 11, 2015]

[Shubham Goyal, Student]

[Answered Sep 24]

<https://wildecadents.wordpress.com/2012/12/02/literary-criticism-in-the-portrait-of-mr-w-h/>

<http://sittingbee.com/the-model-millionaire-oscar-wilde/>

http://literature.wikia.com/wiki/The_Model_Millionaire

http://literature.wikia.com/wiki/The_Sphinx_Without_a_Secret

<https://www.enotes.com/homework-help/what-theme-sphinx-without-secret-by-oscar-wilde-214277>

Sophiko Antia

Sokhumi State University

CONCEPTS OF OSCAR WILDE SHORT PROSE RESUME

Oscar Wilde's rich and dramatic portrayals of the human condition came during the height of the prosperity that swept through London in the Victorian Era of the late 19th century. At a time when all the citizens of Britain were finally able to embrace literature the wealthy and educated could only once afford, Wilde wrote many short stories, plays and poems that continue to inspire millions around the world. He was one of the several writers who wanted to set literature and art free from materialistic preoccupations of industrialized society.

Oscar Wilde proposed that individualism offers the most fertile ground for the creation of art and cultivates the highest potential. He was never interested in seeking approval or create art for demand. The public to him are non-existent. In his opinion, if the work is not good for the artist himself, it is not good for anyone else. Wilde believes that art need not express anything but itself. He put the value on artistry above anything else and regarded life as a kind of art form, to be lived beautifully. The art for him was the way of trying to escape from the bizarre monotony (he always wrote the word "Art" in the capital letter). For him, art was about returning to nature for inspiration and originality was key to it.

During his lifetime, Irish playwright, novelist and poet Oscar Wilde –known for his clever, wit and outrageous behavior –delved deep into a discussion of the nature of art in plays. He opposed to all officials, did not admit the public opinion and openly mocked outdated dogmas. He couldn't stand anything that was trivial and always tried to get rid of absurdity.

Oscar Wilde, who was amateur of the truth and a rebellious Dandy unapologetically exposes all the imperfections of the Victorian society. In his works he openly states that modern society is a complete nonsense and the ideals – imaginary.

According to critics, he laid the basis for a new style of literature, with a laconic, cynical or satirical writing conveyed by a sophisticated text and thus creating a new course called social satire.

The name Oscar Wilde is synonymous with a synergy of depth and sass, with a vision and understanding that cuts sharply through to the essence of the human experience, while known for his comic plays, the 19th century Irish writer's real legacy was his quick wit, exuberant personal manner and immaculate taste – all the better to comment on art!

აღაზას მხატვრული სახის გაგებისათვის

ვაჟა-ფშაველას ლიტერატურულ პერსონაჟთა შორის ხასიათის შინაგანი სირთულითა და დრამატიზმით გამორჩეულია აღაზას მხატვრული სახე (პოემა „სტუმარ-მასპინძელი“). ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში სწორედ აღაზასთან დაკავშირებით მსჯელობენ ხოლმე სინდისის პრობლემაზე ვაჟა-ფშაველას ეპიკურ პოეზიაში. სამეცნიერო ლიტერატურაში შენიშნულია, რომ „... აღაზას მაგალითზე გვიჩვენა ვაჟამ სინდისის ტრაგედია“ (კიკნაძე 2005:418).

თავდაპირველად აღაზა პოემის მესამე თავში ჩნდება. ზვიადაურთან ერთად სახლში დაბრუნებული ჯოყოლა სტუმრის გასამასპინძლებლად მოუხმობს ცოლს. აღაზას შემოსვლას წინ უძღვის ერთგვარი მხატვრული პაუზა, რითაც პოეტი თითქოს საგანგებოდ ამზადებს მკითხველს ახალ, გამორჩეულ პერსონაჟთან შესახვედრად. ვაჟა-ფშაველა ტრადიციული პოეტური ლექსიკის დახმარებით აღგვიწერს ქალის ნათელმოსილ გარეგნობას:

„გამოჩნდა ქალი ლამაზი,
შავის ტანსაცმლით მოსილი,
როგორაც ალყა ტანადა,
ვარსკვლავი ციდამ მოცლილი“
(ვაჟა-ფშაველა 2009:276).

აღაზას მხატვრულ სახეში შენივთებულია ფიზიკური სილამაზე და სულიერი მშვენიერება. მისი შინაგანი სამყაროს გახსნა იწყება იმ მომენტიდან, როდესაც იგი ზვიადაურის „შეწირვის“ სცენას შეესწრება. სტუმრის ვაჟკაცობით მონუსხული აღაზა ვერ ახერხებს ცრემლების შეკავებას და მის მიმართ საოცარ თანაგრძნობას ავლენს. ზვიადაურის დატირებისთანავე აღაზას არსებას საშინელი მღელვარება მოიცავს. მართალია, იგი ადანაშაულებს ქისტებს ვაჟკაცის უღირსად მოკვლის გამო, მაგრამ მაინც ეპარება ეჭვი როგორც თავისი, ასევე ქმრის საქციელის მართებულობაში და ვერ ახერხებს სულიერი სიმშვიდის მოპოვებას. ზოგიერთი მკვლევარი აღაზას სინდისის ქენჯნის საფუძველს იმ გარემოებითაც ხსნის, რომ, პოემის მიხედვით, მას სქესური სიმპათიის გრძნობა უჩნდება ზვიადაურისადმი და სწორედ ამას ვერ პატიობს თავს. ილია ნაკაშიძის აზრით, „მკვდრისადმი ცოცხალი სიყვარული გაჰღვიძებია ლამაზ აღაზას გულში და სახიფათო საქმე გააბედვინა“ (ნაკაშიძე 1955:131). ამგვარადვე მსჯელობს აღაზას გრძნობის შესახებ კიტა აბაშიძეც: აღაზა „სიყვარულს შეუპყრია, იგი მისი მორჩილია, იგიც ერთგვარი ურჩია თემისა, რომელიც თავის გრძნობასა და ზრახვას არავის უმორჩილებს, თავის გულისა და სულის პატრონობა მარტო თვით უდვია თავზედ. როგორც მისი ქმარი მეგობრობის გრძნობას სწირავს თავს, ისე ეს ფატალურ ძალას სიყვარულის გრძნობისას დაუმონებია და მარტო მისი ბუნება მიუღია“ (აბაშიძე 1955:178).

თანამედროვე მკვლევართაგან იგივე შეხედულება განავითარა იტალიელმა ქართველოლოგმა ლუიჯი მაგაროტომ. მისი თქმით, სარაინდო პოემების მსგავსად, „სტუმარ-მასპინძელშიც“ „... მნიშვნელოვან როლს ასრულებს „აკრძალული“ სიყვარული პოემის გმირსა და ქალიშვილს (ან გათხოვილ ქალს) შორის. მაგრამ ქისტების თემში არსებული მკაცრი ტრადიციების გამო აუცილებელი ხდება მისი დაძლევა. ამ სიყვარულს სულის სიღრმეში ინახავს აღაზა და ის საიდუმლოდ გამჟღავნდება არა სიხარულში, არამედ ტკივილის განცდით მოგვრილ ტანჯვაში. აღაზა, რომელმაც ზვიადაური გაიცნო იმ ღამით, როცა ის მათთან სტუმრობდა, თავის სიყვარულს სასაფლაოზე ზვიადაურის მსხვერპლად შეწირვის დროს გამოხატავს“ (მაგაროტო 1999:43).

მიუხედავად იმისა, რომ ლიტერატურათმცოდნეთა ერთი ნაწილი კატეგორიულად უარყოფს აღაზას თანაგრძნობაში სატრფიალო ელემენტის არსებობის შესაძლებლობას,¹ საინტერესოა, რამდენად

¹ იხ. მაგ. (კიკნაძე 2005:433-434), (ბენაშვილი 1961:125-126), აღაზას ქცევის საინტერესო ანალიზია წარმოდგენილი თამაზ ჩხენკელისა (ჩხენკელი 1989:176-183) და იუზა ევგენიძის (ევგენიძე 1989:367-373) ნაშრომებში.

გვამღევს ნაწარმოების ტექსტი და ქვეტექსტები ზემოთ აღნიშნული შეხედულების გამოთქმის რეალურ საფუძველს.

ზვიადური ჯოყოლას ოჯახში მხოლოდ რამდენიმე საათს ატარებს. ვაჟა-ფშაველა ერთ უმცირეს მინიშნებასაც კი არ გვაწვდის იმის თაობაზე, რომ მთელი ამ ხნის განმავლობაში ალაზას არსებაში სქესური სიმპათიის თუნდაც უმცირესმა განცდამ იჩინა თავი. გაცემას იწვევს კიტა აბაშიძის სიტყვები: „ჯოყოლას ცოლი ზვიადურს დაინახავს თუ არა, მისის ეშხით ენთება“ (აბაშიძე 1955:178). პოემის მიხედვით, ალაზა ზვიადურს ისე ეპყრობა როგორც სტუმარს, ქმრის მეგობარს. მის ფიქრთა და განცდათა დინებაზე ვაჟა საერთოდ არ მიგვაპყრობინებს ყურადღებას, რამდენადაც მის თავს არაფერი ხდება უჩვეულო. ასევე დუმს ავტორი იმის თაობაზე, თუ როგორია ქალის სულიერი მდგომარეობა მაშინ, როდესაც ქისტები ზვიადურს ატყვევებენ.

ალაზა სტუმრისადმი განსაკუთრებულ თანაგრძნობას მაშინ ამჟღავნებს, როდესაც მის გასაოცარ ვაჟკაცობას იხილავს. ზვიადურის პიროვნული ძალა, გაუტეხელობა განუმეორებელ ზემოქმედებას ახდენს ქალის ფაქიზ სულზე და იგი ერთიანად ინუსხება ამ საოცარი სანახაობით. პოეტი, თითქოს, გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად საგანგებოდ განგვიმარტავს ალაზას მღელვარების მიზეზს:

„კაცის კაცურად სიკვდილი
გულიდან არა ჰქრებოდა.
ქალის გულს იგი სურათი
შიგ გაეყარა ისრად:
იმან დაადვა ლამაზსა
დაკლულის გლოვა კისრად“
(ვაჟა-ფშაველა 2009:290).

სრულიად ნათლადაა ახსნილი ალაზას ქცევის მოტივაცია. ქალის აღელვებას იწვევს არა საყვარელი ადამიანის გარდაცვალება, არამედ „კაცის კაცურად სიკვდილის“ ხილვა. ეს ამალღებული, გასაოცარი სურათი გულში ებეჭდება ალაზას და სწორედ ამის გამო იგი თავს იდებს ზვიადურის ჭირისუფლობას. ალაზას თანაგრძნობა კიდევ ერთი არსებითი ფსიქოლოგიური ფაქტორითაა გამყარებული. ქალის სათუთ გულს ებრალება ადამიანი, რომელიც უცხო მხარეში, მახლობელთა თანაგრძნობისა და ნუგეშის გარეშე ემშვიდობება წუთისოფელს:

„ძლიერ შემბრალდა ბეჩავი,
რომ უცხოეთშიკვდებოდა,
არც ნათესავი, არც მოძმე
რომ ვისმე შეჰბრალებოდა,
მაგრამ როს ჰკლავდნენ ხანჯრითა,
ოდნავაც არა ჰკრთებოდა“
(ვაჟა-ფშაველა 2009: 295),

– ეუბნება იგი ჯოყოლას.

იმ მკვლევრებს, რომლებიც ამტკიცებენ ალაზას თანაგრძნობაში სატრფიალო ელემენტის არსებობას, თავიანთი მოსაზრების დასტურად მოაქვთ ქალის სიტყვები, რომლებითაც იგი, თითქოს, შენატრის ზვიადურის ცოლის ბედს:

„ნეტავი იმას, ვინაცა
მაგის მკლავზედა წვებოდა,
ვისიცა მკერდი, აწ კრული,
მაგის გულ-მკერდსა სწვდებოდა!
ნეტავი იმას ოდესმე
ქმრის ტრფობა გაუცვდებოდა?“
(ვაჟა-ფშაველა 2009:288).

ალაზა ქალური უშუალობითა და გულწრფელობით გამოხატავს თავის განცდებს. „ბედნიერი ყოფილა მისი ცოლი“, – ფიქრობს იგი და ეს სრულიადაც არ ნიშნავს იმას, თითქოს მაინცდამაინც მის ადგილზე ყოფნას ნატრობს. პოემის მიხედვით, არ არსებობს ალაზას არსებაში ამგვარი სურვილის წარმოშობის საფუძველი, რამდენადაც ზვიადურს არ მოეპოვება არაფერი ისეთი, რაც ქალმა შეიძლება

საკუთარ ქმარში მოისაკლისოს. აღაზას ზვიადურის გაუტეხელობა ხიბლავს. ეს თვისება, ამავედროულად, ჯოყოლას ხასიათის არსებითი შტრიხიცაა. აღაზა კი ყველაზე უკეთ იცნობს ქმრის შეუპოვარ, მეზრდოლ ბუნებას, მამაკაცურ სიმტკიცეს, რის გამოც მან ქისტები „ადრეც ბევრჯერ არია“.

პოემის მიხედვით ჯოყოლასა და აღაზას შორის ფაქიზი სულიერი ურთიერთობაა. მართალია, თავიდან ქალს ეხატრება ქმრისთვის სიმართლის თქმა, რომ დაიტირა ზვიადური, რადგან არ იცის, თუ როგორ აღიქვამს იგი მის საქციელს, მაგრამ ბოლოს მაინც ახერხებს გულის გადაშლას, რასაც ჯოყოლა თავისი პიროვნული სიმაღლის შესაფერის პასუხს ახვედრებს:

„იტირე? მადლი გიქნია
მე რა გამგე ვარ მაგისა?
დიაცს მუდამაც უხდება
გლოვა ვაჟკაცის კარგისა!“
(ვაჟა-ფშაველა 2009:296).

ცოლ-ქმრის ურთიერთობაში არავითარი ბზარი არ ჩნდება. აღაზას უდიდესი ერთგულება და სიყვარული თვალნათლივ ვლინდება ჯოყოლას დატირების საოცრად ამაღელვებელ პოეტურ სურათში:

„ცოლი სტიროდა ჯოყოლას,
ცრემლს ასხურებდა ხშირად,
არჩვი ყელგადაგდებული,
თმახშირი, მთვარე პირადა,
ეკერებოდა გულ-მკერდზე
ქმარს მარგალიტის ღილადა“
(ვაჟა-ფშაველა 2009: 303).

და რაც ყველაზე არსებითია: ნაწარმოების ფინალში, როცა მითოსურ ჩვენებაში პოემის პერსონაჟები კვლავ ერთად შეიყრებიან, ისინი:

„ვაჟკაცობისას ამბობენ
ერთურთის დანდობისასა
სტუმარ-მასპინძლის წესზედა
ცნობის და დამძობისასა“.
(ვაჟა-ფშაველა 2009:305).

ვაჟა-ფშაველა სრულიად ნათლად და გარკვევით მიგვითითებს, რომ აღაზას თანაგრძნობა ზვიადურისადმი მხოლოდ და მხოლოდ დამძური ურთიერთობის ჭრილშია გასააზრებელი.

საგულისხმოა, რომ აღაზა-ზვიადურის ურთიერთობაში სატრფიალო ნიუანსებს ეძებენ ევროპული ლიტერატურის საფუძვლიანად მცოდნე კრიტიკოსები, რომლებიც დასავლური მწერლობის თვალსაწიერიდან უცქერენ „სტუმარ-მასპინძელს“. ევროპული სარაინდო რომანებისათვის სასიყვარულო სამკუთხედები მართლაც ჩვეულებრივი მოვლენაა. ვაჟა-ფშაველას შემოქმედების მთლიან სულისკვეთებას თუ გავითვალისწინებთ, იმთავითვე მივხვდებით, რომ პოემაში ამგვარი დეტალების ძიება არაბუნებრივია. როგორც ვაჟას პოეზიის საუკეთესო მკვლევარი, გრიგოლ კიკნაძე აღნიშნავს, „ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში უმნიშვნელო ადგილი აქვს დათმობილი სასიყვარულო და ეროტიულ ურთიერთობაზე მიმთითებელ ეპიზოდებს. ვაჟას პოემათა დიდი უმრავლესობა სრულიად თავისუფალია ასეთი მოტივებისაგან... ფაქტებზე დიდი ძალდატანების შედეგი იყო, როდესაც ზოგიერთმა კრიტიკოსმა ზვიადურისადმი აღაზას თანაგრძნობაში სატრფიალო ნიუანსი დაინახა. ასეთმა ინტერპრეტაციამ, საკუთარი უსაფუძვლობის გარდა - და სწორედ ამის გამოც - უსიამოვნო შთაბეჭდილება დატოვა“ (კიკნაძე 2005:433-434). მართლაც, ვაჟა-ფშაველას გმირები წმინდა, ალალი სულის პიროვნებანი არიან, რომელნიც თავიანთი სიწრფელითა და სისუფთავით ხიბლავენ მკითხველს. ასე რომ, აღაზას თანაგრძნობაში სატრფიალო მოტივის ძიება ტექსტზე აშკარა ძალადობაა და არაფერს მატებს არც მის მხატვრულ სახეს და არც თავად პოემას.

ახლა უფრო კონკრეტულად ვნახოთ, თუ რა იწვევს აღაზას სინდისის ქენჯნას ნაწარმოების მიხედვით. ქალის სულში აღძრული ურთიერთსაპირისპირო გრძნობების ჭიდილს პოეტი შთამბეჭდავად აღგვიწერს:

„ზვიადურის სიკვდილი
 თვალბში ელანდებოდა -
 სტიროდა, მაგრამ ტირილი
 არ იყო, ეხატებოდა:
 ერთ მხრივ ხათრი აქვს თემისა
 მეორით - ღმერთი აშინებს:
 ქისტეთის მტრისა მოზარეს
 თავს რისხვას გადმოადინებს!
 ეს ფიქრი გონებისაა,
 გული თავისას შვრებოდა,
 კაცის კაცურად სიკვდილი
 გულიდან არა ჰქრებოდა“
 (ვაჟა-ფშაველა 2009:290).

ტექსტის მიხედვით, ალაზას იმიტომ კი არ აქვს დანაშაულის გრძნობა, რომ ქმარს უღალატა და უცხო კაცი შეუყვარდა, არამედ იმის გამო, რომ დაარღვია მაჰმადიანური, რელიგიური მცნება – მტერი, ურჯულო იგლოვა. ალაზას ეშინია ღმერთის, რომელიც, მისი წარმოდგენით, ქისტეთის მტრის დამტირებელს „თავს რისხვას გადმოადინებს“. მიუხედავად ამისა, „გული თავისას შვრება“, ქალს უჩნდება შინაგანი მოთხოვნილება ზვიადურის დატირებისა და ვერ ახერხებს წინ აღუდგეს მოზღვავებულ ემოციებს. ე. ფრომის ტერმინოლოგია რომ მოვიშველიოთ, შეიძლება ითქვას, რომ ალაზას სულში ერთმანეთს ებრძვის ავტორიტარული და ჰუმანისტური სინდისი¹, გარეგანი ავტორიტეტისადმი შიშის, მოწიწების საფუძველზე წარმოშობილი დანაშაულის ცნობიერება ერთი მხრივ და ადამიანური არსების უღრმესი წიაღიდან მომდინარე, ჭეშმარიტი მე-ს ხმა, მეორე მხრივ. სწორედ ამ გაორების გამო ირღვევა ალაზას სულიერი წონასწორობა.

მიუხედავად იმისა, რომ ჯოყოლა ცდილობს დაამშვიდოს ცოლის მშფოთვარე სინდისი, შთააგონოს მას, რომ სრულიადაც არაა დასაძრახი ღირსეული ვაჟკაცის დატირება, ალაზას არ აქვს საკუთარ უდანაშაულობაში შინაგანი დარწმუნებულობის განცდა. მას მაინც ეპარება ეჭვი როგორც საკუთარი, ასევე ქმრის საქციელის მიზანშეწონილობაში: „ორთავ შევცოდეთ ქისტებსა, მათ შამიჩვენეს ქმარია... მე უფრო დიდი ცოდვა მაქვს, უცხოთვის ცრემლი ვღვარია“. ვაჟა-ფშაველა, როგორც დიდი ფსიქოლოგიური ალღოს მქონე მწერალი, ბრწყინვალედ გვიჩვენებს, რომ ქალის ფსიქიკა ცოტა განსხვავებულიადაა მომართული. „ალაზას შინაგან ძალასთან ერთად სისუსტეც ახასიათებს, ის, როგორც ქალი, უფრო მეტად არის დამოკიდებული სხვების, საზოგადოების აზრზე, რაც მისი სახის მხატვრული სიმართლის და ინდივიდუალურობის საყრდენია. ალაზა თავისთავში ატარებს თემის ცნობიერებას, მის თვალთახედვას და ამ თვალთახედვითაც აღიქვამს და აფასებს საკუთარ ფიქრებს, განცდებს, ქმედებებს“ (ვასაძე 2010:81). სწორედ ამის გამო დანაშაულის განცდა მოსვენებას არ აძლევს ალაზას და იგი მტანჯველი ზმანებების სახით იჩენს თავს:

ეს რა ხმა ესმის, დგანდგარი?
 ყურებს გაუდის ჟივილი...
 საფლავებიდან მოესმის
 მკვდრების წყრომა და ჩივილი!
 თითქოს ბაღლებიც ატირდენ,
 გაუდისთ მწარედ წივილი!
 საერთო წყრომის ხმა ისმის,
 საერთო გულის ტკივილი:
 “რას შვრება უნამუსოვო”,
 გამწარებულნი ჩიოდენ, -
 “მაღალი ღმერთი გრისხავდეს!”
 სამართ შემოჰკიოდენ“
 (ვაჟა-ფშაველა 2009:291).

ალაზას ეზმანება, რომ მთელი სამყარო უპირისპირდება. მას მოღალატედ მიიჩნევენ და შეაჩვენებენ „ბალახნი, ქვანი, კვიშანი“, „სამდურავს ეუბნებიან ალაზას გიშრის თმანიცა“. ალაზას

¹ამ ცნებათა ფრომისეული დახასიათება იხ. (ფრომი 1998: 3-16).

სასოწარკვეთა უმაღლეს წერტილს აღწევს მაშინ, როდესაც ქისტები ქმრის სასაფლაოზე დამარხვის უფლებასაც კი არ მისცემენ: „სუყველამ ზურგი მაქცია, ყველაყა განზე მდგარია, სასაფლაოც კი შემიკრეს, რომ დამემარხა მკვდარია“. ამგვარი უგულობის მხედველ ქალს „ცეცხლი წვავს უალო, მოუდებარი“. ყველასაგან უარყოფილი და სინდისის ქენჯნისაგან სასომიხდილი აღაზა თვითმკვლელობით ასრულებს სიცოცხლეს.

აღაზა ტრაგიკული ბედის, გაორებული ცნობიერების მქონე რეალისტური პერსონაჟია, რომელიც, ერთი მხრივ, თავის რწმენას, მეორე მხრივ, კი საზოგადოების გულგრილობასა და სისასტიკეს ეწირება, რის გამოც მკითხველის გულწრფელ თანაგრძნობას იმსახურებს.

ლიტერატურა:

1. **აბაშიძე 1955:** აბაშიძე კ. ვაჟა-ფშაველა. ვაჟა-ფშაველა ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში, ქრესტომათია. I. თბილისი. 1955.
2. **ბენაშვილი 1961:** ბენაშვილი დ. ვაჟა-ფშაველა - შემოქმედი და მოაზროვნე. თბილისი. 1961.
3. **ევგენიძე 1989:** ევგენიძე ი. ვაჟა-ფშაველა. თბილისი. 1989.
4. **ვასაძე 2010:** ვასაძე თ. ლიტერატურა ჭეშმარიტების ძიებაში. თბილისი. 2010.
5. **ვაჟა-ფშაველა 2009:** ვაჟა-ფშაველა. თხზულებანი ათ ტომად. ტ. 3. თბილისი. 2009.
6. **კიკნაძე 2005:** კიკნაძე გრ. თხზულებანი ხუთ ტომად. ტ. 1. თბილისი. 2005.
7. **მაგაროტო 1999:** მაგაროტო ლ. მითი და პოეზია. „ლიტერატურა და სხვა“, 1991, #1.
8. **ნაკაშიძე 1955:** ნაკაშიძე ი. ვაჟა-ფშაველას პოეზია. ვაჟა-ფშაველა ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში. ქრესტომათია, I, თბილისი. 1955.
9. **ფრომი 1998:** ფრომი ე. ავტორიტარული სინდისი. თბილისი. 1998.
10. **ჩხენკელი 1989:** ჩხენკელი თ. მშვენიერი მძლევარი. თბილისი. 1989.

Levan Beburishvili

*Ivane Javakhishvili Tbilisi State University,
Shota Rustaveli Institute of Georgian Literature*

CHARACTER OF AGHAZA IN VAZHA PSHAVELAS'S EPIC POEM "HOST AND GUEST" RESUME

Aghaza is one of the major characters of Vazha Pshavela's epic poem "Host and Guest". She is quite a difficult psychological type, about whom the divergent views have been expressed in the literary criticism. The literary critics agree on the point that "Vazha-Pshavela illustrated the tragedy of conscience by the example of Aghaza's personality" (Grigol Kiknadze), however, their opinions referring to the cause for Aghaza's tragedy differ from each other. Some of the researchers explain the ground for Aghaza's pangs of remorse also by the circumstance that she sensed the sex appeal for Zviadauri and could not forgive herself exactly for that feeling. Aghaza reveals the special compassion for the guest at that time when she witnesses his amazing bravery. Zviadauri's personal power and steadfastness has the profound impact on the delicate soul of the woman and she gets completely mesmerized by this marvelous scene. But why does Aghaza feel the terrible pang of remorse at the end of the poem? According to the text Aghaza feels the sense of guilt not because she has been unfaithful to her husband and fallen in love with the strange man, but because she has breached the Islamic, religious commandment – she has mourned the enemy, pagan. She as a woman more depends on the other people's views and public opinion. Exactly for this reason the feeling of guilt does not abandon her and appears in the form of the torturous visions. Aghaza who is tortured by the brutality of human life and the indifference of the society, rejected from everyone and tormented by the pang of remorse commits suicide. Aghaza is the realistic character having the tragic fate and dual consciousness who is sacrificed to her faith and thus deserves the sincere compassion from the readers.

სიზმრის სემანტიკა კონსტანტინე გამსახურდიას რომანში „დიდოსტატის მარჯვენა“

კონსტანტინე გამსახურდიას რომანი „დიდოსტატის კონსტანტინეს მარჯვენა“ მისი შემოქმედების magnum opus-ია. ეს არის ვრცელი ისტორიული ტილო, რომელიც XI საუკუნის საქართველოს პირველი ნახევრის (უფროს სწორად, პირველი ოცდაათწლეულის) პერიპეტიებს ასახავს. მიუხედავად იმისა, რომ რომანი, როგორც ვთქვით, ისტორიულია, მასში უხვად არის ღრმა და ძალზე საინტერესო ფსიქოლოგიური პასაჟები, ასევე გახსნილია ეგზისტენციალური თემები, არსებითი ეთიკური, ზნეობრივი, სოციალურ-პოლიტიკური პრობლემები. რომანის პერსონაჟები, მათი ყოფიერება რაღაც საგულისხმოს გვიმხელენ ადამიანის სულიერებისა და სამყაროში მისი ადგილის შესახებ. ფსიქოლოგიური წიაღსვლებიდან განსაკუთრებული ადგილი უკავია სიზმრებსა და ხილვას.

ფროიდის აზრით, სიზმრისთვის მთავარია ის ძლიერი იმპულსი, რომელსაც პიროვნება იღებს ცხადში გარე გამღიზიანებლების ძლიერი ზემოქმედების შედეგად. რომანის ერთ-ერთი გმირისთვის, მამამზე ერისთავისთვის, ასეთი გამღიზიანებელი აღმოჩნდა შვილის, ჭიაბერის, მოულოდნელი, ამოუხსნელი, მისტიკური ნიშნით დაფარული სიკვდილი, სიკვდილი, რომელიც უბედურმა მამამ, და არა მარტო მან, არამედ მთელმა ფხოვმა, ძელიცხოველის ჯვრის საშინელ შურისძიებას მიაწერეს: „თავად მამამზეც შედრკა, მანაც დაიჯერა ეს სასწაული. მისი აზრით, ახლა ტოხაისძის, კოლონკელიძისა და მისი ჯერი იყო მომდგარი, მაგრამ უეცარი სიკვდილი სანატრელად უჩნდა ვაჟკაცი შვილის დამკარგველ მოხუცს. ანაზღად გამოიცვალა, მოტყდა მამამზე, ახლა მთლად ფეხქვეშ ეგებოდა კათალიკოსს და მის ამაღლას“...

შინაკლასობრივი ბრძოლის შრეებში ავტორმა ოსტატურად ჩართო ფსიქოლოგიური კოლიზიები. მან თავდაპირველად ყურადღება გაამახვილა მეფესა და დიდგვაროვნებს შორის არსებულ დაპირისპირებაზე. ერთ მხარეს დგანან ქვეყნის გაერთიანებისა და ძლიერებისათვის მებრძოლი ჭაბუკი მეფე გიორგი პირველი, ხოლო, მეორე მხრივ, სეპარატიზმის მოსურნე დიდგვაროვანი ფეოდალები (მამამზე და ჭიაბერ ერისთავები, თალაგვა კოლონკელიძე, შავლე ტოხაისძე და სხვები). ეს ანტაგონიზმი სულაც არ იყო ახალი და უცხო ქართული საზოგადოებისათვის. გავიხსენოთ დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის სიტყვები: „...ვინაიდან ნათესავნი ქართველთა ორგულ-ბუნება არს პირველთაგან თვისთა უფალთა. რამეთუ, რაჟამს განდიდნენ, განსუქნენ, იწყებენ განზრახვად ბოროტისა, ვითარცა მოგვითხრობს ძველი მატთანე და საქმენი აწ ხილულნი“ (ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი, ქართლის ცხოვრება, I, თბილისი, 1955, გვ. 359).

რომანში მოცემული გმირები - სეპარატიზმის მომხრე ფეოდალები - ფორმალურად აღიარებენ ს ი უ ზ ე რ ე ნ ი ს (მეფის) უზენაესობას, თუმცა ისინი შესაძლებლობას არ უშვებენ ხელიდან, რომ მოაშთონ მათთვის არასასურველი მეფობის ინსტიტუტი.

ეს მცდელობა მარცხით მთავრდება. ასევე ტრაგიკული დასასრული აქვს მამამზესა და მისი ვაჟის მიერ ინსპირირებულ ფხოველთა ამბოხს. ჭიაბერი დაიღუპა! მგლოვიარე მამამ, რომელიც მეუღლესთან ერთად თითქმის ერთი წელი ზნელში იჯდა, „უსიამოვნო სიზმარი“ ნახა: „პაპისეულ სამკალებში, ჭიაბერის სამარხის ლოდზე ისხდნენ ვითომ იგი და ტოხაისძე, საფლავის ჯვარს შესცქეროდნენ დამწუხრებულნი.

ეს აღარ იყო უბრალო ქვის ჯვარი, რომელიც ბორდოხანმა არამართინა კალატოზებს, არამედ კლარჯეთული ძელიცხოველი.

მიწაში ფესვები გაეღდა ჯვარს და გაზრდილიყო, კაცის სიმაღლე გამხდარიყო. მაჯის სიმსხო ვაზი შემოხვეოდა გარს.

დააცქერდნენ: რქა აეყარა ვაზს.

გაოცდა მამამზე: ვინ დარგო ძელიცხოველი ჭიაბერის საფლავზე? ადგნენ, მიეახლნენ.

შეირხა რქანაყარი ვაზი.

დახედეს: აღარც ვაზი იყო სადმე, არარც რქაი.

შეტოკდა უზარმაზარი გველი, გარს შემოეჭდო ჯვარს.

წაიგრძელა, წაიგრძელა კისერი, გაასავსავა თავი და ორკაპიანი ენით მისწვდა ღრუბლიან ცას.

გაიძრო ტოხაისძემ ჭიაბერისაგან ნაჩუქარი ხმალი და თავი წააცალა უხსენებელს.

მიწაზე დაეცა გველის თავი, პირი დააბჩინა და იქედნურად იცინის.

გამოვლინა მამამზეს, ადგა სარკმლის ზვრელთან მივიდა, ცისკარი მოსდგომოდა ბნელ სავანეს...“ (გვ.59)

ამ სიზმარს თამამად შეგვიძლია ვუწოდოთ ინტუიციური, თუ რატომ, ამაზე ქვემოთ ვისაუბრებთ. მასში რამდენიმე სახე - სიმბოლოა საინტერესო. ლოდი, ჯვარი, რქა (ვაზის), გველი.

საეკლესიო სიმბოლიკის მიხედვით, ჯვრიდან გარდამოხსნილი იესო, ანგელოზებითა და მტირალი ახლობლებით გარშემორტყმული, ლოდი დასვენეს. ამიტომ არის, რომ მართლმადიდებელ ეკლესიაში წითელი პარასკევისა და დიდი შაბათის ღვთისმსახურების დროს გამოაქვთ საკურთხეველიდან არდაგი (შესამოსელი ტილო) და ლუსკუმაზე, ლოდი სიმბოლოზე, დააბრძანებენ. ასევე ლოდი მიაფარეს ქრისტეს საფლავს: „აილო იოსებმა გვამი და შეახვია სუფთა ტილოში და დაასვენა თავის ახალ სამარხში, რომელიც კლდეში გამოკვეთა და სამარხის კართან დიდი ლოდი მიაგორა და წავიდა“ (მათე 27,59-60). უდიდეს სასწაულს-ქრისტეს აღდგომას - უკავშირებდა ლოდის გადაგორება: „და აი, მოხდა დიდი მიწისძვრა, ვინაიდან ციდან ჩამოსული უფლის ანგელოზი მოვიდა, გადააგორა ლოდი და დაჯდა ზედა“ (მათე 28,2).

როგორც ვხედავთ, ქვის, ლოდის, კლდის სიმბოლიკის ცნება, როგორც გაუზიარავი მთლიანობისა და ურყევლისა, თვით ქრისტეშია წარმოსახული. აი, რას ვკითხულობთ მოციქულ პავლეს პირველ წერილში კორინთელთა მიმართ: „და ყველანი სვამდნენ ერთსა და იმავე სულიერ სასმელს, ვინაიდან სვამდნენ სულიერი კლდიდან, რომელიც თან დაჰყვებოდა მათ, ხოლო ის კიდე იყო ქრისტე“ (I კორინთელთა მიმართ, 10,4). მათეს სახარებაში, იგავში ბოროტ მევენახეებზე, იესო მიმართავს მორწმუნეებს: „ნუთუ არასოდეს არ წაგიკითხავთ წერილებში, „ლოდი, რომელიც მშენებლებმა დაიწყეს, ქვაკუთხედად იქმნა. უფლის მიერ იქმნა ეს და საოცრება ჩვენს თვალებში“ (მათე 22,42). ეს ერთგვარი გაგრძელებაა ბიბლიური სენტენციისა, ასე იქნებთან პირველნი და უკანასკნელნი და უკანასკნელნი პირველნი.

სიზმარში ლოდზე ჩამომჯდარი მამამზე იმ სულიერი ძვრის სიმბოლოდ შეგვიძლია მივიჩნიოთ, რომელმაც მგლოვია რე, დაუძლურებული და თითქმის მორწმუნე მამა შურისმაძიებელ მაფდეტად (ეგვიპტურ მითოლოგიაში - შურისძიების ღმერთი) აქცია „შემომფიცე, შავლეგ, მხოლოდ იმისთვის ვიცოცხლოთ, ჭიბერის სისხლი ვაზღვევინოთ მეფე გიორგის“ (გვ.67).

მეორე სიზმრისეული დეტალი, რომელიც ძალზე საინტერესოდ არის კონტექსტში ჩართული, ეს არის ჯვარი, რომელიც წესით, „უბრალო ქვის ჯვარი“ უნდა ყოფილიყო, მაგრამ მამამზეს სიზმარში ის კლარჯეთულ ძელიცხოველად გადაქცეულა, რომელსაც მიწაში გაუდგამს ფესვები. შეუძლებელია, ამ ეპიზოდის კითხვისას არ გაგვახსენდეს სვეტიცხოვლის ისტორია, უფრო ლეგენდაა მისი ერთ-ერთი ყურადსაღები დეტალი: მცხეთელმა ებრაელმა ელიოზმა იერუსალიმიდან ჩამოიტანა მაცხოვრის კვართი. მისმა დამ, სიდონიამ, გამოართვა კვართი, გულში ჩაიკრა ტირილით და სული განუტევა. მიცვალებული სიდონიას გაცივებული ხელებიდან ვერ შეძლეს კვართის გამოცილება, ამიტომ მასთან ერთად დაკრძალეს. ლეგენდის თანახმად, მის საფლავზე უზარმაზარი ხე, ზოგი ვერსიით ნაძვი, ზოგიც - ლიბანის კედარი ამოსულა. როცა პირველმა ქრისტიანმა მეფემ, მირიანმა, მცხეთაში ტაძრის აგება გადაწყვიტა, მშენებლობისთვის ის ადგილი აირჩია, სადაც სიდონიას საფლავი იყო. მოჭრეს ნაძვი და მისგან გამოთალეს „შვიდნი სვეტნი ეკლესიისანი“. ამ შვიდიდან ერთი სასწაულმოქმედი აღმოჩნდა, იგი ჰაერში ჩამოეკიდა და მშენებლებმა ვერაფრით ვერ დაძვრეს ადგილიდან. წმინდა ნინოს ლოცვის მაღლით, გამთენიისას ზეციდან გადმოსულმა „ყოვლად ცეცხლითა მოზარდნილმა“ ჭაბუკმა თორმეტ წერთის სიმაღლეზე აღამაღლა სვეტი და ჰაერში გააჩერა. ამის შემდეგ „სვეტი იგი მოეახლა ხარისხსა მას თვისსა და დაემართა და დადგა ზედა ხარისხსა მას“ (ხარისხი ბაზისს, საყრდენს ნიშნავს). ეს სვეტი გამოსცემდა მირონს და ვინც კი აქ მოვიდოდა, ყველა განკურნებული მიდიოდა „სახიდ თვისად“ (თავის სახლში). ეს იყო სწორედ სვეტიცხოველი, სვეტი - სიცოცხლის მომნიჭებელი, რომლის სახელი ეწოდა ტაძარს.

ძელიცხოველი, რომლის ისტორიას დაწვრილებით გვიყვება კ. გამსახურდია რომანის მეათე თავში, „ლეგენდების მიხედვით, სვეტიცხოველის ხისაგან უნდა ყოფილიყოს... იმ ეპოქაში გაკეთებული, როცა წარმართული ხის კულტი შეიგუა ქრისტიანობამ“ (გვ.48)

ბიბლიაში ხე ორი ფორმითაა წარმოდგენილი, „როგორც ხე ცხოვრებისა“ და „ხე ცნობადის“... ხე - მიწაში ღრმად გადგმული ფესვებით და ცისკენ ზეაღმართული ტოტებით სწორედ ცისკენ ზესწრაფვას და „სამყაროს“ აერთიანებდა (ქვესკნელი, შუასკნელი ანუ მიწის ზედაპირი და ზესკნელი ანუ ცა). ამიტომაც ბიბლიურად ის „ხეცური კიბედა“ იყო მიჩნეული. გარდა ამისა, ქრისტიანულ იკონოგრაფიაში ხე ხშირად ესიტყვება ჯვარს, რომელიც „ცხოვრების ხეს“ ემსგავსება (ზ.აბზიანიძე, ქ. ელაშვილი, სიმბოლოთა ენციკლოპედია, თბილისი, 2012, 152).

მკვლევარ გიორგი კენჭოშვილის განმარტებით, „დაღუპული სიცოცხლის ხე კვლავ გამოიღებს კვირტებს, თუკი მასზე დაემყნობა ცხოველ-მყოფელი მორჩი - ჯვარმული ქრისტე და თუკი სიცოცხლის

ხე მაცხოვრის სისხლით მოირწყება, ზოგჯერ ხის გვერდით გამოსახულია ვაზი, ზიარების სიმბოლო (გ.კენჭოშვილი, „სიმბოლოები ქრისტიანულ ხელოვნებაში“, ენციკლოპედია, google chrome).

მამამზე ეზიარა! ოღონდ ეზიარა მაშინ, როცა საკუთარ პოლიტიკურ ამბიციებს მისი ვაჟი შეეწირა. მისი სულიერი კათარზისი პირადმა უბედურებამ და იმისმა რწმენამ განაპირობა, რომ ძელიცხოველმა „მოკლა“ ჭიაბერი: „იმ ღამესვე აღსარების ნება სთხოვა მელქისედეკს და აღიარა თავისი და ჭიაბერის თანაზიარობა ფხოველთა ამბოხში“ (გვ.47). სამწუხაროდ, ეს რელიგიური განწყობა ძალიან ხანმოკლე აღმოჩნდა.

უნდა აღინიშნოს, რომ თუ ლეგენდარული „ცხოველი სვეტისა“ და მისგან გამოთლილი ჯვრის არქეტიპი ზოგადად, სიკეთის მაწიფებელია, მამამზეს სიზმარში მას უარყოფითი დატვირთვა აქვს, რადგან ამით ფარდა უნდა აეხადოს საშინელ საიდუმლოს. შვილმკვდარი მამის ცნობიერებაში გრძელდება სიმბოლოთა კასკადი: მიწაში ფესვგადგმულ ჯვარს მაჯის სიმსხო ვ ა ზ ი შემოხვევია, უფრო მეტიც, რ ქ ა აუყრია ვაზს!

ევქარისტის ერთ-ერთი მთავარი ატრიბუტი-ღვინო-თავისი ფუნქციით ვ ა ზ ს უკავშირდება. ვაზი, ვენახი -ამ სახეს ძალიან ხშირად ვხვდებით ბიბლიაში და ის მისი ერთ-ერთი ყველაზე ნათელი და შთამბეჭდავი სიმბოლოა. ახალ აღთქმაში იესო მიმართავს თავის მოწაფეებს: „მე ვარ ვაზი ჭემმარიტი, მამაჩემი კი - მევენახე. ყოველ უნაყოფო ღერწს ჩემზე ის მოაშორებს და ყოველ მომტანს კი განწყენდს, რათა მეტი ნაყოფი გამოიღოს. თქვენ უკვე წმინდანნი ხართ ამ სიტყვით, რაც გითხარით. თქვენ ჩემში დარჩით, მე კი - თქვენში, როგორც ღერწი ვერ მოისხამს ნაყოფს თავისით, თუ ვაზზე არ დარჩება, ისე თქვენ, თუ ჩემში არ დარჩებით. მე ვაზი ვარ თქვენ კი - ღერწები. ვინც ჩემში რჩება და მე მასში, იგი ბევრ ნაყოფს გამოიღებს, რადგან უჩემოდ არაფრის გაკეთება არ შეგიძლიათ. ვინც ჩემში არ დარჩება, გარეთ გადაიგდება, როგორც ღერწი და დაჰყენება და მოაგროვებენ მათ, ცეცხლში ჩაყრიან და დაიწვებიან. თუ ჩემში დარჩებით და ჩემი სიტყვები თქვენში დარჩებიან, რასაც კი ისურვებთ, ითხოვეთ და გექნებათ ამით განდიდდება მამაჩემი, თუ ბევრ ნაყოფს გამოიღებთ და ჩემი მოწაფეები იქნებით“ (იოანე 15,1-8). ამ იგავის მიხედვით, რომელსაც „ჭემმარიტი ვაზი და ღერწები“ ჰქვია, ადამიანი ეძებს და პოულობს ახლებურ გზას, რომელსაც უფალთან მივყავართ.

რაც შეეხება რქას, პროფესორ ტიტე მოსიას აზრით „რქა ქრისტეს მეტაფორაა... ბიბლიაში, სასულიერო მწერლობაში ღვთის გამოსახატავად ცხოვრების ხის, ცხოვრების წყაროს და სხვა სახეთა გვერდით დამკვიდრდა...“ „რქა ცხოვრებისა; როგორც ქრისტეს სიმბოლო“ (ტ. მოსია, გვ.198-200).

სიზმრისეული სიმბოლოები ერთგვარ ჯაჭვს ქმნიან, რომლის რგოლებიც ასე განლაგდებიან: ჯვარი - ძველიცხოველი - ვაზი - გველი. ეს უკანასკნელი ქრისტიანობაში ადამიანის პირველად დაცემას, ბოროტ ძალას, მაცდურს, სატანას და უფლის მტერს განასახიერებს. დანტე ალიგიერი მას მტერთან აიგივებს (სხვათა შორის, სატანა ძველებრალად მტერს ნიშნავს). ცბიერება და მზაკვრობა განსაკუთრებით ახასიათებს ამ იდუმალ არსებას (ასე მიაჩნია კაცობრიობის უმეტესობას). მამამზეს სიზმარში გველი გიორგი მეფის ალეგორიულ სახედ შეიძლება მივიჩნიოთ, მეფისა, რომელიც ქრისტეს (ვაზი) სახელით, იყენებს რა ჯვარს, სარწმუნოებას (ძველიცხოველი), კლავს თავისთვის არასასურველ პიროვნებას და ამით ერთდროულად ორ საქმეს აკეთებს: თავიდან იშორებს, ჯერ ერთი, პოლიტიკურ მოწინააღმდეგეს და, მეორე, რაყიფს.

სიზმარმა თვალი აუხილა მამამზეს, რაშიც მას „მელამუა სახლთუხუცესი“ ტოხაისძე დაეხმარა. ღვთის შიშმა და ჯვრის წინაშე ძრწოლამ მოხუცის გულში ადგილი დაუთმო მრისხანებასა და შურისძიების დაუოკებელ წყურვილს: „შემომფიცე, შავლეგ, მხოლოდ ამისთვის ვიცოცხლოთ, ჭიაბერის სისხლი ვაზღვევინოთ მეფე გიორგის.“ (67 გვ) ზემოთ ინტუიციური სიზმარი ვახსენეთ.რა მალე აუხდა იგი უბედურ მამას!

„ვფიცავ წინაპრების ჩვენის სალოცავს, გველსავით წავაცალო გიორგი მეფეს თავი.“

ესა სთქვა შავლეგ ტოხაისძემ, დაიოქა და ზეასწია თავისი გაჯაგრული, შავი მარჯვენა.

ენიშნა მამამზეს სიზმარი. (გვ.67)

ავსტრიელი ფსიქოანალიტიკოსი ზიგმუნდ ფროიდი წერს: „მე ვადიარებ ფარული აზრების, როგორც უმაღლესი ფსიქიკური მასალის არსებობას, რომელიც ფლობს უმაღლესი გონებრივი საქმიანობის ყველა ნიშანს... მე იძულებული ვარ დავუშვა თითოეულ ადამიანთან ასეთი ფარული აზრების არსებობა, რამეთუ ყველა ადამიანს, ყველაზე ნორმალურსაც კი, სიზმარის ნახვის უნარი გააჩნია. (ზ. ფროიდი, ფსიქოლოგიური თხზულებები, თბილისი, 2014, გვ.135).

ზოგადად, მწერლისთვის სიზმარი, როგორც მხატვრულ - გამომსახველობითი საშუალება, ეს იგივე მეოთხე განზომილება - ან თუნდაც მეექვსე გრძნობაა. სიზმრის საშუალებით მწერალს პერსონაჟი და, მასთან ერთად, მკითხველიც სწორხაზოვანი, რეალისტური და ერთგვარად მოსაწყენი სინამდვილიდან გამოჰყავს და გადაჰყავს „უსივრცო მხარეში“ (ბაირონი) თუ „უსამყარო სივრცეში“ (გოეთე), სადაც მეფობს „ოცნება, ნახაზი საგანთა უარით“ (ეს უკვე გალაკტიონია!). კარლ გუსტავ იუნგი სიზმრებს

უწოდებდა გაურკვეველი ხელით დაწერილ ტექსტებს, რომლებიც როგორმე უნდა „წავიკითხოთ“, ხოლო ფროიდი დაჟინებით ცდილობდა სიზმრებში ადამიანის „ფარული აზრები“ ამოეცნო.

„დიდოსტატის მარჯვენაში“ სიზმარი კვანძის შეკვრის ფუნქციასაც ითავსებს. მთავარი გმირი, კონსტანტინე არსაკიძე, იგებს, რომ ულამაზესი შორენა მისი ძუძუმტე არ ყოფილა. ძილი გაუკრთა მეფის ხუროთმოძღვარს. გამხელილმა საიდუმლომ (აქაც საიდუმლო, როგორც არჩიბალდ მეკემისა და მამამზე ერისთავის შემთხვევაში!) ააფორიაქა იგი. თვალწინ წარმოუდგა თანაშემზრდილი შორენა: „ფაქიზი იყო შორენა, როგორც ქერუბიმის ფრთენი და სევდიანი, როგორც ყინცვისის მჭმუნვარე ანგელოსი. ყელისმიერი ხმა ჰქონდა, ისეთი წვრილა, როგორც ვერცხლის ეფენები, ხევისბერის დროშის ბუნზე შებმულნი. ჰარილესავით რბილი და ტფილი იყო ბუნება მისი.“ სწორედ აქ იჩენს თავს ფროიდისეული „ფარული აზრი“ (გვ. 184). არსაკიძეს აქამდეც უყვარდა შორენა, მაგრამ მისი სიყვარული ძუძუმტეობის ტრადიციის ძალას მოექცია წნეხის ქვეშ. ახლა, როცა ყველაფერს ფარდა აეხადა, არსაკიძისთვის თითქოს სამყაროც კი სხვანაირი გახდა: „უცნაური რამ მოხდა მაინც: ერთი დაკვრით შეიცვალა სიყრმის მეგობარი მის თვალში.“ (გვ. 183) „თეთრი, მთლად თეთრი ღრუბლები ელავდნენ მთებზე, ეს ღრუბლები, ეს ზეთისხილისფერი მთები ისეთი გამჭვირვალენი იყვნენ, სადაცაა მოეშვებიან მიწას და გაიქნებიანო ეთერში. მათ ქვემოთ, არაგვს შეყოლილი ბარი ზღვაც მიაგავდა ლაზისტანის ყურეში მთვლემარეს.“ (182 გვ)

აბსოლუტურად ლოგიკურია, რომ „ფარული აზრი“ არსაკიძის სიზმარში ისხამს ხორცს: „ეზმანა: შემოდგომის წყნარ დღეს მიდიოდა ვითომც თავთუხის ყანებში. მუხლისთავებზე სცემდა მწიფე თაველები, ყაყაოები ჰყვოდნენ ირგვლივ. წითელი ჯახველი და კუნელი ელავდნენ აქა-იქ. მუხა იდგა ველზე, შტომრავალი და დიდი ქედნები შემომსხდარიყვნენ ზედ...“ (გვ. 184)

საოცარი სურათია! ასეთ სიზმარს ალბათ მხოლოდ არსაკიძისნაირი კრეატიული ადამიანი თუ ნახავს. საერთოდ, არსაკიძე ინტროვერტია, ანუ ისეთი ადამიანის ტიპია, რომელიც თავის შინაგან სამყაროზეა ორიენტირებული. ის ენერგიას საკუთარი ემოციების, შთაბეჭდილებებისა და იდეების შინაგანი სამყაროდან იღებს. ის, როგორც ხელოვანი, სილამაზისკენაა მიდრეკილი და ამას მისი სიზმარიც გამოხატავს. მისი მახვილი თვალი ცხადშიც ამჩნევს საყვარელი ქალის მშვენიერი გარეგნობის თითოეულ დეტალს და არც მისი ჩაცმულობა გამოეპარა: მოსწონს მისი უბრალო ფხოვური სამოსი და ხატური შავი ფარჩის კაბა, იმასაც ხვდება, რომ „მისი ალმასის ქუდები, დიბის კაბები, აბრეშუმის საწმერთულები და მარგალიტის სამკაულები, ეს ყოველივე ნიღაბი ყოფილა თურმე, გიორგი მეფის გარყვნილ სასახლეში სახმარებელი... ბუნებრივად მოეჩვენა თალხი სამოსიც, რადგან ეს გლოვა უფრო ამშვენებდა მას, ვიდრე ალმასის მანიაკები და ოქსინოს ქათიბები ფერად-ფერადი“ (გვ. 259). სიზმარში შორენას თოვლივით თეთრი სამოსი აცვია და სოსანისფერი საწმერთული ზედ. შესანიშნავი ფერთა გამაა! ფერთა ხომ არა მარტო სილამაზე, არამედ ემოციაც გამოიხატება. ქრისტიანული ესთეტიკის თანახმად, თეთრი სიკეთის სიმბოლოა, ის მოიცავს ყველა ფერს, იგი არსებობას გამოხატავს, არსი კი მხოლოდ სიკეთეს გააჩნია, ბოროტება უარსოა („ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია“). თეთრი უმანკოების ფერია და ამით ხაზი ესმევა შორენას უმანკოებასა და სისპეტაკეს, უბიწოებასა და ღვთიურობას.

ფროიდის თეორიის მიხედვით, სიზმრის ყოველი ელემენტი ჭარბად განისაზღვრება სიზმრის ფარული აზრებით. არსაკიძის ქვეცნობიერში დალექილია შეგრძნება ხიფათისა, რომელიც მის საყვარელ ქალს ემუქრება და ეს ხიფათი ორ პიროვნებას, არსაკიძის ორ მეტოქეს - მეფე გიორგის და გირშელ ერისთავს უკავშირდება ხუროთმოძღვრის სულიერი შფოთი იმით გამოიხატება, რომ ეს ორი პიროვნება მის სიზმარში დათვებად ტრანსფორმირდება.

„იოანე ზედაზნელის ცხოვრებაში“ მეტად მნიშვნელოვანია ერთი ეპიზოდი, სადაც იოანე სიტყვით უკუაქცევს დათვს, რომელიც მათ წყაროზე ჩამოსულიყო (მძინარე არსაკიძეც ცდილობს ყვირილით დააფრთხოს ორი გამძვინვარებული დათვი, რომლებიც „სადაცაა ეცემიან და გაბდღვნიან შორენას.

„ჰარაი!“

ყვირის არსაკიძე, მაგრამ არ ერჩის ხმაც.

„ჰარაი!!!“ ყვირის არსაკიძე და მიარღვევს ყანას, ყანას კი არა, ფისის ზღვას...“. ერთხელ იოანეს მოწაფე გამოვიდა წყაროზე და დაინახა დიდი დათვი. შემინებული მოწაფე გაიქცა იოანეს დასაძახებლად „ბერი მოვიდა და ჰრქუა დათუსა მას.“ უკუეთუ არა გისუმს რუ და წარვედ: ამიერიდან ნურავის ავნებ კაცთაგანსა. რაჟამს შეემთხვიო მთასა ამას ზედა და ეგრეცა იქმნების აქამომდე. არა რას ავნებს დათვი ყოვლად. ხოლო ვითარცა ესე ჰრქუა ბერმან დათუსა მას, მორჩილ ექმნა, ვითარცა მონა და თავდადრეკით და მყუდროებით წარვიდა“ („ასურელ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნთა ძველი რედაქციები“, თბილისი, 1995, გვ 54).

როგორც ვხედავთ, აქაც და სიზმარშიც დათვი ძირითადად ბნელი ძალების გამომხატველია. მისი გამოჩენა იოანეს სამყოფელში უნდა გავიგოთ, როგორც ბნელი ძალების ცდა, შეაცდინოს ან შეაშინოს წმინდა მამა. მაგრამ იოანე არათუ შეშინდა, პირიქით, დაამშვიდა და დააწყნარა მხეცი.

ხალხური ცრურწმენით, დათვის ნახვა სიზმარში დამღუპველი მეტოქეობაა საქმიანობის თითქმის ყველა სფეროში. „მეტოქე დათვები“ ფერხით დაუწვენ შორენას, აღარ ღრიალებენ, აღარ ტორავენ მიწას. შორენამ თავზე ფეხი დაადო ერთს. საწმერთულის ტოტი გამოუჩნდა, ვაზის ფურცლებიც, ზედნაქარგი ოქროთი. მერმე დასწვდა ორივეს, ეალერსებოდა ორივეს ქეჩოზე...”

შორენას ფერხით გაწოლილი დათვები გამიჯნურებული ვაჟკაცების ალეგორიული სახეებია, მაგრამ ეს ძლიერი, უხეში და დაუნდობელი ცხოველი თავისთავად იმ სასტიკ წინააღმდეგობას გამოხატავს, რომლის გადალახვაც მოუწევს არსაკიძის „უნაზეს მეგობარს“ და აკი ვერც გადალახა! შორენამ უარი უთხრა სიყვარულზე მეფეს: „მე მგონია, რაც წამართვი, იგივე გეყოფა, მეფეც ბატონო, არა? მამაჩემს თვალის სინათლე წარსტაცე, მე - თავისუფლება, - ხოლო ჩემი გული? სხვას ეკუთვნის დიდი ხანია იგი“ (321) ამ ეპიზოდშიც დამატდება შორენამ, რომ „უფაქიზესი სულის“ პატრონია და იგი ნამდვილად ღირსია, რომ მის მხრებზე შემომსხდარი ქედნები „უტკბეს სძლისპირებს“ გალობდნენ“ (ზურაბ კიკნაძე წიგნში „ჯვარი და საყმო“ ხაზს უსვამს მცხეთის, როგორც მეორე იერუსალიმის მნიშვნელობას, როგორც ნათლისღების საიდუმლო რიტუალის გ ე ნ ე ზ ი ს ს, რომლის დროსაც ხდება სასწაული: მტრედი (ქედანი იგივე მტრედია, ოღონდ - დიდი) დგამს კოშკს და ზედ აშენებს ტაძარს. მტრედი სულიწმინდის ფრინველი - დაკავშირებულია ნათლისღებასთან. აი, რას ვკითხულობთ იოანეს სახარებაში: „და მონათლული იესო მაშინვე ამოვიდა წყლიდან და, აი, გაიხნენ ცანი, და იხილა ღმერთის სული, მტრედივით გარდმომავალი, მასზე ეშვებოდა“ (იოანე, 3-16).

რამდენადაც ტკბილი იყო სიზმარი, იმდენად უხეში და უსიამოვნო იყო გამოღვიძება: „აბრმანდი, ბატონო, მორიელებმა გამოტყვესო ქვითკირი“ და მსახურმა ორი მორიელი (აქაც, ცხადშიც, ორი, თანც მორიელი! ეს თავისთავად საშიში და საზარელი არსება სიმბოლურადაც, როგორც წესი, ღალატს, შურისძიებას, სიკვდილსა და თვითგანადგურებას გამოხატავს) „აჩვენა ჩხირზე წამოგებული“.

თუ სიზმრისეულ სიმბოლიკას კიდევ ერთხელ დავუკვირდებით, დავინახავთ, რომ საყვარელი ქალი არსაკიძისგან დაცვას საჭიროებს, მაგრამ ვერც სიზმარში და ვერც ცხადში არსაკიძემ ვერ დაიცვა შორენა. ანკი რა შეეძლო მეფის უბრალო ხუროთმოძღვარს, ისიც ტყვეს?! ასევე ყურად არ იღო არსაკიძემ ბებერი ოსტატის, ფარსმანის შეგონება: „ვაი მას, ვინაც გამოხატოს ცოცხალი არსი. განკითხვის დღეს, მხატვრის მიერ გამოსახული პირები გაცოცხლდებიან, სურათებიდან ჩამოვლენ, მიეჭრებიან დამხატველს და მოსთხოვენ სულს. და მხატვარი იგი, რომელიც ვეღარ შესძლებს საკუთარი სულის მიცემას, უცილოდ დაიწვება უშრეტი ცეცხლით.“ სიზმარმა იმდენად იმოქმედა არსაკიძეზე, რომ ნანახი სულში ვეღარ დაიტია და ტილოზე გადაიტანა. ასეც დაარქვა ნახატს - სიზმარი! სამწუხაროდ, ხელოვნების ქმნილება, რომელიც სიყვარულით იყო შთაგონებული, მხატვრის სიკვდილის მიზეზი აღმოჩნდა. მაგრამ სიყვარული და სიკვდილი ხომ ერთმანეთს ემთხვევა სამყაროს გაჩენის დღიდან. გიყვარდეს - ეს ნიშნავს სიკვდილისათვის იყო მზად (ფრიდრიხ ნიცშე). გაფრთხილებასავით ჟღერს ავტორის სიტყვებიც: „მაინც სხვა არაა სიყვარული, თუ არა ღმერთი? ღმერთი კი არა, სიკვდილი. რადგან მას დაუმკვიდრებია სიყვარული სამარადქამოდ, ვისაც სიკვდილის საფასით შეუსყიდნია იგი...“ (გვ. 265)

არსაკიძის სიკვდილით ბოლო რგოლი მოსწყდა ბედისწერის ჯაჭვს: ძალაუფლება (გიორგი მეფე) - ხელოვნება და ნიჭიერება (არსაკიძე) - მშვენიერება და სიყვარული (შორენა). სიკვდილისწინა ხილვებში კიდევ ერთხელ გაცხადდა არსაკიძის ცხოვრებისეული პრინციპი: „თუ მთელი ჯანი არ შეაღიე ამ სასტიკ ზომონს [ხელოვნებას], არაფერი გამოგივა ხელიდან.“

„დიდოსტატის მარჯვენა“ ისტორიული რომანია, რომელიც სიყვარულის ისტორიებით არის გაღამაზებული. არაჩვეულებრივი ტრაგიზმით არის დახატული მეფე გიორგი პირველის პიროვნება. იშვიათია პერსონაჟი, რომელსაც თავისი წინააღმდეგობრივი ბუნებით იმდენი აზრთა სხვადასხვაობა გამოეწვიოს, როგორც ეს მეფე გიორგის შემთხვევაშია. ამდენად, ის საინტერესო და დამაფიქრებელია არა მხოლოდ როგორც ისტორიული ფიგურა, არამედ როგორც, უბრალოდ, ადამიანი, რომელსაც „ადამიანური არაფერი ეუცხოება.“

თითქმის არც ერთი მეფე არ ყოფილა, რომელიც არ დამდგარა ტახტის შენარჩუნების პრობლემის წინაშე. გარე თუ შინაური მტრებით გარშემორტყმული ჭაბუკი მეფე, რომელსაც მემკთიანე ასე უწოდებს: „უშიში, ვითარცა უხორცო“, ცდილობს ისე იცხოვროს, როგორც ამას სახელმწიფოსა და რელიგიის კანონები მოითხოვს, სანაცვლოდ კი სწირავს ყოველივე პირადულს. ზემოთ მისი წინააღმდეგობრივი ბუნება ვახსენეთ. დიახ, მის სულში თითქოს ორი პიროვნება ჩასახლებულა. აკი თვითონაც აღნიშნავს ამას სიკვდილისწინა აღსარებაში: „... ვაჟკაციც ვიყავი და მშიშარაც, კეისარს ვებრძოდი, მემიწოდდა ხვიარის ფესვებისა. გულზვიადიც ვიყავი და ლოთიც“ (გვ. 334). ეს გაორება მის რელიგიურ მრწამსზეც აისახება. ავტორი თხზულების დასაწყისშივე აღნიშნავს, რომ „თავად გიორგისაც შერყეული ჰქონდა რწმენა... მიუხედავად ამისა, ქრისტიანობის ქომაგად ითვლებოდა...“

სწორედ ეს გაორებული ბუნება აიძულებდა გიორგის დროდადრო, მდაბიორის სამოსში გადაცმული და გლახუნა ავშანისძედ წოდებული, გასცილებოდა მეფურ ცხოვრებას და სიყრმის

მეგობრებთან ერთად ნადირობასა და ბუნებაში ხეტიალში დროებით მაინც ეპოვა სულიერი შვება. ვაი რომ, ამ დროსაც არ ასვენებს „ბედი მღევარი“!

რომანის ერთ-ერთ საკვანძო მონაკვეთად შეიძლება ჩაითვალოს ე. წ. ნადირობის ეპიზოდი (მაინც რამდენი საბედისწერო ფაქტი უკავშირდება საქართველოს ისტორიასა თუ ქართულ ლიტერატურაში ნადირობას!), როდესაც გადამწყვეტი მეფე გიორგი პირადად შეხვდება კონსტანტინე არსაკიძეს და დაინტერესდება მისით, როგორც ხუროთმოძღვრით. ამ სცენას წინ უძღვის მეფე გიორგის ხილვა. ფსიქოლოგია და რელიგია განსხვავებულად განმარტავს ამ მართლაც უცნაურ ფენომენს.

არქიმანდრიტ ხარლამპი ვასილოპულოსის აზრით, ხილვა ზებუნებრივი მოვლენაა, რომელსაც ადამიანი ხედავს არა ძილში, არამედ სიფხიზლის დროს. ხილვის ჭკრეტაში ადამიანის ყველა გრძნობა მონაწილეობს. არის საღვთო ხილვები, რომლებსაც უფალი, ჩვეულებრივ, კეთილმსახურ და წმინდა ადამიანებს მოუვლენს ხოლმე სარწმუნოებასა და სულის ცხოვნებასთან დაკავშირებული რთული საკითხების გადასაწყვეტად.

ფსიქოლოგების თვალსაზრისით, ხილვა ადამიანის არაცნობიერი ფსიქიკის ღრმა ფენებში წარმოიშობა და იგი ცნობიერში მიღებული ძლიერი შთაბეჭდილების პროდუქტია. გიორგი მეფისათვის ეს ძლიერი იმპულსი აღმოჩნდა ისტორიული ფაქტი: მემკვიდრეობით, ბასილი კეისარი გიორგის გამეფებისთანავე ითხოვდა უკან იმ მიწებს, რომლებიც მან თავის დროზე აჯანყებული ბარდა სკლიაროსის წინააღმდეგ გამართულ ომში დახმარებისათვის უბოძა დავით კურაპალატს. გიორგიმ უარით უპასუხა, რის გამოც კეისარმა ტაოში გამოგზავნა დიდძალი ლაშქარი. ეს მოხდა 1021 წელს. მოწინააღმდეგეები ბასიანს დაბანაკდნენ. გიორგიმ ბრძოლას თავი აარიდა, ქალაქი ოლთისი გადაწვა და თრიალეთს მიაშურა. დამწვარი ოლთისის ტაძრის ხატება, როგორც ჩანს, ძალიან ღრმად ჩაიბეჭდა მეფის ქვეცნობიერში, მაგრამ მას, როგორც ფროიდი ამბობს, ძლიერი გარე გამღიზიანებელი სჭირდებოდა; ასევე სჭირდებოდა მოვლენათა გადაფასების პროცესი, რათა მთავარ გმირს სინდიდისა და ცნობიერების პრიზმაში გაეტარებინა მომხდარი ფაქტი. წარმოდგენები შედეგდა (ფროიდისეული ტერმინია) და ასეთ ხილვად ტრანსფორმირდა: როცა გიორგიმ „წეროების გუნდს თვალი მიაყოლა ჩრდილოეთისკენ გაფრენილს, ხედავს: კავკასიონის წოწოლა მწვერვალზე ცეცხლშემოგზნებული ეკლესია აღმართულა, გუმბათამდის მისწვდენია ხანძარი. შეძრწუნდა გიორგი, მუხლი მოეჭრა, საფეთქლებიდან ოფლი გამოსდიოდა. თვალს მოიფშვნეტს, კვლავ გასცქერის მთას, ლაპლაპებს ცათამწვდენი კოცონი, იწვის „უფლის სახლი“, ისევე როგორც იმ საღამოს ოლთისში“. (გვ.94)

რწმენაშერყეული მეფის სულში რელიგიური ცნობიერება იღვიძებს: „პირჯვარი გადაიწერა. თვალები დახუჭა“ (ადამიანი ხომ თვალებს დიდი ემოციური დატვირთვის დროს ხუჭავს). „მიჰყვება შეძრწუნებული გიორგი ღიჭიანით დაბარდული ჭაობების კიდეც. და ეჩვენება, ქვეულისეოს ნაბუქოდონოსორ ბაბილონის მეფედ, რომელიც კაცთაგან განიდევნა და თივასა სჭამდა, ვითარცა ზროხა, ცხვარისგან შეიღება სხეული მისი, თმანი მისნი ვითარცა ლომთნი გახდიდეს... (გვ.2)

მეფე ნაბუქოდონოსორთან (ბაბილონის მეფე ძვ. წ. აღ. 634-562 წ.) ასოციაცია სრულიად ლოგიკურია, რადგან მას მიეწერება 586 წლის ზაფხულში იერუსალიმის დაპყრობა-გადაწვა და სოლომონის ტაძრის დანგრევა.

ლიტერატურა:

1. კონსტანტინე გამსახურდია, „დიდოსტატის კონსტანტინეს მარჯვენა“, თბილისი, 1976.
2. ქართლის ცხოვრება, ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი, თბილისი, 1955.
3. ტიტე მოსია, „დავითიანის“ ლიტერატურული წყაროებისა და პოეტიკის საკითხები“, თბილისი 1989.
4. ზაზა აბოიანიძე, ქეთევან ელაშვილი, სიმბოლოთა ენციკლოპედია, თბილისი, 2012.
5. გიორგი კენჭოშვილი, „სიმბოლოები ქრისტიანულ ხელოვნებაში“, ენციკლოპედია.
6. ასურელ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნთა ძველი რედაქციები, თბილისი, 1995.
7. გიორგი გაჩეჩილაძე „სულიერი გამოცდილების სამყაროში“, თბილისი, 1986.
8. ცნობიერების ფილოსოფია, ქრესტომათია, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 2013.
9. ზიგმუნდ ფროიდი, ფსიქოლოგიური თხზულებები, თბილისი, 2014.
10. ფრიდრიხ ნიცშე, ასე იტყოდა ზარატუსტრა, თბილისი, 1993.
11. ზურაბ კიკნაძე, „ჯვარი და საყმო“, ქუთაისი, 1996.
12. ხარლამპი ვასილოპულოსი, „რისთვის ცოცხლობ შენ“, მართლმადიდებლური ინტერნეტ-ჟურნალი.

Tsira Berishvili
Sokhumi State University
DREAM SEMANTIC IN KONSTANTINE GMSAKHURDIA'S NOVEL
„THE RIGHT OF THE GREAT MASTER CONSTANTINE”
RESUME

Konstantine Gamsakhurdia's novel „The right of the Great Master Constantine” is an extensive historical work that reflects the XI century's peripeteias of Georgia. Even though, that the novel is historical, it contains many deep and very interesting psychological passages, existential topics, moral, social-political and ethical problems. The dream and vision have the special place from psychological issues.

With psychoanalytic Sigmund Freud's view, the main thing for dream is that strong impulse, which the person gets in reality as a result of strong impact of external irritants. For one of the heroes of the novel, whose daughter died in an unknown situation, exactly this death was the main irritant. The vine-cross-snake seeing by him in his dream connects to the biblical symbolism.

In general dream as an artistic-expressive means is the same, that the fourth dimension or even the sixth sense for the writer. The writer brings out the character and the reader from the realistic reality and transfers them in the „Spaceless Area” (Byron) or in the „Space Without World” (Goethe). Carl Gustav Jung called dreams the texts written with uncertain handwriting that we must „read” somehow and Freud insistently tried to find out the human's „secret thoughts” in dreams.

In the novel „The right of the Great Master” dream fulfills the function of the node. The main character, Constantine is the introvert - the type of such person, who is oriented towards its inner world. He gets energy from the world of his own emotions, impressions and ideas. He is an artist, creative person prone to beauty and his dream expresses the same. He sees his beloved woman in his dream. The environment in which the woman is perceived is beautiful. The world is perceived differently for him. However, Arsakidze has a sense of danger that expects to his beloved woman in the real world. Exactly this should be expressed in the form of bears - seeing in the dreams.

If we look at the dream symbolism again, we will see that the beloved woman needs protection from Arsakidze, but Arsakidze could not protect Shorena neither in dream and nor in reality. Happened even the worse. The dreams affected so that artist moved it on the canvas and named it the „Dream”. Unfortunately, the creation of art, which was inspired by love, turned out the cause of the artist's death. But love and death exist together from the beginning of the world. To be in love means to be ready for death (Friedrich Nietzsche).

With the death of Artakidze finally ended the chain of fate: Power (King George) - Art and Talent (Arsakidze) - Beauty and Love (Shorena).

დავით ბოთერა - ბოთერაშვილი
ხაიფის უნივერსიტეტი, ისრაელი

ჩანახატები რაბათის ებრაელთა ყაიდებისა
(ფრაგმენტები)

ერდო

... ხო, "ერდო", როგორც მოვიხსენიებდით ჩვენ იმ ერდოან სახლს, რომელიც, თვით იმდროისათვისაც კი, ბოლო და ერთადერთი შემორჩენილიყო, მთელი ახალციხის მასშტაბით ქართული ხუროთმოძღვრების კულტურულ მემკვიდრეობაში და რომელშიც მთელი ჩემი, სილადითა და მშვენიერებით აღსავსე, აზრიანი და დაუვიწყარი ბავშვობა გავატარე...

პაპაჩემი, დედაჩემის, ეთერის მამა, დავითო ბოთერაშვილი, ქუთაისის საპნისა და სანთლის გადამამუშავებელი ქარხნის მეპატრონე, 1921 წელს, ანტიბოლშევიკური მოძღვრების ბრალდებით, ისევე როგორც სხვა მრავალი, ამერიკავკასიის არისტოკრატიული წრეების წარმომადგენლები, რომლებიც არსებული ხელისუფლების მიერ აღქმულნი იყვნენ, როგორც დაპირისპირებული მხარე, ქუთათური სასახლიდან ახალციხეს გადასახლა საბჭოთა ხელისუფლებამ და ბინად, მე-11-ე დავით გურამიშვილის

ქუჩის 19 ნომერში მიუჩინა ერდოანი სახლი, ხოლო სამამულო ომის დასრულების წინა პერიოდში კი, იგი ქუთაისის საპატიმროში იქნა გამწყვდელი, სადაც ქაშერი საკვების უქონლობის გამო, 1952 წელს დაქვეითებული იმუნიტეტისა და კვების უკმარისობის გამო, ციხეშივე გარდაიცვალა...

... ერდო, რომლის ზღურბლებსაც ვიწრო ბაკებში ჩაჰყავდი, სადაც მარჯვნივ ორი ლახანკა, ერთი "უმივალნიკით", დაბანის, მეორე კი, ბუნებრივი მოთხოვნილების დაკმაყოფილების დანიშნულების მატარებელი, ანუ, "ფეხიალაგი" იყო და რომლის გასწვრივაც, მუდმივ, ორიოდ საპალნე ნედლი შეშა, ერთი დუქინა ტალეჟი და ფინჯანი, ორი ქაფჩა, როდინის ქვა, უხლავი, ფერადი ყადიფები და ფითილები ეწყო ჯაგრისის კოჭებთანა და ბურნაოთის კოლოფებთან ერთად, რომელთა საყრდენზეც, ჩემი და ჩემი ბიძაშვილის, ბინკოს დათოს მიერ თვითნაკეთი ბრინჯაოს სამაგაჰკა, ციგა, ტანკის რელსის გორგალი კაუჭით და სარეცხის ორი გრძელი კეტი იყო მიყუდებული, გვერდით კი, ბაბოჩემის მიერ მოხდილი, პიტნის არყით სავსე შვიდ ჩარეჟიანი ბოცები იყო განლაგებული; ხოლო ბაკების მარცხენა მხარეს, ტაბურეტზე დადგმული, თითბერის ჭრაქი ანათებდა, თუნუქის ქვაბი კი, ნავთის ქურაზე, ანუ, "კერესინკაზე", იყო შემოდგმული, რაშიც ბაბოჩემი, გეოთ რახელა, უამრავ სურნელოვან კერძებს შორის, ფაშუმბარს, ჩანახს, ყაურმას, ყაზანგუფთას, ხენაგს, ხოლო შაბათობითა და სადღესასწაულოდ კი, ყალიასა და შეჭამანდს ამზადებდა... ყველაზე მეტად, ჩიჩილის ხაჭუჭი, სუთლი, ყარფუზის მურაბა, თათარბორაგი და ნიახურით შეკმაზული მახოხი პამიდვრიანი და განსაკუთრებით კი, ლახნისა და ვაზის ტოლმის დაგემოვნება მიყვარდა...

ის ერთადერთი ოთახი, რომელშიც ბაკები ვიწრო კარებით გადადიოდა, ჩემთვის, ჩემი უფროსი დისთვის, ნანულისათვის, დედაჩემისთვისა და ბაბოჩემისათვის, სალონიც იყო, სამინებელიც, სამუშაო ოთახიცა და სტუმრების მისაღებიც...

ოთახს, ზენიტში, უსტალმებო, უფარდებო და უდარაბო სარკმელი ჰქონდა, საიდანაც ერდოში დღის სინათლის შუქი შემოდოდა. სარკმლის გასწვრივ კი, საზამთროდ, ბაბოჩემის მიერ საგანგებოდ დამზადებული, მარლის ჭილოფში გახვეული, უგემრიელესი იხვისა და ბატის აფხტები იყო ლანგარზე ჩამოკიდებული, რომელიც, სანამ სათანადოდ არ გახმებოდა, მხოლოდ მისი სურნელით გაძლომასდა ვყაბულდებოდით...

... ნედლადაც, რკინის ჟემტით დამზადებულ ღუმელში შეკეთებული შეშა, გუგუნით გიზგიზებდა, რომელსაც ბაბოჩემი ანთებდა გარიჟრაჟისას, სისხამ დილით ალიონზე, ხოლო ფეჩის მარცხენა ყუაში, კარტოფილი და ბიჟები იფიცებოდა, რომლებიც, სანამ სიდამწვრის კვამლს არ გამოუშვებდნენ ერდოს შუაგულში აღმართული ფეჩის ტრუბის ნაპრალებიდან, მანამ, მხოლოდ ნიკელის პრუჟუნებიან ლოგინში, ბაფთებით მოქარგული, მატყლის თეთრ ქათქათა ზეწარში გახვეულ საბანს ქვეშ ჩაფუთნულებს, რომელიც კვირაში მინიმუმ ერთხელ მაინც, უთუოდ კრახმალში ირეცხებოდა, ხოლო, მატყლი კი, ყოველ ფხეკიკვირეს წკეპლით იჩეჩებოდა, ჩაღულუნებულნი, ავდგეთ! - არვარგა!-ს ძახილში გაგყავდა დრო და ბოლოს, - ავდგეთ!, - ვარგას!, რომ დავიძახებდით, წამოვცვივდებოდით ზეზე და დედაჩემს მარილის მოყრასაც, კი არ ვაცლიდით მე და ნანა, ისე შემოვუცვქდებოდით კალთაში ჩახუტებულნი, იმის იმედით, რომ დედა, ან, უფრო დიდ ულუფას, ანდაც, უფრო კარგად შეპრაწკულს, პირველს გაგვინაწილებდა და ფეჩის ზედაპირზე, მაშით ჩარგვ გადადგმულ მოგუზგუზე, ღია ცეცხლზე, თუჯის ჩაიდანში ადუღებული და ფინჯანში დაყენებული ჩაის, ნატეხი შაქარით, ანდაც შაქარყინულით "კრიპუსტად" რომ ვსვავდით, პირველს ჩამოგვისხავდა კრუშკაში...

ღუმელის წინ, ძველი, დიდი სარკით აღჭურვილი მოყავისფრო ტყავის დივანი და კარადა იდგა ხის მაგიდასთან, ფეჩს უკან კი, ორი დოლაზი იყო კედელში ამოკვეთილი, სადაც ჩემი დიდი პაპის, სრულიად საქართველოს ებრაელთა მთავარი რაბინის, ხახამ ყიმანუელ ბოთერაშვილის მიერ ნაანდერძევ, უძველეს თორებთანა და ანტიკურ ბერძნულ და თანამედროვე ლიტერატურის კრებულებთან ერთად, ჩემი, სინით ცხვრის ტყავზე ლეიმაზმული ნაჩარი "ჟუბაკებიც" ინახებოდა, რომლით აკინწვლაც, ბუჩულისა და ჯარობანას თამაშის, ისევე როგორც, ერთ ვეებერთელა ჩემოდანში ჩაპრესილი ათასობით ათიათას მანეთიანი ოქროს ობლიგაციების ბანკნოტების დათვლისა და ნანას სასკოლო სახელმძღვანელოებში ცნობისმოყვარე კირკიტის გარდა, ყველაზე მეტად მიტაცებდა.

რაოდენ საოცრადაც გინდა ჟღერდეს, ჩვენს უბანში პირველი ოჯახი ვიყავით, ვისაც რადიო მიმღები, პატეფონი და ყოვლად დაუჯერებელია, მაგრამ "რუბინ"-ის ფორმის კომბინირებული ტელევიზორი გვედგა "სახლში", რომლის გამართვაც, ერდოს მარსანდაზე, ხუთი მეტრის სიმაღლის ანძის მონტირებას საჭიროებდა დაცდილი ხელოსნების მიერ, რაც თავისთავად ერთგვარ ატრაქციას დასახავდა და გარშემორტყმული მეზობლების უზადო ცნობისმოყვარეობას იწვევდა დაჟინებით...

აგრეთვე ნიშანდობლივია აღინიშნოს, რომ ჩემი ერდოს ზღურბლებს მიღმა, გარეთ, მარჯვენა მხარეს, ხის სარკმლის ქვეშ, საკოცონეს გასწვრივ, რიყის ქვებით შემორაგული ღობე ჩასდევდა გარესამყაროსაკენ მიმავალ ბილიკს, ხოლო მარცხნივ კი, ათიოდე საჟენი მიწის ნაკვეთი იმყოფებოდა ჩვენი ოჯახის საკუთრებაში, სადაც, ლობიოს, სიმინდსა და ხორბალს ვთესავდით მე და ნანა და სადაც,

პირველად ვეზიარე მიწის მეურნეობის საიდუმლოებას, როდესაც თესლის გაღვივებისა და ყლორტის აღმოცენების ბუნებრივ ციკლს, სხვლის დარადანვე ვადევნებდი თვალყურს, რისი მეშვეობითაც სიცოცხლის არსში ჩაწვდომასა ვლამობდი და ვისაც სონა ტოტას ხელით, იმ სამიოდე კვადრატული მეტრის ფართის მიწის ნაკვეთზე მომპული ხორბლისაგან დამზადებული ბადამბური, შაქარლამა, ან ხანუქის დღესასწაულში, ზეთითუნის ფუფქ ზეთში ამოცხობილი ლუხმა, ბურბუმელა და ყაიდანა არ დაუგემოვნებია, მას არანაირად ვერ ძალუმს განსაზღვროს, თუ რა ძალა აქვს, ფხვიერი ნამცხვარისა და ნობათისაგან განცდილ სურნელებასა და არომას, ანდაც მისივე უნიკალური გემოებით გამოწვეული სიამოვნების სიმძაფრეს, რომელსაც სონა ტოტა საკოცონეზე, გამხმარი ვაზის ტოტებით დანთებული ცეცხლის ალში, თიხის ღრმა კეცზე აცხობდა...

სონა ტოტა

... და არ არსებობდა ისეთი დაავადება, ან ავადმყოფი, რომლის განკურნვაც, ბუჟოთ სონას მიერ სარაველებით დამზადებულ მალამოს ვერ შესძლებოდა... "სონა ტოტა", როგორც მე მას ვუწოდებდი, ოთხმოც წელს გადაცილებული და მაინც წარმოუდგენელი ხიბლითა და სილამაზით შემკობილი მანდილოსანი ბრძანდებოდა, ხოლო მისი ზღვისფერი, ელვარე, მზურღავი და თანაც აზრიანი თვალების მზერას, ფეხის თითებშიც კი იგრძნობდი კაცი...

სონა ტოტა, თურმე, ყმაწვილობიდან ბაბოჩემის ძმას, ბინიას ჰყვარობდა, რომელიც იატაკქვეშეთში მეფის რუსეთს ებრძოდა. სონა ტოტა დიდგვაროვანი ვაჭრის ოჯახში იზრდებოდა და მის სახლში შემდგარ, ვაჭართა კრებებზე დაგეგმილ განზრახვებს, მეწუღე ტიგრანას მეშვეობით, ბინიას აუწყებდა, ბინიას ატამანობით კი, ანარქისტთა ჯგუფი ტყეში დახვდებოდა ვაჭრებს და როგორც სონა ტოტა იტყოდა: "ალაგზევე, ხელს დააბანინებდა" მათ...

სწორედ ბინიას უსწავლებია სონა ტოტასათვის ფრანგულ, რუსულ და გერმანულ ენებზე წერა-კითხვა და ბინიასვე უზიარებია სონა ტოტასათვის მარქსის, ოუენის, ფურიეს, კამპანელას, რუსოს, სენ სიმონის, ბაირონისა და სხვა მრავალი გენიალური მოაზროვნეების იდეები, რომელთა კრებულების ორიგინალური ასლებიც, სათუთად შემოენახა სონა ტოტას და ყოველდღიურად მიკითხავდა... - "ზათი, ბინიას გვერდში, უღრან ტყეშიც ბილა არ მეშინოდა შუადამეთაც კიო", მეტყოდა ხოლმე სონა ტოტა...

ერთ დღესაც, ტიგრანას, სონა ტოტასთვის ამბავი მიუტანია: ჟანდარმერია ტყეში გახიზნულ ანარქისტებს დასცემია თავს და ყველანი დაუხვრეტიათ და შემდეგ ხეზე ჩამოუკიდავთ... მათს შორის, მისი ბინიაც... ორი დღის შემდეგ, საქართველოშიც აფრიალებულა სახელმწიფო დამოუკიდებლობის დროშა... სონა ტოტა, ვინმე მდიდარ მესაკუთრეს, თბილისის ბორდელების მეპატრონეს, აზნელას გააყოლეს ცოლად, რომელიც სონაზე ორმოციოდე წლით ხნირი ყოფილა და რომელიც, რევოლუციის შემდგომ პერიოდში ციმბირს გაამწესეს ბოლშევიკებმა, სადაც იგი, იქვე გარდაცვლილა... მათი ერთადერთი ვაჟი, დავითი, მეორე სამამულო ომში დაიკარგა... სონა ტოტასთვის მე, ბინიასადმი დიდი სიყვარულის ნუგეშიც ვიყავი და დავითის ხსოვნის ერთადერთი იმედიც... ჩემს სანახავად სონა ტოტას, რაბათშიც კი ამოუკითხავს ხოლმე, ანუ, როგორც თავად იტყოდა: "უსულ უსულ ჩამოჩლახუნდებოდა"...

... მახსოვს, სონა ტოტას ბაგეზე, მხოლოდ ერთხელ იდენა ცრემლმა, აი, მაშინ, პირველი კლასის ფრიადოსნობის მოწმობა, მეგის ჩემდამი სიამაყის გრძნობით მოპყრობილი თვალების მზერით დაჯილდოვებულმა, რომ ავურბენინე სულმოუთქმელად და დიდის ამბით, რომ წარმოვუდგინე... "ახლა, რაღა ჭირი მიყომს ხელსა"ო...

... ერთ სანახაობადა ღირდა, ზამთარში, სონა ტოტას ფანჯრის დარაბაზე, რიგრიგობით შემომჯდარი ბელურების ხილვა, თუ როგორი წესრიგის დაცვით უთმობდნენ დაპურებული ბელურები, მათს შემდგომ, რიგში მოჟივჟივე ბელურებს ადგილს დარაბაზე, რომელზეც სონა ტოტა სისხამ დილიდან, ფანჯრის დარაფას დაყრდნობილი უყრიდა მშიერ ბელურებს საკენკს რიგრიგობით...

ჩემს მონათხრობში, თვითოეული სიტყვა, სრულ სინამდვილეს ესაბამისება და რაოდენ საოცრადაც გინდა ჟღერდეს, თვით აზნელა ძიაც კი, ავთენტური სახელი და ნამდვილი ისტორიული პერსონაჟია...

... ბინიას, სონა ტოტა, ერთხელ პირადად, თვით ლენინთან შეხვედრაზეც კი წაუძღვანიებია. "რ"-ს მაგივრად, "ლ"-სა ხმალობდაო, მეტყოდა ხოლმე სონა ტოტა, მისთვის ჩვეული ღიმილით, რომელსაც, ლენინის, მარქსის, ენგელსის, სტალინისა და ბინიას პორტრეტები ერთ დიდ ფერად ტილოზე ამოქარგა საგულდაგულოდ ხალიჩის სადარ მკაფიო ფერებში და იდუმალებით მოცულ გარემოცვაში, კედლებს შორის ჩატანებულ სუნდუკში ინახავდა, რომელიც ათეულობით კილოგრამი ოქროთი და ბრილიანტის სამკაულებით იყო გაპიქინებული და რომლის ადგილსამყოფელსაც, სონა ტოტას გარდა, მხოლოდ მე ვუწყდი...

მკაფიოდ მახსოვს, ის შემამრწუნებელი აღშფოთების განცდა, რაც, ნანულის მესამე კლასის ისტორიის საგნის სახელმძღვანელოში, ჩანახატის სახით აღბეჭდილი სურათის ხილვის შედეგად, სონა

ტოტას მიერ მოცემულმა ახსნა განმარტებამ გამოიწვია, ჩემს, ჯერ კიდევ გამოუცდელ და გულუბრყვილობით აღსავსე ნორჩ პიროვნებაში; ჩანახატი, რომელზეც, ზომზე გაკრული, ცოცხალი ადამიანის, ჯორდანო ბრუნოს კოცონზე დაწვის ცერემონიალი იყო აღსახული და რომელსაც აუარებელი ბრბო შესცქეროდა...

მთელს ჩვენს უბანში ერთად ერთი ექთანი, ნუგზარას, ანუ, სიმსუქნის გამო, ზედმეტსახელად, ღორღორას დედა, რივა ექთანი ცხოვრობდა... ადგილობრივი ხელისუფლება არ იჩენდა განსაკუთრებულ ყურადღებას უბანში მოზინადრე მოსახლეობის მიმართ, არც კომუნალური პირობების გაუმჯობესების კუთხით, არც პიროვნების დაცვისა და არც სამედიცინო მომსახურების მხრივ, რის გამოც, უბანში ადამიანების დაავადების შემთხვევაში, პალიატიური მკურნალობის მიზნით, სონა ტოტას მიერ სათადარიგოდ დამზადებული მრავალდანიშნულების მქონე მაღამოები და აბები, ერთად ერთ საშუალებას დასახავდა უბნის მოსახლეობის ჯანდასაცავად, რისთვისაც, რივა დეიდა, ექთნის ამპლუაში დამავალბდა საგანგებოდ შემეკვეთა სონა ტოტასთან შესაბამისი წამალი და როდესაც სონა ტოტას მიერ მცენარეებისგან, ადგილზე, სახელდახელოდ დამზადებულ წამალს ავადმყოფის ახლობელს ხელში გადავცემდი, მათი კურთხევათა რიტუალის სეირი უნდა გენახათ: ჯერ ჩალის ფოჩებიან ცოცხს ზღურბლებზე დაბერტყავდნენ, შემდეგ ავადმყოფს სამჯერ თავს ირგვლივ შეულოცავდნენ და შემოავლებდნენ საათის საწინააღმდეგო მიმართულებით, ზედ სამჯერ დააფურთხებდნენ გაუგებარი ტექსტის ბუტბუტით და მხოლოდ ამ რიტუალის დასასრულს ასხურებდნენ, ან უსვამდნენ ავადმყოფს, იმ მაღამოს, ანდაც საცხებელ სამკურნალო წამალს, რომელიც სონა ტოტას მიერ იყო დამზადებული და ყოველგვარი ანგარების გარეშე, ხალხის საკეთილდღეოდ გაღებული და რომელსაც, სანამ სონა ტოტას სახლის კარიბჭეს დავტოვებდი და ავადმყოფისკენ მიმავალ გზას დავადგებოდი, სონა ტოტა ლოცვა კურთხევას დაადევნებდა: "ეამოს, შეარგოს და ეყაბულოს მაგ გაჭირვებულსაო"...

რაბათის ებრაელობა

რაბათის უბანი ყველაზე ჟრიაბული და მომხიბვლელი ხანუქისა და ფურუმის დღესასწაულებში იყო, განსაკუთრებით, თუ მათი თარიღები შობისა და აღდგომის დღესასწაულებსაც ემთხვეოდა, რადგან მთელი უბნის ქალები, ჯერ კიდევ ერთი კვირით ადრე სადღესასწაულო სამზადისს იჭერდნენ და ნაშუადღევს ბანჩალათ ჩუკიასა და ქეჯენიენტ მირაბას სახლებს შუა გადაჭიმულ მდელოზე იკრიბებოდნენ, სადაც ხინკლის ვახშამზე დანიმღავებულები გამუდმებული შემახილებითა და ფილაფოზურ სიცილ ხარხარში ჩაშვობანას თამაშით იკლებდნენ მთელს გარემოს. "აშურა, მაშურა, ჩემი ოქროს ბეჭედი, ჩემსკენ გადმოაშურა!", ისმოდა ქალების შემახილები; ვის არ ნახავდით ამ სახელდახელოდ გაწყობილ გრძელ სუფრებზე, იქ იყო: ქოსათ მორდებსაც ცოლი ნათელაი, ლალოთ სონიკოი, შაოთ ხაისარაი, კონცოლათ სიკაი, ფიტიმათ სიმაი, ქოსათ ბესას ცოლი ყვითელათ სიმხაი, ქორბინოთ აშერას ცოლი თამარაი, კოჭლოთ ისაკოს ცოლი ზილფაი, იაღლოთ სონიკოი, ლალოთ სიმხაი, ფითოთ ფაშაი, ფიტიმათ შიმყონას ცოლი ქოსათ შებაყაი, შინიმიინიათ როზაი, ჩელოშათ კეზოს ცოლი გეოთ სონაი, ბაქოდან სადღესასწაულოდ ახალციხეში განგებ ჩამოსული გეოთ ხავიშაი, ბიცოლაჩემი მაროი, ყურჭოთ შალომას ცოლი სიმხაი, ბუჟოთ მანიაი, ლექსოთ ონტლეი, პუტიკათ სარაი, ლევიათ წიპაი, ყვითელათ აბრაშკას ცოლი კლარაი, ბაჯათ სიხაი, ჰაჯიათ მაზალტობაი, ბულბულათ ჟუჟუნაი, პუტეთ სონაი და მრავალი სხვა, რომელთა გაუთავებელ ალიაქოთსაც, იქვე თათარიხლად თავმოყრილი ბავშვების ღრიანცელი უერთდებოდა, რომლებიც ბუჩულის თამაშით იქცევდნენ თავს, მათ შორის იყვნენ: კოშტოი, კოწიკოი, პაჭოი, ტყუბის ცალები, გულსუნდაი და სულსუნდაი, ქიშვარდი, იზაი, ეთერაი, კლარნეტისტი სოსოი, ილოი, სულსუნდაი ერთხელ საბავშვო ბაღის შენობის ჭერში, რომ დახვდა უცაბედად და იმხელა ბეხლეწ ჩოყლოყს, სულ "ერედუთუნ", რომ აძახებინა..., მამულაი და რაფოი, თამაზიაი, ქოსათ კაკოი, იზოლდაი, ნონაი, ჩიტოი, ფიტიმათ მზიაი, გუგულაი, სიმონკაი, შავოთ მზიაი, ერთხელ ჩემს მიერ გადაგდებული, ანთებული ასანთის ღერით მკლავი, რომ დაეწვა და დედამისმა, სიკამ, მთელს უბანს, რომ მოსდო, რომ, ჩემ მზიას დათომ ასე უთხრაო, რომ, იმიტომ დაგიწვი ხელი, რომ - მომწონხარო... კაცობათ დათოი, ირაი, ალიკაი, დოდოკოი, ბალაი, ჭუტლიაი, ლუიზაი, ლალი, ანზორაი, ბერიშვილი რიმაი, ფაფალათ სოსოი, გურამაი, შალეი, ოქროი, ომარაი, ანუკაი, შავოთ ბორიკოი, გერშონკაი, ანტოთ ნუგზარაი, ზაირაი, ნუნუი, ჩემი დის, ნანულის უახლოესი მეგობარი, მერიკოი და მრავალნი სხვა; მე, დუროთ შთამომავალი ვიყავი და დუროთ დათო-დ მომიხსენიებდნენ უბანში; ფერხულში, ცხადია, უბნის მამაკაცებიც იყვნენ ჩართულნი, რომელნიც თავიანთ ნაქნარებს იქედნიდნენ; შეუძლებელი იყო, მათი თანდასწრებით გამოწვეული ღრიანცელის უგულველყოფა, იმ ორომტრიალში, სადაც არავინ არავის არ აცლიდა ჩადენილი ნაქნარების ღაღადს, ხოლო ფურთის თამაში კი, ალიბად იყო საჭირო იმისათვის, რათა ფსონში გასვლისას, ვითაც კაი ათიანი და ხასი ორიანი ერგებოდათ, საბაბი მისცემოდათ თავიანთი დამსახურება, დაბეჯითებით დაექადნათ საყოველთაოდ.

შებინდებისას, ყველანი ხეირიანად როცა ამოვიდოდნენ ერთიმეორის ვახტში, უკვე სიქა გამძვრალეები, ხელში ცხელი ლუხმებით, ბავშვები, ბუტეთ ბაღს მივაშურებდით ბუნებრივი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების მიზნით და შემდეგ კი, დანთებული ყანდილებით ლოცვის ეზოში ვიკრიბებოდით, სადაც ხნიერი ხალხი ხახამ იოსკას დარაშებს უგდებდა ყურს, ხოლო ქალები და ჯეელი თაობა კი, გასუსული ტრუნვით ვადევნებდით თვალსყურს მათ შორის მიმდინარე ქიშპიან კამათს. ლოცვის ეზოში იყვნენ: ქორთო ბესაი, კოჭლოი, ფაშაი, მეწულე სუმბულათ ბეხარაი, მურკს რომ ემახდა თავის თავს და ლახანას მისსავე მეუღლეს ლუბას, კოჭლოთ ისაკოი თავის ზილფასთან პადრუჩკით, ბარდანათ ლახშოი, ქიმონაი, გაგალაი და ჯეკაი, იავრიას მამა, ავტობუსის მძღოლი ლუჩკაი, სიფრიკაი და სანდროი, უბანში ყველას ოფიციალურ წერილებს რომ უწერდა და უკითხავდა, ყუბელი ფამბათ ხაიმაი, მიკიკაი და გაბოი, ყომარბაზი დუდლუნათ გიკიაი, ბუბუშათ ბინაი, ანტოთ ისაკოი, მეფურნე იაღლოი, ფესახში მასის მჭრელი, კოტოი, რომელმაც ას წელზე მეტი იცოცხლა; აფლათათ ვარდოი, ას წელს მიღწეული, ჯმუხი და თანაც სიავით გამორჩეული მოხუცი, ახეს ქმრის, ყობიას მამა ბრძანდებოდა და ერთი უნდა გენახათ, ლოცვის ეზოში, მინხისა და ყარბითის ლოცვის შორის შესვენებისას თავმოყრილი ჯამათი, ყოველ ჯერზე, ახლიდან, აფლათას მონათხრობს, სულგანაბული, რომ უსმენდა, თუ როგორ დახვედრია ჯეელობაში, ფარჩეულით მოვაჭრე პაპამისს, დელი ვარდოს, არსენა მარაბდელი ასპინძის გზაზე და თუ, როგორ გადაუტეხია მისი კუთვნილი ერთ საჟენიანი საზომი ლინი და ხიდან მოტეხილი სამ საჟენამდე სიგრძის ტოტით, თუ როგორ აურწყია სოფელი ქალებისთვის აბრეშუმის არშიები არსენას და სამი აბაზის ნაცვლად, საჟენ არშიაში, თუ როგორ აუძულებია დელი ვარდოი ორ შაურს დაყაბულებულიყო... ამბობდნენ, დელი ვარდოს ყობიასათვის ვედროებით სავსე ოქროები დაეტოვებინაო, რომელიც, ყობიას მეორე ცოლს, ფაციას, სულ მთლად გაენიავებინაო...

მოხუცი პოლოსაი

... სომხების ეკლესიიდან მომავალი, შიმშილით გამხდარი, მაღალი და ოდეს ტანადი, ას წელს დიდხანს გადაცილებული და მაინც, მხნე გამომეტყველების მქონე მოხუცი, მათხოვარი პოლოსაი, რომელსაც მთელი ოჯახი, ჯერ კიდევ საუკუნის დასაწყისს, თურქების მიერ ჩადენილი ეთნიკური წმენდისას ამოჟლეტია და რომელსაც, თვით პირველი მსოფლიო ომის ქარცეცხლიც კი, გაველო ცარისტული რუსეთის სამხედრო სამსახურისას, ჩვენი უბნის გავლით, ყოველ კვირა დღეს, გაღმა უბნისკენ მიემართებოდა მისთვის ჩვეული დინჯი ნაბიჯებითა და ზურგზე გადაკიდებული ტილოს ხურჯინებით, რომლებიც უბნელი ქალების მიერ ნედაბად გაღებული ხმელი ბუხანკა პურებით იყო სავსე... ადრე, უბნის ბავშვები, პოლოს ძიას, მიმავალ გზაზე, ყოველთვის პანდურებით აცილებდნენ, დასცინოდნენ, აბუჩად იგდებდნენ და აუგი სიტყვებით მოიხსენიებდნენ... პოლოს ძიასადმი სიბრალულის გრძნობა ყოველთვის მამომრავებდა, მაგრამ აუარებელი ბრბოს წინააღმდეგ გალაშქრას, შედეგად საზოგადოებაზე პირადი გავლენის დაქვეითება შეეძლო მოჰყოლოდა, ამიტომ თავს ვიკავებდი დამეცვა იგი; ერთხელ, მაინც გავბედე და გადაველობე მოღრიცინე უბნის გოგო ბიჭებს... - "გრცხვენოდეთ, ხალხნო!, პოლოს ძიაი პაპაჩვენის ტოლი მოხუცია, ნუთუ ამას გვასწავლიან სკოლაში?!, გაგეხარდებოდათ, პაპათქვენისთვის, ვინმეს პანჩური რომ ამოერთყა?!", მთელი ძალით და ღონით ვცდილობდი დამეცვა მოხუცი პოლოსაი... - "ანდაც ბაბოშენი რახელასთვის, ხო?!", შემცბარი თვალები მომაპყრო ქოსათ კაკომ, ადგილზე შეტოკებულმა. - "ხო, გინდაც ბაბოჩემსთვის, აბა რა", მივუგე კაკოს! კაკოი, მდიდარი ვაჭრის შვილი იყო და გარდა ამისა, წლოვანებითაც სხვებზე გაცილებით უფროსი და ამიტომ ბავშვებში დიდი გავლენით სარგებლობდა; იგი მყისავე მოეგო გონს და მხარის დაჭერის მიზნით, ირგვლივ მოზოზოქრე ბრბოს მანაც შეუტია... მას შემდეგ პოლოს ძიას აღარავინ ერჩოდა რა და იგი უწყინრად დააბიჯდა რაბათის ლოცვის უბანში...

ერთხელ, ჩემი წილი ულუფა პამიდვრიანი, ბიცოლაჩემი, ჰაჯიათ თამარას კუთვნილი, მაგრამ ჩემთან შეჩვეული და გაზრდილი ძაღლის, ჯულბასას ალუმინის ჯამში ჩავაგე და სანამ მოხუცი პოლოსაი მის მიმართ უბნელი ქალების მიერ გაღებულ მოწყალებას, ანუ გამხმარი პურის ბუხანკებს ხურჯინში აწყობდა, ერდოდან ღელეს ნაპირთან ჩამოვიტანე და მოკრძალებით მივაწოდე; პოლოს ძიამ კი, შემკრთალი თვალებით უკან დაიხია. - "აილე პაპა, ეს შენთვისაა; იგი, რა გემრიელია?!", ვუთხარი მოხუც პოლოსას; იგი გაოგნებული დასცქეროდა სურნელოვან ულუფას, მაგრამ ჯამის ჩამორთმევას მაინც არ ლამობდა... "ეე, შვილო, მაგას გონია, უნდა მოწამლო, ეშინია და ამიტომაც არ გართმევს"-ო, შენიშნა ქოსათ მორდებს ცოლმა, ნათელამ, რომელიც, სეირს, თურმე, მუშა პეტროსას გვერდში, რომელიც მიაბიტი ცნობისმოყვარეობით წელში გამართულიყო და ჩვეულების ყარად გატრუნულიყო და აღარც კი ქოშინებდა, მისივე ორსართულიანი სახლის ეზოდან ადევნებდა თვალსყურს... მაშინვე, ჩემი ერდოდან წამოდვანიებულ ფუნთრუშა პურის ყუას ლუკმა მოვატეხე, ჯამში ჩაგებულ პამიდვრიანს ერთი ხეიანად ამოვუსვი, ჯერ თავადვე შევჭამე და მერე ისევ მოხუც პოლოსას გავუწოდე მომდიმარი პირით. - "აჰა, ნუ

გეშინია, აილე!" მოხუცმა, დიდი ცნობისმოყვარეობით ჩამომართვა ცხელი პამიდვრიანით გაპიქინებული ალუმინის მათლაფა და ცხელივე პურის ნატეხი და ერთ სანახაობადა ღირდა გენახა კაცს, თუ როგორი მონდომებითა და სიამოვნებით შეექცეოდა მოხუცი პოლოსაი მის მოულოდნელ, უცნაურ და დანატრებულ ულუფას... მსგავსი სისწრაფითა და გახელებით მირთმეული საჭმელი, ცხოვრებაში, დღემდისაც კი, არ მინახავს... წყაროს წყალიც ზედ რომ დააყოლა, ცარიელი ჯამი მოაჯირზე ჩამოდო და ნიშნად მაღლიერებისა, ორთავე ხელი ზეცას მიაპყრო მოხუცმა პოლოსამ და ყოვლად შეუდარებელი ომახიანი ხმით ლოცვა კურთხევა მიაგო უფალს... ისეთ ხმაზე გასძახოდა პოლოს პაპაი, რომ მთელი უბნის ქალები ქუჩაში გამოცვივდნენ, რათა ენახათ, თუ რა დაატყდა მათ თავს, ანდაც, თუ რა ხდებოდა მათს ირგვლივ; მახსოვს, მათ შორის, შემფოთებული დედაჩემიც ქუჩაში ზეზეურად გამოსულიყო, რომელიც უმაღვ გაერკვა საქმის ვითარებაში და სიამაყის გრძნობით აღძვრულმა, კმაყოფილების ნიშნად ალერსიანი მზერით დამიყვავა: "თავისებურად გლოცავს შვილო"... ისეთი გატაცებით მლოცავდა მოხუცი პოლოსაი, რომ, ღმერთი მართლაც რომ არსებულიყო, უეჭველად შეისმენდა მის ლოცვას, რომელიც მოხუცი პოლოსას ესოდენ ბოხი და თანაც ომახიანი ხმით იყო შევედრებული...

"ჰალა, მითხარი დათოჯან, თავად არა გაბადიათ რა და პოლოსას რითილა ყაბულოზ მაგოტოლა ულუფას, ჰა ბალაჯან?!", მომმართა ირგვლივ შეკრებილ მეზობელთა გასაგონად ქოსათ მორდენას ცოლმა, ნათელა დეიდამ. "ჩემი მანა დავუთმე" ვუპასუხე მოკრძალებით და თან მივუგე: "აბა, ცოდო არ არი, ამ ხნის მოხუცი, მარტო ცარიელი ხმელი პურით, ვის გაუგია გაძღომა, ესეც ხო ადამიანის ნაშიერია, ამასაც, ხომ სული უდგია პირში; ჯეკას, რო ყოველდღე შემწვარ მოხრაკულებით ანებივრებთ, რა იქნება, უბნის მდიდრმა ქალებმა, რიგრიგობით, დღეში ერთი ტალეკი საჭმელი, რო აჭამოთ ამ მოხუც გადამთიელ კაცს, ჰა?!", - "ხო, აი, გამჩენი თუ მწამს, მაღლია... ნახე რა მარიფათის პატრონია?", გადაჰხედა ნათელა დეიდამ კაცობათ გაბოს ცოლს, სონიკოს, ჰაიესტანა აგლარიანსა და ყვითელათ აბრაშკას ცოლს, კლარას. - "სად ვიყავით ქალო აქამდე, ჰა?!, ანჯახ იმას ვიქადნიდით, რო ლეკვები დაპურებული გყავსო...", გამომესარჩლა აბასტუმნის გზაზე მდებარე ფეხსაცმელების მაღაზიის გამგის, კაცობათ გაბოს ცოლი, სონა დეიდა... იმ დღიდან მოყოლებული, პოლოს ძიას, ჩვენს უბანში ყოველკვირეულად, ახალ ახალი ცხელ ცხელი სადილი ელოდებოდა, მისთვის სათადარიგოდ განკუთვნილ მათლაფაზე, რომელსაც პოლოს ძიას, არსენას გამოქვაბულისკენ მიმავალ გზაზე არწივების მთის ძირას მდებარე თავის სამყოფელ ნანგრევებში არხინად შეექცეოდა...

მაია ბოლაშვილი, ელენე ხოჯევანიშვილი, მარინე ცერცვაძე
გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

დევიდ ჰერბერტ ლორენსი, როგორც მთარგმნელი

დევიდ ჰერბერტ ლორენსმა სიცოცხლის დიდი ნაწილი მოგზაურობასა და საკუთარი სურვილით საზღვარგარეთ გადასახლებაში გაატარა, რამაც მის შემოქმედებაზე გარკვეული გავლენა იქონია. ის „უცხოელის ხარისხი“, რომელიც ნებისმიერ ადგილს უნიკალურად აქცევს, არის ზუსტადაც ის, რასაც მწერალმა „ადგილის სული“ უწოდა. აი, რას წერს იგი ამის შესახებ „ზღვასა და სარდინიაში“:

„ადგილის სული უცნაური რამაა. ჩვენი მექანიკური ეპოქა მის უგულებელყოფას ცდილობს, თუმცა უშედეგოდ. საბოლოოდ, უცნაური, ავბედითი ადგილის სული, სხვადასხვა ქვეყანაში ასეთი მრავალფეროვანი და მტრული, ჩვენს მექანიკურ ერთადერთობას ნამსხვრევებად აქცევს და ყველა ის რეალური, რაზეც ვფიქრობდით, ხმაურით ჩაივლის და გაშტერებულს დაგვტოვებს“.

ადგილის სული არ უნდა გავიგოთ, როგორც რაღაც ზედაპირული, გარეგანი ან ბუნებრივი, ეს არის უბრალოდ მოცემული ადგილის, ტერიტორიის რაღაც განმსაზღვრელი. უფრო მეტიც, ეს არის ადგილის ზუსტადაც რომ სული, რაც მას დედამიწაზე არსებულ სხვა ადგილთაგან განასხვავებს და გავლენას ახდენს ქცევაზე, დამოკიდებულებებზე, რწმენაზე და იმ ადამიანთა პრაქტიკაზეც, რომლებიც ამ ადგილას სახლობენ. ესეიმი „ადგილის სული“, რითიც „ამერიკული კლასიკური ლიტერატურის შესწავლა“ იწყება

(1923), ლორენსი ადგილის სულის კონცეპტს განმარტავს ადამიანის, გარემოს მაგნიტურობის თვალსაზრისით. მისი შეხედულებით, თემი უბრალოდ კი არ სახლდება რომელიმე გარკვეულ ტერიტორიაზე და იქ ცხოვრებას იწყებს, არამედ მასზე ასევე გავლენას ახდენს თვით ეს ქვეყანა საკუთარი იდენტობის, ადამიან-წესებისა და ტრადიციების ჩამოყალიბების პროცესით.

ადგილსა და მის მცხოვრებლებს შორის ინტერაქციას კულტურათა ფორმირებაში უდიდესი მნიშვნელობა გააჩნია, რომელშიც ხელოვნება და ლიტერატურა მთავარ როლს თამაშობს. ესეიში „ზნეობა და რომანი“ (1914), ლორენსი ფაქტობრივად აყალიბებს ლიტერატურულ ნაწარმოებსა და მისი შექმნის ადგილს შორის კავშირს:

„ადამიანსა და მის გარშემო არსებულ სამყაროს შორის ურთიერთობის გამჟღავნება მისი იქ ცხოვრების პერიოდში, ხელოვნების საქმეა. და ეს სრულყოფილი კავშირი ადამიანსა და მის გარემომცველ სამყაროს შორის კაცობრიობისთვის თვითონ ცხოვრებაა.“ (გვ.527).

ურთიერთობა, რაზეც ლორენსი საუბრობს, კონტაქტების ის რთული ქსელია, რომელსაც ადამიანი ქმნის გარშემომყოფებთან და ასევე ყველაფერთან და რომანისტიც დანიშნულებასაც სწორედაც რომ ასეთ კავშირთა გამჟღავნება წარმოადგენს, რადგან რომანი „იმ დახვეწილ ურთიერთობათა ყველაზე დიდი მაგალითი უნდა იყოს, რომელიც კი ადამიანს აღმოუჩენია“ (გვ. 528) ანუ სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ლიტერატურა შესაძლოა განხილულ იქნას, როგორც ადგილის სულის პირდაპირი გამოსხივება.

ხელოვნებასა და ადგილს შორის ურთიერთობათა ანარეკლი მის „ბინდი იტალიაში“ (დაიწერა 1912-1913 წწ.) არის ასახული - განსაკუთრებით ესეიში, რომელიც „თეატრის“ სახელწოდებითაა ცნობილი, სადაც ლორენსი კომენტარს აკეთებს იმ რამდენიმე წარმოდგენის შესახებ, რომელიც მან იტალიაში, გარგანოს თეატრში ნახა. პირველი პიესა, რომელსაც დაესწრო, იტალიურ ენაზე თარგმნილი ჰენრიკ იბსენის „მოჩვენებანი“ გახლდათ და მასში სოფლელ მსახიობთა დასი მონაწილეობდა. მწერალი მაშინვე მიხვდა, რომ ეს იტალიური წარმოდგენა ძალიან განსხვავდებოდა იგივე პიესის იმ ინსცენირებისგან, რომელიც მან მიუნხენში ნახა: „გერმანულ ენაზე დადგმულ პიესაში მონაწილე მკაცრ, ეთიკურ, უმნიშვნელოდ მექანიზირებულ მოქმედ პირებთან შედარებით, რასაც ყველაზე სრულყოფილ ინტერპრეტაციად მივიჩნევდი, რაც კი შემეძლო წარმომედგინა, იტალიელ გლეხთა პათეტიკური წარმოდგენის წყალობით ისეთი სხვაობა იყო, რომ შესაგუებლად ლოდინი დამჭირდა („ბინდი იტალიაში“).

ლორენსის აზრით, ეს ცვლილება გამოწვეულია იტალიელთა და ჩრდილოეთში მცხოვრებ ხალხთა განსხვავებული კულტურების გამო. მთავარი როლის შემსრულებლის მიმართ მწერალი წერს, რომ „ის უცნაურად გულისშემაწუხებელი, აბეზარი იყო“, რადგან ისეთი „ზნელი, უზრდელი და ძალაუფლებისმოყვარე გახლდათ“, რომ „მოჩვენებანში“ ვერ შეძლო ტუბერკულოზით დაავადებული, არაგონიერი, ავადმყოფი მამის ჩრდილოეთელი ტიპაჟი განესახიერებინა“ (136-137). ლორენსის მიხედვით, მთავარი მიზეზი ეს არის „ერებსა“ და კულტურათა შორის განსხვავებულობა, რაც იტალიელებს ნორვეგიელთა სულის წარმოჩინების საშუალებას არ აძლევს; იტალიელთა ფიზიკურობა და მათი ფალოსისადმი თავყანისცემა, როგორც „შემოქმედებითი ღვთაებრიობის სიმბოლო“ (138), პიესის იტალიურ ვერსიას ორიგინალიდან საკმაოდ აშორებს და განსხვავებულს ხდის და ზუსტადაც ამიტომ იტალიელი მაყურებელი პიესის აზრს ვერ ჩასწვდა და გაიგო.

ლორენსმა ასეთი დასკვნა მას შემდეგ გააკეთა, რაც აღნიშნული პიესის გაბრიელ დ'ანუნციოს მიერ „მოჩვენებანის“ იტალიური ვერსიის ინსცენირებას დაესწრო, რომელსაც „რეალურ მნიშვნელობას მოკლებული, სულებური რომანტიკული პიესა“ უწოდა (139) და მაყურებელი მთავარი მოქმედი პირის მიმართ ანტიპათიის ნაცვლად, სიყვარულით განაწყო. მწერალი ამ საკითხში ენათა განსხვავებულობასაც ადანაშაულებს და ამბობს:

„ეს ყველაფერი ენისგანაც იყო გამოწვეული. იტალიელების ძლიერი ემოციური რიტორიკა, მათი მეტყველება, რომელიც მხოლოდ გრძნობებისკენაა მოწოდებული და ჭკუა-გონებას არ მოითხოვს. როდესაც ინგლისელი ვინმის სიტყვით გამოსვლას ისმენს, მას სულ მცირე, სურს, წარმოიდგინოს, რომ სათქმელი საგულდაგულოდ და მიუკერძოებლად გაიგო. მაგრამ იტალიელი მხოლოდ ემოციაზე ზრუნავს. ეს არის მოძრაობა, მის სისხლზე მოქმედი ენის ფიზიკური ეფექტი, რაც მას უმაღლეს კმაყოფილებას ანიჭებს. მისი გონება აქ არაფერ შუაშია, ამ პროცესში მონაწილეობას არ ღებულობს. ის მხოლოდ იმ ბავშვს ჰგავს, რომელიც ისმენს და გრძნობს გაგების გარეშე. რასაც ის ითხოვს, ამას გრძნობადი სიამოვნების დაკმაყოფილება ქვია, რისთვისაც დ'ანუნციო ლამის ღმერთის დონემდეა იტალიაში აყვანილი. მას საკუთარი სიტყვების დახმარებით სისხლის მიმოქცევის კონტროლი შეუძლია და მიუხედავად იმისა, რომ რასაც ამბობს მტკნარი სისულელეა, მისი მსმენელი მაინც სავსებით კმაყოფილია.“ („ბინდი იტალიაში“, 139).

ზემოთ აღნიშნული მოსაზრების მიხედვით ენა და კულტურა ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია, რადგან ენა მასზე მოსაუბრე ადამიანთა ხასიათსა და ტემპერამენტს აირეკლავს.

გაცილებით საინტერესოა, ასევე ლორენსის მოსაზრება „ჰამლეტის“ იტალიურ ენაზე ინსცენირების შესახებ. ის მალევე მიხვდა, რომ თარგმანმა, ისევე როგორც გლეხთა დასის მიერ შესრულებულმა „მოჩვენებანმა“, ტრაგედია ფარსად აქცია და ამის მიზეზი სწორედ იქნა, რომ ორიგინალის ტექსტის ინტელექტუალური პოტენციალი სრულიად უცხოა როგორც მსახიობების, ასევე მაყურებლისთვისაც. შექსპირის პიესის დედაარსს თუ გავითვალისწინებთ, რომელიც „რენესანსის ყველაზე უმნიშვნელოვანესი ფილოსოფიური შეხედულების მტკიცებას წარმოადგენს“ („ბინდი იტალიაში“, 144), ეს არის „ხორცს მოწყვეტილი გონების შემარყეველი რეაქცია, ადამიანის სულისგან წამოსული, რეაქცია დიდებული არისტოკრატულობიდან დიდებულ დემოკრატიულ პრინციპებამდე“ (144), ჰამლეტის მიერ დასმულ კითხვებს მე-20 საუკუნის ადამიანები ვერ გაიგებენ, განსაკუთრებით კი მაშინ, თუ ისინი სხვა ქვეყანაში დაიბადნენ და აღიზარდნენ. ეს არის სწორედამიზეზი იმისა, თუ რატომაც იყო პიესის მთავარი მოქმედი პირის შემსრულებელი, მსახიობი ენრიკო პერსეველი ასეთი „სამაგელი თავისი ყოფნა-არყოფნით“ („ბინდი იტალიაში“, 148). ლორენსი ამბობს, რომ იტალიელმა მსახიობმა ჰამლეტის როლის შესრულება ვერ შეძლო, რადგან განსხვავებულ კულტურას ეკუთვნოდა და მის შესახებ წერს, რომ „ის მთელი ცხოვრება მონურად ქედს იხრიდა ჩრდილოეთური უსასრულო „არა მეს“ წინაშე, თუმცა როგორც ეს იტალიელებს ჩვევიათ, არსებობა ისევ და ისევ იტალიურ მეოხაში განაგრძო“ (149).

ეს ყველაფერი ინგლისურ და იტალიურ ენებს შორის არსებული განსხვავებისა და საერთო გაუგებრობების შედეგია, რადგან იტალიელი მსახიობები ინგლისელებთან შედარებით, „ჰამლეტს“ სხვანაირად თამაშობენ, ასე, რომ იტალიურმა წარმოდგენამ აქაც განსხვავებული მნიშვნელობა შეიძინა, რამაც ლორენსზე შემაწუხებლად იმოქმედა. მან შვებით ამოისუნთქა, როცა წარმოდგენა დამთავრდა, თუმცა მაყურებელი კმაყოფილი ჩანდა, კერძოდ, ოფელიას როლის შესრულებით და სასაფლაოს სცენით; ლორენსისთვის ასეთი განცდა სრულიად უცხო და მიუღებელია, რადგან იქვე შენიშნავს: „იტალიელი მესაფლავე უბრალო მასხარა გახლდათ“ (149). ასეთი განსხვავების მიზეზს ის გამოყენებულ ლინგვისტურ შუალედში ხედავს და წერს: „მთელი სცენა პირადად ჩემთვის მხოლოდ ფარსი იყო და მეტიც არაფერი, იტალიური „Questo cranio, Signore“ (150), -თი, რაც ქართულად „ეს თავის ქალა, სინიორას“ ნიშნავს. აქედან გამომდინარე, ლორენსი ამბობს, რომ ხელოვნების ნაწარმოები ორიგინალის კონტექსტის გარეშე, სრულიად განსხვავებულ მნიშვნელობას იძენს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ლიტერატურული ნაწარმოების ფორმა ადგილის სულზეა დამოკიდებული, რომელმაც ის შვა და მისი შეცნობა კი მაყურებლის ვალია.

ლორენსის უცხო ენებითა და ლიტერატურით დაინტერესება სხვადასხვა ენებზე შექმნილ თარგმანებთან დაკავშირებითაც გამოიხატა და თავადაც ჩაერთო რუს და იტალიელ ავტორთა ნაწარმოებების ინგლისურ ენაზე თარგმანაში. მის მიერ ინგლისურ ენაზე შესრულებულია ლევ ტოლსტოის „ყველაფერი შესაძლებელია“ (1920), ივან ბუნინის „სან-ფრანცისკოელი ბატონი“ (1922), ჯოვანი ვერგას „მასტრადონ გესუალდო“ (1923), „სიცილიის პატარა რომანები“ (1925), და ფრანჩესკო გრაციინის „დოქტორ მენენტის ამბავი“ (1929).

რუსული ენიდან თარგმნილი ნაწარმოებები ლორენსმა თავის მეგობარ, რუს მთარგმნელ სამუელ კოტილიანსკისთან ერთად შექმნა. სავარაუდოდ, ლორენსმა ინგლისურ ენაზე მხოლოდ რედაქტირება გაუკეთა და გადაწერა კოტილიანსკის მიერ შესრულებული პჭარედული თარგმანები და მათ ინტერლინგვალური ფორმა მისცა რომან იაკობსონის (114) ტაქსონომიის მიხედვით, რადგან მან რუსულად კითხვაც კი არ იცოდა. თუმცა, მისი იტალიურიდან ნათარგმნი ნაწარმოებები წინააღმდეგობაში მოდის იმ ფორმებთან, რასაც იაკობსონი „სათანადო, სწორ თარგმანს უწოდებს“, რაც იმას ნიშნავს, რომ ლორენსმა ეს თარგმანები იტალიური ენის ცოდნის წყალობით, ამ ქვეყანაში მრავალჯერ მოგზაურობისა და იტალიურ-ინგლისური ლექსიკონის დახმარებით შექმნა და განსაკუთრებით „მასტრადონ გესუალდოს“ ინგლისურ ენაზე შესრულებულ თარგმანში მრავალი შეცდომა დაუშვა. აღნიშნული ყველა თარგმანი ლორენსის გვარით გამოქვეყნდა ინგლისსა და ამერიკის შერთებულ შტატებში.

პირველი ჩანაწერი, რომელშიც ჩანს, რომ ლორენსი ვეგას „კავალერია რუსტიკანას“ კარგად იცნობს, 1916 წლის 15 დეკემბრითაა დათარიღებული და კოტილიანსკისთვის გაგზავნილი. მწერალი ამ ნაწარმოებს ასე ახასიათებს: „ვნებათა ჭეშმარიტი სისხლსავსე ძეხვი!“. თუმცა მისი პირველი შთაბეჭდილება ამ ნაწარმოების შესახებ, მთლად პოზიტიური ვერ არის: „მთლად კარგი მაინც არ არის, რადგანაირად კომიკურია, რადგან იტალიური ავისმომსწავებელი ტრაგედია მაინც ყოველთვის კომიკურია“. მხოლოდ შედარებით მოგვიანებით მიხვდა ლორენსი ვეგას ფასს და მისი ინგლისურ ენაზე თარგმნა გადაწყვიტა, რასაც 1921 წლის 25 ოქტომბერს ქეთრინ ქარსველთან მიწერილი წერილი ადასტურებს:

„მხოლოდ სულ ახლახანს წავიკითხე ჯოვანი ვეგა, რომლითაც სავსებით მოვიხიბლე და ასევე ბოლოს ავად გამხდა. მაგრამ შესაძლოა, რომ ის ერთადერთია, რომელიც სიცილიას იცნობს. ხომ არ იცი,

არის თუ არა ინგლისურად თარგმნილი - „მაღავეგლია თუ მასტრო-დონ გესუალდო ან ნოველე რუსტიკანე ან სხვა ნოველები? სასაცილოც გამოვა ამის გაკეთება - მისი ენა ისეთი მომხიბლავია.” (104-105).

სრულიად შესაძლებელია, რომ თარგმნის პროცესი ამ წერილის გაგზავნიდან ძალიან მალე დაწყებულიყო. ლორენსს ცეილონზე გამგზავრებამდე (26 თებერვალი, 1922 წ.) რომან „მასტრო დონ გესუალდოს“ პირველი ნაწილის თარგმნა უკვე დამთავრებული ჰქონდა, რადგან ამის შესახებ ის კურტის ბრაუნთან გაგზავნილ წერილში საუბრობს, რომელიც 8 თებერვლითაა დათარიღებული. მან რომანის თარგმნა ცეილონზე მოგზაურობის დროს გააგრძელა და აქვე დაამთავრა. ხელნაწერი 1922 წლის 2 აპრილს რობერტ მოინტისერს გაუგზავნა. ამ წერილში ლორენსი ასევე აღნიშნავს, რომ მან რომანის პირველი ნაწილის თარგმანი უკვე დაასრულა და წუხილით წერს, რომ აღმოსავლეთში გამგზავრება ვერ მოახერხა, რადგან შესაძლოა „ნოველე რუსტიკანედან“ რამდენიმე ნოველის თარგმანიც დაესრულებინა. მაგრამ თხზულება სრულად მხოლოდ 1927 წლის სექტემბერში თარგმნა და 1928 წელს კეიპში გამოაქვეყნა.

ტრადიციულად, ლორენსის თარგმანის ანალიზი წყარო ენაზე დაფუძნებული პერსპექტივის მიხედვითაა ჩატარებული, რომლის თანახმადაც თარგმნილი ტექსტი მის ორიგინალზე უკეთესი ვერ იქნება, თუმცა სავსებით შესაძლებელია თარგმანის საშუალებით მეორადი, მისგან ნაწარმოები ტექსტის შექმნა.

ჩვენს მიზანს ლორენსის მიერ თარგმნილ მხატვრულ ნაწარმოებებში შეცდომების აღმოჩენა ან მათი ორიგინალის ტექსტთან სიახლოვის მტკიცება კი არ წარმოადგენს, არამედ შევეცადეთ, რომ თვითონ სამიზნე ენაზე თარგმნილი ტექსტების ანალიზი ჩაგვეტარებინა და დაგვედგინა თუ რამდენად თანხვედრაშია მწერლის მთარგმნელობითი პრაქტიკა ენასა და თარგმნის შესახებ მის მიერ ჩამოყალიბებულ იდეებთან, რომელთა გაცნობაც მისი თეორიული ესეების საშუალებით მოხდა.

ლორენსის, როგორც მწერლისა და მთარგმნელის განსაკუთრებული როლი, ცნობილი თარგმანის თეორეტიკოსის, ლორენს ვენუტის მიერ შეფასებულია მთარგმნელობითი მეთოდის იმ ორი მიდგომის გათვალისწინებით, რომელსაც „გაშინაურება“ ეწოდება, ანუ ის თუ რა მნიშვნელობა აქვს ამ თარგმანს იმ ქვეყნის კულტურისთვის, რომელსაც ეკუთვნის და „გაუცხოურება“, - ანუ შეფასება იმისა, თუ რა შეიძინა სამიზნე ენის კულტურამ ამ თარგმანით. ამ შემთხვევაში ლორენს ვენუტი ეყრდნობა ცნობილი გერმანელი ფილოსოფოსის, ფრიდრიხ შლეიმახერის ცნობილ ციტატას, რომლის მიხედვითაც მთარგმნელს შეუძლია აირჩიოს ის მიდგომა, რომელიც სამიზნე ენაზე მკითხველის წყარო ენის ავტორისკენ ყურადღების მიპყრობას ითვალისწინებს და პირიქით, რაც იმას ნიშნავს, რომ ორიგინალის ავტორსაც და სამიზნე ენის მკითხველსაც მისცეს საშუალება შეაფასოს თუ რამდენად ღირებულია როგორც ორიგინალის ტექსტი, ასევე მისი თარგმანიც ნებისმიერ სამიზნე ენაზე. ვენუტის შემოაქვს ორი ტერმინი „გაშინაურება“ და „გაუცხოურება“. პირველ მათგანში, - „გაშინაურებაში“ იგულისხმება „სამიზნე ენის ღირებულებებზე ეთნო გადახრების გავლენა, რათა მოხდეს უცხო ენაზე შექმნილი ტექსტის ლინგვისტურ და კულტურულ განსხვავებათა აღნუსხვა“ (ვენუტი 20), ხოლო მეორე, - „გაუცხოურება“, რაც „უცხოური ტექსტის სამიზნე ენის ფასეულობებისკენ ეთნოცენტრიკულ შემცირებას“ გულისხმობს (ვენუტი 20). სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, „გაუცხოურება“ ნიშნავს ისეთ მიდგომას, რომლის მიზანია მკითხველმა ბოლომდე გაიგოს უცხოური ტექსტები თავისი ლინგვისტური და კულტურული თავისებურებებით, მაშინ, როცა „გაშინაურებაში“ ძალდაუტანლობასა და ბუნებრიობას ისე ენიჭება პრიორიტეტი, რომ მკითხველი მას როგორც ორიგინალში წაკითხულს ისე აღიქვას.

საერთოდ, მთარგმნელები ძირითადად „გაშინაურების“ მეთოდს ანიჭებენ უპირატესობას, რადგან ისინი უცხოური ტექსტის საკუთარი სტილით მკითხველამდე მიტანაზე არიან ორიენტირებულნი.

როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, ჩვენი საკონფერენციო მოხსენება მიზნად არ ისახავს დევიდ ჰერბერტ ლორენსის თარგმანების შეფასებას, რადგან ისინი ძირითადად იტალიური ენიდანაა შესრულებული და ორიგინალისა და სამიზნე ენაზე (ინგლისური) არსებულ ნაწარმოებთა შედარება ჩვენთვის სამწუხაროდ შეუძლებელია იტალიური ენის არცოდნის გამო. ჩვენ შევეცადეთ, რომ გამოჩენილი ინგლისელი მწერალი, პოეტი, ესეისტი, დრამატურგი და ფერმწერი დევიდ ჰერბერტ ლორენსი, რომელსაც ქართველი მკითხველი ჯერაც სათანადოდ არ იცნობს, კიდევ ერთი საინტერესო კუთხით, - როგორც მთარგმნელი, ისე წარმოგვედგინა.

ლიტერატურა:

1. Lawrence Venuti, „D.H. Lawrence and his translation Methods“, Great Britain, 2008;
2. G. Andermann, „Drama Translation“. The Routledge Encyclopedia of Translation Studies. Ed. M. Baker. London/New York: Routledge, 1998, 71-73;
3. G.M. Hyde, „D.H. Lawrence and the Art of Translation“, Houndmills, London: Macmillan, 1981;

- 4.D.H.Lawrence, „Morality and the Novel“, Phoenix. The Posthumous Papers of D.H. Lawrence. Ed. Edward D. McDonald. London: Heinemann, 1934, 263-266;
5. დ. ჰ. ლორენსი, „ესეები კლასიკური ამერიკული ლიტერატურის შესახებ“, ინგლისურიდან თარგმნა თ. კოტრიკაძემ, თბ., 2004.
6. მ. მ. ზახტინი, „დისკურსი რომანში“, მოსკოვი, 1983.
7. რ. იაკობსონი, „თარგმანის ლინგვისტური ასპექტების შესახებ“, ლონდონი/ნიუ-იორკი, 2000.

Maia Bolashvili, Elene Khojevanishvili, Marine Tsertsvadze
Gori State Teaching University
DAVID HERBERT LAWRENCE AS A TRANSLATOR
RESUME

The present paper refers to the introduction of one of the famous writers, poets, essayists, play-writers and painters, -D.H. Lawrence as a translator from the Russian and Italian languages. Some approaches of translating methods are discussed and done their analyses. The authors' aim of this study is not to evaluate the quality or importance for D.H. Lawrence's translations, but his popularization as a translator.

კლარა გელაშვილი
 სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ომგამოვლილთა სტიგმა „საყდრის ჩიტებში“

ზეინაზ მეტრეველის „საყდრის ჩიტები“, საქართველოს დანაწევრებისა და დაქუცმაცების ავბედით პერიოდს ეხება.. ნაწარმოებში ერთმანეთის პირისპირ დგას ორი, ერთ დროს ერთიანი სამყაროს, როგორც ერთი დედის, ერთმანეთისგან გამოიჯნული, სხვადასხვა ნაპირზე მდგომი ორი შვილი. ერთი გაზლუქუნებული, საკუთარი „მე“-თი დამტკბარი, მეორე - დაჩაგრული, ნაგვემი და მიტოვებული. ნაწარმოების გმირი, იოსება, სოფელში მიტოვებული წიგნებით ნასაზრდოები კაცი, დაცარიელებულ სოფელს „გიჟი იოსებას“ სახელით შემორჩა. მისი ფილოსოფიური აზროვნება მეცნიერ კაცს, რატი-თეიმურსაც აოცებს: „ვუყურებდი და ვფიქრობდი, იოსებასნაირი კაცები ერის სამოსის რომელ საკერებლად გამოდგებოდა იმ სიშიშვლის დასაფარავად, ყველაზე შემზარავი რომ იყო საცქერლად, ან თუ გამოდგებოდა მთლიანად სამოსის პირველქსოვილად. მაგრამ იოსებას არც ჭრას ჰკითხავდნენ და არც კერვას, არც ის იცოდა, ისტორიის სტომაქის რომელ ფსკერზე განისვენებდა.“ [მეტრეველი ზ. 2004: 32]

იოსება ადგილის დედას ჰგავს. სულეთიას ხსოვნის, მისდამი უდიდესი, ხორცშეუსხმელი გრძნობის სიკვდილამდე ერთგული კაცი, თავის წვლილს ხედავს მის ტრაგიკულ აღსასრულში. სულეთია ჩვენი ნებით სხვის მკლავებში მოქცეული სამაჩაბლოა, გამუდმებით რომ გვტკივა, გვახსოვს, მაგრამ ვეღარას ვშველით... რატი-თეიმური, რომელსაც თვალწინ, ქალაქის მდულარე, ცოდვებით სავსე ქვაბში „ჩაეხარშა“ ცოლ-შვილი, მაშინ უბრუნდება ფესვებს, როცა სოფელი დაცლილი და გავერანებულია. მესაფლავე იოსება შვილივით უვლის რატი-თეიმურს. იგი მკვდარი სოფლის ერთადერთი ცოცხალი უჯრედია, რომელიც სწორედ აქ, ამ ცარიელ სოფელში უნდა გამრავლდეს.

იოსებას მესაფლავეობა შემთხვევითი არაა. იოსება თვლის, რომ ამ საფლავებით შეინარჩუნებს მიწას. აქ დასამარხად მაინც დაბრუნდებიან წასულები და იქ, სადაც შენი საფლავია, ის მიწაც შენია... ასეც ხდება, მის მიერ გათხრილ საფლავში დასაფლავდა მილიონერი „ირაკლიჩი“, რუსების მსახური და მათგანვე გამეტებული ალანი ვლადი, ცოდვილი ატილა.. სოფელში მოსახლეობის დაბრუნება იწყება. პატარა რატის დაბადება ცისკარს ჰგავს. ომის ელდით დამუნჯებული ტაია, სამშობიარო ტკივილებისას ამოიდგამს ენას ..ნათლისმცემლის ტაძარი აღდგენილია, თითქოს დამსხვრეული უნდა გამთელდეს, თუმცა...

ჯერ შორს იყო 2008 წელი, მაგრამ ნაწარმოებში ჩაკირულ უდიდეს ტკივილში აშკარად სჩანს ავტორის წინათგრძნობა...

ზეინაზ მეტრეველის რომანი „საყდრის ჩიტები“, გარკვეული მიზეზით ვერ „დააპურეს“ რადგან ეს „ჩიტები“ უსარგებლონი აღმოჩნდნენ იმ საზოგადოებისთვის, რომელმაც ავტორისეული ტკივილი ვერ გაითავისა.

„საყოველთაო გულგრილობას, საერთო ეროვნული, საერთო-სახელმწიფოებრივი ინტერესების დავიწყებას ააშკარავებს პროზაიკოსი, როცა მოგვითხრობს, როგორ გადაიქცა სამაჩაბლო „სამხრეთ ალანების სახელმწიფოდ“ და როგორ გადასანსლეს მის საზღვრებში მოქცეული ძირძველი ქართული სოფლები ისე, რომ იქ, დედაქალაქში გულყრა არავის დასწყება მომეტებულად.“ [დევდარიანი რ. 2010:2].

თავის დროზე, ნაწარმოებს დიდი შეფასება მისცა ოთარ ჩხეიძემ. გოდერძი ჩოხელისთვის ძნელი არ იყო ავტორის სულში აბრიალებული ცეცხლი დაენახა. „როცა ეს რომანი – „საყდრის ჩიტები“ წაიკითხა, დაბალი ხმით მითხრა: „აჰა, შენც ჩემსავით უბედური იქნები“, ამის შემდეგ, მეტი არაფერი უთქვამს, თუმცა ეს იყო ყველაზე დიდი შექება, რაც კი ამ რომანის გამო მიმიღია. [შაიშმელაშვილი თ. <http://kvira.ge/>]

ნაწარმოების მეორეხარისხოვანი გმირი, სამაჩაბლოში გაზრდილი, მაგრამ დიდი ხნის წინ წასული, დედაქალაქში მოღვაწე მეცნიერი, მშობლიურ სოფელში მაშინ ბრუნდება, როცა ფაქტიურად სოფელი აღარ არსებობს - დაცლილია. ამ ფაქტით გულშეღონებულს, სოფელში, მესაფლავედ დარჩენილი იოსება, (მთავარი გმირი), შეიცნობს თავისი სოფლის შვილს და მზრუნველობას უწევს - სასაფლაოზე, სადაც თვითონ ათენებს- ნათლისმცემლის საყდარში შეიფარებს. იოსებაა სოფლის ერთადერთი მკვიდრი, რომელმაც სხვა ვერაფერი მოიფიქრა და მიწის შენარჩუნების მიზნით, საფლავებს თხრა დაიწყო. სწორედ ამ საქციელის გამო იჯერებს მტერი მის სიგიჟეს და ესაა მისი ცოცხლად დატოვების მიზეზიც.. იოსება არაფერს ეკითხება დაცარიელებულ სოფელში დაბრუნებულ მეცნიერს, თუმც ხვდება „როცა კაცი მარტოდ, თანაც ღამით ბრუნდება მშობლიურ სოფელში, ის ან ძალიან უბედურია, ან ნახევრად ცოცხალი. ასეთ შემთხვევაში ან მოსანანიებლად მიდიან, ანდა დასამარხავად“ [მეტრეველი ზ. 2004:16]

ძილგატეხილ იოსებას საფლავების თხრა ურჩევნია. კითხვაზე, თუ ვისთვის თხრიდა ამდენ საფლავს, პასუხი დიდი ხნის მოფიქრებული აქვს: „ვინ იცის, რამდენი დაბრუნდება დასამარხად მშობლიურ მიწაზე. ახლა საკუთარი მიწა რომ შეინარჩუნო, საუკეთესო მეთოდი იგი რა არის? საფლავების თხრა!.. ასეთი ორმოებისა ჯერჯერობით მტრებსაც ეშინიათ. თუ ცოცხალს არ დაგტოვებენ, შენით მაინც ამოავსებენ ამ მიწათხრილებს. ჰოდა, საფლავიც შეგრჩება და მიწაც საკუთარი..“ [2004:17]

იოსებას დაუმარხავს მეცნიერის მშობლებიც. ოჯახის უფროსის ახირების გამო არ წასულან ნიქოზში, აქ უნდა დავიმარხო-უთქვამს მეცნიერის მამას. ამასობაში შემოესიენ კიდეც და დარჩნენ სამუდამოდ... მესაფლავე, თავის თავშესაფარში, ივანე ნათლისმცემლის საყდარში შეიყვანს ფიზიკური თუ სულიერი განცდებით დავარდნილ სტუმარს. შიში აქვს, ვინმემ არ ჩამოიაროს და პირველსავე დღეს სამიზნე არ გახდეს. აძაღლებულ წუთისოფელს თუ თვითონ ცოცხალი გადურჩა, ეს არაფერს ნიშნავს მისთვის: „შენ ამ ყოფას გადარჩენას ეძახი? დავრჩი საკუთარი თავის მესაფლავედ და კიდეც იმ იმედების მომლოდინედ, რომელსაც აქ ოდესმე უკან დაბრუნებულნი მოიტანენ.. მერე აფხაზეთი, მერე შიმშილი, სამოქალაქო ომი და ეკ, ხალხი რო ერთმანეთს დაერევა, ასეთ დროს სამშობლოს მოძებნა და ცნობა გაგიჭირდება კაცს, ძმა ძმას რომ ესვრის, სამშობლო იმ ტყვიით კვდება.“ [2004: 18] აღსანიშნავია მესაფლავის ინდივიდუალური თვისებები. იგი ერთი უბრალო, კაცთმოყვარე, კეთილშობილი ადამიანია, რომელიც მტრის გვამსაც არ ტოვებს დაუმარხავს - ეგენიც ღვთის შვილები მეცნიერი კი გონიერი კაცის ობიექტური თვალით აანალიზებდა არსებულ, სავალალო სიტუაციას. ახლა ის ომის ავტოგრაფს უყურებდა და პარალელს ავლებდა. იქ, დედაქალაქში ნაწილი „მამულიშვილებისა“ სიცოცხლით და ფუფუნებით ტკბებოდნენ „აქ კი, სხვა, მეორე ნახევარი სამყარო, სულს ძლივს ითქვამდა. აქაც და აფხაზეთშიც, ომის ნაფეხურებზე ჯერ კიდეც ლივლივებდა საკუთარი ხალხის სისხლი და არავინ, უკვე აღარავინ ფიქრობდა, თუ რა ღირდა იგი..“ [2004:21]

ეროვნული ღირსების დაკარგვის ხარჯზე ევროპისაკენ გეზადებული სახელმწიფო, გვირაბის ბოლოს სინათლეს უწინასწარმეტყველებდა თავის დამშეულ, გაუბედურებულ ხალხს. ავტორი კრიტიკული თვალით უყურებს წარსულს. მსოფლიოს ყველა კუთხიდან ჩამოსულ სტუმრებს წელში მოხრილნი ვხვდებოდით. ყველამ კარგად უწყოდა, რომ აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ფანჯრებში მხოლოდ მაშინ გვახედებდნენ, როცა ამას საქმის ფორმალური მხარე ითხოვდა.

ნარატორისა და აქტორის შეხედულებები თანხვედრია. აშკარაა, რომ ორივე თავისი ქვეყნის ჭირისუფალია, მაგრამ აქტორში იმედი ჩაფერფლილია. გულგატეხილობის სინდრომი აშკარად სჩანს მასში. იგი დარწმუნებულია, რომ მათი ასეთი ყოფა წლობით გაგრძელდება, არაფერი არ შეიცვლება. „ცვლილებებისთვის საჭიროა, რომ ვინმეს ახსოვდეს, ჩვენ კი აბა ვის ვახსოვართ? არავის! აღარც მე მახსოვს და რა ვქნა, ამ სოფლის იქით თუ ქვეყანაა კიდეც, აღარც კი ვიცი..“ [2004:24]

იოსებას შეხედულებით ქვეყანას ახლა ყველაზე მეტად საფლავები სჭირდება, ისიც დგას და თხრის.“ რომ შემეძლოს, მთელ საქართველოს გადავთხრიდი. იქნებ ამ ღია, გამზადებული საფლავების შიშმა მაინც შეზაროს ეს გამობრუებული ხალხი.“ [2004:25]

იწვა მიწის ბელტებზე მესაფლავე იოსება, თვითონვე შესაბრალოსი და ყველასაგან მიტოვებულ ღმერთზე ჩიოდა. იმ ცოდვებზე, თურმე ნაბუშრებივით რომ ვექცევით და უფლამდე არ მიგვაქვს. მესაფლავე იოსებას აზროვნება დღითი დღე აოცებდა მეცნიერს.“ ვუყურებდი და ვფიქრობდი, იოსებასნაირი კაცები ერის სამოსის რომელ საკერებლად გამოდგებოდა იმ სიშიშვლის დასაფარავად, ყველაზე შემზარავი რომ იყო საცქერლად, ან თუ გამოდგებოდა მთლიანად სამოსის პირველქსოვილად. მაგრამ იოსებას არც ჭრას ჰკითხავდნენ და არც კერვას, არც ის იცოდა, ისტორიის სტომაქის რომელ ფსკერზე განისვენებდა.“ [2004:32]

უკვე თვეზე მეტი გასულიყო, რაც იოსება შვილივით ზრუნავდა მეცნიერზე. საყდარში შეხიზნულს სოფლიდან ამოტანილი რძით კვებავდა. მესაფლავე სახელს უწუნებს მეცნიერს. თეიმურაზი არ მოსწონს და რატი უნდა დაგიძახოო სთხოვს. რატი უფრო ექართულება, ევაჟკაცურება... ამასობაში აღდგომაც დამდგარიყო. იოსება მეცნიერს აჩვენებს თუ სად მარხიან მისი მშობლები, აწვდის კვერცხს და ღვინოს და სთხოვს გულს გაუფრთხილდეს: „ახლა შენი სიკვდილი ამ მიწის სულში ჩაფურთხება იქნება“ [2004:35] ჯერ კიდევ ვერ გამოკეთებულიყო მეცნიერი. გული ისევ საყდრის კედელთან ეგდო და ჩიტივით ფრთხილდება. მშობლების საფლავზე დამხობილი რატი-თეიმურაზი საოცარ სიმშვიდეს გრძნობს. „დედა“ და „მამა“, ეს ორი სიტყვა მისთვის ახლა ყველაფერს ნიშნავს. ამ ორ სიტყვაზე უფრო დიდი ჭეშმარიტების ძიებაში დაღლილი, უძღვები შვილივით დაბრუნებულიყო ახლა, რათა ეს უდიდესი კაპიტალი-მშობლების საფლავები ეპოვნა და ამით, სიცოცხლის აზრი დაებრუნებია. ასეთ სიმშვიდეს უბედურება დიდი ძიების შედეგად აღწევს. რატი თეიმურაზი მშობლების საფლავზე ინანიებს იმ ცოდვას, დედა რომ დაკარგა და ის ქალი ეპოვნა, ვინც ყველა და ყველაფერი დააკარგვინა. ახლა მხოლოდ მესაფლავე იოსება ჰყავს. ესაა მისი მასპინძელიც, მშობელიც, აყვლებული მიწის მოყურადეც და ფუძის ანგელოზის მფარველიც. ცხოვრებას, გამოცდილებასთან ერთად, სიბრძნეც მიუცია იოსებასთვის. უამრავი წიგნი წაუკითხავს მეზობლის მიტოვებული ბიბლიოთეკიდან და ალბათ, სწორედ ამან შეაძლებინა, გონების თვალთ, გვერდიდან შეეხედა ცხოვრებისთვის, რომ მის ადიდებულ ტალღებში ფონი ეპოვნა. იოსებას პრაქტიკული გონება მეცნიერ რატი-თეიმურს ურჩევს, ხელახლა „აიდგას ფეხი“ რეალურ ყოფაში დასაბრუნებლად: „-ახლა კარგად მისმინე: საფლავები გაქვს, შენი საკუთარი მკვდრები გყავს, შენი შესანდობრები გყვანან, მოგონებები წამოვა და წამოვა, ხსოვნა დაგეწმინდება, აგიმალღდება და შენც ცოტა წელში გაიმართები.“ [2004:37]

სასაფლაოზე ალანების მიერ ამტყდარი სროლა იმის ნიშანი იყო, საფლავებზე გამოსვლა ხომ არავინ გაბედაო?! იოსება ძლივს ასწრებს საყდარს შეაფაროს რატი-თეიმური. თვითონ გადის და ახერხებს მათ „დამშვიდებას“.

ათეული წლების წინ საკუთარ სამშობლოს, მშობლებსა და სოფელს გარიდებული რატი-თეიმური, ახლა, მესაფლავე იოსებას მიჰყავს გავერანებულ სოფელში, სადაც ძეხორციელი აღარ ჰაჰანებს. იოსებას მჭერმეტყველება და მოვლენებისადმი ფილოსოფიური მიდგომა აოცებს თეიმურაზს. მისი დამრიგებლური, ზოგჯერ შემტევი სიტყვები მისაღები და უწყინარია მისთვის. იოსება მაინც აფრთხილებს, არაფერი გეწყინოს, რადგან ზალდამჩაქცეული და ჩაფურთხებული სულიდან დაშაქრული სიტყვები ძნელად ამოვაო. იოსება უსასტიკესი მყოფადის დენტს ჰგავს. რატი-თეიმური გამოუვალობის პრინციპით ხსნის აწმყოში მიმდინარე პროცესებს. იოსება „ფეთქდება“, ყველასთან ერთად რატისაც ადანაშაულებს ქვეყნის გაღარიბებასა და შეჭმაში. ასეთ ქვეყანაში მხოლოდ ომიოა მამლარი. რატი-თეიმურის ჩურჩულით ამოთქმულ კითხვაზე, მითხარი, სად წავიდე და წავალო, იოსება უკან არ იხევს „-წახვალ? სად ჯანდაბაში წახვალ. ეს ჯანდაბა ახლა შენი მიწაა და გინდა თუ არ გინდა, ის უნდა იმყოფინო წყლად და პურად, დარდად და სიხარულად, გულიც რომ გაგისკდეს...აღარც შენ მეცოდები, აღარც შენ!..“ [2004:8] რატი მდგომარეობიდან გამოჰყავს იოსებას შეუბრალებელ ტონსა სისასტიკით აღსავსე სიტყვებს, თვალთ უზნელდება და რამდენჯერმე, ზედიზედ იმიტომ მოუღერებს ხელს ყბაში იოსებას, რომ იგი არ იძვრის, თითქოს სთხოვს, კიდევ დამარტყიო. მერე კი, როგორც საკუთარ მიწაში მყარად ფესვგადგმული და უდიდესი გამოცდილებით სიბრძნესთან წილნაყარი, მადლობას უხდის რატის, რამეთუ ასეთ გამწარებას მისი ტვინის ამოძრავებისა და კაცად ქცევის საწინდრად მიიჩნევს.

მესაფლავე იოსება, ღვთის ნებით კაცში ჩასახლებული სინდისის ხმას ჰგავს. სინდისის, რომელიც ან გაქვს, ან არ გაქვს. თუ იოსებამ შეძლო, საკუთარი მიწა-წყალი სიკვდილის შიშითაც კი არ დაეთმო, სინდისი როგორ აიღებდა მასზე ხელს. რატი-თეიმური კი ხმას ჰგავს ერისას, რომლის კვნესა და ვაება უკან ბრუნდება ექოსავით. ხან ბგერათა მკვეთრი სისავსით, ხან გაბზარული და მიმსგავსებული.

სასაფლაოდან სოფელში ჩასულ რატი-თეიმურს, დაქცევის პირზე მისული მამისეული სახლი ტკბილ-მწარე მოგონებებს აუშლის. ბავშვივით ატირებულს იოსება მიიკრავს გულზე: „წავიდეთ, დიდი

გაგება არ სჭირდება ამ კითხვებს, მისი პასუხები ისევ შენშია და მის მოსმენასაც და გაცნობიერებასაც შავი ჭირით გავურბით ყველა. როცა შენულის შენად აღარც ცნობა შეგიძლია და მითუმეტეს, აღარც დაცვა, ასეთ დროს ყოველთვის არსებობენ სხვები, რომელთაც მოთავისებობის ყველაზე მძაფრი სენი სჭირთ და ის განსაკუთრებით მაშინ უმძაფრდებათ, როცა რწმუნდებიან, რომ მეპატრონეებს პატრონობის უნარი აღარ შესწევთ.“ [2004:70]

რატი-თეიმური პირველია, ვისაც იოსება გულს უხსნის და თავის პირადულზე ესაუბრება. უკანონოს შობილს ბავშვობიდანვე კომპლექსი და არასრულყოფილების განცდა უღალატო მეგობარივით აჰყოლია. ალბად სწორედ ამიტომ იყო, რომ მეგობარს საყვარელი ქალი ისე დაუთმო, თითქოს ერთი დღის სადილზე ეთქვას უარი. ის ქალი-სულეთია, თვითმკვლელობამდე მიჰყავს უსიყვარულო, უსულგულო ცხოვრებას. იოსება თავს დღემდე დამნაშავედ გრძნობს სულეთიას ცხოვრების ამგვარად წარმართვაში. უკანონოდ შობილი არასოდეს არ იქნება ბედნიერიო, ამბობს იგი და ალბათ სულეთიას ბედისწერა, მისი უშვილობიროდ გადაგდება და თუნდაც ოკუპირებულ ტერიტორიაზე მარტოობაში, გიჟის სტატუსით საფლავების თხრაც მის მიერ აკვიატებული მარადიული უბედურების გაგრძელებაა. იოსება იხსენებს ოსი სეპარატისტების გააქტიურების პერიოდს. 9 აპრილი თვითონ ვერ ნახა, მაგრამ ცხადად იგრძნო, როგორ დადგომოდა საქართველოს ჟამი უბედური ბედნიერებისა.

„დიდი განძის ვერმომფრთხილებელი იოსება ლიტერატურულ პერსონაჟთა შორის ყველაზე მეტად თეიმურაზ ხევისთავსა ჰგავს, მაღალფარდოვნად მოლაპარაკე ფილოსოფოსს, რომელმაც თავისი უნიათობის „მარგალიტი“ სწორედ რომ ღორთა შესამუსრად გასწირა“. [დევედარიანი რ, 2010:8]

ქურთაში, საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებამ ალანების გააქტიურება გამოიწვია. „და აირია ყველაფერი. დაძაბულობამ და დაპირისპირებამ კულმინაციას მაშინ მიაღწია, როცა ავტონომია გააუქმეს და ამ ძირძველ, ქართულ მიწაწყალზე დამოუკიდებელი რესპუბლიკის უფლებები გამოაცხადეს. უბრალო, რიგით ალანებს ამას ვინ ჰკითხავდა, ჩვენ ისე ვიყავით შესისხლხორცებულნი ერთმანეთს, აზრადაც არავის მოუვიდოდა ერთმანეთზე აღგვემართა ხელი, მაგრამ ყველაფერი უფრო და უფრო უმართავი ხდებოდა სხვათა და სხვათა წაქეზებით. [მეტრეველი ზ. 2004:101] პირველი გასროლა იყო მთავარი, მერე კი აღარავის უკვირდა კაცზე ნადირობა. ჩრდილოეთიდან „ბოევიკების“ შემოყვანამ უმართავი გახადა პროცესები.

იოსება - ერთი უბრალო, გაუნათლებელი კაცი, ალანების უმადურობითაა აღშფოთებული. ჩვენს მიწას როგორ გვედავებიანო, შესჩივის რატი-თეიმურს, რომელიც მშვიდად პასუხობს, რომ მიწა, კაცისთვის, მხოლოდ ისაა საკუთარი, ახლა რომ საფლავებად ითხრება. ამ სიტყვების ფილოსოფიურ დატვირთვას ვერ ხსნის მესაფლავე და საყვედურის კილოთი, ჯიგრის გაციებაში ადანაშაულებს კაცს, რომელსაც, მისი თქმით, რაღა უნდა მოკითხო, როცა საკუთარი სოფელი ოცი წელი თვალით არ უნახავს. სწორედ მისმა მსგავსმა ზომიერებით გაჯერებულმა ელიტარულმა ტვინებმა დააკარგვინეს ბევრი რამ საქართველოს. რატი თვლის, რომ იოსებას, როგორც გლეხს, როგორც ამირანივით მიჯაჭვულს საკუთარ მიწაზე, სხვაგვარად ვერ ააზროვნებს, რადგან მისთვის უცხოა პოლიტიკური სვლები და კომპრომისები. იცის, რომ დავა არ ღირს და ამასვე ეუბნება იოსებას. იოსებამაც იცის ეს. იცის, რომ „ზედა ფენამ“ ბევრად მეტი დააკარგვინა ქვეყანას. „-ამიტომაც ივლის საქართველო შენი გზით-პირზე ზრდილობააფარებული და ჩემი გზით - ერთთავად შეგინებული და სულში ბალღამჩაქცეული.“ [2004:103]

სამაჩაბლოს სოფლებში რომ შერეული ეროვნების ადამიანებმა ერთმანეთში მტრის აღმოჩენა დაიწყეს და ნამდვილად ქართულ მიწაზე „შენია“, „ჩემია“, ამკარად მაშინ დაიწყო ჩვენი უბედურებაო, თავის განცდილ-ნაზრევს ისევ რატი თეიმურს უზიარებს იოსება. სხვა ვინ ჰყავს! კიდევ, სოფლის დაცარიელებული სახლები და ასეთივე საფლავები ელიან პატრონებს..სახლები სულდგმულთ უხმობენ, საფლავები კი უსულგულო ადამიანების მიერ გვამად ქცეულ ადამიანებს. დაბრუნდებიან კი, ოდესმე? ახლა, ერთადერთი ადამიანი, ვისაც შეიძლება თავისი ტკივილი ატკინოს, რატია. მასთან საუბარში თავს არაფრისმაქნისს უწოდებს, რადგან ან ტაშს უნდა უკრავდე ვინმეს, ან საზარბაზნე ხორცად უნდა გამოადგე, მან კი ვერც ერთი შესძლო და ვერც მეორე. ომის დანიშნულების ცოდნა არ ნიშნავს, საკუთარი დანიშნულების ცოდნას ამ ომში. მესაფლავე, სოფლიდან გაუსვლელად გრძნობს, თუ რომელი ფესვიდან იკვებება ქვეყნის უბედურება. ხუთ მილიონიან ხალხს, რომ ხუთი ერთნაირად მოაზროვნე ადამიანი არ აღმოაჩნდება, ერთი გზით როგორ ივლის ქვეყანა!... სამაჩაბლოს მომავლის სხვადასხვაგვარად წარმოდგენამ, დაქსაქსვამ და საკუთარ შესაძლებლობებში ღრმად დარწმუნებამ განაპირობა ის, რომ ჩვენს აზრზე მოსვლამდე, „ჩაგრულთა მოსარჩლე“ ჩრდილოელი მამების წყალობით ალანები კბილებამდე შეიარაღდნენ.

აღნიშნულ ნაწარმოებში ავტორი აუქტორული ნარატორია. მოქმედი პირების საშუალებით იგი ობიექტურად გვიამბობს იმ დროისა და პოლიტიკური სივრცის შესახებ, რომელიც საბედისწერო აღმოჩნდა საქართველოსთვის. ამკარად ჩანს მისი ფსიქოლოგიური წვდომისა და იდეოლოგიური პერსპექტივის გამოყენების უნარი.

მესაფლავე იოსება ადგილის დედაა, რომელმაც კარგად იცის რა სჭირს მის მიწას, რითაა დაავადებული, რა და, რატომ დამართეს. ისიც იცის, ამ ომში რომ პატრიოტული წყურვილის მოსაკლავად აგორებული მოწოდებებით მარცხი მეტი განიცადეს, ვიდრე გამარჯვება. და ეს ის ომია, რომელსაც გამარჯვებული არაფრით არ შეიძლება ჰყავდეს. იოსება თავისი მიწის გულია და რა გასაკვირია, ტკიოდეს ის, რაც ალანებმა ქართველებს დამართეს. რატი -თეიმური, ეს უკვე გონება თავისი მამულისა, უსმენს მას და ახსენებს, რომ ამ დროს არც ჩვენები ყოფილან გულხელდაკრევილნი. მესაფლავეს ამაზეც აქვს პასუხი: „ჩვენი ბიჭებიც ბევრს სჩადიოდნენ და საკმაოდ მკაცრადაც, რადგან ომის წესებს არც ალანები ადგენდნენ და არც ქართველები, ეს ხომ იმთავითვე განსაზღვრული იყო, რომ ომში თუ სხვა არ მოკვდება, შენ ვერ იცოცხლებ, ამიტომაც ხელყოფ იმას, რაც შენ არ გეკუთვნის და რისი მემკვიდრეობაც სიცოცხლის დღეებს იხანგრძლივებ.“ [2004:105]

რატი თეიმურისა და მესაფლავე იოსებას საუბარში მკვეთრად იკვეთება ალანი ვლადიას სახე. ვლადია უხსნის რუს ოფიცერებს, რომ მესაფლავის სიკვდილი, რომელსაც მათი მომძის სისხლში ხელი არ აქვს გასვრილი, მათთვის არაფრის მიმცემია. იოსებას კი, შიგადაშიგ, კიდევ ურჩევს, თვალში ნუ შეეჩხირება სალდათებს. ვლადიას მოქმედება ცხადყოფს, რომ იგი სიღრმისეულად არაა ეროვნულ-პოლიტიკური კურსის გამტარებელი. აქ ის ზნეობრივი კრიტერიუმში იკვეთება, რომელმაც მის ფსიქიკაში ჩაღეჭილი მშვიდობიანი თანაცხოვრების კადრები ვერ წაშალა. აქვე, ვლადიას კეთილგანწყობის ასახსნელად, მესაფლავე დასძენს, რომ ვლადიას და ქართველზე გათხოვილი ქალი, ახლა ორ ვაჟთან ერთად ვლადიკავკაზში გაიყვანეს. ქმართან კი, ომის დასაწყისშივე გააწყვეტინეს კავშირი. რატი-თეიმური იმედოვნებს, რომ მომავალში, ის ორი ყმაწვილი, ქართველობით ისარგებლებს და ჩვენთან ჰეროინს, იარაღს ან უკეთეს შემთხვევაში რუსულ საქონელს შემოიტანს. ყველაფრის მიუხედავად, შერეული ქორწინებების შედეგად დამოყვრებულ ადამიანებს სისხლის მიზიდულობა და ერთად გატარებული წლების მძაფრი, ნოსტალგიის ფრთებით აფარფატებული ანდამატი ოდესმე მაინც შეაერთებს. (ასეც მოხდა, ვლადიას დისშვილმა მამა მოიკითხა და ოჯახი ისევ გამთელდა.)

ომის ეპიცენტრში ჩარჩენილი მესაფლავის დაკვირვებით, აქაური ალანების მტრობას დანდობის პოლიტიკის იერი დაჰკრავდა. „ესენი კი.. მაინც შერჩათ რაღაც მშობლიური და შემწყნარებლური. თანაც ეს ნათესაური ჯაჭვი, რაც ჩვენს შორის ისტორიულად არსებობდა, ბოლომდე ვერ წყდება ვერასოდეს და ქვეყნის დასალიერს გადაკარგულ ორ რგოლს მაინც ერთმანეთისაკენ ეზიდება...“ [2004:110]

ნაწარმოების კვანძი ექსპლიციტური მთხრობელის, რატი-თეიმურის აწ უკვე ოკუპირებულ, მშობლიურ სოფელში დაბრუნების მიზეზის იხსნება.

ნაწარმოების მთავარი პერსონაჟი, რატი-თეიმური კოლონიური ეპოქის ინტელიგენტია იმ კატეგორიას მიეკუთვნება, რომლებიც ყოველთვის მზად იყვნენ, შერყეული პირადი დამამშვიდებელი აბებით გაებრუბიათ და მათზე გადაბიჯებით იერარქიულ კიბეს ამაყად აჰყოლოდნენ.

იძულების წებოთი ერთმანეთთან დაკავშირებულ ოჯახის წევრებს ბუნებრივ მდგომარეობაში დასაბრუნებლად იმ ბომბის ნამსხვრევი ეხმარება, რომელიც 9 აპრილს, გამთენიისას თბილისს დაეცა. თავისუფლების მთხოვი, მხოლოდ წარსულის კაბის ამარა დარჩენილი პატარა გავროში არ დაზოგა მსოფლიომ, არ აპატიო... ეროვნული მთავრობის ერთწლიანი მმართველობა ჯერ სამაჩაბლოს დაკარგვით აღინიშნა, მერე კი აფხაზეთის დამოუკიდებელი რესპუბლიკის სტატუსმა მისი დაკარგვაც განსაზღვრა. დადგა დრო, როცა ყველა ოჯახის კარზე გაჭირვებამ მიაკაკუნა. უსაშველო პურის რიგებში იდგა თეიმურაზიც (რატი-თეიმური). მის ოჯახში ყველას ჩამოხსნოდა ნიღაბი. პატივმოყვარე, მისი ცხოვრების მმართველი ცოლი გალოთდა და ნაკლებად მომთხოვნიც იმის გამო გახდა, გარშემო აღარავინ იყო, ვისაც რამეს შეაშურებდა... მისი სახით ავტორი იმ ქალთა სახეს გვიჩვენებს, რომლებმაც მხრებიდან შარფივით მხოლოდ იმიტომ მოიხსნეს დედობისა და ქართველქალობის მიწეპებული მოვალეობა, რომ ქვეყნის თავისუფლების ძიებამ მათ არაა არგო და კეთილდღეობა დააკარგვინა.

9 აპრილით გაერთიანებული ერი გაჭირვებამ ისევ დაქსაქსა. „იყიდებოდა ყველაფერი, დგამ-ავეჯი, ჭურჭელი, წიგნები, იარაღი, ცოლი, შვილი, სინდისი, მორალი, ზნეობა, არ არსებობდა არაფერი მოუსყიდველი და შეუსყიდველი, რადგან პოლიტიკური თავისუფლება ძალზე დიდი ლუკმა აღმოჩნდა, რომელმაც ერის საყლაპავი მილის ეროზია გამოიწვია, მთელს ორგანიზმში გადაუშუშავებლად გაიჟღინთა, გადაიწრიტა და სიმამღრის ნაცვლად სამსალის დანიშნულება შეიძინა.“ [2004:137]

ინტელიგენციის ნაწილმა ქუჩაში, ლუკმაპურის საშოვნელად გადაინაცვლა. ნაწილმა ესეც ვერ შესძლო და უდიდეს განსაცდელში აღმოჩნდა. უსწავლელი და ღარიბი გამდიდრდა.

რატი-თეიმურის ოჯახი ერთ-ერთი ქართული ოჯახის ტიპური მაგალითია იმ პერიოდის რეალობიდან. მისი მეუღლე და მამისადმი ცინიკურად განწყობილი ქალიშვილი, თურქეთში მიდიან. ვაჟი, რომელიც 9 აპრილის მონაწილეა, ნარკოტიკების მომხმარებელი ხდება. იგი უკვე საცინად იგდება მამას, მის იმედებს. ბაზრად ქცეულ სამშობლოს, რომელმაც ამდენი ხალხი ფეხებზე დაიკიდა.. ერთადერთი, სამშობლო რჩება თითმისაშვერად საჩინო და ხელშესაწმენდი.

მათ ოჯახში, 1995 წლის შემობრძანებას, ვინმე თურქი ქურთი-მემედ ქერიც შემოჰყვა.

ეს „საჩუქარი“ თურქეთიდან ჩამოიყვანა რატის ცოლ-შვილმა. საკუთარი თვალთ დასახულმა ოჯახის წაბილწვამ იმ საავადმყოფოში მოახვედრა, რომელიც ისევე იყო იავარქმნილი, როგორც მისი ოჯახი და სამშობლო. მის მოსანახულებლად მოსული ჯუანშერი, რომელიც სამაჩაბლოს წილიდან იყო, ცდილობდა მხოლოდ პოლიტიკაზე ესაუბრა. კარგად დაამახსოვრდა მისი ბრძნული გამონათქვამი: „სტუმრად შემოკედლებულ კაცს, რომელშიც პოტენციური მტერი უფრო იცნობა, ვიდრე მოყვარე, რბილი სასთუმალი არ უნდა დაუფო, ძვლები კი იმ მიწაზე უნდა დააყრევინო, საიდანაც შენი წინაპრთა ღადადისი მშვიდად ძილს არასოდეს შეაძლებინებს. და თუ მაინც, გული აგიჩვილდა და რბილი სასთუმალი დაუგე, საუკუნეში ერთხელ ლეიბი ისე ფრთხილად უნდა გამოაცალო, რომ შენი მიწის მითვისების ავი ზრახვანი საშოშივე მოუშთოო.“ [2004:144]

რომანის მთავარი გმირი თანმიმდევრობით გვამახვილებინებს ყურადღებას ყველა იმ მიზეზზე, რომელმაც ფატალური შემთხვევისაკენ უბიძგა. - მაღალ იდეალებზე მქადაგებელი პროფესორი გახდა მკვლეელი საკუთარი ცოლისა, რომლის პირველი დანაშაული მშობლიური ფესვებიდან ქმრის მოწყვეტა იყო. მასში ილვიძებს სიამაყე ქართველი კაცისა და ვინც საკუთარ სახლში ცოლ-შვილის სარეცელი წაუბილწა, მასაც კლავს. განარკოვანებული ფარნა ფარდას ხსნის ამ მკვლელობებს. ჩემი გასაკეთებელი შენ გააკეთეო, უთხრა მამას, მაგრამ დის სიკვდილის გადატანა აშკარად უჭირდა - მკვდარი თურქი რომ დაეცა, თავოსაც შიშისგან გასკდომოდა გული. ფარნას გაქცევა უნდა, შორს, სადღაც, თუნდაც სოფელში, მათ მშობლიურ სოფელში, მაგრამ ის სოფელიც ხომ აღარაა!... ქვეყანაში ცოცხალ მიცვალებულთა მართონია. ფარნა ლოგიკურად აზროვნებს, მაგრამ უნარი არ შესწევს დროის მანქანა მართოს. დაკარგა ღირსება, სიამაყე... გადარჩენის ვერანაირ გზას ვეღარ ხედავს და ებრალება, ყველა ვინც ამ დრომ იმსხვერპლა. „ვინ ვართ და სინამდვილეში რისთვის ვარსებობთ, ვერაფერი გამიგია. ვიბრძოდი და მეგონა, რომ მშვიდობისათვის ვიბრძოდი, მშვიდად ვარ და არ ვიცი, ვის ან რას ვჭირდები.. ასე მეგონა, რამდენი ხანიც არ უნდა გავიდეს, ჩვენს თაობას ეს ქვეყანა არასოდეს მოისაკლისებს. სამსხვერპლო თაობა ვართ, უბრალო, სატარიგო ბიჭები. ისინი კი, ვინც ჩვენ სამსხვერპლოდ გვიმეტებენ, საკუთარ ადგილებს ნამდვილად დაიმკვიდრებენ ამ ქვეყნის ისტორიაში. არადა, როგორ მინდოდა მეც ჩვეულებრივი, კარგი ბიჭი ვყოფილიყავი. ჩვეულებრივად ყოფნა კი თურმე არაჩვეულებრივად ძნელი ყოფილა.“ [2004:157] მისი ტკივილიანი საუბრის შემდეგ დაბადებულმა იმედმა, რომ ფარნას შემობრუნება შესაძლებელი იყო, მამა მეორე დღესვე ისევე მიატოვა, როგორც სხვა დანარჩენმა სიკეთემ - ნარკოტიკის დიდმა დოზამ შესძლო სამუდამოდ დაემშვიდებინა მისი მშფოთვარე სული. და აი, სოფლიდან ოცი წლის წინ წასული პროფესორი უკვე შინაა. ამჟამად უკვე დაცლილ, მტრისგან იავარქმნილ სოფელში.

რუსი მაიორი საჩუქრად უტოვს იოსებას ალანის ნაცოლარ, მათგან გაუბედურებულ ქართველ ქალს. იოსებასგან ქალის დატოვებას თავისი ახსნა აქვს: „აბა სხვა რა უნდა მექნა, ეს რომ სხვა ყოფილიყო, კარგად იცი, თავს ფუფუნების უფლებას არ მიცემდი, მაგრამ ის ხომ ჩვენებურია, ამ მიწის სისხლი და ხორცი, თუ მას მოვიკვეთავთ, მერე აზრიც აღარ ექნება ჩვენს აქ დარჩენას და ჩოჩიალს.“ [2004:178] ავტორი ცდილობს და ახერხებს, ყველა კითხვაზე პასუხი ნაწარმოების პერსონაჟს გააცემინოს, გაანალიზებინოს და გრჩება განცდა, რომ ყველაფერი ახსნილია, არ ჩნდება კითხვა, რადგან ყველაფერი ნაპასუხებია.

ატას გამოჩენამ აზრი შესძინა რატის ცხოვრებას.. სამყაროს ერთ მივიწყებულ კუთხეში შესაძლებელი გახდა რატის წარსულის კაციც დაფიქრებულიყო მომავალზე. ტრაგედიის ელდით დამუნჯებულ ახალგაზრდა ქალს მტრისგან შეუმჩნევლად, საგულდაგულოდ „ფუთავდა“ და პატრონობდა იოსება. ატა სიცოცხლის საწყისს წარმოადგენს გავერანებულ სოფელში. ყველასგან დავიწყებულები რადიოში ისმენდნენ, ურთიერთობის აღსადგენად წინ გადადგმულ ნაბიჯებზე. გაყინულ პენსიებზე და ხელფასებზე. „ამ საცოდავი სამშობლოს რმედამშრალ ძუძუებს სულ რამდენიმე კაცის ნაკბილარი თუ აჩნდა. დაკვირვებული თვალი ამ ნაკბილართა მიხედვით მკბენელთა ვინაობასაც ადვილად დაადგენდა, საკმაოდ საღი, ალესილი კბილები ჩანდა. ლაპარაკის თავისუფლების ბოძებამ, კომუნისტთა რკინის უღლის ქვეშ მონობა ლამის სანატრელი გაუხადა ხალხს.“ [2004:236] შეჭირვების ჟამს, ხშირად, თავისი მეგობრის, ჯუანშერის სიბრძნე წამოეშველება რატის „ერისთვის უპირველესი ის ძველმანი ადათ-წესებია, რომელიც თითოეულ ინდივიდს ერთ მთლიანობად ჰკრავს და რომელიც ათასწლეულებში ნალექს ნაღებისაგან განაცალკევებსო. ათასწლეულს შორის მეოცე საუკუნე ყველაზე თავხედი, ყველაზე უგუნურად გაზრდილი ბავშვი იყო, რომელმაც თავისი ჭირვეულობანი მოწიფულობის ასაკში ცივილიზებული მეთოდებით შექმნილი ომებით მხოლოდ იმიტომ დახვეწა, რომ ადამიანებს მშვიდობა ყველაზე ამაღლებული და ღირებული მოსჩვენებოდათ.“ [2004:258] სწორედ ამ უგუნურმა ბავშვმა გადაწყვიტა, სახე შეეცვალა ყველაფრისთვის. დანაშაულშიც კი გაჩნდა რაღაც ახალი, ჯერ არარსებული სისასტიკე და დაუნდობლობა. სიყვარულის ხსენება ზედმეტი იყო. გაბატონდა ჟინი,

რომლის გაჩენა და მოკვლა თითქმის ერთდროულადვე ხდებოდა. არც ქვეყანას ჰყავდა პატრონი, არც - ადამიანებს...

სოფლის სასაფლაოს მკვიდრთ, კიდეც ერთი,მათი ფესვით ნაკვები, რუსეთში „მოღვაწე“ „ირაკლიჩი“ მოაკითხავს - მამა სიზმარშიც არ მასვენებს, ეკლესია უნდა აღვადგინო. ეს ის ნათლისმცემლის ეკლესიაა, იოსება და რატი-თეიმური რომ თავს აფარებს, სასაფლაოზე. ეს ის ეკლესიაა, რომელზეც ერთ-ერთ ინტერვიუში საუბრობს ნაწარმოების ავტორი: „ყოველ 21 ნოემბერს, მთავარანგელოზობას, ყველა ერთ რიგში ჩამდგარნი შეეწყვებოდით ხოლმე იკორთის ტაძრისკენ მიმავალ აღმართს და თითოეული თავისებურად ეძებდა იმ ღმერთს, რომელსაც ასე დღისით, მზისით, თვალწინ უმაღავდნენ, ეძებდნენ და პოულობდნენ კიდეც.“ [შაიშმ.თ <http://kvira.ge>]

ჯიბესავსე, მაგრამ შინაგანად დაცლილ „ირაკლიჩში“ რაღაც მშობლიური ჯიგარი იღვიძებს და ერთადერთი, რასაც ახლა ის ნატრობს, სამუდამოდ აქ დამკვიდრებაა. ტაძარი ცოდვიან ხელს ვერ გუბს, კედელი მანამდე ინგრევა, ვიდრე იოსება არ შეცვლის „ირაკლიჩის“ მოყვანილ, ცოდვილ ატილას. ატილა სხვა ეროვნებისა არაა, მაგრამ ცოდვილი ცოდვილია. რა მნიშვნელობა აქვს ეროვნებას, თუ ეშმაკს სული მიჰყიდე და ღმერთს განუდექი. ასეთი მიდგომით იმშვიდებს სულს იოსება, როცა ახსენდება, ღამე, თავში ჩარტყმით როგორ მოკლა კაცი, რომელმაც ჯერ ლითონი შემოხსნა საფლავს და მერე თხრა დაიწყო, მიცვალებული ძვირფასეულობისგან რომ გაემარცვა. ალანი აღმოჩნდა მოკლული.. თუმცა, ღამე რას ხედავდა, ვინ იყო. ვინც არ უნდა ყოფილიყო, მაინც მოკლავდა მიცვალებულის შემბილწველს! ალანი დამარხა, ღამეც გაუთია და აღდგომას წითელი კვერცხიც გადაუგორა.

ტაძარის დასრულება მისივე კედლების დაცხრილვით აღნიშნეს რუსმა „სტუმრებმა“ და ამ ფაქტით გაოგნებულ-აღშფოთებული „ირაკლიჩის“ „სიცოცხლეც ზედ მიაყოლეს. თუმცა მას უკანასკნელი სურვილი შეუსრულდა, - იოსებას მიერ გათხრილი ერთ-ერთი საფლავი მას ერგო. ასეთივე ბედი ეწია ძებნილ, ცოდვილ ატილასაც... იოსებას დასამარხი გახდა ბავშვობიდან სიკვდილამდე სვეგამწარებული კაცი, რომელსაც უნდოდა, თავისი უბედურება სამყაროსთვის ეზღვევინებია.

ნაწარმოებში აშკარად სჩანს ანდამატური ძალა საკუთარი მიწისა. თავისი გმირები სხვა მიწისთვის არ ემეტება ავტორს. სიკვდილის წინ აბრუნებს უკან და იმ ადგილს, რომელშიც მტერი ეცილება, ამგვარად ასაკუთრებინებს.

ალანი ვლადი, იოსებას მოკვლას არ ურჩევს მაიორს. მერე კი, თვითონვე იმათგან იქნა გამეტებული. „ასე ყოფილა.. ერთგულად ნამსახურ მონებს გამორჩეული სისასტიკით სჯიან მზრძანებელნი. მათგან ეს პატივის თავისებური ხერხია, რომელშიც ზედმიწევნით კარგად სჩანს თანადგომის ცივილური დახვეწილობა.“ [2004:482] რას მოიფიქრებდა ვლადი, რომ იოსებას მიერ გათხრილ საფლავში იპოვნიდა სამუდამო განსასვენებელს. იმ საფლავთაგან, რომლებიც მშობლიურ მიწას დანატრებულებმა ამოავსეს, ვლადის საფლავი იყო ბოლო, თუმცა ის იოსებასთვის იყო განკუთვნილი...

მოლაპარაკებების შედეგად მდგომარეობა შეიცვალა. სოფელში ჯერ ალანი მოსახლეობა დაბრუნდა, მერე ქართული. სიცოცხლე განახლდა. ატას და რატის ვაჟის დაბადება მომავლისადმი ოპტიმისტური დამოკიდებულებაა. დამუნჯებული ატა ხმას იღებს და ეს ახალი სიტყვის, ახალი ცისკრის საწინდარია. ვალმოხდილი იოსებაც იმ სამყაროში ინაცვლებს, საიდანაც ხელშეუხებელი და ნირშეუცვლელი სულის ნეტარი დასციცინებდა.

რომანი-სატირა, რომლის საშუალებითაც ავტორი, ოპტიმუმად, ორივე მხარეს ღრმა დაფიქრებას სთავაზობს, ფართო მსჯელობის საგანია. „ძირითადად ხალხური დიპლომატიისა (იოსება, რომელიც გვევლინება მედიატორის როლში) და ნაწილობრივ საერთო სახელმწიფოებრივი პოლიტიკის წყალობით უბრუნდებიან იქიდან წასული ოსური და ქართული ოჯახები, იწყება ჩვეული ადამიანური თანაცხოვრება. ნაბიჯ-ნაბიჯ ხორციელდება სოციალური ფისბილდინგი, რაც საფუძველია ახალი „მშვიდობიანი“ კულტურისა საზოგადოებრივი და შიდასაზოგადოებრივი ცხოვრების სოციალური წყობის ფარგლებში, ოდესღაც კონფლიქტის გამო მიტოვებული და გაპარტახებული სოფელი მისი მცხოვრებლების შერიგების ციკლის თითქმის ყველა ელემენტის გათვალისწინებით იქცევა ალუზიად ფისბილდინგისა, რაც საწინდარი უნდა გახდეს სამუდამო შერიგებად დანაწევრებულ საზოგადოებაში. ასე, რომ ზეინაბ მეტრეველის რომანი „საყდრის ჩიტები“ ერთგვარი პერსპექტიული ალუზიაა ლოგიკური კონფლიქტის დესკლაციის წარმოდგენისა მხატვრული ტექსტის მეშვეობით.“ [გოგოლაძე. თ. ბარბაქაძე. ქ. 2009:149]. თუმცა წინ 2008 წლის ომია...„უკიდურეს გაჭირვებაშია დღეს ყველა, შეიძლება ითქვას, რომ სრულიად საქართველო ლომბარდში დევს და, ღმერთმა უწყის, ვინ და როდის გამოიხსნის... დღეს ვინც ბედნიერია, ღმერთმა ყველა კარგად ამყოფოს, მაგრამ ჩემთვის პირობითი ცნებაა ბედნიერება მაშინ, როცა უბედურება ასე ხელშესახება ყოველ ნაბიჯზე, ზოგჯერ ძალიან მინდა და აღარ მიხარია, იმდენად, რომ საკუთარ თავს უბედურებასაც კი ვსაყვედურობ, მაგრამ, როგორც ჩანს, ჩემში იმდენად ღრმადაა ჩაკირული სევდა, რომ მას ველარაფერი ამოშანთავს...“ კიდეც.“ [შაიშმელაშვილი თ „kvira.ge]

ლიტერატურა:

1. მეტრეველი ზ., „საყდრის ჩიტები“, თბ., 2004
2. დევდარიანი რ. „წერილები“, „წმინდა იკორთის მონასტერი“, საგამოცდო ცენტრი, 2010.
3. შაიშმელაშვილი თ. „ინტერვიუ ზ. მეტრეველთან“ <http://kvira.ge>
4. გოგოლაძე თ. ბარბაქაძე ქ. „სამაჩაბლოს კონფლიქტის თემაზე შექმნილი მხატვრული ტექსტები“, ახალციხის სახელმწიფო უნივერსიტეტის სერგი ჯიქიას დაბადების 110 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენციის მასალები, „უნივერსალი“, თბილისი, 2009.

Klara Gelashvili

Sokhumi State University

STIGMA OF THOSE WHO WENT THROUGH THE WAR IN “BIRDS OF THE CATHEDRAL” RESUME

In the novel “Church’s Birds”, written by Zeinab Metreveli, is described the time of ethnoconflict in Georgia, the events of the post-war period when as a result of Russia’s forces rude interference Georgia had lost territories.

The abandoned village, Ioseba- a grave-digger, Rati-Theimur, Atta, Magda and the members of the “peace-keeping force”, they all are parts of the tragedy having traced its influence on them. people, who are separated by the evil hands still maintain their holy feelings.

The grave-digger Ioseba worries about, because even the living people are forgotten in this country . Remembering is necessary for changes.

The novel is written by beautiful Georgian, with the author’s wisdom and with unique artistic value.

We hope, the representatives of big nations will think about our nation’s problems.

მაია გელიაშვილი

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

დღიური, როგორც აღსარების ერთ-ერთი ფორმა, XX საუკუნის მწერალთა ჩანაწერებში

მწერლის უპირველესი საშუალება სიტყვაა, მისით უნდა განაცოცხლოს, შექმნას, დახატოს, განწმინდოს, ათასობით მკითხველისაკენ გაიკვლიოს გზა. დიდი მწერლობა დროს არ ემორჩილება, ის მომავლის მსახურია. ხშირად მწერალი მხოლოდ მაღალმხატვრული ნაწარმოებების ავტორი არაა. თავიანთ ფიქრს, ტკივილს, შიშს მიანდობდნენ უბის წიგნაკებს, რვეულებს, ზოგჯერ ერთი წინადადებით გამოხატავდნენ განცდილს. ბევრი მათგანისთვის ის იყო დღიური, რომელსაც აღსარებასავით გაუმხელდნენ სათქმელს. „აღსარება არს ყოველივე სიტყვა, რომელთა წარმოიტყოდეს კაცი საქმეთა თვისთა ცხოვრებისათა, კეთილთა გინა ბოროტთა“ [1, 80].

დღიური ზოგჯერ საუკეთესო მეგობარი იყო ავტორისთვის, ბევრი მათგანი ვერც კი იფიქრებდა, რომ ოდესმე ის მკითხველის წინ აღმოჩნდებოდა. 13 წლის ებრაელი გოგონა, ანა ფრანკი, ორი წლის მანძილზე აქსოვდა თავის განცდებს, ფიქრებსა და წუხილს დღიურში. ანა დაიღუპა, დღიური კი გადარჩა, რომლის ფურცლები ამხელენ ისტორიაში ერთ - ერთი უსაშინლესი დროის - ჰოლოკოსტის ნაციონალურ ტერორს.

„მე - 20 საუკუნის მრავალი მწერალი სიცოცხლეშივე სთავაზობდა მკითხველს უბის წიგნაკის ჩანაწერებს, რომლებიც, როგორც აღმოჩნდა, სხვა „ბოზოლა“ ჟანრებზე არანაკლები წარმატებით ახერხებს ეპოქისეული განწყობილებების გადმოცემას, წარმოდგენას გვიქმნის დიდზე მცირედის მეშვეობით, გვახედებს მწერლის ლაბორატორიაში, ფრაგმენტულობისა და სიჭრელის მიუხედავად (თუ, იქნებ, სწორედ ამის წყალობით) გატაცებით იკითხება“ [2, 200]. ქართული მწერლობისთვის

მვირფასი გამხდარა გალაკტიონ ტაბიძის, მიხეილ ჯავახიშვილის, ოთარ ჭილაძის, თამაზ ჭილაძის, ოთარ ჩხეიძის, აკაკი გაწერელიას, ბაჩანა ბრეგვაძის, რევაზ ინანიშვილის, როსტომ ჩხეიძის და სხვათა ჩანაწერები.

გამომცემლობა „ინტელექტის“ სერიით დაბეჭდილია ამ ჟანრის მრავალი წიგნი. „დროდადრო“ - ასე ჰქვია ოთარ ჩხეიძის ჩანაწერებს. წიგნის შესავალში ვკითხულობთ: „დიდი მწერლის ჩანაწერებიც, ისევე, როგორც მთელი მისი შემოქმედება, მისი ცხოვრება - მისივე ქვეყნის ბიოგრაფიაა, დიდი მატანეა“ [3, 4]. ჩანაწერებში მწერალი თითქოს უფრო თამამია, თავისუფალია, რადგან ცენზორი არა ჰყავს, არ იტყვიან უარს მის დაბეჭდვაზე, ეს მწერლის პირად არქივს განეკუთვნება. „მკვდარია ერი, თუ არ იბრძვის თავისუფლებისათვის“, - ამ სიტყვებით ოთარ ჩხეიძემ „ბორიყში“ დაგვმოდღრა. 1971 წლის 20 დეკემბრის ჩანაწერში კი ვკითხულობთ: „თავგანწირვა თუ შეგიძლიან, უბედურიც აღარ უნდა გეთქმოდეს ამა ამო წუთისოფელში. თავისუფლება სხვა არც არაფერი ყოფილა. ამაოების განცდა ბევრად მწარეა თავისუფლების გარეშე, თავისუფლება ყველაფერს ანელეხს, თავისუფლება სიკეთეა, სხვა ყველაფერი ბოროტება. ახალს რას ვამბობ?! დიდიხანია ცხადია ესა და ამგვარები, დიდიხანია იცოდნენ ჩვენმა წინაპრებმა, მხოლოდ ეს იცოდნენ და იბრძოდნენ თავისუფლებისთვისა, იხოცებოდნენ, იჟლიტებოდნენ თავისუფლებისთვისა, ბედნიერებისთვისა, რამეთუ თავგანწირვა თავისუფლებისათვის ბედნიერება ყოფილა. ვაგლახ, დავკარგეთ ეს ბედნიერება და მთელი ეროვნული შესაძლებლობა, მთელი სულიერი თუ ნივთიერი შესაძლებლობა იმასდა ეწირება, თავდაუღწევლად რომ გავებათ მონობის ხაფანგშია“ [3, 117]. დამერწმუნებით, რომ ესაა თავისუფლებაწართმეული საქართველოს დიდი მეჭირისუფლის ცრემლიანი ღაღადი, რომელსაც უზიარებს ჩანაწერს. საკუთარი თავის „ყუდნებისათვის“ ბრძოლებს ეწირებოდა უამრავი ქართველი. სამწუხაროდ, დღესაც იგივე სატკივარი გვაქვს.

თავისუფლებაზე ფიქრი გაბნეულა ოთარ ჭილაძის ჩანაწერებშიც. „მე რომ ნება მომცენ, ასე წავაწერდი სამასი არაგველის ძეგლს: ომი წაგებული იყო, მაგრამ მონობას სიკვდილი ვარჩიეთ“ [4, 26]. სამწუხაროდ, საქართველოს საუკუნეების განმავლობაში უძლიერესი იმპერიების წინ მოუწია დგომა. თითქოს გვწვრთნიდაო განგება, სწორედ აქ ყალიბდებოდა მებრძოლი სული. „საქართველო თითქმის მთელი თავისი არსებობის მანძილზე ერთადერთ მიზანს ემსახურება. და ალბათ ესაა მისი მთავარი გამოსარჩევი თვისება - განუწყვეტელი, თავგანწირული სწრაფვა თავისუფლებისაკენ“ [4, 149].

მწერლისთვის შემოქმედებითი თავისუფლება დიდი სიმდიდრეა. ხელისუფლების იდეოლოგიური წნეხის ქვეშ მოქცევა ძალიან მიძიმეა. „ძალის ბედი სჯობია ქართველი მწერლის ბედს“-გაუმხელია უბის წიგნაკისთვის მიხეილ ჯავახიშვილს [5, 305]. საინტერესოა სოციალიზმის მისეული განმარტებაც: „სოციალიზმი სულის ჭლეტა, გამოფიტულ გონიერებას შეეპარება, ჩაბღუჯავს, დაიმორჩილებს, გამოხრავს და მოჰკლავს“ [5, 304]. მიხეილ ჯავახიშვილის ჩანაწერები ჩვესიტებისგან მწერლის ქალიშვილმა გადაარჩინა. დიდი შემოქმედი ქართულ კალამს გოლგოთურ ჯვარს ადარებდა. იმ ეპოქის სიმწვავეს ნათლად ასახავს მწერლის ჩანაწერი უბის წიგნაკში: „მე, მწერალი, დღეს სასაფლაოზე ვცხოვრობ, ირგვლივ ვაება და კაეშანია“ [5, 297]. „დმერთმა რომ საქართველოს გადმოხედოს ატირდება“ [5, 290]. მიხეილ ჯავახიშვილის ზოგიერთ ჩანაწერში წინასწარმეტყველებაც ჩანს: „მე რომ მკითხოთ სიკვდილით დასჯა თუ სამშობლოდან განდევნაო, ისევ პირველი მირჩევნია“ [5, 280]. სიკვდილამდე დიდი წამება გაავლევინეს, დღეს, სამწუხაროდ, მისი საფლავიც არ გვაქვს.

„ჩემი სოლილოკვიო“ აკაკი გაწერელიას ჩანაწერთა სათაურია. „სოლილოკვიო“ ნეტარი ავგუსტინეს ერთ-ერთი თხზულების სათაურია და ნიშნავს „საუბარს საკუთარ თავთან განმარტობისას“. ამ წიგნიდან ჩანს, თუ როგორი წინააღმდეგობებით სავსე ცხოვრება გაიარა დიდმა მეცნიერმა. ყველაფერს გაუძლო, და მართლაც, ისე აიძვანძილა ამქვეყნიდან, როგორც თვითონ ოცნებობდა: „მამაკაცი უკომპრომისოდ უნდა ჩავიდეს სამარეში“. მისი ჩანაწერებიდან ვგებულობთ, თუ როგორი დიდი სიყვარული და პატივსცემა ჰქონია გრიგოლ წერეთლის მიმართ: „ყველას ერთი კერპი მაინც ჰყავს ცხოვრებაში. ამ სტრიქონების ავტორის კერპი იყო, არის და მუდამ იქნება გრიგოლ ფილიმონის ძე წერეთელი. რომელი ეპითეტი ვიხმარო მის მიმართ? დმერთს ეპითეტი არა აქვს“ [6, 115].

აკაკი გაწერელია ჩანაწერებში საინტერესო შეფასებას აძლევს ქართულ ენას, სამი ღვთაებრივი საუნჯიდან ერთ-ერთს, ეს ერთგვარი გაფრთხილება, თხოვნაცაა თითოეული ჩვენგანის მიმართ: „დაიწუნეთ რომელიმე ჩვენი მონუმენტური არქიტექტურული ძეგლი ან „აბესალომ და ეთერი“, ღვთაებრივ პოეზიად ნუ ჩათვლით „ავთანდილის ანდერძს“, ამისთვის არ დაგსჯიან, თქვენმა „დიდმა ცოდნამ და უცთომელმა გემოვნებამ“ აგოს პასუხი თქვენსავე წინაშე, საერთოდ - „უგუნურნი არ განისჯებიან“!

მაგრამ ქართველმა ერმა თვალისჩინივით გასაფრთხილებლად გვიანდერმა ფასდაუდებელი და ყოვლისმომცველი რამ - ქართული ენა - და მის წინაშე ყველამ უნდა თავი დახაროს.

ქართული ენა არც „პირ - უტყვია“ და არც „მომთმენი“. პირიქით იგი სასტიკია და ულმოხელი, როგორც საერთოდ ყოველი თვალშეუდგამი სილამაზე. ქართველი ერის ამ მასაზრდოებელ ძეგლს უმადურად ნუ შეეხებით ნურც ერთი წამით!

გაბედავთ?

მაშინ ვეება მეწყერი დაგატყდებოთ თავზე და ამ „გეოლოგიურ კატასტროფას“ თქვენ კი არა, ვერც ერთი ძეხორციელი ვერ გაუძლებს“ [6, 45].

ყველა ქართველი მწერლის სატკივარი სამშობლო იყო, როგორც ცოცხალ არსებას ისე ეფერებოდნენ, ზრუნავდნენ მასზე. ჩანაწერებშიც მასზე ფიქრი ხშირადღება. ოთარ ჭილაძე ერთგვარი სევდით გაუმხელს თავის დღიურს: „უსამშობლოდ ვართ საკუთარ სამშობლოში, სამშობლოს კი არ ვათავისუფლებთ, სამშობლოსგან ვათავისუფლებით თანდათან. სამშობლო, ვიდრე არსებობს, არა მხოლოდ ვალდებულს გვხდის ვიღაცისა თუ რაღაცის წინაშე, არამედ გვამხელს კიდევ, როგორც კი თავს ვარიდებთ ვალდებულებებს... უსამშობლოდ ცხოვრება იოლიცაა და [...] სამშობლოსთან ერთად ვათავისუფლებით დამნაშავეს კომპლექსისაგან, ყოველ შემთხვევაში, დანაშაულად აღარ ვთვლით, იმავე სამშობლოს ღალატს... განა ეს ცოტაა!“ [4, 291] ეს სიტყვები ერთხელ კიდევ ჩავგაფიქრებს ჩვენს მოვალეობებზე სამშობლოს მიმართ.

ოთარ ჭილაძის ჩანაწერებში ჩანს არა მხოლოდ თავისი თანამედროვე საქართველოთი ტკივილი, არამედ მას მომავალიც აშფოთებს. რა იქნება მისი მარადიულ სასუფეველში გადასახლების შემდეგ, როგორი მომავალი ექნება ქართველ ერს, გაუძლებს თუ არა ამდენ გამოწვევებს: „ერთ რამეს ვინატრებდი მხოლოდ - ოდესმე, საუკუნეთა მიღმა, ისევ ამ მიწაზე და ამ ცის ქვეშ, ვიღაცამ, სულერთია ვინ, ოღონდ ჩემი ვინაობის და ხელობის მცოდნემ (შეიძლება დამფასებელმაც), ჩემს საფლავს ჩასძახოს: იმინე მშვიდად, ჯერ ისევ ვარსებობთ, ისევ ვიბრძვით, ისევ ხალხი გვქვიაო!“ [2, 2004]

მე-20 საუკუნის მწერალთა ჩანაწერებში მხოლოდ მათი ავტორების სულიერი პორტრეტი არ იხატება. მათში ჩანს ეპოქა, მწერლობის დანიშნულება, სამშობლოს მარადიული ხატი, თავისუფლების ფენომენი, იქიდან იმზირება თეთრ ფურცლებს ჩაბარებული აღსარება.

ლიტერატურა:

1. სულხან - საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, თბილისი, „მერანი“, 1991.
2. ბრეგვაძე ლ., ლიტერატურული გამოძიებანი, თბილისი, „არტანუჯი“, 2011.
3. ჩხეიძე ო., დროდადრო, ჩანაწერები, თბილისი, „ინტელექტი“, 2010.
4. ჭილაძე ო., ცა მიწიდან იწყება, თბილისი, „ინტელექტი“, 2015.
5. ჯავახიშვილი მ., უბის წიგნაკებიდან, ჩანაწერები, თბილისი, „ინტელექტი“, 2011.
6. გაწერელია ა., ჩემი სოლილოკვით, ჩანაწერები, თბილისი, „ინტელექტი“, 2012.

Maia Geliashvili

Sokhumi State University

THE DIARY, AS ONE OF THE FORMS OF CONFESSION IN THE RECORDS OF THE WRITERS OF 20TH CENTURY RESUME

The critic Levan Bregadze mentions, that “the face of modern prose is determined by “nonfiction””. Not-invented or true corresponds to this term in Georgian language. Many writers of 20th century created the records in their own life. These records brilliantly expressed the spiritual feelings, moods, the secrets of creative process, pain, hope, fright of authors... Such diaries represented one of the forms of confession, the faithful shelter “was similar, if it can tell everything”, even the beautiful dream.

The interest towards this genre has been increased very much in our time. These diaries became very valuable for the readers, because they (the diaries) represent some autobiographic character, we meet the reflections of life of famous writers. As it seems, the authors himself acted with attention towards such records. Otar Chiladze writes: “By the means, it would not be bad for me also to find various records, existed in old copybooks, who knows, whether someone will desire to publish them (the records) “without my agreement”. Namely after his death, there were published the records of Otar Chiladze of various time “Sky starts from the ground”, also “From time to time” by Otar Chkheidze, “My sulilokvio” by Akaki Gatserelia. Each of them reminds the autobiographical novel to us.

გიორგი შატბერაშვილის საბავშვო პროზა

საბავშვო ლიტერატურით დაინტერესება ყოველთვის წარმოადგენდა მთავარ საკითხს ქართული მწერლობისთვის. XIX საუკუნის მეორე ნახევრის ქართველი მწერლები ვაჟა-ფშაველა, შიო მღვიმელი, რაფიელ ერისთავი და ეროვნული პედაგოგიური აზროვნების ფუძემდებელი იაკობ გოგებაშვილი, თვითონ ქმნიდნენ რა საინტერესო თხზულებებს, განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებდნენ მოზარდი თაობის გონებრივ განვითარებაზე, მათი სულიერი სამყაროს ფორმირებაზე.

მოზარდის ჩამოყალიბება ნამდვილ მოქალაქედ საზოგადოების სრულფასოვან წევრად მეტად ხანგრძლივი, რთული პროცესია, რაშიც მნიშვნელოვანი როლი საყმაწვილო ლიტერატურას ეკუთვნის. გიორგი შატბერაშვილის მხატვრული შემოქმედების შესახებ მსჯელობა სრულყოფილი არ იქნება, თუ გვერდს ავუვლით მის საბავშვო პროზას, მოთხრობებს, რომელთა თემა აღებულია მოზარდი თაობის ცხოვრებიდან. გიორგი შატბერაშვილი საბავშვო თხზულებებში ნათლად ჩანს მისი ესთეტიკური გემოვნება, ყმაწვილთა ხასიათების, შინაგანი ბუნების ცოცხლად გადმოცემის შესანიშნავი უნარი. მწერალი ბავშვებისთვის განკუთვნილ მოთხრობებში ოსტატურად მერწავს მხატვრულ პერსონაჟებს და მოქმედების ფართო ასპარეზზე გამოჰყავს. გ.შატბერაშვილი საბავშვო პროზაში იყენებს როგორც ლიტერატურულ, ისე ცოცხალ სასაუბრო ენას, განსაკუთრებით ქართულ დიალექტს, თუმცა გარკვეულ ზომიერებას იჩენს, რომ კუთხური გამოთქმები ორგანულად შეუხამდეს პერსონაჟთა მეტყველებას. მწერალი აზრის ლაკონურად გადმოცემის ოსტატია და მცირე მოცულობის მოთხრობებშიც მოხერხებულად ავითარებს სიუჟეტს. გიორგი შატბერაშვილის საბავშვო პროზას ახასიათებს კომპოზიციური მთლიანობა, სტილის სისადავე. აქ თითქმის არ არსებობს ზედმეტი დეტალი, სიუჟეტურ ქარგას რომ ამძიმებდეს. თხრობა, როგორც აღვნიშნეთ, ლაკონურია და ხატოვანი. მწერლის მსუბუქი იუმორი მხატვრულ სახეთა აღქმა-გაგებას აადვილებს და შემეცნებითი პროცესი ხალისიანი ხდება. გამომსახველობითი ხერხების მრავალფეროვნებიდან გამომდინარე, მკვეთრად არის გამოხატული სწრაფვა დიალოგისკენ, რაც თხრობის ერთი თავისებური ფორმაა. ეს ხერხი მეტ უშუალოებას მატებს საყმაწვილო თხზულებებს და ამავე დროს განწყობასაც ახალისებს. პატარა მკითხველი თავისუფლდება ზედმეტი დატვირთვისგან, იგი საუბრის მონაწილედ გრძნობს თავს, რაც სასიამოვნო განცდას უქმნის და ეხმარება სამყაროს შემეცნებაში.

გიორგი შატბერაშვილის საბავშვო თხზულებების შესახებ სხვადასხვა დროს გამოითქვა მოსაზრებები და შენიშვნები. აღსანიშნავია მწერლების ოთარ ჩხეიძის, შალვა აფხაიძის, საბავშვო ლიტერატურის მკვლევრების ანა ღვინიაშვილისა და თინა კობალაძის შეხედულებები. შალვა აფხაიძე წერს: „გიორგი შატბერაშვილის პროზაული ნაწარმოებებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია მოთხრობები, რომელთა თემა ბავშვების ცხოვრებიდან არის ამოღებული. თითქმის ყველა ეს მოთხრობა აღბეჭდილია ავტორის ნიჭიერებით, მხატვრული გემოვნებით, ადამიანის ხასიათის, ბუნების ცოცხალი გადმოცემის უნარით“ (აფხაიძე, 1959:246). 1955 წელს „საბლიტგამმა“ გამოსცა გიორგი შატბერაშვილის საბავშვო მოთხრობების პირველი კრებული „მერცხლის ბუდე“, რომელშიც 39 ნაწარმოები შევიდა. მის შესახებ ანა ღვინიაშვილმა 1958 წელს ჟურნალ „მნათობში“ (#9) გამოაქვეყნა წერილი „გიორგი შატბერაშვილის „მერცხლის ბუდეს“ გამოცემის გამო“. წერილის შესავალში ვკითხულობთ: „თანამედროვე ქართველ მწერალთა შორის გ.შატბერაშვილი გამოირჩევა საკუთარი თემატიკით. მის შემოქმედებას ანოყიერებს უკეთილშობილესი იდეები. გ.შატბერაშვილის მოთხრობებში მთავარი მოქმედი პირი ადამიანია, ეს ადამიანი უბრალო მაყურებელი როდია, იგი ბუნების მოვლენებზე მუყაითი დამკვირვებელი და უმწეოთა მფარველია“ (ღვინიაშვილი, 1958).

საყმაწვილო მოთხრობების შექმნას განსაკუთრებული შრომა და სიფხიზლე სჭირდება. მწერალი ვალდებულია თითოეულ სიტყვას, წინადადებას მეტი მნიშვნელობა მიანიჭოს, რომ პატარ მკითხველი დაინტერესოს და მიიზიდოს. პროფ.ვლადიმერ გაგუას აზრით „ბავშვები თავიდანვე უნდა დავანტერესოთ საბავშვო მოთხრობებითა და ლექსებით, ზღაპრებით, იგავებით. ამით უნდა იღვიძებდნენ და საზრდოობდნენ მოზარდი თაობის ინტელექტუალური ძალები. ამიტომ აღზრდის ერთ-ერთი მოვალეობაა ადრე ბავშვობიდანვე საბავშვო ლიტერატურისადმი ინტერესების განვითარება. მხოლოდ ამ შემთხვევაში შეიძლება ლაპარაკი ახალგაზრდობის სრულყოფილი განვითარების პერსპექტივაზე“ (გაგუა, 1991:124).

გიორგი შატბერაშვილი საბავშვო მოთხრობების წერის დროს დიდ სიფრთხილეს ამჟღავნებს, მისი პატარა გმირები ხალასი და უშუალო ბავშვური გონებამახვილობით გამოირჩევიან. მწერალი ყმაწვილთა ცხოვრებიდან ისეთ ეპიზოდებს იღებს, რომლებიც მხოლოდ მათთვისაა დამახასიათებელი. გიორგი შატბერაშვილის ფიქრი და ოცნება ბავშვებს დასტრიალებს, რაც გაცხადებულია მოთხრობებში „კარგი ბიჭი“ (1944წ.), „მტკვრის სათავისკენ“ (1949წ.), „მერცხლის ბუდე“ (1955წ.) და ა.შ. აღნიშნულ თხზულებებში (და არა მარტო აქ) იგრძნობა ბავშვების სიყვარული, ხოლო მხატვრული სახეები ბუნებრივობით გამოირჩევიან. ეს სახეები გარკვეულწილად გამოხატავენ გიორგი შატბერაშვილის სოფმხედველობის ერთ ნაწილს, მოზარდი თაობის სულისკვეთებას. მწერალს, რომელსაც კარგად ეხერხება საგულისხმო თემების შერჩევა, პატარა მკითხველზე ნათელი აზრებითა და ცოცხალი სურათებით ახდენს ზემოქმედებას. მას არ უყვარს გაჭიანურებული, ხელოვნურად გაზრდილი თხრობა და მშრალი დიდაქტიკური რჩევა-დარიგებების მიცემა. გ. შატბერაშვილი პატარების სულიერი სამყაროს ასახვისას ხშირად იყენებს შედარებებს, მეტაფორებს, ასევე ხალხურ გამონათქვამებს, ანდაზებს, გამოცანებს.

გიორგი შატბერაშვილის საყმაწვილო პროზის გმირები ძირითადად დადებითი თვისებების მქონე ბავშვები არიან. ზაქრო („კარგი ბიჭი“), სოსო („ჩხირკედლა“), ელგუჯა („ჯიბის სანათი“), დათა („თადარიგო“), გიგლა („ერთ ზაფხულს“) და სხვები თითქოს სადღაც გვინახავს, თითქოს ჩვენ თვალწინ იზრდებიან. მწერალი მოწოდებულია, რომ ბავშვებმა გამოიმუშაონ მოქალაქეობრივი შეგრძნება, ნებისყოფა, ისწავლონ შრომისა და ცოდნის სიყვარული. იგი პატარა მკითხველებს ისეთი თვისებების გმირებს აცნობს, როლებიც სამაგალითონი არიან და გამორჩეულნი თანატოლებში. ზაქრო („კარგი ბიჭი“) შრომისმოყვარე და გამრჯეა, ასევე გიგლა („ერთ ზაფხულს“), რომელმაც უკვე იცის ოჯახის მოვლა-პატრონობა, შრომის ფასი. თადარიგოს, იგივე დათას („თადარიგო“), ფეხბურთთან ერთად სწავლაც უყვარს და შრომაც. ზაქრო, გიგლა, თადარიგო, ელგუჯა და მათი მეგობრები არ შეიძლება, რომ მომავალში ჩვენი ქვეყნის ღირსეული მოქალაქეები არ გახდნენ. საერთოდ, შრომისა და სწავლის თემა ერთ-ერთი წამყვანია გიორგი შატბერაშვილის საყმაწვილო პროზაში. მწერალი ოსტატურად ძერწავს შრომისმოყვარე ბავშვების სახეებს, არ იშურებს ლამაზ ფერებს მათი საქმიანობის, სიბეჯითის წარმოსაჩენად. მოთხრობები „ნიკო და სიკო“, „კარგი ბიჭი“, „ერთ ზაფხულს“, „ოქროს მარჯვენა“, მოზარდ თაობას თავიდანვე აყვარებს ფიზიკურ შრომას და უნერგავს უფროსებისადმი პატივისცემის გრძნობას. გიორგი შატბერაშვილი ბავშვებს პირდაპირ ესაუბრება იმ შედეგების შესახებ, რომელიც შეიძლება მოჰყვეს შრომისადმი გულგრილ დამოკიდებულებას. მართალია, იგი უფრო ხშირად დადებითი გმირების მხატვრულ სახეებს ქმნის, მაგრამ ამასთანავე არ ივიწყებს ცუდი ყოფაცქევის ბავშვებს. გამრჯე და ბეჯითების გვერდით ზარმაცს და უქნარასაც ვხვდებით. ჭიჭიკო („თადარიგი“), გიგლა („თანდასტვირი“), შოთა („რაც მოგივა დავითაო“), ვასო („ბოლოს სინანული“) ამპარტავნები და დაუფიქრებლები არიან. ისინი ანგარიშს არ უწევენ თავიანთ მოქმედებას, მეგობრებს აბუჩად იგდებენ, ზარმაცობენ. მწერალი ყველას თავისას მიუზღავს: კარგს აქებს, ზარმაცებს კი უწყრება. მისი აზრით, სიზარმაცე და ამპარტავნება ყველაზე დიდი სენია, ისინი ყმაწვილობაშივე უნდა ავაცილოთ მოზარდებს, თორემ სამომავლოდ ვერც საკუთარ თავსა და ვერც საზოგადოებას მოუტანენ სიკეთეს.

როგორც ვხედავთ, შრომის თემა ერთ-ერთი აქტუალურია გიორგი შატბერაშვილის საყმაწვილო პროზაში. მის მიერ ასახული ბავშვების ხასიათები და სულიერი სამყარო, შრომითი საქმიანობის დროს ყალიბდება, მწერალი შრომას მიიჩნევს მოზარდების მორალური გაჯანსაღების საშუალებად. გიორგი შატბერაშვილმა ჯერ კიდევ 1944 წელს დაწერილ მოთხრობაში „კარგი ბიჭი“ მკვეთრად გამოხატა, რომ მშრომელი ახალგაზრდა დაფასებულია ყველგან. შრომის აპოლოგიაა მწერლის ერთ-ერთი უკანასკნელი მოთხრობა „ნიკო და სიკო“ (1954 წ.), რომელიც გამთბარია ლამაზი იუმორით. მოთხრობის პატარა გმირები ნიკო და სიკო ერთმანეთის ბიძაშვილები არიან, ისინი ერთმანეთისგან საგრძნობლად განსხვავდებიან ხასიათებით: სიკო უფრო დინჯი და მორჩილია, ხოლო ნიკო ცელქი და დაუდევარი. ბიჭები მთელი ზაფხული გულმოდგინედ ეხმარებოდნენ ძია შიოს სამეურნეო საქმიანობაში, თუმცა ერთხელ შეუფერებლად მოიქცნენ. ბავშვები საბოლოოდ მიხვდნენ ჩადენილ დანაშაულს და იმით გამოსყიდეს თავიანთი საქციელი, რომ ყველაფერი გულწრფელად აღიარეს. ნიკო და სიკო სულიერი სამყაროთი, შრომისმოყვარეობით სხვებისთვის მისაბამნი არიან.

ყმაწვილების შრომისადმი სიყვარულს გიორგი შატბერაშვილი ასევე ასახავს მოთხრობებში „ოქროს მარჯვენა“, „ატმის კურკის ამბავი“, „ერთ ზაფხულს“, „ხვალაც მოვალთ, ხვალაც“ და სხვ. ამ ნაწარმოებების მიხედვით, შრომა ბავშვებისთვის ახალი მორალის ჩამოყალიბების სათავეა, უფრო მეტიც, ავტორის აზრით იგი ახალგაზრდებს ახალისებს და ენერგიას მატებს. არის შემთხვევა, როცა გიორგი შატბერაშვილი ყმაწვილების შრომის იდეალიზაციას ეწევა, ამ დროს მისი მოთხრობების გმირები უფროსებსაც სჯობიან საზრიანობით, მაგრამ უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს ყოველივე მწერალს მოსდის ბავშვების სიყვარულით.

გიორგი შატბერაშვილის საბავშვო პროზაში შრომისა და სწავლის გვერდით ასახულია მეგობრობის თემა. მეგობრობის საკითხის სწორი გადაწყვეტა მხატვრული ლიტერატურის ერთი სერიოზული თემაა, ამიტომ აუცილებელია საბავშვო მწერლობაშიც მაღალი მხატვრული აზროვნებით გადმოსცეს ადამიანების მეგობრობის ხასიათი, მისი თავისებურება და, ცხადია, დაგმოს ცრუ და ყალბი მეგობრობა. საბავშვო მწერლობაში მეგობრობის თემის აქტუალობაზე ლიტერატურის კრიტიკოსი, ვლადიმერ ჯიბუტი მიუთითებს: „მეგობრობის თემა საბავშვო ლიტერატურის დიდმნიშვნელოვანი თემაა. ბავშვს მეგობრის სიყვარული მთელი ცხოვრების მანძილზე უნდა გაჰყვეს. ამიტომ საჭიროა ამ თემის განსაკუთრებით ღრმად და მთელი მრავალფეროვნებით აღწერა“ (ჯიბუტი, 1973:16). მწერალი, როდესაც საბავშვო მოთხრობებში ასახავს მეგობრობის თემას, პირველ ყოვლისა, მკითხველის ყურადღება უნდა მიიპყროს, იმოქმედოს მის გრძნობებზე, ემოციურ სამყაროზე. ეს შესაძლებელია მაშინ, როცა დასრულებულადაა გამოკვეთილი რომელიმე კონკრეტული მხატვრული სახე. ბავშვიც სწორედ ასეთ მხატვრულ სახეს შეიგრძნობს და მისგან სათანადო შთაბეჭდილებას იღებს. გიორგი შატბერაშვილის მოთხრობები, სადაც მეგობრობის თემა წამოწეული („ხვალაც მოვალთ, ხვალაც“, „კარგი ბიჭი“, „ჯიბის სანათი“) იმიტომ ახდენენ გავლენას ბავშვების გრძნობებზე, რომ ისინი სრულყოფილ მხატვრულ ნაწარმოებებს წარმოადგენენ. საბავშვო მოთხრობების გმირთა შემოქმედების არეალი ფართოა: მათ ვხვდებით ქალაქებში თუ სოფლებში, ოჯახებსა თუ სკოლებში. მოთხრობაში „კარგი ბიჭი“ მოქმედება სოფლის ცხოვრების ფონზე იმლება, ხოლო მოთხრობა „საბოლოო სინანული“, ქალაქელი ბიჭის თავგადასავალს ასახავს. გიორგი შატბერაშვილი საბავშვო პროზაში ქალაქთან შედარებით ფართოდ სოფლის ცხოვრების თემა მხატვრულად ასახული, მას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ასევე საყმაწვილო პოეზიაში. მოთხრობებში „ოქროს მაჯკენა“, „ერთ ზაფხულს“, „მერცხლის ბუდე“, „ნიკო და სიკო“, „თანდასტვირი“ და სხვა, ვხვდებით სოფლის ლამაზ სურათებს, რომლებიც განსაკუთრებით იზიდავენ ბავშვებს. გიორგი შატბერაშვილი კარგად იცნობს სოფლელი ბავშვების ხასიათს, მათ მისწრაფებებს, დამოკიდებულებას უფროსებთან, ამიტომ ოსტატურად ასახავს იმ რეალობას, რაც თავად ნახა და განიცადა. ამრიგად, მწერალი ყოველი კუთხით წარმოგვიდგენს ბავშვების მრავალფეროვან ცხოვრებას, ხატავს მათ სახეებს, როგორც სწავლის დროს, ისე ლაღი ბუნების ფონზეც.

გიორგი შატბერაშვილის საყმაწვილო პროზის გმირები ძირითადად საშუალო ასაკის ბავშვები არიან, სკოლის მოსწავლეები. ისინი აქტიურ ცხოვრებას ეწევიან: სწავლას მშვენივრად უხამებენ სპორტს, ცეკვას, სიმღერას და გარკვეულ წარმატებებს აღწევენ. მოთხრობა „თადარიგოს“ მთავარი გმირია თექვსმეტ-ჩვიდმეტი წლის დათა, იგივე თადარიგო. იგი ბეჯითი მოსწავლეა, თანატოლებისგან გამოირჩევა თავაზიანობით, მოკრძალებით და ძლიერი ნებისყოფით. დათა სკოლის მოსწავლეა, ფრიადოსანი, მაგრამ ამავე დროს გატაცებით უყვარს ფეხბურთი და კარგ მოთამაშედ ითვლება. მისი ინიციატივით ჩამოყალიბდა ფეხბურთელთა გუნდი, რომელმაც მალე გაითქვა სახელი. მოულოდნელად გუნდში გამოჩნდა ახალი ფეხბურთელი, ამპარტავანი ჭიჭიკო. იმ დღიდან მწვრთნელმა დათა ჩამოაცილა გუნდის ძირითად შემადგენლობას და სათადარიგო შემადგენლობაში გადაიყვანა, რის გამოც ზედმეტსახელად თადარიგო შეარქვეს. გიორგი შატბერაშვილის მოთხრობაში ასახულია დათას სულიერი სამყარო, რაც გამოხატა იმით, რომ დათა ერთი მხრივ თანაგუნდელთა დამარცხებას ნატრობდა გადამწყვეტი თამაშის დროს, ხოლო მეორე მხრივ, კეთილი გულით თავისივე საძრახის საქციელს უწყრებოდა. თადარიგომ შეურაცხყოფილად იგრძნო თავი, როცა გუნდიდან გარიყეს, თუმცა სიყვარული მეგობრების მიმართ არ განელბია, ხოლო ის შინაგანი კონფლიქტი, რომელიც დათას (თადარიგოს) სულიერ სამყაროში მიმდინარეობს, ბუნებრივია და მართებული. მასში იმარჯვებს საუკეთესო ადამიანური თვისებები, მიმტევებლობა, რომლებიც ნათლად გამოხატავენ გმირის პიროვნულ ღირსებებს.

სიუჟეტის განვითარების მხრივ საყურადღებოა ვრცელი მოთხრობა „მტკვრის სათავისკენ“ (1949წ.), რომელიც რამდენიმე თავისაგან შედგება. იგი ფართო ამბების შემცველი ნაწარმოებია, ხოლო ეს ამბები ცალკე თავებად არის გამოყოფილი. თხზულებაში გიორგი შატბერაშვილი მხატვრული ფერებით ასახავს თევზების ცხოვრებას, მათ ურთიერთობას ადამიანებთან. მწერლის აზრით, თევზებსაც აქვთ თავიანთი ცხოვრების წესი ისე, როგორც ფრინველებს და ცხოველებს, თევზებსაც შეუძლიათ ბუნების სილამაზის აღქმა. მოთხრობაში ბავშვებისთვის ადვილად ასათვისებელი ენით აღწერილია კალმახების ცხოვრება, მათი გამგზავრება მტკვრის სათავისკენ უშიშას წინამძღოლობით.

თევზებს ბევრი ფათერაკი გარდახდათ თავს და ბოლოს მაინც მიაღწიეს მტკვრის სათავეს. მოთხრობის ამ ნაწილში გიორგი შატბერაშვილი წარმოგვიდგენს მესხეთის მძიმე წარსულს, მანამდე კი თევზებს მდინარის ნაპირებიდან სევდიანი ქართული სიმღერა ესმით: „მაგრამ ეს სიმღერა არ იყო. ეს იყო გულსაკლავი და ჟრუანტელის მომგვრელი მოთქმა. ვიღაც თავის უკუღმართ ბედს უჩიოდა ამ გაბმული სიმღერით. ეს სიმღერა კვნესას უფრო ჰგავდა, ვიდრე სიმღერას“ (შატბერაშვილი, 1976:88-89). თევზები ხედავდნენ როგორ იტანჯებოდნენ თურქეთში ჩვენი თანამემამულენი, ესმოდათ მოხუცი მწყემსის და მისი შვილიშვილის საუბარი, ესმოდათ თუ რას წარმოადგენდა ძველ დროში საქართველო და როგორ

დაიპყრეს მისი ერთი ნაწილი თურქებმა: „-ეჰ, შვილო, რა გითხრა. მას შემდეგ, რაც დედა საქართველოს მოგვეყვითეს, ყველაფერი წახდა, დაიქცა. განა ასეთი იყო ეს ხეობა? მტერმა აჩეხა ვენახები, გაკაფა ბაღები და დიდებული ტყეები, დაანგრია ჩვენი ციხე-კოშკები, გაწყვია ხალხი, წაგვიბილწა ენა, გადვიმონა...” (შატერაშვილი, 1968:92). კალმახებმა დაინახეს როგორ ცემეს თურქებმა მოხუცი ქართველი მწყემსი, როგორ წაართვეს ცხვრის ფარა. გიორგი შატერაშვილი ოსტატურად ახერხებს მძიმე სურათის დახატვით, შეაყვაროს პატარა მკითხველებს თურქეთში დარჩენილი ქართველები. სიბრალულთან ერთად გაუღვივოს ბრძოლის სურვილი. სწორედ, ესაა თხზულების ერთი მთავარი ღირსება.

მოზარდს ფაქიზი სულიერი სამყარო აქვს. იგი ადვილად ხვდება სიცრუეს და მცირედი შეცდომის გამო შეიძლება უარყოფითად განეწყოს მწერლის მიმართ, ამიტომ საყმაწვილო თხზულებებს მეტი დამაჯერებლობა და მიმზიდველობა უნდა ახასიათებდეს. ნაწარმოების კარგი იდეა თავისთავად ყველაფერს არ ნიშნავს. მთავარია, ბავშვმა გულთან ახლოს მიიტანოს წაკითხული. ეს გაცნობიერებული აქვს გ.შატერაშვილს და მოთხრობაში პატარა მკითხველისთვის ბუნებრივად და საინტერესოდ ხატავს თევზების თავგადასავალს, მათ ცხოვრებას. ყმაწვილი დიდი გულისყურით ეცნობა ნაწარმოებს, რადგან სიუჟეტი დინამიურად ვითარდება და ეპიზოდები დრამატულ ხასიათს იღებენ. გარდა სიუჟეტის სიმძაფრისა და ამბების ორიგინალურად განვითარებისა, საინტერესოა დახატული პერსონაჟებიც. მოთხრობაში „მტკვრის სათავისკენ“ ავტორი ოსტატურად ახერხებს თევზების ადამიანებად გარდასახვას, პერსონიფიკაციას და მათი ზნე-ჩვეულებების აღწერას. უნდა აღვნიშნოთ, რომ მოთხრობა ქართული ფოლკლორის მკვლევარს პროფ. ფიქრია ზანდუკელს მიაჩნია როგორც ხალხური ეპიკური ჟანრის კვალობაზე დაწერილი: „ჩვენთვის განსაკუთრებით საყურადღებოა გიორგი შატერაშვილის საბავშვო მოთხრობები: „მტკვრის სათავისკენ“ და „ხობზალა“, რომლებიც ხალხური ეპიკური ჟანრების სტილების მიხედვით არის დამუშავებული. ამ მოთხრობებისადმი ინტერესი მრავალი მომენტიტაა შეპირობებული, განსაკუთრებით კი – ახლებური იდეური დატვირთვით“ (ზანდუკელი, 1974: 113).

გიორგი შატერაშვილის საბავშვო პროზაში საყურადღებოა მოთხრობები, რომლებიც განკუთვნილია სკოლამდელი ასაკის ბავშვებისთვის. მწერალი თანაბარი სიყვარულით ხატავს როგორც უფროსი ასაკის პერსონაჟებს, სკოლის მოსწავლეებს, ისე მცირეწლოვანებს. იგი ახლოს იცნობს პატარების ფსიქოლოგიას, ხასიათებს და დარბაისლური კილოთი ასახავს მათ გულუბრყვილობით აღსავსე ოცნებებს. ნათქვამს ასაბუთებს მოთხრობები „ქორი გადაყლაპა“, „ჩიტმა ტყუილი არ იცის“, „ბუტიას კერძი ტკბილია“, „ასე ტკბილად დამიბერდი“ და „მაიას ყვავილნარი“. ამ ნაწარმოებებში ბავშვების განცდები გადმოცემულია ავტორის რეალისტური ხედვით და ზომიერების გრძნობით ისე, რომ პატარები დააინტერესოს და მიიზიდოს „ნაკადულმა“ 1969 წელს საგანგებოდ სკოლამდელი ასაკის ბავშვებისთვის გამოსცა გიორგი შატერაშვილის მოთხრობების კრებული ქორი გადაყლაპა. კრებულს განსაკუთრებული მხატვრული ღირებულება არ გააჩნია, თუმცა შემეცნებითი ხასიათისაა და ყმაწვილებს გარკვეულ ცოდნას აძლევს. მოთხრობის პატარა გმირები ვალიკო, ბონდო, რამაზი, მაია, ვანო და სხვები უფროსებს ზამავენ, ცდილობენ დამოუკიდებლად იმოქმედონ, რასაც ზოგჯერ მარცხი მოსდევს. მატ ბავშვურ გონებამახვილობაზე მიუთითებს მათივე საქციელი, ისინი ოცნებობენ სკოლაში წასვლაზე, ბეჯითად სწავლაზე. მართალია, გიორგი შატერაშვილის ყველა საყმაწვილო მოთხრობა არ დგას თანაბარ მხატვრულ სიმაღლეზე, ზოგი ნაძალადევა, მოდუნებული და ტრაფარეტული, მაგრამ მათი უმრავლესობა გვიჩვენებს, რომ ავტორი ყმაწვილების სულიერ სამყაროს კარგად იცნობს და მათი მომავლით არის დაინტერესებული.

გიორგი შატერაშვილის საბავშვო პროზის ღირსება ისაა, რომ აქ ასახულია მისთვის ნაცნობი გარემო, ბავშვთა ყოფა-ცხოვრების სურათები. მწერლის თხრობა ლაღი და ძალდაუტანებელია, გამსჭვალულია ხალისიანი იუმორით. თხრობის პროცესში ზოგიერთ ადგილზე მოხდენილად არის ჩართული ენობრივად კარგად გაწყობილი დიალოგები. აქ ჩამოთვლილი თვისებები გ.შატერაშვილის თითქმის ყველა საბავშვო მოთხრობისთვისაა დამახასიათებელი. იგი არ იძლევა ზედმეტ, რჩევა-დარიგებებს, არამედ უბრალოდ ჰყვება საინტერესო ამბებს, ცხოვრებისეულ მოვლენებს აღიქვამს და აფასებს ბავშვის თვალთა და გონებით. გიორგი შატერაშვილის საბავშვო პროზის გმირთა მოსაზრებები, მოქმედების ხასიათი ხშირ შემთხვევაში მომდინარეობს მათივე ასაკიდან, თუმცა ზოგან ბავშვები ასაკისთვის შეუფერებლად საღად აზროვნებენ, რაც მათ მეტყველებაში მჟღავნდება.

გიორგი შატერაშვილის საბავშვო მოთხრობების გმირები არ ჰგვანან ერთმანეთს, თითოეული მათგანი ერთმანეთისგან განსხვავებით აზროვნებს. ასევე განსხვავებულია მათი წარმოდგენები საგნებსა და მოვლენებზე, მაგრამ ყველაზე მთავარი ისაა, რომ მწერალი არ წერს წინასწარ შემუშავებული სქემით. მის მიერ მოთხრობილ ფაბულაში დიდაქტიკა შეუმჩნევლად არის შემოსილი, ამიტომ შინაარსი ვითარდება საინტერესოდ და აზრის გაგებაც თავისთავად არ წარმოადგენს დიდ სირთულეს.

მწერლის საბავშვო მოთხრობებზე დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ მისი მიზანი არაა ყმაწვილები დატვირთოს გაურკვეველი, ბუნდოვანი აზრებით. იგი არც მძიმე, დამაბუღ სიტუაციებს ქმნის, რადგან

მისი აზრით, კონფლიქტები თვითონ წარმოიქმნებიან ბავშვების შინაგან სამყაროში და მათი ხელოვნური გამძაფრება უარყოფითად იმოქმედებს მათ მორალურ მხარეზე. გიორგი შატბერაშვილი ასევე მომაბეზრებელი დიდაქტიკური შეგონებებით არ ცდილობს მოაწესრიგოს და გამოასწოროს ყმაწვილთა ნაკლოვანი მხარეები, არამედ თავად ბავშვებს უბიძგებს გააცნობიერონ ჩადენილი საქციელი და გამოასწორონ. იმ შემთხვევაში, თუ ბავშვმა დამოუკიდებლად გაიაზრა თავისი საქციელი და შეიგნო, ასეთ ყმაწვილს აღარ სჭირდება ზედმეტი დარიგება. გ.შატბერაშვილის საბავშვო პროზის გმირებს ახასიათებთ გულწრფელობა, უყვართ სიმართლე, მეგობრები, რაც მათ მთავარ ღირსებად უნდა ჩაითვალოს.

ლიტერატურა:

1. აფხაიძე, 1959: აფხაიძე შ; „კრიტიკული წერილები“ თბ; 1959.
2. გაგუა, 1991: გაგუა ვ; „იაკობ გოგებაშვილი“; თბ; 1991
3. ზანდუკელი, 1974: ზანდუკელი ფ; ფოლკლორი და ქართველი საბავშვო მწერლები“ თბ; 1974.
4. შატბერაშვილი, 1968: შატბერაშვილი გ; „სათაფლია“, თბ; 1968.
5. შატბერაშვილი, 1976: შატბერაშვილი გ; „მტკვრის სათავისკენ“ თბ; 1976.
6. ღვინიაშვილი, 1958: ღვინიაშვილი ა; „გ. შატბერაშვილის“ მერცხლის ბუდეს“ გამოცემის გამო“; ჟურნ. „მნათობი“; 19; 1958.
7. ჯიბუტი, 1973: ჯიბუტი ვ; „წერილები და მოგონებები“; თბ; 1973.

Ioseb Gikoshvili

Samtskhe-Javakheti State University

GIORGI SHATBERASHVILI CHILDREN'S PROSE RESUME

The episodes are taken from children's lives, that characterize only children. Giorgi Shatberashvili: thinks and dreams of children and this is mainly expressed in his work, such as “A Good Boy”, “To The Source of River Mtkvari”, “A nest of a swallow”, etc. The worth of his prose is description of children's way of life, he includes dialogues, various literal styles, proverbs and riddles.

The writer perceive and evaluates the phenomenon of life in children's point of view and their mind.

The characters of Giorgi Shatberashvili's childish prose are characterized with honesty, they love truth, their friends, that is their main honor.

თამარ გოგოლაძე

გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

„კაცობრიობა“ - იაკობ გოგებაშვილის „ბუნების კარის“ ახალი დამატება

1868 წლიდან, „ბუნების კარის“ პირველი გამოცემიდან მოყოლებული, იაკობ გოგებაშვილი დაუცხრომლად იბრძვის თავისი წიგნის სრულყოფისათვის. თვით გარდაცვალებამდე (1912 წ. XX გამოცემა). თუმცა 1909 წელს სახელმძღვანელოს XVIII გამოცემას ავტორი უკვე დასრულებულად მიიჩნევს: „საჭიროდ ვრაცხთ ამას დავუმატოთ, რომ ჩვენ ახლა სრულიად დამთავრებულად მიგვაჩნია „ბუნების კარი“, და ამიტომ მასში აღარ მოვახდენთ აღარავითარ ცვლილებას ახლო მომავალში“ (ხაზი ჩვენია - თ.გ.) (ი. გოგებაშვილი, 1976:IV). სწორედ ამ განცხადების წინ, რომელიც მან „მასწავლებლებისა და მშობელთათვის განკუთვნილ შესავალს დაურთო, მინიშნებულია: „წიგნის ბოლოს საჭიროდ დავინახეთ ჩაგვერთო სრულიად ახალი განყოფილება: „კაცობრიობა“. ამ განყოფილებაში აღწერილია უმთავრესად დაწინაურებული ქვეყნების მდგომარეობა, კონსტიტუციური მართვა-გამგეობა, ზნე-ჩვეულებანი მცხოვრებთა, და სხვანი“ (ი. გოგებაშვილი, 1976:IV).

რატომ დაურთო იაკობმა თავის „ბუნების კარის“ XVIII გამოცემას მიმოხილვა კაცობრიობის შესახებ? და იყო თუ არა ეს მოულოდნელი, ან ხელოვნურად ჩამატებული? - ამ კითხვებზე პასუხის გაცემას ვეცადეთ წინამდებარე სტატიაშიც.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ი. გოგებაშვილი თავისი პირველი პუბლიცისტური წერილით, რომელიც 1866 წლის „დროების“ 29 აპრილის ნომერში დაიბეჭდა ხელმოუწერლად შემდეგი სათაურით „ამერიკა (პოლიტიკური მიმოხილვა, ხოლო შემდეგ უკვე თავად ი. გოგებაშვილმა შეიტანა თავისი „რჩეული პედაგოგიური და პუბლიცისტური ნაწერების პირველ ტომში 1910 წელს, ავტორი ინტერესდება კონრესსა და ახალ პრეზიდენტს შორის ბრძოლის პერიპეტიებით. ამ საკითხს ჩვენ უკვე მივუძღვნეთ ერთი წერილი.¹ ეს კი ხაზგასმით მიანიშნებს ავტორის მისწრაფებაზე შეძლებისდაგვარად იდგეს მსოფლიო პოლიტიკური მოვლენების საქმის კურსში, რაზედაც თავადაც წერს „ბუნების კარის“ X გამოცემის (1899) წინასიტყვაობაშიც: „ჩვენი წიგნი რომ მარტო გონების გამდიდრებასა და განვითარებას მისდევდეს, ეს დიდი ნაკლულვანება იქნებოდა, რადგანაც პატიოსანი, კეთილშობილის გრძნობებით აღზრდა მოზარდი თაობის გულში კიდევ უფრო საჭირო და ძვირფასია. მარილს ყოველის ქვეყნისას შეადგენდნენ და შეადგენენ კეთილნი გულნი, გამსჭვალულნი მოყვასის მხურვალე სიყვარულით, თუ ამჟამად კაცობრიობა დიდს მანძილზეა დაშორებული პირუტყვად, ველურს მდგომარეობიდან და მის ცხოვრებაში წმინდა ზეციურნი ნაკადულნი სდინა, ეს იმის წყალობით უმთავრესად, რომ მისს შორის იზადებოდნენ და იზადებიან დიდებულნი გულნი, რომელთაც სრულიად დავიწყებული ჰქონდათ და აქვს პირადი სიკეთე და ყოველი წამი მათის სიცოცხლისა ეკუთვნოდა და ეკუთვნის სამშობლოსა და კაცობრიობისა. აი, რისთვის მივეციტ ჩვენის წიგნის ყოველს განყოფილებაში დიდი ადგილი ეტიკურს, ალტრუისტულს ელემენტსა, აღმზრდელობითს შინაარსსა, მეტადრე გეოგრაფიულს, ისტორიულს და ქრესტომატიულს განყოფილებაში“ (ი. გოგებაშვილი, ტ. IV, 1990:5-7-508). წინასიტყვაობიდან მოყვანილი ეს ციტატა ძირითადად უცვლელია XVIII გამოცემაში და მიზანიც გაფართოებული: რა მდგომარეობაა ხუთივე კონტინენტზე. სწორედ ამიტომ ურთავს ი. გოგებაშვილი „კაცობრიობის“ განყოფილებას, რომელშიც შედის: ევროპა, გერმანია და ავსტრო-უნგრეთი და შეერთებული შტატები, აზია, აფრიკა, ავსტრალია. მას ერთვის ევროპის მაშინდელი რუკა და „საზოგადო რიცხვი ადამიანთა“.

რა ძირითად საკითხებზე ამახვილებს ი. გოგებაშვილი მოსწავლეთათვის აუცილებელი ცოდნის მისაწოდებლად „კაცობრიობაზე“?

უპირველესად სახელმძღვანელოს ავტორი ცდილობს მოზარდთ აუხსნას, რომ ქართველები არ არიან მარტონი დედამიწაზე. მათ დასავლეთით ევროპაა, სადაც „დიდი ხანია მოსპობილია ბატონ-ყმობა და წოდებანიც მეტ-ნაკლებობით ევროპის ყველა ქვეყანაში. ამ თანასწორობის მთავარი ბურჯი არის ხალხის განათლება“ (ი. გოგებაშვილი, 1976:612).

ამავე დროს ყურადღება გამახვილებულია ევროპაში დემოკრატიაზე, პარლამენტის უფლებებზე, თუმცა აქვე მინიშნებულია, რომ არსებობს როგორც მონარქია, ანუ მეფის ხელისუფლება და რესპუბლიკური (საფრანგეთსა და შვეიცარიაში), როდესაც 7 წლის ვადით არჩეული პრეზიდენტი ხელმძღვანელობს ქვეყანას.

იგივე საკითხები განიხილება გერმანიისა და ავსტრო-უნგრეთის სახელმწიფოების აღწერისას, მაგრამ აქვე არის მინიშნებაც, ე.წ. „შავი წერტილი“, გერმანიაში მცხოვრებ 4 მილიონ პოლონელზე გერმანელების დიქტატისა, როცა პოლონელებს უკრძალავენ საკუთარი ენის ხმარებასა და სწავლებას, მაგრამ პოლონელები „საოცარი მხნეობით იცავენ ყოველს თვისს უფლებასა, თვისს ენას არ აჩაგვრიებენ და მიწა-წყალს არავის არ უთმობენ“. (ი. გოგებაშვილი, 1976:615).

იგივეა განმეორებული იმაზე, თუ როგორ იბრძვიან სლავიანები (ჩეხები) თავის ეროვნული უფლების დაცვისათვის.

საინტერესოა ავტორის დაკვირვება სხვადასხვა ერების თვისებებზე, უმეტესად შრომისმოყვარეობაზე. გამოკვეთილია ფაქტიც, რომ „ფრანგები შურიანობას მოკლებულნი არიან, პირიქით, რა სიკეთესაც თვითონ შეიძენენ, სურთ, რომ სხვებმაც იგივე მოიპოვონ. როდესაც ფრანგებმა სრული თავისუფლება დაამყარეს თავისს ქვეყანაში მეთვრამეტე საუკუნის გასულს, ყოველი ღონისძიება იხმარეს, რომ სხვა ქვეყნებშიაც გამეფებულიყო თავისუფლება. ამის გამო ყველას ფრანგები მიაჩნია სიმპატიურ, მიმზიდველ, საყვარელ ერად“. (ი. გოგებაშვილი, 1976:619). რატომღაც მიგვაჩნია, რომ ი. გოგებაშვილის შეხედულება ფრანგებზე, თითქოს გამოძახილია 50 წლის წინათ ილია ჭავჭავაძის მიერ შექმნილი „მგზავრის წერილებისა“, რომელიც იწყება ფრანგისა და რუსი იამშჩიკის კონტრასტული

¹ თ. გოგოლაზე „იაკობ გოგებაშვილი ამერიკის შეერთებული შტატების შესახებ“ - გსსუ ქართული ენისა და ლიტერატურის სამეცნიერო ცენტრის მიერ ი. გოგებაშვილისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალებში, 2013.

სახეებით: „როცა ავიბარგე, ესე იგი ჩემი ერთად-ერთი ბოხჩის ოდენა ტყავის ხურჯინი ჩავაგდე პოვოსკაში, მოვუბრუნდი ჩემს ახლად გაცნობილს ფრანსიელს გამოსასალმებლად...

...თუ შევხვდეთ ერთმანეთს, კიდევ როდისმე გთხოვთ მიცნობდეთ.

ამ სიტყვებზედ მომიწოდა ხელი გამოსასალმებლად და ისე მჭიდროდ მომიჭირა ხელი ხელს, როგორც მარტო ევროპელმა იცის ხოლმე“ (ი. ჭავჭავაძე, II, 1974: 7-8).

საქართველოში ამ დროს არაა უცნობი ფრანგი, იტალიელი, მაგრამ ავტორი ცდილობს უფრო სიღრმისეულად გააცნოს ეს ორი ერი, ამიტომ აქვე ჩაურთავს იაკობი აკაკის ლექსს „ფრანგები და იტალიელები“:

„ფრანგებმა თავის წილ-ხვედრი სხვა-და-სხვა რიგად გამართეს,
ბევრიც იშფოთეს და შემდეგ წითელი დროშა ამართეს.
დასწერეს: „თავისუფლება, ძმობა და სიყვარულიო
ვისაც არ სურდეს ქვეყნისთვის, ღვთისაგან იყოს კრულიო“,
სწავლა და ხელოვანება, სიბრძნე და მეცნიერება
მისთვის უნდათ, რომ სხვებსაც მისცენ მით ბედნიერება!
შრომობენ დაუღალავად, გულგახსნით, პირმომცინავად,
და ჯერ არავის უნახავს უსაქმურად და მძინარად“.

(ი. გოგებაშვილი, 1976:621).

ასევე დადებითად ხასიათდებიან იტალიელებიც, რომლებიც ხელოვნებაში წარჩინებულნი არიან: „აქაურს მომღერლებს, ქალსა, თუ კაცს, ვერვინ ვერ შეედრება. ამიტომ სხვა ქვეყნებიდან იტალიაში მიდიან ყველანი, ვისაც კი უნდა ზედმიწევნით შეისწავლოს სათეატრო ხელოვნება, მსახიობობა, აქტიორობა, მომღერლობა“ (ი. გოგებაშვილი, 1976:620).

აკაკის ლექსში კი

„იტალიელთა რომ ნახეს ეს მშვენიერი ბუნება,
აიგზნენ სიყვარულითა, გაიურკეცდათ გუნება.
დროშაზე ასე მოქარგეს: „ეს არის ჩვენი მცნებაო,
სიყვარული და ოცნება, სხვა-და-სხვა ხელოვნებაო“.

(ი. გოგებაშვილი, 1976:621).

დიდი ბრიტანეთის აღწერისას, ი. გოგებაშვილი ხაზს უსვამს ირლანდიის ბედს, რომელსაც ინგლისი არ აძლევს საკუთარ პარლამენტს.

ასევე აღსანიშნავია ინგლისური ენის პოპულარობაც მთელს ქვეყნიერებაზე, ინგლისელის მეცნიერებაზე მსჯელობა. მაგრამ გამოკვეთულია ინგლისელის ამპარტავნებაც. იქვე შედარებაც „ბევრს ქართველს კი უსაქმობა, მუქთა-ხორაობა და სხვისი იმედი სათაკილოდ როდი მიაჩნია“ (ი. გოგებაშვილი, 1976:624).

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფოებრივი სისტემა ავტორს დაწვრილებით აქვს გადმოცემული „საზოგადოდ ამერიკაში სრული თანასწორობა არსებობს. წოდებათა სახსენებელიც კი აღარ არის დიდი ხანია. თანასწორი უფლება აქვს სხვებთან, თუნდა სულ უბრალო მუშის შვილი იყოს. საარჩევნო უფლებაც ყველას თანასწორი აქვს. ერთი კენჭი აქვს მდიდარს მემამულესაც და ღარიბ გლეხსაც, მილიონერს მექარხანესაც და მის მუშასაც“ (ი. გოგებაშვილი, 1976:626).

აზიას იაკობი უფრო სხვა კუთხით ახასიათებს ქრისტიანობის წარმოშობის კერად. და ასევე დასაბამად ყველა იმ სარწმუნოებისა, რომელსაც კი ახლა აღიარებს კაცობრიობა. იგი იაპონელებსაც წარმოუდგენს მოზარდს, მათ ნიჭიერებას, შრომისმოყვარეობას, ჩინეთს, აფრიკასა და ავსტრალიას. თუმცა ინგლისი ბატონობს ამ უკანასკნელზე, მაგრამ „ეს უფლება მათთვის (ე.ი. ავსტრალიელებისათვის) იოტის ოდენადაც არ არის შემავიწროებელი, პირიქით, სასარგებლოც არის, რადგანაც ძლიერი ანგელოზი მათ მფარველად და დამცველად ჰყავთ გარეშე მტრისაგან და ამავე დროს სრულიადაც არ ერევა ავსტრალიელების მართვა-გამგეობაში. ადგილობრივი შავ-კანიანები კი ძლივ-ძლივობისად შოულობენ ლუკმა პურსა ნადირობით და თევზაობით, მაწანწალა ხალხის გაჭირვებას ითმენენ და მოკლებულნი არიან ადამიანურს ბინასაც“ (ი. გოგებაშვილი, 1976:631).

რატომ და რისთვის აცნობს ი. გოგებაშვილი კაცობრიობის ყოფის ქართველ მოზარდს, თანდათანობით აშკარავდება ამ განყოფილებით:

ქართველმა, უ.ს. „ახალი ტიპის ქართველმა“ უნდა იცოდეს, სამყარო, დედამიწა სავსეა ადამიანებით, სხვადასხვა კონტინენტებზე, სხვადასხვა წყობით, მაგრამ, ძირითადად, ევროპაში თავისუფლებით, რიგითი სახელმწიფო სისტემით (მონარქიითა და რესპუბლიკით), განათლების უფლებით, აქედან გამომდინარე, საკუთარი ნიჭის განვითარების შესაძლებლობით, რათა ჩადგეს მოწინავე კაცობრიობის წარმომადგენელთა შორის. ამის შესაძლებლობა კი ცოდნით უნდა მოიპოვოს, იბრძოლოს ქვეყნის ეროვნული და სოციალური ჩაგვრის წინააღმდეგ, მიეცეს საკუთარი უფლებების

დაცვის საშუალება, რათა არავინ აუკრძალოს საკუთარ ენაზე განათლების მიღება, ლაპარაკი, არავინ წაართვას საკუთრება და თავი აგრძნობინოს ადამიანად.

ამაზე მსჯელობს თერგდალეულთა მთელი თაობა, რომლის იდეოლოგიის ერთი შემადგენელი ნაწილია სწორი აღზრდა, მიმართული, ჰარმონიული განვითარება, ცოდნის მიღებისა და გააზრების, გაცნობიერების შესაძლებლობა. აქეთვე მოუწოდებს აკაკი თავის პოეზიაში ახალგაზრდა ქართველს, იყოს განსწავლული, გამრჯე, შრომისმოყვარე.

„კაცობრიობა“ ერთგვარი დაგვირგვინებაა ი. გოგებაშვილის „ბუნების კარისა“. ამიტომ თვლიდა XVIII გამოცემას თითქმის დასრულებად თავისი ჩანაფიქრისა.

მხატვრული ღირებულებაც აქვს ამ განყოფილებას. ავტორი არამცთუ წერს მარტივად, გასაგებად, თანამიმდევრულად, არამედ მიმზიდველად, მომხიბლავად, სადაც განმარტებაცაა და შეგონებაც.

თვით იაკობი გვევლინება კიდევ იმ დიდოსტატად, რომლის ჩამატება „ბუნების კარი“ ვერ ჩატევა ვერც ადრინდელ ლიტერატურულ ჟანრში და ვერც ახალში, იგი უფრო ნარკვევია, მხატვრული ნარკვევი, რომელსაც დამოუკიდებელი არსებობის უფლებაც უნდა ჰქონოდა.

ლიტერატურა:

ი. გოგებაშვილი, „ბუნების კარი“, (დაბეჭდილია 1912 წლის გამოცემის მიხედვით) „განათლება“, თბილისი, 1976;

ი. გოგებაშვილი, „რჩეული თხზულებანი“, ტ. I, „განათლება“, თბილისი, 1989;

ი. გოგებაშვილი, „რჩეული თხზულებანი“, ტ. IV, „განათლება“, თბილისი, 1990;

ი. ჭავჭავაძე, რჩეული ნაწერები ორ წიგნად, II წიგნი, „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1974.

Tamar Gogoladze

Gori State Teaching University

"HUMANITY" - A NEW ADDITION TO THE "BUNEBIS KARI" (A DOOR TO NATURE) BY IAKOB GOGEBASHVILI RESUME

Since 1868, after the first edition of the "Bunebis Kari" (A Door to Nature), Iakob Gogebashvili's desire to provide more useful information for the younger generation, was realized in 1909, when he added a new section "Humanity" –with lots of new pictures of Georgia, with a new, extensive charter and a small European charter. It has a preface, which outlines the objective of the author - to give a general idea to "a new type" of Georgian about his country and its contemporary world. Iakob Gogebashvili's purpose was stated in the publicist letters. It is obvious that the author wants to show and to compare the fate of the native corner and the situation with the outside world to young Georgians.

The article aims to present I. Gogebashvili's contribution to modern education system of Georgia.

თენგიზ გუმბერიძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

პეტრე ლარაძის საზოგადოებრივ-ლიტერატურული მოღვაწეობა (ქართული მწერლობის „გარდამავალი ხანა“)

პეტრე ლარაძე (მწერლობაში ყარიზად წოდებული) ერეკლე მეორის მწიგნობარი და, გადმოცემით, დავთარხანის გამგე ყოფილა. მას ებარა სახელმწიფოს საკანცელარიო საქმეები და, ამდენად, ყოველდღიური ურთიერთობები ჰქონდა სამეფო სახლთან.

პეტრე გიორგის ძე ლარაძე წარმომავლობით ლიხსაქეთა საქართველოდან ყოფილა. იგი განეკუთვნებოდა აზნაურთა წრეს, თუმცა თავისი სახელმწიფოებრივი აქტიური საქმიანობის წყალობით

მოხვეჭილი ჰქონდა საკმაო ავტორიტეტი. 1810-იან წლებში პეტრე ლარაძე თან გაჰყვა რუსეთს გადასახლებულ ბაგრატიონებს. იგი სამშობლოში დაბრუნებული გარდაიცვალა 1837 წელს. პეტრე ლარაძე „ერთი უნაყოფიერესი მწერალი და კარგი კალიგრაფი იყო. სხვა მრავალ ნაწერებს გარდა, მას მოუგონია და შეუთხზავს დიდტანიანი „დილარიანი“ (ანთოლოგია, 1928 წ. გვ. 304).

პეტრე ლარაძე ყველაზე მეტად დაახლოებული იყო თეიმურაზ ბატონიშვილთან, რომლის გამზრდელადაც ითვლებოდა. აღსანიშნავია, რომ ერეკლე მეფისა და გიორგი XII-ის მიერ საქართველოს რუსეთთან "შეერთების" შემდეგ ახალგაზრდა თეიმურაზ ბატონიშვილი ირანს გაიქცა, სადაც თითქმის ათი წელი დაყო და ბიძასთან, ალექსანდრესთან ერთად აქტიურად იყო ჩართული კახეთის აჯანყების სამზადისში. როგორც გადმოგვცემენ, მან იქ შეება ვერ პოვა, რადგან თანდათან დარწმუნდა, რომ სპარსეთის იმედად ყოფნა ამაო იყო. მით უფრო, რომ სპარსეთს საქართველოს დაპყრობა ისევ სურდა და ამ საქმეში ბატონიშვილების გამოყენებას ცდილობდა. საქართველოს გათავისუფლებაზე ფიქრი აინუნშიაც კი არ გაუვლია ირანის მზრძანებელ ფათალი ხანს, პირიქით, იგი ირანის საემიროდ აპირებდა ჩვენი ქვეყნის გამოცხადებას. ყველაფერთან ერთად, თეიმურაზი ვერაფრით შეეჩვია სპარსული ცხოვრების ადათ-წესებს. მან სპარსეთის მიტოვება და სამშობლოში დაბრუნება გადაწყვიტა.

1810 წელს გენერალ ტორმასოვის მანევრის შემდეგ აბას მირზამ საქართველოზე თავდასხმა ვერ განახორციელა. იგი ერევანში იდგა და ხელსაყრელ დროს უცდიდა, ასევე ხელსაყრელ დროს უცდიდა მასთან მყოფი თეიმურაზიც, როგორმე გასცლოდა აბას მირზას. ტორმასოვის მიზანი იყო, ქართველი ბატონიშვილები ჩამოეცილებინა სპარსელთა ჯარისთვის. ამიტომ მიუგზავნა მისი გამზრდელი, სამეფო ოჯახთან დაახლოებული პეტრე ლარაძე (ყარბი, ცნობილი პოეტი), რომელმაც თეიმურაზი თბილისში ჩამოიყვანა. ამ ფაქტს დავით და ბაგრატ ბატონიშვილები სულ ორიოდ წინადადებით გადმოგვცემენ: "...ტორმასოვი ეზრახოდა და შეუჩინა გამზრდელი ლალა მისი პ. ლარაძე, აზნაური, რომელმაც მოაცთუნა და მოიყვანა მუნიტ, ხოლო მოვიდა რა თბილისს, წარგზავნა იგიცა რუსეთსა შინა". (ტ. რუხაძე, ქართული ეპოსი გარდამავალი ხანის ლიტერატურაში, თბ. 1939 წ. გვ.136). თავად პოეტი პეტრე ლარაძე ამ ამბავს შემდეგნაირად გადმოგვცემს:

"განვაკვირვე სპარსთა გულნი, თვით მემკვიდრეს ვექმენ ხლათი,
გამოვაპე შუა რაზმი, ჰსთქვეს რა დილის საღავათი,
გამოუძებ ტკბილსა პატრონს, ჩალად ვრაცხე რისხვა მათი."

თბილისში ჩამოსვლისთანავე დიდი უთანხმოება ჩამოვარდნილა თეიმურაზსა და პეტრე ლარაძეს შორის. ეს უკანასკნელი ყველაფერს ბოროტ ენებს აბრალებს:

"უღმრთოდ ენით ჰქმენ გველებრ ძრომა, მლიქვნელთა სიტყვის ზედა შეთქრომა,
ალიზდეს, შექნეს ტკბილად განცხრომა, არცა ძალ ედვა მათგან განრომა,
მაშინ პირს შესდგეს ჩემზედა წყრომა, რათა აცხადოს წყალობის ცხრომა,
და თერგსა შთადირა მრავალი შრომა ჩემი, უხმარ ყო, დამკლა დამძრომა."

პოეტი ძალზე განიცდის თეიმურაზის გულარძნილობას, მაგრამ მაინც ერთგული რჩება მისი. "...ვერ ვათქმევ ძვირს ჩემს ენასა, რაზომცა მიმცეს ჭირებსო", თუმცა ყურადღებას მაინც ამახვილებს იმაზე, თუ რა ტანჯვა-წამება გამოიარა ბატონიშვილისათვის:

"გვირგვინოსნის სისხლსა გმონე, გმსახურე,
რავდენთა ჭირთა შენთვის ვეც თავი ჩემი,
კრულება, გვემა, ქადება რუსთ-სპარსთ შიში,
თავს ვიხვენ შენთვის, სიკვდილი მიჩნდა ღვინად,
ერთგული ესე თვით მომკალ უმაღლო".

ეტყობა, რომ პოეტი რუსებისათვის ბატონიშვილის გადაცემას მასზე დიდ ზრუნვად მიიჩნევს...

პეტრე ლარაძის შემოქმედება იწერებოდა, როგორც საქართველოში, ასევე რუსეთში, სადაც ცხოვრების გარკვეული ნაწილი გაატარა. პეტრეს ლარაძეს ლექსები მიუძღვნია სამეფო კარის უმრავლეს წარმომადგენელთათვის, კერძოდ: თეიმურაზ, იოანე, გრიგოლ, დიმიტრი, ოქროპირ, მიხაილ, ილია, დავით, თევლა ბატონიშვილებისთვის. არც ავად თუ კარგად გამოჩენილი პიროვნებები გამორჩენია, მათ შორის, ალექსანდრე ჭავჭავაძე, გიორგი ზურაბის ძე წერეთელი, გიორგი თუმანიშვილი, გიორგი ავალიშვილი, ზაზა ანდრონიკაშვილი...

პოეტმა დაგვიტოვა საკუთარი ლექსების კრებული „მრავალფერ-ყვავილოვანი“, ასევე აღდგენილი ძველი სარაინდო ეპოსი „დილარგეთიანი“, რომელმაც ჩვენამდე ხელნაწერის სახით მოადღია, ხოლო პოემა „სახე მგოსანი“ გასული საუკუნის 40-იან წლებამდე მიუკვლეველი იყო (ტ. რუხაძე), მაგრამ ილია აბულაძეს მიუგნია და გამოუცია დასახელებული პოემა 1947 წელს. ზ. ჭიჭინაძეს მიაჩნდა, რომ პეტრე ლარაძეს შეუქმნია „სავანე გმირთა“ - მეორე ვრცელი ხზულებაც, რომელიც „სახე მგოსანთან“ ერთად დაკარგულა (პ. ლარაძის „დილარიანსა“ და „სახე მგოსანს“ მიუძღვნით ცალკე წერილს, თ. გ.).

რუსეთთან ურთიერთობის მომხრე-მოწინააღმდეგეთა ბანაკები თვით ბაგრატიონთა სამეფო ოჯახში წარმოიშვა (შესაბამისად, ერთი მხრივ, იოანე ბატონიშვილი, დავით ბაგრატიონი, გიორგი ბაგრატიონი, (ეს უკანასკნელი იმერეთის ბაგრატიონთაგანი გახლდათ) და სამეფო კარის მოსამსახურენი: გიორგი ავალიშვილი, იონა ხელაშვილი, რაფიელ დანიბეგაშვილი, ბეგლარ ორბელიანი...) და, მეორე მხრივ, ალექსანდრე ბატონიშვილი (მკვეთრად მოწინააღმდეგე), თეიმურაზ და გრიგოლ ბაგრატიონები. იყვნენ ნეიტრალური პიროვნებებიც. ეს უკანასკნელნიც და კიდევ სხვანი ზოგჯერ მერყეობდნენ და შუალედურ პოზიციაზე იდგნენ, ე. ი. ჯერ კიდევ ვერ გარკვეულიყვნენ არსებულ რთულ სახელმწიფოებრივ-პოლიტიკურ ვითარებაში. ერთ-ერთ შუალედურ პიროვნებად მიაჩნიათ პეტრე ლარამეც, რასაც აგრერიგად ვერ დავეთანხმებით.

თეიმურაზ ბაგრატიონს მოსკოვს გამგზავრებისას (გადასახლებისას) განსაკუთრებით მოუსურვებია პეტრე ლარამის თანხლება, რაც ამ უკანასკნელისათვის ძალზე სამძიმო გამხდარა. პეტრე გადმოგვცემს თავის განცდებს:

„პეტერბურღს უცხოებაში მყო ძალით წანაყოლები,
რად სახმარიყო საჩემოთ მუნებრი მებელ-სტოლები“.

პეტრეს ბევრი უცდია, რათა შეეცვლევინებინა აზრი თეიმურაზისთვის, თუმცა მიზანს ვერ მიაღწია:

„გზაზედ ვევედრე დათხოვნას მივგზავნე მისი ტოლები
არა ინება მარბინა ჩერქეზ-ქირმანის ჩოლები.

თეიმურაზ ბაგრატიონი და პეტრე ლარამე 1810-12 წლებში უნდა წაეყვანათ თბილისიდან. რუსეთში „პეტრე დაუახლოვდა გადასახლებულ ბატონიშვილებს და გახდა, თუ შეიძლება ითქვას, ემიგრაციის საკარო მგოსანი“ (ტ. რუხაძე, ქართული ეპოსი „გარდამავალი ხანის“ ლიტერატურაში, გვ. 137). მოსკოვში ჩასვლის უმალ პეტრემ იხილა ნაპოლეონის რუსეთზე შემოსევის უმთავრესი შედეგი - ეს იყო ფრანგთა მიერ გადამწვარი მოსკოვი. ამ ფაქტით გულმოკლულ პოეტს დაუწერია ლექსი მოსკოვზე, - „ეჰა ვითარსა დროსა მწუხარსა“. საინტერესოა ქართველი პოეტის განცდები, რომელიც მას დაეუფლა გადამწვარი მოსკოვის ხილვისას:

„ეჰა ვითარსა დროსა მწარესა,
შევესწარ ცრემლით სამგლოვარესა,
ცას ვხედავ რისხვით დამქუხარესა,
სრულს ჩრდილოს კერძოს მამრწუნარესა,
დიდს ტახტოსანთა საქებარესა.
ვგრნობ აღტყინებით ცეცხლ მდებარესა
ვინ არ იგლოვდეს სამწუხარესა
ვაი მოსკოვსა წვათ მთებარესა,
შვიდას წელს ტრფობით ნაგებარესა“.

ერთობ საინტერესო ფაქტია ქართველი პოეტისაგან რუსეთის გადამწვარი დედაქალაქის ასე ცხარედ დატირება. ჩანს, პეტრე ლარამე რუსთმოყვარე და რუსული ორიენტაციის განსაკუთრებული მხარდამჭერია. მის თვალწინ ჩაიარა ალა მაჰმად-ხანის შემოსევამ, კრწანისზე უმოწყალოდ გაიჟლიტნენ ქართველები, ისინი ურცხვ მტერს შეაკვდნენ. ჩვენს სასიქადულო პოეტს არც ერთხელ მოსდენია ცრემლი ამ უბედურების გამო. მისი ლექსების უმეტესი ნაწილი, როგორც უკვე ითქვა, არის მიძღვნები თავისი დროის დაწინეურებული პიროვნებებისადმი. როგორც გადმოგვცემენ, პეტრე ლარამე იყო ერეკლე მეფის კარის მწიგნობარი და დავთარხანის გამგე, მას ებარა თბილისის უნიკალური წიგნსაცავისა პატრონობა. ალა მაჰმად-ხანის შემოსევისას გადაიწვა თბილისი და მთლიანად შთაინთქა არსებული წიგნსაცავიც. პეტრეს ლექსების კრებულში რომელსაც ჰქვია „მრავალფერყვავილოვანი“, აღნიშნული ფაქტის გამო ერთი დაჩივლებაც არ ჩანს. ეტყობა, პეტრე დიდ იმედებს ამყარებდა რუსეთზე და საქართველოს სახელმწიფოებრივ გადარჩენასაც მისგან იმედოვნებდა. ალბათ, ჩვენს პოეტს არ ჰყოფნიდა პოლიტიკური ხედვა და ალლო, განსხვავებით ბატონიშვილებისაგან, რომლებიც მისტიროდნენ საქართველოს სახელმწიფოს გაუქმებას და ამის მიზეზს მხოლოდ რუსულ ძალმომრეობაში ხედავდნენ („რუსთა დაიპყრეს საქართველო“ - თქვა გრიგოლ ბატონიშვილმა პეტერბურგში ჩაყვანისას). როგორც ეტყობა, პეტრე ლარამე თავიდანვე კეთილგანწყობას ამჟღავნებდა რუსთა მიმართ, რაც სავარაუდოდ, არც რუს მოხელეებს დარჩენიათ შეუნიშნავი (ისინი ხომ ასეთებს გაფაციცებით ეძებდნენ ქართველთა შორის), ამიტომ სწორედ პეტრე ლარამე მიუგზავნეს ერევანს მყოფ თეიმურაზ ბატონიშვილს გადმოსაბრებლად. პეტრე ხიფათსაც კი არ დაერიდა და ბრწყინვალედ შეასრულა რუსთა დავალება ისე, როგორც ზაზა ანდრონიკაშვილმა გრიგოლ ბატონიშვილის გადმობრების საქმე. (გრიგოლ ბატონიშვილს რუსმა მოხელეებმა მიუგზავნეს ზაზა ანდრონიკაშვილი. ამ უკანასკნელმა, ყველაზე ბოროტი ხერხიც კი იხმარა და ეს დავალება პირნათლად შეასრულა). როგორც ზაზამ, ისე პეტრე ლარამემაც, უდავოა, ზედმიწევნით იცოდნენ, რომ ბატონიშვილებს რუსეთში გასახლება ელოდათ, მიუხედავად რუს მოხელეთა მიერ

სავარაუდოდ მიცემული დაპირებისა, რომ ბატონიშვილებს არ გაასახლებდნენ. პრინციპული შეფასებით აღნიშნული საქციელები, როგორც ზაზა ანდრონიკაშვილისაგან, ისე პეტრე ლარაძისაგან, მოღალატურია, თუმცა ასეთ მკაცრ შეფასებას ძველი ქართული მწერლობის მკვლევრები თავს არიდებენ. შემთხვევითი არც ისაა, რომ თბილისში ჩამოსვლისას, თეიმურაზსა და პეტრეს შორის უმაღლესი თავი განხეთქილებამ და დაპირისპირებამ. ამ „უთანხმოების მიზეზი უნდა ვეძიოთ იმ ფაქტში, რომ თეიმურაზ ბატონიშვილი ვერ შეურიგდა რუსებს და მისი ბედის ასე წარმართვაც პეტრე ლარაძეს დააბრალა, რის გამოც შეიძლება უკანასკნელი, (პროფ. კ. კეკელიძე II, 206), შესაძლებელია, ეს მართლაც ასე იყოს“ (ციტატა მოყვანილია ტ. რუხაძის წიგნიდან ქართული ეპოსი „გარდამავალი ხანის“ ლიტერატურაში, გვ. 137). ამ მოსაზრებას სხვებიც ეთანხმებიან, თუმცა, პეტერბურგში ყოფნისას არსებული ვნებათაღელვა თანდათან დაცხრა და ლიტერატურულმა პროცესმა ისევ დაახლოვა ძველი მეგობრები. პეტრეს დიდი მწიგნობრის სახელი ყველგან თან სდევდა და ბატონიშვილებმა მას „დილარგეთიანის“ დაწერა (აღდგენა) დაავალეს. თუმცა ეს მოხდა უფრო გვიან. მანამდე კი პეტერბურგს ახლად ჩასული პეტრე ლარაძე ვერასგზოთ შეეთვისა იქაურობას (ვერც ბატონიშვილები შეეთვისნენ, რაზეც ადრევე უნდა ეფიქრა თვით პეტრეს) და სიმწარით აღმოხდა:

„ბრძენო მკითხველნო, ისმინეთ ლექსნი საბავთოთ მწარენი,
შეგბრალდეს, მთხზველმან ყარიბმან რაზომნი ცრემლნი ვღვარენი“.

პეტრე ლარაძე ცხარე ცრემლს ღვრის, რომ უცხო მხარეში უთვისტომო და მარტოსულია, მან ვერ გამოიტყრა თავისი ყოფა და იმედი ვერ დაუსახა თავს, თუმცა სჯერა, რომ დროის ცვლილება „სოფლისა წეს არს“ და მოსკოვიც აღსდგება. დღევანდელ მის ბედს სხვები გაიზიარებენ:

„იხილე ბრუნვა ეტლის, ვით ჭრელობს
ჟამად ყინვა ზრავს, ოდესმე მწველობს,
ვარდთა ხვდეს ჭნობა ნაფუნჩვარესა
ვაი...
რადგან სოფლისა წეს არს ცვლილება,
განგებით ხვედრსა არ ჰხვდეს შლილება,
დღეს მოსკოვს შეხვდა წვით დაზღვლილება,
ხვალ თვისი საქმე სხვას ემხილება,
ბედ კეთილობის ხის დაჩრდილება,
ქედ მაღლობამ ჰყოს დაფურცვლილება,
სასინანულოდ არს საკმარესა,
ვაი მოსკოვსა წვად მთებარესა,
შვიდას წელს ტრფობით ნაგებარესა.

პეტრე ლარაძე უფრო მეტად შვიდასწლოვანი მოსკოვის გულშემატკივარია, ვიდრე ათასხუთასწლოვანი თბილისის დამწვარი დიდების ჭირისუფალი.

საინტერესოა, პეტრე ლარაძის ლექსი, რომელიც ეძღვნება დავით ბატონიშვილს. როგორც ვიცით, დავითი (გიორგი XII-ის ძე) მამასთან და ძმასთან იოანესთან ერთად რუსულ ორიენტაციას უჭერდა მხარს, (იწოდებოდა საქართველოს მემკვიდრედ, რუსთა გენერალ-ლეიტენანტად, კავალერად და სენატორად), მაგრამ სამშობლოს უიმედო ყოფაში ჩავარდნის გამო დავით ბატონიშვილი დიდ მწუხარებას განიცდიდა და ხშირად გმობდა წუთისოფელს. ამაზე მეტყველებს მისი ლექსები: „გამიფრინდა სიხარულის ფრინველი“, „უბედური ხვედრი“, „რა მთოვარე“, „სოფლისაგან განაწირი“ და მრავალი სხვა.

დავით ბატონიშვილს ერთი ლექსი უშუალოდ პეტრესთვის მიუძღვნია („პეტრე ლარაძეს“), რომელშიც ისევ თავის ავ ბედზე ჩივის:

„სოფელმან მიმცა, უბედობას განსაბმარველად,
წარსატყვენველად, იავარად, აღმოსაფხვრელად,
ჰამოვნებისა მყუდროების მძლედ დასახსნელად,
მოყვასთ ხელთ მისცნა ქვანი ჩემზედ დასაკრებელად,
უცხოებაში განმამზადა ჩასაქოლველად.

პეტრე ლარაძემ ამ ნოსტალგიური ლექსისთვის დავითს მიუძღვნა (ეს პეტრე ლარაძე ყარიბმა მისწერა პასუხად მეფის ძეს დავითს და მაღლობელ იქმნა ფრიად ესევითარად შეგონებისათვის“) საპასუხო.

საოცარია, რომ პეტრე ლარაძე ვერ ხედავს ბატონიშვილის გულისტკივილს და არ იზიარებს მის განწყობას. ერთგვარი ნიშნისმოგებაც კი იგრძნობა მისი ლექსის დასაწყისიდანვე:

„რად ჰგმობ სოფელსა, რა უქნია შენზედ ავები,
აღვსილი ყოვლის კეთილობით მოგცა ნავები,
დღენი დაგიტკბო არსით გიჩნდეს საზრუნავები,

დაუდგრომლობით, თვითვე დასხენ მასთან ზავები,
მოყვასთა გსურის მრისხანებით დასჭრა თავები.

პეტრე ურჩევს ბატონიშვილს, თავი ანებოს სოფლის ძრახვას და მიეცეს მხიარულებას, რადგან წარსულის აღდგენაზე ფიქრი ამაოა:

„სჯობს მოიშალო რაცა გჭირან საზრახავები,
ჰბრძანე რად მოსთქვამ, რას შეასმენ კერპთ სამულველთა,
ირწმუნე მათი, ვერ აღადგენ ძველთ საძირკველთა“ და სხვა.

ერთ-ერთი ლექსიც „მზე ვნახე მჭმუნვარედ“ პოეტის სამშობლოსაგან მოწყვეტით წარმოშობილ ნოსტალგიას გვამცნობს:

„მზე ვნახე მჭმუნვარედ, ჟამი მხვდა მწარე,
ვიქმენ დამწყველი სვისა და სვისა
ამად გლოვა ჩემი ვერღა დავფარე,
ესტირი მომდურავი სვისა და სვისა
დავემხე მკადრები შიშით მძრწოლარე
ვჰკადრე, მზეო ღრუბლით, რადდაიფარე?“

ზემოთ უკვე ითქვა, რომ პოეტი ტიროდა თავის მარტოობას, რუსული ენის არ ცოდნას, ურთიერთობათა შეზღუდულ გარემოს, რისთვისაც იგი ღვრიდა ცრემლებს, თუმცა ბატონიშვილების გარემოში პეტრე საკმაოდ მიღებულ პიროვნებად და საქმის მცოდნე კაცად ითვლებოდა. ეს ღირსებები მას თბილისიდან გადაჰყვა პეტერბურგს. ცნობილია, რომ ბატონიშვილების ძირითად საქმედ იქცა ლიტერატურულ-კულტურული მოღვაწეობა. მათ ამ საქმიანობაში აქტიურად ჩართეს პეტრე ლარაძე. სწორედ ბატონიშვილებმა დაავალეს მას, დაეწერა ახალი „დილარგეთიანი“, ეს წიგნი, გადმოცემით, ერეკლეს მიერ დაარსებულ თბილისის წიგნსაცავში უნდა არსებულიყო (თუმცა ამ მოსაზრებას ყველა არ ეთანხმება) და კრწანისის ომის დროს დაიწვა. პეტრეს საკმაოდ რთულ საქმედ მიუჩნევია ბატონიშვილების დავალება, მაგრამ უარიც ვეღარ უთქვამს და წარმატებით შეუსრულებია ეს საქმე. „დილარგეთიანის“ (შუა საუკუნეების საგმირო-სარაინდო ეპოსი) შინაარსის მცოდნე, ან წამკითხველი ამ თხზულებისა, დღემდე არავინაა. როგორც ჩანს, პეტრემ რამდენადმე იცოდა აღნიშნული „დილარიანის“ არსი და შინაარსი და მასზე დაყრდნობით შეთხზა ახალი ტექსტი („დილარიანი“ ვრცელი და ცალკე სამსჯელო საკითხია, თ. გ.).

პეტრე ლარაძე ძველი მწერლობის მკვლევართა მიერ დახასიათებულია, როგორც ნეიტრალური პიროვნება რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის საკითხში. ვფიქრობთ, ასეთი მოსაზრება მოკლებულია მართებულობას, პეტრეს ლექსების ანალიზი და მისი პრაქტიკული საქმიანობანი ცხადყოფს, რომ იგი მთლიანად რუსული ორიენტაციის მომხრეა და სიტყვითა და კალმით მხოლოდ მას ემსახურებოდა.

ლიტერატურა:

1. ანთოლოგია (რედ. ია ეკალაძე), თბ., 1928.
2. რუხაძე ტ. ქართული ეპოსი „გარდამავალი ხანის“ ლიტერატურაში, „სახუნტის“ გამომცემლობა, თბ., 1939.
3. რუხაძე ტ. ძველი ქართული ლირიკის ისტორიიდან, სამეც. მეთოდ. კაბინეტის გამომც., თბ., 1954.
4. ქართ. ლიტ. ისტორია (ექვსტომეული), ტ. II, თსუ-ს გამომც. თბ. 1966.

Tengiz Gumberidze
Akaki Tsereteli State University
PUBLIC AND LITERARY WORKS OF PETRE LARADZE
RESUME

Petre Laradze was a well-known poet of his time, and he was appreciated to have a honorable place of King Erekle's palace and had a daily relationship with the royal family.

Petre Laradze's ancestors moved from western Georgia to Kartli, they belonged to the circle of nobility. Petre Laradze has been given enough authority for the king's door, thanks to its active state activities. In 1810 he accompanied Russia to the exiled Bagrationi, but Petre did not stay in Russia until his death. He has returned to Tbilisi and died in 1837.

Petre Laradze wrote lyric verses, he has also written one poem. He devoted many texts to Teimuraz, David, Dimitri Bagrationi, Aleksandre Chavchavadze, Giorgi Tumanishvili, Zaza Andronikashvili ... In St. Petersburg, he wrote a new "Dilargietiani".

Petre Laradze constantly supported the Russian orientation of Georgia. It seemed to have a great hope in Russia, because he expected to save Georgia's state system with their help. The Georgian princes, exiled to Russia, were crying for the loss of the Georgian state. When Petre arrived in Moscow, he has seen it was destroyed by the invasion of Napoleon, and because of that reason he wrote a poem "Verse about Moscow", whose contents only give us the poet's sadness. Tbilisi was burnt in front of Petre Laradze after Krtsanisi tragedy. The unique bookstore of the King Erekle, which was entrusted to Peter Laradze was swallowed by the fire. We can't see any complaint about that tragic event, but his heart was bitterly shaken by Moscow.

Petre Laradze was among the most popular immigrants. He became a well-known poet and was asked to write poems about any person or something worthwhile. It can be said that Petre Laradze became emigrant poet.

ლუკა დვალიშვილი
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ალექსანდრე ყაზბეგის ცხოვრებისა და შემოქმედების საინტერესო ფაქტები ილია ჭყონიას პუბლიცისტიკაში

ალექსანდრე ყაზბეგი უდავოდ ერთ-ერთი ტრაგიკული ბიოგრაფიის მქონე შემოქმედია ქართული კულტურის ისტორიაში. ტრაგიზმი, საქართველოში არსებული მძიმე სოციალური და პოლიტიკური მდგომარეობის გამო, შეიძლება ითქვას, სამწუხაროდ ერთგვარ ბუნებრივ მოვლენად უნდა აღვიქვათ ქართველ მწერალთა ბიოგრაფიებში. საქართველოში არსებული უმძიმესი პოლიტიკური სიტუაციები არა მარტო რიგით მოქალაქეებს უმზადებდა გაუსაძლის სევსა და ხვედრს, არამედ ხშირად, თვით მეფე-დიდებულების ცხოვრებასაც კი ჯოჯოხეთად აქცევდა. ზემოთქმულის დასტურად, თეიმურაზ პირველის, არჩილის, სულხან-საბასა და დავით გურამიშვილის ბიოგრაფიების გახსენებაც საკმარისია. სამწუხაროდ, ამ მიმართულებით მდგომარეობა არც მე-19 საუკუნეში გამოსწორებულა. უფრო მეტიც, საქართველომ ის მოუძღვრებული პოლიტიკური თავისუფლებაც დაკარგა, რამაც ქვეყნის მოყვარულ მამულიშვილთა ყოფა და განცდა კიდევ უფრო დაამძიმა. „ბედი მდევარი“ ყველგან პოულობდა ქართველ კულტურის მუშაკს: სასახლეშიც, სახლშიც, სამკალ-სათიბშიც, ციხე-სიმაგრესა თუ მიუვალ უღრანში. მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში მოღვაწე ნიკოლოზ ბარათაშვილის „უბედო ბედი“ ამავე საუკუნის მეორე ნახევარში გარკვეული ტრანსფორმაციით, ასევე დიდებულთა წრის წარმომადგენლის ალ. ყაზბეგის ცხოვრების თანამგზავრი გახდა. უდავოა, რომ მე-19 საუკუნის ამ ორი შემოქმედის ნაადრევი გარდაცვალება ზემოთქმული პოლიტიკურ-სოციალური პროცესების სამწუხარო შედეგი იყო. ქართული საზოგადოების ერთი ნაწილის გულგრილობამ და ინდიფერენტულობამ ალექსანდრე ყაზბეგს არა მარტო ხანმოკლე სიცოცხლის წლებში მოუწამლა ყოფა და დაუსრულებელ ტანჯვად უქცია წუთისოფელი, არამედ მისი მართლაც ტრაგიკული გარდაცვალების შემდეგაც გრძელდებოდა დაუსრულებელი მითქმა-მოთქმა, ცილისწამება და ქირქილი მწერლის ცხოვრებისა და შემოქმედების ცალკეული ეპიზოდების მიმართ. შეიძლება ითქვას, ამ მხრივ ეს სამწუხარო ტრადიცია, რამდენადმე გრძელდება დღესაც. მიუხედავად იმისა, რომ ალექსანდრე ყაზბეგის ბიოგრაფიისა და სამწერლო-სამოღვაწეო საქმიანობის შესახებ არაერთი საინტერესო გამოკვლევა, სამეცნიერო თუ პუბლიცისტური სტატია არის დაწერილი, დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ ამ მიმართულებით ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი, და, ვფიქრობთ საქართველოსა თუ რუსეთში დაცული, მკვლევრის მომლოდინე ბევრი საარქივო მასალა, სამომავლოდ ბევრ სიცხადეს შეიტანს, როგორც მწერლის შემოქმედებითი ლაბორატორიის თავისებურებებში, ასევე ნაადრევად გარდაცვლილი შემოქმედის ცხოვრებისეული ეპიზოდების გარკვევაში. ამ მხრივ, ვფიქრობთ, ქართული სამეცნიერო და საერთოდ დაინტერესებული საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანი იქნება ცნობილი მწერლის, პუბლიცისტის, მთარგმნელის, თეატრის რეცენზენტის, რედაქტორ-გამომცემლისა და ლექსიკოგრაფის ილია ჭყონიას არქივში დაცული უმნიშვნელოდ დაზიანებული ხელნაწერი, რომელიც სავარაუდოდ შექმნილია იმ პერიოდში, როცა მისი ავტორი დიდ მატერიალურ სიდუხჭირეს განიცდიდა.

ხელნაწერი შესრულებულია სასამართლო უწყების გაუქმებულ ბლანკებზე და იგი ალექსანდრე ყაზბეგის ბიოგრაფიისა და შემოქმედების ბევრ ისეთ მნიშვნელოვან მომენტებს ასახავს, რომელთა დიდი ნაწილი საერთოდ უცნობია, ან ნაკლებად იყო ცნობილი მაშინდელი და დღევანდელი საზოგადოებისთვის. დოკუმენტი განსაკუთრებით საინტერესოა რამდენიმე კუთხით: 1) ეს გახლავთ ალექსანდრე ყაზბეგის პიროვნული პორტრეტი, მისი ფიზიკური ხატი პირუთვნელი თანამედროვის, ილია ჭყონიას, თვალით დანახული. 2) ალექსანდრე ყაზბეგი, როგორც ქართული თეატრის ერთ-ერთი მოამბე, მეჭირისუფლე, სასცენო ნაწარმოებების შემქმნელი და მსახიობი. 3) სერგეი მესხისა და ალექსანდრე ყაზბეგის ჭეშმარიტი მეგობრობისა და თანამშრომლობის საყურადღებო ეპიზოდები. 4) ალექსანდრე ყაზბეგი და ქართული კულტურის წარმომადგენელთა: გრიგოლ ორბელიანი, აკაკი წერეთელი, იონა მეუნარგია და სხვათა ურთიერთობების საყურადღებო დეტალები 5) ალექსანდრე ყაზბეგის შემოქმედებითი ლაბორატორიის უცნობი ეპიზოდები. ... და ალბათ ყველაზე მნიშვნელოვანი და საინტერესო 6) ალექსანდრე ყაზბეგი ყოველგვარი ეჭვის გარეშე იყო თავისი თხზულებების ჭეშმარიტი შემოქმედი და ავტორი. მწერლის სიცოცხლის ბოლო წლებისა თუ მისი გარდაცვალების შემდეგ ლიტერატურულ საზოგადოების ერთ ნაწილში გაჩენილი აზრი: თითქოს „ის არ იყო ავტორი მისი სახელით დაბეჭდილი თხზულებებისა,“ ყოველგვარ საფუძველსა მოკლებული.

ილია ჭყონიას არქივში დაცული დოკუმენტი - „ალექსანდრე მიხეილის ძე ყაზბეგი“ (მოგონება) არა მარტო უაღრესად მნიშვნელოვანი ფაქტების შემცველია ალექსანდრე ყაზბეგის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ, არამედ საინტერესოა იმითაც, რომ მასში დაცული სარწმუნო ამბები, მწერლის პირადი ცხოვრებისეული ეპიზოდები მნიშვნელოვანწილად გადახლართულია მისი თანამედროვე საქართველოსა და ქართული საზოგადოების ბევრ ეპოქალურ საკითხებთან და ახლებურად წარმოაჩენს მათ. აქვე დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ილია ჭყონია, როგორც მწერალი, პუბლიცისტი და მემპატიანე-დოკუმენტალისტი უაღრესად სანდოა და სარწმუნო. მის კალამს არა მარტო სიტყვაკაზმულობა, სიმძაფრე და ფხიანობა ახასიათებს, არამედ მისი ავტორი არის თავისი ქვეყნისა და საზოგადოების ფხიზელი და უშიშარი გულშემატკივარი. დრომ დაადასტურა ილია ჭყონიას ქვეყნისმოყვარეობა, შორსმჭვრეტელობა, წინდახედულობა და რაინდული ბუნება. როგორც თვითონ მიუთითებს, გაცნობისთანავე იგი ალექსანდრე ყაზბეგის მეგობარი და მოყვარულ-დამფასებელი გახდა. ისინი მე-19 საუკუნის 80-იან წლებში თბილისში, სასამართლოს ქუჩაზე, რამდენიმე თვე ერთად ცხოვრობდნენ ნაქირავებ ბინაში. ამდენად, მის არქივში დაცული ეს დოკუმენტი არის ღირსეული თანამედროვის მიერ შექმნილი პირველწყარო, რომლისთვისაც უცხოა სხვათა და სხვათა მონათხრობთა პერიფრაზირება-ინტერპრეტაცია. ილია ჭყონია აღფრთოვანებულია ალექსანდრე ყაზბეგის პიროვნული პორტრეტითა და სულიერი თვისებებით: „ამ დროს მაღაზიაში შემოვიდა სანდრო ყაზბეგი (მაღალი ტანის, კარგა ტანადი, წვერმოპარსული, ევროპულად კოხტათ გამოწყობილი, მაღალი ცილინდრიანი ქუდით. ქუდი მოიხადა და დავინახე მისი მაღალი შუბლი, მოგრძო სწორი ცხვირი და მოწაბლისფრო თმა ოდნავ შეთხელებული).“ ილია ჭყონიას ალექსანდრე ყაზბეგი გაუცვნია 1880 წელს, ახალგაზსნილ გრიგოლ ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში. როგორც მოგონებათა ავტორი მიუთითებს, გრიგოლ ჩარკვიანის მაღაზია მაშინდელი ქართული ინტელიგენციის მნიშვნელოვანი შეკრების ადგილი იყო. აქ თავს იყრიდა „ისეთი მესვეურნი მწერლობისა როგორიცაა აკაკი, რაფიელ ერისთავი, ნიკო ლომოური, იაკობ გოგებაშვილი და სხვები, ხშირად შედიოდნენ იქვე ილია ჭავჭავაძე, გრიგოლ და ვახტანგ ორბელიანები, სერგეი მესხი, ანტონ ფურცელაძე და სხვა.“ ალექსანდრე ყაზბეგის ფიზიკური პორტრეტი და სულიერი თვისებები თითქოს ელინელთა მსოფლმხედველობრივი კრედო-ფორმულის - „ლამაზ სხეულში ლამაზი სულიას“ უზუსტესი მაგალითია. მოგონებათა ავტორის თქმით ალექსანდრე ყაზბეგი იშვიათი სულიერი, ადამიანური, ზოგადდროვნული, ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მატარებელი პიროვნება იყო. „სანდრო იყო კარგი საამხანაგო, უხვი, როცა რაიმე ჰქონდა, ხოლო მიკრძალეული, როცა არაფერი გააჩნდა. არაფერს პირაქეთ ამხანაგს არ გთხოვდა, ხოლო თუ შენით შეაძლევდი თავმდაბლური მოკრძალებით გამოგართმევდა და გულწრფელად აღვითქვამდა პირველი შესაძლებლობისთანავე გადაგიხდიო.“ ილია ჭყონია საგანგებოდ აღნიშნავს, რომ იმ სამი თვის მანძილზე, როცა ისინი ერთად ცხოვრობდნენ 1881 წელს, თბილისში ერთ ბინაში, მეტისმეტად ღარიბულად და მოკრძალებულად, ალექსანდრე ყაზბეგი ბევრ მისაბამ: სათნოების, უბრალოების, პატიოსნების, მოთმინების და თავმდაბლობის იშვიათ საქციელს ავლენდა. და რაოდენ გასაკვირია, (თუმცა გასაკვირიც არ არის. ნათქვამია, ჭირი მართალსო. ლ.დ.), ასეთ მოკრძალებულ და სიმართლისმოყვარულ ადამიანს მოგვიანებით სხვისი ნაწარმოების მითვისება-პლაგიატში დასდეს ბრალი.

თავის დროზე ბევრს საუბრობდნენ ალექსანდრე ყაზბეგის სასცენო მოღვაწეობის შესახებ. ილია ჭყონიას მოგონება ამ მხრივაც საყურადღებოა. იგი აღნიშნავს, რომ ალექსანდრე ყაზბეგთან მისი გაცნობა სწორედ მწერლის ერთი სასცენო ნაწარმოების გამო მოხდა. „სანდროს გაცნობამდე გავიცანი მისი სასცენო ნაწარმოები - პატარა ვოდევილი, რომელიც გადმომცა პირველმა პროფესიონალმა გამომცემელმა

ქართული წიგნისა ზაქარია ჭიჭინაძემ... ზაქარიამ მითხრა: აი ეს ახალი მწერლის ერთი მრავალ ნაწარმოებთაგანია, წაიკითხე, გაეცანი... კეთილი გულის კაცია, ძალიან უყვარს ჩვენი ქვეყანა და ჩვენი მწერლობა, იცის ფრანგული ენა“. ზაქარია ჭიჭინაძის ამ მოკლე მონოლოგში, მიუხედავად სიტყვიერი მასალის მომჭირნეობისა, ალექსანდრე ყაზბეგის პიროვნებისა და შემოქმედების საკმაოდ სრულყოფილი, ლამის ამომწურავი პორტრეტია დახატული. თავისი ქვეყნისა და მისი კულტურის უსაზღვროდ მოყვარულ-დამფასებელი ალექსანდრე ყაზბეგი სამწუხაროდ სათანადოდ ვერ იყო დაფასებული მისი დროინდელი ქართული საზოგადოების მიერ. ეს კიდევ აღუნიშნავს ილია ჭყონიასთან საუბარში „მთიელთა ფარად“ წოდებულ მწერალს. „წუნს მდებენ თურმე ისეთები, ადელვებით ამბობდა სანდრო, რომლებსაც არ წაუკითხავთ იმდენი, რამდენიც მე დამიწერია. მთელი ზანდუკი მაქვს სავსე პიესებით. ერთი შეკვრა რომ ამოვიღო და თავზე დავაპერტყო რომელიმე მათგანს თავის ქალა ოთხად გაუსკდებათ და ისინი თავხედობის სიამაყით იწუნებენ ჩემს დრამატულ ნიჭს თუმცა თავად არც გემოვნება აქვთ და არც ნიჭი.“ მოგონების ეს ეპიზოდი უზუსტესად გამოხატავს იმ დროს არსებულ ვითარებას. მე-19 საუკუნის 70-იან წლებში მეტისმეტად თვალსაჩინოდ მწირი იყო ძლივს შეკოწიწებული ქართული თეატრის რეპერტუარი. ქართულ პრობლემებზე და თემებზე შექმნილი სასცენო ნაწარმოებების სიმცირე ხშირად მიზეზი ხდებოდა ახლადწამოჩენილი ქართული სცენისმოყვარე საზოგადოების ქართული თეატრისადმი ინდიფერენტული დამოკიდებულებისა. უცხოეთიდან თარგმნილი სასცენო თხზულებები ხშირად უხარისხოდ იყო თარგმნილი ან გადმოქართულებული. საქართველოსთვის დამახასიათებელი საჭირობოროტო თემებიც იშვიათი, ან საკმაოდ დამორებული ქართულ პრობლემამატიკას. შესაბამისად ქართული საზოგადოების მოწინავე შვილების არაპირდაპირ მოწოდებას, ქართველი მწერლები აქტიურად ჩართულიყვნენ ქართული დრამატურგიის განვითარებაში და ქართული თეატრის რეპერტუარის გამდიდრებაში, ერთ-ერთი პირველი ალექსანდრე ყაზბეგი გამოეხმაურა. შეიძლება ითქვას, მისი პირველი ორიგინალური პიესები მართლაც ვერ იყო მოწოდების სიმადლეზე, თუმცა მწერლის გულისხმიერება და თავდადება ნამდვილად არ იმსახურებდა ისეთ კილვასა და განქიქებას, რაც მისი თანამედროვე საზოგადოებისგან ერგო წილად პიესების ავტორს.

ილია ჭყონია მართალი და პირუთენელი მემკვიდრეა. ეს იქიდანაც ჩანს, რომ იგი როგორც მეგობარს გულწრფელად თანაუგრძნობს და მფარველობს ალექსანდრე ყაზბეგს, თუმცა მან იცის, რომ ჭეშმარიტება ყველაფერზე და ყოველივეზე მაღლა რომ დგას. როცა ის აფასებს ალექსანდრე ყაზბეგის მსახიობურ მოღვაწეობას, ქებასთან ერთად ნაკლოვანებებზეც პირუთენელად მიუთითებს. „დანარჩენ მოთამაშეთა შორის მხოლოდ ბ. მოხევეს არ წაუხდენია თავისი როლი. ეს მეორედ არის, რაც ეს მოთამაშე კითხულობს ლექსს და ორივეჯერ ხელოვნურის დეკლამაციით, მაგრამ ორივეჯერ ერთი და იგივე ნაკლოვანება შევნიშნეთ მის კითხვას. უმთავრეს მნიშვნელობას ის რითმებს აქცევს და გარკვეულ გამოთქმას ანაცვლებს აზრს. დანარჩენ სიტყვას ისეთი სისწრაფით ამბობს „ნურც გინახავს“ სწრაფად მოუბარი აჭარელი.“ ხსენებული წერილი 1880 წელს გაზეთ „დროებაშიც“ დაიბეჭდა. ამდენად, ამ ფაქტით კიდევ ერთხელ დასტურდება, რომ „მოგონებები“ სანდო და მრავალმხრივი დოკუმენტია. მისით დასტურდება, რომ 1879 წლიდან ხვეიდან თბილისში გადაბარებულ ალექსანდრე ყაზბეგს ღირსეული თანადგომა ზაქარია ჭიჭინაძემ და განსაკუთრებით კი სერგეი მესხმა გაუწიეს: „რედაქტორი“ დროებისა, სერგეი მესხი იყო მისი მწერლობის ნათლია, ლალაცა და წამქეზებელიც... სასცენო ნაწარმოების შესახებ სერგიმ ურჩია ჯერ სცენაზე მოეხერხებინა მათი დადგმა და თუ კრიტიკა და საზოგადოება მოიწონებდა მათ, ანუ რომელიმე მათგანს, მაშინ შეიძლებოდა მათი დაბეჭდვა, ხოლო ხვეისა და მოხევეების ცხოვრების ცოდნის დასამტკიცებლად სანდროს მოსთხოვა დაეწერა ჯერ ეთნოგრაფიული მიმოხილვა და შემდეგ შედგომოდა რომან-მოთხრობების წერას. ასეც მოხდა.“ ამ საარქივო მასალით ალექსანდრე ყაზბეგის შემოქმედებითი ლაბორატორიის განვითარების უტყუარი სურათი იკვეთება. დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ შორსმჭვრეტელმა და მწერლური ნიჭიერების უზადლო შემფასებელ-გამომცნობმა სერგეი მესხმა, მისმა უზუსტესმა რჩევამ ალექსანდრე ყაზბეგის სახით საქართველოს ერთ-ერთი საინტერესო კლასიკოსი აღმოუჩინა. მოგონებაში ძალიან საინტერესოა აკაკი წერეთლისა და ალექსანდრე ყაზბეგის ურთიერთობის საყურადღებო უცნობი დეტალები. „დროების“ რედაქციაში აკაკი შემოვიდა და სხვათა შორის გვითხრა ქვეყნის დიდ ერთგულ კაცათ გამოჰყავს სანდროს მისი ნათესავი სიმონ ჩოფიკაშვილი, რომელმაც ბოლო დროს უღალატა მეფეს და გაუღო რუსის ჯარს დარიალის კარები... სანდრო მაშინ რედაქციაში არ ყოფილა, შემდეგ ვილადამ გადასცა ეს მას და დაუმატა ; შენს გვარში მოღალატეები ყოფილან?! თუნდაც მასე, მერე რა? გარსევან ჭავჭავაძემ ქართლ-კახეთს უღალატა, მარა ახლა ილია ჭავჭავაძე მთელ საქართველოს ამშვენებს. ზურაბ წერეთელმა იმერეთი გასცა, მაგრამ აკაკი მამულისთვის დიდებაა. სიმონს და ჩემი სახლის ბატონს მამულისთვის რომ ეღალატოს კიდევ, მე, სანდრო იმათ შემოყვანილების გაყვანაზე ვოცნებობ.“ ილია ჭყონიას ეს მოგონება მნიშვნელოვანი პირველწყაროა ქართული კულტურის მოღვაწეთა პორტრეტების გააზრებისთვის. ამ დიალოგით კიდევ ერთხელ დასტურდება თუ რა ღრმად და საფუძვლიანად იცნობდა ალექსანდრე ყაზბეგი საქართველოს ისტორიას.

დღევანდელი გადასახედიდანაც კი გასაკვირია, აღფრთოვანებას და დიდ პატივისცემას იმსახურებს მწერლის მსოფლმხედველობრივი კრედო, ფაქტებისა და მოვლენებისადმი ღრმად პოლიტიკური და ეროვნული შორსმჭვრეტელობითა და წინდახედულობით ხედვა. მე-19 საუკუნის 80-იან წლებში, როცა ზემოთქმული დიალოგი იმართებოდა, ბევრი ქართველი საზოგადო მოღვაწე მეტისმეტად რუსმეთუმე პოზიციებიდან აფასებდა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობას. ტენდენციური დამოკიდებულება ქართულ-რუსული ურთიერთობებისა კიდევ უფრო გამძაფრდა 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომის შემდეგ, როცა რუსეთის ხელისუფლების ძალისხმევით აჭარა ცარისტული იმპერიის მიერ დაპყრობილ დედა საქართველოს შემოუერთდა. თავისი წინაპრების „შემოყვანილების“ (იგულისხმება დამპყრობელი რუსეთი. ლ.დ.), გაყვანაზე მეოცნებე ალექსანდრე ყაზბეგი ბევრ გამორჩეულ თავის თანამედროვეზე უკეთ სჭვრეტდა ფაქტებსა და მოვლენებს. საინტერესოა ის ფაქტიც იმერეთის აჯანყების ასეთ საგულისხმო დეტალებს, ასე ღრმად და საფუძვლიანად სად გაეცნო „მთიელთა ფარი“.

საარქივო მასალაში კიდევ ერთხელ არის დაფიქსირებული ცნობილი ლიტერატურული ფაქტი: „იონა მეუნარგიას პირით საზოგადოებაში გავრცელდა ხმა რომ გრიგოლ ორბელიანმა თქვა - „სანდრო ქართველების ომეროსია, შენმა მზემ იშვიათი მწერალია.“ დიდი პოეტი განსაკუთრებულ აღტაცებაში მოეყვანა „ელგუჯაში“ აღწერილ ჭიდილს ყოჩებისას.“

ილია ჭყონიას მოგონებები მრავალმხრივია საინტერესო, მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ ამ ფურცელნაკლულ ხელნაწერს განსაკუთრებულ ფასეულობას სძენს ის ფაქტი, რომ მასში მთელი პირდაპირობით, უტყუარი ფაქტების მოხმობით გაბათილებულ-უარყოფილია ალექსანდრე ყაზბეგისადმი წაყენებული მძიმე ბრალდება: „ვითომ ის კი არ იყო ავტორი მისი სახელით დაბეჭდილი თხზულებებისა, არამედ მისი ბიძაშვილი დიმიტრი ყაზბეგი. იმ დროს უკვე მიცვლილი, პეტერბურგის უნივერსიტეტის სწავლადამთავრებული. ავტორი ერთი პატარა სცენისა, რომელიც დაბეჭდილი იყო მე-70 წლების ჟურნალ კრებულში.“ სამწუხარო ფაქტია, რომ ალექსანდრე ყაზბეგის ბიძაშვილის, ელისაბედ ყაზბეგის ამ პასკვილმა საკმაო გავრცელება ჰპოვა თვალყურსასმენსანახავ დანატრებულ, ჭორიკნობის მოყვარე არც თუ მცირერიცხოვან ქართულ საზოგადოებაში. ვფიქრობთ, ალექსანდრე ყაზბეგის ნათესავების ერთ ნაწილს ამოძრავებდათ შური იმ კაცისა, რომელიც თბილისში წავიდა, როგორც ერთი ხელმოცარული, „ოჯახის ქონებრივ-მატერიალურად“ დამქცევ-გამდატაკებელი, გენერლის ოჯახის გამწყემსებული, „გზაკვალდაზნეული“, „ნათესავების შემარცხვენილი“, თავისნათქვამა, არაპრაქტიკული ჭაბუკი. პირველ ხანებში მათ, როგორც წარმოედგინათ და რა მოლოდინიც ჰქონდათ, მართლაც ისეთი ამბები მიდიოდათ ალექსანდრე ყაზბეგის შესახებ. ქვეყნის მთავარ ქალაქში დაეხეტებოდა მაიმუნ პიკოთი მოსეირნე, უსახლკარო და უსახსრო, თავისუფლებისა და თავისი პრინციპების ერთგული შემოქმედი. მაგრამ მათთვის მოულოდნელად ყველაფერი რადიკალურად შეიცვალა: „ნათესავების შემარცხვენილი სანდრო“ პოპულარული მწერალი და დაფასებული პიროვნება გახდა. ვფიქრობთ, რომ გულღრმო ნათესავებმა ზემოხსენებული პასკვილის გავრცელებით ერთ დროს ყველასგან მიტოვებულ, ახლა კი ხალხისთვის საყვარელ მწერალ სანდრო ყაზბეგზე იძიეს შური. როგორც ჩანს მათ ისიც გათვალეს, რომ ფიზიკური და სულიერი ჯანმრთელობა შერყეული ალექსანდრე ყაზბეგი მათ სათანადო პასუხს ვერ გასცემდათ. ცნობილი მკვლევარი, გ. ასათიანი, მართებულად მიუთითებდა: „ყაზბეგის სიტყვით, „თითქმის მთელი ქართლის არისტოკრატია თავიანთ შეურაცხყოფად თვლიდნენ“ მის საქციელს და სასტიკად კიცხავდნენ მას. მთელი შვიდი წლის განმავლობაში ყაზბეგს თან სდევდა ამ ადამიანების მწარე დაცინვა.“

როგორც ირკვევა, ილია ჭყონიას ამ მოგონების დაწერისკენ სწორედ აღნიშნული პასკვილის გავრცელებამ უბიძგა. დოკუმენტურ ფაქტებზე დაფუძნებული წერილ-მტკიცებულებით ის ვფიქრობ დამაჯერებლად, ერთხელ და სამუდამოდ სარწმუნოდ უარყოფს ალექსანდრე ყაზბეგის პლაგიატობის საკითხს: „სანდრო ყაზბეგი რომ უეჭველი ნიჭი იყო და დახელოვნებული მწერალი, და რომ მას შეეძლო ასეთი მოთხრობების წერა... ამის დასამტკიცებლად მე შემიძლია ვთქვა შემდეგი.“

ილია ჭყონია იხსენებს ერთ საინტერესო ფაქტს: „დროების“ რედაქტორი სერგეი მესხი ორი დღით სადღაც წავიდა. მას კი როგორც მორიგე რედაქტორს გაზეთის ორი ნომრისთვის სამყოფი მასალა დაუტოვა და გააფრთხილა, თუ მასალები დააკლდებოდა, „საქრონიკო მასალები გადაეთარგმნა“ და ნაკლული გვერდები ისე შეეკო. გაზეთის ახალი ნომრისთვის მართლაც საჭირო შეიქმნა მასალების მოძიება. ამ დროს „დროების“ რედაქციაში მივიდა ალექსანდრე ყაზბეგი, რომელიც სერგეი მესხს ეძებდა. ილია ჭყონიამ ალექსანდრე ყაზბეგს შეთავაზა გაზეთის ნომრისთვის სასწრაფოდ მიეტანა ახალი მოთხრობა ან მოთხრობის დასაწყისი. ალექსანდრე ყაზბეგი ყოველთვის აქტიურად თანამშრომლობდა გაზეთ „დროებასთან“ და ასეთ დავალებას სიამოვნებით, დროულად და უყოყმანოდ ასრულებდა. ახლა კი მეგობრის შემოთავაზება, „გუნებაზე არყოფნის გამო“ უარყო. როგორც მოგონების ავტორი აღიარებს, მას „მაცდური“ აზრი მოუვიდა. სანდრო შეიტყუილა სერგეი მესხის კაბინეტში, კარები გარედან გადაუკეტა და გააფრთხილა: მანამ არ გამოუშვებდა, სანამ გაზეთისთვის მოთხრობას არ დაწერდა. „ორი

საათის შემდეგ მან გადმოიცა სწორედ მაშინ დაწერილი ის პატარა და ერთი საუკეთესო მისი ესკიზთაგანი, რომელსაც სახელი „ციცკა“ ჰქვია. რომ ეს ესკიზი უეჭველად მაშინ იყო დაწერილი, ამას ამტკიცებდა ის, რომ ბოლო გვერდს ნაწერებისას... მელანი გადაეგლისა, როგორც კი ხელი შეევახე.“

თვითონაც ნიჭიერი მწერალი და ქართული კულტურის მრავალმხრივი მოღვაწე, ილია ჭყონია, გაკვირვებულია იმ ფაქტით რომ: როგორ შეიძლება ალექსანდრე ყაზბეგს სხვისი ნაწერების მითვისება დავაბრალოთ, როცა ყველა მისი ნაწარმოები „დროების“ რედაქციაში, მუდმივ ხმაურსა და არასამუშაო პირობებში, საზოგადოების თვალწინ იწერებოდა.

სამწუხარო ფაქტია, რომ ალექსანდრე ყაზბეგის შემოქმედების ორიგინალობისადმი საზოგადოების ერთი ნაწილის გაორჭოფებული მიდგომა მოგვიანებითაც გაგრძელდა, რამაც აიძულა ნიჭიერი ლიტერატურათმცოდნე და მოღვაწე ვ. კოტეტიშვილი, ამ ფაქტისადმი სპეციალური გამოკვლევა კი მიემდგნა 1925 წელს.

როგორც მკვლევარი გურამ ასათიანი წერს, „ალექსანდრე ყაზბეგის სიკვდილმა თითქოს იმ ადამიანებსაც აუხილა თვალი, რომლებიც ეჭვით ან მტრულად ეკიდებოდნენ მის შემოქმედებას.“ (ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. 4. 1974: 346).

ლიტერატურა:

1. ქართული ლიტერატურის ისტორია, ექვსტომეული, ტომი მეოთხე, თბილისი, 1974.
2. ცხოვრება ალექსანდრე ყაზბეგისა, თბილისი. 1988.
3. ილია ჭყონიას არქივი.
4. „მნათობი“ N8. თბილისი. 1928.

Luka Dvalishvili

Akaki Tsereteli State University

INTERESTING FACTS ABOUT ALEXANDER KAZBEGI'S LIFE AND WORK IN ILIA CHKONIA'S PUBLICITY RESUME

Alexander Kazbegi is undoubtedly one of the creators with tragic biography in the history of Georgian culture. Accordingly, many issues of his life and literary activity are not still properly studied and require special research. The multi-faceted Georgian writer I. Chkonia who lived and worked in the second half of the 19th century and in the first quarter of the 20th century, had the most interesting memoir in his archive. "Alexander Mikheil Kazbegi" is a reliable document in which there are many hidden layers of Kazbegi's life and creativity. This original source also allows us to consider many problems of the second half of the nineteenth century in a new way.

The document is especially interesting in some areas: Alexander Kazbegi's personal portrait and general national values; Alexander Kazbegi as one of the caretakers and the patron of the Georgian theater, the creator of stage play and the actor; Unknown details of his relationship with Grigol Orbeliani, Akaki Tsereteli, Sergi Meskhi, Zakaria Tchitchinadze, Iona Meunargia and others. The archive document is especially notable as it is the reliable original source that once again confirms that Alexander Kazbegi did not take literary writings of other authors, about which the groundless rumor has been lifted during the life of classic whose physical and spiritual health was injured.

The sad fact is that the separation of the society towards the originality of Alexander Kazbegi's works continued later.

Alexander Kazbegi's works are presented with new impressions by Ilia Chkonia's multi-faceted, interesting publicistic letters and memories.

გალაკტიონის ლირიკული პარადოქსი და მისი ლიტერატურული წყარო

ძნელია ზუსტად თქმა, როდის დაიწერა გალაკტიონის ეს უსათაურო, დღეს უკვე გახმაურებული ლექსი. პოეტის სიცოცხლეში იგი არ დაბეჭდილა:

რაა მასზე გულდამწყვეტი,
მეტეხო და დიღმის ველო,
მიდიოდე და ჰფიქრობდე:
ეს არ არის საქართველო!

არის ხლართი რკინისგზების,
არის ავტო-მოტო-ველო,
არის ოჯახებიც, მაგრამ
ეს არ არის საქართველო!

ლექსის შინაარსობრივი რეალიები სოციალისტურ სინამდვილესთან კონტაქტის გამოცდილებას მოწმობს, ეს უცნაურად გრძელი ნეოლოგიზმი - ავტო-მოტო-ველო კი თითქმის უტყუარად მიანიშნებს დროს - 30-იანი წლების მიწურულს. სწორედ 1940 წელს გამოვიდა გალაკტიონის თხზულებათა მესამე ტომი, სადაც პირველად დაიბეჭდა ლექსი სათაურით „ავტო-მოტო-ველო“.

„არის... არის... არის, მაგრამ... არ არის!“ - მაინც რამ დაბადა ეს პარადოქსული ლოგიკა? საქართველოში საქართველო აღარ იყო? განა ათიოდე წლის წინ თავისუფლებათა მიღწევაში ეპოქას და რევოლუციურ საქართველოს არ უმღეროდა - პათოსით, ხმამაღლა! - „ეპოქისა“ და „რევოლუციონური საქართველოს“ ავტორი:

რევოლუციონურს, ჯერ არნახულს, ჯერ არგაგონილს,
ვაშა, ამ ახალ საქართველოს, ვაშა შენებას!
ვაშას გრიალს თითქოს სამუდამოდ ჩაეხშო სასოწარკვეთილის ძახილი:
დაკარგულია გზა მოხვეცის...
ბნელდება. ღამე. მიეშველენით.

თებერვლის სისხლიანმა თოვლმა გზა კი არა, ლელთ ღუნისა საცალფეხო ბილიკიც გადაფარა - ისტორიის განაჩენს ჰგავდა ზედითი კითხვის პასუხი:

„დაკარგულია?“ - მივმართავ ტყეებს,
და ტყე გუგუნებს: დაკარგულია...

ამის მერე იყო, „ახალი საქართველო“ რომ იპოვა თუ აპოვინეს. ახლა კი - „ეს არ არის საქართველო!“-ო... საქართველო იყო, აბა რა იყო, ოღონდ - სხვა საქართველო, - არც შავის ბედის მეზობლი და არც გულად-პურადი! - ძველის ნგრევითა და ახლის შენებით გარდაქმნილ-სახეცვლილი! ნგრევასაც ხომ განადიდებდა თავდავიწყებით და უკანმიუხედავად:

ნგრევას, ო, ნგრევას, დაუნდობელ ნგრევას ძველისას,
კარჩაკეტილი ცხოვრებიდან - გავიდეთ მზეზე...

ამ დაუნდობელ ნგრევას რაღაც ისეთი წაეღო თან, სოციალისტურ მზეს მიფიცებულს რომ ვეღარ მიეგნო, ისაკლისებდა. „ეს არ არის საქართველო!“ - ჩასმახოდა ფხიზელი ხმა და იქნებ იმასაც მოაგონებდა, რომ „იმ“ საქართველოს გაუჩინარებაში, სურდა თუ არა, მასაც ედო წილი...

* * *

შეიძლება გულწრფელიც იყო: მოსწონდა, როგორ „მოიფინა მხარე რკინისგზების ქსელით“, ესმოდა „რკინისგზების მუსიკა“, „რკინისგზების რიტმი“, ეპოქის რიტმად რომ გამოაცხადა:

მიჰყევ, გაუგონე ბორბლებს სიარული,
არის საუკუნე ინდუსტრიალური!

არც გლეხი და სოფელი დავიწყებია - ეტიუდი მიუძღვნა „თანამედროვეობის კოლექტიურ ხელებს“, კოლმეურნის შრომასაც მოუსინჯა რიტმი და ბგერა:

მხარი მხარს, მხარი მხარს,
კოლექტივო, მხარი მხარს,
აბა ჰე, აბა ჰე,
აბა მივცეთ მხარი მხარს!

ეს ავტო-მოტო-ველო ხომ პირდაპირ ეპოქის სიმბოლოდ აქცია, რომელმაც სამუდამოდ მოიტოვა უკან „ძველი ცხოვრება და იდილია“: „სიმბოლოა თითქო / ავტო-მოტო-ველო“. ხუთწლეულების ტემპით თავბრუდახვეულმა ისტორიასაც მოუღერა მუშტი:

ააყირავებს ეს წელი ათი
ათიათასი წლის ისტორიას!

აყირავებით კი, მართლაც, ააყირავეს ისტორია, მაგრამ... დასაფიქრებლად ვის ეცალა?! მთავარი იყო, „ხელოვნებათა არმიას“ ეპოქის გვერდით ევლო იმ რწმენით, რომ:

თუ დღეს რამ არის გაუგებარი,
ხვალ ნათელივით იქნება ცხადი.

ეს „ხვალ“ უკვე დამდგარიყო, შედეგი გაცხადებულიყო და ჯიუტი შეუპოვრობით ჩასძახოდა:

ეს არ არის საქართველო!
ეს არ არის საქართველო!
ეს არ არის საქართველო!

* * *

ქართული ანდაზა გვიჩვენებს: „ნუ დაჰკარგავ ძველსა გზასაო...“

რკინიგზებისა და ავტო-მოტოს მეტრფე ახლა ძველ გზას მიჰბრუნებოდა, მეტეხი და დიღმის ველი გაეხადა დაფარულ ფიქრთა მოზიარედ.

ლეონტი მროველის გადმოცემით, დიღმის ველიდან იწყება მეფე ფარნავაზის საქმენი საგმირონი, ქართლის მტერთაგან გამოსხნა და აღდგინება:

„განვიდა ფარნავაზ და ნადირობდა მარტო, და დევნა უყო ირემთა ველსა დიღომისასა... მაშინ დაასხა წვიმა მძაფრი. ხოლო ფარნავაზ... გამოარღვია კარი ქუაბისა მის. რათამცა მუნ შიგა დაიმშრალა წვიმისა მისგან... და იხილა მუნ-შინა განძი მიუწოდომელი...“

რას ვაგრძელებდე, მუხრანისა არ იყოს, „განძი რომ არა დიღმისა, - ვერაფრით ქართლს ვერ იხსნიდა“ ის ფარნავაზი, ვინც „ქმნა ერთ-მთავრობა“, ერს ერთობა დაუმკვიდრა და მისი წესი და ძალა აგრძნობინა.

მეტეხი!

მეტეხი გალაკტიონის პოეზიის თანამდევნი ხატი იყო ადრიდანვე: ჯერ რომანტიკული სიზმარეთიდან გამოხმობილი, მთვარით განათებული და თეთრად მოელვარე, მერე მკაცრი - „რუხი, პიტალო“. ავტო-მოტო-ველოს, გინდაც ზაჰესის საპირისპიროდ, მეტეხი, ციხე და ტაძარი, ისტორიული საქართველოს სიმბოლოდ ჩანდა, წარსულის შარავანდი ადგა:

რომ მოსაგონრად წარსული დროის
მარტო მეტეხის კამარა კმარა.

მაგრამ დრონი იცვალენ, ისტორიულ მეხსიერებასთან კავშირი გაწყდა და მეტეხიც თანამედროვეობის უტყვე რეკვიზიტად, პასიურ მოწმედ იქცა:

გამარჯვების მოწმე არის -
მოწმე ჩვენი ახალ ხანის.

ახალი ცხოვრების განთიადი „აწყდება ძველი თბილისის კარებს“ – „მეტეხს იქით ცა, აჰა, ნათდება!“ და პოეტიც ისე შეჰხარის ყველაფერს, თითქოს ილიას ნაოცნებარ, თავისუფალ საქართველოში გამოიღვიძა:

მოსვენებისგან ეხლა რას ელი,
სამარადისო რას მოგცემს ძილი?
ახალი დროის დასაწყისია,
ყოველმხრიდან - ხმა, ყველგან - ძახილი!

„ეგ არის და გორის ციხე!“ - ილიას მკვლევლებს თურმე ილიას ოცნებისათვის შეესხათ ხორცი: „ყოველმხრიდან - ხმა, ყველგან - ძახილი!“

გალაკტიონი არ ცხრებოდა:

თანდათან,
თანდათან,
თანდათან
ახალი საქართველო შენდება!

კომუნისტურად სუვერენული, სოციალისტური რესპუბლიკა შენდებოდა - არა, ეს არ იყო ილიას საქართველო!

* * *

უცნაურია, თითქოს ყველაფრის არსებობას აღიარებდა: მეტეხი ისევ იდგა და დიდმის ველს ჯერაც თავისი სახელი ერქვა, რკინიგზების ხლართი და ავტო-მოტო-ველო ხომ მჩქეფარე ეპოქაზე დაღადავდა! მაგრამ...

ეს „მაგრამ“, უფრო ზუსტად, „არის, მაგრამ“ ძალიან დამაფიქრებელია. რაღაც მთავარს, მიზეზს არ გვიმხელს გალაკტიონი, ტექსტში არ განფენს, მხოლოდ მიგვანიშნებს...

გალაკტიონს აქვს ასეთი სტრიქონი:

სული ჩვენი ოჯახის იყო დიდი ილია...

სწორედ ილიას ფიქრი და ტკივილი ტრიალებს გალაკტიონის საანალიზო ლექსში, ილიას ინტონაცია და მცირედ შეცვლილი ფორმულა უნდა ამოიცნოს ლექსის ადრესატმა - „ქვეყნის უბედურებით გულატკინებულმა“ ქართველმა:

„არიან თავადნი, აზნაურნი, მღვდელნი, ვაჭარნი, გლეხნი, ჩინიანნი და უჩინონი - ყველანი არიან, და ქართველი კი არსად არის“.

გეცნოთ ალბათ. „ზოგიერთი რამ“ ჰქვია წერილს, საიდანაც ეს სიტყვები ამოვწერე, თუმცა ზოგიერთ რამეზე კი არა, ქართველებისა და საქართველოს უბედურებადქცეულ, დღემდე განუკურნელ სენზე ლაპარაკობს ილია. ასე იყო და ასე არის: არსებობს „ეს ჩვენი დედაქალაქი და ეს შავი ზღვიდამ კასპიის ზღვამდე გუნდ-გუნდად მორიგებული მისი შვილები - სოფლები“, მაგრამ არა გვაქვს საქართველო, „ქართველი კი არსად არის“, რადგან „აქ არვის - დიდსა თუ პატარასა - /ქვეყნის ტკივილით არ სტკივა გული“, ერი და ბერი, საპირადოს გადაყოლილნი, თავის ნაჭუჭში ჩამყუდროებულან. მწარე განცდით, არაერთგზის, დაჟინებით იმეორებს ილია:

- ნუთუ ესენი ქართველნი არიან?

- ნუთუ ეგ თვითოეული ქართველი ჰგონია ვისმე?

ის, რაც გალაკტიონის ლექსში, მიზეზთა გამო, მხოლოდ მინიშნებულია ილიასეული პარადოქსის გამოყენებით, ილია ჭავჭავაძის პუბლიცისტურ შედეგში მამულიშვილის გულით არის ნაგრძნობი და ბასრი გონებით განჩხრეკილი. გალაკტიონი ალუზიის ხერხით შეტყობინებას გვიგზავნის, მისამართს გვაწვდის, სად უნდა ამოვიკითხოთ მთავარი სათქმელი, პარადოქსის დაფარული შინაარსი:

„სადღაა მამული?... დავაქციეთ ჩვენი დიდი ერთიანი სამშობლო ოჯახი... თვითეულმან ჩვენგანმან თავისი ხვედრი, დიდის „მამულის“ ნაშთი თავთავად შემოიღობა; იმ შემოღობილში თვითეულმან ჩვენგანმან თავისი საკუთარი ქვეყანა აიშენა“... „ვია იმ ხალხს, რომელსაც საერთო ძარღვი გაუწყდა; ვია იმ ქვეყანას, საცა საერთო ძარღვში სისხლი გაშრა, საცა ყველაში თითო არ არის და თითოში - ყველა“...

თუ ილია „საყოველთაო საქართველოს“ იდეის არარსებობას, ქართველთა გათითოვანებას დასტიროდა („საერთო ლხინი მაჩვენეთ, საერთო ჭირი მაინცა, მაგრამ სად არის“), გალაკტიონის მიერ აქტიურად ხოტბაშესხმულ ეპოქას ძველ სატკივარზე ახალი ჭირი დაესართებინა - ინტერნაციონალიზმის იდეა, რომელიც „ახალი გზით გაერთიანებულ“ ქართველობას ეროვნულ ერთობაზე ფიქრსაც კი უკრძალავდა. თანაც ველიკორუსულად გაგებული ინტერნაციონალიზმი მხოლოდ იდეა ხომ არ იყო, ეს სვავის საქმედქცეული „თეორია“ გახლდათ, სხვადასხვა გვარტომის ხალხს საქართველოსკენ დაუბრკოლებლად რომ უხსნიდა გზას.

დაბნეული ქართველობის თვალწინ ქრებოდა ისტორია ანუ, ილიასებურად, ერის გათახსირება დაწყებულიყო, „ინდუსტრიალურ აბოზოქრებას“ კი, - გალაკტიონისებურადაც ვთქვათ, - სხვა ხალხის ჟრიაშული მოჰყოლოდა.

გალაკტიონის ლექსის ჩანაფიქრი სისავსითა და სიღრმით მხოლოდ ილიას ტექსტთან მიმართებაში იკითხება. მეტიც, ილიას წერილის გაუთვალისწინებლად მიუგნებელი რჩება პარადოქსის არსი, მასშტაბი იმ სათქმელისა, რაც ამ, ერთი შეხედვით, მარტივ, სადა ლექსშია ჩადებული.

* * *

საქართველოში საქართველოს გაუჩინარება გალაკტიონმა ჩუმად გამოიტირა, ტკივილი უჯრაში გამოკეტა, საჯაროდ კი... ილიას ნაანდერძევ, ეპოქალურ სიტყვებს მოუწყინრად, სხვადასხვა ვარიაციით ატრიალებდა, - ვერ დავწერე „აყალბებდა“:

დღეს თავის თავს მთლად ეყუდნის

საქართველოს მთა და ბარი.

ან უფრო დინჯად, დარბაისლურად, დიდაქტიკურად:

ახალგაზრდებო! ჩვენი თავი

ჩვენვე გვეყუდუნის!

სიცოცხლის მიწურულს პირდაპირ ლელთ ღუნია გამოიხმო, ილიას მოხვევს ათქმევინა არსათქმელი:

- მოხვევ! გახედე

ჩვენს იმერ-ამიერს;

ყუდუნის თავის თავს?

- ცხადია, ყუდუნის.

გალაკტიონის ინტონირების ნიუანსებში გარკვეულებმა, შესაძლოა, აქ ირონიის კვალი აღმოვაჩინოთ, ცხოვრების ტრაგიკული ირონია კი იმით გამოიხატა, რომ „მშობლიური ეფემერას“ ავტორმა სწორედ ამ „თავისუფალ“ საქართველოში აღარ ისურვა სიცოცხლის გაგრძელება.

სიმართლე კვლავაც არქივში ჩარჩენილმა სტრიქონებმა შემოგვინახა:

ჩვენვე ჩვენი თავი

აღარ გვეყუდუნების.

სული გვეხუთების,

სუნთქვა გვეხუთების!

P.S. „ეს არ არის საქართველო!“ – სთქვი შენ და მე გავიგონე.

დღეისდღის საქართველო კი არის საქართველო?!

„ჩემო საყვარელო მიწა-წყალო, მომეც ამის პასუხი“.

Teimuraz Doiashvili

Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

THE LYRICAL PARADOX OF GALAKTION TABIDZE AND THE LITERARY SOURCE OF THIS PARADOXE RESUME

In this article is analyzed Galaktion Tabidze's well-known verse „What is more heart-breaking” and is shown that the lyrical discuss has the form of paradox in this verse.

As a result of our research we found out that Galaktion's verse (its form and content) is connected to great Georgian classic writer's Ilia Chavchavadze's publicistic masterpiece „About Some Subject”.

Without understanding this connection to Ilia Chavchavadze's work we are not able to find out the existent of the paradox and the level of national tragedy and pain, which is hidden in Galaktion's small, simple, anti-soviet verse.

ნინო ვახანია

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ილია ჭავჭავაძის მსოფლმხედველობის ზოგიერთი საკითხი

ილიას ესთეტიკურმა შეხედულებებმა ერთგვარი ევოლუცია განიცადა. ახალგაზრდობისდროინდელ ორიოდე ნაწერში ილია აშკარად იცავს ლოზუნგს „ხელოვნება ხელოვნებისათვის“. ერთ-ერთ ფრაგმენტს, რომელსაც საგულისხმო სათაური აქვს: „ხელოვნება ხელოვნებისათვის, როგორც უსათუო კუთვნილება პოეტისა“, ვკითხულობთ: „ხელოვნება არის განხორციელება იდეისა, მის გარე არა აქვს განზრახვა, მიზანი; იგი თავის თავშივე არის ჩაკეტილი და მისი პირდაპირი მიზანი არის ჰარმონია, სიმთელე და მშვენიერება... ანუ უფრო მოკლედ ვსთქვათ, ხელოვნების მიზანი თვითვე ხელოვნებაა“. დაწერილი უნდა იყოს 1857-58 წლებში. ლექსში „ჩიტი“ (1858 წ.) ასეთი სტრიქონებია:

ვგალობ და ვგალობ და იმით ვხარობ, / რომ მე ქვეყანას გალობით ვატკობ.

სწორად შენიშნა გურამ ასათიანმა, რომ აქ ჩიტი მართო თავისუფალი არსების კი არა, საერთოდ, მაგლობლის, მგოსნის თავისებურ სახესაც წარმოადგენს. ადვილი შესამჩნევია, რომ ამ ლექსში გადმოცემულია ილიას შეხედულება პოეტისა და პოეზიის დანიშნულებაზე. მსგავსი განწყობაა აღბეჭდილი უფრო ადრე ნათარგმნ ლექსში იმავე სახელწოდებით („ჩიტი“).

ფორმალისტ პოეტთა „გარეგან“ ფრინველთან შედარება სათავეს იღებს გოეთეს ლექსიდან „მომღერალი“, რომელიც ჩართულია რომანში „ვილჰელმ მაისტერის მოსწავლეობის წლები“. ამ ლექსში საუბარია შემოქმედის თავისუფლებაზე, თუმცა მკითხველმა საზოგადოებამ ჩიტის სიმღერა გააიგივა „წმინდა ხელოვნებასთან“.

ილიას ადრინდელი ესთეტიკური მრწამსი ხელშესახებადაა გადმოცემული ლექსში „მითხარით რისთვის...“ (1858 წ.) საყურადღებოა, რომ ილიას ადრინდელ პოეზიაში ძლიერია პესიმისტური, მელანქოლიური განწყობა („დაღონებული, არ ვიცი რაზედ“, „მარტო მივცურავ ცხოვრების ზღვაში“, „ბევრი ვიტანჯე“, „მწუხარება“, „დაბნელდა სული“, „როცა წუხილი მჩაგრავს უწყალო“ და სხვა). ეს იმას მოწმობს, რომ რეალისტურ ესთეტიკამდე, ლოზუნგის „ხელოვნება ცხოვრებისათვის“ ერთგულებამდე ილია ნაბიჯ-ნაბიჯ, გააზრებულად, საკუთარი შინაგანი „მესა“ და ცხოვრების საჭიროებათა კარნახით მივიდა.

ნაწარმოებისა და ავტორის იმის მიხედვით შეფასება, თუ რომელი ლოზუნგის მიმდევარია მწერალი, რა თქმა უნდა, არ შეიძლება. არ იქნება სწორი, ერთ დამოკიდებულებას მივანიჭოთ უპირატესობა მეორესთან შედარებით და მათ შესახებ დაბეჯითებით ვთქვათ, რომელია მართალი და რომელი – არა. ორივე ლოზუნგის მიმდევრებს შეუქმნიათ კარგი, მნიშვნელოვანი, უკვდავი თხზულებები და ორივე ლოზუნგის მიმდევრებს დაუწერიათ ცუდი, უვარგისი ნაწარმოებებიც (ჩვენს ქვეყანაშიც და მსოფლიოშიც). ასე რომ, როცა ილია ჭავჭავაძის ესთეტიკურ შეხედულებათა შეცვლაზე ვსაუბრობთ, ცხადია, არ ვამტკიცებთ, რომ ეს მაინცდამაინც წინ გადადგმული ან პირიქით, ჩამორჩენილი ნაბიჯი იყო. აღვნიშნავთ მხოლოდ ფაქტს – ცხოვრებამ, საკუთარი სამშობლოს უბედობამ განაპირობა ის, რომ ილია მალე ჩამოყალიბდა, როგორც რეალისტი, ხოლო ხელოვნების დანიშნულება მხოლოდ ხალხის სამსახურში დაინახა. თუმცა, როგორც ჩანს, გულით სურდა „თავისუფლად სიმღერის“ საშუალება მისცემოდა, მაშინ არ ითაკილებდა „ჩიტივით გალობას“.

1860 წელსაა დაწერილი საპროგრამო ლექსი „პოეტი“, რომელშიც პირდაპირ, არაორაზროვნადაა გადმოცემული ილიას შეხედულება პოეტისა და პოეზიის დანიშნულებაზე. ილიას აზრით, პოეტი ჩვეულებრივი ადამიანისაგან იმით განსხვავდება, რომ მას ციური, ღვთიური ნიჭი აქვს, იგი ღმერთთან ლაპარაკობს, ხედავს იმას და ესმის ის, რასაც ჩვეულებრივი ადამიანები ვერ ამჩნევენ და გამოთქვამს ისე, როგორც სხვა ვერავინ (სულიწმინდის ნაკარნახევად მიაჩნდათ, აგიოგრაფ მწერლებს თავიანთი ქმნილებები, ღმერთსა და ადამიანს შორის შუამავალს უწოდებს საკუთარ თავს აკაკიც, ღვთის რჩეულად მოიაზრებდნენ პოეტს რომანტიკოსები. თანამედროვე მწერლებიც ხშირად ამბობენ, რომ წერის პროცესში თითქოს შეპყრობილები არიან, სხვა (ღმერთი), კარნახობს და თვითონ მხოლოდ ქაღალდზე გადმოაქვთ.... შემოქმედება მართლაც იდუმალი პროცესია. მას ილია ღმერთთან ლაპარაკად აღიქვამს). ოღონდ დანიშნულება ღვთიური მადლის მატარებელი პოეტისა მიწიერია. კერძოდ, ერის სამსახური. დამონებული, უფლებაყრდილი, სახელმწიფოებრიობადაკარგულ ერს ჭირდება წინამძღოლი, სიმართლის მთქმელი, თვალის ამხელი. ეს ფუნქცია იკისრა პოეტმა:

ღმერთთან მისთვის ვლაპარაკობ, / რომ წარვუძღვე წინა ერსა.

აქ შემოქმედი ციური მადლისა და მიწიერი ღონიერების მთლიანობაა. თავისუფალ, ლალ, არაპოლიტიკურ სიმღერაზე კი უარს არ ამბობს, მხოლოდ მას შემდეგ, რაც თავისი შემოქმედებითა და ბრძოლით მოსწმენდს ერს „ტანჯვის ცრემლსა“.

1861 წელს დაწერა „ჩემო კალამო“, რომელშიც პოეტს კვლავ მოუწოდებს წმინდა სიტყვის ხალხში უშიშრად მოფენისაკენ. გურამიშვილისეული „მართლის თქმის“ აუცილებლობა გაუხდია საპროგრამოდ ილიასაც. კარგი, გონიერი გული გრძნობდა, ხვდებოდა, რომ ავის, ცუდის, მანკიერის დახატვით, ჩვენებით სწორედაც ქართველის სიყვარული მჟღავნდებოდა, ნათელია, „ამ სიძულვილში რაოდენი სიყვარულია“.

მწერლობის (ხელოვნების) სარკესთან შედარება არახალია. ჯერ კიდევ შექსპირი ამბობდა (ჰამლეტის პირით): „თეატრის აზრი უწინაც ეს ყოფილა და დღესაც ეს არის, რომ ბუნებას სარკედ გაუხადეს“. ასეთ შედარებას მიმართავდა სტენდალიც (რომანში „წითელი და შავი“). ჩვენში ეს შედარება პირველად ილიამ გამოიყენა (1863წ. დაწერილ სტატიაში „საქართველოს მოამბეზედ“): „ხელოვნებას იმას მოვსთხოვთ, რომ სარკესავით ცხოვრება გარდმოიცვას“. ასეთმა შედარებამ შემდეგ სისტემური ხასიათი მიიღო აკაკისთან – „ეს გული, სარკედ ქვეული“... და სხვა. თავისი რეალისტური თეორია ილიამ მკვეთრად ჩამოაყალიბა ზემოდასახელებულ წერილში „საქართველოს მოამბეზედ“. ილიას სტატიებს:

„ორიოდე სიტყვა“, „პასუხი“, „საქართველოს მოამბეზედ“ ჰქონდა ლიტერატურული მანიფესტის მნიშვნელობა.

„ჩვენ გვსურს ვემსახუროთ საზოგადოებას, ვარგოთ და გამოვადგეთ, ამისათვის ვიკისრეთ ჟურნალის გამოცემა“- წერდა ილია ჯერ კიდევ ჟურნალის გამოცემამდე, 1862 წელს „ცისკარში“. იგივე აზრი გაიმეორა წერილში „საქართველოს მოამბეზედ“. „ჩვენი საქმე საქართველოს ხალხის ცხოვრებაა. მისი გამჯობინება ჩვენი პირველი და უკანასკნელი სურვილია“.

ამრიგად, არა მარტო პოეტი, შემოქმედი, არამედ პრესაც, ჟურნალიც ხალხს, ცხოვრებას უნდა ემსახურებოდეს, სიმართლეს-ავსაც და კარგსაც- დაუფარავად უნდა ამბობდეს („არც ერთის გამოხატვა უნდა აშინებდეს მწერალს და არც მეორისა“ - „ორიოდე სიტყვა“). სტატიაში „საქართველოს მოამბეზედ“ წერდა: „საქართველოში თუ სადმე ორსა და სამს უყვარს ქართველი, ჩვენ იმათში უკანასკნელი არა ვართ. ეს კი უნდა ვსთქვათ, რომ ჩვენ ქართველში გვიყვარს მხოლოდ მისი სიკეთე, სიცუდე კი ყველასგან საზიზღარია, ქართველი იქნება მისი მექონე თუ ანგლიელი, სულ ერთია ჩვენთვის, ორივე წყალში გადასაყრელნი იქნებიან. ბევრნი არიან ჩვენში იმისთანანი, რომლებიც ცდილობენ ჩვენის ცხოვრების სიბოროტის დამალვასა. ეგ იმათ მოსდით ქართველების უმეცარი სიყვარულის გამო, ის კი არ იციან, რომ რა ხანია, არის ჩვენში გლეხური ანდაზა: „მოყვარეს პირში უძრახე, მტერს პირს უკანაო“ (გაიხსენეთ „კაცია-ადამიანის?!“ ეპირგაფი, „ჩემო კალამოდან“ „ჩემზედ ამბობენ...“).

„ახლანდელი ქართველი რომ ძალიან მძულს, ამით ვამტკიცებ, რომ საქართველო ძალიან მიყვარს“ (ილია). „სიმართლის სიტყვას ძალა მაშინ აქვს, როცა მას მართალი, სპეტაკი ადამიანი ლაპარაკობს“ (ილია).

„ადამიანი, ბუნება, ცა, ქვეყანა, მსოფლიო,-ერთი დიდებული წიგნია უცნაურს ენაზედ დაწერილი“. მის სათარგმნელად პოეზია სიტყვას იყენებს. სიტყვას უზარმაზარი ძალა აქვს. ჯერ კიდევ რუსთაველი წერდა: „გველსა ხვრელით ამოიყვანს ენა ტკბილად მოუბარი“, ხმაზე მეტის გაკეთება შეუძლია კალმის პატარა წვერს, - სჯერათ 60-იანელებს. შემოქმედის ძალას გვიხატავს რუსთაველი: „რა ესმოდის მღერა ყმისა, სმენად მხეცნი მოვიდიან“. გაიხსენეთ ორფეოსის მაგალითი, როგორ გადახსნა სცილა და ქარიბდა...

ასე რომ, ილიას შეხედულება ხელოვნების განსაკუთრებული მისიისა და ძალის შესახებ გამომდინარეობს პოულობს მრავალი მწერლის შემოქმედებაში.

არც სოციალურ საკითხებზე ჰქონია ილიას თავიდანვე მყარი, მონოლითური, შეუცვლელი შეხედულება. ამ თვალსაზრისითაც განიცადა პოეტის მსოფლმხედველობამ ევოლუცია.

პოემა „რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდან“ დაწერილია 1860 წელს, სტუდენტობისას, პეტერბურგში. მასში აშკარად იგრძნობა რევოლუციონერთა იდეოლოგიის გავლენა ილიაზე. 1863 წელს პოემის ნაწილი დაბეჭდა ავტორმა „საქართველოს მოამბის“ მე-10 ნომერში სიტყვებამდე: („ჯერ არ მენახე, მაგრამ გიცნობდი“), 1864 წელს ასევე ნაწილი დაიბეჭდა კირილე ლორთქიფანიძის მიერ გამოცემულ კრებულში „ჩონგური“ (სიტყვებამდე „შენი გაცნობა არ არის ძნელი“). პოემა პირველად მთლიანად გამოქვეყნდა მხოლოდ 1879 წელს „ივერიის“ მე-5 ნომერში. ამის შემდეგ ეს პოემა იბეჭდება ილია ჭავჭავაძის ნებისმიერ კრებულსა თუ რჩეულში. მხოლოდ რამდენიმე წლის წინ ქუთაისში დასტამბულ ილიას ერთტომეულში გამომცემლებმა როსტომ ჩხეიძემ და ელგუჯა თავბერიძემ არ შეიტანეს ეს პოემა, როგორც ავტორის ახალგაზრდობისდროინდელი დაბნეულობის შედეგი და გამოხატულება. მართლაც, შეუძლებელია, ილიას მრწამსის, მსოფლმხედველობის ანარეკლად მივიჩნიოთ „კაკო ყაჩაღი.“ ილიას იმდროინდელი შეხედულებით (რომელიც რევოლუციონერთა ნააზრევის გავლენით გახლდათ შემუშავებული), ზაქროს მებატონე არის ტიპური მებატონე, ექსპლუატატორი.

მხეცი რამ იყო ბატონი ჩვენი, / ერთი აჯამი, გულქვა, რეგვენი.

მშობლისთვის შვილის წართმევის ეპიზოდები სხვაგანაც გვხვდება. გაიხსენეთ ილიას „აჩრდილი“: „შენში კაცისას გრძნობას ვერ ხედვენ, დედას ძუძუდგან შვილსა აგლეჯენ...“ ხოლო „მართალ სიტყვასაც არ მათქმევინებ“ ეხმიანება ადგილს „გუთნისდედიდან“:

ჩემის კაცობის, გულის დუღილის

სიტყვანი გულში მებადებიან,

მაგრამ გულშივე უხმოდ კვდებიან.

ასეთი ეპიზოდები, როგორც ჩანს, ცხოვრებაში მართლაც ხდებოდა, თუმცა მებატონეთა თავხედობისა და აღვირახსნილობის მიზეზი, როგორც თავის დროზე ალექსანდრე ორბელიანმა განმარტა, რუსეთის შემოსვლა და დამკვიდრება იყო ჩვენში. რუსეთში არსებული სასტიკი ფორმები ბატონყმობის თანდათან ჩვენშიც იდგამდა ფეხს. მანამდე კი, თავისუფლების დაკარგვამდე, როცა ქვეყანა მუდმივად ან ომში იყო ჩართული, ან ომისთვის ემზადებოდა, როცა ბატონისა და ყმის ბედი ომებში ერთმანეთზე ეკიდა, ბატონი სურვილის შემთხვევაშიც ვერ მისცემდა თავს უფლებას, ასე სასტიკად მოქცეოდა გლეხს. ამიტომ ადრე ჩვენში ბატონისა და ყმის ურთიერთობა უფრო მოწესრიგებული, გარკვეულად განსაზღვრული და ჰუმანისტურ პრინციპებზე დაფუძნებული გახლდათ.

კაკოს თავგადასავალი პოემაში არაა ნაჩვენები, მაგრამ იგულისხმება, რომ ანალოგიურია ზაქროს თავგადასავლისა. ბატონყმობა მძიმე უღლად აწევთ არა მარტო ცალკეულ კაკოებსა და ზაქროებს, არამედ მთელ გლეხობას, ფართო მოსახლეობას.

მეურმის ნატვრაში გამოხატულია ყმა გლეხების გულისნადები (ანალოგიური ეპიზოდია „სურამის ციხეში“ ბატონის სისხლში ხელგასვრილ ნოდარს, რომელიც სადღაც გარბოდა, სადამო ჟამს დაეწევა მდედარი, მაგრამ არამც თუ მოკლავს და დაიჭერს, არამედ გზას ასწავლის, საით გაიქცეს).

საქმე ისეა წარმოდგენილი, თითქოს მოსახლეობაში დიდი პოპულარობით სარგებლობს ადამიანი, ვინც მეზატონეს მოკლავს. მასზე ლექსები იწერება, სიმღერები იქმნება, ლეგენდები ითხზება. დიდსა და პატარას – ყველას მისი სახელი აკერია პირზე დასხვა. ზაქრო ეუბნება კაკოს:

შორს გავარდნილა შენი სახელი, / ბავშვმაც კი იცის, ვინ არის კაკო.

ასეთივე დიდი სიყვარულით, პატივისცემით სარგებლობს ბატონყმობის წინააღმდეგ მებრძოლი სახალხო გმირი არსენა ოძელაშვილი.

ნეტავ იმ დედას, ვისგანც გაზრდილა / და ვისაც ძუძუ უწოვებია.

(აქაც ერთხელ კიდევ ხოტბა შეასხა ღირსეული შვილის აღზრდელ დედას და ლამის ეროვნულ გმირს, ბაზალეთის ტბის ძირას აკვანში ჩაწოლილ ყრმას გაუთანაბრა არსენა).

არსენას ამბავი ხალხში ზღაპრად არის გასული. ახალგაზრდები არსენობას ნატრობენ. არსენა ყაჩაღია (ყაჩაღები არიან ზაქრო და კაკოც). ოღონდ, თუ შეიძლება ასე ითქვას, იდეალური ყაჩაღია. ხალხურ „არსენას ლექსში“ ასეა: მდიდარს ართმევს, ღარიბს აძლევს, ღმერთი როგორ წაახდენსა.

არიან ყაჩაღები, რომლებისთვისაც სულერთია, ვის გაძარცვავ, ოღონდ წაართვან და თავიანთთვის მოიხმარონ. მაგალითად, ასეთია ხევსური აფშინა (ვაჟას პოემიდან „გოგოთურ და აფშინა“. ძველად მთაში მოთარეშე, ყაჩაღი პროფესიაც იყო ზოგათათვის).

ამას გარდა, არსენა ქრისტეს მცნების - არა კაც კლა - დამცველი კაცია. „15 წელს ყაჩაღა ვარ, კაცის ცოდვა არ მადევსა“. ნეტა, სხვა რომელიმე ქვეყანამ თუ იცის ამისთანა ყაჩაღი? ამ მისმა განსაკუთრებულობამ, გამორჩეულობამ აქცია იგი გმირად. რევოლუციონერებმა, როგორც ვითომ ღარიბი ხალხის დამცველებმა, აიტაცეს და დროშად გაიხადეს ასეთი გმირები. განსაკუთრებით მოსწონდათ იდეა მდიდართა ძარცვისა, სხვებისთვის ნაშრომ-ნაშოვნის წართმევისა და ყაჩაღობისა და ნამდვილი და ფსევდო გმირობის ცნებების აღრევაც აძლევდათ ხელს. ნამდვილი გმირის, თავისუფლებისათვის მებრძოლი ვაჟკაცების დამცირების, ნიველირების, ყაჩაღებად გამოცხადების ხარჯზე უფრო იოლი იყო ყაჩაღის გმირად გასაღება.

არსენა ოძელაშვილი იყო სოფ. მარაბდიდან (აქ მოხდა ცნობილი მარაბდის ომი 1625 წ. 1 ივლისს). არსენა დაბადებულია 1803 (თუ 1804 წ.), მოკლეს 1842 წელს (თუ 1843 წ.) მოკლა იგი მცხეთაში, მტკვრის მარცხენა ნაპირას გიორგი კუჭატნელმა (სეფისკვერამემ). ეს იყო იმერეთიდან გადმოხვეწილი ყაჩაღი. არსენა დაკრძალეს იქვე. მის საფლავზე უბრალო ქვა დაადო დავით კეზელმა. ლოდზე წაწერა: „აქ განისვენებს ყაჩაღი, ყველგან ცნობილი არსენა, ხალხისგან კურთხეულია, ღმერთმაც კურთხევით ახსენა“.

ხალხმა არსენა ცნო მარმარილოს ღირსად:

მარმარილოს ქვა გათალეს / დასწერეს და დაადვესა

აქც კარგი კაცი იყო, / იქ ნათელი დაადვესა (ხალხური „არსენას ლექსი“).

ამჟამად საფლავის ცოტა ზევით დგას არსენას ძეგლი. ძეგლზე ამოკვეთილია: სახალხო გმირი არსენა ოძელაშვილი (1802 - 1843 წწ.) საქართველოში ორი სახალხო გმირის ძეგლია-არსენასი და ახმეტის რაიონის სოფელ ქვემო ალვანში ზეზვა გაფრინდაულის - ერთი სოციალური უსამართლობის წინააღმდეგ მებრძოლი გმირია, - მეორე ეროვნული თავისუფლებისათვის მებრძოლი.

არსენას მოკვლის ახლო ხანებში ხალხმა შექმნა ცნობილი „არსენას ლექსი“. ესაა თექვსმეტმარცვლოვანი შაირით გამართული მესტვირული ლექსი (მისი რამდენიმე ვარიანტი არსებობს.) დაწერა იგი უცნობმა მესტვირემ. ზოგი მკვლევრის აზრით, ავტორია რაჭველი ანდრია ნადირაძე, ზოგის აზრით – ქართლელი გიორგი ქებაძე. ხალხური „არსენას ლექსი“ პირველად ცალკე წიგნად დაიბეჭდა 1872 წელს. გამოსცა ცნობილმა კრიტიკოსმა და პუბლიცისტმა ნიკოლოზ დიმიტრის ძე ყიფიანმა. არსენა ლიტერატურაში პირველად შემოიყვანა ილია ჭავჭავაძემ, ხოლო შემდეგ მასზე ბევრი ნაწარმოები შეიქმნა: აკაკის პიესა „არსენა“ (არაა დამთავრებული), ალექსანდრე ყაზბეგის პიესა „არსენა“, სანდრო შანშიაშვილის დრამა „არსენა“, მიხეილ ჯავახიშვილის რომანი „არსენა მარაბდელი“ და სხვა.

კარგად მოიქცა ნიკოლოზ ყიფიანი, როდესაც „არსენას ლექსის“ პირველ გამოცემაში შეიტანა ნაწყვეტები „კაკო ყაჩაღიდან“ (ადგილები, რომლებიც არსენას ეხება). პლატონ კეშელავას აქვს ნაშრომი: „არსენას ლექსი“ და „კაკო ყაჩაღი“, სადაც წერს, კაკო და ზაქრო არსენასებური ტიპები არიანო (საინტერესოა მიხეილ კაკიაშვილის წიგნი: „არსენას სახე ქართულ ლიტერატურაში“).

„კაკო ყაჩაღი“ პიესად გადააკეთეს ცნობილმა მსახიობებმა ვალერიან გუნიაშვილმა და კოტე ყიფიანმა (ვალერიან გუნიაშვილს ხუთმოქმედებიანი დრამა „ყაჩაღი კაკო ბლაჭიაშვილი“ დაიდგა სცენაზე 1884 წელს,

ხოლო კოტე ყიფიანის „ცხოვრება ყაჩაღისა“ არ დადგმულა). არის ოთხმოქმედებიანი ოპერა – „კაკო ყაჩაღი“ (ლიბრეტო – გ. იმედაშვილი, მუსიკა – ა. ანდრიაშვილი). პირველად წარმოდგინეს 1940 წელს.

სიტყვა „ყაჩაღი“ ილიას პოემის შემდეგ გამეორდა ამ ნაწარმოების მიხედვით შექმნილი პიესების სათაურებშიც. ყაჩაღობის პრობლემა ქართულ ლიტერატურაში ილიამ დასვა ამ პოემით. მისი აზრით, ყაჩაღად ადამიანი კი არ იბადება, არამედ ასეთად მას ცხოვრება ქმნის, აყალიბებს. სხვათა შორის, მიხეილ ჯავახიშვილის „არსენა მარაბდელის“ მიხედვითაც ყაჩაღს კაცი არ მოუკლავს (როსტომ ჩხეიძის საინტერესო დაკვირვებით, ეს რომანი 1832 წლის შეთქმულებისა და 1924 წლის აგვისტოს აჯანყების ანარეკლია).

ილია აქ თითქოს იზიარებს ვულგარულ შეხედულებას სოციალისტებისა იმის შესახებ, რომ ადამიანის ავ-კარგი იზომება მისი წარმომავლობით. მაღალი წრის წარმომადგენელი უკლებლივ ყველა ცუდია, ავია, ბოროტია, გულქვაა და სხვა, დაბალი სოციალური წრის წარმომადგენელი უკლებლივ ყველა სიკეთის, შრომისმოყვარეობის, კაცთმოყვარეობის განსახიერებაა - რევოლუციონერთა ეს რწმენა, რა თქმა უნდა, მცდარია და ამ თეზისის დაცვამ უამრავი უბედურება მოუტანა ჩვენს ქვეყანას. იყო პერიოდი, ადამიანები მარტო გვარის, მაღალი სოციალური წარმომავლობის გამო დახვრიტეს...

საყურადღებოა ისიც, რომ პოემაში არ ჩანს ბატონის მოკვლის შემდეგ ზაქროს ბედნიერი ცხოვრება. ილია თითქოს გაორებულია. ერთი მხრივ, ბატონყმობის მძიმე უღლისაგან თავის გამოსნის ერთადერთ გზად ბატონის მოკვლას (თავადების, როგორც კლასის, განადგურებას) ხედავს და სახავს, მეორე მხრივ, არ გვიჩვენებს ამ მკვლელობა-განადგურების დადებით (გლეხისთვის სასურველ) შედეგს. ასე რომ, თითქოს რევოლუციისკენ მოწოდება ისმის პოემაში, მაგრამ ილიამ, როგორც ღრმად ქრისტიანმა მწერალმა იცის, რომ კაცის (თუნდაც ავი ბატონის) მკვლელობას ღმერთი არ შეიწყნარებს და მკვლელსაც არავითარ შეებას არ მისცემს.

მწერლის ამ პოზიციას, ცხადია, თავისი გამართლება აქვს. ილიამ 80-იან წლებში თვითონ უარყო 60-იანი წლების შეხედულებები და კლასებს შერიგებისკენ მოუწოდა („ოთარაანთ ქვრივი“). ილიას თხზულებათა ნებისმიერ გამოცემაში, როგორც წესი, იბეჭდებოდა „კაკო ყაჩაღი“, მხოლოდ ერთ რჩეულში პირველად გამომცემლებმა (რ. ჩხეიძე, ელ. თავბერიძე) არ შეიტანეს ეს პოემა.

ბატონყმური ურთიერთობის სურათებია ნაჩვენები აგრეთვე მოთხრობაში „გლახის ნამშობი“, რომლის წერა ილიას დაუწყია 1859 წელს. ამიტომ იყო, რომ მწერალი მას თავის პირმშოს ეძახდა: „დეე მაგ პირმშომან ძემან ისე იაროს ქვეყანაზედ, როგორც თავდაპირველ შობილა, ვისაც არ მოეწონოს, გზა აუქციოს“ (წერილი ნიკო ნიკოლაძესთან). 1862 წელს. ილიამ საბოლოოდ დაამუშავა მოთხრობის პირველი ნახევარი (I – VI თავები), რომელიც დაბეჭდა კიდეც „საქართველოს მოამბეში“ (#1). 1872-73 წლებში ილიამ დაამუშავა მოთხრობის მეორე ნახევარიც და ნაწარმოები მთლიანად დაბეჭდა 1873 წელს ჟურნალ „კრებულში“. ნაწარმოებში დასმულია „ჩატეხილი ხიდის“ პრობლემა. ილია ასე აყენებს საკითხს: შეიძლება თუ არა რაიმე საუკეთესო შემთხვევაში ორ წოდებას შორის გაიდოს სიყვარულის ხიდი, დამყარდეს ურთიერთგაგება. ამისათვის მან მომავალი მეზატონე და მომავალი ყმა პატარაობიდან ერთად აღზარდა.

დასმულ კითხვაზე ნაწარმოებში პასუხი გაცემულია. თვით დათიკოსა და გაბროს შორისაც კი, რომლებიც პატარაობიდან ძმებივით იყვნენ ერთმანეთთან თანაშეზრდილნი, სიყვარულის ხიდი ვერ გაიდო. თუ ამ საუკეთესო შემთხვევაშიც ეს ვერ ხერხდება, გასაგებია, მით უფრო შეუძლებელია ეს სხვა შემთხვევაში. მათი ადრინდელი სიყვარული მხოლოდ მოჩვენებითი ყოფილა: „დათიკოს ვუყვარდი და მეც მიყვარდა. მაშინ რა ვიცოდი სულელმა, რომ უფროს-უმცროსობაში სიყვარული სიზმარია; რა ვიცოდი, რომ ბატონ-ყმობის შუა სიყვარულის ხიდი არ გაიდება“ (ისევ რევოლუციონერთა გავლენა).

„გლახის ნამშობი“ გადაკეთებულია პიესად, იდგმებოდა თბილისში და სხვაგან. არის კინოსურათიც. უფრო ადრე ეს მოთხრობა სამოქმედოებიან პიესად გადააკეთა შალვა დადიანმა და უწოდა „ბატონი და ყმა“ (პირველად დაიდგა ჭიათურაში 1907 წელს).

გვიან, 80-იან წლებში ილია კვლავ დაუბრუნდა „ჩატეხილი ხიდის“ პრობლემას.

მიუხედავად იმისა, რომ 80-იან წლებში ორივე წოდებას თითქოს სახე უცვლია, გაუმჯობესებულა, მათ შორის ხიდი მაინც ჩატეხილია. „ოთარაანთ ქვრივი“ ვკითხულობთ: „ჩვენ შუა ხიდია ჩატეხილი. ისინი იქით ნაპირას დარჩნენ, ჩვენ აქეთ. შორიშორსა ვართ და თვალი ერთმანეთისთვის ვეღარ მიგვიწვდენია, თვალი მართალი და უტყუარი“. თუ ხიდის გადება აქაც ვერ ხერხდება (ორივე წოდების საუკეთესო წარმომადგენელთა შორის), გასაგებია, მით უფრო შეუძლებელია ეს სხვა შემთხვევაში. ამრიგად, ორ წოდებას შორის „ხიდი ჩატეხილი“ იყო საგლეხო რეფორმამდე („ჩემსა და დათიკოს შორის ხიდი მაშინ ჩატყდა“) და არაა გამთელებული 80-იან წლებშიც.

რა მოხდება მომავალში? ხიდი ისევ ჩატეხილად დარჩება თუ გამთელდება? ილიას აზრით, ხიდი გამთელდება. მაგრამ როგორ, რა გზით? აუცილებლად მშვიდობიანად - ცოდნისა და შეგნების გზით, ე.ი. თავადი მივა იმ შეგნებამდე, რომ „ხიდჩატეხილობა“ ერისთავის დამღუპველია და თვითონ

ნებაყოფლობით აიღებს ხელს თავის კლასობრივ პრივილეგიებზე. ამის მაუწყებელია ნაწარმოებში კესოს ტირილი. კესო უკვე მივიდა ამ შეგნებამდე. ეს შეგნება და სინდისის ქენჯნა აწუხებს, ატირებს. მართალია, გიორგის ამით არაფერი ეშველება, მაგრამ სხვებს ეშველებათ და ეს კარგის ნიშანია. ესაა „დასაწყისი განთიადისა“ (ასე ქვია ერთ თავს). არჩილი ეუბნება კესოს: „ეგ ცრემლიანი ცოდნა უკანა სწავას და ბუგავს, წინა ჰნამავს და ამწვანებს. ეგ ნამი რომ გაბეზრდება, მდინარე წყლად იქცევა და მთელს ტივს მოიტანს, რომ ჩვენს შორის ჩატეხილი ხიდი გაამრთელოს და ეგრე ორსავე ნაპირს გააერთებს“. ასე მოხდებოდა, ილიას აზრით, ხიდის გამთელება. ცხოვრება არ წავიდა იმ გზით, როგორც ეს ილიას ჰქონდა ნავარაუდები. ე.ი კლასთა შერიგება კი არ მოხდა, არამედ პირიქით, ორ წოდებას შორის ურთიერთობა კიდევ უფრო გამწვავდა. 90-იან წლებში ასპარეზზე გამოდის „მესამე დასი“ (პირველი ქართული მარქსისტული ორგანიზაცია). მუშათა კლასს იარაღი უჭირავს და საბრძოლველად ემზადება და 900-იან წლებში კი უკვე გაფიცვებს აქვს ადგილი. ე.ი. კლასთა შერიგება კი არ მოხდა, არამედ, პირიქით. 1905 წლის რევოლუცია კი ილიას თეორიის სრული კრახი იყო. რა გაეკეთებინა ილიას? დაეწერა ახალი ნაწარმოები და სხვანაირად გაეშუქებინა ეს საკითხი? ეჩვენებინა, რომ კლასთა შერიგება მოხდა- ეს ტყუილის თქმა იქნებოდა, რასაც რეალისტი ილია არ იზამდა. ეჩვენებინა, რომ კლასთა ურთიერთობა გამწვავდა- ეს მართალი კი იქნებოდა, მაგრამ ილიას არ სურდა იგი. ამიტომ 1887 წლის შემდეგ ილიას დიდი მხატვრული ნაწარმოები არ დაუწერია. „დავტირი ჩემს დაკარგულ ნახევარსა ის ჩემგან მოკვეთილი ნახევარია, მე - იმისგანა, მე დაკარგული მენანება, მეზრალეა და არ მემართლება კი... არა, ნახევარ კაცად, ნახევარ გულით ცხოვრება სიკვდილი, კვდომაა“, - ამბობს არჩილი.

თუ ადრე, 60-იან წლებში მწერლის მთელი ყურადღება მატერიალურ, ფიზიკურ ჩაგვრაზე იყო მიპყრობილი, ახლა, 80-იან წლებში არანაკლებ მნიშვნელოვნად მიიჩნია მორალურ-ფსიქოლოგიური საკითხი. გიორგის არჩილი და კესო თუმცა პატივს სცემენ და აფასებენ, მაგრამ აღმოჩნდა, რომ მასში თავიანთ ტოლსა და სწორს, ზოგადად ადამიანს კი არ ხედავენ, არამედ მხოლოდ გლეხს - საუკეთესო თვისებებით შემკულს, მაგრამ მაინც გლეხს, რომელსაც თავადის ქალის შეყვარება არ უნდა შეეძლოს (საერთოდ არ იცის სიყვარული და სიძულვილი - ეს მისი საქმე არაა).

„ოთარაანთ ქვრივი“ პიესადაც არის გადაკეთებული (ჯერ კიდევ სამსონ ფირცხალავამ გადააკეთა 1907 წელს). არის შესანიშნავი კინოსურათიც (ოთარაანთ ქვრივი - ვერიკო ანჯაფარიძე). შალვა დადიანს აქვს პიესა „ჩატეხილი ხიდი“ - ეს არის მონტაჟი ილია ჭავჭავაძის ნაწარმოებებიდან. პირველად დაიდგა მარჯანიშვილის თეატრში 1953 წელს.

დაბოლოს, უნდა ითქვას, რომ ეს საკითხი პერიოდულად ხან მეტი, ხან ნაკლები სიმძაფრით სულ დგება ჩვენ წინაშე. სხვადასხვა მიზეზით გათიშული საზოგადოება - სამწუხაროდ, საინტერესო თემაა დღესაც.

ლიტერატურა:

- გ. ასათიანი, ქართველი ლირიოსები, თბ., 1963.
- ვ. ვახანია, რეალიზმის საკითხები ქართველ სამოციანელთა ესთეტიკაში, თბ., 1988.
- პ. ინგოროყვა, ილია ჭავჭავაძე, თხზულებათა კრებული, ტ. I, თბ., 1963.
- გრ კიკნაძე, ილია ჭავჭავაძე ლიტერატურათმცოდნეობისა და ხელოვნების საკითხების შესახებ, „საბჭოთა ხელოვნება“, #9, თბ., 1957.
- მ. ნინიძე, მადლის წყარო, თბ., 1997.
- ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ კრებ. ოც ტომად, ტ. II, თბ., 1988; ტ. III, თბ., 1988.
- ჯ. ჭუმბურიძე, ქართული კრიტიკის ისტორია, თბ., 1966.

Nino Vakhania

Sokhumi State University

SOME ISSUES ON ILIA CHAVCHAVADZE'S IDEOLOGY RESUME

Ilia's aesthetic standpoints experienced kind of evolution. In some his writings written in his adolescence, Ilia actually supports slogan "Art for Art". It is noteworthy that in Ilia's old poetry is intensely found pessimistic and melancholic mood. It states that till realistic aesthetics, before devotion of slogan "Art for Life" Ilia step by step, sensibly reached by his personal "Me" and dictation of the needs of life. His life, misfortune of his homeland stipulated Ilia to promptly become realist, but according to his standpoint the purpose of art was only to serve to people. Though, as it seems he wished from the bottom of his heart to be able "to freely sing". Then he would not feel shy "to sing like a bird". In 1860 he wrote program verse "Poet", where is directly unambiguously stated Ilia's standpoint on the purpose of poet and poetry. According to Ilia's opinion, poet differs from usual men by heavenly talent, he talks with the God,

can see and hear so that usual men are not able to do and express his opinions that can not be expressed by others. Only, the purpose of person full of God's mercy relates to terrestrial world. Namely, he serves to nation. Enslaved nation, deprived of all rights and state is in need of the leader, stating the truth and making everything clear. Poet had undertaken this function. Ilia's opinion on special mission of world and power is stated in the writing of many writers.

Ilia's social standpoints had also undergone evolution. Revolutionaries' had stridently influenced him in the beginning of his work, but in the beginning of 80s he purposefully began preaching on peaceful arrangement of social inequality.

თამარ ვეფხვაძე
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბიბლიური პარადიგმები კონსტანტინე გამსახურდიას ექსპრესიონისტულ ნოველაში „ზარები გრიგალში“

„ამიერიდან შენ უკვე აღარ ხარ მონა, არამედ ძე,
ხოლო თუ ძე ხარ, მემკვიდრეცა ხარ ღმერთის მიერ“
(გალ. 4,7)

ექსპრესიონიზმი (ფრანგ. Expressionism) - დეკადენტურ-ფორმალისტური მიმდინარეობაა ლიტერატურაში და ზოგადად ხელოვნებაში. იგი წარმოიშვა XX საუკუნის პირველ ათეულში დასავლეთ ევროპაში.

ექსპრესიონიზმი ხშირად გადმოგვცემს შიშს, ღელვას, ნოსტალგიას, დაუკმაყოფილებლობისა და გაუცხოების გრძნობებს. ზოგჯერ ექსპრესიონისტები პროტესტს უცხადებენ გარემომცველ სამყაროს და შეელას ითხოვენ. ექსპრესიონიზმის ჩამოყალიბება დიდად განაპირობა იმ პოლიტიკურ-ეკონომიკურმა კრიზისმა, რომელმაც მოიცვა პირველი მსოფლიო ომის პერიოდის ევროპა. ამ მოვლენებმა სერიოზული დაღი დაასვეს ადამიანების ცნობიერებას და სულიერი კრიზისის ფორმით გამოვლინდნენ. (ამ კრიზისის ფილოსოფიური ასპექტები მოცემულია შპენგელის თხზულებაში „ევროპის დაისი“). ექსპრესიონიზმი ამ კრიზისის ერთგვარ მხატვრულ მემკვიდრეობად იქცა. [გაფრინდაშვილი, მირესაშვილი, 2014: 255]

მსოფლიო ლიტერატურაში ექსპრესიონიზმი გამოვლინდა იმ მწერლების შემოქმედებაში, რომლებიც ჟურნალების „გრიგალი“ (Der Sturm) და „აქცია“ (Die Action) ირგვლივ იყვნენ გაერთიანებულნი. ექსპრესიონიზმის გამოჩენილი წარმომადგენლები არიან ფ. კაფკა, რ. მ. რილკე და სხვები.

ქართულ სალიტერატურო სივრცეში ექსპრესიონიზმის იდეოლოგებად კონსტანტინე გამსახურდია და გრიგოლ რობაქიძე იქცნენ. ეს მიმდინარეობა 1921 წლიდან გამოჩნდა ჩვენში. იგი კარგად შეესაბამებოდა ქართველ მწერალთა ერთი ნაწილის იდეურ-ესთეტიკურ და პოლიტიკურ შეხედულებებს. [გაფრინდაშვილი, მირესაშვილი, 2014: 255]

აკაკი ბაქრაძე გამსახურდიას ამსგავსებს იმ ადამიანს, რომელსაც შინ პური მიაქვს და უკან ქოფაკი მისდევს, ამიტომ იძულებულია, დროდადრო ნაგავს პურის ნატეხი გადაუგდოს. ასე უყრიდა საბჭოთა ხელისუფლებას „ბელადს“, „ვაზის ყვავილობას“, ნარკვევებს, რომ დაწერილიყო „დიონისოს ღიმბილი“, „მთვარის მოტაცება“, „დიდოსტატის მარჯვენა“, „დავით აღმაშენებელი“, „ზარები გრიგალში“ და სხვა ამგვარი...

როგორ ახერხებდა ყოველთვის თავის დახსნას კონსტანტინე გამსახურდია, მას თითქმის ღმერთი იცავდა, თავის კალთას აფარებდა უფალი მხატვრული სიტყვის „ალამდარს“, ოსტატურად, შეფარვით რომ ამბობდა თავის გულისტკივილს, საერთო უღმერთობისა და ათეიზმის დროს დიდი გაბედულება სჭირდებოდა ისეთი ნაწარმოების დაწერასა და გამოქვეყნებას, როგორიცაა მისი ნოველა: „ზარები გრიგალში“. ნაწარმოები 1924 წელს დაიწერა და დაიბეჭდა კიდეც. ალბათ ეს იყო ზარების დარისხება, უდიდესი გულისტკივილით ამოხეთქილი გულიდან, ქვეყნის გამოცვლის, უპატრონოდ მიტოვებული

საყდრის, გაპარსული ნახუცრისა და წაქცეული სამრეკლოს გამო, რომელსაც „მკვდარი ღმერთის უპატრონო ლეშს“ ადარებს ავტორი...

„აწვიმდა სამრეკლოს, აწვიმდა საყდარს“... ეს ფრაზა, რომელიც რეფრენად გასდევს მთელ ნაწარმოებს, ეპოქის ანარეკლია და უამრავი დანგრეული ტაძრის, სამრეკლოს, ჩამოგდებული ჯვრისა თუ ზარის ამბავს მოგვითხრობს...

„დაკარგული, ლეშადქცეული ღმერთის“ მიეზიამ ამ ნაწარმოების მთავარი ქვეტექსტი, მთავარი მამოძრავებელი ძალა, ექსპრესიული სტილი კი უდიდეს გამომსახველობას ანიჭებს ნაწარმოებს და ამიტომაც ერთი ამოსუნთქვით იკითხება. (არასოდეს დამავიწყდება ის განცდა და ემოცია, რომელიც დამრჩა ამ ნაწარმოების გაცნობის შემდეგ, ეს იყო, მართლაც, „პირველად წაკითხვის ბედნიერება“).

ნაწარმოები გაჯერებულია ბიბლიური პარადიგმებით. პარადიგმა ნიმუშს ან მაგალითს ნიშნავს (ბერძნ. Paradeigma მაგალითი, ნიმუში)-- ლიტერატურის ან საზოგადოებრივი ცხოვრების ისტორიიდან აღებული შედარება, რაიმე ფაქტიური ვითარების დასამტკიცებლად, პირველი სახეებისა თუ მაგალითების ჩვენება, საიდანაც მომდინარეობენ სხვები. [ჭილაია, 1971:308]

ნოველის მთავარი გმირია მნათე ოქროპირი, ყველასაგან გამორჩეული და გარიყული (აღსანიშნავია, რომ სახელი ზოგიერთ გამოცემაში ჩნდება როგორც ოქოპირი, ზოგან კი ოქროპირი. ეს საკითხი, ალბათ, ცალკე კვლევას საჭიროებს.) როგორც არ უნდა იყოს, ოქროპირი თუ ოქოპირი, ბიბლიურ წმინდანს, იოანე ოქროპირს გვახსენებს და ბიბლიურ პარადიგმად აღიქმება. ვინ იყო იოანე ოქროპირი? წმ. იოანე ოქროპირი ანტიოქიაში დაიბადა, დაახლოებით 347 წელს. იოანე მღვდლად აკურთხეს ანტიოქიაში. მოძღვარი იმთავითვე შეუდგა თავისი საწმესოსათვის ზრუნვას, ხშირად ქადაგებდა, მრევლი კი დიდი გულისყურით ისმენდა მის მოძღვრებას, კითხულობდნენ მის დაწერილ წერილებსა და სახარების განმარტებებს. ხალხმა წმინდანს „ტკბილმოუბარი“, „თაფლმწოთლოვარი“, ბოლოს კი „ოქროპირი“ შეარქვა.

უდავოა, რომ იოანე ოქროპირი გამორჩეული საეკლესიო მოღვაწეა და, ალბათ, შემთხვევითი არ უნდა იყოს ის, რომ ნოველის მთავარი გმირის, მნათეს, სახელი ოქროპირია. საინტერესოა ერთი დეტალი იოანე ოქროპირის ცხოვრებიდან: ერთხელ, აღდგომის წინა დღეებში, იოანე ოქროპირს გული ატკინა ხალხის უმსგავსო საქციელმა, იმ ხალხისა, რომელიც ასე უყვარდა და რომლის სულიერი წარმატებისათვის ასე ზრუნავდა. ვნების შვიდეულის ოთხშაბათს ძლიერი ქარიშხალი ამოვარდა, რომელიც წალეკვას უქადდა ქალაქს. ხალხს შეეშინდა, შეინანა, ეკლესიებს მიაწყდა, მაგრამ როგორც კი საფრთხემ გადაიარა, მათ მაშინვე დაავიწყდათ მრისხანე გაფრთხილება და შაბათს კვლავ თავაწყვეტილ მხიარულებას მისცეს თავი. ამ ეპიზოდის განხილვისა და ნოველასთან პარალელის გასავლებად გავიხსენოთ ნაწარმოების სიუჟეტი:

ნოველაში „ზარები გრიგალში“ ასახულია ცხრაასოციანი წლების ქართული სოფელი, სადაც ათასწლოვან ტრადიციებს ახალი სოციალისტური გარდაქმნები დაუპირისპირდა. მასში აღწერილია წმინდა ზაქარეას ეკლესიის მნათე ოქროპირის ცხოვრებისეული დრამა. ოქროპირი ოცდახუთი წელიწადი რეკავდა ზარებს, პარალელურად კითხულობდა „დავითნს“, რეკავდა ცისკარზე, რეკავდა მწუხრის ჟამს...

თუმცა „ქვეყანა გამოიცვალა, ეკლესია დაიკეტა, ორ თვეში ერთხელ წირვის მაგივრად „არსენა ყაჩაღს“ დასდგამდნენ. ხავსი მოედო სახურავებსა და კედლებს.

აწვიმდა სამრეკლოს, აწვიმდა საყდარს...

მნათე ოქროპირი ვერ შეეგუა ახლებურ ცხოვრებას, ალღო ვერ აუღო, მღვდლისაგან განსხვავებით, რომელიც ახლა უკვე ნახუცარია და სრულიადაც არ განიცდის თავის ნახუცრობას, პირიქით, ნანობს კიდევ გაცდენილ წლებზე...

„მნათე ოქროპირი კი... არც ერთი ყურმა ძალდი არ ისურვებდა ოქროპირსავით ცხოვრებას...თუმცა ოქროპირ ბედს არ უჩიოდა, მისი სულის სიმშვიდე არასოდეს დარღვეულა...“

მხოლოდ ვნების შვიდეულის დიდ ხუთშაბათს იგრძნო საკუთარი უთვისტომობა, რომ მას აღარსად წავსვლელობდა... და სწორედ ამ დროს იმარჯვებს მასში მოწოდება, წარსული.

დავუბრუნდეთ წმ. იოანე ოქროპირის ცხოვრებას და შევეცადოთ პარალელების გავლებას ნოველასთან. ვნების შვიდეულის ოთხშაბათს ამოვარდა ქარიშხალი და ქალაქს წალეკვით ემუქრებოდა. ასევე ვნების შვიდეულშია გრიგალი ნოველაში, ოღონდ ხუთშაბათს. თითქოს აპოკალიფსი იწყება. ავტორს სურს ადამიანებმა მოინანიონ ის ცოდვები, რაც სოციალიზმის დამკვიდრებამ მოიტანა, ისევე, როგორც იოანეს ცხოვრებაში, თუმცა ასე არ ხდება, თუ დავაკვირდებით, ხალხის ტაძარში მისვლა იოანეს ცხოვრებაშიც მოჩვენებითია, როგორც კი საშიშროებამ გადაიარა, მაშინვე ღრეობას და გართობას მიეცნენ. ასეთია ადამიანთა ბუნება, ადამის მოდგმა, რომელიც პირველქმნილი ცოდვის შემდეგ განუწყვეტელივ სცოდავს. მოძღვრება პირველქმნილი ცოდვის შესახებ უკავშირდება ადამისა და ევას დაცემის შესახებ ბიბლიურ მოთხრობას (დაბ. 3), გამოხატავს სარწმუნოების უეჭველობას, რომ

კაცობრიობის მთელი ისტორია ადამიანის მიერ თავისი ნებით ჩადენილი პირველი დანაშაულის დაღს ატარებს, ანუ *ემშაკის* მიერ ცდუნებულმა ადამიანმა ნება დართო საკუთარ თავს, რომ, თავის გულში შემოქმედისადმი ნდობის განვლვითა და საკუთარი თავისუფლების ბოროტად გამოყენებით, არ დამორჩილებოდა ღმრთის მცნებას, რითაც კარი გაუღო ბოროტებას, უმთავრესად ზნეობრივ ბოროტებას. საღმრთო წერილის თანახმად, ადამის ცოდვაში ყოველი ადამიანი თანამონაწილეობს. მართლაც, წმიდა პავლე ამტკიცებს: „ვინაიდან, როგორც ადამში კვდება ყველა, ასევე გაცოცხლდებიან ქრისტეში“ (1 კორ. 15:22); აგრეთვე: „ამიტომ, როგორც ერთი ადამიანის მიერ ცოდვა შემოვიდა სოფელში, ხოლო ცოდვის მიერ – სიკვდილი, ასევე, სიკვდილი გადავიდა ყველა ადამიანში, რადგან ყველამ შესცოდა“ (რომ. 5:12).

და როგორია მნათე ოქროპირი და რა აწუხებს მას?... რას ვერ შეეგუა იგი?... როგორია მისი სულიერი სამყარო?...

ნოველაში ვკითხულობთ: „ოქროპირს სოფელი ლენჩს ეძახოდა... სჩვეოდა ოქროპირს - მოუბარს ხშირად ყურს არ უგდებდა. როცა საქმეზე ელაპარაკებოდნენ, სულ სხვა რამისთვის ფიქრობდა.“ [გამსახურდია, 2003: 113] საკითხავია, რას ფიქრობდა იგი? ავტორი იქვე აგრძელებს:

„სახეზე ეტყობოდა, მის სულს ვნების ქარიშხალი არ მოხვედროდა- არ ეკუთვნოდა ოქროპირ ამ ქვეყანას. არც ამ ქვეყანამ დაუდო მას წილი. სოფელში ხმა დააგდეს: დრო მოვა, გლახაკები ღმერთს გაუტოლდებიან, ძლიერნი ამა ქვეყნისანი შედრკებიან და გლახაკები დიდების პორფირს მოისხამენო, არ იქნება არც ღმერთი, არც ემშაკი, მდიდარი და ღარიბი, ქურუმი და მნათე, რადგან ყოველი კაცი თვითონ იქნება თავისი თავის ღმერთი, ქურუმი და მნათე, ასე ამბობდა ქადაგი ტაია. ვინ იცის, რა იქნება, ფიქრობდა ლენჩი ოქროპირ. იმედი? იმედი მას არაოდეს დაუკარგავს, რადგან არაოდეს ჰქონია იგი.“

ასეთია ოქროპირი, აუშლვრეველი და მშვიდი, ასეთი ცხოვრების შედეგი არის მარადიული ნეტარება, მარადიული სიხარულის განცდა და ანგელოზთა თანა ქრისტეს საუფლოში.

წუთისოფელში ყოველთვის იყვნენ და არიან ადამიანები, რომელნიც ამქვეყნიურ, წარმავალ კეთილდღეობას ირჩევენ ცხოვრების მიზნად და სხვა არც არაფერი სურთ. მაგრამ იყვნენ, არიან და იქნებიან ისეთნიც, რომელნიც ბედნიერებას უფალთან ერთობაში ხედავენ. ასეთი აზროვნება ზოგიერთს ადრეული ასაკიდან უყალიბდება, ზოგი განსაცდელის შემდეგ ხდება მორწმუნე, ნაწილიც განსჯით ეძიებს და იმეცნებს ღმერთს, რომელთანაც სიახლოვეს მთელი ძალით ეკლესია შეგვაგრძნობინებს. [საშობაო ეპისტოლე, 2018:7] ასეთი იყო ოქროპირი და ავტორსაც იმის თქმა უნდა, რომ სწორედ ესაა ადამიანის დანიშნულება, მნათე ოქროპირი, რომელსაც ხალხი „ლენჩს“ ეძახის, სინამდვილეში უფლის შვილი და ეკლესიის გულშემატკივარია, ამიტომ განიცდის ასე ჯვრის გაქრობას ტაძრის გუმბათიდან და ამიტომ აწვიმს მის გულს, როცა სამრევლოს და საყდარს აწვიმს. ამიტომ აუჯანყდა მას შინაგანი ხმა, ვერ შეეგუა ახალ, უღმერთო ცხოვრებას და გრიგალში, ზარების რეკვით შეუერთდა ანგელოზთა დასს. მან შემლო რწმენისთვის თავგანწირვა.

განსაკუთრებით ექსპრესიულია ეპიზოდი, როცა ავტორი გადმოცემს ამ სცენას. ძნელია იპოვო მსგავსი სიმძაფრე, მსგავსი გამომსახველობა და ტრაგიზმი. ავტორის სტილი აქ განსაკუთრებული და ინდივიდუალურია. ასეთი განსხვავებული სტილი შექმნა კონსტანტინე გამსახურდიამ. მისი ენა განსაკუთრებულია: ლაკონიური, სხარტი, გულში ჩამწვდომი, მომნუსხველი, რიტმული, შეკუმშული ფრაზებით გადმოცემული მოზეიმე აღმასრბოლა ტრაგიზმით გაჯერებული და, რაც მთავარია, ძალზე ექსპრესიული. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ფინალი, ექსპრესიონისტული ფერწერის მანერით შესრულებული, ბიბლიური პარადიგმებით გაჯერებული ზარების რეკვის სურათი: „**უცოდველი მთვარე თეთრ ღრუბლის საგებზე იცინის, ვით ჩვილი იესო მწყემსების ბოსელში.**“ (ხაზგასმა ჩემია. შედარება

საინტერესოა, როგორც სახარებისეული პარადიგმა, და განხილვას საჭიროებს)

„**ამ მაღალ ზეცასთან, ამ ძლიერ გრიგალთან სულ ყველა დაბალი და სუსტი ყოფილა.**“

„**მიჰყოფნენ მთვარისაკენ ღრუბლების გემები ალისფერ სისხლით გამურულ აფრებით და პირქვე ეკიდა იესო ზეცაში, ღრუბლების ანძაზე, ვით მავნე მეკობრე.** გრიგალი მოახტა ცაცხვების ქეჩოს, ვით ძალი ფოცხვერი სისხლს მოწყურებული. გასდრიკა წელში მძლე გოლიათები. სამრევლო ტრციალით შეირყა, გაქანდა, ტორტმანით დაეცა მიწაზე. ორი ანგელოზი მიფრინავდა ეთერში.

„რა მჩატე ყოფილა საბრალო მეზარე!“

„მჩატე რომ ყოფილიყო, ასე მაგრად დაეცემოდა?“ მიუგო მეორემ.

არ ვიცი სად წაიყვანეს მნათე ოქროპირის საბრალო სული.

ჩემთვის ეკითხათ. მე ვიტყვით: **ასწიეთ ადამიანი მაღლა, სულ მაღლა და დასვით მნათე ოქროპირ შემოქმედის მარჯვენა მხარეს,** რადგან სიბნელეში დაბრმავებულმა ერთხელ მაინც იგრძნო აღტაცება და ექსტაზში დაიღუპა. მე მინდა ვიმღერო ექსტაზში დაღუპულთათვის.

მთელი თვე ეგდო წაქცეული სამრევლო წმ. ზაქარეას ეკლესიის ეზოში, **როგორც მკვდარი ღმერთის უშველებელი, უპატრონო ლეში.** აწვიმდა სამრევლოს. აწვიმდა საყდარს.“

მინდა განვიხილო ის ბიბლიური პარადიგმები, რომლებიც ნოველის ამ ნაწილშია თავმოყრილი: „**მთვარე თეთრ ღრუბლის საგებზე იცინის, ვით ჩვილი იესო მწყემსების ზოსელში.**“

ნოველაში გამოყენებულ შედარებაში უფლის შობის პარადიგმული სახე იკვეთება. როგორც ცნობილია, უფალი იშვა ზამთრის მზის მოქცევის დღეს, 25 დეკემბერს, როდესაც მზე და დედამიწა იწყებენ ერთმანეთთან დაახლოებას. იმ დამეს მთელ კაცობრიობას და თითოეულ ჩვენგანს ეუწყა ანგელოზის საოცარი სიტყვები, პირველად ბეთლემელმა მწყემსებმა რომ გაიგონეს: „მე გახარებთ დიად სიხარულს, რომლითაც იხარებს მთელი ხალხი, რადგან დღეს დავითის ქალაქში დაიბადა თქვენი მაცხოვარი“ [ლუკა, 2.11] და მსოფლიოს მოეფინა ზეციური საგალობელი: „დიდება მაღალთა შინა ღმერთსა, ქვეყანასა ზედა მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება“ [ლუკა, 2.14]

კაცობრიობას, რომელიც დიდხანს ელოდა მაცხოვრის გამოჩენას, ელოდა იმ დღიდან, როცა სამოთხიდან გამოიდევნა პირველქნილი ცოდვის შემდეგ, მხსნელად და იმედად მოევლინა უფალი, მაცხოვრებელი სულისა ჩვენისა. ჩუმად ცაზე ამობრწყინდა მოკაშკაშე ვარსკვლავი, ხოლო მაცხოვარი, განხორციელებილი სიტყვა, იესო ქრისტე, ჩვეულებრივი ბავშვით იწვა ცხოველთათვის განკუთვნილ ბაგაში და ადამიანებს შობისთანავე უმხელდა უდიდეს სიღუმლოს: სიმდაბლეთაო ადამიანის დიდება. რომ ამქვეყნიური ყოფა და ფუფუნება არ განსაზღვრავს ადამიანის პიროვნებას, არამედ ის, რაც მის შიგნითაა, რაც მისი შინაგანი სამყაროთი წარმოჩინდება, ასწავლიდა, რომ მორჩილებით და თავმდაბლობით გადარჩება ადამიანი, ამ სიბრძნისაგან კი შორს იყვნენ ადამიანები.

რატომ მიმართა ამ პარადიგმულ სახეს კონსტანტინე გამსახურდიამ? რისი თქმა უნდოდა მას? ქრისტიანობა ხომ ღმერთის განკაცებაში (დაბადებაში), ქრისტეს ჯვარცმასა და აღდგომაშია, რომლის საშუალებითაც კაცობრიობა ახლად დაიბადა, ამაღლებისა და ღვთის მსგავსების აღდგენის საშუალება მიიღო. ქრისტემ საშუალება მისცა კაცობრიობას, თითოეულ ადამიანს, თავის თავში აღედგინა ამგვარი ბუნება. ღმერთის განკაცება მისი ადამიანისადმი გამოვლენილი განუზომელი სიყვარულის შედეგია. უმაღლესი საღვთიმეტყველო ფორმულა ამბობს: „ღმერთია თავად სიყვარული“.

„**ამ მაღალ ზეცასთან, ამ ძლიერ გრიგალთან სულ ყველა დაბალი და სუსტი ყოფილა.**“ --გაისმა ნოველაში მწერლის შეძახილი, ალბათ ავტორს სურს, გონს მოიყვანოს მესვეურნი ამა სოფლისანი, ოცი საუკუნის ქრისტიანობა ლაფში რომ ამოსვარეს: „ვინა ქმნა თიხა ჭურჭელად რას უძღვნის ხელფასადაო?“ უნებურად დავით გურამიშვილის ეს სიტყვები ამოტივტივდება გონებაში, როგორ მოიქცნენ ადამიანები? რატომ იყო მნათე ოქროპირი „ლენჩი“ და საზოგადოებისთვის მიუღებელი, ხოლო წვერგაპარსული ნახუცარი მისაღები? ან რატომ აწვიმდა სამრეკლოს და ტაძარს...

„**მიჰქროდნენ მთვარისაკენ ღრუბლების გემები ალისფერ სისხლით გამურულ აფრებით და პირქვე ევიდა იესო ზეცაში, ღრუბლების ანძაზე, ვით მავნე მეკობრე.**“

ავაზაკი (მაგ.: გაპარსული ნახუცარი) ურჩევნია საზოგადოებას, ხოლო ქრისტე, რომელიც ადამიანთა გამო ევნო, მავნე მეკობრედ მიაჩნია. ერთხელ უკვე ჯვარცმული ქრისტე, ისევ აცვეს ჯვარს ეპოქის მესვეურებმა. „ამ ნაწარმოებით მწერალმა თქვა, რომ რევოლუცია ანგრევს რელიგიას, მაგრამ პარალელურად აღვიძებს რელიგიურ ექსტაზს,“ [შვედრდნაძე, ბერიანიძე, 2017] რთული მისახვედრი არაა რისი თქმა უნდა ავტორს, სად მიაქანებენ „ცის შიკრიკები (ანგელოზები) რელიგიურ ექსტაზში გარდაცვლილ მნათეს სულს და ვინ არიან ის სულის გამყიდველნი, შანთებზე რომ სხედან... ეს ნოველა, თითქოს მეოცე საუკუნის 20-იანი წლების სქართველოს მეტაფორაა, სადაც „იდეალური სიკვდილის“ გენიალური სურათია დახატული.

ცხადია, მწერალი მტკივნეულად განიცდის გრიგალივით შემოჭრილი რევოლუციის უკვე მოტანილ შედეგებს. აღარც საყდარი, აღარც ზარი, აღარც ჯვარი, აღარც მნათე და აღარც მღვდელი აღარაა საჭირო... წაქცეული სამრეკლო აღარავის ადარდებს... უფალი აღარავის ადარდებს... ისევ გაყიდეს, ისევ გოლგოთაზე აიყვანეს და ისევ ჯვარს აცვეს უფალი იესო ქრისტე--ამიტომ არის მისთვის წაქცეული საყდარი მკვდარი ღმერთის უპატრონო ლეშვიით...

ნოველის იდეა და მთავარი სათქმელი კი, ჩემი აზრით, ურწმუნო ადამიანების მიერ უარყოფილი და ლეშადქცეული უფლის დატირებაა - „მოთქმა ხმითა თავ-ბოლო ერთი“, ეს ერთი კი მრავალჯერ ისმის ნაწარმოებში: „აწვიმდა სამრეკლოს, აწვიმდა საყდარს...“ ისმის და ეპოქის სათქმელსაც გვეუბნება. კონსტანტინე გამსახურდიამ მოახერხა და 1924 წელს, როცა მასობრივი ცენზურა და რეპრესიები იყო, როცა ყველა, შიშით შეპყრობილი, დამალვას ცდილობდა, ასეთი სიმწვავეთ, ექსპრესიონიზმს ამოფარებულმა საოცარი ნაწარმოები შექმნა.

„და ეს ნოველა თავისებური საგალობელია ექსტაზში დადუპულთათვის, რეკვიემად ზარების რეკვა რომ მისდევს. ზარების რეკვა ვერ შეაჩერებს სამრეკლოს წაქცევას. ვერც გმირის მოწამებრივი აღსასრული. და ხელშესახები ხდება ქრისტიანული რწმენის ბედი ახალი რეჟიმის დამკვიდრების ჟამს, ნიცშეანური მეტაფორით გასიმბოლოებული, როდესაც წაქცეული სამრეკლო შედარებულია მკვდარი ღმერთის უშველებელ, უპატრონო ლეშთან... სამრეკლოს კი აწვიმს. აწვიმს საყდარს.“ [ჩხეიძე, 2004:73]

ნოდარ დუმბაძე კი აღნიშნავდა: „მწერალმა ყოველ წუთს, ყოველ წამს სული უნდა უბეროს ქართულ კერას, რომ არ ჩაქრეს იგი, და არ განეღდეს ცეცხლი ეროვნული. გამსახურდია თავად არის ეს ცეცხლი, სახმილი, შეშა და ბუხარი მოგიზგიზე.“

და, ბოლოს, მინდა ყურადღება გავამახვილო ერთ პატარა დეტალზე, რომელიც დრამატულ ნაწარმოებში იმედად გვევლინება: „...ჭადრის ძირში ერთი პაწია ყლორტი ამოსულა, გაუზარებელი, ნაციები, მზეს დახარბებული. იგი ფერმკრთალია და ბნედიანი (რადგან მზე არ მოხვედრია). იგი სწორია და მართალი (მის თავზე გრიგალებს არ გადაუქროლიათ), ჩრდილში აღზრდილი (არ კი ამხელს, რომ მზე ენატრება)...“

იმედის ნაპერწკალი მზე - უფალშია, რომელმაც „პაწია ყლორტი“ - მომავალი, უნდა გაზარდოს, მზრდელმა უნდ მოხედოს ბედკრულ სამშობლოს, შიძლება ვიფიქროთ, რომ აქ ეჭვიანი იმედია, თუმცა მაინც იმედი, დღეს უკვე გამართლებული. კონსტანტინე გამსახურდიასთვის ექსპრესიონიზმი ახალ რელიგიად იქცა, რომლის ფესვებსაც იგი უძველეს კულტურებში ეძებდა. [გაფრინდაშვილი, მირესაშვილი, 2012: 255] მან კარგად გამოიყენა ეს სტილი თავისი იდეურ-ესთეტიკური და პოლიტიკური შეხედულებების გამოსავლენად. [იქვე]

საბოლოოდ, მინდა აღვნიშნო, რომ ნაწარმოებში კიდევ ბევრი ბიბლიური პარადიგმაა, თუმცა ამჯერად, ფორმატის სიმცირის გამო არ ხერხდება მათი განხილვა.

ლიტერატურა:

1. ახალი აღთქმა და ფსალმუნები, სტოკჰოლმი, 1992.
2. ბულგარელი თ., „მათეს სახარების განმარტება“, თბ., 2012.
3. გაფრინდაშვილი ნ., მირესაშვილი მ., „ლიტერატურათმცოდნეობის საფუძვლები“, თბ., „მერიდიანი“, 2014.
4. გაფრინდაშვილი ნ., „შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის თეორიული საფუძვლები“, თბ., „მერიდიანი“, 2012.
5. გულდამაშვილი ე. ქართული ენა და ლიტერატურა, თბ., 2003.
6. კანკავა გ., „ლიტერატურული წერილები“, თბ., „მერანი“, 1980.
7. სახარება მათესი, თბ., 2001
8. საშობაო ეპისტოლე, თბ., 2018.
9. შევარდნაძე ხ., ბერიანიძე შ., კონსტანტინე გამსახურდიას „ზარები გრიგალში“ (პოეტური პროზა), საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი „ინტელექტი“, თბ., 2017
10. ჩხეიძე რ., „ხანი უნდობარი“, თბ., „ლომისი“ 2004.
11. ჭილაია ა. „ლიტერატურის მცოდნეობის ძირითადი ცნებები“, თბ., „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“, 1971.

Tamar Vepkhvadze

Sokhumi State University

BIBLICAL PARADIGMS IN THE KONSTANTINE GAMSAXHURDIA NOVEL

“BELLS IN THE STORM”

RESUME

An expressionist novel “Bells in Hurricane” by one of the most famous writers and thinkers of the XX Century, Konstantine Gamsakhurdia, shows the problem of Georgia in the 20s of the described century, which sounds refrain in works: "It rained over the bell tower, rained over the church..." This phrase is a reflection of that epoch and tells the story of numerous broken churches, bell-towers, thrown off crosses or bells. The main subtext of the novel is seeking for "the lost corpse turned God." The expressive style of the novel gives text the greatest expressiveness, therefore expressionism as a literary process, its mode of expression, phases of formation, narrative style have little consideration in the beginning. The authors of world literature whose creativity revealed expressionism, such as Kafka, Rilke and others, are mentioned in text.

The main character, the bell –ringer named Okropir and mentioned below phrases are discussed in Biblical paradigm: "The sinless moon laughs on the white clouds like a Baby Jesus in the Manger "; " All are powerless and low in front of this high sky, in front of this hurricane "; "The cloud ships rushed to the moon with blood flamed sails, and Jesus hanged upside down on the clouds, like a pirate." "Lift the man up above, very high and seat to the right side of Creator of the bell-ringer Okropir". Finally, the comparison, which is the expression of the fallen bell tower: «Whole month the bell tower was lying in the yard of the Saint Zacharias Church like a neglected corpse of the dead God ". Also, it is said that Konstantine Gamsakhurdia's style is unique and individual. His language is special: laconic, fragile, racing towards heart, creeping, and rhythmic, compressed phrases full of jubilant tragedy and most importantly, very expressive. In the end of the novel, however, there is a hope - «A tiny sprout grew under the plane tree ".

ომაზ ჩხეიძის „გახლეჩილი რწმენა“ – მესხეთის ტრაგედია

ისტორიული თემატიკა ქართული მწერლობაში ყოველთვის ქართველი მკითხველის დიდ ინტერესს იწვევს. წარსულის გააზრება და რეალისტური პრინციპებით წარმოსახვა მნიშვნელოვნად განაპირობებს მწერლის წარმატებას. ხშირ შემთხვევაში ისტორია ტენდენციურად შუქდება: ან დადებითი ხედვა სჭარბობდა ან უარყოფითი. ომაზ ჩხეიძის რომანი „გახლეჩილი რწმენა“ კი, ძირითად ასპექტებში, ობიექტურად ასახავს ქრისტიანული რელიგიის საკითხსა და ხალხის მდგომარეობას სამცხე-ჯავახეთში XIX ს-ნის დასაწყისში. ეს თემა მარადმეტკვირეული თემაა და მისი მხატვრულად ასახვა დიდ პასუხისმგებლობას, ისტორიის საფუძვლიან ცოდნასა და ობიექტურობას მოითხოვს. ალბათ ამიტომაცაა, რომ ნაკლები იწერება ამ პერიოდის მესხეთში მიმდინარე პროცესებზე.

რომანი თავის დროზე მოეწონა პროფესორ შოთა ლომსაძეს. მას გამოეხმაურა, აგრეთვე, კრიტიკოსი გურამ გვერდწითელი.

ომაზ ჩხეიძემ თავის რომანში გაბედულად და დამაჯერებლად წარმოაჩინა სამცხე-ჯავახეთში ოსმალეთის ბატონობით შექმნილი ვითარება, აჩვენა ქართველთა გამაჰმადიანების სავალალო შედეგები. ქრისტიანობის რწმენის ძალადობით წარმართვა, სიკვდილის შიშით, წამებითა და გვემით მაჰმადიანურ რელიგიაზე გადაყვანა. მწერალმა ასახა დამპყრობლის რეალური სახე, აჩვენა ყაჩაღად ქცეული ზოგიერთი იანიჩარისა და ასკერის ძალადობა, ქრისტიანთა მიმართ მტრული დამოკიდებულება, მუსულმანური ფანატიზმით გაჟღენთილი სიძულვილი ქართველთა მიმართ, რომელიც არღვევენ სახელმწიფო კანონებსა და ზოგადადამიანურ ზნეობას, ვეღარ ზომავენ, გონივრულად ვერ იაზრებენ კარზე მომდგარ ომს რუსეთის ძლიერ არმიასთან. ნაცვლად იმისა, რომ ლოიალური დამოკიდებულება ჰქონდეს მოსახლეობასთან, რომ ომში მოსახლეობამ მხარი მათ დაუჭიროს, რასაც ომის დროს გადაწყვეტი მნიშვნელობა აქვს, ისინი პირიქით, გაათქვამებული ჯიბრით და სისასტიკით ეპყრობიან ქართველებს. რომლებიც შესაბამისად დიდი სიმტკიცითა და შეუპოვრობით პასუხობენ, ხშირ შემთხვევაში სიკვდილს არჩევენ შეურაცხყოფითა და დამცირებით მაჰმადიანობაზე გადასვლას. ამით ისინი შთამომავლობას უკვალავენ გზას ქრისტიანობის შენარჩუნებისა და საქართველოსთან ინტეგრაციისაკენ. ეს რთული პოლიტიკურ-ეროვნულ-რელიგიური პრობლემა მწერალს გიორგი მელიქიძის ოჯახის ფონზე აქვს ასახული. გიორგი სიმბოლური მხატვრული სახეა ქრისტიანი მესხისა, რომელმაც ხატის სიყვარული და პატივისცემა შეინარჩუნა, ისიც და მისი ცოლი ჟუჟუც ქრისტიანობას ფარულად ინახავდნენ. მათ სიცოცხლე შესწირეს სამშობლოსა და ქრისტიანობას, მოკვდნენ ქრისტიანებად.

გიორგი მელიქიძის სახით მწერალმა აჩვენა იმ პერიოდის მესხის ზოგადი ტიპი, ეს აზრი დასტურდება მელიქიძეთა სახლის დარბევისას იქ მოგროვილ ქართველთა განწყობაში, მათ უარყოფითი დამოკიდებულებაში მოძალადე იანიჩარ იბრაგიმისა და მისი ბანდის მიმართ. ისინი მზად არიან მხარი დაუჭირონ გიორგის, მაგრამ ძალა არ შესწევთ, მათ არც იარაღი აქვთ და არც საბრძოლო გამოცდილება, იმ დროს, როცა ასკერებიც და იანიჩარებიც კბილებამდე შეიარაღებულები და კარგად გაწვრთნილი მეომრები არიან.

ნაწარმოების მთავარი გმირი ბეშქენია გიორგი მელიქიძის ვაჟი. იოლი მისახვედრია, რომ ისეთ მტკიცე ქრისტიანს, როგორიც გიორგია, ბეშქენისთანა ზნეობრივ-რელიგიური შვილი ეყოლება. ბეშქენის გზა, რომელიც ძნელ გეოგრაფიულ და პოლიტიკური ვითარებაში მიედინება, ეს არის გზა მესხეთისა საქართველოში დაბრუნებისაკენ.

ო. ჩხეიძე რომანს ჭიდაობის რიტუალით იწყებს, ეს ტრადიციული მეთოდია ქართველთა და დამპყრობელთა ურთიერთობის წარმოსაჩენად. აკაკი წერეთელი „ბაში-აჟუკში“ ჭიდაობას ასახავს ყიზილბაშთა და ქართველთა დაპირისპირების საჩენებლად. მაგრამ დამპყრობლები განსხვავებულები არიან ყიზილბაშებისაგან, ისინი მათზე სასტიკი და მოძალადეებია. სპარსეთი მხოლოდ მეფის მაჰმადიანობით კმაყოფილდებოდა, ოსმალები კი მთელი ხალხის გამაჰმადიანობას ცდილობენ. ამით უნდა თავიანთი ქვეყნის გაძლიერება და გაფართოება. რაც ფაქტობრივად ვერ შესძლო. ძლიერ ზეწოლას, ძლიერი ამოვარდნა მოსდევს.

რომანში ნათლად ჩანს რწმენის გახლეჩის პროცესი, რომელიც ორი მიმართულებით ვითარდება. პირველი ის არის, რომ მოსახლეობის ნაწილი ოფიციალურად, მოჩვენებით აღიარებს

ისლამს და ინათლება, ფარულად კი ცდილობს ქრისტიანად დარჩეს, რაც უკვე რელიგიური დუალიზმია. და მეორეც მშობლები რომ იღებენ მაჰმადიანობას, შვილები და მომავალი თაობა ორ ცეცხლშუაა მოქცეული.

ჩვენ ვიცით აზოს მაგალითზე, რომ თუ მშობლები მაჰმადიანებია, შვილს ევალემა მაჰმადიანი იყოს, წინააღმდეგ შემთხვევაში დაისჯება. ამიტომ მშობლების მიერ დამპყრობლის რელიგიის აღიარება შვილებს გზას უკეტავს იყვნენ ჭეშმარიტი ქრისტიანები. რომანში ატომოსფეროც ისეთია, რომ ფარულქრისტიანობაც შეუმჩნეველი არ რჩებათ სასულიერო პირებს, ამიტომ ეწირებიან გიორგი მელიქიძე და მისი მეუღლე ქრისტიანობას, ამიტომ არ უნდათ მიიღონ ისლამი, ამით ბეშქენისა და მომავალი თაობის რწმენაზე ზრუნავენ. ეს აზრი ნათლად გამოიკვეთა ქრისტიანი პერსონაჟის იუსუფ იორდანიდის სიტყვებში: „რამდენ ქართველს მიუღია მოჩვენებით მაჰმადიანობა, მოჩვენებითვე ჩამდგარა ყოილილბაშთა და თუ ოსმალთა სამსახურში, მაგრამ შემდეგ მათ შვილებსა და შვილიშვილებს ამით გზა გამრუდებიათ. რწმენის შენარჩუნება დღეს ქართველობის შენარჩუნებას ნიშნავს. ვინც მაჰმადიანობის კლანჭებში მოექცევა, იოლდ ველარ დაიხსნის თავს“ (გვ. 86). ამიტომაც არ მიიღეს მაჰმადიანობა გიორგიმ და ჟუჟუმ. ფაქტობრივად ისინი მოწამეობრივი სიკვდილით კვდებიან, რითაც დიდ ზეგავლენას ახდენენ ხალხზე, რომელიც შეკრებილიყო მათი დასჯის სანახავად. ერმა დაინახა თუ როგორი ერთგული უნდა იყოს ადამიანი თავისი რწმენისა და თავისი ქვეყნისთვის. მათ რჯულის შეცვლას, დამპყრობლისადმი მონობას ქრისტიანად და თავისუფალ ადამიანებად სიკვდილი არჩიეს. მშობლების ასეთი სახელოვანი სიკვდილის შემდეგ ბეშქენს მოვალეობა აქვს იბრძოლოს ქრისტიანობისა და თავისი ქვეყნისთვის. მშობლების თავდადება მის ავტორიტეტს ერთი ორად ამაღლებს მესხების თვალში. ის ახლა იბრაგიმის მთავარი სამიზნეა. მის დამორჩილებას ან მოკვლას სიმბოლური მნიშვნელობა აქვს დამპყრობლური პოლიტიკისათვის. ამიტომაც გამწარებული დაეძებენ მას, რაც უფრო მეტად იბრაგიმის ბეშქენთან კიდაობაში მარცხით გამოწვეული პირადი მტრობით უფრო მძაფრდება.

ბეშქენს ერთადერთი გზა რჩება დატოვოს მესხეთი და ქართლში გადავადეს, საიდანაც ბრძოლის გაგრძელება უფრო შედეგიანი იქნება. თავის სამშობლოში ხელ-ფეხშეკრულია. იქ კი თავისუფლად შეუძლია იმოქმედოს, იქ დამპყრობლები არ არიან. ცხადია ოცდაერთი წლის კაცისთვის ეს რთულია, მას არა აქვს გამოცდილება, არ იცის გზა. ამიტომ მისთვის აუცილებელია თანამებრძოლი, წინამძღოლი, რომელიც გვერდით დაუდგება და სწორი გზით წაიყვანს. ამ მიზნით რომანის ავტორს მოქმედებაში შემოჰყავს პერსონაჟი იუსუფ იორდანიძე. ეს არის ძველი ქრისტიანი. ძველი მებრძოლი დამპყრობლების წინააღმდეგ. მტერთან შეურიგებელი და დაუმორჩილებელი ქართველი, ის გამოცდილი, ბრძენი, გონიერი პიროვნებაა, მას ყველა თვისება გააჩნია, რომელიც აუცილებელია ძლიერი და სასტიკი დამპყრობლების წინააღმდეგ საბრძოლველად. მის ყოველ მოქმედებაში, ყოველ ნაბიჯზე, ყოველ სიტყვაში იგრძნობა რწმენის და ერის ერთგული, საღად და სხარტად მოაზროვნე კაცი, ნამდვილი მამულიშვილი.

გზა, რომელიც ბეშქენმა და იორდანიძემ უნდა გაიარონ, აღსავსეა ხიფათითა და სიძნელებით, მტრის გარემოცვაში მოქცეული მესხეთიდან ამ ორი გმირის გამოსვლას მნიშვნელოვანი მხატვრული დატვირთვა აქვს. მათი გამოსვლა სამცხიდან უკუქცევითი მიზანმიმართული პროცესია, რომელიც თავის დროზე აშოტ კურაპალატისა და გრიგოლ ხანძთელის თბილისიდან გამოსვლას ეხმიანება. VIII-IX საუკუნეებში არაბთა მიერ დაპყრობილ თბილისში ქართველები შებოჭილნი იყვნენ და ვერ ახერხებდნენ ბრძოლას დამპყრობლების წინააღმდეგ. ამიტომ სამეფო კარი მიემუშრება სამხრეთში, სადაც არაბთა ხელი ვერ სწვდებოდა და სადაც მათ შეეძლოთ ძალის მოკრება და დაპირისპირება არაბებთან.

რომანში ასახული ეპოქა პირიქით უბიძგებს გმირებს: ახლა სამხრეთიდან უნდა წავიდნენ თბილისში, რომ შეძლონ აქ გაბატონებული დამპყრობლების დამარცხება.

დრამატულად და მაღალმხატვრულადაა რომანში აღწერილი გზა, რომელიც ბეშქენმა და იუსუპმა გამოიარეს მესხეთიდან ქართლამდე. ქართლში მოქმედების გადმოტანისას მწერალი არანაკლებ რთულ და მნიშვნელოვან პრობლემას ასახავს. ეს არის ქართლის მოსახლეობის ნაწილის შეხედულება მესხებზე. რომელთაც მტრის უღელქვეშ მოქცეული მესხები ყველა ”გათათრებულად” მიაჩნიათ. ეს გულსატკენი ფაქტი რომანის გმირებს მეორე დილემის წინაშე აყენებს. ასეთი აზრი ქართველთა ერთიანობის დამანგრეველია, მართლა გამაჰმადიანებულ ქართველს არ უნდა ეუწოდოთ თათარი, ის ქართველია და არ უნდა მოვწყვიტოთ ისინი მშობლიურ ერს. საბედნიეროდ, აზრი მესხთა თათრობაზე პროვინციულია, ქართველთა ელიტა ასე არა ფიქრობს. თბილისის თავად-აზნაურობა პრობლემის მოგვარებაზე ზრუნავს და არა ერის დიფერენციაზე. ამ მიზნით მწერალს რომანში შემოჰყავს ახალი პერსონაჟი ლუკა ორბელიანის სახით, რომელიც თავის თანამოაზრეებთან ერთად ეძებს გზებს მესხეთის საქართველოსთან დაბრუნებისა და ქრისტიანული

რწმენის გაძლიერებისათვის. ამდენად ნათელი ხდება, რომ აზრი მესხეთის თათრობის შესახებ მცდარია, ზოგიერთი ქართველის პრობლემის გაუცნობიერებისა და შეუგნებლობის შედეგია.

რომანში საბრძოლო მოქმედებები სამცხე-საათაბაგოს ოსმალებისაგან განთავისუფლებისათვის ისტორიული ფაქტებზე დაყრდნობით არის ასახული. ამ საკითხს მწერალი თბილისის განწყობის ფონზე აშუქებს. დედაქალაქის ელიტას უნდა სჯეროდეს, რომ მესხეთი ისევ ქართული მხარეა, მოსახლეობის გარკვეული ნაწილი ქრისტიანია და მისი შემოერთებით საქართველო გაძლიერდება. ამ პრობლემის გადაჭრა ბეშქენმა და იუსუფმა დააჩქარეს, მათ დაარწმუნეს ლუკა ორბელიანი და სხვა ცნობილი თავადები, რომ მესხებს ოსმალების უღელქვეშ ყოფნა არ უნდათ და დედა სამშობლოსთან ერთად უნდა ცხოვრება.

ისტორიული წყაროების მიხედვით აშუქებს მწერალი პასკევიჩის მეთაურობით ახალციხის, ახალქალაქის, აწყურის, ყარსის, არზრუმის და სხვა ქალაქების აღებასა და იმ სავალალო შედეგებს, რაც მესხეთში რუსეთის შესვლის შემდეგ მოხდა. ფაქტობრივად ერთი დამპყრობელი შეცვალა მეორემ, რომელმაც დაანგრია სამცხე-საათაბაგო, განდევნა ქართველები მშობლიური სოფლებიდან. ამასთანავე ყარსი, ართვინი, არტანუჯი, მთელი ტაო და კლარჯეთი ისევ ოსმალებს დაუბრუნა. ამიტომაც ამბობს იუსუფ იორდანიძე რუსეთსა და ოსმალებზე „წყალსა და მეწყერს წაუღია ერთიცა და მეორეც“.

რწმენის გახლეჩას ერის გახლეჩაც დაემატა, გახლეჩა პოლიტიკური და გეოგრაფიული საზღვრების მიხედვით.

გამორიცხული არ არის, რომ რუსეთში ქართველთა მიმართ უნდობლობა ახალქალაქის მაჰმადიან მესხთა შეუპოვარმა ბრძოლამ გამოიწვია, რაც საფუძველი გახდა აყვარათ ქართველობა და იქ ჩამოესახლებინათ სომხები, რომლებიც საქართველოსა და ოსმალეთს შორის ჩადგებოდნენ და მათი სანდო დასაყრდენი იქნებოდა. რუსეთის ასეთმა პოლიტიკამ ერი გათიშა, მესხეთიდან ოსმალეთში გაასახლა არამარტო გამაჰმადიანებული და ფარულქრისტიანი, არამედ მართლა ქრისტიანი ქართველებიც. რუსები მესხებში არ ეძებდნენ ქრისტიანს, ისინი იმპერიის ინტერესებს ემსახურებოდნენ, რაც იმას გულისხმობს, რომ მათ მიერ დაკავებულ მიწაზე, რაც ნაკლები ქართველი იცხოვრებდა, მით უკეთესი იქნებოდა.

რომანში შემთხვევითი არ არის, რომ ერთი ძმა ბეშქენი ქრისტიანია, ხოლო მეორე ბექა-მაჰმადიანი, ბეშქენი საქართველოში დაბრუნდა, ხოლო ბექა ოსმალეთში დარჩა ტოლოშელებთან ერთად. მათ რუსები არ უშვებენ საქართველოში.

მწერალი რომანტიკულ ექსკურს აკეთებს საზღვრებს იქით დარჩენილ ქართველთა წმინდა ეკლესია-მონასტრების ასახვისას. ამით ცდილობს, გაახსენოს მკითხველს ოშკი, იშხანი, ხახული, აგრეთვე ძირძველი ქართული მხარეები, კლარჯეთი, ტაო, ჭოროხის ხეობა და სხვა. რითიც მიგვანიშნებს, რომ იქით დარჩენილი ტაძრის ღამაზი ქართული მხარეები თავისი მოსახლეობით ჩვენი ქვეყნის ნაწილია და ჩვენი სატკივარია, რომელიც არა მარტო დამპყრობლის ძალადობამ, არამედ სამშობლოს მოღალატეებმა გამოიწვიეს.

ომაზ ჩხეიძის რომანი „გახლეჩილი რწმენა“, ერთ-ერთი საინტერესო მხატვრული ნაწარმოებია. რომელიც ისტორიული მესხეთის რთული, პრობლემებით აღსავსე პერიოდს XIX საუკუნის დასაწყისსა და სამცხე-საათაბაგოს რუსეთის მიერ დაპყრობასა და დედა საქართველოსთან დაბრუნების მტკივნეულ პროცესს ასახავს.

ეს რომანი თავისი ლიტერატურულ-ისტორიული და მხატვრულ-ესთეტიკური მნიშვნელობით საპატიო ადგილს იმსახურებს XX საუკუნის 90-იანი წლების შემდგომი პერიოდის ქართული პროზის ისტორიაში.

ლიტერატურა:

1. ომაზ ჩხეიძე, „გახლეჩილი რწმენა“, თბ., 2010.
2. შოთა ლომსაძე, „სამცხე-ჯავახეთი XVI-XVIII საუკუნეებში“, თბ., 1975.
3. ყურანი, თბ., 1977.

Vakhtang Inauri
Gori State Teaching University
OMAZ CHKHEIDZE “THE FRACTURED FAITH “ – TRAGEDY OF MESKHETI
RESUME

The work reflects the religious and political situation of the Southern Georgia reflected in the novel “The Fractured Faith” in the late 18th and early 19th centuries. The disastrous consequences of the Russian-Turkish war in 1828-1830, as well as Meskheta and whole Georgia were investigated. According to the thesis, during this period Meskheta was divided by religious ground, which is a national tragedy for our country.

მედეა კვარაცხელია
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

**ბედისწერით ჩამოყალიბებული ურთიერთობა საბავშვო ლიტერატურასთან
(მარიამ წიკლაური საბავშვო პოეზია)**

ეს სიტყვები პოეტ მარიამ წიკლაურს ეკუთვნის და უცილობლად მივიჩნიეთ, სრულად შემოგთავაზოთ მისი მოსაზრება ამ საკითხზე: „ერთი ფანტასტიკური რამე აღმოვაჩინე: საბავშვო ლიტერატურა საერო ლიტერატურის ყველაზე სარწმუნოებრივი დარგია, რადგან იგი დაუქვევებელი რწმენის მატარებელია სიკეთისა და ბოროტების მარადიულ ბრძოლაში სიკეთის უცილობელი გამარჯვებისა. სადიდო ლიტერატურა კი სულ ეჭვებს ებრძვის და ვერც ამარცხებს, ასე პირწმინდად, როგორც საბავშვო, ანუ ადამიანი საბავშვო წიაღში სულ გამარჯვებულია ფსიქოლოგიურად, სულიერად ფანტასტიკურად გრძნობს თავს“.

მართლაც შესანიშნავი განსაზღვრებაა, რისი დასტურიცაა მთელი ქართული (და არა მარტო ქართული) საბავშვო ლიტერატურა, საბავშვო ფოლკლორი, რომლის ფესვები საუკუნეების წიაღში იკარგება, მისი მდიდარი ტრადიციები კი მყარი საფუძველი გახდა შემდეგი თაობების შემოქმედთათვის, რომლითაც ახალი სახეებით, ახალი ფერებით, ახალი შტრიხებით გაამდიდრეს წინაპართა მემკვიდრეობა (9).

ჩვენს ქვეყანას ყველა დროში მრავლად ჰყავდა საბავშვო ლიტერატურის უბადლო ოსტატები. ცნობილი ფაქტია, რომ ქართული სიტყვის კლასიკოსებიც უყურადღებოდ არ ტოვებდნენ ამ სფეროს და ქმნიდნენ საყმაწვილო ნაწარმოებებს, რადგან მოზარდი თაობის სწორი აღზრდა, განათლება და ფორმირება უმთავრეს საქვეყნო საქმედ მიაჩნდათ. მათზე საუბარი ამ პატარა სტატიაში შორს წაგვიყვანდა. თანამედროვე ქართველ საბავშვო ავტორთა შორის კი ერთ-ერთი გამორჩეულია პოეტი მარიამ წიკლაური. იგი მრავალმხრივი შემოქმედია: პოეტი, მთარგმნელი, პუბლიცისტი, რედაქტორი, საავტორო გადაცემების წამყვანი (რადიო „ივერია“) საბავშვო ლიტერატურის განვითარების ფონდის – „ლიბოს“ ერთ-ერთი დამაარსებელი, ასტრიდ ლინდგრენის საერთაშორისო პრემიის ნომინანტი. მისი უმშვენიერესი საბავშვო თუ სადიდო ლექსების კრებულები დაჯილდოებულია სხვადასხვა ლიტერატურული კონკურსის პრემიებით. მისი ნაწარმოებები თარგმნილია მსოფლიოს მრავალ ენაზე.

როგორც თავად პოეტი აღნიშნავს, მისი პირველი გამოცემა საბავშვო ლექსების კრებული იყო: „ისე მოხდა, რომ პირველი თვითგამოცემა საბავშვო კრებული გავაკეთე. მერე უცებ დავბეჭდე ყველაფერი, გამოვიდა სადიდო და საბავშვო კრებულები: ეს ყველაფერი ისე უცებ და ქარიშხალივით დამატყდა თავს“ (იქვე).

საბავშვო ლიტერატურით დაინტერესებას იგი ბედისწერად მიიჩნევს „ბედისწერით ძალიან აქტიური ურთიერთობა ჩამომიყალიბდა ლიტერატურის ამ დარგთან“.

ამ მოსაზრებაში მხოლოდ ნაწილობრივ შეიძლება დავეთანხმოთ მის ავტორს, რადგან, ჩვენი აზრით, ღირებული საბავშვო ნაწარმოებების შესაქმნელად აუცილებელია ნიჭი და უნარი, ღრმად

ჩასწვდეს მოზარდის ფსიქიკას, მის სუფთა, ფაქიზ სულიერ სამყაროს, ჰქონდეს გრძნობებში გარკვევის განსაკუთრებული ალღო, რაც პოეტმაც შესანიშნავად უწყის: „ბავშვებისთვის წერამ ერთ რამეში დამარწმუნა. მას მართლაც სჭირდება ბუნებრივი და განსაკუთრებული უნარის ფლობა, რომელიც ან გაქვს, ან არა. და თუკი გაქვს ეს უნარი, უნდა ჩაეჭიდო მას და არაფერში გაცვალო“ (9).

დიახ – „არაფერში გაცვალო!“ ეს მოწოდება, ასეთი უნარით დაჯილდოებულთა მიმართ, თავად კი მტკიცედ მიჰყვება ამ გზას და ახალ-ახალ უმშვენიერეს კრებულებს უძღვნის პატარებს.

როგორც წერილის დასაწყისში აღვნიშნეთ, მარიამ წიკლაური მრავალმხრივი შემოქმედია. საბავშვო ნაწარმოებების პარალელურად, იგი პოეზიის მოყვარულთ სადიდო კრებულებითაც ანებიერებს, რომლებმაც კარგა ხანია მოიპოვეს კრიტიკოსთა და საზოგადოების აღიარება. ამავე დროს აქტიურად არის ჩართული საზოგადოებრივ საქმიანობაში.

ერთი ადამიანის ინტერესთა ასეთი ფართო სპექტრი მავანს შეიძლება ტვირთად მოეჩვენოს, ოღონდ არა მარიამ წიკლაურს, რადგან: „ჩემს დღე-ღამეში რომ 31 საათია, ეს ყველამ იცის, წელიწადში რომ ხუთი დროა – ესეც, და სულ რომ დამატებით ორ ხელს ვნატრობ, ეგეც არაფერი ზოგჯერ იმას ვფიქრობ, რატომ ერთი სამი არ ვარ, რამდენ საქმეს მოვასწრებდი-მეთქი“ (12). რეალური დროის ჩარჩოები ეცოტავება უამრავ საქმეს შეჭიდებულ შემოქმედს.

წინამდებარე წერილში შევხებით მარიამ წიკლაურის საბავშვო ლექსებს. გამოცემულია რამდენიმე კრებული: „დედის ნამდერი ლექსი“, „წიკო-მიკო“, „ბრანდი-ბრენდი“, „ჭიჭიტა“, „ზღაპარ იყო“, „ქართული ანბანი“, „საალილო“.

შეგჩერდებით ნაწინების ციკლზე, რომელშიც თორმეტი იავნანა შედის. მათში იკვეთება უძველესი ხალხური იავნანების მოტივები – მრავალ კეთილი სურვილთან ერთად, უმთავრესი მოტივებია მოდგმის გამრავლება, სამშობლოს მსახურება და დაცვა.

ამონარიდი ერთ-ერთი ხალხური იავნანადან:

„... მამა მიხვდა, როცა თქვაო, ნანი-ნანინა

შენგან გმირი გამოვაო, ნანი-ნანინა...

... არ შელახო გმირის ფასი, ნანი-ნანინა,

და მტერს ზურგი არასოდეს, ნანი-ნანინა,

არ უჩვენო, ეს გახსოვდეს, ნანი-ნანინა“.

მარიამ წიკლაური: „ცხრა ვაჟას გაჩუქებს უფალი,

პურით აგივსებს სახლსაო,

მარჯვენას გაგილამაზებს, მტერს დაუყენებ თვალსაო,

სულ სიყვარულით გადიხდი,

მშობლის უწონელ ვალსო.

მრავალ ომგადახდილ საქართველოში, რომელსაც მტერი, მომხდური არ ელეოდა, აკვანში მწოლიარე ყრმას მამულის სიყვარულზე, გმირობაზე უმღეროდნენ დედეები და უფალს მის ღირსეულ გაქცავად გაზრდას სთხოვდნენ:

„ნანა, ნანა, ნანასა,

გაზრდა, გახარებასა...

... შემოგაკრავ ქამარსა,

ზედ დაგიდეხ ხანჯალსა,

სწორედ ამ სულისკვეთების გამოძახილია, მარიამ წიკლაური სტრიქონები:

„ძილს კი არა, დაიმშვენებს

მალე ფარს და ხმალსაო

დაიბოხებს დევკაცურად

მოღულუნე ხმასაო...

... ყველა ავს და ბოროტს ერთად

დასცემს შიშის ზარსაო“.

წარმართულ საქართველოში მზე უმთავრესი ღვთაება იყო, რომელსაც საგალობლებს უძღვნიდნენ. საქმე ისაა, რომ მის დაბადებაც ღვთაებრივ რანგში იყო აყვანილი და თითქოს მზეს უტოლდებოდა:

„მზევ, შინა და, მზევ, გარეთა,

მზევ, შინ შემოდიო,

ჩვენ ვაჟი დაგვაბადებია,

მზევ შინ შემოდიო“.

მარიამ წიკლაური: „ნანა, ჩემო პაწაწინავ,

ჩემო მზევ და ნათელო,

დედის გულში უფლის ხელით

ერთობ მდიდარი და

ერთ-ერთ ლექსში, რომელსაც „ღვთის საგზოობა“ ჰქვია, ბავშვი ძაღოს ვაშლის სთხოვს, სანაცვლოდ კი ჯერ ზაქს და ტახს ჰპირდება, ძაღო კი გაიძახის, არ კმარაო. მერე თანდათან უმატებს მამალს, ყველით სავსე ხალამს. ფარდაგს, ხალათს, სარკეს, ჩით-ატლასს. ძაღო მაინც უარზეა. პატარა მკითხველი, ალბათ, იფიქრებს, ეს რა გაუმაძღრობა სჭირს ძაღოსო, მაგრამ არა, ლექსის ფინალში ვაშლის მთხოვნელი სწორ პასუხს მიაგნებს და ამ გზით მისი კბილა მკითხველიც ხდება, რომ სიხარბე არაფერ შუაშია.

დილაობით – ტკბილ საღამს!

არ დარჩები ვალში“, –

მრავლადაა ისეთი ლექსებიც, სადაც გაკილულია ზარმაცი, უქნარა ღორმუცელა.

ეს ქვეყანა სახლივით
უნდა დავაკრიალოთ,
რომ ლამაზმა ბავშვებმა
ნაგავში არ იაროთ!
ცოცხი ასე მღერის,
მოგაშვებოთ ხელი!“

„გასაფერადებელი ლექსები“ ერთგვარი სახალისო სავარჯიშოა პატარებისთვის, რომელთაც გამოტოვებული სიტყვები უნდა შეავსონ:

... δ

...

პეპელას ფრთა.

ბალოაზი,

...

၁၆၇

სიკოცხლის ფერს.

147

„თამაშობ თუ შრომობ,
დაიხსომე, კარგო
დიდზე დიდი საქმეა –
კაცად გაიზარდო!“

ამდენად, პოეტი აგრძელებს ქართული საბავშვო პოეზიის უმდიდრეს ტრადიციებს და ახალი, ფერებით ამდიდრებს მას. მისი ფრაზები მოქნილია; ლექსიკა მდიდარი; რიტმი–ცოცხალი, მელოდიური; პოეტური სახეები–მაღალმხატვრული.

საბავშვო წიგნებისთვის ლექსებზე არა სანაკლებ ღირებულია მათი ილუსტრაციები, რადგან მათი მეშვეობით ერთიორად იზრდება ბავშვის აღქმის უნარი. მარიამ წიკლაურის საბავშვო კრებულები ამ კუთხითაც გამოირჩევა. მაგალითად, კრებული „ბრანდი–ბრუნდი“ გაფორმებულია მხატვარ დალი მუხამის უმშვენიერესი ფერადი ილუსტრაციებით, რომლებშიც იშვიათი სიზუსტითაა ნაჩვენები პერსონაჟთა ხასიათი თუ განწყობა.

დაბოლოს, მინდა დავასრულო ერთ–ერთ კრებულზე წამდგარებული (თავად ავტორის) სიტყვებით: „რამდენი კიბე უნდა გადააბა ერთმანეთზე, რომ ცას მისწვდე და ვარსკვლავები დაკრიფო? ბევრი, ძალიან ბევრი... ალბათ, იმდენი, რამდენი ყვავილიც ხარობს, რამდენი ჩიტიც სტვენს, რამდენი წყაროც მოჩუხჩუხებს და რამდენი ბავშვიც ცხოვრობს ქვეყნად.

ამ ლექსებს ვუძღვნი მათ, ვინც ცამდე ვერ მიაღწია, მაგრამ კიბეზე ჯიუტად ადის და ადის... კალათასაც ხელს არ უშვებს, რომ ვარსკვლავებით აავსოს და თავის უსაყვარლეს ადამიანებს ჩამოუტანოს დედამიწაზე“.

მარიამ წიკლაურის საბავშვო ლექსები მართლაც რომ ცაზე დაკრეფილი ვარსკვლავებია, რომელთაც პირთამდე გავსებული კალათიდან უშურველად უძღვნის უსაყვარლეს პატარებს.

ლიტერატურა:

1. წიკლაური მ., ბრანდი–ბრუნდი, თბ., 2005.
2. წიკლაური მ., გასაფერადებელი ლექსები, თბ., 1997.
3. წიკლაური მ., ზღაპარ იყო, თბ., 2011.
4. წიკლაური მ., ჭიჭიტა, თბ., 2011.
5. წიკლაური მ., ქართული ანბანი, თბ., 2011.
6. წიკლაური მ., წიკო–მიკო თბ., 2000.
7. ჯალაშვილი მ., „პოეზია – სამყაროს სიზმრის ახსნა“ – დედის ნამღერი ლექსი (საბავშვო წიგნი) 1997.
8. წიკლაური მარიამ „საბავშვო ლიტერატურის ბედი“
<http://mastsavlebeli.ge/index1.php?action=news&npid=2932>
9. კილაძე გიორგი, ინტერვიუები ჟურნალისტებთან. მარიამ წიკლაური ბლიტფო ბეჭდვითი გამომცემლობა „თაობები“, 2007
http://libofund.blogspot.com/2010/01/blog-post_2072.html

Medea Kvaratskhelia
Sokhumi State University
POETRY FOR CHILDREN BY MARIAM TSIKLARI
RESUME

Mariam Tsiklauri is one of the most important representatives of modern Georgian poetry for children. Her literary heritage is very interesting – she uses samples of Georgian folklore, phrases from Georgian literature.

We have studied Mariam Tsiklauri's poems and compared them with the verses of other Georgian authors.

პოსტმოდერნისტული რომანის აღქმის დონეები (ნაირა გელაშვილის „ჩემი ჩიტი, ჩემი თოკი, ჩემი მდინარე“)

როგორც ყოველი დიდი რომანი, ნაირა გელაშვილის „ჩემი ჩიტი, ჩემი თოკი, ჩემი მდინარე“ შეიძლება გააზრებულ იქნეს ოთხ დონეზე: *ბუკვალურ-ისტორიულზე, ალეგორიულზე, მორალურსა და ანაგოგიურზე* (კლასიფიკაცია დანტესეულია - სწორედ ამგვარად განუმარტავდა ალეგიური მხატვრული ტექსტის აღქმის დონეებს ეპისტოლეში კან გრანდე დელა სკალას).

რომელ დონეზეც არ უნდა გავიაზროთ ეს უაღრესად შთამბეჭდავი (ერთდროულად, დამთრგუნველი და განმწმენდი) რომანი, მისი უთვალავი წახნაგი და იდუმალი შრე აუხსნელ-ამოუხსნელი დარჩება, რადგან ღირებული ტექსტი ყოველთვის კოსმოგონიურია - იმეორებს მარადიულ მოდელს: შესაქმიდან - გამოცხადებამდის, ფიზიკიდან - მეტაფიზიკამდის, სომატურობიდან - თეოზისამდის.

ტექსტის კოსმოგონიურობა პოლიფონიურობასაც გულისხმობს, პოლიფონიურობა - კონტრაპუნქტს, ოღონდ - არა კლასიკურს, არამედ პოსტმოდერნისტულს, მხოლოდ ორმაგი კი არა, ლამის ათმაგი კოდირებებით.

სადაც ჩიტია, იქ ყოველთვის თოკიცაა, სადაც მდინარეა, ყოველთვის ბეტონიც - ანუ ფატალურ მოცემულობაში - ღვთაებრივი მაღლი არჩევნისა- გათოკო (ან არ გათოკო) ჩიტი, დააბეტონო (ან არ დააბეტონო) მდინარე...

ეპოქა პოსტმოდერნისტულია, თოკიც პოსტმოდერნისტული - ბაბინას ლენტი, მზეში გაბურდულ-გაშლილი, საშიშად მზვინავი (თან - თოკი ინფორმაციულიც -ლენტ(ა)ზე დავიწყებული მელოდია წერია)..

ბუკვალურ-ისტორიულ დონეზე ტექსტი იკითხება როგორც „გამოცხადებული სიკვდილის ქრონიკა“, სიკვდილისა, რომელიც ქართულ სახელმწიფოს მხოლოდ უკანასკნელ ათწლეულებში როდი დაჰდირებია (თუმც რომანის ქრონოტოპოსი სწორედ უკანასკნელი ათწლეულების ქართული ლოკალის ანარეკლია). ქართული სახელმწიფო დიდი ხანია, კვდება. ციტატა რომანიდან: „იმიტომ ვკარგავთ, რომ დიდი ხანია, დაკარგული გვაქვს“(202).

წმინდა წერილის ლაკონიზმით, ლაპიდარულობით კონსტატირებული ტრაგიკული სიმართლე ნაირა გელაშვილის მხოლოდ ამ რომანის „წყევლა-კრულვიანი საკითხავი“ როდია - ჯერ კიდევ 80-იანი წლების ბესტსელერში (ამ სიტყვის საუკეთესო გაგებით), „დედის ოთახში“, წინაპართა სამკვიდროს მხილველი ენდი იმედგაცრუებით იკითხავს „ფუჰ, ეს არის ალაზანი?!“

დაბეტონებამდეც, ზუსტად ამავეს თქმა შეიძლებოდა ვერეზეც: „ფუჰ, ეს არის ვერე?!“ (მწერლისეული გააზრებით, „მედინი სანაგვე“ (სხვა ქართულ რომანშიც მეზობლობს ზვარი და ნაგავსაყრელი)).

ქრესტომათიული სინტაგმა „წყევლაკრულვიანი საკითხავიც“, ალბათ, შემთხვევით როდი მოგვგონებია - ნაირა გელაშვილი ქართული პროზის მაგისტრალური ხაზის - **ილიას ხაზის** ერთი უკეთეს გამგრძელებელთაგანია (არა მხოლოდ ბელეტრისტულ, პუბლიცისტურ ტექსტებშიც ხშირად უღრმავდება მწერალი ილიას ფენომენს. ნიმუშად თუნდაც ილიასა და ჰოლდერლინის შემოქმედების კომპარატივისტულ კვლევას დავიდასტურებთ).

როგორც რომანს დართულ ბოლოსიტყვაობაში აღნიშნავს გიორგი ლობჟანიძე, ტექსტი 2012-2013 წ.წ. იწერებოდა. ანტიციპაციური რკალი, რომან „ჩემი ჩიტის“ ერთგვარი კონსპექტი-სინოპსისი უკვე 1999 წელს დაწერილ ლექს „წყნეთის ქუჩაშია“ მოხაზული.

მწერლები (მით უფრო, დიდი მწერლები) ყოველთვის წინათგრძნობენ გარდუვალს. მათ იციან მომავალი, რადგან იციან წარსული. მაგალითად, იციან, როგორ დააგუბეს ოდესღაც ენგური, როგორ წავიდა ფსკერისკენ ულამაზესსახელებიანი სვანური სოფლები: თოთანი, ეცი, ხუდონი, ლარა-კვაკვა, შკედი..

გრიგოლ რობაქიძე ხშირად ციტირებდა სალუსტუსის ფრაზას: „ეს არ ყოფილა, ეს არის მუდამ.“

„ეს არის მუდამ“ და ნაირა გელაშვილის რომანის ბუკვალურ-ისტორიულ შრეშიც უამრავი გულსაგლეჯი ამბავია (ერთი -ზემოხსენებული პასაჟიდან - როგორ „დააბა“ ბებიამ მსხვილი მავთულით სამკვიდრო სახლი - წყლით დატბორვამდის - შვილიშვილის თვალწინ: „ქვისაა და იდგეს, სანამ შეძლებს“ - ადამიანებმა ვერ უპატრონეს და სახლმა ეს თავად უნდა შეიძლოს..

ნაირა გელაშვილთან, რილკესავით, ყველაფერი სულიერდება - სახლიც, მთაც, მდინარეც, მარცვალიც (რომლის თრთოლასაც - გაღივებისას - მთელი უნივერსუმი გრძნობს) და გიგანტური შავი ხვრელებიც. მხოლოდ მოაზროვნე გულს შეუძლია უგონო მატერიაზე - იმავე შავ ხვრელებზე - იკითხოს: „ვინ (და არა რანი - ნ.კ.) არიან ისინი?!“

ბუკვალურ-ისტორიულ შრეში ნაირა გელაშვილთან ყოველთვის შემოდის მეორე - *ალეგორიული* - პლასტიკ და მწერალიც გვეტყვის: „რაც არ უნდა ხდებოდეს სამყაროს საგნებში, მთავარი ადამიანის სულია“ (164).

ყველაფერი ისტორიული (ობიექტური) სულში (სუბიექტურში) გარდატყდება, სულზე აირეკლება. ყოველი პერსონაჟი ნაირა გელაშვილთან მთავარია - მწერალი ევროპული (დასავლური) სამხატვრო პერსპექტივის გათვალისწინებით როდი ალაგებს მათ ტექსტუალურ ტილოზე - აქ ყველა პირველი პლანის აქტ(ი)ორია, მთავარი როლის შემსრულებელი - ის შვილიშვილი, ბებია რომ სახლი დაუბა დატბორვამდის - ოდესღაც ასტროფიზიკოსი, აწ - მღვდელი, მგლოვიარე დედები („მატერ დოლოროზას“ პროტაგონისტები), სხვის ომებში „საკონტრიბუციო“ (ავტორისეული დეფინიციაა) ჭაბუკები („ყველაფერზე იაფი ჩვენში ცოცხალი ჯეელია“), ნარკომანი, მძინარე ჩვილის სამოსით რომ გადმოაქვს წამალი, უნაზესი ყვავილები - ლურჯი გირგორისები, ვერეს დაბეტონების შემდეგ რომ გაქრნენ, თუ დამსხვრეული მთის კიდესთან მდგარი, გზააბნეული ბატკანი, „კლასიკადაქცეულ მდაბიო ენაზე“ ამეტყველებული „ჩვენი კარგი ქვეყანა“..

ჩვილის ენიგმა ბევრგან გაიკიაფებს ამ მეტა-ტექსტში (რომ არა ვთქვათ, მეტა-ტექსტში): „მსხმოიარე ვაზი უცნაურ სუნს გამოსცემდა -თითქოს ჩვილის ქვეშაგები იწვოდა“ -ასე აირეკლება ტექსტში 2008 წლის ომის ხანძარი.

მძიმე ალეგორიებია. ყველა ალეგორია მძიმეა. გროტესკულ-ტრაგიკულია მწერლის განაზრებანი: „დაქცეული ქვეყანა ბევრად უფრო საინტერესო კადრებს წარმოშობს მხატვრული თვალსაზრისით (შეიძლება მისტიკურითაც), ვიდრე მოწესრიგებული.. სივალაღე უფრო მხატვრულია, ვიდრე კეთილდღეობა.“

რომანის ალეგორიული შრე (დანტესეული კლასიფიკაციით - მეორე) ბუნებრივად, ლოგიკურად მოიყოლებს მესამეს - *მორალურს*. ამ პლასტში ყველაფერი, რაც ხდება მიკროკოსმოსში, მეყსეულად აირეკლება მაკროკოსმოსში (და პირიქით).

ეპოქა (ზოგადად, ყოველი ეონი), უპირველესად, ხსოვნას ემტერება, რადგან, თუ მაკა ჯოხამეს დავესესხებით, „ადამიანი ხსოვნაა და რეაქცია.“ სწორედ ამიტომ თავში (სწორედ თავში!) ურტყამს (პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით) სასჯელადსრულებითი მანქანა განსხვავებული აზრის მქონეს (ასეა ქრესტომათიულ ტექსტებშიც - ვაფკას „გამოსასწორებელ კოლონიაში“, კენ კიზის „გუგულის ბუდეზე სხვა გადაფრინდა“-ში...) - მეხსიერება უნდა წაიშალოს, რათა არც დაბმული სახლი გვახსოვდეს, არც ჩადირული სოფლები, არც დამწვარ-აჩეხილი ვაზი, არც ზვარაკად შეწირული სიცოცხლეები, არც დაბეტონებული მდინარე, არც დამსხვრეული მთა..

ეგნატეს სიმღერებში (და სათაურიც ტექსტისა ეგნატეს პირველი სიმღერის ციტატაა) სწორედ ხსოვნის მორალური ასპექტი აქცენტირდება: „მე ეგნატე ვარ. არ უნდა დამავიწყდეს“ (86).

„მე მურწა ვარ“ -ესეც ეგნატეს ფიქრია, ასოციაციურად რომ ფოლკნერის რომანის პერსონაჟის რეფრენ-რემარკას მოგვაგონებს - „დედაჩემი თევზია“ („სული რომ ამომდიოდა“).

და მერე - ტექსტის დანტესეული მეოთხე დონე- *ანაგოგიური*, ყველაზე რთული და ყველაზე მაღალი- ანაგოგია - გააზრებაა ტექსტის სიმბოლური კონტექსტების და ქვეტექსტებისა (მაგალითად, ფილონ ალექსანდრიელის მიხედვით, ძველი აღთქმის სიტყვები: „იქმენინ ნათელი“ განიმარტება, როგორც სახარებისული ფერსცვალების წინასწარმეტყველება).

ანაგოგიურ დონეზე „თევზი“ ღვთისმეტყველებითი პარადიგმაა (თევზი -ბერძნულად - „იხთის“ - იისუს ხრისტოს თეოს იუს სოტერ - „იესო ქრისტე, ძე ღვთისა, მხსნელი“).

ეგნატე-მურწა, ბავშვი, თავის თავში უფლის კოდის მატარებელი, ბავშვი, რომელსაც ვერ გაუგია, სად წავიდა, სად დაიკარგა მდინარე, რად არ ელაშუქნება შიშველ ფეხისგულებს გრილი ჩქერალი (ან ცვრიანი ბალახი, ქრესტომათიული რემინისცენციით), რად სწვავს მდულარე ასფალტს.

(სხვა რემინისცენცია - „სხვა ხალხის ისმის აქ ჟრიაშული“ - რომანის ერთ-ერთი ობერტონია).

ბავშვი კი არა, ვერც ვერავინ ვერასდროს ახსნის არა მხოლოდ გეოგრაფიული, არამედ, უპირველესად, სულიერი ლანდშაფტის აბსოლუტური გადაგვარების მიზეზებს, თუ ეს მიზეზები, ისეც უპირველესად, ყველამ საკუთარ სულში არ იკვლია.

„ჩემს ჩიტშიც“ გაიჟღერებს საზარი სიტყვა სხვა ანაგოგიური ტექსტიდან - „კჳრტუ“ (ეს ჯაყოს პაროლია, „კჳრტუ ფიქრები, მაგ ფიქრებმა გაგაფუწესო“, ეუბნება თეიმურაზს. ჯაყოსაგან გაბახებული მარგოც დასცინის „ბატკნებისა და თევზების ღმერთის“ მრევლს - ანუ მორწმუნესა და მოაზროვნეს).

ჯავახიშვილისეული მარგო, რობაქიძისეული „ათასწლეულებში ნასურვი სასძლო“ თუ ნაირა გელაშვილისეული ტრაგიკულ-გროტესკული „ავლაბრის ტურფა“ ერთი და იგივე ტრაგიკული პერსონა-პერსონაჟი-პერსონიფიკაციაა - საქართველო - გალაკტიონისეული დეფინიციით, „ყველასთვის უცხო და ყველასთვის გაუგებარი.“

მხოლოდ მოაზროვნე გულს სწვდება ჩვენი თავმდაბალი და არა „მოზარზეიმე“ (ნაირა გელაშვილისეული დეფინიციით) ღმერთის სიბრძნე: „ძალი ჩემი უძლურებასა შინა სრულ იქმნების“, ისიც, რომ „ყოფიერების სივალაღე სახარების სიხარულით“ უნდა განელდეს..

და მაინც, ყველაფრის მიუხედავად, ამ ტექსტშიც (ანუ - ამ ქვეყანაშიც) ჯერ კიდევ იწერება ლექსი, მიწაც და ვარსკვლავიც პერსონიფიცირდება („ო, მიწაც კარგო..“, „კარგო ვარსკვლავო...“). ლექსში სახარების სიხარული, სიბრძნე და შუქია:

„არა მგონია, რომ სიჩუმემ დაკარგოს „ჩუმი“,
სიწყნარემ - „წყნარი“ და სიწმინდემ - წმინდა რაიმე,
რომ არა ჰქონდეს ამ სამყაროს გადამალული ერთი კუნძული,
მოციმციმე, მაგრამ ფარული,
ჩუ, ჩუ, ძვირფასო, ბოლოს შემდეგ წავალთ საითმე..“ (160).

ყველაფრის მიუხედავად, აქაური ღამეც არ არის ვალპურგისა..

„დედის ოთახში“ გადმოცურებული თევზი „ტალაპია მარია“ აკვარიუმს (ჰერმეტულ სივრცეს) დაეხსნება, „ჩემი ჩიტის“ თეთრშებლა თევზს დაფლეთენ, მაგრამ მესხიერებისა და გულის ტბას შეეხიზნება...

ოდესმე, ალბათ, ვიპოვით...

დიდი მწერლის დიდი წიგნი გვაიმედებს: „სანუკვარი მშვიდობის თავადი მიიზიდავს ყველაფერს - ჩუმსა და წმინდას. არაფერი დაიკარგება. რაღაც ახალი აშენდება სინათლის ქვანტებით“ (165).

ნაირა გელაშვილის „ჩემი ჩიტი, ჩემი თოკი, ჩემი მდინარე“ სახარების კიდევ ერთი ქართული ტრანსკრიფციაა.

ლიტერატურა:

1. გელაშვილი ნ., ჩემი ჩიტი, ჩემი თოკი, ჩემი მდინარე, თბ., 2017;
2. ლიტერატურის თეორია, მეოცე საუკუნის ძირითადი მეთოდოლოგიური კონცეფციები, თბ., 2008;
3. ეკო უ., მინაწერები „ვარდის სახელზე“, მ., 1988 (რუს. ენაზე);
4. ბარტი რ., მითოლოგიები, თბ., 2010;
5. მოდერნულობის თეორიები, თბ., 2011;
6. ფოლკნერი უ., სული რომ ამომდიოდა, თ., 1992;
7. ჯოხაძე მ., სამოთხე უსიყვარულოდ (წერილები), თბ., 2012.

Nana Kutsia

Sokhumi State University

LEVELS OF POSTMODERNIST TEXT

(NAIRA GELASHVILI, “MY BIRD, MY ROPE, MY RIVER”)

RESUME

There are different levels of literary texts. The most important among them are four: historical, allegorical, moral and anagogical. Each of them represents different “space” of the concrete text, different meanings and reading.

Last novel of Naira Gelashvili “My Bird, My Rope, My River” reflects passages from the life of contemporary Georgian people, political issues, problems of ecology, national mentality and identity.

We have studied these levels based on the Medieval studies, analyzed in the notes of the “Rose Name” by Umberto Eco.

Postmodernist novel of Naira Gelashvili is the very interesting sample of the ‘Four-level literary text.’

ნიჰილიზმი - დეგენერაციის მარკერი
/მიხეილ ჯავახიშვილის რომანების - „კვაჭი კვაჭანტირაძე“ და „ჯაყოს ხიზნები“ -
მიხედვით/

ნიჰილიზმი ლათინური სიტყვაა და არაფერს/არარას ნიშნავს. მას ბევრი სხვადასხვა განმარტება გააჩნია, მაგრამ ჩვენ ამ ტერმინს გამოვიყენებთ მისი ზოგადფილოსოფიური მნიშვნელობით, როგორც საყოველთაოდ მიღებული ღირებულებების, იდეალების, ზნეობრივი ნორმების, კულტურის ეჭვქვეშ დაყენება, უარყოფა. სიტყვა „ნიჰილიზმს“, ჩვენი გაგებით, აქვს აშკარად უარყოფითი კონოტაციები. მასში შეერთებულია სკეპტიციზმი და ტოტალური იმედგაცრუების, უპერსპექტივობის განცდა, რასაც ბუნებრივად მიჰყავს ადამიანი იმის დაშვებამდე, რომ ყველაფერი ნებადართულია, აქედან ანარქიამდე, უზნეობის ზეიმამდე, ჩვენს შემთხვევაში კი - ყველაფერი ქართულის უარყოფამდე - (დაწყებული საქართველოს ისტორიით, აწმყოთი და მომავლის პერსპექტივით, კულტურითა და ტრადიციებით, ენითა და მწერლობით, ხალხითა და მიწითაც კი) - ერთი ნაბიჯია. შესაძლებელია, ეს ვინმეს არსებული სურათის მეტისმეტ გამუქებად ან პოსტმოდერნისტული ეპოქისათვის (რაც კრიზისული ეპოქის სინონიმია) დამახასიათებელ ღირებულებათა გადაფასების ბუნებრივ თუ თანამდევ პროცესად მოეჩვენოს, მაგრამ, ფაქტია, დღეს ქართულ სინამდვილეში, რაც ყველაზე უფრო შემაშფოთებელია, ქართულ მწერლობაში (ხელოვნებაში - ზოგადად) ნიჰილიზმი ყვავის. ეს უპირველესად უცხო კულტურის (თუ - უფრო უკულტურობისადმი) მონური ქედმოდრეკა და მიზამდვია, რასაც მოსდევს „ზნეობრივი გახრწნა, ეროვნულ-ფიზიკური დეგენერაცია, ასნაირი ბოროტება, ავაზაკობა და ისევ უსახელო სიკვდილი“ (ჯავახიშვილი 2011:332).

ჯერ კიდევ 1927 წელს წერდა მიხეილ ჯავახიშვილი: „ამერიკანიზაცია, ინდუსტრიალიზაცია ძალიან კარგია, მაგრამ ხელოვნებაში იგი პრიმიტიულობას უდრის... არ გვარგებს, ძველი ხალხი ვართ, სიბრძნით და ტრადიციებით დატვირთულნი“ (ჯავახიშვილი 2011:389). ამას ამბობდა ევროპაში განათლებამიღებული ადამიანი, რომელმაც იცხოვრა ერთ-ერთი ყველაზე სასტიკი დიქტატურის ეპოქაში, „მწერლობის მოთვინიერების“ ხანაში, მართალია, მისი „მოთვინიერება“ ვერ შეძლეს, მაგრამ ამ „ურჩობას“ შეეწირა კიდევ. გავიხსენოთ მისი სიტყვები: „რწმენა ვინმესი ან რაიმესი - ქრისტესი, მაჰმადისა, ეროვნებისა, პროგრესისა - აი, მხოლოდ ეს რწმენა და განვითარებული გონება ასხვავებს მეტყველ ადამიანს ურწმუნო პირუტყვისგან...“ (ჯავახიშვილი 2011:331). საუბედუროდ, სწორედ ამ „რწმენას“ უკრძალავდნენ ბოლშევიკები მწერალს, ამ რწმენის გამო სდევნიდნენ და ბოლოს - ამის გამო სიცოცხლედ მოუსწრაფეს.

არადა, მიხეილ ჯავახიშვილი ის მწერალია, ილიას მკვლელობის ღამეს ერის მამის სისხლიან ბალიშზე რომ ედო თავი. მას არც თავისი ცხოვრებით, არც - შემოქმედებით ერთი წუთითაც არ გადაუხვევია ილიას გზიდან. მან ილიასეული პირუთვნელობით ამხილა ქართველი ხალხის ნაკლი, ილიასეული გაბედულებით, თავგამეტებით იბრძოდა ეროვნულის, ქართულის შესანარჩუნებლად. სამწუხაროდ, აღსასრულიც ილიასეული ერგო (თუ - უარესი - არა! ჩვენ ხომ მისი საფლავიც არა გვაქვს!) მას კალამი, მართლაც, გოლგოთის ჯვრად ექცა!

ვნახოთ, როგორი გულისტკივილი ისმის ჯავახიშვილის სიტყვებში: „დღევანდელი ქართული მწერლობა, ხელოვნება და მეცნიერებაც, მეტად მცირე გამოწავლისის გარდა, მოსკოვის ნაბუშარია. საკუთარი ქართული სული იშვიათად მოსჩანს სადმე. მხოლოდ სრულ თავისუფლებას შეუძლიან ეს უცხო სისხლი მოგვაშოროს. მხოლოდ ქართულის ფოლადურ რომანტიკას შეუძლიან სავსებით განგვკურნოს, მაგრამ ამისთვის საჭიროა, რომ ჩვენს ირგვლივ და ჩვენს სულიერ-ფიზიკურ ცხოვრებაშიც ნამდვილი გამაჯანსაღებელი კატაკლიზმი მოხდეს - „ჩვენ კი ჩვენს თავს არ ვეყუდნით“ და ამიტომ მოლოდინის მეტი აღარა დაგვრჩენია არა“ (ჯავახიშვილი 2011:381).

„ბედნიერი ერის“ ავტორი გვახსენდება, როცა ვკითხულობთ: „სამი რამ აკლია ქართველს: ეროვნული შეგნება, რეალობის ალღო და შრომის უნარი.

- ძალიან ცოტა ჰკლებია, არ ვიცი, რაღა შერჩა.

- მადა, ზარმაცობა, ოცნება“ (ჯავახიშვილი 2011:396).

ის კარგად ხედავდა, რომ გაწითლებული, „დამარცხებული და განადგურებული საქართველო დაემსგავსა ქეცინს, დაღრეჯილს, დაშინებულ და კბილებალესილ მგელს“, ხედავდა, როგორ „დაგვცა და

გაგვათახსირა რუსულმა კულტურამ“, ამიტომ თავადაც ისე დადიოდა თავის „დედაქალაქში, როგორც სასაფლაოდან დაბრუნებული ქვრივი“, ისეთი შეგრძნება ჰქონდა, „თითქო ჩემს დასაფლავებას ვესწრები-მეთქი“ (ჯავახიშვილი 2011:382-385), მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ მწერალს სძულდა ბოლშევიკური საქართველოს „დღევანდლობა“, მას არასოდეს შეუტანია ექვი მის ნათელ, მზიან ხვალისდელ დღეში, მუდამ სწამდა მისი მომავალი. მან იცოდა: ამ რწმენის გარეშე ერისა და ქვეყნის გადარჩენისთვის ბრძოლა შეუძლებელი იყო: „დღევანდელ ქართველ მწერალს რწმენა აკლია და კრიზისის სათავეც სწორედ აქ არის. რასაც ამბობს, არა სჯერა და რაცა სჯერა, ვერა სწერს. როცა სატირალი აქვს, იცინის და სადაც ეცინება, სტირის. ამიტომ არის მისი პათოსი ყალბი და მჩატე. მოჰგლიჯეთ პირიდან ბოქლომი და ნახეთ: ისე ატირდება, რომ მისი ცოდვით ქვაც კი დადნება, და ისეთ ლოცვას იტყვის, რომ ღვთისმშობელსაც გააცოცხლებს“ (ჯავახიშვილი 2011:388).

მიხეილ ჯავახიშვილის „მასალები ლექციისათვის“, რომელიც 1927 წლით თარიღდება, სწორედ რწმენადაკარგული ნიჰილისტების წინააღმდეგაა მიმართული. როგორც ვნახეთ, არც თავად მწერალი უყურებდა ვარდისფერი სათვალეებით თავის თანამედროვე საქართველოსა და ქართველებს, მაგრამ ამ ცხოვრების დარჯჯაში გამოვლილმა, უგანათლებულესმა შემოქმედმა ისიც იცოდა, რომ „ამ ქვეყნად ცალ-ცალკე მარტო ანგელოზები ან ეშმაკები არცა ცხოვრობენ. ჩვენც ისეთივე ადამიანები ვართ, როგორც სხვები - ყველანი, და ჩვენცა გვყავს (თუ გვაქვს) ეშმაკიც და ანგელოზიც. ცალთვალა მხოლოდ ერთ-ერთს ხედავს: ან მარტო ანგელოზს (რომანტიზმი), ან მხოლოდ ეშმაკს (ნიგილიზმი, პესიმიზმი). ორთვალა კი ყოველი ხალხის ხასიათსა და ისტორიაში ადვილად აღმოაჩენს ორივეს. არ არსებობს ტომი, რომ თავისი გენიალობა (ანგელოზი) არა ჰქონდესო“ (ჯავახიშვილი 2011:331) - დასძენს მწერალი და ნიჰილისტთა თვალსაზრისის გასაბათილებლად უხვად პოულობს ქართველი ხალხის ისტორიაში, ხასიათსა და მატერიალურ, გონებრივ და სულიერ-ზნეობრივ კულტურაში ამ გენიალობის (ანგელოზობის) დამადასტურებელ მაგალითებს, დაწყებული ქართველი ხალხის დახვეწილი „ფიზიკური ჯიშით“, რომელიც „დიდი კულტურის შედეგია“ და, რომელშიც ჩაღვრილია „ბიოლოგიური გამძლეობაც“: „ხალხთა უღვეველ ჭიდილში ქართველ ხალხს ებრაელთა უკვდავება და ჯიანჭველას ძალა აღმოაჩნდა ... მაინც ზეზე ვართ, მაინც ვცხოვრობთ, მაინც ვიცხოვრებთ“ - დამთავრებული ჰუმანისტური ხელოვნებით, რომლითაც ევროპასაც კი გავეუსწართ (ჯავახიშვილი 2011:322-342).

როგორც ამ მოკლე მიმოხილვიდანაც ჩანს, მიხეილ ჯავახიშვილისთვის სკეპსისით გულგამოჭმული, ნიჰილიზმით დაავადებული ადამიანი მისაღები ვერაფრით იქნებოდა, ამიტომაც მის რომანებში ნიჰილიზმი პერსონაჟის დეგენერაციის, დაცემის მაჩვენებელი ერთ-ერთი მძლავრი მარკერია. ასეა მის პირველ რომანში „კვაჭი კვაჭანტირაძე“. ალბათ, ძნელია წარმოიდგინო კვაჭიზე უფრო გაქნილი, თაღლითი, გაიძვერა, უპრინციპო ადამიანი, რომლისთვისაც არაფერი წმინდა არ არსებობს, მათ შორის არც ღმერთი და არც - კაცი, არც სატრფო და არც მეგობარი, არც მშობლები და არც თანამემამულენი, არც მტერი და არც მოყვარე, რა თქმა უნდა, არც - სამშობლო: „სილიბისტროს შვილს მტკიცედ, ღრმად და ურყევად სწამდა, რომ ამ ქვეყნის ღერძი და დედაბოძი მხოლოდ და მხოლოდ ფულია, ხოლო დანარჩენი, რაც კი არსებობს - მთელი მსოფლიოს სული, გულიც და ხორციც - უკლებლივ ყველაფერი მხოლოდ ფულის მტკერია, მისი ყურმოჭრილი მონა-მორჩილია და ყოველივე ისევე იყიდება, როგორც ის ერთი წყვილი საცვალი, რომელიც მან იმ დღეს იყიდა ბათუმში“ (ჯავახიშვილი 1960:329).

ბუნებრივია, ასეთი ფილოსოფიის მქონე - გარეგნულად მომხიბლავი, მოქნილი, გამჭრიახი, გონებაბახვილი მლიქვნელი, გაიძვერა, მედროვე - არანაირ სისაძაგლეზე არ დაიხვეს უკან. კვაჭი კვაჭანტირაძე მტაცებლის უტყუარი ინტუიციით ალღოს უღებს შეცვლილ პოლიტიკურ სიტუაციას: ხან თეთრია, ხან - წითელი, თუმცა სიმბოლურია, რომ „კვაჭი კვაჭანტირაძეში“ მოქმედება ხდება 1905 წლიდან 1921 წლამდე პერიოდში, რამდენადაც 1921 წელს საქართველოში ძალაუფლება ხელთ დიდი გაქანების მქონე მსხვილმა „პოლიტკვაჭებმა“ ჩაიგდეს, რომლებთან შედარებით კვაჭის „კვაჭობა“ მცირე თაღლითობად გამოჩნდა. როგორც ვიცით, თავის გადარჩენის ინსტინქტი კვაჭის გამძაფრებული ჰქონდა, ამიტომაც დროულად გაერიდა ბოლშევიკებს და გადაიხვეწა თურქეთში.

სავსებით სწორია გურამ გვერდწითელი, როდესაც აღნიშნავს, რომ კვაჭი კვაჭანტირაძე „უთუოდ გროტესკული, მხატვრულად გაზვიადებული სახეა, თუმცა ამით მისი რეალისტური ბუნება ოდნავადაც არ იჩქმალება... იგი გვიხსნის ყველა „წვრილფეხა და მსხვილფეხა“ კვაჭის გარეგნული ბრწყინვალეობით შენიღბულ სულიერ სიმახინჯეს, ზნედაცემულობას“ (გვერდწითელი 1977:87).

როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, კვაჭისთვის არავინ და არაფერი წმინდა არ არსებობს. ბევრისმთქმელია მისი დამოკიდებულება სამშობლოსადმი. როგორც ყველა გადაგვარებული ნადირალა, ის უსამშობლო კოსმოპოლიტია, ნიჰილისტი და უსინდისო: „საცა გემრიელი ლუკმა მაქვს, ჩემი სამშობლოც იქ არის“ ... „ან რა არის დიდი საქართველო? ბათუმში რომ თავი მისდო დასამინებლად, ფეხები უნდა ქიზიყს მიაბჯინო; სოხუმში რომ ცხვირი დააცემინო, სიღნაღიდან გემახიან „ხეირიო“. ქუთაისში ლაითაძესთან ან ერემოსთან დანიელა ურია მრავალჯამიერი დაიწყოს, ყაზბეგიდან ბანს

ეტყვიან, ხოლო თელავიდან მაღლობელის შემოსმახებენ; ბორჯომში რომ პაპიროსი ამოიღო, ფოთიდან ოცი ხელი მაინც მოგწვდება – ჩვენც მოგვაწვევინო; მყრალი ხელსახოცი რომ იპოვნო, მთელი საქართველო მორბის ყვირილით – „ჩემია! ჩემიაო!“ (ჯავახიშვილი 1960:238).

ეს მსჯელობა ზუსტად ახასიათებს კვაჭი-ტრიქსტერს, ანტიგმირსა და ფსევდორაინდს, როგორც მას მკვლევარი მანანა კვაჭანტირაძე უწოდებს: „ტრიქსტერი კი ისაა, ვისთვისაც ბედისწერად არასოდეს იქცევა დიდსულოვნება და კეთილშობილება; ვისთვისაც ხერხი ყოველთვის სჯობია ღონეს, ნაზრახი სიცოცხლე – სახელოვან სიკვდილს, მსოფლიო გეოგრაფიული სივრცე – საკუთარ სამშობლოს და ა.შ... რომელიც სულით დაუმძიმებელი სხეულით სულ ზედაპირზე სრიალებს“ (კვაჭანტირაძე 2010:51-52).

ამ „სულით დაუმძიმებელი სხეულის“ მქონე კვაჭიზე უარესი ვინდა უნდა დაეხატა მწერალს, რითი შეიძლებოდა მკითხველის გაოცება და შეძვრაც ერთდროულად, მაგრამ ჯავახიშვილის გენიამ ესეც მოახერხა და „ჯაყოს ხიზნებში“ ქართველი კაცის, რაც ყველაზე მძიმეა, განათლებული ინტელიგენტის, „ჯიშინი“ თავადის (რომლის მიმართ სიტყვა „ჯიშინი“ ცინიკურ დაცინვად ისმის) დაცემა-გადაგვარების შემადრწუნებელი სურათი დაგვიხატა და, როგორც ცნობილია, ამ შემთხვევაშიც ილიას ბედი გაიზიარა: ქართველმა ინტელიგენციამ თეიმურაზ ხევსთავის სახე, ისევე როგორც თავის დროზე ქართველმა თავადაზნაურობამ – ლუარსაბ თათქარიძისა – პირად შეურაცხყოფად მიიღო. არადა, ამ ორ პერსონაჟს რომ უამრავი საერთო აქვს, მათ შორის დიალოგური კავშირი რომ აშკარაა, არაერთ მეცნიერს აღუნიშნავს.

აკაკი ბაქრაძე შესანიშნავ წერილში „მოუხმარელი ანუ ტრაგიკული თავისუფლება“ - დიდებულად ახასიათებს თეიმურაზ ხევსთავს, რომლისთვისაც თავისუფლება, მართლაც, მოუხმარელი ანუ ტრაგიკული აღმოჩნდა (ბაქრაძე 1981:81-98). ხევსთავს არ სჭირდებოდა არც კლასობრივი თავისუფლება (ის თავადი იყო), ვერც სულის თავისუფლებამდე ამაღლდა (ის ლაჩარი იყო), ვერც სხვისი თავისუფლებისთვის იბრძოლებდა (ამას ფოლადის ნებისყოფა და უდიდესი ენერგია სჭირდებოდა, რომლებიც თეიმურაზს არ გააჩნდა), არც ეროვნული თავისუფლებისთვის საბრძოლველად გამოდგებოდა, რადგან არ სწამდა ნაციონალური ენერგიის და მხოლოდ ნიჰილისტურად ლაყბობდა: „ქართული სული! ქართული კულტურა! ქართული სული ზღაპარია! ქართული კულტურა ჭორია! ერთი სული მხოლოდ ერთს მთლიან ერს აქვს, ქართველობა კი, როგორც ფსიქიური და ეროვნული ერთეული არ არსებობს“ (ჯავახიშვილი 1985:109-110). ბუნებრივია, ასეთი სკეპტიციზმით გულგამოჰმულ კაცს არაფრისთვის არ ძალუძს ბრძოლა. იგი უენერგიობის, უმოქმედობის, უნაყოფობის, უმიზნო, ფუჭი ლაყბობის, ცრუ კვებნის განსახიერებაა. ის განგებ იბრძავეს თვალს, ყველაფერს ობიექტურ მიზეზებს აბრალებს, რომ სუბიექტურად იმართლოს თავი, მაგრამ ამ ორმოცი წლის ახალგაზრდა მოხუცს - ნათავადარს, ნამამულევს, ნამოღვაწარს, ნავექილარს, რომელსაც „ძარღვები სისხლის მაგივრად თითქო გაზეთების ნაგლეჯებით ჰქონდა გამოტენილი“ (ჯავახიშვილი 1985:34) - ვერაფერი გაამართლებს. ის პასუხისმგებელია საკუთარი გვარის, ოჯახის, მარგოსა და, ზოგადად, ხალხის წინაშე. ის იმ ინტელიგენციის წარმომადგენელია, რომელიც სათავეში მოექცა ხალხს, ლხინში წინ უძღოდა, ხოლო ჭირში უკან მიიჩანჩალებდა.

მიხეილ ჯავახიშვილი დიდოსტატურად გვიჩვენებს თეიმურაზის დაცემის შემადრწუნებელ სურათს, შედეგიც შემზარავია – ადამიანური ღირსების ფეხქვეშ გათელვა. მწერალიც უძლიერესი მეტაფორით გვაგრძნობინებს ხევსთავის ტრაგედიას: „იმ დღიდან თეიმურაზს მისი სიცოცხლე კისერზე ისე ჩამოეკიდა, როგორც ლეკვის აყროლებული ლეში, რომელიც ვერ იქნა და ვერ ჩამოიგლიჯა“ (ჯავახიშვილი 1985:129).

ნახუცარ ივანესთან საუბრებისას თეიმურაზ ხევსთავი ნიჰილისტურად მსჯელობს საქართველოს შესახებ: „საწ... წყალი ქართლი!.. იგი მომაგონებს დაბერებულს, ქაჩალს, უკბილოს, ბრუცინასა და დაყრუბულ ნაკაცარს, რომელსაც ჭამისა და განძრევის შნოც აღარ აქვს“ (ჯავახიშვილი 1985:89) და ხევსთავთა გვარის უკანასკნელი შთამომავალი იმასაც ვერ ხვდება, რომ ამ სიტყვებით ის, ფაქტობრივად, ავტოპორტრეტს ხატავს.

სხვათა შორის, თეიმურაზს აქვს „გამონათებებიც“: ის საკმაოდ საღად მსჯელობს, ქართველი ხალხის თვისებებზე, ხატავს მის ფსიქოლოგიურ პორტრეტს. მას მიაჩნია, რომ ქართველები ბუნებით არისტოკრატები არიან, შესაბამისად, მათ მიერ დემოკრატიული რესპუბლიკის დამყარება იყო საკუთარ ქერქიდან ამოხტომა და ყირამალა დგომა, კუდაზნიკურ-აზნაურული მაიმუზობა: „ყველანი ბუნებითვე აზნაურები ვიყავით, ვართ და დავრჩით. ყველა შრომას გაურბის და მინისტრობას და კომისრობას ეტანება. მთელი საქართველო სამსახურს ეძებს“ (ჯავახიშვილი 1985:119).

თეიმურაზს არ მოსწონს თანამემამულეთა მეტისმეტად მოჭარბებული წამბაძველობის ნიჭიც. ამიტომაც დაემსგავსა ქართველი ხალხი მაიმუნს: სადაც საკუთარი ჭკუა, მხნეობა, გამძლეობა და ნებისყოფა არ ჰყოფნის, იქ უცხოელთა წაბადებით ცდილობს ლელოს გატანას. ის, ასევე, ხაზს უსვამს ქართველი კაცის ხასიათში ფულის სიყვარულსა და მისი შოვნის ხერხების, ვაჭრობის, მრეწველობის

სიმულვილს. მისი აზრით, ქართველებს აკლიათ შრომა და ნებისყოფა, ესე იგი, – კულტურა, ამიტომაც გაამასხარავეს XIX საუკუნეში ვაჭარი: ადამიანს სძულს ის, რაც არ ეხერხება. ხევისთავის თქმით, „ფულიანების მახვილს ქართველებმა დაუპირისპირეს აზნაურული ფარი – დენდობა და რაინდობა, ესე იგი, ფუქსავატი ცხოვრება, მფლანგველობა, ყოყმოზობა, კუდაბზიკობა, ნებამოშლილი ადამიანის უძლური ამპარტავნება და ღატაკის ჭექა-ქუხილი“ (ჯავახიშვილი 1985:113-115).

როგორც ვხედავთ, ხევისთავმა თეორიულად კარგად იცის, რა უბედურებაც სჭირთ ქართველებს, თუმცა პრაქტიკულად თვითონ სწორედ ისე ცხოვრობს და იქცევა, როგორც მის მიერ დახატული ტიპური ქართველი. მაგალითისათვის ვნახოთ, სადამდე მიიყვანა ხევისთავის ყურწაგდებულობამ მისი სასახლე და მამული: „სახლში არცერთი წიგნი აღარ მოიპოვებოდა. თეიმურაზის მამის სურათი ფერადებით ნახატი და მშვენიერ მოოქროვილ ჩარჩოში ჩასმული, ხონჩად არის გამოყენებული. ხატები და უძველესი წიგნების ყდები მწნილებისა და ყველის ქილებისათვის დაუხურავთ...“ (ჯავახიშვილი 1985:71). ეს სურათი მიგვანიშნებს იმაზე, თუ, ჯერ ერთი, სადამდე შეიძლება მიიყვანოს მამული, სასახლე, საკუთრება, სიწმინდეები უპატრონობამ, უგულისყურობამ, სიბეცემ, ფუქსაქმიანობამ, ბედოვლათობამ – ყველაფერ ამის მშობელი კი ნიპილიზმია, რომელიც ნებისყოფის, ქმედების, აქტივობის უნარის ატროფიას, დეგენერაციას იწვევს. სხვას რას უნდა ელოდე იმ ადამიანისგან, რომელსაც მიაჩნია: მისი ყველაზე დიდი უბედურება ისაა, რომ საქართველოში დაიბადა.

მეორე, ეს სურათი ნათლად გვიჩვენებს, თუ როგორ დაიჭირა უძველესი კულტურის, ტრადიციების მქონე არისტოკრატიის ადგილი ბნელმა, უწიგნურმა, ველურმა, უკულტურო საზოგადოებამ, ვისთვისაც არ არსებობს არავითარი წმინდა, მშვენიერი, ამაღლებული, ტრადიციული და ესეც ისევ და ისევ ნიპილიზმით დაავადებული, დეგრადირებული „მოარული ენციკლოპედიის“ „დამსახურება“.

თანამედროვე ქართველმა ნიპილისტებმა არ უნდა დაივიწყონ ქართული სიტყვის დიდოსტატის მიერ, მართლაც, იგავმიუწვდენელი ხელოვნებით შექმნილი ეს პერსონაჟები – კვაჭი კვაჭანტირაძე და თეიმურაზ ხევისთავი, რომელთა პიროვნების დეგენერაციის ერთ-ერთი უმთავრესი მარკერი სწორედ ნიპილიზმია, ისაა ერთ-ერთი განმაპირობებელი მათი სულიერ-ზნეობრივი დაცემისა და გადაგვარებისა. ისინი ნათელი მაგალითია იმისა, სადამდე შეიძლება მიიყვანოს ცალკეული ადამიანი და მთელი ერი ურწმუნობამ, სკეპსიზმმა და ნიპილიზმმა. არ უნდა დაივიწყონ მიხეილ ჯავახიშვილის გაფრთხილება: თუ არ მოუვლი, შეინახავ იმას, რაც წმინდა და ძვირფასია და რაც შენმა წინაპრებმა ასეთი წვითა და დაგვით დაგიტოვეს, თუ სტუმარს მასპინძლად გაიხდი, ან დიდი თუ პატარა კვაჭების კლანჭებში მოექცევი, ან ჯაყოს ხიზნად ანუ საკუთარ მამულში ლტოლვილად იქცევი. ასეთი საშიშია ნიპილიზმი, ასეთ შედეგებამდე მიჰყავს მას ცალკეული ინდივიდი თუ მთელი ერი.

ლიტერატურა:

ბაქრაძე 1981: ბაქრაძე აკაკი, „მოუხმარელი ანუ ტრაგიკული თავისუფლება“, იხ. წიგნში: „პილპილმოყრილი მადლი“, გამ. „მერანი“, თბილისი.

გვერდწითელი 1977: გვერდწითელი გურამ, მიხეილ ჯავახიშვილი, გამ. „მერანი“, თბილისი.

კვაჭანტირაძე 2010: კვაჭანტირაძე მანანა, „ტრიესტერი როგორც ანტიგმირი“ (მიხეილ ჯავახიშვილის „კვაჭი კვაჭანტირაძე“), იხ. კრ. „ქართული ლიტერატურა მოდერნიზმისა და რეალიზმის მიჯნაზე“, შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, თბილისი.

ჯავახიშვილი 1960: მიხეილ ჯავახიშვილი, „კვაჭი კვაჭანტირაძე“, რჩ. თხზ. ტ. 3, გამ. „საბჭოთა საქართველო“, თბილისი.

ჯავახიშვილი 1985: მიხეილ ჯავახიშვილი, „ჯაყოს ხიზნები“, გამ. „მერანი“, თბილისი.

ჯავახიშვილი 2011: მიხეილ ჯავახიშვილი, „უბის წიგნაკიდან“, „მასალები ლექციისათვის“, იხ. შვიდტომეული, ტ. 7, გამ. პალიტრა L, თბილისი.

Shorena Makhachadze
Batumi Shota Rustaveli State University
NIHILISM - DEGENERATION MARKER
/ACCORDING TO MIKHEIL JAVAKHISHVILI'S NOVELS – "KVAVICHI KVACHANTIRADZE"
AND "JAQO'S DISPOSSESSED"/
RESUME

Nihilism is a Latin word and means nothing/zero. It has many different definitions, but we use this term in its general philosophical sense as denying and universal values, ideals, moral norms, culture. The word "Nihilism", in our sense, has obviously negative connotations. It is connected to skepticism and the feeling of total disappointment, which is naturally attributable to the fact that everything is permitted, from here to anarchy, to the day of immorality, and in our case - to the denial of everything that is Georgian – (starting with the history of Georgia, with the perspective of the present and future, cultures and traditions language and writings, people and even the land).

Mikheil Javakhishvili single-mindedly uncovered the defect of the Georgian people; he was fighting for the nationality of Georgians so courageously as Ilia Chavchavadze did. Despite the fact that the writer hated Bolshevik "Today's Day" of Georgia, he never doubted its bright, sunny day and always trusted in its future. He knew that it was impossible for the nation and the nation to survive without faith.

Mikheil Javakhishvili's "Materials for Lecture", dated 1927, is directed against the faithless nihilists. He would not accept people suffered by skepticism and nihilism, therefore, in his novels the nihilism is one of the powerful markers of the degeneration and the fall of the character. For Kvavichi Kvachantiradze no one and nothing is sacred. His attitude towards homeland is quite remarkable. As all degenerate villain, he is a cosmopolitan without homeland, nihilist and shameless.

Nihilism is not unknown for an educated person and a representative of the ancient aristocratic family member - Teimuraz Khevisavi. In parallel to the degradation of this villain, his hatred and disgust towards the homeland and the Georgian people is increasing, because he blames everyone in his inaccuracy and stupidity except for himself. Kvavichi Kvachantiradze and Teimuraz Khevisavi are clear examples of what unfaithfulness, skepticism and nihilism can do with an individual and the entire nation.

მაია მელანაშვილი
გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

მარგინალური ანტიგმირის კონცეფცია შუა საუკუნეების პიკარესკაში

ტერმინი *genero picaresco* ესპანური *el picaresco*-სგან (ცულლუტი, გაიძვერა, თაღლითი) მომდინარეობს და სხვადასხვა ლიტერატურაში ფუნქციონირებს ეროვნულ სუბსტიტუტებთან ერთად: ქართულ ლიტერატურაში - თაღლითური რომანი, რუსულ ლიტერატურაში - *плутовский роман*, უკრაინულში - *шахрайський* ან *круктійський* რომანი, გერმანულში - *schelmenroman*, ინგლისურში - *romance of roguery*, პოლანდიურში - *betreffende schelmen* და სხვ. თუმცა, დეფინიცია “პიკარესკა” მოიცავს არა მხოლოდ რომანის ჟანრულ ფორმას; მსოფლიო ლიტერატურულ ტრადიციაში დამკვიდრებულია ამბავი-პიკარესკა, მოთხრობა ან ნოველა-პიკარესკა. ტრადიციის თანახმად, პიკარესკული ამბავი და პიკარესკული რომანი გადმოგვცემს გმირის - პიკაროს დეტალურ ბიოგრაფიას (დაზადებიდან - “გამეფებამდე”), ამიტომაც ჟანრის ამ ფორმებში წარმოდგენილია მდიდარი ცხოვრებისეული, ისტორიული, გეოგრაფიული მასალა და შესაბამისად, იგი საკმაოდ დიდი მოცულობისაა. რაც შეეხება ნოველა-პიკარესკას და მოთხრობა-პიკარესკას, ისინი წარმოადგენენ ვრცელი ბიოგრაფიული თხრობის “ფრაგმენტს” და როგორც წესი, შეიცავენ პიკარესკული გმირის ცალკეული ავანტიურის აღწერას. XX საუკუნის ლიტერატურაში (მათ შორის ქართულში) გავრცელება პოვა პიკარესკულმა ამბავმა და პიკარესკულმა რომანმა; ორივე მომდინარეობს ერთი ჟანრული კანონიდან.

შუა საუკუნეების პიკარესკას ჟანრის მთავარ აღმოჩენას მარგინალური ანტიგმირის კონცეფცია წარმოადგენს: თაღლითი სურვილის წინააღმდეგ ან თაღლითი მოწოდებით (მოტივაციის მიხედვით), გლეხი-მარგინალი ან გადატაკებული დიდგვაროვანი (სოციალური სტატუსის მიხედვით). ესპანურ ლიტერატურაში ფართოდ წარმოდგენილმა აღნიშნულმა ჟანრულმა მოდელებმა მოგვიანებით, XVII-XVIII საუკუნეებში, გავრცელება ჰპოვა დასავლეთ ევროპის სხვა ქვეყნებშიც.

XIX საუკუნის ევროპულ რომანისტიკაში გარკვეულწილად, პიკარესკული პროზის კრიზისი შეინიშნება, თუმცა XX საუკუნის დასაწყისში მსხვილმა სოციალურმა კატაკლიზმებმა, კლასობრივი ბრძოლის გამწვავებამ და მსოფლიოს ტრაგიკომიკური აღქმის აღორძინებამ კვლავ დაუბრუნეს სიცოცხლე პიკარესკას ჟანრს. იაროსლავ ჰაშევის “ყოჩაღი ჯარისკაცი შვეიცის თავგადასავალი”, თომას მანის “ყალბაზანდ ფელიქს კრულის აღსარება“, გიუნტერ გრასის “თუნუქის დოლი“, ქრისტოფერ იშერვუდის “მისტერ ნორისის შრომანი და განვლილი დღეები“, საბჭოთა პერიოდის რუსული პიკარესკული რომანი (ილია ილფისა და ევგენი პეტროვის “თორმეტი სკამი” და “ოქროს ხბო“) და სხვ. საუკუნეთა მიჯნაზე არსებულ ლიტერატურულ სინამდვილეში ჩამოყალიბებული კლასიკური ტრადიციებისა და ნოვატორული მხატვრული ხერხების სინთეზირების ილუსტრირებას წარმოადგენენ.

პიკარესკას ჟანრი დღესაც განაგრძობს ფუნქციონირებას და ინარჩუნებს ჟანრული ფარგლების გაფართოებისა და შინაარსის გამდიდრების ტენდენციებს. არაერთი მეცნიერი გამოთქვამს აზრს იმის თაობაზე, რომ პიკარესკული ანტიგმირის პროტესტულობამ¹ გავლენა მოახდინა ზოგადად, პიკარესკას ჟანრის პროტესტულობაზე. შეიმჩნევა პიკარესკას ჟანრული საზღვრების სიახლოვე “ცხოვრებათა” ლიტერატურასთან, აღსარებისა თუ აღმზრდელობით რომანთან. მკვლევრები ერთხმად აღიარებენ, რომ პირობითი ჟანრული “ბირთვის” გარშემო, რომელიც აერთიანებს ჟანრის კლასიკას (ესპანური რომანები “ლასარილიო ტორმესელის ცხოვრება“, მატეო ალემანის “გუსმან დე ალფარაჩე“, ფრანცისკო დე კვეედოს “დონ პაბლოსის სახელით ცნობილი გაიმეფრას ისტორია“ და სხვ.), განთავსდა ტექსტები, რომლებიც სხვადასხვა დონეზე აახლოებს პიკარესკულ თხრობას სხვა ჟანრულ წარმონაქმნებთან.

პიკარესკას, როგორც “ეროვნული ესპანური ჟანრის” ლიტერატურული კანონი კარგად არის შესწავლილი დასავლეთის სამეცნიერო წრეებში, რასაც ვერ ვიტყვით ქართულ ლიტერატურათმცოდნეობასთან მიმართებით.² კვლავაც პრობლემატური რჩება ჟანრის გენეზისის (ფოლკლორულ-მითოლოგიური, ლიტერატურული), პიკაროს ნოვატორული მხატვრული ხასიათისა და რომანული კონფლიქტის (“პატარა ადამიანი” სოციუმის წინააღმდეგ), პიკარესკული რომანის ისტორიული და ლიტერატურული ღირებულების, ბოლო ორი საუკუნის განმავლობაში პროზაში ჟანრული მოდელის ტრანსფორმაციის საკითხები, ასევე ცალკეული მწერლების შემოქმედებაში ჟანრის ტრადიციების შესწავლის საკითხი.

მეცნიერებს არ გააჩნიათ ცალსახა პასუხი პიკარესკას გენეზისის საკითხთან დაკავშირებით. ფოლკლორულ-მითოლოგიურ წყაროდ ასახელებენ ტრიკსტერიადებს, ფრანგულ ფარსებსა და იტალიურ ფაცციებს, ლიტერატურული წყაროდ - ნოველათა კრებულებს, ანტიკურ ავანტიურისტულ-საყოფაცხოვრებო რომანს. ანტიკურ ლიტერატურაში პიკარესკული რომანის მნიშვნელოვან მოდელად დასახელებულია აპულეიუსის “ოქროს ვირი” (პეტრონიუსის “სატირიკონთან” ერთად).³ XX საუკუნეშიც არაერთმა მეცნიერმა გაავლო პარალელი ანტიკურ ავანტიურისტულ-საყოფაცხოვრებო რომანსა და ესპანურ პიკარესკას შორის; პიკარესკას გენეზისთან დაკავშირებით გვერდს ვერ ავუვლით ჟანრის აღმოსავლური წარმოშობის თეორიას; კერძოდ, მ. ზანდი, აღნიშნავს XVI საუკუნის ესპანურ საზოგადოებაზე არაბთა კულტურის დიდ გავლენას და ევროპული პიკარესკული პროზის უშუალო წინამორბედად ასახელებს არაბულ მაკამას და განიხილავს “ლასარიო ტორმესელის ცხოვრებას”, როგორც მაკამების - მაკამატების ციკლს.⁴

ინტერესს წარმოადგენს პიკარესკას ცენტრალური სახის - პიკარესკული ანტიგმირის (anti-hero) გენეზისის საკითხიც. დებატებს იწვევს თავად ცნება “პიკაროს” ეტიმოლოგია, რომელიც შუა საუკუნეების ესპანეთში მოიცავდა მაწანწალა სტუდენტებს, ყოფილ ჯარისკაცებს, ქურდებს, მეძავეებს, გადატაკებულ დიდგვაროვნებს, მასხარებს, ბანქოს მოთამაშეებს, უმუშევრებს და ა.შ. ფ. ჩენდლერმა შემდეგი განმარტა

¹ შინაგანი სამყაროს ცვალებადობის შესაძლებლობა - პიკაროს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მახასიათებელი; თხრობის განმავლობაში იგი სხვადასხვა როლში და სხვადასხვა ნიშნით გვევლინება.

² აღნიშნულ პრობლემასთან მიმართებით ერთგვარ გამოწვევას შეადგენს ეკატერინე ნიკოლაიშვილის საკვალიფიკაციო ნაშრომი: *ესპანური პიკარესკული რომანის ტენდენციები XVIII საუკუნის ინგლისურ ლიტერატურაში. ფილოლოგიის დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი დისერტაცია. ბათუმი, 2008.*

³ Chandler F. W. *Romances of Roguery. An Episode in the History of the Novel.* - N. Y.; L., 1899. - 484 p., გვ. 4.

⁴ Занд М.И., Михайлов А.Д., Плуттовской роман // Краткая литературная энциклопедия: В 9 т./ Советская энциклопедия. - М., 1967. - Т. 6. - гл. 806 -809.

მისცა აღნიშნულ ტერმინს: “მომდინარეობს ესპანური “picar”-გან; ნიშნავს “კენკვას ან მოკბეზას”. მან ჩამოთვალა ამ ტერმინის სინონიმები ინგლისურ ენაზე: პიკარო (picaro) – თაღლითი (rogue) – ყალბაზანი (rascal) – არამზადა (knave).¹ ვ. ლესევიჩმა თავის ნაშრომში “Picaresque novel в Англии. Томас Наш (1567-1600) и его «Злополучный странствователь» (1901)” (“Picaresque novel ინგლისში. თომას ნაში (1567-1600) და მისი “ბედკრული მოხეტიალე”, 1901), დანიელ მეცნიერზე – ჰაანზე დაყრდნობით ივარაუდა, რომ ესპანეთში ამ სიტყვის წარმოშობა შესაძლოა, უკავშირდებოდეს არაბული ფესვისგან – f, k, r – ნაწარმოებ კომპოზიტს, რაც ნიშნავს “ღარიბად ყოფნას”.² ცნობილი რუსი მეცნიერი ნ. ტომაშევსკი ესპანური პიკარესკების კრებულის რუსულ ენაზე პირველი გამოცემის წინასიტყვაობაში (1975) აღნიშნავს, რომ ტერმინი მომდინარეობს ფრანგული პროვინციიდან – პიკარდიადან; იგი მთელ ევროპას “ამარაგებდა” დაქირავებული ჯარისკაცებით, რომლებიც ხშირად მოხეტიალე აფერისებად და მმართველებად ყალიბდებოდნენ.³ ზემოთ მოყვანილი ვერსიები გააერთიანა და ჩამოაყალიბა ა. შტეინმა სახელმძღვანელოში – “ესპანური ლიტერატურის ისტორია” (1976): “ტერმინი “პიკარო” მომდინარეობს ფრანგული პროვინციის, პიკარდიის სახელწოდებიდან, საიდანაც ესპანეთში შემოდიოდნენ მაწანწალები; ან – ესპანურიდან «picar» – ჩქმეტა, მოციქნა, ნარჩენების ჭამა”.⁴

მკვლევართა საერთო აზრით, პიკაროს ხასიათის კონცეფცია მომდინარეობს მსოფლიო ხალხთა მითოლოგიაში ფართოდ გავრცელებული ტრიქსტერის (ხუმარას) უნივერსალური სახიდან. ტრიქსტერის არქეტიპი, სხვა ცნობილ არქეტიპებთან ერთად, განხილულია ცნობილი ავსტრიელი ფსიქიატრის, ზიგმუნდ ფროიდის მოწაფის, კარლ იუნგის მიერ. არქეტიპების ჰიპოტეზის წარმოშობა ჯერ კიდევ პლატონის ეპოქას მიეკუთვნება. კარლ იუნგი არქეტიპებს ადარებდა პლატონის “eidōs”-ს. პლატონის იდეები წარმოადგენს წმინდა სულიერ (მენტალურ) ფორმებს, რომლებიც სულში იქნა ჩაბეჭდილი ამ უკანასკნელის სამყაროში მოვლენამდე. იუნგის მიხედვით, არქეტიპები წარმოადგენენ უნივერსალურ თანდაყოლილ ფსიქოლოგიურ განპირობებულობებს (დისპოზიციებს), რომლებიც ქმნიან იმ სუბსტრატს, რომლისგანაც შემდგომ წარმოიშობა ადამიანის გაუთვითცნობიერებელი გამოცდილების ძირითადი სიმბოლოები. არსებობს ოთხი უნივერსალური არქეტიპი:

- ✓ შინაგანი “მე”;
- ✓ აჩრდილი;
- ✓ ანიმა ან ანიმუსი;
- ✓ პერსონა.⁵

მ. ბახტინი წერს, რომ თაღლითის, მასხარას და სულელის ფიგურები, რომლებიც გაჩნდა შუა საუკუნეების ლიტერატურის ქვედა სოციალურ ფენებში, სიახლით არ გამოირჩევა; მათთვის ცნობილია ანტიკური ხანაც და ძველი აღმოსავლეთიც. თუ ჩავუშვებთ ამ მხატვრულ სახეებში ისტორიულ ლოტს, იგი ვერც ერთ მათგანში ვერ მიაღწევს ფსკერს, იმდენად ღრმად არის ეს ფსკერი განთავსებული.⁶ ვ. ხალიზევისა და ე. მელეტინსკის თანახმად, ჩვენ მიერ განხილული ლიტერატურული სუბიექტი წარმოადგენს “ავანტიურულ-გმირულ ზეტიპს – ზეიპოქალურს და ინტერნაციონალურს”, რომლის გენეზისია – “მოყოლებული ადრეული მითების ტრიქსტერებიდან <...> შუა საუკუნეების და რენესანსის ნოველისტიკის, ასევე, ავანტიურული რომანების მოქმედი პირებით დამთავრებული”.⁷ მ. ბახტინმა ნაშრომში “სიტყვა რომანში” (1934-1935) განიხილა თაღლითის ენის პიროვნული სპეციფიკაც (“მზიარული ენა”, “გამართლებული ტყუილი მატყუარებთან”), ასევე პიკარესკის გმირის კონცეფციის ნოვატორობა: “პიკარესკულმა რომანმა “უარყოფითი სამსახური” ჩაატარა: გაანადგურა პიროვნების, ქმედების და მოვლენის რიტორიკული ერთიანობა. ვინ არის ლასარილიო – დამნაშავე თუ კარგი ადამიანი <...>?”.⁸ პიკაროს ხასიათის ამბივალენტურობაზე მითითების შემდეგ, მ. ბახტინი აღნიშნავს ამ ხასიათის, როგორც “ადამიანის პიროვნების ახალი კონცეფციის”, პრინციპულ მნიშვნელობას პიკარესკული ჟანრის ფორმირებაში; რომ თაღლითის სახემ განაპირობა ჟანრული ფორმა – პიკარესკული ავანტიურისტული რომანი.

¹ Chandler F. W. Romances of Roguery. An Episode in the History of the Novel. - N. Y.; L., 1899. – 484 p., გვ.3.

² Лесевич В. Происхождение современного романа. Genere picaresco: его возникновение, значение и распространение // Русская мысль. – 1901. – Кн. 4. – გვ. 2.

³ Томашевский Н. Плутувской роман // Плутувской роман. Библиотека всемирной литературы: В 200 т. – Т. 40. – М.: Художественная литература, 1975. – С. 5 –20.; გვ.8.

⁴ Штейн А.Л. История испанской литературы.- М.: Наука, 1976.- 312 с.; გვ. 23.

⁵ Jung, C. G., Archetypes and the Collective Unconscious. Princeton University Press, 1981.

⁶ Бахтин М. М. Вопросы литературы и эстетики. – М.: Художественная литература, 1975. – 504 с.; გვ.308.

⁷ Хализев В.Е. Теория литературы. – М.: Высшая школа, 2000. – 399 с.; გვ.161-164.

⁸ Бахтин М. М. Вопросы литературы и эстетики. – М.: Художественная литература, 1975. – 504 с.; გვ.217.

მოგვიანებით ნაშრომში “დროისა და ქრონოტოპის ფორმები რომანში” (1937-1938), მ. ბახტინმა შეისწავლა პიკარესკული სახეების ტიპოლოგია მსოფლიო რომანისტიკაში (თაღლითი და ავანტიურისტი; მსახური, რომელიც იცვლის სხვადასხვა პატრონს; მეძავი და კურტიზანი; მაჰანკალი; პარვენიუ¹). განსაკუთრებულ ყურადღებას ამ ნაშრომში იმსახურებს VI თავი “თაღლითის, მასხარას, სულელის ფუნქციები რომანში”, სადაც მეცნიერმა აღწერა მოცემული არქეტიპების ზემოქმედების მექანიზმი ლიტერატურული ნაწარმოების წყობაზე და ავტორის მოსაზრებაზე, მათ ფუნქციებზე რომანის შინაარსში მათი შეყვანისას არსებითი გმირების როლში (გაუცხოება და “პათეტიკური პირობითობის გამომავალზე”).²

მინესოტას უნივერსიტეტის პროფესორმა ე. მენდელმა, რომელიც იკვლევდა “კრიმინალური პროზის” გენეზისსა და პოპულარობის ფენომენს, მიუთითა პიკარესკას გმირისა და კრიმინალური გმირის სიახლოვეზე; “ესპანეთში ბანდიტის შესახებ ისტორიას უწოდეს ლიტერატურული ჟანრი “პიკარესკული რომანი”, - წერს მეცნიერი ნაშრომში “*Delightful Murder: A Social History of the Crime Story*” (“სახალისო მკვლელობა: კრიმინალური მოთხრობის სოციალური წარმომავლობა”, 1984).³ მართლაც, პიკაროს ბევრი “ქმედება” სისხლის სამართლის კოდექსის მუხლებით განხილვას ექვემდებარება (ყველაზე მეტად - თაღლითობა), მაგრამ პიკარესკული რომანის გმირი განსხვავდება წმინდა კრიმინალური ლიტერატურული სუბიექტისგან ირონიითა და სარკაზმით აღსავსე ხასიათით. პიკარო - უვნებელი და მომხიბვლელი თაღლითია, რომელიც მკითხველში უფრო მეტად სიმპათიას იწვევს, ვიდრე მტრულ დაპირისპირებას; გარკვეულწილად, პიკარო დამნაშავეს პაროდირებული სახეა. აქვე შევნიშნავთ, რომ გენდერული ნიშნით განსხვავებულ რომანის გმირ-პიკარო მამაკაცსა და გმირ-პიკარო ქალბატონს (გ. ლოპეს დე უბედის “თაღლითი ხრუსტინა” (1605), დანიელ დეფოს “მოლ ფლენდერსი” (1722), მარგარეტ მიტჩელის “ქარწაღებულნი” და სხვ.) იმ შემთხვევაში, როდესაც პიკარესკული რომანის გმირი არის ქალი, საუბარია “ქალთა პიკარესკას” ჟანრზე, რომელშიც ი. მანის თანახმად, “თემატური დიაპაზონი წინასწარ განსაზღვრულია სიტუაციების უფრო შეზღუდული რაოდენობით (გმირი არის მხოლოდ მეძავი, საყვარელი ან შეყვარებული)”.⁴ “ცხოვრების სკოლა”, რომელსაც გაივლის პიკარო სიუჟეტის განვითარების განმავლობაში, ერთგვარ ანტიადზრდას წარმოადგენს, რომლის შედეგადაც ანტიპიროვნება იბადება, რომელიც საკუთარ “მე”-ს საზოგადოებრივ აზრზე დაყრდნობით აყალიბებს, რათა მოერგოს დეგრადირებული სოციალური ქცევის მორალურ შაბლონებს.

პიკარესკას სიუჟეტის ყველაზე გავრცელებული, მაგრამ არა აუცილებელი ტიპია - “მოგზაურობა” (უკავშირდება “დიდი გზის” ქრონოტოპს). ის იძლევა ეპოქის ცხოვრებისეული ტიპებისა და ეპოქის მოვლენების ფართო პანორამის შექმნის საშუალებას. მ. ბახტინმა განიხილა პიკარესკული ტექსტების ქრონოტოპული ორგანიზაცია და დაასკვნა, რომ “პიკარესკული რომანი <...> მუშაობს როგორც გზის ქრონოტოპი მშობლიურ სამყაროში”. ამ ქრონოტოპს უკავშირდება შეხვედრა-დამორების, ცნობა-არცნობის მოტივები. მოქმედება ხდება ავანტიურულ-საყოფაცხოვრებო დროში, რომელშიც ბატონ-პატრონია “შემთხვევა”, ხოლო “უცეზ” და “სწორედ რომ” - მოვლენების ყველაზე ადეკვატური მახასიათებლებია.⁵

დღესდღეობით მკვლევრები იმაზეც თანხმდებიან, რომ პიკარესკულ რომანთან ერთად მხატვრული ლიტერატურა პირველად შემოდის ცხოვრებაში, როგორც მასობრივი ლიტერატურა, მასკულტურა. პიკარესკული რომანების გმირების სახელები არის მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობა: სელესტინა, ლასარილიო (ესპანეთი), ჟილ ბლაზი (საფრანგეთი), სიმპლიცისიმუსი, ფელიქს კრული (გერმანია), იოზეფ შვეიკი (ჩეხეთი), ჩიჩიკოვი, ოსტაპ ბენდერი (რუსეთი); მათ გვერდს ღირსეულად უმშვენებს მიხეილ ჯავახიშვილის კვაჭი კვაჭანტირაძე.

პიკარესკული ამბავი და პიკარესკული რომანი გადმოგვცემს გმირის - პიკაროს დეტალურ ბიოგრაფიას (დაბადებიდან - “გამეფებამდე”), ამიტომაც ჟანრის ამ ფორმებში წარმოდგენილია მდიდარი ცხოვრებისეული, ისტორიული, გეოგრაფიული მასალა და შესაბამისად, იგი საკმაოდ დიდი მოცულობისაა.

შუა საუკუნეების პიკარესკას ჟანრის მთავარ აღმოჩენას მარგინალური ანტიგმირის კონცეფცია წარმოადგენს: თაღლითი სურვილის წინააღმდეგ ან თაღლითი მოწოდებით (მოტივაციის მიხედვით),

¹ თავადაზნაურულ-ბურჟუაზიულ წრეებში: აგდებით ხსენება უგვარო პირისა, რომელმაც შეაღწია “უმაღლეს საზოგადოებაში” და ბაძავს იქ მიღებულ ცხოვრების წესსა და მანერებს.

² Бахтин М. М. Вопросы литературы и эстетики. – М.: Художественная литература, 1975. – 504 с.; გვ.314.

³ Mandel E. From Hero to Villain/ Mandel E. *Delightful Murder: A Social History of the Crime Story*. – Minneapolis: Univ. of Minnesota, 1984. – P. 2-9; გვ.2

⁴ Манн Ю.В. Карнавал и его окрестности // ВЛ. – 1995. – № 1. – С. 50-54. გვ. 53.

⁵ Бахтин М. М. Вопросы литературы и эстетики. – М.: Художественная литература, 1975. – 504 с.; გვ.244.

გლეხი-მარგინალი ან გადატაკებული დიდგვაროვანი (სოციალური სტატუსის მიხედვით). ესპანურ ლიტერატურაში ფართოდ წარმოდგენილმა აღნიშნულმა ჟანრულმა მოდელმა მოგვიანებით, XVII-XVIII საუკუნეებში, გავრცელება ჰპოვა დასავლეთ ევროპის სხვა ქვეყნებშიც.

პიკარესკას ჟანრი დღესაც განაგრძობს ფუნქციონირებას და ინარჩუნებს ჟანრული ფარგლების გაფართოებისა და შინაარსის გამდიდრების ტენდენციებს. არაერთი მეცნიერი გამოთქვამს აზრს იმის თაობაზე, რომ პიკარესკული ანტიგმირის პროტესტულობამ გავლენა მოახდინა ზოგადად, პიკარესკას ჟანრის პროტესტულობაზე.

დღესდღეობით მკვლევრები იმაზეც თანხმდებიან, რომ პიკარესკულ რომანთან ერთად მხატვრული ლიტერატურა პირველად შემოდის ცხოვრებაში, როგორც მასობრივი ლიტერატურა, მასკულტურა. პიკარესკული რომანების გმირების სახელები არის მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობა: სელესტინა, ლასარილიო (ესპანეთი), ჟილ ბლაზი (საფრანგეთი), სიმპლიცისიმუსი, ფელიქს კრული (გერმანია), იოზეფ შვეიკი (ჩეხეთი), ჩიჩიკოვი, ოსტაპ ბენდერი (რუსეთი); მათ გვერდს ღირსეულად უმშვენებს მიხეილ ჯავახიშვილის კვაჭი კვაჭანტირაძე.

Maia Melanashvili
Gori State Teaching University
**CONCEPT OF MARGINAL ANTI-HERO IN MEDIEVAL PICARESQUE
RESUME**

The picaresque story and picaresque novel tells us about the Picaro`s biography in detail (from the birth to his enthronement), and that`s why in the framework of this genre a rich vital, historical and geographic information is provided, and consequently, it is rather big in volume.

The main discovery of the medieval picaresque genre is the concept of marginal antihero: a rascal unwillingly or a rascal by vocation (according to motivation), a marginal farmer or an impoverished nobleman (according to the social status). The model of the mentioned genre, which was widely spread in Spanish literature, was also spread in different countries of Western Europe in the XVII – XVIII centuries.

The picaresque genre continues its functioning up to the present and preserves the tendency of broadening the frames of the genre and enriching its contents. Many scientists think that the ability to change the inner character of picaresque antihero generally influenced the picaresque genre, and it also has the ability to change its inner character.

Today the scientists agree that belles-lettres together with the picaresque novel enters into the everyday life as a mass literature, mass culture. The names of the heroes of picaresque novels are the cultural heritage of the world: La Celestina, Lazarillo (Spain), Gil Blas (France), Simplicissimus, Felix Krull (Germany), Josef Sweik (Czech), Chichikov and Ostap Bender (Russia); Mikheil Javakhishvili`s Kvachi Kvachantiradze takes a worthy place among them.

გალაკტიონის კოსმიური პოეზია რეზო ადამიას ფერწერაში

გალაკტიონი იდუმალი პოეზიით ურთულესი სიმბოლურ-იგავური სახეებით, ენიგმებით, განუმეორებელი პოეტური ხატებით, მეტაფორებით, ჯერარსმენილი ხმებითა და ინტონაციებით, „ბროლის რიტმით“, „ბროლის ლაჟვარდით“, „ზეციური მუსიკით“, ახალ მუზათა სიმრავლით, „რკინის ლექსების ნიაღვრით“, „სიმართლის კანდელით კვლავაც შეუცნობ სივრცედაა დარჩენილი...

გალაკტიონის პოეზია და რეზო ადამიას ფერწერა ერთი და იგივე პოეტური სამყაროა, უსასრულო და მარადიული... ჩვენი დროის დიდ მხატვარი და პროზაიკოსი ფერებში ამეტყველებს ჭყვიშელი გენიოსის მხატვრულ გრძნობადობისა და შთაგონებულ ესთეტიკურ ვიზიონებს, მიწიერ და ზეციურ სამყაროთა, ადამიანისა და ღმერთის, რეალურისა და წარმოსახულის გამაერთიანებელ მედიტაციებს, რაღაც „არამეცხეური ოპუსებით“ შობილი სახეობრივი აზროვნების მასშტაბებსა და კოლოსალურ პოეტურ ენერგიას...

რეზო ადამიამ გალაკტიონის იდუმალებით მოცული პოეტური სამყარო მაგიური ძალმოსილებით ფუნჯის მონასმით ტილოზე აამეტყველა, ესაა მშვენიერი და ღვთაებრივი ხელოვნება, ქართული კულტურის, ქართული ხელოვნების, მამა-ღმერთისა და ძე ღმერთის ზეიმი. მიწიერ და ზეციურ სამყაროთა ჰარმონია და მშვენიერება. შთამბეჭდავდაა წარმოჩენილი გენიოსი პოეტის ცხოვრების ბოზოქარი გზა. ამ ფერწერაშია „გალაკტიონი თავისებური, ყოველმხრივ თავისებური უცნაურობამდე“ (ეს გრიგოლ რობაქიძეა). (რეზო ადამიას ბოლო პერიოდი ფერწერაში) სიახლეა, პლანეტარიუმით აშუქებს გალაკტიონის გენიას...

„კოსმოსიდან მოსული გალაკტიონის მუზათა სიმრავლე“ – ეს უკვე შენი შემოქმედებითი მწვერვალია, ყოჩაღ, ყოჩაღ!“

... მეოცე საუკუნის ქართული პოეზიის მერიდიანი ჭყვიშზე გადის, თქვენ ეს დაიჭირეთ და ამიტომაცაა ასე მშვენიერი თქვენი სურათები. იქნებ ეს ეპიტეტი არ იყოს სწორი, უმჯობესია ვთქვათ: - ამიტომაცაა ასეთი გენიალური თქვენი ნამუშევრები“ (ნ. ტაბიძე, 2014).

რეზო ადამიამ გალაკტიონს სამი პერსონალური გამოფენა მიუძღვნა. ერთი 2012 წლის 22 ნოემბერს, გალერეა „ვერნისაჟში“ - პლანეტარიუმის სახელწოდებით; მეორე – გალაკტიონის სახლ-მუზეუმში, სადაც 100-მდე სურათი გამოფინა სახელწოდებით: „კოსმიურ მუზათა ქარიშხალია გალაკტიონში“ (2013 წლის 15 მარტი); მესამე კი – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში სახელწოდებით „გალაკტიონი და კოსმოსი“ (2013 წლის 19 ნოემბერი – 2014 წლის 10 მაისი).

თანამედროვეობის დიდმა მაესტრომ ფუნჯის მონასმით გვაზიარა გალაკტიონის ქმნილებებისათვის დამახასიათებელ სახეობრივი სისტემის, სტილური ხელოვნებისა და პოეტური შესაძლებლობების უსამანო მასშტაბებს.

„გალაკტიონი და კოსმოსი“ (ფერწერული სურათების სერია „პლანეტარიუმი“) იმდენად გაპოეტურებული, ღრმად დრამატული და მღელვარეა, რომ აშკარად იკვეთება ჯვარცმის მისტერიის იდუმალებითა და გზნებით გამსჭვალული პოეტების მეფის ტანჯული გზა ცხოვრებისა; დამსხვრეული გრაალის კოშკები, მკვდარი ვარდები, ცაში მობოინე ყორნების ფრთების ტლაშუნი, ანგელოსის პერგამენტზე წარწერილი განაჩენი: „ანგელოსს ეჭირა გრძელი პერგამენტი, მწუხარე თვალებით მიწას დაჰყურებდა. მშვიდობით, მშვიდობით, ამაოდ დაგენდე, ელვარე საყურევ ალმას საყურეთა! ზაგეთა ლოცვაო, დიდება და ძეგლო, უთუოდ მიხსენებ ოდესმე, ოდესმე. გრაალის კოშკები, ლიდის სამრეკლო, შენს ფერხთქვეშ დაიმსხვრა და გლოვა მომესმა!“

რეზო ადამიაში ერთნაირად შენივთდა მხატვარი და მწერალი. იგი ამთავითვე გამოირჩა საკუთარი ფილოსოფიური შეხედულებებით უფალზე, სამშობლოზე, სიკვდილ-სიცოცხლეზე მთელ კოსმიურ სამყაროზე. ქართველი მკითხველის სულის განუყოფელი ნაწილია მისი წერილები და ესეები, განუმეორებელი, თვითმყოფადი და ორიგინალურია მისეული მხატვრული სამყარო. და მაინც, წიგნი „მედევრები და მარადიულობა“, რომელიც პარიზში 11 წლის განმავლობაში (პერიოდულად) იწერებოდა. წიგნი ღრმა ფილოსოფიური აზრებითაა დაყურსული. ესაა დიალოგი წარსულის გენიებთან, და დღეს სადავო აღარ არის, რომ რეზო ადამია დიდი შემოქმედია, რაც უფრო ღრმად ეცნობი მის მხატვრულ სამყაროს, სიღრმის ახალ-ახალი შრეები ჩნდება. რელიგიურ-ფილოსოფიური უხვადაა მის ფერწერაში, რაც

დამთვალეირებლისაგან გარკვეულ ინტელექტსა და გემოვნებას მოითხოვს, რომ უფრო სიღრმისეულად შეიმეცნოს და გაითავისოს გალაკტიონის მუსიკალური პოეზიის ფიქრული.

მხატვრის თვალთა დასახული გალაკტიონის კოსმიური სამყარო, „სურათოვნებით სავსე“ მისი პოეზია ხდება ძლევამოსილი „სულიერი დამპყრობელი“ (პოლ ვალერის ტერმინი). მხატვარმა ტილოზე გალაკტიონის მთელი პოეზია გადმოიტანა. პოეტების მეფე ხომ თავად გახლდათ დიდოსტატი პეიზაჟისა... მგოსანს განსაკუთრებით უყვარდა თოვლიანი პეიზაჟები. მხატვარი გვეუბნება: მეც გამოვიხმე იმერეთის პეიზაჟები, უფრო ჭყვიშის მგოსნის სახლმუხეუმით. მხატვრის რწმენით თოვლის პეიზაჟშია უდიდესი მისტიკა და, რადგანაც გალაკტიონში ბუდობდა უზარმაზარი მისტიკა, მისი პოეზიაც მისკენ მიილტვოდა...

და მაინც, ქარიანი პეიზაჟები, რომლებიც უხვადაა გალაკტიონის პოეზიაში (მხატვარმა ტილოზე ფუნჯით გამოსახა და გრძნობა პოეტის ნისლიან ფიქრებს, ქარის შეუჩერებელ გრიალს, გაფრენილ ფოთლებს, რკალად მოხრილი ხეების შთამბეჭდავ სურათს და აჰა, გვიანი შემოდგომის სილუეტები ზამთრის მკაცრ სინამდვილედ იქცა და შემოქმედმა მუქი ფერებით გამოხატა კოსმიური ქარიშხალი, პოეტის ხმაც თითქოს ფოთოლივით მიჰყვება ქარს... „როგორ წვიმს, როგორ თოვს, როგორ თოვს, ვერ გპოვებ ვერას დროს, ვერას დროს“.

უყურებ სურათებს და ცხადად იკვეთება აბოზოქრებული და ყალფზე შემდგარი ბუნება, როგორ ხდება ერთის თვისობრიობიდან მეორეში გადასვლა, უდიდესი იდუმალეობა, რომელიც მოაქვს ნგრევას, და თითქოს თრთის ტილო, ცოცხლდება ყველა და ყველაფერი, და სწორად აქ ირეკლება ვან გოგისეული სასწაულებრიობა, უსასრულო კოსმოსიდან ჩამოღვრილი ფერები, მხატვარმა გვაჩვენა რაინდი პოეტის უფაქიზესი სულის ხვეულები, რომელიც ეპოქის ქარტეხილებს ჩუმად ისრუტავდა და უზარმაზარ ტკივილად აქცევდა.

მხატვარმა გალაკტიონისეულ კოსმიურ სულს საუცხოო ფერი, ხაზი, ფორმა, კოლორიტი მოუნახა და საოცრების წინაშე დაგვაცენა. და ვგრძნობთ დიდოსტატის კოსმიურ ხედვას, როგორ წვდება ის გალაკტიონისეულ ახალ ქვეყანას, ახალ მზეს. მთელი არსებით შეენივთა პოეტის მშფოთვარე სულს, მისი ტკივილები უმშვენიერეს ტანჯვად აქცია და აზვირთებული განცდა ტილოზე ფერებად აელვარდა...

ქართული სულის, ეროვნული ხასიათისა და სიმშვენიერის უზადო ანარეკლებია სურათები. „სამყაროს სახე და გალაკტიონი, გალაკტიონი და დემონი“. „მთავარანგელოზი და გალაკტიონის ნიღბის განწყობილება... ზამთრის მთვარიანი, ნათელი ღამე გალაკტიონის ეზოში“, „მე და ღამე“, სამყაროს უკვდავება, ნათება და ჩამქრალი პლანეტები“, „სამყარო, პირამიდა, გალაკტიონის მზერა და იდუმალეობა“, „გალაკტიონის ლექსი მგოსნის სახლისა და ზამთრის პეიზაჟებშია ჩასახული“ და ა.შ.

და მაინც, საოცარი ქმნილება: „გალაკტიონის სამყარო და კოსმოსი“. სასწაულებრივია ის განცდა, ის განწყობა, ის მუხტი, რომელიც ფერებით ციალებს ამ სურათზე. უნებურად ისევ რეზო ადამიას ერთი ესსე გახსენდება, სადაც წერს: „გალაკტიონის ლექსი, რომანტიკული იქნება, სიმბოლისტური თუ კლასიკური, შექმნილია სამყაროს საოცრებათა მერვე ფერით.

წმინდანები არასოდეს და არც ერთ შემთხვევაში არ იკლავენ თავს, სიცოცხლეს ეთხოვებიან, მხოლოდ ღრმა აღტკინებით დედამიწას მოწყვეტილნი და თანამედროვეთაგან გულგატეხილი გენიები, წმინდანები საგანგებოდ რჩეულები გახლავთ შორეულ სამყაროში გასამგზავრებლად. გენიები კი შორეული სივრციდან დედამიწაზე მოვლენილნი არიან ღვთიური შემოქმედების მომფენად დაუსრულებელი ფუნქციით და ისევ უბრუნდებიან პირველ წყაროს“ (რეზო ადამია, 2012).

გენია უსასრულობაა, სამყაროსავით წვადი, ბრძოლისა და ტანჯვის სფერო. შემოქმედებაც უსასრულო ჯაჭვური დრამაა. მხატვარმა აღნიშნა: (კერძო საუბარი) რეალური ხერხებით ვერ მივუახლოვდებოდი გალაკტიონის გენიას. ის ილუსტრაცია იქნებოდა და არა სულის სურათი, თავისი უცნაური ფერებით, ხაზებითა და ფორმით. მე რამდენიმე ათეული წელია კოსმიური, ჩემეული ხერხებით ვცდილობ მივუახლოვდე გალაკტიონისა და ტერენტის სულიერ იდუმალეობას, რითაც ისინი იტანჯებოდნენ, იმ ტანჯვას მეც გავდივარ და ამ გზით ვუახლოვდები მათ. ეს ურთულესი შემოქმედებაა.

ათვალეირებ სურათს „კოსმიური ჰარმონიის მშვენიერება“ და გაოგნებულს ურიცხვი ფიქრი თუ ასოციაცია რკალივით შემოგეჯარება, გრძნობ კოსმიური სამყარო როგორ ბოზოქრობდა პოეტის სულში. მყუდრო ღამეში მოხეტიალე პოეტი-ბედუინი ფერად-ფერადი ვარსკვლავების წვიმაში, რომ ამჩნევდა „როგორც ასომთავრულს... სხვისთვის უხილავ ფარულს“... დიდმა მაესტრომ გალაკტიონივით გაითავისა, ზეკვეყნიური ხმები, „რადაც წმინდა შორი ქვეყანაა“, ღამის დუმილში ჩაქსოვილი ანგელოზთა ციური ნანა და მნახველის თვალწინ აშკარად იკვეთება, თუ როგორ ტრიალებს გალაკტიონის გარშემო რეალური და ირეალური სამყარო. აჰაა გალაკტიონი, ტერენტი გრანელი, ნოდარ ტაბიძე, ოლია ოკუჯავა. დედამისი მაკრინე, მესაფლავე, ყველა პერსონაჟი, ის რეალობა, რომლის გადატანაც ქაღალდზე უზღებოდა პოეტს, ყოველდღიური ცხოვრების დეტალები თუ უცნაური მოვლენები, რომლებიც მის სულში ბოზოქრობდა,

ფერმწერმა სავსებით ახალი ორიგინალური ასპექტით წარმოაჩინა და თავისი ესთეტიკური მშვენიერებითაც აგვამალა და განგვაკვიფრა.

რეზო ადამიას ფერწერული სურათები ბუმბერაზი მხატვრების, სეზანის, მარკ შაგალის, ვან გოგის, მატისის, პიკასოს, კანდინსკის, ხუან მიროს, სალვადორ დალის, ჯეკსონ პოლაკის და სხვათა ფერწერულ ქმნილებებს უსწორებს მხარს, ფერწერული მშვენიერება, ნათელი კოლორიტი და ფერთა სმფონია, უნივერსალური სიღრმე და განი, ცისა და მიწის კავშირი, კოსმიური ჰარმონია, ღვთიური ზეიმი და ვინ იცის, კიდევ რამდენი რამ აახლოებს ამ ბუმბერაზ ფერმწერებთან...

რეზო ადამიასეული ფერი და კოლორიტი იქმნება თემასთან შერწყმით, ის მრავალფეროვანი და განწყობილებიანია. ყველგან სრულყოფილადაა მიღწეული ბუნების საოცრება ჯადოს ჩადება, მართლაცდა „რა ბედნიერია ის, ვინც ჩაწვდება გენიის ამ ფერწერულ ბადაგს“ (რ. ადამია).

„გალაკტიონი და კოსმოსი“ გალაკტიონის ცხოვრების რეკვიემია, მისი სრული ტრაგიზმის გადმოცემა. „ტაძარში აღმოვჩნდი და დავიბენი, ტაძარში ტაძარი დამხვდა უფრო იდუმალებით მოცული“ (ვ. ჯავახიძე).

„გალაკტიონი და კოსმოსი“ პირადად ჩემთვის ის ტაძარია, სადაც ფეხაკრეფით უნდა შეაბიჯო და სულით ჩუმად ილოცო... ჰოდა, აგერ ამ ტაძარში ისმის გალაკტიონის „მთვარის შუქთაგან შეკრებილი სიმღერები“... და სრულებითაც არ არის შემთხვევითი, რომ მის ნახატებს ტაძრისკენ მიჰყავს თითოეული ჩვენგანი და „სიცოცხლის გადარჩენის ჰიმნით“ რწმენაში გვაძლიერებს, რათა გაგვიმხილოს: „შემოდგომის ყვავილებს დიდებასთან მივიტან, ერთი შორი ოცნება მახსოვს ძველ მოტივიდან“ („გულო რა გემართება“).

ხიდი, რომელიც ზესთასოფელსა და ამ სოფელში არის გადებული გალაკტიონის ფენომენითაა შთაგონებული. ამიტომაც, გაკრთება სურათებთან გალაკტიონისებური ფრაზები. და ეს ალბათ იმიტომ, რომ გალაკტიონი მისი სულის ნაწილია, მისი ემანაცია, გალაკტიონის თვალთა დანახული კოსმიური ჰარმონია კი მისი სიახლე, შემოქმედების ერთ-ერთი ძირითადი კრედო... მხატვარმა ამ კოსმიური თემათა და მიდგომით „ახალი გალაკტიონი აღმოაჩინა, პირველი და უმთავრესი ნიშანი რეზოს ნამუშევრებისა ეს არის მოვლენათა და პროცესთა ღრმა ფილოსოფიურობა. რეზო პირველი ბრძანდება, რომელმაც გალაკტიონი კოსმოსთან დაკავშირებით წარმოაჩინა“ (ნ. ტაბიძე, 2014).

გალაკტიონის გენია დიდი მანერის ფერებით ალაპარაკდა. მხატვარმა ფერწერა და პოეზია საოცარ უღელზე შეაბა და ისევ კოსმოსისაკენ გაუყენა... ალბათ განგებამ ასე ინება, პოეზია უფრო და უფრო გაფერწერებულიყო. მხატვარმა კოსმოსში, თვით უფლის საბრძანებელში შეაღწია და გალაკტიონი ზეციურ სამყაროში დააბინავა. და მაინც, ესაა უხილაობათა ხილულად მოქცევა და მისი ისევ იდუმალებისაკენ მიტრიალება... გალაკტიონის კოსმიური სულის ამგვარი გამოწვლილვა ხელეწიფება იმ შემოქმედს, ვისაც ზიარი რამ აქვს ამ სამყაროსთან, ვისთვისაც ეს სამყარო მეტად მშობლიური და მახლობელია.

მხატვრისათვის გალაკტიონის სამყარო ისეთი თვითმყოფადობითა და ორიგინალობით ბრწყინდება, გაფიქრებინებს, თუ არა უფლის ხელი, ეს ადამიანს როგორ შეეძლო... რეზო ადამიას სტილი გლობალურია, და მაინც, ესაა „აბსტრაქტული მოდერნი“ (რეზო ადამია), რომლის აღქმა ყველას თავისებურად შეუძლია, შერეული გამოსახულებებით მხატვარი სრულიად ახლებურად გაიაზრებს გალაკტიონის პოეზიას და თავისებურად ალაგებს კომპოზიციის ფორმებს, რაღაც უჩვეულო პოეტური წარმოსახვებით, ფუნჯის მონასმით ცოცხლდებიან გალაკტიონის კოსმიური გზავნილები. მხატვარმა კერძო საუბარში აღნიშნა: ეს რომ რეალური მიდგომით დაეხატო ილუსტრაციული ვიქნები, ამ ნახატებში კი უკვე ცოცხალი ფეთქება, ნერვია, ცეცხლია.

აი, სურათი: „უზომო დრამა, კოსმოსი და მსხვერპლშეწირვა“. სწორედ აქ რაღაც სასწაულებრივი, ღვთიური დიადურობით წარმოჩნდება გალაკტიონის დამოკიდებულება კოსმოსთან. მისი დამშვიდობება ამ სოფელთან. საოცარი ზეადამიანური ძალებითაა მიღწეული ინდივიდუალური ხასიათის გახსნა, რომელსაც გალაკტიონი ფლობდა... ეს სურათი მხატვრისთვის დამახასიათებელი მძლავრი ემოციითა და სულიერი ძლიერებითაა გამორჩეული... ვფიქრობ, ეს ქმნილება ხელოვნების სიახლე – სასწაულად უნდა ჩავთვალოთ. შეუძლებელია თხემით ტერფამდე არ განიცადო ფერებით ამეტყველებული ტრაგედია პოეტისა. პოეტი, რომელიც კოსმოსს საკუთარ „სახლ-ოჯახად“ აღიქვამდა მისი უმანკო მსხვერპლი გახდა... და ჰოი, საოცრებავ, „დღეს ყველგან მზეა და სილამაზე – სიკვდილთან ჩემი შემრიგებელი“... რეზო ადამიასთვის ესაა სწორედ ლამაზი სიკვდილის მისტერია, პოეტების მეფის რწმენის სიმაღლეც აქ იკვეთება, რომ სიკვდილი გარდაცვალებაა და არა დასასრული...

გალაკტიონის სულის მეისტორიე ფერმწერმა სიკვდილის ვარდისფერ გზაზე მიმავალი მისი სითამამე ფერთა თამაშით გადმოგვცა და მთელი ციკლი სურათებისა აღბეჭდავს გალაკტიონის სულის დამოკიდებულებას კოსმიურ სამყაროსთან... ხელოვნების, პოეზიას შეწირული მგოსნის სისხლით მოირწყა მთელი კოსმიური სამყარო. მთავარანგელოზიც კი დაუმწუხრებია გალაკტიონის უდანაშაულო სისხლს, რატომ, რატომ დაასწარი მგოსანო ზეციურ კანონებს?...

ნოდარ ტაბიძე წერს: „ალბათ გალაკტიონის პასუხი ასეთი იქნებოდა, „მე მაქვს უფლება, როგორც კოსმიური სამყაროს ერთ-ერთ წარმომადგენელს თვალი გაუღწიროს ყველა მოვლენას“... ალბათ, სულიერი საწყისის უზენაესი ძალა და გალაკტიონის პოეტური გენია უდევს საფუძვლად მხატვრის წარმოსახვებსა და კოსმიურ დინამიკას სურათში: „ჭყვიში, გალაკტიონის სახლი, 1957 წლის 16 მარტი, ძაღლი მთელი ღამე ყმუოდა და თითქოს წინასწარმეტყველებდა ამ ტრაგედიას... ამ სურათებშია მუსიკალური ჰარმონია, ზღაპრული ფერების უსასრულო თამაში, მარადიულად მოუშლელი სიცოცხლე გენიოსი პოეტისა... უყურებ და გრძნობ, თუ როგორ გამოიხმო მხატვარმა დიდი პოეტის სულიერების იდუმალი შრეები... თოვლით გადაპენტილი ეზო, პოეტის დედის მაკრინეს სილუეტი და ცაში მობოინე ყორნების ქარავანი. უბედურების მომასწავებელი შავი ლაქები. ეს ის მღელვარე სულიერი სამყაროა, რაც ამზადებს ნიადაგს, ხაზი გაესვას მგოსნის სიცოცხლის ტრაგიკულ დასასრულს. და მაინც, რაღაც სასწაულებრივი განცდა და მუხტი მბრუნავით მოჟონავს... მხატვრის მაგიური ფერები, ხაზი, ფორმა, უნატიფესი ფერწერული ურთიერთდამოკიდებულება უჩვეულო სიმაღლემდე, ზეცის თავანამდე ატყორცნილი და მზის სხივებად იღვრება კოსმიური სივრცეში. „გული, გრძნობა და გონება ერთმანეთზედა ჰკიდია“ (ეს რუსთაველია) და თითქოს გესმის გენიოსი პოეტის კოსმიური სულის უნაზესი ხმა: „ტოტებს ქარისას გადაჰყვამარტი, თეთრ ტანსაცმელში მე მოვირთვები და წავალ ქარში, როგორც მოცარტი, გულში სიმღერის მსუბუქ ზვირთებით“ და მხატვარი პოეტთან ერთად მიჰყვება ქარს და თითქოს მის გრიალში იკარგება, რამდენადაც ძლიერდება ქარის გრიალი, იმდენად ძლიერია იდუმალებისაკენ ლტოლვაც.

სურათში „სამყარო, მარადისობა და სიკვდილი“. მნახველს აღელვებს თავისებური ფერთა სინატიფითა და მელოდიურობით, ვფიქრობ ეს სურათი ვან გოგისეული ფერწერის მაგიური ჯადო-ძალითაა შექმნილი. აქაა სამყაროს მისტერიული საწყისების შეგრძნება. პოეტების მეფის სახეებით მოცემული საგნობრიობის ფერებით ქსოვა, წარსულისა და აწმყოს უჩვეულო ფანტასმაგორიებით არსთა მრავალფეროვნებაში ღვთაებრივი ძალის ჭვრეტა, დიდი მანესტროს ჯადოსნური ფუნჯის მონასმით აფეთქებული სულისმიერი თრთოლა და მაღალი გონების მზიური გამონაშხევი. პოეტის სულის განმაცვიფრებელი ასოციაციები, მისი ბოზოქარი შინაგანი სამყარო და ის მძაფრი შთაბეჭდილებები, რითაც დახუნძლულია მხატვარი უკანასკნელ ამოსუნთქვამდე. მანესტრო ფერებად კინძავს და გალაკტიონის იდუმალეებით მოცული სულიერი სამყაროს ჩვენი სულის განუყოფელ ნაწილად აქცევს. შეუდარებელი ფერწერული ჰარმონია იქმნება. პალიტრაზე ალაგებს ახალ სიცოცხლეს, მარადიულსა და უსასრულოს...

გალაკტიონის სულმა ჭყვიშის გავლით კოსმოსში იმოგზაურა და კოსმიური ლაქაც ქრება. მგოსნის უმანკო სისხლი წითელ ვარდებად ზეცაში აიტყორცნა და აქ არ შეიძლება არ გაგახსენდეს: „ქარვათა მორევში დაეშვა ვარდები, საღამო კანკალებს შიშით და რიდობით, საღამო ნელდება და კვდება ვარდები... მშვიდობით, მშვიდობით, მშვიდობით!“

გარდაცვლილ ფოთლებზე სისხლიანი წითელი მიხაკები ანათებენ – ეს რეზო ადამიას განწყობილებაა, მისი ემოცია, რომელმაც ფერებში აელვარა გალაკტიონის პოეტური სამყარო, ძნელია ისაუბრო ყველა ტილოსა თუ სურათზე (თითქმის 200-მდე ნახატია შექმნილი) და მაინც, ყველგან ანათებს გალაკტიონის შთამაგონებელი სახე, საოცრად მეტყველი, უცნაური, იდუმალი მზერით.

„გალაკტიონი რომ დასწრებოდა ამ ბრწყინვალე გამოფენას, იქნებ არც წასულიყო წუთისოფლიდან იქ, მარადისობაში“ (ჯანსუღ ჩარკვიანი), – ეს უკვე დიდი აღიარებაა მხატვრისა!...

ნახატებში ცოცხლდება გალაკტიონის მარადიული პოეზია და ქვეცნობიერის ურცხვი შრიდან ნიაღვარივით მოვარდნილი, მთავარი საიდუმლოს თავისთავში დამმარხავი ფერებით იზადება ახალი ფერწერა, ღვთიური ჰარმონია და „სიკვდილით სიკვდილის დამთრგუნველი“ მხატვრის ძლევაძისილი ნიჭი...

„ტიტანთა ტვირთით“ დახუნძული დიდი მანესტროს გალაკტიონისადმი მიძღვნილ სურათებში მხატვრის პოეტური ხედვაა გამჟღავნებული და წარმოდგენილი. ბუნებისავით გულდია და უხვი, მაისის წვიმასავით ჟუჟუნა, ვერხვივით მოშრიალე, ლურჯთვალა იის სურნელით გაჟღენთილი. ბულბულივით დახუჭული თვალთ, მხატვრის ფუნჯით ნაგალობარი, უდიდესი საიდუმლოება მაღალი სულისა... მხატვრის მაგიური ყალმით ამეტყველებული პოეტის სული - „მშვენიერების თეთრ აკლდამაზე ლექსით მქებელი“ უჩვეულო მშვენიერებითა და სილამაზით ღაღადებს და კოსმოსური ბილიკით მოემართება ჩვენსკენ...

რეზო ადამიას პოეტური აფეთქებების ძირითადი ბიძგი და წყარო გალაკტიონის კოსმიური სულის ემოციათა ქარიშხლებია, უყურებ და გაოგნებული ხარ, ეს ნახატები თითქოს ირეალურისა და არარსებულის ნაყოფს წარმოადგენს. თითქოს მხატვარსაც გამორიცხავს, მაგრამ დახეთ საოცრებას, – სურათები: „გალაკტიონის მზერა კოსმოსიდან“, „კოსმიური ხედვა, მთვარიანი ღამე, ღამის იდუმალეება და პოეზია“, „ზამთრის მთვარიანი – ნათელი ღამე გალაკტიონის ეზოში“ და ა.შ. მხატვრის კურთხეული მარჯვენა მაგიურ ფერთა ატეხვით აერთებს და ანივთებს გალაკტიონისეულ (პოეზიის) ფერებს, ლურჯად

მოციაგე მგოსნის თვალს, თეთრი, მზისფერი, ლურჯთვალა ია-იას ფერებით ანათებენ პლანეტები. ავტორისეული ვირტუოზული ნიჭი ვლინდება შეუდარებელი ჰარმონიის შექმნაში და სრული კოსმიური ნათესაობაა მთელ ციკლში – იისფერი თოვლი, თოვლი ვარდისფერი, თოვლიანი ეზო, თოვლიანი ქოხი, თოვლიან ეზოში გაშიშვლებული, გაყინული ხეები დგანან და გრძნობ, როგორ ჭკნება პოეტის სულში იები, როგორ იყინება ვარდები. გარდაცვლილია მზე, ინგრევა ზეცა, იმსხვერვა ოცნებებიც. მხატვარი გამაოგნებელი ხილვებით, მთელი არსებით მოგვახილვინებს მთავარიანი ღამეების ციკლს და ირევა მიწიერ და ზეციური, „მთვარე გალაღებულია გალაკტიონის ლექსებით, გალაკტიონის სახლი ჭყვიშში“, „გალა, ზამთარია, ჩამოდი!“ – თითქოს ცხადად ჩაგესმის პოეტის დედის მაკრინეს ნაზი ჩურჩული... ეზოში მდგარ გაშიშვლებული ხეები უჩვეულო ხილვებსა და ასოციაციებს აღძრავს.

გალაკტიონის პოეტური პარადიგმები, განუმეორებელი ფერთა მოხმობით, გარდასახვებით, გარდატეხებით პლანეტებად ქმნილნი, საოცრებების ხილვით უხილაობებზე გვიყვებიან. აქ ფერწერის საშუალებით მოძებნილი ფორმა-სიახლეები უახლოვდება უდიდესი პოეზიის იდუმალბეჭებს. ფერწერი კავშირს ამყარებს გალაკტიონის თეთრ ღამესთან, მთვარეს ესაუბრება, მთელ კოსმიურ სამყაროში დახეტიალობს და ალბათ, უფლის ნებაა ისიც, რომ მაღალი მზით დანთებული ხანძარი მარადიულად რომ ანთია მის ფერწერაში („ფერთა უსასრულობა“).

მხატვარი უმძაფრესად შეიგრძნობს გალაკტიონის სულის უსაზღვროებას, ფერებით დაიურვებს ჟამთა საიდუმლოს.

დიდმა მანქანამ გალაკტიონის იდუმალი ხმები გაგვიმხილა, მისი სულის იდუმალი შრეები მოგვახილვინა, დიახ, „ის მღერის, როგორც დარის დარება, იმის გული ხალხის გულია, მასში მოისმის იდუმალთა ხმათ მწუხარება, გრძნობა, რომელიც დაკარგულია“... და მაინც, ზუსტად მიგნებული დეტალები, როგორც გალაკტიონის კოსმიური პოეზიის საყრდენი, კიდევ უფრო თვალსაჩინოდ ცნაურდება სურათებში: „სამყაროს ტრაგედია და გალაკტიონის სისხლი“. „დემონი და გალაკტიონი, „სამყარო, უფლისა და გალაკტიონის მზერა“, „მზის ამოსვლა“, „მე ჩემს გალას ველოდები“ და ა.შ.

გალაკტიონის სახლ-მუზეუმთან, სწორედ აქ, ამ სურათებში ახალი რაკურსით წარმოჩინდება გალაკტიონის პოეტური ფენომენი, მისი სულიერი ტრაგიზმი, მამულის სიყვარულის უშრეტი ძალა, გლოვისა და ტანჯვის ესთეტიზმი, მარადიული მუსიკალური სიმფონია.

მხატვარი კოსმიური მოტივებით ცდილობს მიაგნოს მგოსნის დემონს, რომელიც განუწყვეტლივ აწამებდა გალაკტიონს, აღიზიანებდა, სულს უწეწავდა და აშფოთებდა, სიმშვიდეს ურღევდა. რა შთამბეჭდავადაა დახატული დიონისური მისტერია და გრძნობ მარტოსულის თავშესაფარი ისევ ღამეა, ტილოზე დაიღვენთება გალაკტიონის სხვათათვის ართქმული საიდუმლო, ფერებით იქსოვება „მტრედისფერ-ლურჯი სვეტებით დაყრილ“ ცა და მის მესაიდუმლე პოეტის შთაგონებული სახე. ეს სულის სიმადლეა, რწმენაა, სამყაროს იდუმალებაში, უნაზესი ფერებით შეღწევა...

უნიკალურია „ღამე, მთვარე და ამღერებული ღრუბლები გალაკტიონის სახლის დუმილიან ჭყვიშში“, მხატვრის საკრალური ხილვები გალაკტიონის სიზმრების ფრაგმენტებია, გენიალური პოეტის ცხოვრების პიკანტური ეპიზოდების გახსენებაა. გალაკტიონის სიმბოლური ღრუბელია „ღრუბელი ნათლისა“... რეზო ადამია ამრავალფეროვნებს და ფერებით ქსოვს გალაკტიონის სახეებსა და სიმბოლოებს. ამღერებულ ღრუბელში პოეტის მზერა ჩვენს აფხაზეთსაც გადაწვდა. აკი არ თქვა: „და ღრუბლიდან ეშხით გადმოიფრქვევა მოგონება სიყვარულის მზიანის“ („აფხაზეთის წვიმა მიყვარს“).

კოსმიური ქსოვილით შებურვილი გალაკტიონის სულიერ კოსმოსთან თანაზიარობამ განაცვიფრა სრულიად საქართველო... „მე დღეს პირველად გავიგონე გალაკტიონის კოსმიური სიმღერა, მისი ხმა“ - წერს პაატა ბურჭულაძე.

„კოსმოსს შერთული, კოსმოსს შერეულ სისხლის წვეთებზე ლექსის სრიქონებად რომ იქცევა“. (მაყვალა გონაშვილი).

„გრძნეული კოლხი, ხარ შენი ფუნჯითაც და შენი კალმითაც“. (ეს რეზო მიშველაძეა).

რეზო ადამიას ფერწერულ სამყაროში გალაკტიონი „მაღალია და მაღლამხედი“, მისი პოეტური ქვეყანა უსასრულოა და მარადიული. თავად მხატვარი გალაკტიონივით კოსმოსს შერეული, კოსმოსს შერთული. და მთავარი მაინც ის ემოცია, ის განცდაა, რომელიც გალაკტიონის სულის ტრაგიზმით შემოიჭრება ჩვენს არსებაში და რაღაც უხილველის, შორეულის სახილველად რომ განგვაწყობს.

როცა სურათს „გალაკტიონი და დემონი“ ათვალიერებ, გრძნობ, რაოდენ დიდია მხატვარი, რამდენად დიადურია მისი სტილი. აქაა ფანტაზიის სიმდიდრე, ფორმათა განფენილობა, ძალა და ექსპრესია. ჯადოსნურ ფერთა თამაში (პლანეტებად და მათ სივრცეებად გარდაქმნილნი) და კიდევ, ნამდვილობა. რეზო ადამია ნოვატორია, ფერთა უჩვეულო სასწაულებით... მხატვარმა შეძლო ზეციურ სამყაროში შეღწევა, კოსმიური წესრიგის, მიწიერისა და ზეციურის ერთიანობის წარმოჩენა: „ხდება ერთად შეთავსება უცხოდ გრძნობა – მორეულის, რაღაც საერთო და დიდი ხნის ახლობელ-მორეულის“.

რეზო ადამია ვან გოგივით, მიქელანჯელოსავით ფეთქებადი ფერებით გვხვბლავს. დიახ, აქ „ერთდროულად კივის ყველაფერი, ეს ხაზთა ჭეშმარიტი ბაბილონია“ (ეს სიტყვები დიდმა ფრანგმა მოქანდაკემ ემილ ანტუან ბურდელმა წარმოთქვა მიქელანჯელოს ფრესკასთან). ხაზთა ასეთი ჭეშმარიტი ბაბილონია, პირადად ჩემთვის, – „ლურჯა ცხენები“... სულის გაამცისკროვნებელი ლურჯი ფერებით იქმნება გალაკტიონისეული დეტალები ლურჯა ცხენების მოტივი, რაც გალაკტიონისათვის მთელი მისი შემოქმედების ძირითად მოტივად იქცა. ლურჯა ფერი გალაკტიონისათვის სიმბოლოა ამაღლებულსა და დიადის, კარგისა და ძვირფასის... რეზო ადამიამ გალაკტიონის მთელი შინაგანი სულიერი სამყარო, კოსმოსის მთლიანობა უჩვეულო „ადამიანური დრამით“ გაიაზრა და „მერვე ფერით, სხივმოფენილ გაყვითლებულ ეტრატთან დაგვყენა, სადაც გრძნობათა საშინელი ქროლვით, გრგვინვით და წრეგადასული დინამიკურობით ეტრატის ზედაპირიც გაცვეთილა და ათასწლოვანს დამსგავსებია“ (რეზო ადამია, 2014).

ჰოდა, არის აქ ამ სურათში რაღაც უცნაური სილამაზე ფერების, რაღაც უანგარო, სულისკვეთება, ძალა და სინათლე, კლასიკური სიმშვიდე, დახვეწილობა ხაზებისა და რაც მთავარია, კოსმიურ მუზათა ქარიშხალი. ღვთიური ალერსიც მენიშნა...

„ჩემეული გალაკტიონი ფერწერის უბრალო ხერხებით დავხატე, - ბრძანებს მხატვარი (კერძო საუბარი), - კარგად მესმის ამ სურათებთან მისვლა და გარჩევა შედარებით რთულია, რადგან ღია ფანჯარაა აღქმისა. ყოველი ინტელიგენტი მის წინ დგება საკუთარი აზროვნებითა და მისეული ინდივიდუალური გალაკტიონით. ზოგიერთს უძნელდება პიროვნების ახლადადგენილი ბარიერის გადალახვა და ჩემეული უცხო ხერხებით დახატულ გალაკტიონთან მისვლა, გაგება, ჩაწვდომა და წინააღმდეგობათა ქსელში იხლართება“ (რეზო ადამია, 2014: 8.15).

ჰოდა, მიჰქრიან „ლურჯა ცხენები“, გიზგიზებს მეწამული მზით დანთებული ღვთაებრივი ცეცხლი. წინ გალაკტიონის პოეტური თვალთ დანახული „საოცრების უბა“ - ამქვეყნიური სინამდვილე, სადაც ყვავილნი „არ არიან, არც შვება-სიზმარია“. მეწამულ მზის სხივებთან შერწყმულ შენივთული ყალბით გავლებული ხაზებითა და „შუქთა კამარით უსულდგმოლო დღეები ჩნდება და ქვესკნელდება“. სწორედ ესაა მხატვრის თვალთ დანახული გალაკტიონის ზეციური სიდიადე, მისი არსებობის გამართლებაც და მარადისობაში დამკვიდრების ჭეშმარიტი დღესასწაულიც...

რეზო ადამიამ თავისი პორტრეტიც გამოკვეთა, უმთავრესი გაგვიმხილა, რომ თავადაა კოსმოსი. გალაკტიონის სულიერ სამყაროს, მის პოეტურ გენიას დახარბებულმა ფერმწერმა დაუცხრომელი ვნებებით მიაშურა ასპარეზს და „ცხენთა შეჯიბრების“ ბედნიერი მოწმენი გაგვხადა... და დღეს თითოეული ჩვენგანი გრძნობს მიმსწრაფი სულის ლტოლვასა და მისი სულის უმთავრეს მიზანს – საზღვრების გარღვევის მძაფრ სურვილს, ქმნის განუმეორებელ ხატებს პოეზიისას და დიადი ვნებით, ფაქიზი არომატით იქსოვება, ფანტასტიკური ტილოები. გავიხსენოთ გალაკტიონი: „როგორც უხვი მემკვიდრე ვისვრი სავსე ეშვებით ფანტასტიკურ მკვლელობებს და ოცნებებს მკათათვის, წარსულში, მომავალში წყევლით გადავეშვები, რომ ძეგლები ავმართო მღვრიე მშენებათათვის“.

დიდი მანეტრო გალაკტიონთან ერთად ამქვეყნიური არსებობის მღვრიე მშენებას ჰვრეტს, გრანდიოზულ სივრცეს გადასერავს და ძეგლებს აღმართავს „მღვრიე მშენებათათვის“... სწორედ ამ გადაშვების, ამ მოძრაობის, შექმნის და ენერგიის ახალი აზავთების დასტურია „პლანეტარიუმი“.

ლიტერატურა:

1. რეზო ადამიას გამოფენები: 1. „კოსმიურ მუზათა ქარიშხალია გალაკტიონში. 2013 წ. თბ., გ. ტაბიძის სახლ-მუზეუმი.
2. გალაკტიონის „კოსმიური იდუმალეზა ფერწერამ გაამხილა“. გალერეა „ვერნისაჟი“, 2012 წ. 22 ნოემბერი.
3. გალაკტიონი და კოსმოსი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, რუსთაველის გამზირი #52, 2013 წლის 19 ნოემბერი – 2014 წლის 10 მაისი.
4. რეზო ადამია. უხილავი ფერები და ხაზები გალაკტიონის პორტრეტისათვის, ურმული, #12, 2004.
5. გალაკტიონი რჩეული, თბ., 1977.

Tsiala Meskhia
Sokhumi State University
COSMIC POETRY OF GALAKTION IN THE PAINTINGS OF REZO ADAMIA
RESUME

The greatest space of Galaktion Tabidze's full of deepest and the most difficult metaphors, "crystal rhythms", "Heaven music".

Artistic(al) world of the painter Rezo Adamia is inspired by Galaktion's poetry. These spaces (artistic(al), poetic(al)) are the same).

One of the most important representatives of modern Georgian painting Rezo Adamia reflects impressive visions of the poet-genius; reflections of spiritual and physical worlds, meditations of real and unreal, spiritual energy.

Rezo Adamia has dedicated three personal exhibitions to Galaktion Tabidze:

1. 2012, November 22 – Gallery "Vernisaje", ("Planetary").
2. March 15 – Galaktion's Museum - a hundred portraits "Space's Muzas;
3. 2013, November 19 – Georgian Academy of Sciences "Galaktion and Space".

Rezo Adamia "sees" Galaktion's poetical world "through" the Space and creates innovative world of painting.

Spaces and fantasy must be dedicated by synergy, spiritual harmony among the author and spectators but "Here are not a lot of spectators of this kind so the author's worlds looks like an island in space" (R. Adamia).

The painter studies the world of the greatest poet by inspiration, tries to understand the poet's world with strange colors, lines, forms.

Poetical world of Galaktion Tabidze speaks through Rezo Adamia's colors. This kind of "meeting" of a poet and a painter is unusual that's transformation of poetry into painting transformation of "unseen" into "visual".

The painter creates a new world – decodification of world of words. Using new forms, lines, colors, Rezo Adamia creates spiritual reflection of the deepest poetry of Galaktion Tabidze.

ტიტე მოსია
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

**ვეფხისტყაოსნის“ მსოფლმხედველობის საკითხისათვის XIX საუკუნის
რუსთველოლოგიაში**

XIX საუკუნის რუსთველოლოგიურ ლიტერატურაში, მრავალ სხვა საკითხთან ერთად, კვლევისა და დაკვირვების ობიექტად ქცეულა რუსთაველის მსოფლმხედველობრივი პრობლემატიკა. ამით დაინტერესებული ყოფილან არა მხოლოდ ქართველი, არამედ უცხოელნი მოღვაწენი, „ვეფხისტყაოსანზე“ შეყვარებული პირნი. მართალია, რუსთაველის მსოფლმხედველობაზე დაკვირვებანი თუ კვლევანი არ გამოირჩევა სიღრმისეული საფუძვლიანობით, რაღაც განსაკუთრებული მიღწევებით, როგორც იგი გაიშალა XX საუკუნეში, მაგრამ ამ პრობლემით დაინტერესება, თუნდაც ფრაგმენტული მოსაზრების დაფიქსირება უაღრესად ანგარიშგასაწევია. მისი მნიშვნელობა იმაში გამოიხატება, რომ მან მაიმპულსირებელის როლი ითამაშა, რუსთაველის მსოფლმხედველობის კვლევის ისტორიის სათავეებთან დადგა. ღირებულია ამ მიმართულებით იმჟამინდელ დაინტერესებულ პირთა მიერ მოცემული მინიშნებანი. XX საუკუნეში კი ამ პრობლემის კვლევა–ძიებამ არნახული მასშტაბური ენერგია შეიძინა და მსოფლიოში გაითქვა სახელი თვითონ „ვეფხისტყაოსანთან“ ერთად.

ზემოთ ფრაგმენტული მინიშნებანი ვახსენეთ, რად ღირს ამ თვალსაზრისით პლატონ იოსელიანის მცდელობანი. მან 1870 წელს გაზეთ „კავკაზში“ გამოაქვეყნა წერილი „შოთა რუსთაველი“, სადაც, სხვა საკითხებთან ერთად, შეეხო ჩვენი გენიალური შემოქმედის მსოფლმხედველობასაც. მან პირველთაგანმა აღძრა საკითხი რუსთაველის მსოფლმხედველობაში ნეოპლატონური ნაკადის არსებობის შესახებ. იგი ფიქრობდა, რომ პოეტი სწავლობდა როდოსზე, სადაც იმ დროისათვის ნეოპლატონიზმი იყო განვითარებული (8; 12, გვ. 49).

როგორც ვნახეთ, პლატონ იოსელიანმა ზოგადად წარმოთქვა ეს აზრი, იმის იქით იგი არ წასულა, არ მოუცია მტკიცებულებანი, თუ როგორ გამოვლინდა ნეოპლატონიზმი „ვეფხისტყაოსანში“. არც უღიარებია რუსთაველი ნეოპლატონიკოს პოეტად, წარმოდგენა შეგვიქმნა მის მხოლოდ გარკვეულწილ გავლენაზე. მართებულად შენიშნა გურამ შარაძემ, რომ რუსთაველოლოგიის ისტორიაში პლატონ იოსელიანმა პირველმა გამოაცხადა რუსთაველი ნეოპლატონიზმის იდეებზე აღზრდილად (17, გვ. 121).

ამ საკითხს შეეხო შ. მაჭავარიანიც: „რასაკვირველია, აქ პლატონ იოსელიანს არ მოუცია (და არც შეეძლო მიეცა) რუსთაველის ნეოპლატონიკოსობის დასაბუთება, მაგრამ აქ მაინც მოცემულია ის აზრი, რაც შემდეგ ნიკო მარის ხელში მნიშვნელოვან მეცნიერულ თეორიად იქცა“ (15, გვ. 4). როგორც ითქვა, XX საუკუნეში რუსთაველის ნეოპლატონიკოსობის იდეამ და თეორიამ ფართოდ გაშალა მხრები. პლატონ იოსელიანის აზრი გაიზიარა და მეცნიერულ თეორიად აქცია ნიკო მარმა (თუმცა ამ შეხედულებას იგი ბოლომდე არ შერჩენია), რომლის მიმდევრები გახდნენ: იუსტინე აბულაძე, სილოვან ხუნდაძე, ვუკოლ ბერიძე. რუსთაველის ნეოპლატონიკოსობის მტკიცებას დიდი ენერგია შეაღიეს შალვა ნუცუბიძემ, შალვა ხიდაშელმა და სხვებმა, თუმცა მათ მოწინააღმდეგენი და ამ თეორიის უარმყოფელნი ჰყავდათ კორნელი კეკელიძის მეთაურობით. რუსთაველოლოგიური მეცნიერების თანამედროვე ეტაპზე ხსენებული კონცეფციები პოეტის ნეოპლატონიკოსობისა გაზიარებული არ გახლავთ. თუმცა აშკარაა და ეს აღიარებულია კიდევ, რომ „ვეფხისტყაოსანში“ მკაფიოდ იკვეთება ნეოპლატონიზმის ანარეკლი.

XIX საუკუნეში რუსთაველის ფილოსოფოსობაზე პირველად ალაპარაკდა ფრანგი ქართველოლოგი მარი ბროსე, იგი დარწმუნებული იყო, რომ შოთა რუსთაველს აღზრდა-განათლება საბერძნეთში ჰქონდა მიღებული, სადაც შეეძლო დაუფლებოდა ფილოსოფიურ ცოდნას: „უეჭველად რუსთაველი იყო ერთი მათგანი, აღზრდილი საბერძნეთის შკოლაში და რაც ბერძნულად ენახა და ეპოვა პოემანი და ფილოსოფიური წიგნი, უთუოდ სულ წაეკითხა და მას უკან თვისი პოემაც დასწერა“ (1; 9, გვ. 62).

მართალია, მარი ბროსეს რუსთაველის ფილოსოფიური მსოფლმხედველობა არ უკვლევია, მაგრამ მისი მინიშნება ჩვენი დიდი ეროვნული პოეტის ფილოსოფოსობაზე ერთი გამოკვლევის ტოლფასია. „ვეფხისტყაოსნის“ 1841 წლის გამოცემას (ვეფხისტყაოსანი, რუსულად *Варсхва Кожа*. პოემა დაწერილი შოთა რუსთაველის მიერ, ახლად დაბეჭდილი შეერთებულითა ღვაწლითა უფალთა ბროსეტ, ზაქარია ფალავანდიშვილისა და დავით ჩუბინოვისათა, სანკტ-პეტერბურდს, სტამბაში სახელმწიფო აკადემიის მეცნიერებათა, 1841, წინასიტყვაობა – გვ. VI–XIV) წამდღვარებული აქვს მარი ბროსეს წინასიტყვაობა, სადაც აღნიშნულია: „რამთონჯერაც ზედიზედ ვკითხულობთ „ვეფხისტყაოსანს“. იმდენი უფრო და უფრო მოგვწონს. მიზეზი ამისი არის: ზღაპრის („ზღაპარში“ პოემის ფაბულა–სიუჟეტი ნაგულისხმევი – ტ. მ) ტურაფა – თხზულება, შაირების კეთილხმიანება, სიტყვაადრჩევით ენამკვეთობა, ჰაზრების მშვენივრად დაწმასნვა და ჭეშმარიტების მაღალფილოსოფიური მხატვრობა“ (9, გვ. 59).

„ვეფხისტყაოსნის“ პროლოგისეული შაირობის თეორიამ მარი ბროსეს ძველბერძნული ანტიკური ხანის უდიდესი ფილოსოფოსი არისტოტელე მოაგონა: „რუსთაველი ამბობს „ვეფხისტყაოსნის“ მშვენიერს შესავალში, რომ ზღაპარი არ უნდა იყოს არც ძალიან გრძელი და არც ძალიან მოკლე. ამაზე არისტოტელეც თანახმა არის“ (9, გვ. 60).

ნიკო ნიკოლაძეს გაზეთ „დროებაში“ მ. ქიქოძესთან კამათისას განსჯის საგნად უქცევია რუსთაველის აფორიზმები:

„მიეც გლახაკთა საჭურჭლე, ათავისუფლე მონები“;

„გვარი ათასად დაფასდა, ათიათასად ზრდილობა“;

ნიკო ნიკოლაძის თანახმად, გამოთქმას: „მიეც გლახაკთა საჭურჭლე, ათავისუფლე მონები“, რუსთაველის დროს ის მნიშვნელობა არ ჰქონდა, რასაც ეხლა მ. ქიქოძე და ილია ჭავჭავაძე აძლევენო. მაშინ ეს უბრალო მოწყალებას გულისხმობდაო. მისი მტკიცებით, აქედან იმ აზრის გამოტანა, რომ რუსთაველი მეთერთმეტე საუკუნეში (?) ბატონყმობის მოსპობას ქადაგებდაო, შეცდომაზე უარესიც არის“ (3, გვ. 2), როგორც ვნახეთ, დამოწმებული აფორიზმის საფუძველზე ნიკო ნიკოლაძე გაკვრით შეეხო რუსთაველის სოციალურ შეხედულებას.

რუსთაველის სოციალური შეხედულებიდან გ. იოსელიანი ყურადღებას ამახვილებს „ვეფხისტყაოსნის“ იდეაზე ქართველი ქალის თავისუფლების გამოსახატავად, რომლის ხორციელი განსახიერება არისო თამარ მეფე. ამით ავტორი შედარებას ახორციელებს აღმოსავლეთის ქვეყნებში ქალის მონურ მდგომარეობაზე. ქალის თავისუფლებას და მის მიმართ თაყვანისცემაზე საქართველოში გ. იოსელიანს ეს დასჭირდა პოემის ორიგინალობის საკითხთან დაკავშირებით (7, გვ. 3).

რუსთაველის სოციალურ შეხედულებაზე საუბარი გაზეთ „ივერიაში“ გამოქვეყნებულ წერილში თეოდოსიძის ავტორობით (სახელდახელო – „ვეფხისტყაოსნის“ დაწერის დროისათვის). საინფორმაციო მასალა ქიზიყელების შეკითხვის პასუხზე. შეკითხვა ეხებოდა პოემის დაწერის თარიღის გარკვევას ქიზიყელების შეკითხვა ასე ჟღერს:

„ყველას უკვირს, რომ „ქართლის ცხოვრებაში“ ამ წიგნზე („ვეფხისტყაოსანზე“ – ტ. მ.) ხმას არ იღებენ მემკვიდრეები. მართლაც, საკვირველი იქნებოდა, რომ ასეთ თხზულებაზე ხმა არავის ამოეღო, თუკი სწორედ თამარის დროს ყოფილიყო დაწერილი, ამიტომ დღეს ქიზიყში ბევრი ვფიქრობთ, რომ „ვეფხისტყაოსანი“ დაწერილია რამდენიმე საუკუნის შემდეგ დიდებულის თამარისა“.

ამ კითხვაზე პასუხი გაუცია თეოდოსიმეს, კერძოდ, ქიზიყელები დაურწმუნებია იმ მიზეზში, რასაც გამოუწვევია რუსთაველზე და „ვეფხისტყაოსანზე“ „ქართლის ცხოვრების“ დუმილი, „ვეფხისტყაოსანზე“ იმიტომ არა არის – რა ნათქვამი ქართლის მატყანეებში, რომ ამ წიგნის მოხსენება აკრძალული უნდა ყოფილიყო, რაც იმით აიხსნება, რომ „ვეფხისტყაოსანი“ წოდებრიობის გადაღახვის ქადაგებაა, რასაც მაღალი წოდება უნდა აემხედრებინოს, რომელიც თანასწორობის ქადაგებაში თავისი კლასობრივი უფლებების შეღავათს ხედავდა, გავცნოთ სიტყვა-სიტყვით თეოდოსიმის პასუხს, სადაც გამოკვეთილია რუსთაველის სოციალურ-საზოგადოებრივი იდეოლოგია:

„რუსთაველი კი იმ დროს, მეთორმეტე საუკუნეში, თავისი სპეტაკის ჭკუით, ნათელის გრძნობითა და უუდიდესის ნიჭიერებით ებრძვის ამისთანა ცრუ ამპარტავნობას, აღმერთებს სუფთა გრძნობას სიყვარულისა და ჰქადაგებს, რომ ნამდვილი სიყვარული არ უნდა შეეგუოს ცრუ რწმენას, გადააბიჯოს შთამომავლობას, გვარიშვილობას და ემბედეს კაცში ადამიანს, როგორც მოიქცა თინათინი, შეფის ქალი, რომელიც შეუუღლდა თავის კარის კაცს, მშვენიერს ავთანდილს და როგორც ნესტან-დარეჯანი, რომელმაც არ ინდობა ქმრად არც ერთი ხელმწიფე და მისცა თავისი სული, გული და სამაგალითო სიყვარული თავის ქვეშევრდომს ტარიელს“ (5, 4; შდრ. 12, გვ. 127).

კვლავ დავუბრუნდეთ რუსთაველის ფილოსოფიას და „ვეფხისტყაოსნის“ ფილოსოფიურობისთვის აქცენტის გაკეთებას. ნიკოლოზ გულაკის ნარკვევში „რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ“ ხაზგასმულია პოეტის ქრისტიანული იდეები და პლატონის ფილოსოფიასთან ზიარება. მინიშნებულია პერსონაჟების ქრისტიანობაზე და პლატონის ფილოსოფიის ცოდნაზე: „აღსანიშნავია, რომ პოემაში როსტევანისა და მის ქვეშევრდომთა მუსულმანობა არ ჩანს, პირიქით, „ვეფხისტყაოსნის“ ზოგი ადგილის მიხედვით შეიძლება დავასკვნათ, რომ ისინი ქრისტიანები არიან და იცნობენ პლატონის ფილოსოფიას. ასე, მაგალითად, ანდერძში, რომლითაც ავთანდილი მეფეს აუწყებს არაბეთიდან თავისი ნებით წასვლას, იგი წერს:

„წაგიკითხავს სიყვარულსა მოციქულნი რაგვარ წერენ,

ვით იტყვიან, ვით აქებენ, ცან ცნობანი მიაფერენ.

„სიყვარული აგვამალლებს“, ვით ეჟვანი ამას ჟღერენ“.

როგორც ვნახეთ, ნ. გულაკი აქცენტს აკეთებს რუსთაველის მიერ დიდი ფილოსოფოსის პლატონის სახელის მოხმობაზე: „მე სიტყვასა ერთსა გკადრებ პლატონისგან სწავლა-თქმულსა: „სიცრუე და ორპირობა ავნებს ხორცსა, მერმე სულსა“ (11, გვ. 142-143).

როგორც ვიცით, ძმებმა თავართქილაძეებმა ოზურგეთში და ბათუმში გამოსცეს „ვეფხისტყაოსანი“ მათივე წინასიტყვაობით („წინასიტყვაობისებური“) 1899 წელს. ამჯერად დაგვაინტერესა ერთმა გამონათქვამმა პოემაზე“ ის დიდებული პოეტური სურათები და მეცნიერულ-ფილოსოფიური აზრები, რომელიც მაგნიტივით იზიდავს მკითხველს“ (2,4). ჩვენთვის ამ სიტყვა-თქმაში მნიშვნელოვანია რუსთაველის თხზულებაში ფილოსოფიური აზრისთვის ყურადღების მიპყრობა, რითაც წინასიტყვაობის ავტორებმა მიგვანიშნეს რუსთაველის ფილოსოფიურ მსოფლმხედველობაზე.

ტრადიციული გადმოცემების გამეორებით ალ. ხახანაშვილი გვამცნობს, რომ რუსთაველი საბერძნეთში დაუფლებია პლატონის ფილოსოფიას: „საბერძნეთში რუსთაველმა გაიცნო პლატონის ფილოსოფია, ჰომეროსის პოემები, შეისწავლა ღვთისმეტყველება, რიტორიკა და პოეტიკა–უმთავრესი საგნები შუა საუკუნეების განათლებისა“ (10, გვ. 217).

ალ. ხახანაშვილი „ვეფხისტყაოსნის“ შეფასებისას ცხადია, მხედველობიდან არ უშვებს რუსთაველის ფილოსოფიურ დაკვირვებებს: „რუსთაველის პოემა იყო შვიდი საუკუნის განმავლობაში ერის ზნეობით აღმზადდელს წყაროდ, სახარება–დავითთან აწ წასაკითხ წიგნად, უაღრეს სიღრმემდის პოეტის მიერ სულის მოძრაობის ანალიზი და ახსნა, შეუდარებელი ნარნარი ლექსთ წყობა და მდიდარი გამომეტყველები ენა, ფილოსოფიური დაკვირვება და სპეტაკი გრძნობით შემოსილი კეთილშობილი იდეა, დედააზრი შეადგენენ განსაკუთრებით თვისებას „ვეფხისტყაოსნისას“.

ზ. მთაწმინდელი (ზაქარია ჭიჭინაძე) თავის წიგნში „შოთა რუსთაველი“ შთამბეჭდავ ადგილს უთმობს რუსთაველის ბიოგრაფიის დადგენას. დავიმოწმებთ ზოგიერთ ნაწყევტს: „მეცხრამეტე საუკუნის საქართველოს ისტორიის მწერალნი დაბეჯითებით და დაჭმმარიტებით მოგვითხრობენ, რომ შოთა რუსთაველი ათინაში სწავლობდაო... იგი შესულა იქაურ ფილოსოფიურ სკოლაში, სადაც განვითარებულა როგორათაც ელინურს და ლათინურს ენებში, ეგრეთვე ფილოსოფოსთა წიგნებში და მჭერმეტყველებაში (16, გვ. 13).

ზაქარია ჭიჭინაჯე იმოწმებს ვინმე „ძველ მელექსეს“, რომელიც წერდა თურმე: „რუსთველის ცალი პიტიკოსი ჩვენში არავინ ყოფილაო. ეს პიტიკოსობა მას საბერძნეთის ფილოსოფოსთაგან შეუსწავლია და შემდეგ ის დაბრუნებულია საქართველოში; მაღალითა სათნოებითა სავსე, ბრძენი, რიტორი, ენა წყლიანი, ფილოსოფოსი. ღრმად გამომეტყველი, სიტყვა მჭეხი, ფილოსოფიასა შინა უაღრესობით განსწავლული (16, გვ. 14), „შოთა რუსთაველი ათენელთა ფილოსოფოსთაგან სწავლობდა“ (16, გვ. 17).

ჩვენ სპეციალურად გავხაზეთ ზ. ჭიჭინაძის წიგნიდან მიტანილ ნაწყვეტებში სიტყვა „ფილოსოფია“. ავტორს არ უკვლევია რუსთაველის ფილოსოფიური მსოფლმხედველობანი, მაგრამ მის მიერ ცნება „ფილოსოფიის“ არაერთხელ მოხმობა, რუსთაველისათვის „ფილოსოფოსის“ წოდება აშკარად მიგვანიშნებს ზ. ჭიჭინაძის მხრიდან გენიალური პოემის ფილოსოფიური იდეებით გაჯერებაზე, პოეტის ფილოსოფიურ მსოფლმხედველობაზე.

XIX საუკუნეში რუსთაველის რელიგიურ მსოფლმხედველობაზეც მახვილდება ყურადღება. როგორც ცნობილია, ეს საკითხი XVIII საუკუნის დამდეგს ვახტანგ მეექვსის ინტერესის სფეროში მოექცა. მან თავის კომენტარებში („თარგმანი“) რუსთაველი ქრისტიან პოეტად აღიარა, ხოლო რუსთველური მიჯნურობა საღმრთო სიყვარულად გამოაცხადა და მისტიკურ-ალეგორიულ სამოსელში გაახვიო.

XIX საუკუნის 40-იანი წლების დასაწყისში მარი ბროსემ დაუწუნა ვახტანგ მეექვსეს ამგვარი პოზიცია. ამ თვალსაზრისით ვახტანგის კომენტარებს „უმესაბამო და უხამსი“ უწოდა: „სადაც რუსთველის აშკარაზე სწერს. ვახტანგ შეფე თავისის განმარტებაში ამბობს, რომ ეს საღმრთო ცხოვრებაზე უთქვამსო, ხოლო თვითოეულმა იცის, რომ „ვეფხისტყაოსანი“ ზღაპარია და არა საღმრთო წერილი. აგრეთვე მრავალს მოქმედებასა „ვეფხისტყაოსნისასა“ განმარტებს საღმრთო წერილთა და სხვა“ (9, გვ. 63). ბროსეს ეს სიტყვები პოემის 1841 წლის გამოცემის წინასიტყვაობიდანაა, რაც მასვე ეკუთვნის. „წინასიტყვაობაში“ ფრანგ ქართველოლოგს არაფერი უთქვამს, საერთოდ, რუსთაველის რელიგიურ მსოფლმხედველობაზე, არ პოემაზე დაწერილ სხვა ნარკვევებშიც ერთი სიტყვა არ დასცდენია მასზე. როგორც ვნახეთ, მან უგულვებელყო ვახტანგის „თარგმანი“ პოემის „გაღვთაებრიობის“ შესახებ და მტკიცედ განაცხადა, რომ „ვეფხისტყაოსანი“ საერო ლიტერატურული ძეგლია და არა საღმრთო წერილი. ეს ყველასათვის გასაგებია, მაგრამ პოემაში პოეტის რელიგიური განწყობის, საერთოდ, რელიგიურობის დაუნახველობა, ან მასზე ზოგადად მაინც ყურადღების გაუმახვილებლობა მოულოდნელი ჩანს და საკვირველიც თხზულების ისეთი დიდი მცოდნისაგან, როგორიც იყო მარი ბროსე.

„ვეფხისტყაოსანზე“, როგორც ქრისტიანული იდეებით გამსჭვალულ პოემაზე, საუბრობს პლატონ იოსელიანი გაზეთ „ზაკავკასი ვესტნიკში“ დაბეჭდილ წერილში – „რუსთაველის ქრისტიანობა“ (12, 20). გურამ შარაძეს მოვუსმინოთ: „რაც შეეხება რუსთაველის რელიგიურ აღმსარებლობას, პლატონ იოსელიანი მას უყოყმანოდ ქრისტიანად, ქრისტიანული მსოფლგაგების პოეტად მიიჩნევს და თვით ვეფხისტყაოსანს ქრისტიანული იდეებით გაჟღენთილ პოემად აცხადებს. პლატონ იოსელიანის შეხედულებით – განაგრძობს გ. შარაძე, – ღრმა ქრისტიანულმა მიდრეკილებებმა აიძულა პოეტი ბერად აღკვეცილ იყო იერუსალიმის ჯვრის მონასტერში“ (17, გვ. 122).

დავით ჩუბინაშვილი წერს: „ვახტანგი ფიქრობდა და ამტკიცებდა, რომ ეს პოემა არის ალეგორია, შექმნილი კაცთა ჭკუის სასწავლებლად. რუსთაველი, ვითარც ქრისტიანი პოეტი და ფილოსოფოსი, ღვთისმოსავი თამარ მეფის“... მან „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემას დაურთო – თავისი შენიშვნები, რომლებშიც თავისებურად განმარტავს ავტორის გამოთქმებს და უკავშირებს მათ ბიბლიის ტექსტსა და სახარების მოძღვრების წესებს“ (10, გვ. 197).

დავით ჩუბინაშვილი იწონებს ვახტანგისეულ კომენტარებს, როგორც კეთილი განზრახვით ნაკარნახევს და შესრულებულს. თუმცა შენიშნავს: პოემის განმარტებისას ვახტანგი ზოგჯერ აშკარად აჭარბებს. იყენებს ბიბლიურ ტექსტებს იქ, სადაც პოემა მათგან სავსებით დაშორებულია და ავტორს სულ სხვა რამ აქვს ნაგულისხმევი. დავით ჩუბინაშვილს უხერხულად ეჩვენება „ვეფხისტყაოსნის“ რაღაც მისტიკურ ქრისტიანულ პოემად წარმოსახვა (10, გვ. 197).

დავით ჩუბინაშვილს პოემის განხილვისას მრავალი ადგილი ებრაელთა სასულიერო პოეზიას აგონებს და სხვა თხზულებებს: „რუსთაველის პოემის განხილვისას, ერთი მხრივ, ვპოულობთ მრავალ ადგილს, რომელიც გვაგონებს ებრაელთა სასულიერო პოეზიას, ჰომეროსს, დასავლეთის მწერლებს, ხოლო ფილოსოფოსთა დამოწმება, ზოგან აშკარად, სახელით, ზოგან კი ფარულად, ოღონდ ისე, რომ ადვილია მათი ამოცნობა, ნათელყოფს ავტორის მიერ კლასიკური ლიტერატურის ცოდნას“ (10, გვ. 197).

ე. სტალინსკის შოთა რუსთაველი მიაჩნია მშობელ ხალხში ქრისტიანული ცივილიზაციის დამნერგავად. „შოთა რუსთაველი იყო იმ პირველ პიონერთა რიცხვში, რომელნიც თავის ხალხში ქრისტიანულ ცივილიზაციას წერგავდნენ (10, გვ. 211).

სამწუხაროდ, რუსთაველზე გაბოროტებული ტიმოთე გაბაშვილი გენიალურ ქართველ პოეტს, ჭეშმარიტად ქრისტიან შემოქმედს ქრისტიანობის გამრყენელს უწოდებდა: „ესე იყო მთქმელი ლექსთა

ბოროტთა, რომელმან ასწავა ქართულთა სიწმინდისა წილ ბოროტი ბილწება და განჰბრუნა ქრისტიანობა“.

გაზეთ „კავკაზში“ გამოქვეყნებულ წერილში „შოთა რუსთაველი“ პლატონ იოსელიანი საუბრობს პოემის რელიგიაზე. ავტორის ქრისტიანობაზე, მის ქრისტიანულ ლიტერატურულ გარემოში ყოფნაზე. რუსთაველის მიერ დავით წინასწარმეტყველის ფსალმუნებით სარგებლობაზე, სახარებათა წიგნების გამოყენებაზე. ასევე, წყაროდ ასახელებს ბასილი დიდის თხზულებათა ქართულ თარგმანებს (8, გვ. 3).

1873 წელს პეტერბურგში ქვეყნდება ალექსანდრე ცაგარელის ნაშრომი „ქართული ენის გრამატიკული ლიტერატურის შესახებ“, სადაც ავტორი შეეხო „ვეფხისტყაოსანსაც“, კერძოდ, ვახტანგ მეექვსის მიერ 1712 წელს პოემის პუბლიკაციას. და მისთვის დართულ კომენტარებს: „1712 წელს თბილისში, ვახტანგის სტამბაში, დაიბეჭდა ქართული პოემა „ვეფხისტყაოსანი“. საღმრთო მიზანი, რომელიც ვახტანგმა დაისახა ქართული სტამბის დაარსებისას, სადაც უნდა დაბეჭდილიყო საეკლესიო და დიდაქტიკური წიგნები, აღნიშნული პოემის გამოცემაშიც აისახა. გამოცემას მან დაურთო თავისი კომენტარები, რომლებიც განსაკუთრებით იმ თვალსაზრისითაა საინტერესო, რომ ნათელყოფენ იმდროინდელ მოწინავე ადამიანთა გემოვნების სრულ დამახინჯებას ხელოვნების ნიმუშთა შეფასებისას და ქართული ლიტერატურის კლასიკური პერიოდის საუკეთესო თხზულების გაუგებლობას“. (10, გვ. 205)

ამის შემდეგ ა. ცაგარელი მსჯელობს „ვეფხისტყაოსნის“ ვახტანგისეულ კომენტარებზე: „მისი (ე.ი. ვახტანგის –ტ. მ) მტკიცებით, ეს პოემა საღმრთო ალეგორიეს წარმოადგენს თუმცაღა მოწოდებულია საერო სახით... სინამდვილეში აქ აღწერილიაო სულიერი სიყვარული ღმერთსა და ადამიანებს შორის. რუსთაველი, ვითარც ქრისტიანი პოეტი და ფილოსოფოსი, ღვთისმოსავაი თამარ მეფის, ორი კათალიკოსისა და მრავალი, ზნეობაზე გადაგებული სასულიერო პირის თვალწინ ვერ გაბედავდა დაუწერა უზნეო რამ. მისი მიზანი იყო წარმოედგინა ცოლქმრული ერთგულების სიმტკიცე და მეგობრობის ურყევობა. ადამიანური ცხოვრების ყოველგვარი გაჭირვების ჟამს. ამ სულისკვეთებითაა გაჟღერებული პოემის ყველა ადგილის ვახტანგისეული კომენტარები“ (10, გვ. 202).

როგორც ჩანს, ალ. ცაგარელი არ იზიარებს რუსთაველური ამქვეყნიური სიყვარულის საღმრთო მიჯნურობად გამოცხადებას: „თავისი აზრის დასამტკიცებლად იგი უდარებს პოემის ადგილებს საღმრთო წიგნებს და ქრისტიანული მოძღვრების წესებს, მაგრამ იჩენს ისეთ აშკარა მიკერძოებას. ამ შეფასებისას მოაქვს ისეთი მაგალითები, რომლებიც სრულიად საპირისპიროს მეტყველებენ და ეწინააღმდეგებიან თავსმოხვეულ მნიშვნელობებს“. (10, გვ. 202).

ნ. გულავის მიერ „ვეფხისტყაოსნის“ გმირების დახასიათებისას აღვნიშნეთ და კვლავ გავიმეორებთ, რომ ავტორი პოემის ზოგი ადგილის მიხედვით ასკვნის: როსტევანი და მისი ქვეშევრდომნი ქრისტიანები არიან და იცნობენ პლატონის ფილოსოფიას. რუსთაველი სარგებლობსო ფსალმუნთა წიგნით, თხზულებაში საიქიო ცხოვრების რწმენა ყოველ ნაბიჯზე გვხვდებაო (11, გვ. 142-143).

ამრიგად, რუსთაველის მსოფლმხედველობის და რელიგიის საკითხებზე დაკვირვება – მსჯელობანი სათანადო გამოვლინებას პოულობს XIX საუკუნის რუსთაველოლოგიურ ლიტერატურაში. თუმცა ეს ყოველივე მაინც ფრაგმენტულ ხასიათს ატარებს და შორს დგას სიღრმისეულ კვლევებისაგან. ჩვენთვის აქ მთავარი ის არის, რომ ეს საკითხები არ დარჩენილა უყურადღებოდ. რად ღირს მარტო პლატონ იოსელიანის მიერ შენიშნული ნეოპლატონიკური ნაკადი „ვეფხისტყაოსანში“, რაზეც მეოცე საუკუნეში არაერთი ნაშრომი დაიწერა ნიკო მარის, შალვა ნუცუბიძის, იუსტინე აბულაძის, შალვა ხიდაშელისა და სხვათა მხრიდან.

ლიტერატურა:

1. „ვეფხისტყაოსნის“ 1841 წლის სანკტ-პეტერბურგის გამოცემის წინასიტყვაობა მარი ბროსესი, გადაბეჭდილია წიგნში: რუსთაველი მსოფლიო ლიტერატურაში, I, თბ., 1976. ვსარგებლობთ ამ წიგნით.
2. შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, ძმები თავართქილაძეების გამოცემა, რომელსაც უძღვის მათივე „წინასიტყვაობისებური“, ბათუმი, 1899
3. გაზ. „დროება“, 1870, 21 მაისი
4. გაზ. „ზაკავკაზსკი ვესტნიკი“, 1849, 4 იანვარი
5. გაზ. „ივერია“, 1888, 9 იანვარი
6. გაზ. „კავკაზი“, 1880, 30 იანვარი
7. გაზ. „კავკაზი“, 1875, 14 მარტი
8. გაზ. „კავკაზი“, 1870, 30 იანვარი
9. რუსთაველი მსოფლიო ლიტერატურაში, I, თბ., 1976
10. რუსთაველი მსოფლიო ლიტერატურაში, III, თბ. 1988
11. რუსთაველი მსოფლიო ლიტერატურაში, IV, თბ., 1985

12. გ. იმედაშვილი, რუსთველოლოგიური ლიტერატურა, თბ., 1857
13. ნ. გულაკი, რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ, წიგნში: რუსთაველი მსოფლიო ლიტერატურაში, IV, თბ., 1985
14. პლ. იოსელიანი, რუსთველის ქრისტიანობა, გაზ. „ზაკავკასკი ვესტნიკი“, 1849, 4 იანვარი
15. შ. მაჭავარიანი, რუსთველის მსოფლმხედველობის კვლევის ისტორია, თსუ სტუდენტთა სამეცნიერო შრომების კრებული, II, თბ., 1944
16. ზ. მთაწმინდელი (ზაქარია ჭიჭინაძე), შოთა რუსთაველი, თბ. 1884
17. გ. შარაძე, პლატონ იოსელიანი – რუსთველოლოგი, თბ., 1980
18. დ. ჩუბინაშვილი, ქართული პოემა „ვეფხისტყაოსანი“, წიგნში: რუსთველი მსოფლიო ლიტერატურაში, თბ., 1988
19. ა. ცაგარელი, ქართული ენის გრამატიკული ლიტერატურის შესახებ, წიგნში: რუსთაველი მსოფლიო ლიტერატურაში, III, თბ., 1988

Tite Mosia

Sokhumi State University

CONCERNING THE QUESTIONS OF THE WORLD OUTLOOK OF THE POEM "STRETCH IN THE PANTHER'S SKIN" IN THE 19TH CENTURY RUSTVELOLOGY RESUME

In the 21st century Rustvelologists, in addition to all other issues, the problem of Rustaveli's outlook became an object of observation. It is about the social, philosophical and religious views of the poet. This issue was not only interested in Georgian, but also foreign figures, those who were overly in love with the poem "Stretch in the Panther's Skin". Naturally, the observations and arguments about the poem "The Stuff in the Panther's Skin" are not distinguished by profound research and special achievements on them, as it was in the twentieth century, although the interest in this problem, even if fragmentary partial considerations and notes already require attention. What is costed by one hint of Platon Ioseliani on the neoplatonic direction in the poem by Rustaveli that has inspired Nicko Mahr, Iustine Abuladze, Silovan Khundadze, Shalva Nutsbidze, Shalva Khidasheli and so on in order that they have strengthened work in this direction. The main thing to note is that it was in the XIX century that the foundation of history was laid for the study of the world view of Rustaveli, which earlier in the XX century acquired immense proportions and achievements in this direction embraced the whole world.

ავთანდილ ნიკოლეიშვილი

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

რაფიელ დანიბეგაშვილის „მოგზაურობა ინდოეთში“, როგორც მოგზაურული ჟანრის ნარატივი

როგორც ცნობილია, XVIII-XIX საუკუნეების ქართველ მწერალთა და მოგზაურთა მიერ შექმნილ მოგზაურული ჟანრის უკლებლივ ყველა ნაწარმოებში მათი ავტორები ევროპაში, მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნებსა და რუსეთის იმპერიის ცალკეულ რეგიონში მათი მოგზაურობის ამსახველ შთაბეჭდილებებს ასახავენ. ამ თვალსაზრისით არსებითად განსხვავებულ შემთხვევას წარმოადგენს რაფიელ დანიბეგაშვილის „მოგზაურობა ინდოეთში,“ რომელშიც აზიის ქვეყნებში მისი ოცდათორმეტწლიანი მოგზაურობის ამბავია მოთხრობილი.

რ. დანიბეგაშვილის მოგზაურული შთაბეჭდილებები არა მარტო თავისი გეოგრაფიული არეალით განსხვავდება წინამორბედ და ავტორის თანამედროვე ქართველ მწერალთა მიერ შექმნილი ამ ჟანრის ტექსტებისგან, არამედ ამ მოგზაურობის განმაპირობებელი გარემოებებითაც.

კერძოდ, თუ უცხოეთში ხსენებულ ავტორთა მოგზაურობის უმთავრესი მიზანი რელიგიური და სახელმწიფოებრივი ფაქტორებით იყო განპირობებული, რაც სათანადოდ წარმოჩინდა კიდევ ამ მოგზაურობის ამსახველ მათ ტექსტებში, რ. დანიბეგაშვილის მოგზაურულ შთაბეჭდილებებში აღნიშნულ გარემოებებს ნაკლები ყურადღება აქვს მიქცეული და ავტორის უმთავრეს მიზანს მკითხველისათვის მის მიერ მონახულებულ ქვეყნებთან დაკავშირებით ზოგადი ცნობების მიწოდება წარმოადგენს.

აქედან გამომდინარე, რ. დანიბეგაშვილის მოგზაურული შთაბეჭდილებები ზემოთ ნახსენებ მწერალთა ანალოგიური ჟანრის ნაწარმოებებისაგან განსხვავებით, ქართულ რეალობას ნაკლებად (უფრო მკაცრად თუ ვიტყვით, საერთოდ არ) მიემართება და დღესდღეობით იგი ჩვენს ლიტერატურაში აღნიშნული ჟანრის ისტორიასთან დაკავშირებულ საკითხთა გააზრების თვალსაზრისით უფრო მეტადაა საინტერესო, ვიდრე ჩვენი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი პრობლემების წარმოჩენით.

თუმცა რ. დანიბეგაშვილის ცხოვრებისა და შემოქმედების მკვლევართა აზრით, აზიის ქვეყნებში მწერლის ესოდენ ხანგრძლივი მოგზაურობის უმთავრეს მიზანს, გარდა პირადად მისი ინტერესის საგნად ქცეული სავაჭრო-ეკონომიკური საქმეებისა, პოლიტიკურად და სახელმწიფოებრივად მნიშვნელოვანი საკითხების მოგვარებაც წარმოადგენდა. ამ თვალსაზრისით რ. დანიბეგაშვილს ისინი იმ საქმიანობის გამგრძელებლადაც მიიჩნევენ, რასაც ქართლ-კახეთის სამეფო კართან დაახლოებული მისი წინაპრები ეწეოდნენ აღნიშნული მიმართულებით.

მაგალითად, აი, რას წერს ამასთან დაკავშირებით კობა ხარაძე: “დანიბეგაშვილების გვარი მიეკუთვნებოდა შთამომავლობითი ვაჭარ-დიპლომატების მოდგმას, რომლებიც ახორციელებდნენ შორეულ ქვეყნებთან (კერძოდ ინდოეთთან) ეკონომიურსა და პოლიტიკურ კავშირურობას... ვაჭრობის პარალელურად დანიბეგაშვილების გვარი ასრულებდა დიპლომატიურ დავალებებს, რომლებსაც მათ აკისრებდნენ ქართლ-კახეთის მეფეები. ჩვენი მოგზაურის პაპა – რაფიელ პირველი დადიოდა ინდოეთში მეფე თეიმურაზ მეორის დავალებით, ხოლო მამა იოსებ პირველი ემსახურებოდა ერეკლე მეორეს.

XVIII საუკუნის 80-90-იან წლებში იოსებ პირველი დანიბეგაშვილი ამყარებდა კავშირს მეფე ერეკლე მეორესა და ინდოეთის ქალაქ მადრასში მცხოვრებ მდიდარ სომეხ ვაჭარ იაკობ შაჰ-ამირიანს შორის. ეს ურთიერთობა ემორჩილებოდა ქართველი მეფისა და სომეხი ნეგოციანტის (დიდი ვაჭარი, სოფდაგარი) ერთობლივ იდეას, რომელიც მდგომარეობდა სხვადასხვა ქვეყანაში გაფანტული სომხების სამხრეთ კავკასიაში დაბრუნებაში, ლორის ზეგანზე დასახლებაში და შეერთებული ქართველ-სომეხთა სახელმწიფოს დაარსებაში” (ხარაძე, 2008: 18).

რ. დანიბეგაშვილის მოღვაწეობის მკვლევარნი – ქართველებიცა და უცხოელებიც – სათანადო საარქივო დოკუმენტებზე დაყრდნობით დამაჯერებლად უსვამენ ხაზს იმ გარემოებას, რომ ქართველმა მოგზაურმა მისი წინაპრების მიერ დაწყებულ ამ დიდ პოლიტიკურ საქმიანობას კიდევ უფრო მეტი მასშტაბები იმითაც შესძინა, რომ აზიის ქვეყნებში მოგზაურობის დროს იგი რუსეთის იმპერიის მესვეურთა მიერ მისთვის მიცემულ იმ დავალებათა შესასრულებლადაც იღვწოდა აქტიურად, რაც ხსენებული რეგიონის ქვეყნებთან, პირველ ყოვლისა კი ინდოეთთან, ამ სახელმწიფოს სავაჭრო-ეკონომიკური კავშირ-ურთიერთობის კიდევ უფრო მეტად განმტკიცებას გულისხმობდა.

კერძოდ, “ის ფაქტი, რომ დანიბეგაშვილი ყველა თავის მოგზაურობაში ახალ-ახალ მარშრუტებს გაივლიდა ხოლმე, მოწმობს, რომ მის წინაშე იდგა რუსეთ-ინდოეთის შემაერთებული საუკეთესო გზის მოძებნის ამოცანა. ეს გზა მაქსიმალურად ადვილი და მინიმალურად სახიფათო უნდა ყოფილიყო, რათა საფუძვლად დაედებოდა რუსეთის რეგულარულ სავაჭრო ურთიერთობას ინდოეთთან” (ხარაძე, 2008: 33).

მკვლევართა მიერ რ. დანიბეგაშვილისა და მისი წინაპრების პრაქტიკული საქმიანობის ამგვარ შეფასებაში გადაჭარბებული რომ არაფერია, ამას საქართველოსა და უცხოეთის არქივებში აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მიკვლეული დოკუმენტებიც ადასტურებს.

იმის გამო, რომ წინამდებარე ნაშრომის მიზანი რ. დანიბეგაშვილის ნაწარმოების, როგორც მწერლის მოგზაურულ შთაბეჭდილებათა ამსახველი ტექსტის, განხილვაა ქართულ მწერლობაში ამ ჟანრის დამამკვიდრებელ წინამორბედ ავტორთა შესაბამის ქმნილებებთან მიმართებით, აღნიშნული მოგზაურობის განმაპირობებელ ფაქტორებზე ყურადღებას მეტად აღარ გავამახვილებ და საუბარს მხოლოდ ნაწარმოებზე გავაგრძელებ.

თუმცა მანამდე რამდენიმე სიტყვა თავად რ. დანიბეგაშვილის ბიოგრაფიაზეც მინდა ვთქვა: დაიბადა 1778 წელს ქართლ-კახეთის სამეფო კართან დაახლოებული ვაჭრის ოჯახში. როგორც ითქვა, აქტიურ კომერციულ საქმიანობაში რაფიელი ადრიდანვე ჩაერთო, რის შედეგადაც

გამუდმებით უწევდა მოგზაურობა აზიის შორეულ ქვეყნებში. კერძოდ, როგორც ცნობილია, ამ ქვეყნებში მან ხუთჯერ იმოგზაურა: 1795-1796, 1797-1798, 1799-1814, 1815-1820 და 1822-1827 წლებში – სულ, ჯამურად, 32 წლის განმავლობაში.

იმისათვის, რომ უფრო ნათელი წარმოდგენა შეგვექმნეს რ. დანიბეგაშვილის მოგზაურობის გეოგრაფიულ მასშტაბებზე, რაც იმ დროისათვის ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე უნდა შეფასდეს უპრეცედენტო მოვლენად, არასრული სახით დავასახელებ იმ ქვეყნებს, რომლებიც მან ამ მოგზაურობათა შედეგად შემოიარა: თურქეთი, სირია, ერაყი, ინდოეთი, ბირმა, პაკისტანი, ავღანეთი, ჩინეთი, რუსეთი...

იმის გამო, რომ ამ მოგზაურობის დროს რ. დანიბეგაშვილს, გარდა პირადად მისი სავაჭრო-ეკონომიკური საქმიანობისა, ჩვენი ქვეყნისა და რუსეთის იმპერიის მესვეურთა დავალებების მოგვარებაც ჰქონდა დაკისრებული, მისი მოგზაურობაცა და ამ მოგზაურობის ამსახველი წიგნიც, რომელიც პირველად 1815 წელს გამოიცა მოსკოვში, არა მარტო ქართველ, არამედ უცხოელ მკვლევართა ცხოველი ინტერესის საგნადაც იქცა. კერძოდ, რ. დანიბეგაშვილის სავაჭრო-კომერციული და პოლიტიკურ-დიპლომატიური საქმიანობის შესასწავლად ბევრი რამ გააკეთეს ზ. ჭიჭინაძემ, ა. ხახანაშვილმა, ლ. მარუაშვილმა, გრ. ზარდალიშვილმა, ს. იორდანიშვილმა, ტ. რუხაძემ, შ. მესხიამ, კ. ხარაძემ, რ. ორბელმა, პ. მურადიანმა, ო. კარიშევმა, გ. გეხტმანმა და სხვა მკვლევრებმა.

მიუხედავად იმისა, რომ მათ ნაშრომებში სათანადო წერილობით მასალებსა და საარქივო დოკუმენტებზე დაყრდნობითაა წარმოჩენილი რ. დანიბეგაშვილის მოღვაწეობის მნიშვნელოვანი მხარეები, ზოგიერთი მკვლევარი არსებითად მცდარ მოსაზრებასაც გამოთქვამს მის ეროვნებასთან და განსახილველი ნაწარმოების შექმნის ენასთან დაკავშირებით. ამ თვალსაზრისით უპირველეს ყოვლისა სომეხი მკვლევარი პ. მურადიანი უნდა გავიხსენოთ, რომელიც 1973 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში ამტკიცებს, რომ რ. დანიბეგაშვილი ეროვნებით სომეხი იყო, მისი ნაწარმოების ორიგინალი კი სომხურ ენაზეა დაწერილი და სწორედ აქიდან არის თარგმნილი ქართულ და რუსულ ენებზე.

პ. მურადიანის ეს მოსაზრება მყარ მეცნიერულ არგუმენტებზე დაყრდნობით უარყო კობა ხარაძემ და დამაჯერებლად დაასაბუთა ამგვარი შეხედულების სრული უსაფუძვლობა (ამასთან დაკავშირებით იხ: ხარაძე, 2008: 40-42).

სამწუხაროდ, რ. დანიბეგაშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ბევრი დეტალი, მათ შორის მისი გარდაცვალებისა და დაკრძალვის ადგილიც, ჯერ-ჯერობით უცნობია.

ჩვენამდე არც “მოგზაურობის” ქართული ორიგინალია მოღწეული. როგორც ითქვა, ნაწარმოების პირველი გამოცემა ჯერ კიდევ 1815 წელს, ავტორის სიცოცხლეში, განხორციელდა მოსკოვში, რუსულ ენაზე. აღნიშნული გამოცემის ტექსტი ორიგინალიდან რუსულად უთარგმნია არუთინ ალამდარიანს, რომელიც იმხანად მოსკოვის სასულიერო აკადემიაში სწავლობდა.

ქართველ მკვლევართა აზრით, რ. დანიბეგაშვილის “მოგზაურობის” რუსული ტექსტი მის ქართულ ორიგინალთან შედარებით შემცირებულიც შეიძლება იყოს და გარკვეულწილად შეუსაბამოც. მიუხედავად იმისა, რომ ავტორი თავისი მოგზაურობის საწყის ქრონოლოგიურ მიჯნად 1795 წელს ასახელებს, რითაც ისეთ შთაბეჭდილებას გვიქმნის, თითქმის მისი მონათხრობი მხოლოდ მწერლის პირველი მოგზაურობის პერიოდს – 1795-1796 წლებს – მოიცავს, სინამდვილეში ეს ასე არ არის და რ. დანიბეგაშვილი გარკვეულწილად თავის მომდევნო (1797-1798 და 1799-1814 წლების) მოგზაურობათა შთაბეჭდილებებსაც გვიაშშობს სათანადო წლების მიუთითებლად.

რ. დანიბეგაშვილისა და მისი “მოგზაურობისადმი” ქართველ მკვლევართა განსაკუთრებული ინტერესი არა მარტო აღნიშნული ნაწარმოების მეცნიერული კვლევა-ძიების კუთხით გამოვლინდა, არამედ ქართულ ენაზე მისი რამდენჯერმე გადმოთარგმნითაც. კერძოდ, დღესდღეობით რ. დანიბეგაშვილის “მოგზაურობის” სამი ქართული თარგმანი და გამოცემა არსებობს – სოლომონ იორდანიშვილისა 1950 წელს, გრიგოლ ზარდალიშვილისა 1971 წელს და ლევან მარუაშვილისა 1963 და 2008 წლებში.

რ. დანიბეგაშვილის წიგნისადმი ამგვარი ინტერესის განმაპირობებელ ფაქტორად ქართველ მკვლევართა ერთი ნაწილი იმ გარემოებასაც მიიჩნევს, რომ იგი ლიტერატურული ოსტატობის მხრივაც საკმაოდ ფასეულ ნაწარმოებს წარმოადგენს. მაგალითად, სოლომონ იორდანიშვილის შეფასებით, “რ. დანიბეგაშვილის “მოგზაურობა ინდოეთში” მეტად საინტერესო ძეგლია ისტორიული, გეოგრაფიული და ლიტერატურული თვალსაზრისით.

იგი არ ჰგავს ჩვენში გავრცელებულ “წმინდა და სხუათა აღმოსავლეთის ადგილთა” იმ მომლოცველების ნაშრომებს (მკვლევარს სწორედ ერთ-ერთ ასეთ ნაწარმოებად მიაჩნია ტ.

გაბაშვილის “მიმოსლვა” – ა. ნ.), რომლებიც უმეტეს შემთხვევებში რელიგიური მიზნებით მიემგზავრებიან შავ მთასა თუ იერუსალიმს” (დანიბეგაშვილი, 1950: XII).

ჩემის აზრით, ს. იორდანიშვილის მიერ დამოწმებულ ფრაგმენტში გამოთქმული ეს მოსაზრება პრინციპულად მცდარია, რადგანაც ჩვენი ლიტერატურის ისტორიაში რ. დანიბეგაშვილის “მოგზაურობის” ისტორიული, გეოგრაფიული და ლიტერატურული მნიშვნელობისთვის ტენდენციურად დიდი მასშტაბების მისაცემად იგი სრულიად უსაფუძვლოდ აკნინებს წინამორბედი ავტორების იმ ქმნილებათა ღირსებებს, რომლებიც თავიანთი ისტორიული და ლიტერატურული მნიშვნელობით ბევრად აღემატება რ. დანიბეგაშვილის ნაწარმოებს.

ს. იორდანიშვილისაგან განსხვავებით, რ. დანიბეგაშვილის “მოგზაურობას” ნაკლებად მნიშვნელოვან მხატვრულ ნაწარმოებად მიიჩნევს ტრიფონ რუხაძე. მისი შეფასებით, იგი “თავისი დროის მხატვრულ გემოვნებაზე უფრო დაბლა მდგარ” ნაწარმოებს წარმოადგენს, რომელშიც “ამა თუ იმ ქალაქისა თუ მოვლენის დასახასიათებლად გამოყენებულია ერთი და იგივე სტანდარტული სიტყვები... მას არ გააჩნია თანამიმდევრობა მოვლენების გადმოცემაში... ავტორის ლექსიკა მეტად ღარიბია. შეიძლება ითქვას, რომ ნაწარმოებში მხატვრული გამოთქმა არ არის” (რუხაძე, 1939: 115).

ობიექტურად თუ განვსჯით, ტ. რუხაძის მიერ რ. დანიბეგაშვილის “მოგზაურობის” მხატვრულ მხარესთან დაკავშირებით გამოთქმულ შენიშვნათა უმეტესობა სიმართლეს წარმოადგენს და ხსენებული ნაწარმოები თავისი ლიტერატურული დონით მართლაც მნიშვნელოვანწილად ჩამორჩება წინამორბედ და შესაბამისი პერიოდის ქართველ ავტორთა მოგზაურული ჟანრის ნაწარმოებებს.

ტ. რუხაძის მართებული ხაზგასმით, ჩვენი ლიტერატურის ისტორიაში რ. დანიბეგაშვილის “მოგზაურობა ზემოთ ნახსენებ ავტორთა ანალოგიური ჟანრის ქმნილებებთან შედარებით ნაკლებ ტექსტად იმის გამოც უნდა მივიჩნიოთ, რომ იგი “ყველაზე ნაკლებ ცნობებს იძლევა საქართველოს შესახებ და კრინტსაც არ მრავს თავისი დროის საქართველოს ვითარებაზე” (რუხაძე, 1939: 115).

ეს გარემოება შეიძლება იმით იყოს განპირობებული, რ. დანიბეგაშვილის “მოგზაურობის” ორიგინალი ჩვენამდე რომ არ არის მოღწეული და იგი 1815 წელს რუსულ ენაზე გამოცემული წიგნის ქართულ თარგმანს წარმოადგენს. მკვლევართა დიდი ნაწილის ვარაუდით, მისი ქართული ორიგინალი კი მოცულობითაც შეიძლება უფრო დიდი ყოფილიყო და შინაარსობრივადაც მეტი მასშტაბების მომცველიც.

ალბათ, არ გადავაჭარბებთ, აქვე იმასაც თუ ვიტყვით, რომ ნაწარმოების რუსულენოვანი გამოცემიდან შესაძლოა მიზანმიმართულადაც კი იყოს ამოღებული ავტორის ეროვნულ-ქართული თვალთახედვის გამომხატველი ეპიზოდები, რაც ნაკლებად, ანდა სრულიად, უინტერესო იქნებოდა არაქართველი მკითხველისთვის.

ერთ-ერთი ყველაზე მეტად გამოკვეთილი ნიშანი, რითაც რაფიელ დანიბეგაშვილის “მოგზაურობა” აშკარად განსხვავდება წინამორბედ ქართველ ავტორთა მსგავსი ჟანრის ნაწარმოებთაგან, მისი მოჭარბებულად ინფორმაციულ-საცნობარო შინაარსია. მართალია, ეს ტენდენცია მოგზაურულ შთაბეჭდილებათა ამსახველ მათ ტექსტებშიც ვლინდებოდა მეტ-ნაკლები მასშტაბებით, მაგრამ ამ ნაწარმოებთა შემქმნელების ყურადღების ცენტრში პირველ ყოვლისა მაინც საკუთრივ საქართველოსთან დაკავშირებული ის მოვლენები იყო მოქცეული, რომლებიც დღევანდელი მკითხველისთვის გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია და საინტერესო, ვიდრე სხვა ქვეყნებთან დაკავშირებით მათ მიერ მოწოდებული ზოგადსაცნობარო სახის ინფორმაციები.

განსხვავებით დღევანდელი მკითხველისაგან, რომლისთვისაც რ. დანიბეგაშვილის “მოგზაურობა” უკვე არა მარტო ისტორიულ-გეოგრაფიული თვალსაზრისითაა ნაკლებად საინტერესო, არამედ ჩვენს ქვეყნის შესახებ მოწოდებულ ინფორმაციათა მეტისმეტი სიმცირის გამოც, ავტორის დროინდელი საზოგადოებისათვის იგი ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე უნდა მივიჩნიოთ უთუოდ მნიშვნელოვან დოკუმენტურ ტექსტად. რ. დანიბეგაშვილის მოგზაურულ შთაბეჭდილებათა ამგვარ შეფასებას არსებითად განსაზღვრავს ის ფაქტი, რომ შესაბამისი პერიოდის ქართველ და რუს მკითხველებს ხსენებული ტექსტის წაკითხვის შედეგად შესაძლებლობა ეძლეოდათ მრავალმხრივ საინტერესო ცნობები მიეღოთ მათთვის ნაკლებად, ანდა საერთოდაც უცნობ ქვეყნებთან დაკავშირებით.

კერძოდ, მწერალი მის მიერ ნანახი ქვეყნების შესახებ საუბრის დროს კონკრეტულ ინფორმაციებს გვაწვდის ისეთ საკითხებთან დაკავშირებით, როგორებიცაა: მათი ადგილმდებარეობა, ჰავა, საყოფაცხოვრებო და ეკონომიკური თვალსაზრისით არსებული ვითარება, მოსახლეობის რელიგიური აღმსარებლობა და ადათ-ტრადიციები, ევროპელ, პირველ ყოვლისა კი ინგლისელ, კოლონიზატორთა დამოკიდებულება ადგილობრივი მოსახლეობისადმი და ა. შ.

მიუხედავად იმისა, რომ ამ და მსგავს საკითხებთან დაკავშირებული ავტორისეული მონათხრობი ხშირ შემთხვევაში მეტისმეტად სქემატურიცაა და ფრაგმენტულიც, მათი მეშვეობით მაინც გვექმნება გარკვეული წარმოდგენა რ. დანიბეგაშვილის მიერ შემოვლილ ქვეყნებში არსებულ მდგომარეობაზე. მის ამ მონათხრობს მეტ დამაჯერებლობას ისიც სძენს, რომ მას ამ ქვეყნების ნაწილში მხოლოდ გავლით, კი არ უწევდა ყოფნა, არამედ იქ თვეობით, ინდოეთში კი წლობითაც, უხდებოდა ცხოვრება. აქედან გამომდინარე, მისეული მოგზაურული შთაბეჭდილებები ხსენებული ქვეყნების ისტორიული წარსულის შესასწავლადაც შეიძლება მივიჩნიოთ ფასეულ წერილობით წყაროდ.

ნაწარმოების ამ მხარისთვის ყურადღების მიქცევასთან ერთად, აქვე კიდევ ერთხელ აღვნიშნავ იმ ფაქტს, რომ თავისი მოგზაურული შთაბეჭდილებების მოთხრობის დროს რ. დანიბეგაშვილი საქართველოს შესახებ საერთოდ არ ამბობს რაიმეს. მიუხედავად იმისა, რომ მის მიერ შემოვლილ ქვეყნებს საქართველოსთან იმხანად არავითარი ურთიერთობა არ ჰქონდა, ისტორიულ წარსულში ზოგიერთ მათგანთან არსებული მეტ-ნაკლებად აქტიური დამოკიდებულება მაინც იძლეოდა საფუძველს საიმისოდ, ავტორს ამ მიმართულებითაც რომ გაემახვილებინა ყურადღება.

რ. დანიბეგაშვილის მონათხრობისათვის აღნიშნული თვალსაზრისით დამახასიათებელ ნაკლოვან მხარედ უნდა მივიჩნიოთ ის ფაქტიც, რომ იგი არც იმ ქართველთა შესახებ ამბობს რაიმეს, რომლებიც მის მიერ ნანახ ქვეყნებში ცხოვრობდნენ როგორც ადრინდელ პერიოდებში, ისე იმხანადაც. ერთ-ერთი მათგანი იყო ინდოეთში იმხანად მცხოვრები ჩვენი თანამემამულე, თავად რ. დანიბეგაშვილის ბიძა (მამის ძმა; გარდაიცვალა ქალაქ დელიში 1801 წელს), რომელიც მეტად წარმატებული თავისი სავაჭრო საქმიანობის გამო ნამდვილად იმსახურებდა იმას, ავტორისეულ მონათხრობში მის შესახებ მაინც რომ თქმულიყო რაიმე.

ნაწარმოების მნიშვნელოვან ხარვეზად ქვეყლი ამ მხარის გაცნობიერებას კიდევ უფრო მეტ სიმძაფრეს სძენს ის განსაკუთრებული ყურადღება, რომელსაც, ქართველებისაგან განსხვავებით, რ. დანიბეგაშვილი მის მიერ მონახულებულ ქვეყნებში მცხოვრები სომხების მიმართ ავლენს. როგორც მისი მონათხრობიდან ნათლად ჩანს, ინდოეთისა და აზიის სხვა ქვეყნების დიდ სავაჭრო ცენტრებში დამკვიდრებული სომხები ძირითადად აქტიურ სავაჭრო-კომერციულ საქმიანობას ეწეოდნენ და დიდი სიმდიდრის მფლობელები იყვნენ.

მაგალითად, ავტორის ინფორმაციით, ინდოეთში, მდინარე განგის ნაპირზე, მდებარე კალკადაში (დღევანდელ კალკუტაში), რომელიც “ფრიად დიდებულ და ლამაზ ქალაქს” წარმოადგენდა, ძალზე ბევრი სომეხი იყო დამკვიდრებული. ისინი “ძლიერ მდიდრულად და ფუფუნებით ცხოვრობდნენ და დიდ ვაჭრობას ეწეოდნენ უცხოელებთან” (აქაც და ქვემოთაც, რ. დანიბეგაშვილის “მოგზაურობიდან” ციტატების დამოწმების დროს, მითითებული იქნება მხოლოდ შესაბამისი გვერდი ამ ნაწარმოების კ. ხარაძისეული გამოცემიდან: ხარაძე, 2008: 159).

ანალოგიური მდგომარეობა ყოფილა ბირმაშიც, სადაც მცხოვრები სომხები “ძლიერ ცნობილნი იყვნენ თავიანთი სიმდიდრით” (გვ. 157).

რ. დანიბეგაშვილის “მოგზაურობაში” საქართველოსთან და ქართველებთან მიმართებით გამოვლენილი ინერტული დამოკიდებულების ფონზე კიდევ უფრო მტკივნეულად იკვეთება ავტორის აშკარად პრორუსული ინტერესები. კერძოდ, როგორც სამეცნიერო ლიტერატურაში სავსებით მართებულად ესმება ხაზი, ინდოეთსა და აზიის სხვა ქვეყნებში რ. დანიბეგაშვილის მოგზაურობათა განმაპირობებელ საფუძველს არსებითად განაპირობებდა ამ ქვეყნებთან რუსეთის იმპერიის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის კიდევ უფრო მეტად განმამტკიცებელ ახალ გზათა მოძიების მცდელობა. მაგალითად, კ. ხარაძის ხაზგასმით, “ის ფაქტი, რომ დანიბეგაშვილი ყველა თავის მოგზაურობაში ახალ-ახალ მარშრუტებს გაივლიდა ხოლმე, მოწმობს, რომ მის წინაშე იდგა რუსეთ-ინდოეთის შემაერთებელი საუკეთესო გზის მოძებნის ამოცანა. ეს გზა მაქსიმალურად ადვილი და მინიმალურად სახიფათო უნდა ყოფილიყო, რათა საფუძვლად დაედებოდა რუსეთის რეგულარულ სავაჭრო ურთიერთობას ინდოეთთან” (ხარაძე, 2008: 33).

აღნიშნულ გარემოებასთან ერთად, რ. დანიბეგაშვილის მოგზაურობათა განმაპირობებელ ერთ-ერთ უმთავრეს ფაქტორად მკვლევრები იმ გარემოებასაც აღნიშნავენ ხაზგასმით, რომ რ. დანიბეგაშვილის მიზანს აზიის ქვეყნებში მიმოფანტულ სომხებთან ურთიერთობის დამყარებაცა და კავკასიაში, კერძოდ კი საქართველოში, ჩამოსახლების აუცილებლობაში მათი დარწმუნებაც წარმოადგენდა.

რაც შეეხება ზემოთ უკვე აღნიშნულ იმ ინერტულ დამოკიდებულებას, რომელსაც ავტორი საკუთრივ ეროვნულ-ქართული საკითხებისადმი ავლენს, ეს გარემოება შესაძლოა იმით იყოს განპირობებული, რომ “მოგზაურობის” ავტორისეულ ხელნაწერს ჩვენამდე არ მოუღწევია და იგი ქართული დედნის შემოკლებულ რუსულ თარგმანს უნდა წარმოადგენდეს. 1815 წელს მოსკოვში

რუსულ ენაზე წიგნად დასტამბული ამ თარგმანიდან, რომლის გამოცემაც პირველ ყოვლისა რუსეთის იმდროინდელი სახელმწიფოებრივი ინტერესების წარმოჩენას ისახავდა მიზნად და რომელიც არაქართველი მკითხველისთვის იყო გამიზნული, ადვილი შესაძლებელია, მიზანმიმართულად ყოფილიყო ამოღებული ის ეპიზოდები, სადაც საქართველოსთან დაკავშირებული ამბები იქნებოდა მოთხრობილი.

როგორც ზემოთ უკვე ითქვა, რ. დანიბეგაშვილის მიერ თავისი მოგზაურული შთაბეჭდილებების მოთხრობის დროს მოწოდებულ ინფორმაციათა ის ნაწილი, სადაც ავტორი მის მიერ შემოვლილი ქვეყნების ადგილმდებარეობასთან, ბუნებრივ პირობებთან და მსგავს საკითხებთან დაკავშირებით გვაწვდის ზოგად ცნობებს, დღესდღეობით ნაკლებად ფასეულია. მაგრამ ნაწარმოების ის ეპიზოდები, რომელთა მეშვეობითაც მწერალი ამ ქვეყნების მკვიდრთა ადათ-ტრადიციებზე, ყოფა-ცხოვრებაზე, რელიგიურ რწმენა-წარმოდგენებზე, საკულტო ჩვეულებებსა და მათი ყოფისთვის მკაფიოდ დამახასიათებელ სხვა თავისებურებებზე საუბრობს, არა მარტო ისტორიული თვალსაზრისითაა საინტერესო, არამედ დღევანდელი მკითხველისთვისაც.

რ. დანიბეგაშვილის ინფორმაციით, ინდოეთში იგი 1795 წლის 15 მარტს მეფე ერეკლე მეორის დავალებით გამგზავრებულია. კერძოდ, ინდოეთის ქალაქ მადრასში მას უნდა მოენახულებინა იქ მცხოვრები მდიდარი სომეხი, რომელიც ქართველ მეფეს თურმე ყოველწლიურად უგზავნიდა საჩუქრებს. ამგვარი პატივისცემიური დამოკიდებულების გამო ერეკლეს მისთვის საჩუქრად გადაუცია სოფელი ლორე. მწერლის ხაზგასმით, ინდოეთში მისი პირველად გამგზავრების უმთავრესი მიზანი ხსენებული ვაჭრისთვის სწორედ ამ ბრძანების დამადასტურებელი სიგელის გადაცემა ყოფილა. თუმცა მადრასში ჩასულს ის სომეხი ერთი წლის გარდაცვლილი დახვედრია, რის გამოც აღნიშნული სიგელი მისი ვაჭიშვილისთვის გადაუცია.

იმის გამო, რომ აზიის ქვეყნებში სამოგზაუროდ მიმავალ რ. დანიბეგაშვილს თურქეთის სამხრეთ ნაწილშიც მოუხდა გავლა, მან ამ ქვეყნის შესახებაც მოგვაწოდა საგულისხმო ცნობები. კერძოდ, მისი მონათხრობის შედეგად, გარკვეული წარმოდგენა გვექმნება ოსმალეთის იმპერიის იმ ქალაქების ყოფა-ცხოვრებაზე, ეთნიკურ შემადგენლობასა და ეკონომიკური და რელიგიური თვალსაზრისით არსებულ მდგომარეობაზე, რომლებიც მან თავისი მოგზაურობის დროს მოინახულა.

პირველი ქალაქი, რომლის დახასიათებითაც რ. დანიბეგაშვილი თავისი მოგზაურული შთაბეჭდილებების თხრობას იწყებს, იმხანად ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობაში შემავალი სამცხე-საათაბაგოს მაშინდელი ადმინისტრაციული ცენტრი ახალციხეა. მწერლის ინფორმაციით, “თურქების ბატონობის ქვეშ მყოფ” ამ ქალაქში, სადაც იგი რამდენიმე დღის განმავლობაში დარჩენილა და იქაურობა უდიდესი ინტერესით დაუთვალიერებია, მას “არაფერი უნახავს ისეთი, რომ განსაკუთრებული ყურადღების ღირსი” იქნებოდა. მისი ინფორმაციით, იმდროინდელ ახალციხეში, რომელიც “სივრცით” პატარა ქალაქს წარმოადგენდა, “დიდებული შენობები სრულიად არ მოიპოვებოდა; მცხოვრებნი კი მცირე ქონებისანი იყვნენ. მათ მთავარ საქმიანობას წარმოადგენდა ხილეულის გაყიდვა, რითაც ქალაქი საკმაოდ მდიდარი იყო” (გვ. 144).

ესაა და ეს. სამწუხაროდ, რ. დანიბეგაშვილის “მოგზაურობაში” საქართველოსთან და ქართველებთან დაკავშირებით ამის მეტი უკვე აღარაფერია ნათქვამი.

შემდეგი ქალაქი, რომელიც ინდოეთისაკენ მიმავალ მწერალს მოუწია მოგზაურობა, არზრუმი იყო. ავტორის ინფორმაციით, თავისი ბუნებრივი მდებარეობითა და სილამაზით გამორჩეულად თვალწარმტაცი ეს ქალაქი ახალციხეს არა მარტო სიდიდით აღემატებოდა, არამედ იმითაც სჯობდა, რომ “დამკვლევლები ნაგებობანი მასში სრულიად არ მოიპოვებოდა.” ამ გარემოების განმაპირობებელ უმთავრეს ფაქტორად რ. დანიბეგაშვილი იმ ფაქტს მიიჩნევს, რომ “მისი მცხოვრებნი ფრიად მშრომელნი და მდიდარნი იყვნენ და ცდილობდნენ, ერთიმეორეზე უკეთესი სახლები ჰქონოდათ” (გვ. 144).

ქალაქ არზრუმიდან გამგზავრების შემდეგ რ. დანიბეგაშვილს ვანის ტბის დასავლეთით მდებარე პატარა ქალაქ მუშში გაუვლია. ერთადერთი ღირსშესანიშნაობა, რომელიც მას იქ უნახავს, **იოანე ნათლისმცემლის სახელობის ეკლესია** ყოფილა. აი, რა ინფორმაციას გვაწვდის იგი ამასთან დაკავშირებით: “მუში არ არის დიდი ქალაქი. მისგან ოცდაათ ვერსზე იმყოფება ღვთის ნათლისმცემლის იოანეს კუბო. ამ კუბოში განისვენებენ წმინდა მკალნი იესოს ამ დიდი წინასწარმეტყველისა. იმ საფლავზე, რომელშიც კუბო დგას, წინამორბედის სახელობის დიდებული ეკლესიაა აგებული, კარგი სამრეკლოთი და ეს ნაგებობანი როგორც თავიანთი ლამაზი ხუროთმოძღვრებით, ასევე იმიტომაც, რომ მთაზე არიან წამოდგმულნი, მშვენიერ სანახაობას წარმოადგენენ. ამ მთის ზოგიერთი ადგილიდან გამოედინება სამკურნალო წყაროები. ბერები,

რომლებიც ხსენებულ ეკლესიაში ღვთისმსახურებას ასრულებენ, მხოლოდ მოხარშული სარკიონოზული ხორბლით (წიწიბურათი – ა. ნ.) იკვებებიან” (გვ. 145).

როგორც დამოწმებული ფრაგმენტითაც ვრწმუნდებით, ოსმალეთის იმპერიის ამ რეგიონში, რომელიც ქვეყნის განაპირა ნაწილში მდებარეობდა, XVIII საუკუნეში არა მარტო ესოდენ დიდებული ქრისტიანული ეკლესია არსებულა, არამედ იქ ბერულ-სამონაზვნო ცხოვრებაც მიმდინარეობდა აქტიურად.

მიუხედავად იმისა, რომ თავისი მოგზაურობის დროს რ. დანიბეგაშვილს გარდა ინდოეთისა, აზიის ბევრ სხვა ქვეყანაშიც მოუხდა ხანგრძლივი დროით ყოფნა, მისი მოგზაურული შთაბეჭდილებების უდიდესი ნაწილი ინდოეთს ეძღვნება.

რ. დანიბეგაშვილის მიერ მოწოდებულ ინფორმაციათა მეშვეობით ნათელი წარმოდგენა გვექმნება მწერლის მიერ შემოვლილი ქვეყნების, პირველ რიგში კი ინდოეთის, მკვიდრთა ადათ-ტრადიციებსა და ცხოვრების სპეციფიკურ მხარეებზე. მაგალითად, ეკონომიკური სიღარიბის გამო მწერლის მიერ “მშიერ ქალაქად” წოდებული მასკატის იმამი (თავკაცი) თურმე ყოველთვის შიშველი დადიოდა და სხეულის წინა ნაწილის დასაფარად მხოლოდ ტილოს მცირე ნაგლეჯი ჰქონდა აფარებული. მასთან შეხვედრის დროს ქვეშევრდომები მის წინაშე მიწაზე ემხოზოდნენ და “უზომო სასოებით ემთხვეოდნენ ხელზე” (გვ. 149).

კუნძულ ცეილონის მკვიდრთა ყოფას კი მწერალი ასე ახასიათებს: “ყველა არსებათა ბრძენთა ბრძენი შემოქმედის ნაცვლად ისინი თავყვანს სცემენ ძროხებს და წყალს; დადიან ფეხშიშველნი, მიაჩნიათ რა მიუტევებელ ცოდვად ცხოველთა ტყავის ხმარება ფეხსამოსად... არავითარ ცხოველს არ კლავენ საჭმელად, ვინაიდან ისინი ცხოველებს თავიანთ მსგავსად თვლიან; ამიტომაც მათი საჭმელად ხმარება, მათი შეხედულებით, იმავეს ნიშნავს, რომ ადამიანის ხორცი იკვებო” (გვ. 152).

რ. დანიბეგაშვილის “მოგზაურობის” შეფასების დროს განსაკუთრებული ყურადღება მის იმ ეპიზოდებსაც მინდა მივაქციო, რომელთა მეშვეობითაც ავტორი ხსენებული ქვეყნების მკვიდრთა რელიგიურ წარმოდგენებთან დაკავშირებით გვაწვდის მეტად საინტერესო ცნობებს. მაგალითად, სწორედ ამ რწმენით განპირობებული მოვლენის შედეგს წარმოადგენდა ინდოეთში იმხანად არსებული მიცვალებულთა დაკრძალვის ასეთი წესი: “ინდოელებს ჩვეულებად აქვთ მიცვალებულთა გვამების, ცეცხლზე მათი ცოტაოდენი შეტრუსვის შემდეგ, წყალში გადაყრა. ამიტომ ეს უკანასკნელი გახრწნილი სხეულისაგან უსიამოვნო სუნს იძენს და არაფერში არ იხმარება” (გვ. 160).

რელიგიურ რწმენა-წარმოდგენებზე დაფუძნებულ ამ ჩვეულებას კიდევ უფრო ბარბაროსულ სახეს სძენდა ის დამოკიდებულება, რომელსაც ინდოელები ქურუმთა მიერ სიკვდილს მიახლოებულ ადამიანებად გამოცხადებულ მოხუცთა მიმართ იჩენდნენ. ამ ადამიანებს კუბოში ჩააწვენდნენ, მდინარე განგაში შეიყვანდნენ, პირში წყალს ჩაასხამდნენ და აიძულებდნენ, ამგვარ მდგომარეობაში მყოფს წარმოეთქვა სიტყვები: უფალო ღმერთო. თუ რომელიმე მათგანი ამ წამების დროს მოკვდებოდა, მის გვამს სუსტ ცეცხლზე ცოტა ხნით გააჩერებდნენ, შემდეგ კი მდინარეში ჩააგდებდნენ; თუ რომელიმე მათგანი ამ წამებას გაუძლებდა და სიკვდილს გადაურჩებოდა, ქურუმები მათ ღვთისთვის არასასურველ ადამიანად მიიჩნევდნენ და საცხოვრებლად საგანგებოდ ასეთი ადამიანებისათვის განკუთვნილ იმ სოფელში გააძევებდნენ, რომელსაც მკვდართა სოფელს უწოდებდნენ (გვ. 162). რელიგიური რწმენის შედეგად დამკვიდრებულ ამ ბარბაროსულ წესს კიდევ უფრო მეტ სისასტიკეს სძენდა გარდაცვლილი ქმრისთვის ცოლის მსხვერპლად შეწირვის სავალდებულო ჩვეულებაც.

ასეთია უმთავრესი წახნაგები რაფიელ დანიბეგაშვილის მოგზაურულ შთაბეჭდილებათა ამსახველი წიგნისა. მიუხედავად იმისა, რომ ხსენებული ნაწარმოები წინამორბედ ქართველ მწერალთა ანალოგიური ჟანრის ტექსტებს მხატვრულ-ლიტერატურული დონითითაც მნიშვნელოვანწილად ჩამორჩება, ინფორმაციული თვალსაზრისითაც ბევრად უფრო სქემატურია და ავტორის ეროვნული თვალთახედვის წარმოჩენის მხრივაც აშკარად ნაკლები, იგი მაინც უნდა მივიჩნიოთ ქართული მოგზაურული ჟანრის ერთ-ერთ საყურადღებო იმ შენაძენად, რომლის ავტორმაც ქართველ მკითხველს პირველმა მიაწოდა საგულისხმო ცნობები მანამდელი ქართული მხატვრულ-დოკუმენტური ტექსტების ავტორთა ყურადღების მიღმა თითქმის მთლიანად დარჩენილ აზიის ქვეყნებთან დაკავშირებით.

ლიტერატურა:

1. დანიბეგაშვილი რ. მოგზაურობა ინდოეთში. თარგმნა, წინასიტყვაობა და დამატებანი შენიშვნებითურთ დაურთო ს. იორდანიშვილმა, თბ., 1950.
2. რუხაძე ტ. ქართული ეპოსი გარდამავალი ხანის ლიტერატურაში, თბ., 1939.

3. ხარაძე კ. ოცდათორმეტი წელი აზიის ქვეყნებში. რაფიელ დანიბეგაშვილის უჩვეულო მოგზაურობანი (1795-1827), თბ., 2008.

Avtandil Nikoleishvili
Akaki Tsereteli State University

**“TRAVEL IN INDIA” BY RAPHAEL DANIBEGASHVILI, AS THE GENRE OF THE TRAVEL
NARRATIVE
RESUME**

Almost all Georgian writers of the XVIII – XIX centuries, in their travel genre works, reflect the impressions of their journey in Europe, eastern countries or in the Russian empire, but Raphael Danibegashvili's (was born in 1778, the date of death is unknown) “travel in India”, differs from these works as it tells about the author's travel story in Asian countries. He had been in these countries five times: 1795-1796, 1797-1798, 1799-1814, 1815-1820 and in 1822-1827 years. Totally – for 32 years. It was an unprecedented event at that time. His book, which was first published in Moscow in 1815, became interesting not only for Georgian, but also for foreign scientists. Despite the fact that the information source is schematic and the work differs from the previous writers' works in the view of literary quality, it should in any case be considered as one of the most important acquisitions of the Georgian travel literature, in which the author, represents to the Georgian readers the issues related to the Asian countries, that had never been studied by the Georgian documentary prose authors before.

ზურაბ ოქროპირიძე
გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

**ქართული დრამატურგიის ისტორიიდან
პიესა „სიმახინჯის“ იდეურ-მხატვრული ანალიზი**

პიესა „სიმახინჯე“ (1908) ერთ-ერთია ნიკო შიუკაშვილის ადრინდელი შემოქმედებიდან, რომელშიც ოჯახისა და სიყვარულის პრობლემებია განხილული. მასთან ერთად ავტორმა ახალი - განათლებისა და მისი პრაქტიკული გამოყენების საკითხი დასვა მკითხველ-მყურებლის წინაშე. ნაწარმოები ხასიათდება მხატვრული მთლიანობითა და სტილის სისადავით. მოქმედებათა სიმძაფრე და მწვავე დრამატული პერიპეტეიები მას მელოდრამატული პიესების რკალში აქცევს.

პიესის სიუჟეტური ქარგა ასეთია: თომა მწელაძე კანცელარიის დარიბი მოხელეა. იგი უკანასკნელ სარჩოს აძლევს თავის შვილებს, სონას და შაქროს და საზღვარგარეთ აგზავნის განათლების მისაღებად. გარკვეული ხნის შემდეგ, ახალგაზრდები ბრუნდებიან სახლში, მაგრამ შეცვლილნი, მათ იმედები ვერ გაამართლეს. სონა მხოლოდ წიგნებში იყურება, შაქროს ყველაფერი ეზარება. მათ დაუკარგავთ სიცოცხლის ხალისი, ინტერესი და პრაქტიკული ცხოვრების უნარი. ვერ იყენებენ თავიანთ ცოდნას. სონასა და ვასოს (ისიც სტუდენტი) ერთმანეთი უყვართ, მაგრამ ვერ ახერხებენ დაქორწინებას (სონას ტყუილი, ვინმე მამაკაცთან ცდუნების შესახებ მისივე ტრაგედიის მიზეზად იქცა). თომას ქალიშვილი საშინელ გადაწყვეტილებას იღებს. იგი სულიერად და ფიზიკურად მახინჯ საბას თანხმდება ცოლობაზე და მეჯვარედ თავისვე შეყვარებულს - ვასოს იწვევს. ქორწილის დამეს სონა გონს მოდის. ვასო მას რევოლვერს აძლევს საბასაგან თავის დასაცავად, რითაც თვითონვე იკლავს თავს. პიესაში ტრადიციული ბრძოლა კეთილისა და ბოროტისა, მშვენიერისა და მახინჯისა გაშლილია ორიგინალური სინამდვილის ფონზე, ისე, რომ უკეთურებას სიკეთის ძლევაში თავად ეს უკანასკნელი ეხმარება თავისი პასიურობით.

სათაური მიგვანიშნებს ნაწარმოების დედაარსზე: თომას ოჯახი დაღუპეს სულით და ხორციტ მახინჯმა საბამ და განათლებულმა, მაგრამ სულიერად გამოფიტული შვილების უცნაურმა ქცევამ.

პიესა პირველად 1910 წელს დაიდგა ქართული თეატრის სცენაზე ვალერიან შალიკაშვილის რეჟისორობით (იმავე წელს დაიბეჭდა ჟურნალში „ერი“, ხოლო მოგვიანებით, 1953 წელს ავტორის ორ პიესასთან ერთად ცალკე წიგნად გამოსცა შალვა დადიანმა). პიესას დიდი ინტერესით შეხვდა მაყურებელი. „სახალხო გაზეთი“ აღტაცებულ რეცენზიას უძღვნის წარმოდგენას: „უნდა შევნიშნოთ, რომ „სიმახინჯე“ დიდი პიესაა. იშვიათად მოგვწონებია დადგმა, როგორც მოგვეწონა „სიმახინჯე“... ახალგაზრდა არტისტებმა გასაოცარი ერთსულოვნებით ითამაშეს...“ [12, 123] იგივე დადგმა მსგავსი ტექსტით შეაფასა ჟურნალმა „ხელოვნებამ“ პიესა მისთვისაც მოსაწონია, განსაკუთრებით, „ძლიერი ფსიქოლოგიური მომენტებით... იმნაირი მწყობრი თამაში თბილისის სცენაზე იშვიათად გვინახავს...“ [10, 13] დადებითი იყო ასევე გაზეთ „ახალი აზრის“ (1910, N5) შეფასება. აღნიშნულ სპექტაკლში განსაკუთრებული მოწონება დაიმსახურეს მთავარი როლის შემსრულებლებმა: იუზა ზარდალიშვილმა (საბა), არეთა ლოლუამ (სონა), ვალ. შალიკაშვილმა (თომა) და სხვებმა. ქართული სალიტერატურო კრიტიკის მამამთავარმა კიტა აბაშიძემ „სიმახინჯე“ საეტაპოდ მიიჩნია როგორც თეატრალურ ხელოვნებაში, ისე დრამატურგიაში. პიესით აღფრთოვანებული კრიტიკოსი პირად ბარათში წერს დრამატურგს: „თქვენ კარგად იცით, რომ თქვენი ნიჭის უეჭველი თაყვანისმცემელი ვარ და ჩემს მოვალეობად მიმაჩნია ყოველგვარად ხელი შეგიწყოთ... ქართული დრამის საუკეთესო ნიმუში თქვენი „სიმახინჯეა“. თუ ერთი ორიოდ ნაწარმოები კიდევ მოგვეცით ამისთანა, ჩვენს ბედს ძალიან არ დაჰყევს...“ [3, 16328] „ეტიუდების“ ავტორი მოხიბლულია მსახიობთა ოსტატობით. განსაკუთრებით გამოყოფს ნუცა ჩხეიძეს სონასა და ალექსანდრე იმედაშვილს მახინჯი საბას როლში [12, 219]. სხვა წერილში დიდი კრიტიკოსი ქართულ დრამატულ მწერლობაში საპატიო ადგილს აკუთვნებს „მსხვერპლსა“ (ი. გედევანიშვილი) და „სიმახინჯეს“. იქვე აღნიშნავს, რომ „სიმახინჯე“ გაცილებით მაღლა დგას „მსხვერპლზე“. „სავსებით აკმაყოფილებს ჟინიან მოთხოვნილებას დრამატული ესთეტიკისას...“ [5, 368] პიესის წარმატებაზე მეტყველებს ასევე პეტრე სურგულაძის წერილი შიუკაშვილისადმი: „ძმაო ნიკოლოზ! გუშინ წარმოადგინეს შენი დრამა „სიმახინჯე“. ჩემს დღეში ქართულ თეატრში ასეთს მწყობრს და შეგნებულს თამაშს არ დავსწრებივარ. სულ ყველა შესანიშნავად თამაშობდა... პიესამ მსმენელებზე ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა [3, 16328].

დადებითად გამოეხმაურა პიესას რუსული პრესაც: „ქართული სცენა დაადგა აღმავლობის გზას. ამაში კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა შიუკაშვილის ახალმა პიესამ - „სიმახინჯემ“, რომელმაც მაყურებელზე საუკეთესო შთაბეჭდილება დატოვა... ბევრი ასეთი სპექტაკლები და ქართული სცენის აღორძინება შორს არ არის“ [18, 222] - წერდა გაზეთი „Новая печать“. გაზეთ „Кавказ“-ის თქმით, „პარასკევს წარმოდგენილ შიუკაშვილის ორიგინალურ პიესას „სიმახინჯე“ დიდი წარმატება ხვდა წილად. ეს ოთხმოქმედებიანი დრამა აღებულია ქართული ცხოვრებიდან. პიესის შესრულება საუკეთესო იყო... განსაკუთრებით გამოირჩეოდა ზარდალიშვილი მახინჯი საბას როლში“ [19]. კვლავ დიდ ყურადღებას უთმობს ნიკო შიუკაშვილის პიესებს სომხური გაზეთი „მშაკი“. „ქართული თეატრი, წერს გაზეთი, კიდევ ერთი წარმოდგენით გამდიდრდა - ესაა დრამატურგ ნიკო შიუკაშვილის პიესა „სიმახინჯე“. იგი ამა წლის პირველ ოქტომბერს დაიდგა და დიდი მოწონება დაიმსახურა“ წერილის ავტორი სწორად აანალიზებს პიესას - „უსუსურობას ავლენენ ახალი თაობის წარმომადგენლები, რომელნიც უმაღლეს განათლებას კი იღებენ, მაგრამ რეალურად იფიტებიან“-ო. აღნიშნავს დადგმის მაღალ დონეს და აუდიტორიის ცხოველ ინტერესს [20, 128].

1914 წლის 3 ოქტომბერს პიესა დადგა „არტისტულმა საზოგადოებამ“ მიხეილ ქორელის რეჟისორობით. ჟურნალმა „თეატრი და ცხოვრება“ წარმატებული უწოდა წარმოდგენას. რეცენზიის მიხედვით [11,13], ბრწყინვალედ თამაშობდნენ მსახიობები. აღსანიშნავია, რომ ნიკო შიუკაშვილმა სპექტაკლის საავტორო ჰონორარი ქართული თეატრის დამწვარი შენობის აღდგენის ფონდში შეიტანა. 1916 წლის „თეატრი და ცხოვრება“ გვაუწყებდა: „ბაქოს დრამ-წრემ 21 თებერვალს ზარდალიშვილის საბენეფისოდ წარმოადგინა „სიმახინჯე“. მობენეფისემ მოხდენით შეასრულა საბას როლი. ქ-ნი შოთაძე უნაკლო იყო სონას როლში. საზოგადოებამ დაუსრულებელი ტაშით დააჯილდოვა ზარდალიშვილი და საჩუქრებიც მიართვა“ [11, 15]. დადებითი რეცენზია მიემდვნა 1915 წელს თბილისში სახალხო სახლის სცენაზე სომხურ ენაზე გასცენიურებულ „სიმახინჯეს“ [11, 16]. 1917 წლის 25 სექტემბერს ქართული კლუბის დარბაზში პიესა დადგა ქართულმა დრამატულმა დასმა. იმავე ჟურნალის (1915, N39, გვ. 15) მიმომხილველი „სიმახინჯეს“ საინტერესო პიესად მიიჩნევდა. იგიც გამოყოფდა ზარდალიშვილის სასცენო ხელოვნებას. „სიმახინჯე“ იდგებოდა რეგიონებშიც. 1915 წელს წარმოადგინეს ხაშურშიც. მთავარ როლში სათამაშოდ აქაურმა სათეატრო მოღვაწეებმა მიიწვიეს იუზა ზარდალიშვილი. მაყურებელი, როგორც ყველგან, აქაც კმაყოფილი იყო წარმოდგენით [11, 15].

საინტერესოა შალვა დადიანის მოგონება „სიმახინჯის“ დადგმისთან დაკავშირებით, რომელიც დიდ აკაკის შეეხება: რეჟისორ ვალერიან (ვალე) შალიკაშვილს მთავარი როლი მიუნიჭია დამწყები მსახიობის არეთა ლოლუასათვის. ყველას უკვირდა, წერს მოგონების ავტორი. „ემინოდათ ახალგაზრდა მსახიობისა... სპექტაკლს აკაკიც დაესწრო... მეორე დღეს აკაკიმ მსახიობი შეაქო: „კარგი იყავი, ჩინებულია... ვეცდები, მოსკოვში სასწავლებელში გაგისტუმროთო...“ [6, 199]

მიუხედავად დადებითი რეცენზიებისა, პიესის ირგვლივ მწვავე პოლემიკა გაიმართა. „სახალხო გაზეთის“ რეცენზენტმა შალვა მესხიშვილმა ავტორს ბრალი დასდო სწავლა-განათლების უგულვებელყოფაში. შენი დრამიდან ისე გამოდის. თითქოს სწავლა-განათლება ადამიანის სულს ამახინჯებდესო. „...რა მხრიდანაც უნდა მოვეუაროთ შიუკაშვილის აზრს, იგი შემცდარია და ყალბი. ეს აზრი ჩვენ გვიქადის ერთ წერტილზე გაყინვას. ბრძოლის უარყოფას“() — აცხადებს მიმომხილველი [12, 126].

ცხადია, დრამატურგი გამოეპასუხა წამოყენებულ ბრალდებებს. იმავე გაზეთის 20 ოქტომბრის ნომერში დაიბეჭდა მისი პასუხი: „სიმახინჯის დამახინჯება“, სადაც ავტორი აღნიშნავს: „...სად არის „სიმახინჯეში“ ნათქვამი, რომ ადამიანი მომავლისკენ არ ისწრაფვოდეს? სად არის ნათქვამი, რომ მსხვერპლი და ბრძოლა არ არის საჭირო?... „სიმახინჯეში“ გარკვევით არის ნათქვამი: ყოველგვარი განვითარება ექვემდებარება ბუნებრივ კანონებს და მისი ხელოვნურად შექმნა უაზრობაა. ბარტყი ბუდიდან არ უნდა ამოფრინდეს. ვიდრე ფრთები არ გაუმავრდება. ვინაიდან ყოველივე ამგვარ ცდას მოსდევს უცილობელი დაღუპვა... უმაღლესი სწავლა, მით უფრო ზედაპირული, არ შეადგენს ადამიანის უმთავრეს ბედნიერებას“ [12, 136].

„სიმახინჯის“ დედააზრი თითქოს ნათლად იქნა წარმოდგენილი დრამატურგის საპასუხო წერილში, მაგრამ 1911 წლის 29 იანვრის „სახალხო გაზეთში“ კვლავ დაიბეჭდა შ. მესხიშვილის წერილი სათაურით - „სიმახინჯის“ ავტორს“, სადაც ისევ ზემოთაღნიშნულ ბრალდებებზე მიანიშნებდა (თუმცა პოზიტიურსაც ხედავდა პიესაში). მეტი სიცხადის მიზნით, კიტა აბაშიძე აქვეყნებს წერილს. სადაც კვლავ ადასტურებს პიესის ორიგინალობას. მისი აზრით, „სიმახინჯის“ მესხიშვილისეული განსჯა უსამართლოა. „ჩვენის აზრით, წერს კრიტიკოსი, ავტორმა ანგარიში გაუწია ჩვენში დიპლომის წყურვილს მთარულ სენად გადაქცეულს და ამ მოვლენას თავისებური მსჯავრი დასდო... ამდენად ისეთ ფაქტზე საგანს შეეხო, რომ შესაძლოა მისი აზრი არა მისდა სასურველად იქნას გაგებული“ [12, 219]. ამ წერილით კიტა აბაშიძემ საბოლოოდ გახსნა პიესის აზრობრივი მხარე.

აღსანიშნავია, რომ 1922 წელს პიესა კვლავ დაიდგა აწ უკვე რუსთაველის თეატრში (რეჟისორი მიხეილ ქორელი), რომელსაც დაესწრო რუსეთიდან ახლად დაბრუნებული კოტე მარჯანიშვილი. თუ ქართული ლიტერატურული კრიტიკის ერთ-ერთმა მესაძირკველემ ამ პიესას „ქართული დრამის საუკეთესო ნიმუში“ უწოდა, ნეგატიურად შეაფასა იგი სახელმოხვეჭილმა რეჟისორმა [4, 70]. კოტე მარჯანიშვილს არ მოსწონდა არა მარტო „სიმახინჯე“, არამედ უარყოფითად იყო განწყობილი სხვა ცნობილ ქართველ დრამატურგთა ნაწარმოებთა მიმართაც, რამაც მძაფრი პოლემიკა გამოიწვია პრესაში [16, 14, 16-19; 17, 8]. ჩვენის აზრით, ევროპული სამხედრიდან ქართული დრამატული მწერლობის ასეთი მკაცრი შეფასება ოდნავ გადაჭარბებულად შეიძლება ჩაითვალოს. ცხადია, „სიმახინჯე“ ვერ გაუტოლდებოდა უცხოური დრამატურგიის ნიმუშებს. მაგრამ ჩვენს სინამდვილეში იგი უთუოდ წინ გადადგმული ნაბიჯი იყო.

პიესის დედააზრი ადასტურებს, რომ „სიმახინჯე“ არ უშლის ხელს ადამიანის მისწრათებას უკეთესობისაკენ. იგი წინააღმდეგია მხოლოდ უაზროდ მალლა ფრენისა, იმ მახინჯი მოვლენისა, რომელსაც დიპლომის სენით დაავადება ჰქვია. ნიკო შიუკაშვილი ცდილობს ახალგაზრდობას დაანახოს საკუთარი შესაძლებლობების ზღვარი და უქმად არ დაკარგონ დრო შეუძლებლის დევნაში, რომელიც მხოლოდ უნიადაგო სურვილი და მოდას აყოლა.

დრამის გმირთა მისწრაფება განათლებისადმი ხელოვნურია, რასაც ავტორიც აღნიშნავს: „მრავალი ახალგაზრდა, განსაკუთრებით ქალები, მიილტვიან უმაღლესი სასწავლებლისაკენ ფსიხიურის მთარულით შეპყრობილნი და არა მეცნიერების გულისთვის... სნეულდებიან...“ [12, 136] ნაწარმოები მძაფრად ეხმაურება დღევანდელობას. ნიკო შიუკაშვილმა გასული საუკუნის დასაწყისში ისეთ საკითხზე გაამახვილა ყურადღება, რომელიც, მისი აზრით, აფერხებდა ჩვენი საზოგადოების წინსვლას. თითქოს წინასწარ გრძნობდაო ავტორი, რომ ის „სენი“ შემდეგში საყოველთაო სახეს მიიღებდა და დამოკლეს მახვილივით დაეკიდებოდა საქართველოს თავზე. გვახსოვს, საბჭოურ საქართველოში როგორი მაგიური ძალა შეიძინა დიპლომიანმა კაცმა (მათ შორის, რძალმა), რა მაქინაციებითა და ე.წ. ჩაწყობებით ხდებოდა მისი დაუფლება. როგორ იქცა იგი ადამიანის სრულყოფილების განმსაზღვრელად. თავს ვიწონებდით - საქართველო დიპლომიანთა რაოდენობით ევროპის რამდენიმე ქვეყანას უსწრებო. სამწუხაროდ, ამ განათლებულთა მნიშვნელოვანი ნაწილი (ცხადია, არა ყველა) სწორედ აღნიშნული პიესის გმირთა პროტოტიპები არიან. დრამატურგის სიტყვებში ჩვენი გუშინდელი სინამდვილეც ირეკლება: „...ეს

სურვილი კი არა, მთარულობა!.. ყველა მკვდრის ბუზივითა ბზუის: „უმაღლესი! უმაღლესი!.. ახეთქებს თავს, უმწარებს სიცოცხლეს თავის თავსაც და სხვებსაც... გიმნაზიაშიც ვაი-ვაგლახით უსწავლია, ცოდნის სურვილი არაფერში სტყობია... და ერთ დღეს - „ჩქარა კურსები“... მახინჯი მოვლენაა...“ [1, 21] კარგი იქნება, თუ თანამედროვე თეატრები დაინტერესდებიან ამ პიესით.

დრამატურგმა პიესაში დაგვიხატა სიმამხინჯის გამოვლენის ფორმები, როგორც ხელოვნურად შეძენილი, სონასა და შაქროს, ვასოს, ისე ბუნებრივი - საბასა და დარეჯანის სახით. ეს უკანასკნელნი, სარგებლობენ რა „განათლებულ“ სტუდენტთა უსუსურობით, თავის კლანჭებში აქცევენ მათ. ნაწარმოების სიუჟეტური განვითარების ცენტრში თომას შვილები და ადამის მოდემის მტერი - მახინჯი საბა დგანან. სიუჟეტი ფსიქოლოგიური მომენტების გამძაფრება-შენელებათა აგებული. დრამატურგი ღრმად გვახედებს პერსონაჟთა სულიერ სამყაროში. მოქმედება ლოგიკურად, დინამიურად ვითარდება და ქმნის კონფლიქტსა და კოლიზიებს.

პირველი მოქმედებიდანვე თვალში საცემია თომას ოჯახის სიდუხჭირე. რაც მეუღლის სიტყვებიდანაც ჩანს: „...აღარ შეგვიძლია, შვილო, თომა წელში გაწყდა... ადამიანს აღარა ჰგავს მეტი ჯავისა და ფიქრისაგან...“ [2, 88] თომა რეალისტური ტიპია 900-ანი წლების გაჭირვებული ქართველი მოხელისა, რომელიც ცდილობს, შვილებს ახირებული სურვილი შეუსრულოს - სასწავლებლად გაგზავნოს რუსეთში. იგი დააბეჩავა ცხოვრებამ, გადაეჩვია წინააღმდეგობის გაწევას. მუდამ მოწყალების მოლოდინში - იქნებ სამადლო ლუკმა გადმომიგდონო, რუსული კანცელარიის ჩინოვნიკებისაგან უკიდურეს დამცირებას იტანს: „უფროსმა ექვსი კაცის დასწრებით გამოტყინებული მიწოდა... თვალი დამიბნელდა... მაგრამ ცოტა საჩუქარსაც მოველოდი...“ [2, 92] თომას ე.წ. მოლაპარაკე გვარი - „მნელაძე“ მაშინდელი მძიმე სოციალური ყოფის სიმბოლოა. „სიმამხინჯეში“ არა მხოლოდ საბაა მახინჯი, ან თომას სულიერად გადაგვარებული შვილები, არამედ ის დროც, რომელმაც ისინი წარმოშვა. ამ ორმხრივი სიგონჯის ფონზე თომასწირები ადამიანურობის დაკარგვის ზღვარზე არიან.

სონასა და შაქროს უცნაურმა ქმედებებმა კიდევ უფრო დაამძიმეს თომას ოჯახის მდგომარეობა. სონა ახალგაზრდა, სათნო და კეთილი გოგონაა, მაგრამ სულიერად გამოფიტულია, მას დაუკარგავს სიცოცხლის ხალისი, პრაქტიკული მოქმედების უნარი. ქალიშვილის მდგომარეობას კარგად ახასიათებს დედამისი: „...არ გავბრიყვდები, ამას საზოგადოდ არ ვიტყვი, მაგრამ ისეთ პირობებში, როგორიც სონას აქვს, სწავლას სწორედ უბედურება მოაქვს. სწავლობს, სწავლობს და რა გამოვიდა, იქამდის მოუძღურდა, სიცოცხლის შნოც კი დაკარგა...“ [2, 88] დედის სიტყვებში არ ჩანს საზოგადოდ სწავლის უარყოფა (რაც ავტორს დააბრალეს). იგი კონკრეტულად თავის შვილზე აკეთებს აქცენტს. სონა ვერც სიყვარულმა გამოაცოცხლა. მწერალი ერთი კალმის მოსმით გვიხატავს მის გადაგვარებულ ბუნებას. მას თითქოს უყვარს ვასო, მაგრამ აბსოლუტურად არ ეტყობა. თომას ქალიშვილი ვერ განიცდის ამ დიდებულ გრძნობას. მის თვალეში სიცოცხლის ნიშან-წყალიც არ არის. სონას თავისებური ცხოვრების ფილოსოფია აქვს. მან წიგნებიდან იცის, რომ სიყვარული უმანკოებას მოითხოვს ორივე მხრიდან. ამიტომ ვასოს გულწრფელმა აღსარებამ (ერთ ქალბატონთან ინტიმური თავგადასავლის შესახებ) მას თავზარი დასცა. სონასთვის უცნობია, რომ პრაქტიკული ცხოვრება ყოველთვის არ არის თანხვედრი თეორიული ცოდნისა. სონასთვის თითქო ყველაფერი სულ ერთი ხდება. იგი სრულიად დაბნეული თანხმდება საბას ცოლობას. ამ ახალგაზრდის შეხედულებით ბედნიერება მხოლოდ უმაღლესი განათლების მიღებაშია. ამიტომ გაკვირვებული ეკითხება მეგობარ მაროს: „შენს ცხოვრებას ისეთი არა აკლია რა, რომ... ნუთუ ბედნიერი ხარ და ოჯახის დიასახლისობა გაკმაყოფილებს?“ [2, 97] ბუნების ამ გადაგვარებას აუცილებლად უნდა მოჰყოლოდა უბედურება და ასეც მოხდა.

„მოარულმა სენმა“, როგორც მწერალი უწოდებს, ანალოგიურ მდგომარეობაში ჩააგდო შაქრო. ცხოვრებისეულ საქმიანობაში იგი ნულის ტოლია. იმდენად ინერტულია, რომ სრულიად არ აღელვებს თავისი დის ბედი. იგი არც ცდილობს და არც შეუძლია რამე გამოსავალი ნახოს შექმნილი მდგომარეობიდან, იხსნას სონა განსაცდელისაგან. „ოთხივე ფეხით კუტი მერანი“ - მეზობელი ილიკოს მიერ ნათქვამი ეს სიტყვები ზუსტად ახასიათებს შაქროს პიროვნებას. თომა შვილების გამო იმცირებს თავს. ისინი კი ისედაც შეურაცხყოფილ მამას მასხარად იგდებენ - „შენგან რა თავმოყვარეობას უნდა მოველოდეთ“, თუმცა, ის დამცირებით მიღებული ფული მაშინვე იკრეს ჯიბეში. შეიძლება დიდი მსგავსება არაა დავით კლდიაშვილის „დარისპანის გასაჭირსა“ და „სიმამხინჯეს“ შორის, მაგრამ დარისპანის ასულებს ეცოდებათ მათთვის თავდამცირებული მამა, თომას შვილებს კი სასაცილოდ ეჩვენებათ ეს ყველაფერი.

უცნაური მხატვრული სახეა ვასო. გარკვეული როლი სონას ტრაგედიაში მასაც მიუძღვის. მისმა გულწრფელმა, მაგრამ უადგილო აღსარებამ (სონასადმი ერთი ინტიმური ეპიზოდის გამხელამ) ფაქტიურად გადამწყვეტი როლი შეასრულა სონას დაღუპვაში. საღ აზრსაა მოკლებული სონასათვის ქორწილის პირველ ღამეს საბასაგან თავდასაცავად რევოლვერის გადაცემა. იმის მაგივრად, რომ თვითონ ემოქმედა შეყვარებულის გადასარჩენად, უსუსტეს არსებას ავალებს უმძიმეს მისიას. შეიძლება

დრამატურგს დავემდუროთ: მან ვერ გამოკვეთა სრულად ვასოს სახე, მაგრამ თუ პიესის დედაარსს დავეყრდნობით, რომ ამ ახალგაზრდებს დიპლომის „მოარულმა სენმა“ წაართვა პრაქტიკული განსჯის უნარი, მაშინ ცხადია ყველაფერი.

მხატვრულად დასრულებული ხასიათებია მევახშე საბა და მისი და - დარეჯანი. ავტორი ცდილობს, რაც შეიძლება ნათლად გამოაშკარავოს ბოროტების აღმოცენების მიზეზი. იგი და-მმის სულმოკლეობასა და მომხვეჭელობაში დევს. მათი არსებობის შეუთავსებელია მაღალი მორალი და ზნეობა, პირიქით, ებრძვიან მას. ღმერთს ფიზიკურ სიმახინჯესთან ერთად სულიც მახინჯი უბოძებია მათთვის. ისინი გრძნობენ ადამიანთა ზიზღს და სიმდიდრით ცდილობენ მის გადაფარვას. კუზიანი საბა სარგებლობს თომას ოჯახის უმწეობით და ნელ-ნელა თავისი გავლენის ქვეშ აქცევს. იგი მტაცებელი ცხოველივით უტრიალებს ძნელადმეხერ ოჯახს, თომას აიძულებს, მისი ვალის სანაცვლოდ ლამაზი სონა მიათხოვოს. ქართულ ლიტერატურაში საინტერესო პარალელი ეძებნება „სიმახინჯის“ საბას. იგი დემნა შენგელაიას ერთი ესკიზის - „ზღვა“ - მახინჯ პერსონაჟს, ასევე - კუზიანს, გვაგონებს [9, 5]. საშინელი მახინჯი აქაც შეყვარებულ ქალ-ვაჟს მტრობს. ყველას დასცინის, „დასცინის იმედებს, სასოებასა და ყველაფერს ძვირფასს ადამიანისას. მკვლევარ დავით თევზაძის აზრით [7, 26-27], საფიქრებელია კუზიანი მახინჯი სიმბოლურ-ალეგორიული სახე იყოს კაცთა მოდგმის ბოროტი თანამგზავრისა. ეს ის ეშმაკეული ფიგურაა, ადამიანისა და ბუნების ჰარმონიას რომ არღვევს. მეტად საგულისხმო მოსაზრებაა. პიესაში იგი კრებითი სახეა სიბილწისა. საბა გააფთრებული ებრძვის ყველას, ზედნიერდება ადამიანთა უბედურებით. თომას ქალიშვილის სახით მთელ ევას მოდგმას შეურაცხყოფს: „მამ აგრე, კუზიანო, შენი დღეცა თენდება... მთელი მდებრობითი სქესის ჯავრს მაგაზე ამოვიყრი...“ [2, 111] სიმძაფრე და სისასტიკე მისი - უსასრულოა. იგი ყოველგვარ საზღვარს სცილდება და ჯერ კიდევ სონას თბილ გვამთან ცდილობს პირუტყვეული ჟინის მოკვლას. ეს უკვე ტრაგედიული საშინელებაა, ადამიანური ყოფიერებისთვის წარმოუდგენელი.

„სიმახინჯეში“ საბას როლი სხვადასხვა დროს შეუსრულებიათ სსრკ სახალხო არტისტს მიხეილ გელოვანს, რესპუბლიკის სახალხო არტისტებს: ალექსანდრე იმედაშვილსა და იუზა ზარდალიშვილს, მსახიობ სოსო რომანიშვილს... რეცენზენტები განსაკუთრებით გამოყოფდნენ ზარდალიშვილის (ასევე იმედაშვილის) თამაშს. მისი საბა, როგორც ახასიათებენ, გარეგნულადაც ბოროტების სიმბოლო იყო. ამ გარეგან სიმახინჯეს მსახიობი ღრმა სულიერ განცდებს უთავსებდა. იგი მაყურებელს აგრძნობინებდა სიკვდილს სცენიდან და მასთან დაპირისპირებისთვის განაწყობდა. პიესაში ორი საპირისპირო პოზიციაა - თომას შვილების, რომელნიც სწავლა-განათლებით ამყოფებენ და მართოდენ ლაპარაკი ეხერხებათ მაღალ მატერიალურ და მეზობლების - ილიკოს და მაროს. ეს უკანასკნელნი მართებულად აკრიტიკებენ სონასა და ვასოს, მაგრამ წიგნიერებაზე არც თუ საღად მსჯელობენ და მხოლოდ ფიზიკური სიჯანსაღით მოაქვთ თავი, რითაც მეორე უკიდურესობაში ვარდებიან. პირველნი ითვისებენ მხოლოდ ფორმას მეცნიერებისას, შინაარსი მათთვის მიუწვდომელი რჩება, სრულ მოუმზადებლობას ავლენენ პრაქტიკულ ცხოვრებაში. სიცოცხლითა და ენერგიით სავსე ახალგაზრდა ცოლ-ქმარს კი ხალისიანი შრომით გააქვთ ცხოვრების ლელო. რჩება შთაბეჭდილება, რომ ორივე მხარე ბოლომდე ჩამოუყალიბებელი, დაუსრულებელი ხასიათები არიან. ასეთი ურთიერთსაპირისპირო აზრებისა და ფსიქოლოგიური ხასიათების ჩვენებამ გაურკვეველი და საკამათო გახადა პიესის დედააზრი და ავტორის პოზიცია. სამართლიანად ისმებოდა კითხვები: რამ გახადა ასეთები ახალგაზრდები? მიუხედავად არამართებული კრიტიკისა, სწორად აღნიშნავდა შალვა მესხიშვილი: „შიუკაშვილს დრამატურგის ნიჭი აქვს და ერთი ძალიან კარგი თვისება - ბევრს ფიქრობს და ჩვენც ბევრს გვაფიქრებს...“ [12, 123] პოლემიკა პიესის გარშემო, ვფიქრობთ, გამოწვეული იყო მწერლის იმპრესიონისტული სტილიდან, რომელიც კიდევ უფრო გამოკვეთილია აღნიშნულ დრამაში. პერსონაჟთა უმრავლესობა არა მხოლოდ ერთმანეთის მიმართ არიან კონტრასტულნი, არამედ, თავის თავთან მიმართებაშიც. მოულოდნელობები, ხასიათთა დაუსრულებლობა, ბუნდოვანება და სხვა ამ მხატვრული ნოვაციისათვის დამახასიათებელი ნიშანია, რომელიც აიძულებს მკითხველსა და მაყურებელს, თავად გამოიტანონ დასკვნა. დრამატურგმა პიესაში პირდაპირ არ უპასუხა მთავარ კითხვებს (თუმცა განმარტა საპასუხო წერილებში), მაგრამ სიმბოლური მინიშნებებით ცხადი გახადა, რომ იგი არათუ წინააღმდეგია განათლებისა, პირიქით, ახალგაზრდობას მოუწოდებს ჭეშმარიტი და სრულფასოვანი ცოდნისაკენ. მწერალი წინააღმდეგია მხოლოდ უაზრო მალაფრენისა, განათლების თვითმიზნურობის, დიპლომის სენით დაავადება რომ ჰქვია. ჩვენის აზრით, განათლებაზე არასწორი წარმოდგენის მიუხედავად, ილიკოს და მაროს სიკეთე და მოზღვავებული ენერგია თავმდება იმისა, რომ ეს ტიპები სასიკეთოდ განვითარდებიან, მათი მომავალი ჯანსაღი იქნება სულითაც და ხორციტაც.

თომას შვილების სახით ავტორმა სამართლიანად ამხილა ახალგაზრდა ქართული ინტელიგენციის ერთი ნაწილის ცხოვრებისაგან გაუცხოება, თავის თავში ჩაკეტვა. მათ თითქოს გააჩნიათ ხედვა მიმდინარე პროცესებზე, გრძნობენ საბას ბოროტ განზრახვას, მაგრამ პრაქტიკულად უღონონი არიან, წინ

აღუდგენენ მას. პიესაში უმლიერესია და ტრაგედიის მწვერვალებს უახლოვდება სცენა, როდესაც დრამის გმირები გრძნობენ რა საკუთარ უმწეობას, წვრილმანი შეკამათების შემდეგ სათითაოდ ეთხოვებიან გოგონას და გაავებულ მხეცს მიუგდებენ. იგი გვაგონებს ზღაპარს გველეშაპის შესახებ, სადაც სოფლის მოსახლეობას თავისი ხელით მიჰყავს მსხვერპლი ურჩხულთან. პერსონაჟთა უმოქმედობა თითქოს ბედისწერის გარდაუვლობას გვამცნობს. რაღაც საზარელის უთუო მაცნეა ჩიხში შესული და შეცდომას მიხვედრილი სონას ხელში აღმოჩენილი რევოლვერი. ფრთასუსტი სიკეთე მარცხდება, მაგრამ ვერც ბოროტება ზეიმობს გამარჯვებას, ვერ იგდებს ხელში მშვენიერებას სათელად და საჯიჯგნად. სონამ, სატანური ძალის პირისპირ მდგომმა სავესებით გააცნობიერა მომხდარი და თუ მისი მოკვლა ვერ შეძლო, საკუთარ თავს მოუღო ბოლო. „სიმახინჯით“ დრამატურგმა შეძლო მკითხველ-მაცურებელამდე მიეტანა საკუთარი განწყობილებები, ფსიქოლოგია და შესაძლებლობანი ღვთის გარეგანი ძალის. მისი აზრით, განათლება უნდა ემყარებოდეს თეორიული და ცხოვრებისული ცოდნის ერთიანობას. სხვა შემთხვევაში იგიც სიმახინჯეა. უფრო მუხრუჭია პიროვნების, ვიდრე პროგრესი. ამ გზით ვერ იძლევა მრავალსახოვანი და მრისხანე ბოროტება.

პიესა თავისი დასრულებული სიუჟეტითა და იდეურ-მხატვრული თვალსაზრისით საყურადღებო ნაწარმოებია. მასში მოულოდნელ და მძაფრ მოვლენებს კიდევ უფრო ამძაფრებს მწერლის მიერ მელოდრამატული ხერხების ოსტატური გამოყენება. „სიმახინჯეში“ უმთავრესია არა მარტო გარეგანი სურათის გადმოცემა, არამედ მოქმედი პირების სულიერ სამყაროში ღრმა წვდომა. ავტორს ამბავი ყოველთვის ფსიქოლოგიურ ასპექტში გადააქვს. პიესა ფსიქოლოგიური დრამის ბრწყინვალე ნიმუშია, უაღრესად სცენური. მისი ენა მარტივია და ხატოვანი. მდიდარია ლექსიკით, ადვილად გამოხატავს პერსონაჟთა რთულ განცდებს, ემოციებს. დრამატურგი თავის გმირებს ყოველთვის შესაბამისი ენობრივი ერთეულებით ამეტყველებს. დრამის იდეურ-აზრობრივი მხარის ნათელსაყოფად ავტორი ძირითადად ზღაპრულ ალეგორიასა და კონტრასტს იყენებს. ნაჩვენებია მშობლების თავდაპირველი იმედი განათლებული შვილების მიმართ და ბოლოს ამ იმედების სრული გაცრუება. პიესაში ლოგიკურ წინააღმდეგობაშია ერთმანეთთან ქორწილი და სიკვდილის მოსალოდნელი აჩრდილი. დრამატურგი სათანადო შედარება-ეპითეტებით („მხეცი“, „სვავი“, „ყორანი“, „ტარტაროზი“, „შეჩვენებული“ და სხვა) წარმოაჩენს საბას (ბოროტების) მანკიერებას.

ლიტერატურა:

1. შიუკაშვილი ნიკო, „სიმახინჯე“, გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის მუზეუმი, ბ. N25717.
2. შიუკაშვილი ნიკო, პიესები, შალვა დადიანის რედაქციით, თბ., 1953.
3. საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმი, ფონდი I, საქ. 865, ბ. N16328.
4. მარჯანიშვილი კოტე, მემუარები და წერილები, თბ., 1947.
5. აბაშიძე კიტა, ცხოვრება და ხელოვნება, თბ., 1971.
6. დადიანი შალვა, რჩეული თხზულებანი, ტ. V, მოგონებანი, თბ., 1962.
7. თევზაძე დავით, საუკუნის თვალით, თბ., 1994.
8. შალიკაშვილი ვალერიან, წერილები, მოგონებები, თბ., 1962.
9. შენგელაია დემნა, „ზღვა“, გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალი, 1923, N5.
10. „ხელოვნება“, 1910, N1.
11. „თეატრი და ცხოვრება“, 1914, N32; 1915, N27, 41; 1916, N10; 1917, N39.
12. „სახალხო გაზეთი“, 1910, N123, 126, 136; 1911, N219; 1913, N1011.
13. „ახალი აზრი“, 1910, N3.
14. „საქმე“, 1910, N23.
15. „ტრიბუნა“, 1923, N489.
16. „ქართული სიტყვა“, 1924, N14, 15, 16-19, 20-21.
17. „კავკასიონი“, 1924, N1.
18. „Новая речь“, 1910, N222.
19. „Кавказ“, 1910, 3.10.
20. „მშაკი“, 1910 7. N218.

Zurab Okropiridze
Gori State Teaching University
FROM THE HISTORY OF GEORGIAN DRAMATURGY
ARTISTIC AND CONCEPTUAL ANALYSIS OF THE PLAY “SIMAKHINJE”
RESUME

The drama describes family and love, youth problems. The author also refers to the practical application of education. He censured a new generation representatives who blindly imitating to others and runs away to a higher education. The example of the characters of the play shows the harmfulness of such formal knowledge. Graduated but internally weak young people are easily defeated in the fight against evil. In the opinion of the dramatist, the desire for education should be based on the inner readiness to be succeed in real life.

თამარ სიდამონიძე
გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

აკაკი წერეთელი ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში

ქართული ლიტერატურული კრიტიკა აკაკის შემოქმედებისადმი ყოველთვის განსაკუთრებულ ინტერესს იჩენდა. არაერთი კრიტიკული წერილის შესწავლა ნათლად წარმოაჩენს აკაკი წერეთლისადმი ლიტერატურული კრიტიკის მიმართების იმ ნიუანსებს, რომელსაც იგი განიცდიდა ქართული სალიტერატურო კრიტიკის განვითარების კვალდაკვალ.

ვახტანგ კოტეტიშვილი წერდა:

„როცა უკვირდებით აკაკის შემოქმედებას, თითქოს ერთფეროვნად გვეჩვენება. ჰკითხულობთ მის ლექსებს და ყველანი, როგორც ჯაჭვის რგოლები, ერთი მთავარი წერტილის გარშემო იკრიბებიან, და ეს მთავარი წერტილი მისი სამშობლოა“ [1; 597].

ქართულ სალიტერატურო კრიტიკაში გამოთქმული ამ მოსაზრების საპირისპიროდ უნდა ითქვას, რომ აკაკი არ არის „ერთი თემის“ პოეტი და მხოლოდ მაჟორული ჰანგების შემოქმედი. მისი შედეგები მრავალთა ფიქრთა ამშლელია. როგორც გულმხურვალე მამულიშვილი, ერს მუდამ გამოსაფხიზლებლად უკიჟინებს:

„სამეფო ძველთა ძველო,
დღეს სნეულო, გულის მწველო,
დაჰკნა შენი ძველი ქება,
ვით ზაფხულში მზისგან მდელი,
მაგრამ თუ დრო შეიცვალა,
გაცოცხლდები, საქართველო!“

/„ძველ სამეფოს“/

მაგრამ ეს ხომ მაინც ოცნებაზე აგებული რწმენის შენობაა. რეალურად კი აკაკი მწარე სინამდვილის შვილია. „თუ აკაკის ახალგაზრდობა ამბივალენტურ გრძნობათა და იდეათა ჭიდილში წარიმართა, სიჭარმაგემ მას გარდამავალ ეპოქაში მოუსწრო, რომელსაც პოეტი ნათლავს „გიჟი დროის“ სახელწოდებით“. აქვე მკვლევარი იუზა ევგენიძე აღნიშნავს, რომ როდესაც დიდი პოეტი დროის სიგიჟის დიაგნოზს სვამდაო, თავისი მხატვრული ინტუიციით წინ უსწრებდა იმ დასკვნას, რომელიც მოგვიანებით (1935 წ.) დაფიქსირდა ფსიქოანალიტიკურ ლიტერატურაში „კოლექტიური სიგიჟის“ სახელწოდებით: „თავის ზენიტში წარმოსახა აკაკიმ ერის დამღუპველი ფსიქიკური ავადმყოფობა 1908 წელს შექმნილ ლექსში „გიჟი დრო“, როცა გლობალურად მთელი ეპოქის კონტექსტში გაიაზრა ერის მდგომარეობა“ [2; 38].

რა იყო მიზეზი ერის ავადობისა? რამ მიიყვანა საქართველო ამ დღემდე? - აი, კითხვა, რომელსაც თავს დასტრიალებდა აკაკი მთელი ცხოვრება. იგი გახდა მოწმე მისი თანამედროვე ადამიანის სულიერი კრიზისისა, რომელმაც კულტურულ ღირებულებათა გადაფასება სცადა.

საინტერესოა თვალი მივადევნოთ, თუ როგორ შეხვდნენ აკაკი წერეთლის გამოჩენას სამწერლო ასპარეზზე, რაც ქრონოლოგიურად ემთხვევა XIX საუკუნის სამოციან წლებს. ამ კუთხით შედარებით მცირე მასალა არსებობს, რაც განპირობებულია ორი გარემოებით: ჯერ ერთი, აკაკის მხატვრული წარმოსახვა ამ დროისათვის მთელი სისრულით არაა გამოვლენილი და მეორე, თვით ქართული ლიტერატურული კრიტიკის დონე ჯერ კიდევ ვერ იდგა სათანადო სიმაღლეზე, რათა მას შეძლებოდა მოეცა აკაკის შემოქმედების საფუძვლიანი და სრულყოფილი ანალიზი და თანაც განესაზღვრა მისი ღირებულება მომავალი თაობისთვის.

ალექსანდრე ცაგარელი წერილში „ჩვენი უბედური მწიგნობრობა ამ საუკუნეში“ წერდა:

„საზოგადოთ აკაკი წერეთლის ლექსები ღარიბნი არიან გრძნობითა და ჰაზრითა: იმისი სიტყვა, რაც უნდა დიდ ღირს საგანზედ სწერდეს გულიდან არ ამოდის, გულწრფელობა არ ეტყობა, თითქოს ეთამაშება თავის ლექსსაც და მკითხველსაცო... ჩემის ჰაზრით, უმთავრესი ხასიათი, კილო აკაკი წერეთლის პოეზიისა არის სატირული, იუმორული, მასხარათ აგდებითი მიმართულება“ [3; 13-14].

კრიტიკოსის მოსაზრებას ვერ გავიზიარებთ, რადგან პირადი განცდებითა თუ გრძნობათა სიუხვით აკაკი პოეზიის ტყვე ხდება. მისი შემოქმედების კლასიკური სისადავე ბუნებრივი და ძალდაუტანებელია, თუმცა ხშირად თავდაჭერილი და ყველაფერში ზომიერი. ალბათ, ეს ხიბლავდა დიდ გალაკტიონს, რომელმაც აკაკი სიცოცხლეშივე თავის კერპად აღიარა და „კაცად მოარული ლეგენდა“ უწოდა.

სავსებით ბუნებრივია, რომ ზოგიერთი საკითხი, წამოჭრილი სალიტერატურო კრიტიკის მიერ, აკაკის შემოქმედების თემად იქცა, მის მხატვრულ ნაწერებში აისახა.

ანტონ ფურცელაძე პირველი ქართველი კრიტიკოსი იყო, რომელმაც თანმიმდევრულად მიმოიხილა „საქართველოს მოამბის“ ლიტერატურული პროდუქცია და ერთ-ერთი პირველთაგანი, რომელმაც დაიწყო თანამედროვე ეროვნული მწერლობის ცალკეული ნიმუშების კონკრეტული განხილვა. მას შემდეგ ეს ტენდენცია ქართულ კრიტიკაში კიდევ უფრო ძლიერდება.

ანტონ ფურცელაძემ ილია ჭავჭავაძის პოეზიას დაუპირისპირა აკაკის შემოქმედება და აკაკის ზოგიერთი ლექსის საკმაოდ ვრცელი დახასიათება მოგვცა კრიტიკულ წერილში „ქართული ლიტერატურა“, რომელიც ორ ნაწილად ჟურნალ „ცისკარში“ დაიბეჭდა 1863 წელს.

აღნიშნულ წერილში კრიტიკოსმა მოიწონა აკაკის შემდეგი ლექსები: „აპელაციის მცოდნე“, „მესტვირე“, „რუსეთუმე“, „მუშური“. უკანასკნელ ლექსთან დაკავშირებით კრიტიკოსმა აღნიშნა, რომ მასში ავტორის განწყობილებები კი არ იყო წინ წამოწეული, არამედ თვით ასასახავი საგანი: „აქ არ არის ის სანტიმენტალური წრიპინი, რომელსაც ჰხედავთ თქვენ ჭავჭავაძის „მუშაში“, არც არის ის ნაძალადეობა, არის სუმბუქათ, თარხნათ და გრძნობით წარმოთქმული“ [4; 311].

ანტონ ფურცელაძე აკაკი წერეთლის შემოქმედების უპირველეს ღირსებად რეალისტურ ტენდენციას მიიჩნევს და, ამ მხრივ, მწვავედ ეპასუხება გიორგი წერეთელს, რომელმაც თავის წერილში „ცისკარს“ რა აკაკანებდა? გაკვრით აღნიშნა:

„აბა თუ შეუნიშნავს კიდევაც „ცისკარს“ ის რომანტიული მიდრეკილება, რომელიც ისმის აკაკი წერეთლის თითქმის ყოველ ლექსში. „საყვარელო ალექსავდრა“-დან „რუსეთუმეს“ სურათებამდინ“. ეს სიტყვები ანტონ ფურცელაძემ აკაკის პოეზიის შეუფასებლობად მიიჩნია. სამწუხაროდ, გამოკვეთილი თვალსაზრისის მქონე კრიტიკოსი ყოველთვის ვერ ახერხებდა ყოფილიყო ობიექტური.

XIX საუკუნის 70-80-იან წლებში სამოღვაწეო ასპარეზზე გამოდიან ნიჭიერი კრიტიკოსები. ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში იკვეთება კვლევის ახალი მეთოდები და ხერხები, ხოლო 1890-1900-იანი წლები ქართული სალიტერატურო კრიტიკის განვითარების საყურადღებო ხანაა, რომელიც მრავალ საინტერესო მასალას გვაწვდის აკაკის შემოქმედების შეფასებისას.

შესწავლილ მასალაზე დაყრდნობით გვინდა აღვნიშნოთ, რომ აკაკის შემოქმედებით დაინტერესებული მკვლევრები ცალკე გამოყოფენ აკაკის საიუბილეო თარიღს და ამ წლებში გამოქვეყნებულ კრიტიკულ წერილებს, ნარკვევებსა თუ სტატიებს.

აკაკის იუბილემ და მის შემდეგ განვლილმა პერიოდმა მეტი შესაძლებლობა შექმნა პოეტის ღვაწლის სათანადო დაფასებისათვის. კრიტიკოსები ცდილობდნენ ახლებურად გაეშუქებინათ აკაკის შემოქმედებითი ინდივიდუალობის ნიშანდობლივი მხარეები. ეს ინტერესი ემყარებოდა სათანადო მასალის სიუხვსა და კვლევის შედარებით მაღალ დონეს.

პროფესიონალი კრიტიკოსები აღიარებდნენ, რომ აკაკი პოეტური კლიშეების, გაცვეთილი მეტაფორების გაცოცხლების უბადლო ოსტატი იყო. მის ლექსებში სიცხადე და იდუმალეობა ერთმანეთის გვერდიგვერდ თანაარსებობენ. არსებული კრიტიკული მასალა გულმოდგინე შესწავლასა და სათანადო შეფასებას საჭიროებს. თავად აკაკი კი ფიქრობდა, რომ სიტყვაკაზმულ

მწერლობაში მაღალ გემოვნებას ზომიერების გრძნობა უნდა შერწყმოდა. აკაკის ღრმა რწმენით, თხზულება „უტყუარი, უმეტნაკლებო, სწორხაზი უნდა იყოს“. „ჭეშმარიტი ლაკონურობა აკაკი წერეთელს ხელოვნებისა და ლიტერატურის ერთ-ერთ მთავარ ნიშნად და თვისებად მიაჩნდა“, - შეუნიშნავს დავით გამეზარდაშვილს [5; 580].

ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში აკაკი წერეთელი სამართლიანადაა აღიარებული ახალი რეალისტური პოეტიკის ფუძემდებლად. რეალისტური შეხედულებანი პოეტმა მრავალ პუბლიცისტურ-კრიტიკულ წერილსა და საჯარო გამოსვლაში გამოხატა. მის სიტყვებს, თუ როგორი უნდა იყოს ჭეშმარიტი პოეზია, არა ერთი კრიტიკოსი იმოწმებდა: „მწერლობა ზნეობითი და გონებითი მესარკეობაა. ნაწერში, როგორც სარკეში, ნათლად უნდა ისახებოდეს მწერლის თანადროულობა მისი სისწორ-სიმრუდით“ [6; 145].

1911 წელს უცხოეთიდან დაბრუნებული პოეტი ვარაუდობდა ათტომეულის გამოცემას, მაგრამ უსახსრობის გამო დაყაბულდა იაკობ მანსვეტაშვილს, რომელმაც „ჩემი ნაწერების“ მხოლოდ ორი პატარა ტომი დაუფინანსა. სამწუხაროდ, აკაკის სიცოცხლეში არ ეღირსა საკუთარი თხზულებების სრულად გამოცემა. 1912 წელს „სახალხო მგოსანი“ წერდა: „ქართული მწერლობა საზოგადოდ ვერა დგას კარგ ნიადაგზე, მაგრამ ყველაზე დიდი უზედურება ჩემს ნაწერებს ეწია: ამ ნახევარი საუკუნის განმავლობაში ორი პატარა ტომის მეტი არ გამოსულა, მაშინ როდესაც რამდენიმე ათეული მაინც უნდა გამოცემულიყო“. პოეტის გულისტკივილი ჩვენთვის სასვებით გასაგებია.

კრიტიკოსი არჩილ ჯაჯანაშვილი წერილში „აკაკი წერეთელი“ წერდა:

„აკაკი ორნაირად უნდა დაფასდეს: როგორც პოეტი შემოქმედი და როგორც პოეტი რეფორმატორი. ძალა მისი პოეტური შემოქმედებისა ერთნაირი იქნებოდა ყოველთვის, რა დროსაც არ უნდა დაბადებულიყო იგი... აკაკის წყალობით პოეზია ხალხურ ენას ეზიარა და ამით საუკუნო, განუყრელი ძაფი გააბა ხალხურ ენასა და პოეზიას შორის“ [3; 287].

აკაკის ლირიკის ხასიათსა და ძირითად თავისებურებებს, პოეზიის საგნისადმი მის დამოკიდებულებასა და თვით შემოქმედი ადამიანის ხვედრს არაერთი კრიტიკოსი შეხვებია. ამ კუთხით ჩვენ საინტერესოდ მივიჩნიეთ გრიგოლ რობაქიძის წერილი „აკაკის ქნარი“, რომელშიც განხილულია აკაკის ლექსი „გედი“ და პოეტის ესთეტიკური პრინციპები.

როგორც ემზარ კვიტაიშვილი შენიშნავს, გედის აკაკისეული სახე რამდენადმე გვაგონებს ბუღბუღლის საუცხოო ხატს, დიდი ინგლისელი რომანტიკოსის ჯონ კიტსის ერთ-ერთ უბრწყინვალეს ლექსში „ოდა ბუღბუღლისადმი“. მანვე, თავისებურად ტრანსფორმირებულმა, წლების მერე გალაკტიონის „მთაწმინდის მთვარეში“ ჰპოვა ადგილი [1; 630].

XX საუკუნიდან მოყოლებული ქართველმა კრიტიკოსებმა არაერთი საინტერესო მოსაზრება წამოჭრეს და ამით დიდი სამსახური გაუწიეს დღევანდელ მკვლევრებს. ინტერესი აკაკის შემოქმედებისადმი დღესაც არ ნელდება.

ნანა ფრუიძე წიგნში „აკაკი წერეთლის მხატვრული პროზის პრობლემატიკა და მხატვრული სტრუქტურა“ (1999), ანალიზებს მკვლევართა ყურადღებით ნაკლებად „განებიერებულ“ თხზულებებს. ექვსთავიან მონოგრაფიაში ავტორი მიმოიხილავს აკაკის პროზაულ თხზულებებს და მსჯელობს მათ პრობლემატიკასა თუ სტრუქტურულ საკითხებზე, განხილულია აკაკის „ლეგენდის“ სახელწოდებით ცნობილი ქმნილებები და პოეტის მიერ შეთხზული ზღაპრების სპეციფიკა, დიდი ადგილი ეთმობა აკაკის პროზაულ იგავებს და მათ მხატვრულ თავისებურებებს, აგრეთვე მხატვრულ-დოკუმენტური პროზის შესანიშნავი ნიმუშის (სოლომონ I დიდი) მხატვრულ-სახეობრივი სისტემის ანალიზს.

მაია ჯალიაშვილმა აკაკის ლექსი „აღმართ-აღმართ“ (სიცოცხლის საიდუმლო, თბ., 2006) საღვთისმეტყველო სიბრტყეზე გააანალიზა და წარმოაჩინა მასში გამოყენებული სხვადასხვა კოდის (კულტურული, საღვთისმეტყველო) მნიშვნელობა. კრიტიკოსის მიერ გავლენულია პარალელები ბერძნულ მითოლოგიასთან (სიზიფეს მითი) და „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებასთან“. მკვლევარი ჩინებულად წარმოაჩენს ლექსში მოხმობილი ალუზიების მხატვრულ ფუნქციას და გვიჩვენებს ლირიკული გმირის სულიერი განვითარების გზას.

აკაკი წერეთელი იმ პოეტთა რიცხვს ეკუთვნის, რომლებიც ხშირად ერთს ამბობენ და მეორეს გულისხმობენ. შესანიშნავად გაიაზრა კრიტიკოსმა თამაზ კვაჭანტირაძემ აკაკისეული ქარაგმა ლექსიდან:

„ჩანგურო, ჩემო ჩანგურო,
ღვთიურო, უცხო ძაღლო,
დაადნა გული შენს სიმებს
და სული დაიცალაო“.

სიმღერა „სულის დაცლამდე“ კი იგივე ლოცვაა. ამ აზრით, აკაკიმ ლამის კაზადოკიელის როლი ითამაშა - ხელმეორედ მოაქცია საქართველო [7; 115-116].

დღესაც მრავლისმთქმელია აკაკის შემოქმედება კრიტიკოს-მკვლევართათვის, როგორც სევდა ქართული ლექსის განთიადისა, რადგან აკაკი ის პოეტია, რომელიც ქართველმა ერმა გარდაცვალებამდე შეიყვარა.

ლიტერატურა:

1. ქართული მწერლობა ოცდაათ ტომად, ტ. XII, შუაგანი (ბოლოსიტყვა ემზარ კვიტაიშვილისა), თბ., 1996, გვ. 597; 630.
2. ევგენიძე იუზა, აკაკი წერეთელი გლობალიზაციის ფონზე (საიუბილეო კრებული „აკაკი წერეთელი - 170“), ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2011, გვ. 38.
3. აკაკი წერეთელი რევოლუციამდელ ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში (შეადგინა მზია გომამდემ), თბ., 1985, გვ. 13-14; 287.
4. ჭუმბურიძე ჯუმბერ, ქართული კრიტიკის ისტორია, ტ. I, თბ., 2003, გვ. 311.
5. გამეზარდაშვილი დავით, ნარკვევები ქართული რეალიზმის ისტორიიდან, ტ. II, თბ., 1967, გვ. 580.
6. ახალი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. II, თსუ, 2003, გვ. 145.
7. კვაჭანტირაძე თამაზ, სასიტყვეთი, თბ., 2008, გვ. 115-116.

Tamar Sidamonidze
Gori State Teaching University
AKAKI TSERETELI IN GEORGIAN LITERARY CRITICISM
RESUME

Georgian literary critics always paid great attention to the creative work of Akaki Tsereteli. Reviewing the critical essays concerning the fiction of Akaki Tsereteli vividly shows different nuances of the literary critics which followed its development. The critics always tried to analyze the individual patterns of Akaki's creative work, innovations and significance. The goal of the work is to show retrospectively significant points of the critical heritage of Akaki Tsereteli's creative work.

ნათია სიხარულიძე
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

გალაკტიონის ერთი ლექსის იდუმალი იმპულსი

„აბისინელი ჯარისკაცი“ გალაკტიონ ტაბიძის ნაკლებადცნობილ ნაწარმოებთა რიცხვს მიეკუთვნება. იგი პირველად 1940 წელს გამოქვეყნდა, თხზულებათა რვატომეულის მესამე ტომში. ვიდრე ამ ლექსს და მის მიმართ ჩვენი ინტერესის მიზეზს გაგაცნობდეთ, ორიოდ სიტყვით დავახასიათოთ აღნიშნული ტომი, რომელიც განსაკუთრებული მრავალფეროვნებით გამოირჩევა: აქ ეპოქის სულისკვეთების გამომხატველი ნაწარმოებების გვერდით დაბეჭდილია დღემდე პოპულარული

ლექსები: „ყველას რაიმე აქვს სახსოვარი“, „მთვარის ნამბობიდან“, „სამშობლოს“, „წყალტუბოდან ქუთაისში“, „წარწერა წიგნზე „მანონ ლესკო“, „ჩამავალ მზის ფერადო კიდე“, „ავდარი“, „იერი“, „ზღვა წყნარია ნამეტანი“, „გამონაკლისი“ და არაერთი სხვა. აქვე ქვეყნდება პოემა „საუბარი ლირიკის შესახებ“.

ამავე ტომშია დაბეჭდილი ევროპული ციკლი - „მოგონებანი ევროპაზე“ (პარიზში, 1935 წელს ჩატარებულ ანტიფაშისტურ კონგრესთან დაკავშირებულ მოგონებებს რომ ეძღვნება). სწორედ ამ ციკლშია შეტანილი ჩვენთვის საინტერესო ნაწარმოები - „აბისინელი ჯარისკაცი“. გავეცნოთ ნაწარმოების ტექსტს:

აბისინელი ჯარისკაცი

ორნი ძმანი ვიყავით,
მე მჯობნიდა პირველი,
სიმამაცით, გატანით,
შრომით გასაკვირველი.
მე ვიყავი კეთილი,
ის - სხვა სულისკვეთების,
მკაცრად ჩამოკვეთილი
რისხვა მძლავრი ქედების.
ძმა წამართვა ზუზუნმა
მომხდურ მტერთა ტყვიების,
აწ გულს ცეცხლად ედება
გრძნობა შურისძიების.
ვისიც სისხლის დაღვეის
სურვილი მაქვს ძლიერი,
მხეცი, დაუნდობელი
არის იტალიელი.
დაიღუპა ჩემი ძმა,
სოფლებსა და სადგურებს
ცეცხლი უფრო და უფრო
ლეწავს და ანადგურებს.
ბრძოლა, თუნდაც გათავდეს,
ვინ რომელს გაასვენებს,
მე კი სისხლის აღების
ფიქრი არ მომასვენებს.
მე დროს ვუცდი შესაფერს,
ის დროც მალე დადგება,
ჩემი თოფ-იარაღი
მაშინ გამომადგება.
დაიღუპა ჩემი ძმა,
ცა მას ცრემლებს აჰკურებს,
სისხლიანი გრიგალი
სამშობლოს ანადგურებს.
ვისიც სისხლის დაღვეის
სურვილი მაქვს ძლიერი -
მტერი, დაუნდობელი,
არის იტალიელი.

როგორც ვხედავთ, ლექსი წარმოადგენს იმ ჯარისკაცის მონოლოგს, რომელსაც მტერმა ძმა მოუკლა. ნაწარმოები დაწერილია აბესინია-იტალიის ომის თემაზე; გალაკტიონის ტექსტს უშუალოდ აბესინიასა და იტალიასთან ორი რამ აკავშირებს ერთი მხრივ - სათაური, სადაც ჯარისკაცის სადაურობაზეა მითითება და, მეორე მხრივ, ტექსტში ორჯერ ნახსენები სიტყვა - იტალიელი, მტრის ეროვნებას რომ აკონკრეტებს.

ამავე ომის თემას თხზულებათა მესამე ტომში კიდევ ორი ლექსი ეძღვნება. ეს სამი ნაწარმოები ერთმანეთის მიყოლებით, შემდეგი თანამიმდევრობითაა დაბეჭდილი: „მგელი და ცხვარი“, „ნეაპოლში“ (თავდაპირველი სათაურით „აბისინელს“) და ჩვენ მიერ უკვე ნახსენები „აბისინელი ჯარისკაცი“.

რატომ მიიქცია პოეტის ყურადღება აბესინია-იტალიის ომმა? ან რას უნდა ნიშნავდეს გალაკტიონის ლირიკისთვის ესოდენ უჩვეულო, სასტიკი შურისძიების წყურვილი და ფიქრი სისხლის აღებაზე, მეტიც,

მტრის სისხლის დაღვრაზე - ლექსში „აბესინელი ჯარისკაცი“? ხომ არ არის შესაძლებელი, რომ ნაწარმოები ქართული სინამდვილით იყოს შთაგონებული?

ამგვარი ეჭვის საფუძველს ქმნის ის, რომ, როგორც კვლევა ცხადყოფს, „ევროპული ციკლის“ ლექსთა უმეტესობისათვის დამახასიათებელია ქართული რეალობის გაუცხოება. უფრო ზუსტად, პოეტს საქართველოში მომხდარი ამბები, ზოგჯერ პირადი, ავტობიოგრაფიული ფაქტებიც კი ევროპაში გადააქვს და ასე, გაუცხოებული სახით წარმოგვიდგენს სათქმელს. მაგალითად, ამავე ციკლში შეტანილია ლექსი „უბინაო დედა“, რომელიც თავდაპირველ ვარიანტის მიხედვით გალაკტიონის დედას ეძღვნებოდა და შინაარსიც სათანადო ჰქონდა.

მაგრამ აქვს თუ არა რაიმე კავშირი ჩვენს სინამდვილესთან „აბესინელ ჯარისკაცს“?

ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად, უპირველესად, საჭიროა გავარკვიოთ, თუ რა შინაარსისაა აბესინია-იტალიის ომი გალაკტიონის ლირიკაში. როგორც ითქვა, ამ ომის თემას აღნიშნულ ტომში სამი ლექსი ეძღვნება. პირველი მათგანია „მგელი და ცხვარი“, რომელშიც, არის მინიშნება ჩვენთვის საინტერესო საკითხზე.

გალაკტიონის ევროპულ ციკლში შეტანილი „მგელი და ცხვარი“ წარმოადგენს რომაელი პოეტის, ეზოპეს იგავების მთარგმნელის - ფედრის (ძვ. წ. 20 - ახ.წ.-ის 50) არაკის „მგელი და ცხვარი“ („Lupus et Agnus“) ვერსიას. ლექსი ასე იწყება:

თითქმის ორი
ათასი წლის
წინ ცხოვრობდა ფედრი.
მან დასწერა
ბევრთა შორის
ეს არაკი მკვეთრი:

შემდეგ მოთხრობილია მგელისა და კრავის ცნობილი არაკი. დასასრულს გალაკტიონი გვეკითხება:

მაგრამა სთქვით:
ეს ამბავი
რითი არის ძველი,
აბესინელ
კრავს თუ ერჩის
იტალიის მგელი?

იგავს მგელისა და კრავის// ცხვრის შესახებ ქართველი მკითხველი აკაკი წერეთლის თარგმანით იცნობს. გალაკტიონთან ეს არაკი, აბესინელი კრავის ჩაგვრა იტალიელი მგლის მიერ, გულისხმობს დიდი და პატარა სახელმწიფოს ურთიერთდამოკიდებულებას, ასევე ევროპული ციკლის სპეციფიკის მიხედვით, დასაშვებია, ვიფიქროთ, რომ აბესინია-იტალიის დაპირისპირებაში ალეგორიულად მოიაზრება რუსეთის დამოკიდებულებას საქართველოს მიმართ.

ამგვარი პარალელის შემდეგ ჩვენთვის საინტერესო ლექსს მივუბრუნდეთ: თუ აბესინია საქართველოს გულისხმობს, ხოლო იტალია - რუსეთს, მაშინ, ბუნებრივია, აბესინელი ჯარისკაცი - ქართველი ჯარისკაცია, ლექსში ქართველი ძმების ამბავია გადმოცემული, ხოლო - საზიზღარი მტერი, ვისზე შურისძიებაც სურს ლირიკულ გმირს - რუსი გახლავთ.

ვარაუდის შესამოწმებლად და ლექსის სათქმელის უკეთ გარკვევის მიზნით დავაკვირდეთ ავტოგრაფებს. შემოქმედებითი პროცესის შესასწავლად განსაკუთრებით საინტერესოა ერთ-ერთი ხელნაწერი, სადაც ლექსის სამი სხვადასხვა ვარიანტი და რამდენიმე ფრაგმენტი წარმოდგენილი.

ამ ავტოგრაფის შესწავლის შემდეგ გაირკვა, რომ თავდაპირველად ტექსტი ეხებოდა არა ორ ძმას, არამედ, რამდენად უცნაურიც არ უნდა ჩანდეს, ორ დას. ლექსის პირველი ვარიანტის სათაური იყო „ორი და“, ქვესათაური კი - ინგლისური ბალადა. ძიების შედეგად დავადგინეთ, რომ ხელნაწერის დასაწყისში წარმოდგენილი ე.წ. შავი ვარიანტი, პირველი მონახაზი ნაწარმოებისა დაკავშირებული იყო ალფრედ ტენისონის რომანტიკულ ბალადასთან „დები“ („The Sisters“)¹. გალაკტიონი ინგლისელი პოეტის ტექსტს რუსულ თარგმანში უნდა გასცნობოდა. შევადაროთ ნაწარმოების შავი ვარიანტის ზოგიერთი ფრაგმენტი ტენისონის ბალადის ლ. ტრეფოლევისეულ თარგმანს:

ტენისონი:

¹ ტენისონის შთაგონების წყარო, თავის მხრივ, ცნობილი ინგლისური, ხალხური ბალადაა „ორი და“.

. , , . ,
 , , ,
 (: , ,).
 , , -
 ...
 !
 (: .)
 ... - - , , .
 (: - , -
 .)
 ; , , ,
 , - , ,
 , -
 ...
 !

გალაკტიონი:

ჩვენ ვიყავით ორი და,
 მე მჯობნიდა პირველი.
 სილამაზით შორითა
 სახე გასაკვირველი...
 ეს ქარი გულს მიღონებს,
 თითქო იმას იგონებს.
 მაგრამ... უმანკოება
 მას მოსტაცეს - იების...
 ჩემს გულს ცეცხლად მოება
 გრძნობა შურისძიების.
 იყო იგი თავადი
 დემონივით ლამაზი...
 დაიღუპა ჩემი და!
 ჯოჯოხეთში ვჰპოვებ მას,
 ქარი უფრო ძლიერი,
 მძლავრი ფრთების ცემითა,
 თითქო ბაღს ანადგურებს.
 დღეებს მიჰყვნენ თვეები,
 ნისლიანი, ავადი,
 მე ვუცდიდი,
 როს ეს ნაზი თავადი...

გალაკტიონთან საწყისი, შავი ვარიანტის ტექსტი აქ წყდება, ხოლო შემდეგი ვარიანტები ასახავს მცდელობას, რომ ორი დის ამბავი როგორმე ორი ძმის ამბად გადაკეთდეს. ტექსტის სწორებასთან ერთად იცვლება ძმების ეროვნება და მტრის ვინაობა - ასე ჩნდება სომეხთა და აზერბაიჯანელთა თემა, ჩინეთისა და იაპონიის დაპირისპირება და სხვა. ბოლოს, როგორც ვხედავთ, პოეტი აბესინია-იტალიის ომზე შეჩერდა.

ორი დის ამბის გადაკეთების ამგვარმა თავგამოდებულმა მცდელობამ, კიდევ უფრო გააძლიერა ეჭვი, რომ პოეტი რაღაც პირადი ამბის შეფარვით გადმოცემას ცდილობდა,

გალაკტიონის ბიოგრაფიის რომელი ფაქტი უნდა შეესაბამებოდეს ლექსში წარმოდგენილ ამბავს, ამბავს მოკლული ძმის შესახებ?

როგორც ითქვა, ლექსი პირველად 1940 წლის თხზულებათა მესამე ტომში გამოქვეყნდა, ამდენად, სავარაუდოა, რომ 30-იანი წლების ბოლოს დაწერილიყო. გალაკტიონის ძმა, პროკლე (აბესალომ) ტაბიძე,

ამ დროისათვის ცოცხალი იყო და მისი ბედი ვერავითარ შურისძიების სურვილს გალაკტიონში ვერ აღძრავდა.

პროკლეს გარდა, გალაკტიონისთვის არსებობდა კიდევ ერთი ადამიანი, ვისაც პოეტი ძმას უწოდებდა, ეს გახლდათ ტიციან ტაბიძე. მხოლოდ ძმა, კი არა ტყუპისცალი იყო ტიციანისთვის გალაკტიონი, როგორც 20-იან წლებში მიმართა უფროს ბიძაშვილს: „ერთი ოცნების, ერთი გვარის ვართ ტყუპისცალი“...

გალაკტიონის „აბესინელი ჯარისკაცი“ როცა იწერებოდა იმ დროს არცთუ ისე დიდი ხნის აღსრულებული იყო ტიციან ტაბიძისათვის 1937 წლის 15 დეკემბერს გამოტანილი საბოლოო, უმკაცრესი განაჩენი - დახვრეტა. ტიციანს ბრალად ედებოდა ნაციონალურ-ფაშისტური კონტრრევოლუციური ორგანიზაციის აქტიური წევრობა, ძირგამომთხრელი მუშაობა ლიტერატურასა და ხელოვნებაში...

ჩვენს, ერთი შეხედვით, თამამ ჰიპოთეზას, ვარაუდს იმის შესახებ, რომ გალაკტიონის ლექსი სინამდვილეში ტიციან ტაბიძის ტრაგიკული აღსასრულისადმი დამოკიდებულებას გამოხატავს, რომ დაღუპული ძმა ტიციანს გულისხმობს, არსებობის უფლებას რამდენიმე ფაქტი აძლევს, მათ შორის პირველი:

დასახელებულ ხელნაწერში, ლექსის ყველა ვარიანტში არის საერთო მოტივი, როდესაც ქარის ან მდინარის ხმაური ლირიკულ გმირს დაღუპულ დას თუ ძმას ახსენებს, ხოლო ერთგან - მდინარესა და ქარს ენაცვლება ენაცვლება სიტყვა ტიანცზი.

ტიანცზი არ არის მდინარე, იგი ჩინეთის ყველაზე ცნობილი მთების სახელწოდებაა და შესაბამისად, ამ კონტექსტისათვის არალოგიკურია. როგორ შეიძლება მოაგონოს ლირიკულ გმირს მთამ დაღუპული ადამიანი?

ამ ფაქტმა და სიტყვა „ტიანცზის“ ბგერობრივმა შედგენილობამ ტ - ი - ც - ა - ნ... გვაფიქრებინა, რომ აქ ანაგრამულად იკითხებოდა ტიციანის სახელი.

ერთადერთი ზ ასო-ბგერის გამოკლებით მთლიანად ეს სიტყვა მოიცავს, იტევს ტიციანის სახელს. საინტერესოა ისიც, რომ გალაკტიონის შემოქმედებაში, მის დღიურებსა თუ უბის წიგნაკებში „ტიანცზი“ მხოლოდ ერთხელ, ამ ავტოგრაფში გვხვდება.

ტიციანის სახელის სხვადასხვა ვარიაციებს ხშირად მიმართავდა გალაკტიონი - ჩანაწერებმაც შემოგვინახა და დღიურებშიც ჩანს, რომ იგი ბიძაშვილს ეძახდა ტიციანოს, ტიციანელოს, ტიტოს...

მკვლევართათვის კარგადაა ცნობილი გალაკტიონის მიერ შესრულებული ჩანახატი, ტიციანის პორტრეტი, რომელზე წარწერაც - გიაცინტო - ასევე ანაგრამული ხასიათისაა და ეს სახელი ტიციანს გულისხმობს.

გარდა ამისა, ჩვენი აზრით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ეს დეტალი: ავტოგრაფის ზედა, მარჯვენა კუთხეში იკითხება ფრაზა, რომელიც მელნის ფერის მიხედვით იმავე დროს უნდა შეესრულებინა პოეტს, როდესაც ამ ლექსის ვარიანტებზე მუშაობდა: Тициан Со мной не разговаривал (ტიციანი მე არ მელაპარაკებოდა).

ვფიქრობთ, საგულისხმოა ისიც, რომ უკვე გამოქვეყნებულ ნაწარმოებს, „აბესინელ ჯარისკაცს“ წინ უძღვის ლექსი „ნეაპოლში“, რომლის თავდაპირველი სათაური, როგორც უკვე ითქვა, იყო „აბესინელს“. ეს ორი ტექსტი თემატურად მჭიდროდ უკავშირდება ერთანეთს და რაც ამჯერად ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა, ამ ლექსში არის ალუზია ტიციანის ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ ნაწარმოებზე „მამ, გამარჯვება, ტკბილო სიცოცხლე“.

შევადაროთ:

ტიციანი:

„მამ გამარჯვება ტკბილო სიცოცხლე
დავრჩებით ერთად ჩვენ განუყრელი“.

გალაკტიონი:

„მამ გაუმარჯოს იმგვარ სიცოცხლეს
სიცოცხლეზე რომ უტკბოესია“.

ასევე საგულისხმოა ისიც, რომ ლექსის - „ნეაპოლში“ ვარიანტები ევროპული ციკლის თემატიკისაგან შორსაა, სათაურის გარდა სხვა თითქმის არაფერი აკავშირებს მასთან, ავტოგრაფები კი პოეტის პირად განცდებს ასახავს და ერთგვარი დიალოგია ტიციანის ზემოთ დასახელებული ლექსის ლირიკულ გმირთან, ოღონდ ტიციანთან თუ სიცოცხლის სადღეგრძელოა, გალაკტიონს სრულიად საპირისპირო სათქმელი აქვს:

აქ გაზაფხული მხარეებს ჰკოცნის,
იგი, ძმა, მუდამ ჩვენს მხარეზეა,
სადღეგრძელოს სმენ იმგვარ სიცოცხლის,
სიკვდილს რომ ჰგავს და უარესია.
არ მოგშორდება უბედურების
და მარტოობის მსუსხვავე ჩრდილი,
საშინელია ნატვრა სიკვდილის
და ნეტარება თვითონ სიკვდილი.

კიდეც ერთხელ მივუბრუნდეთ „აბესინელ ჯარიკაცს“, ოღონდ, ამჯერად, ამ ჰიპოთეზის გათვალისწინებით. ყურადღება მივაქციოთ ძმობის თემას, ძმების ამბავს, მტრის მიერ ერთ-ერთი ძმის მოკვლას, შურისძიების გრძნობის სიმძაფრეს, შესაფერისი დროის მოლოდინს და ყოველივე ამის ფონს - აოხრებული, განადგურებული სამშობლოს სურათს. თუ ამ ყოველივეს გავითვალისწინებთ და ლექსს ისე დავაკვირდებით, მაშინ ჩვენს ვარაუდზე დაყრდნობით იქმნება შესაძლებლობა, აიხსნას როგორც სისხლის ალების მძაფრი სურვილი, ისე სამშობლოს აოხრებით გამოწვეული მწვავე განცდა და, რაც მთავარია, გალაკტიონის ლირიკისათვის სრულიად უჩვეულო, სასტიკი შურისძიების წყურვილიც.

ტიციანის ტრაგიკული აღსასრულის კვალი, ამ ამბის გაგებით გამოწვეული განცდები გალაკტიონის არცერთ სხვა ნაწარმოებში არაა ასახული, დღიურებშიც თითქმის არაფერია ამ ტრაგედიის შესახებ. ერთი რამ კი შეიმჩნევა: 1937 წლის შემდეგ გალაკტიონი განსაკუთრებით ხშირად ხატავს ტიციანს - ხატავს ცალკე, ან კიდეც - რომელიმე ლექსზე მუშაობისას...

ჩანაწერებში გალაკტიონი იგონებს ტიციანს, მეტიც - გადაწყვეტს, რომ დაწეროს „ტიციანის ბავშვობა“. გეგმა დაახლოებით ასე ერთეულს აღწევს. ტიციანის აღსასრულის შესახებ კი გალაკტიონის მხოლოდ ორ თუ სამ ჩანაწერშია რამდენიმე სტრიქონი: ერთგან ქართველი მწერლებისა და პოეტების სიაა, სიაში სხვებთან ერთად დასახელებულია ტიციანი და იქვე ვკითხულობთ ამგვარ შენიშვნას: აქ ოდესმე ჯანსაღი – 33 კაციდან 20 ცოცხალი აღარ არის. გალაკტიონი (1954, 21 ნოემბერი); ხოლო მეორეგან - ერთადერთი ფრაზაა: კრიმიანი - ტიციან ტაბიძის მწამებელი - მაშინ იყო თურმე 21 წლის (1955 წელი).

და ბოლოს, „აბესინელ ჯარისკაცში“ გამოთქმული სისხლის ალების სურვილი, რევანშის გრძნობა გალაკტიონმა გაიხსენა თუ საკუთარ თავს შეახსენა 1952 წელს დაწერილ, კვლავ აბესინია-იტალიის თემისადმი მიძღვნილ ლექსში „აბესინელო“. ლექსის ლირიკული გმირი საკუთარ თავს მიმართავს:

...შენ არ ჩააგო
ქარქაშში ხმალი,
რევანშის გრძნობა
არ შეინელო,
სადაც შობილხარ,
იმ მთა-გორების
იყავ ერთგული,
აბესინელო!
დარბევა, ქვეყნის
განადგურება,
რა სამარცხვინო
ასპარეზია.
ო, ეშინოდეთ
იმგვარ სიცოცხლის...
ის ხომ სიკვდილზე
უარესია!

Natia Sikharulidze
Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Shota Rustaveli Institute of Georgian Literature
THE SECRET IMPULSE OF GALAKTION TABIDZE'S ONE POEM
RESUME

The present paper discusses Galaktion Tabidze's poem „The Abyssinian Soldier”. The poem for the first time is published in the 3rd volume of Eight Volume, Selected set of Works by Galaktion Tabidze published in 1940. The cited volume is thematically varied. „The Abyssinian Soldier” is a part of „European Cycle”.

It is hard to tell exactly, but I think, that one of the handwritings show that the secret impulse of creating this poem was the tragedy of Titsian Tabidze. In the article our opinion is argued as far as possible .

According to this hypothesis we can explain the strange plot of the poem.

ლუარა სორდია
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

გალაკტიონ ტაბიძის „ლურჯა ცხენების“ „ეფემერული და ფერადი ქარები“

გალაკტიონ ტაბიძის ერთ-ერთი მთავარი ესთეტიკური პრინციპი იყო სახე-სიტყვათა მრავალმნიშვნელოვნების პრინციპი. ამიტომაც ნიავი, ქარი, გრიგალი, ქარიშხალი, როგორც სხვა ცნებები, მრავალგვარი შინაარსით იტვირთება პოეტების მეფის შემოქმედებაში. ამ ტერმინებით ხასიათდება ადამიანის სულიერი მდგომარეობა, შთაგონება, სიახლე, თავისუფლება, ბოროტება, სიკეთე, მოძრაობა, ეპოქალური გარდატეხა.

პოეტი აყურადებდა „ჩუმ შრიალს“, უჩინარი ქარს: „რა ამომძრავებს კიპარისის ტანს, ჩუმი შრიალი საიდან არის? ქარი არა ჩანს, ქარი არა ჩანს, მაინც მწვერვალებს ედება ქარი“ (ისევ ეფემერა) (1,229).

ქარში ვერხვის ფოთლები უშორეს ზღაპარს შრიალებდნენ: „ყოველთვის, როცა დაბერავს ქარი და ნისლს მთებისას გაიფენს აფრად, ვერხვის ფოთოლთა თეთრი ლაშქარი აშრიალდება უშორეს ზღაპრად“ (ვერხვები) (1,49).

სიოც თითქოს მომაჯადოებელ ზღაპარს ასმენინებდა პოეტს: „სიო, სარკმლით მონაქროლი, ველთა ზღაპარს მეუბნება“ (მე და ღამე) (1,78).

სხვაგან „ნიავი შედგა და შერჩა ღელეს მომაჯადოებელ ზღაპრების გამო“.

ზღაპარი პოეტური ფანტაზიის, გამოწვევის სიმბოლოა გალაკტიონთან და ლოგიკურია დავასკვნათ, რომ ასეთი კონტექსტის ქარი, ნიავი თუ სიო დაკავშირებულია შთაგონებასთან.

ალბათ, ამით აიხსნება ასეთი გამძაფრებული მოლოდინი ზღაპრისა თუ შორეული ქარებისა: „...თითქოს ფენომა ზურმუხტის რტოთა, ცის დასავლამდე უსიზმროდ მდგარი, უსმენდა ჩანგებს და მოელოდა. შორს, ძალიან შორს მოჩანდა ქარი, მე შენ გკოცნიდი და გული თრთოდა. ზღვა იყო წყნარი“ (ქარი მოგონებათა) (2,197).

გვაოცებენ და იღუმალეზას გვაგრძნობინებენ „მზერადიადი სიონი“, „ის ერთი შეხება ნიავის“, „ნიავთა წუთი“, „წუთების ქარი“, „ნიავი, ფიქრთა ათასი ნავით“, „უხილავი ძალა და ქარიშხალის აზუზუნება“...

აშკარაა, შთაგონება ქარის ქროლვასთან არის დაკავშირებული.

ჯერ კიდევ ინდოელთა ფილოსოფიაში ქარი ოთხი მთავარი ელემენტის შემადგენელი ნაწილი იყო მიწასთან, წყალთან და ცეცხლთან ერთად.

ქარი სულის სიმბოლოც იყო, იგი ყველგან ქროლვისა და მობერვის სახით მოიაზრებოდა.

ზეცით მონაბერ სულზეა ლაპარაკი ძველ აღთქმაში: „გამოსახა უფალმა ღმერთმა ადამი (კაცი) მიწის მტვერისაგან და შთაბერა მის ნესტოებს სიცოცხლის სუნთქვა და იქცა ადამი ცოცხალ არსებად“ (დაბადება, 2,7) (3,8).

„ვეფხისტყაოსანშიც ყურადღებას იქცევს ეს აზრი: „რომელმაც შექმნა სამყარო ძალითა მით ძლიერითა, ზეგარდმო არსნი სულითა ყვნა ზეცით მონაბერითა“.

სულს სულიწმინდად მიიჩნევს ზვიად გამსახურდია და მიმართავს ღვთისმეტყველთ: „ბერვა, შთაბერვა, მობერვა“ ტრადიციულად იხმარება ღვთისმეტყველებაში სულიწმიდასთან დაკავშირებით. ვ. ლოსკი იმოწმებს ნაზიანზელს, რომელიც ამბობს სულიწმიდაზე, რომ „ეს არის სული, რომელიც უბერავს ყველგან და ყოველი მიმართულებით, ყოველივეს აძლევს ნათელს და ცხოვრებას“.

„ექვგვარეშეა, რომ „ბერვა“ დაკავშირებულია ძველი აღთქმის შესაქმნისას სულის შთაბერვასთან (შესაქმე, II, 7).

„ამასვე უკავშირდება ისიც, რომ „მოციქულთა საქმეში“ სულიწმიდის, მოსვლა შედარებულია ქარის დაბერვასთან“, აღნიშნავს ზვიად გამსახურდია (4,294).

სულიწმიდასთან დაკავშირებით ზვიად გამსახურდიას მოაქვს გამოთქმა „მობერვა თომა გვინელის, გერმანელი ღვთისმეტყველის – იაკობ ბემეს ნააზრევით: „ღვთის სიტყვა და ძალი უხილავია, მაგრამ მკვიდრობს ყველა ელემენტში... უხილავი ძალის გამოთქმით და მობერვით შეიქმნენ ყველა ხილული არსნი“ (4,35).

მეცნიერის დაკვირვებით, „თამარიანში“ „საუფლო სული“ ანუ სულიწმინდა შედარებულია ნიავეთ: „ცხადია, რომ ესეც იწვევს „მობერვის“ ასოციაციას: „უცნი ავითა, უც ნიავეთა საუფლო სული ჟამის ჟამისად“.

პროფესორი აკაკი გაწერელის დაკვირვებით, ჩახრუხადის ოდაში ნახსენებია „მობერვა“... „თამარიანში“ ნათქვამია: „ვთქვი შიშით მკრთალმან, საღმრთომან ძალმან მობერა სიონს ბრძნად მეცნიერსა“ (ქ. „ცისკარი“, 1970წ. №8, გვ. 116).

ზვიად, გამსახურდია ყურადღებას მიაქცევს იმას, რომ ახალ აღთქმაში ქრისტე არის „მომბერი“ სულისა. ეს ხდება იოანეს სახარებაში, როდესაც აღდგომის შემდეგ მაცხოვარმა მოწაფეებს „შეჰბერა და ბრქუა: „მიიღეთ სული წმიდა“ (იოანე, 21,22) (5,225).

მკვლევარი აქცენტს უკეთებს დიონისე არეოპაგელის შრომების იგივე ტერმინებს: „საღმრთო მობერვა“ და „მღვდელმთავრობითი მობერვა“. „მობერვა უკავშირდება სულიწმიდას... სიტყვა „მობერვის“ ხმარება რუსთაველის მიერ პირველ სტროფში კიდევ ერთხელ გვიმოწმებს, რომ აქ ნახსენები სული „სულიწმიდაა“ (4,36).

მოციქულთა საქმეში საუბარია ქარის დაბერვაზე, ცეცხლის ენების მოფენაზე და სულიწმინდით ავსებაზე: „მოულოდნელად იყო ხმაური ზეციდან, თითქოს ძლიერმა ქარმა დაბერაო და აივსო მთელი სახლი, სადაც ისინი ისხდნენ.

„და ეჩვენათ მათ გაყოფილი ენები, თითქოს ცეცხლისანი და სათითაოდ მოეფინა ყოველ მათგანს. ყველანი აღივსნენ სულიწმინდით და იწყეს ლაპარაკი სხვადასხვა ენებზე, როგორც სული ამეტყველებდა მათ“ (საქმეები, 2,2,3,4) (53,230).

ჩვენი ყურადღება მიიქცია ასევე დიონისე არეოპაგელის „შრომების“ „უჟამოდ მობერვამ“ (6,145).

იოანეს სახარებაში კი სულიწმიდის შესახებ წერია: „ქარი ქრის, სადაც მოისურვებს. მისი ხმა გესმის, მაგრამ არ იცი, საიდან მოდის და სად მიდის. ასევეა ყველა, ვინც სულისაგან არის შობილი“ (იოანე, 3,8) (5,181).

ქართულ სასულიერო პოეზიაში გვხვდება საღმრთო ნიავე, მისი მობერვა: „ლამპრითა ბრწყინვალითა სათნოებითაითა განჰბრწყინდი შენ, სანატრელო, ბრწყინვალეებითა სულისა წმიდისაითა და მომბერენ ჩუენ ნიავეთა საღმრთოისა მადლისაითა სწავლანი სულიერნი და შესცვალენ ცნობანი სულელნი სიბრძნედ, ნეტარო და უმეცრებისა ბნელი განაქარვე“ (ბასილი, „გალობანი ეფთვიმე მთაწმინდელისანი“) (7,508).

წმიდა თომა აქვინელის სიტყვით, ის, რაც ღვთისგან გამოდის, როგორც სიყვარული, შობილი ძე როდია, არამედ მონაბერი სული“ (სულიწმიდა) (ზვიად გამსახურდია, „თამარიანი“ და „ვეფხისტყაოსანი“) (8,64).

სულიწმიდა მიჰმადლებს ადამიანებს სიყვარულს, მიჯნურობას, სულიწმიდის მაღლი იწვევს აგრეთვე კათარსისს, ცოდვათა შემსუბუქებას“ (8,64).

სულიწმიდის ქნარი ეწოდებოდათ გამორჩეულ ჰიმნოგრაფს – სირიელ ეფრემს და მოციქულ პავლეს. სულიწმიდის კარნახით იქმნებოდა ბასილ დიდის ჰომილიები, სულიწმიდის შთაგონებულად მიიჩნევა ახალი აღთქმა, ქრისტიან ღვთისმეტყველთა წიგნები.

გიორგი მერჩულე გრიგოლ ხანძთელის საგალობლებს სულიწმინდის ნაკარნახევად აცხადებდა.

სულიწმინდის მაღლით ჭკრეტდნენ ღვთაებრივ საიდუმლოს წინასწარმეტყველნი, რადგან ნიჭთა და მაღლთა გამწაწილებლად მიიჩნევა სულიწმინდა.

სიბრძნის სიტყვა, ცოდნის სიტყვა, რწმენა, მკურნალობის ნიჭი, სასწაულმოქმედება, წინასწარმეტყველება, ენების ცოდნა სულიწმინდით მონიჭებულ მადლად ცხადდება ახალ აღთქმაში (პავლე მოციქულის ეპისტოლენი, I კორინთელთა მიმართ თ. 12, 4-11) (5, 374).

„ნიჭი არის საღმრთო სულისა მადლი“ (ეფრემ მცირე) (9, 104).

„საღმრთო სულითაა გაპირობებული ღვთიური მობერვა, ზეშთაგონება“ (წმ. გრიგოლ ნოსელი) (10,363).

სულიწმინდის მოქმედებას ღვთისმეტყველებაში „საღმრთო მობერვა“, „საღმრთო ნიავი“ ეწოდება.

„ორფიკულ არგონავტიკაში“ უფალი მოიხსენება, როგორც „მომბერავი“, ხოლო „მობერვა“ შთაგონების აზრით გვხვდება შუა საუკუნეების ქართულ საგალობლებში (11,39).

ნეტარი ავგუსტინე ევედრებოდა უზენაესს, მოთმინებით ელოდა საღვთო ქარის მოვლინებას და ასეთ წუთებში სიხარულით ივსებოდა: „...აი, როგორც იქნა, შევისუნთქე მონაბერი შენმიერი ქარისა“ (აღსარება) (12, 278).

დავით წინასწარმეტყველი ამ საღვთო ქარის, უფლის პირის ქარის ქროლვას, მის დაფარულ აზრს უსმენდა: „ღმერთო, მესმა შენი დაფარული შინა ნიავექარისათა“ (ფს. 17,16) (5,537).

„გონებას სულიწმინდა ჰგონდა ნათელსა“, ამბობდა დანტე (13,375).

ღვთიური სულის მოფენისთვის ლოცულობდა დავით გურამიშვილის „... აწ მომფინე სულია, მამით გამოსულია“.

სულიწმინდა ნიავის სახით ფიგურირებს ვაჟა-ფშაველას „ქებათა ქებაში“: „ნიავიც მიდუღუნებდა ველებზე სულიწმინდადა, იგივე იყო უცვლელად, რაც ათასის წლის წინათა“.

„ბუნების მგოსნებში“ სულიწმინდა ჰაერთან შეზავებულად წარმოიდგინება. ბულბულის გალობას სულიწმინდად უქცევია მთელი ბუნება, თვითვე მას შეერთებია.

„სვავში“ ციური ნიავი სულიწმინდის სიმბოლოა: „შენ, ციურო ნიავო, მიეშველე მზეს, ერთად შეზავდით და თესეთ მადლი ქვეყანაზე“ (14, 285).

სულიწმინდის მოფენა იქცევს ყურადღებას ვაჟას მოთხრობაში „ფშაველი და მისი წუთისოფელი“.

„დაჩაგრულ მესტვირეში“ განსაცდელის ჟამს სულიწმინდას ევედრება პოეტი. ვფიქრობთ, აკაკი წერეთლის „სულიკოს“ მახარობელ ნიავში სულიწმინდა იგულისხმება (15,89-98).

გალაკტიონის პოეზიაში მრავლად არის სულიწმინდაზე მიმანიშნებელი სახეები.

ცნობილია, რომ სულიწმინდა მტრედის სახით ეცხადება ადამიანებს.

გალაკტიონის პოემაში „მოგონებები იმ დღეების, როცა იელვა“, სულიწმინდის მოვლინება ხდება ოქროსთავიანი, უცხო მტრედის სახით (16,37-38).

იდუმალთა და რელიგიური შინაარსის შემცველი გალაკტიონის „მზერადიადი სიონი“: „მველი სიონი დინჯი, ზვიადი, მზერადიადი ქროდნენ სიონი. ზეცა იისა, გადაარიდე იმედს ჯვარედი ბიზანტიისა. ის ანგელოზი აწ არ არს მშვიდი, ოდესმე დიდი საქართველოსი“ (ჰქროდნენ სიონი) (17,48).

„რასაც იდუმალი მოლოდინით“ სავსეა და საიდუმლო ელფერის მატარებელია შემდეგი სტრიქონები: „ის ერთი, ის ერთი შეხება ნიავის, მე მსგავსი არასდროს მხლებია, მრავალი წლის წინათ მრავალი სიავის და მრავალ სიახლის წლებია. გემიდან მშობლიურ მთების სიიავეს შევხედე და ვიგრძენ: მგზნებია! გინახავთ თქვენ ფერი დაბინდულ ქლიავის? – ეს ჩემი სამშობლოს მთებია! (ის ერთი შეხება ნიავის) (18,789).

„არსებობის ხესთან“ (სიცოცხლის ხის, ანუ ღმერთის სიმბოლოა) მოაზრებული „ნიავთა წუთიც“ სულიწმინდის განცდას მოასწავებს: „...ასე: მარადის არსებობის ხეს არხვეს ნიავთა წუთიც, წამიცა“.

„წუთების ქარი“, რომლისთვისაც პოეტს არ ენანება არაფერი, შეიძლება სწორედ უზენაესი სულის გამოცხადებად იქნას აღქმული: „...და ამ წუთების ქარში მრავალში ვინ დაინანოს გზანი, ჰუნენი? აქ წარსულშიც და მომავალშიაც შეჩერდებიან საუკუნენი“ (მე ლაჟვარდიდან) (16,404).

ქარს უკავშირებს პოეტი სამყაროს მუსიკალურ აღქმას, ოცნებების მომრავლებას: „ყოველთვის, როცა ბერავდა ქარი, მესმოდა ნისლის ფორტეპიანო, ზარი, გუგუნნი და ისევ ზარი“ (მუსიკალური ფანტაზმა) (1,104-105).

ლექსში „ჰაერი“, „დაბერა ქარმა და ოცნება ააჩანჩქარა“.

„მზიური ღამის ქარიც“, რომელიც ნუგეშად ევლინება პოეტს, სულიწმინდით მონიჭებული მადლი და შთაგონებაა (ტფილისი ღამით) (1,379).

ამ იდუმალიო ქარით, „ფერადი ქარებით“ მიჰქრიათ გალაკტიონის ლურჯა ცხენები ქაოსიდან პოეტური პარნასისკენ, მსოფლიოს პოეტურ რუკაზე ახალი მერიდიანის გასაველებად: „... ჩემი ლურჯა ცხენები ჰქროდნენ ეფემერული და ფერადი ქარებით“.

საკუთარი ხილვების ქაოსში ჩანთქმულ პოეტს იდუმალი ქარი ეძახის, რათა ძნელად მისაგნები, მარადიული ჭეშმარიტებები მოახელთებინოს: „ჰე, ქაოსში დაკარგულს ქარი დამედევნება ძახილით:

გალაკტიონ! და ძნელია მიგნება, სადაც ახლა ჯვარია და გვიანი მტევნები, იქ უკვდავი მაგიის მარმარილო იქნება“ (ეფემერა) (1,302-303).

იდუმალ შინაარსს იძენს ზენიტის ალვა და ზღვის ნიავეარი: „ჰორიზონტიდან ზენიტამდე ალვის მწვერვალებს წაუჭურჩულებს შენსა სახელს ზღვის ნიავეარი და ეს სახელი დასწევს ზეცის მიზნედილ თვალებს“...

პოეტი არის სიხარულშემოსილი, გაზაფხულშემოსილი ანუ ღმერთშემოსილი (სიხარული, გაზაფხული საღმრთო სახელებია), რომელსაც „სიახლის გრიგალი“, სულის მზე ახალ-ახალ წარმატებებს ჰპირდება (ეს გრიგალია სიახლის) (18,319).

სულში „ქარი ქანაობს ქნარად“ (18,48).

არც ნიავისა და ფიქრის დაკავშირებაა შემთხვევითი: „ამ შემოდგომის გზათა სიავეით, ხევში მიმოჰქრის ნელი ნიავი, ნიავი, ფიქრთა ათასი ნავით“. მე მინდა მივცე ნუგეში ნიავეს: „ნუ გეშინია, ნუ გეშინია, ეს მხოლოდ დროის მქროლი ჟინია“ (ამ შემოდგომის) (16,350).

ჩუმი, შორეული და უჩინარი ქარი შთაგონების გამოცხადების თავისებური სახეა, რომელიც ღმერთის მოვლინების რანგშია განცდილი.

გალაკტიონისთვის „მშობლიურია ხალისიანთა ნიავეთ მქველვაც“ (ვით არ მიყვარდეს სამშობლო ჩემი), „მშობლიურია ქარი“.

თვით პოეტიც ქარულია“, „ჯერ ყველასგან მიუკვლეველი სიყვარულის“, მთელი სამყაროს აღმომჩენი (დადგა აგვისტო) (1,380).

„მოვა ახალი სმენა აქარიშხლების მძაფრის“, ამბობს პოეტი, რომელსაც ესმის „არსთ ყოფნის სიო“ (სიმფონია ფესვების –).

„არსთ ყოფნის სიოც“ საღვთო სახელია, სამების მესამე წევრი.

„მშვიდობის წიგნში“ სულიწმიდის სახელია „საიმქვეყნიო და საამსოფლო სიო“, რომლის მაღლი მარადიულად ახლავს პოეტის სამშობლოს: „მშვიდად მეგულვის ჩემი სამშობლო, ზამთარო, ასე გულის დამშობობ, ვერ შესძლებ, სიო რომ გადასწიო, საიმქვეყნიო და საამსოფლო“ (17,131).

ეს სასიცოცხლო სიო“, შემოქმედების უჩინარი ქარები, სიკეთის, სინათლის, სრულყოფის მაუწყებელი ნიავე უბერავს გალაკტიონის ლექსებში. როგორც ქრისტე შთაბერავდა თავის მოწაფეებს სულიწმიდას, ისე გალაკტიონის პოეტური სიტყვაა მისი ლექსების მკითხველთა ნათლისმცემელი.

პოეტების მეფე თვითონ იყო „ქარული“, „ჯერ ყველასგან მიუკვლეველი სიყვარულის“, „ქვეყნისთვის ჯერაც მიუკვლეველი სამყაროს“ აღმომჩენი (დადგა აგვისტო) (18,390).

„მომავლის ქნარის“ მპყრობელი პოეტი აყურადებს „ქარის ხმას“ და თვითონაც „ქარიშხალივით მხნე და ბობოქარია“ (სულს ნუ დაზოგავ მღელვარე ხმებში) (17,107).

პოეტების მეფის იდეალია „ქარი პირველი, მთებში რომ მღერის“ (ვისაც ელოდი) (17,113).

მხოლოდ რწმენა, „არსთ ყოფნის სიო“ მოგმადლებს უნარს, მოისმინო ფესვების სიმფონია“, ატომის ატომთან შეხმთანება შეერთება – (სიმფონია ჭესვების) (16,116).

პოეტი შეიგრძნობას, რომ „მარადის არსებობის ხეს არხევს ნიავეთა წუთიც, წამიცა“ (ზღვაზე ბავშვების ბედნიერ სირბილს) (19,126).

ენატრება იდუმალ მოლოდინში „ის ერთი, ის ერთი შეხება ნიავეს“, რომელიც ახლებურად დაანახევებს მოვლენებს, მთების სიიავეს“, სამშობლოს დაბინდულ ქლიავისფერ მთებს (ის ერთი შეხება ნიავეს) (20,281).

შემოდგომით ამჩნევს ულტრაიისფერ სხივებს“, რომ „ხევში მიმოქრის ნელი ნიავე, ნიავე ფიქრთა ათასი ნავით“ (ამ შემოდგომის გზათა სიავეით) (20,350).

„მზიური ღამის ქარს“ ლექსებით აწყნარებს პოეტი (ტფილისი ღამით (1,304-305) შთაგონების მომნიჭებელი სულიწმინდა სრულიად ორიგინალური სახით გვხვდება ლექსში „ჰქროდნენ სიონი“: „მზერადიადი ჰქროდნენ სიონი (19,58).

ასევე წყარო არ ეძებნება „ბაგეანკარა ლილიან ქარს“ ლექსში „ლილიან ფრთებით“ (19,75).

შთაგონების მოვლინებას გვამცნობს ქარის დაბერვა: „დაბერა ქარმა და ოცნება ააჩანქარა“ სულში კი „აშრილდება ფიქრთა სამოსი“ (ჰაერი) (17,52).

პოეტის სულში „გრიგალი“ და „სამუშია, მისი სიტყვის მერანს კი მოაქვს „გრძნობა და სისადავე“ (დაბრუნდა გრძნობა და სისადავე“) (2.1, 370).

გალაკტიონის მახასიათებელია „ახალი სმენა ქარიშხლების მძაფრის“ (სულ ადვილია რწმენა (21,388).

პოეტს ლაჟვარდიდან იტაცებდა „სიცილი ქარის“, პოეტურ შუქით წვავდა „ორგია მზის და მაგია მთვარის“ და ამ „წუთების ქარში“ წარსულსა თუ მომავალს აწვდენდა მზერას, „ცეცხლში“ (ცეცხლი საღვთო სახელია) ენთებოდა სული: „და ამ წუთების ქარში მრავალში ვინ დაინანოს გზანი, პუნენი? იქ, წარსულშიც და მომავალშიაც შეჩერდებიან საუკუნენი“ (მე ლაჟვარდიდან) (20,404).

„მე და ღამეში“ (21,93) „სიო, სარკმლით მონაქროლი ველთა ზღაპარს“ ეუბნება, „ზღაპარი“ კი პოეტური ფანტაზიის სიმბოლოა.

„ქარის დაბერვა“ შთაგონების სტუმრობას გვამცნობს: „ყოველთვის, როცა დაბერავს ქარი და ნისლს მთებისას გაიფენს აფრად, ვერხვის ფოთოლთა თეთრი ლაშქარი აშრიალდება უშორეს ზღაპრად“, („ვერხვები“) (21,99). ზღაპარი აქაც გამონაგონის იდენტურია.

აფრა სულიწმინდად არის დასახული შატბერდის კრებულში (22,679).

იდუმალი „ქარის დაბერვის“ თანამდევია არაჩვეულებრივი სმენა, „ეფემერების ფანტაზები, სონეტების ნაზი ფერები, „მუსიკალური და გადარევის ეფემერები“ (მუსიკალური ფანტაზმა) (23,104).

„ქარი ქანაობს ქნარად“ (23,282), რათა გააცოცხლოს დამკვნარი ვარდები, გაამთელოს ნაიარევი გული.

ლექსში „ეს მშობლიური ქარია“ (447-448) ეროვნულ შემოგარენში ხედავს „ცის კოშკებს, ნესტანის კოშკებს“. აქვე ეზიარება პოეტი სიზმარს, „ოქროს ზღაპარს“, ქაოსიდან ამოზიდავს მთვარე „ლურჯ მოგონებას“, სულს დუმილში აცხოველებს „თვალეზდალურჯული იალქნები“, ანუ სულიწმინდა...

ლიტერატურა:

1. გალაკტიონ ტაბიძე, რჩეული, თბ. 1977
2. გალაკტიონ ტაბიძე, რჩეული, თბ. 1989
3. ბიბლია ორ წიგნად, წიგნი I
4. ზვიად გამსახურდია, „ვეფხისტყაოსანი“ ინგლისურ ენაზე, თბ. 1984
5. ახალი აღთქმა და ფსალმუნები, 1992
6. პეტრე იბერი (ფსევდო დიონისე არეოპაგელი) (შრომები, ს. ენუქიშვილის რედაქციით, თბ. 1961
7. ჩვენი საუნჯე, ტ. I, თბ. 1960
8. „მაცნე“, 1987, №4
9. ეფემ მცირეს იამბიკოები, თბ. 1988
10. წმ. გრიგოლ ნოსელი, „პასუხი ექუსთა მათ დღეთათვის, ედ. ჭელიძის თარგმანი და კომენტები, საქართველოს ეკლესიის კალენდარი, თბ. 1989
11. ორფიკული საგალობლები, პროკლე დიადოხოზის საგალობლები, ლ. კვირიკაშვილის თარგმანი და კომენტარები, თბ. 1989
12. ნეტარი ავგუსტინე, „აღსარება“, საქართველოს ეკლესიის კალენდარი, თბ. 1985
13. დანტე, ღვთაებრივი კომედია, თარგმანი კ. გამსახურდიასი, თბ. 1941
14. ვაჟა ფშაველა ხუთ ტომად, ტ. I, პროზა, თბ. 2011
15. ლუარა სორდია, საღვთო სიბრძნისა და საღვთო სიყვარულის ადებტები მეოცე საუკუნის ქართულ პოეზიაში, თბ. 2009
16. გალაკტიონ ტაბიძე ხუთ ტომად, ტ. 4, თბ. 1994
17. გალაკტიონ ტაბიძე, ხუთ ტომად, ტ. 2, თბ. 1993
18. გალაკტიონ ტაბიძე ხუთ ტომად, ტ. 1, თბ. 1993
19. გალაკტიონ ტაბიძე ხუთ ტომად, ტ. 2, თბ. 2011
20. გალაკტიონ ტაბიძე ხუთ ტომად, ტ. 3, თბ. 1994
21. გალაკტიონ ტაბიძე ხუთ ტომად, ტ. I, თბ. 2011
22. ტიტე მოსია, დავით გურამიშვილის მსოფლმხედველობის სამყაროში, თბ. 2010

Luara Sordia

Sokhumi State University

GALAKTION TABIDZE'S "BLUE HORSES" "EPHEMERAL AND COLORED WINDS" RESUME

According to holy scripture, we are endowed with every talent by the third member of the Holy Trinity - the holy spirit.

The phenomenon of the Holy Spirit in the Bible, which gives inspiration, in theology in classical works, is seen as the "Divine Breeze", "Divine Waves".

In Galaktion Tabidze's poetry, the "wind of the other world and this world" is the Holy Spirit ("The Book of Peace").

In the poem "The Tiflis Night" in the person of the "sunny night wind" inspiration appears. An inspirational breeze through the windows arouses poetic fantasies in the poem "I and Night".

The poem "The Breeze the Sun-Great" is similar in the poem "Breezes were blowing". "Winding" a sign of the appearance of "inspiration" in the poem "Poplar".

The wind blowing is directly connected with the dream, the Muse in the poem "Air": "The wind blew and inspired the dream."

"Blue horses" and "Ephemeral and colored winds" report the appearance of the Muses, for "Blue horses" - a symbol of poetry in the work of Galaktion Tabidze.

ეკატერინე ფანგანი სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მითი და ისტორია რომანში „გზაზე ერთი კაცი მიდიოდა“

ოთარ ჭილაძე მე-20 საუკუნის მეორე ნახევრის ერთ-ერთი გამორჩეული მწერალია, რომელსაც ნათლად აქვს წარმოდგენილი, რა მიმართულებით უნდა განვითარდეს ქართული მოთხრობა და რომანი. შემთხვევითი არაა ის ფაქტი, რომ იგი 1999 წელს, უმბერტო ეკოსთან ერთად წარდგენილი იყო ნობელის პრემიაზე.

სამწერლო მოღვაწეობა მწერალმა 1959 წელს დაიწყო, ლექსების კრებულით „მატარებლები და მგზავრები“, რასაც მოჰყვა მდიდარი მემკვიდრეობა ლექსების, პოემების, ესეების და რომანებისა. ლირიკიდან პროზაში გადანაცვლების რთული ეტაპი, მწერლის გენიამ უმტკივნეულოდ გადაიტანა, მკვლევარი ო.პაჭკორია წერს: „რთულია გზა ლირიკის წიაღიდან ეპოსამდე, ო.ჭილაძეს კარგად აქვს შეგნებული ამ პროცესის სირთულე: იცის, რომ მეტაფორა, (რასაც ასე უხვად ხმარობს) შინაგანი ბუნებით შესაძლოა პროზაული იყოს, არამარტო შესაძლოა, - მეტაფორა პროზის კუთვნილებას... როცა გამოვიდა პირველი რომანი - „გზაზე ერთი კაცი მიდიოდა“, უნებურად გამიჩნდა განცდა - ხომ არ იყო მწერალი ზომაზე მეტად ხელგაშლილი, მფლანგველი... ხომ არ ჩადო მთელი თავისი ლიტერატურული გამოცდილება, ცხოვრებისეულიც არ დაიტოვა არაფერი...“ [5. გვ.252] მიუხედავად ასეთი თავგანწირული და წრეგადასული დახარჯვისა, მწერლის მომდევნო რომანები არ განიცდიან, არც მხატვრული სახეების, არც მნიშვნელოვანი პლასტების სიმცირეს. პირიქით, იხვეწება, ჩამოქნილი, ჩამომერწილი სტილით აგრძელებს მწერალი წერას და სწორედ ამაშია მისი განსაკუთრებულობა, თხრობის მანერაში, ენობრივ სტრუქტურაში.

ახალი და უახლესი ლიტერატურული ტექსტები მითოლოგიური, ისტორიული და ბიბლიური პასაჟებით საზრდოობენ, რადგან სწორედ ეს სამი სამყარო წარმოადგენს უმდიდრეს მასალას, მოვლენების, საგნების, ახლებურად გააზრებისა და განჭვრეტის რთულ პროცესში. მითი შესაძლებელს ხდის დრო მართოს შემოქმედმა, წარსული აწმყოში გადმოიტანოს, აწმყო კი მომავლის გადასახედიდან წარმოუდგინოს მკითხველს.

ქართველი მკითხველისთვის ნაცნობი იყო ლიტერატურაში მითის გამოყენების ფაქტები, იმავე მე-20 საუკუნის პირველ ნახევარში, განსაკუთრებით, კ. გამსახურდიას და გრ. რობაქიძის შემოქმედებაში, რომლებმაც, მითის ორმაგი გაგება ბუნებრივად მიუსადაგეს წარსულის ხელახლა გააზრებას. მითისკენ მიბრუნება ისევ „დიდი რეალიზმის“ ამოცანებმა მოითხოვა და სწორედ ამ ამოცანის გადაწყვეტას წარმოადგენს ო.ჭილაძის შემოქმედება, წარმატებულ მცდელობას იმისას, რომ გააცოცხლოს და ეროვნულ ნიადაგზე გამოიტანოს ყველასთვის ნაცნობი პატარა ამბავი, აქციოს იგი დიდ ამბად და ერთგვარი კულტურათაშორისი დიალოგის თავისებურებები წარმოგვიჩინოს.

მკვლევარი ლია არჩვაძე „ლიტერატურულ საქართველოში“ გამოქვეყნებულ წერილში „ბუნება ხიზანისა“ წერდა: „ლიტერატურათმცოდნეები ხშირად მიუთითებენ ოთარ ჭილაძის ისეთ დიდ მწერლებთან მსგავსებაზე, როგორებიც არიან ფოლკნერი, დოსტოვესკი, მარკესი და სხვა... მაგრამ ჩვენი

აზრით, ოთარ ჭილაძე უპირველესად ქართული ფენომენია, ერის წარსულსა და დღევანდელობაში ღრმად ჩახედული, ქართულ ზღაპარსა და მითოსზე აღზრდილი მწერალი, რომელიც, ქართული ეროვნული მწერლობის, აზროვნების, კულტურის უძველეს ტრადიციებსაც ემყარება და მსოფლიო გამოცდილებითაც საზრდოობს, მიუხედავად იმისა, რომ მწერლის ყველა რომანი ერთმანეთისგან მკვეთრად განსხვავებული თემატიკითა და მხატვრული პლასტიკით ხასიათდება. ყოველი მათგანი თითქმის ქართლის მატთან ერთი კონკრეტული ფურცელია-უმორესი დროიდან მოყოლებული, საქართველოს უახლესი ისტორიის ტრაგიკულ ფურცლებამდე. ალბათ, საუკუნეების შემდეგ ქართველი მკითხველისათვის ოთარ ჭილაძის რომანები იქნება ერთგვარი საგა-გრძელი, ვრცელი ამბავი ქართული სულის ზეადსვლისა და მარცხისა.

რომანი „გზაზე ერთი კაცი მიდიოდა“ 1972 წელს გამოქვეყნდა, ავტორმა ცნობილ მითს ჩამოხსნა ზღაპრული მიმზიდველობის საბურველი და ახალი განზომილება მოუძებნა, მიწიურ-რეალური სინამდვილე. მითოლოგიური გმირები ისტორიულ გმირებად აქცია და მთავარი გმირის ფუნქციამდე აიყვანა ხალხი - როგორც სიცოცხლის უწყვეტობის სიმბოლო. რომანის სიუჟეტად მწერალს გამოყენებული აქვს ცნობილი ბერძნული მითი არგონავტებზე, მაგრამ ეს ერთგვარი ფონია, ავტორმა საკუთარი ინტერპრეტაცია შემოგვთავაზა: კრეტის მეფე მინოსმა გადაწყვიტა კოლხეთის სამეფო დაიპყროს და ამ მიზნით აგზავნის ვანში ვერძზე ამხედრებულ ფრიქსეს, რომელიც ბეოტიელ უფლისწულად წარმოუდგენს ვანელებს თავს, სინამდვილეში იგი უბრალო ადამიანია და მისი მისია ასეთია: დატოვოს კოლხეთში ბუდე და სამარე. ფრიქსე აიეტისა და ვანელების გულუბრყვილო ჰუმანიზმის დახმარებით ახერხებს მინოსის დავალების შესრულებას, ტოვებს ბუდეს - ოთხ ვაჭიშვილს და სამარეს, ამით იქცევა იგი ბერძენთა შემოსვლის მიზეზად, რასაც მოჰყვება იასონის ლაშქრობა და ოქროს საწმისის გატაცება, მედეას ღალატი და აიეტის დიდების დასამარება. მითის ახლებური ინტერპრეტაციის ფონზე, მწერალი ერთგვარად ცვლის საქართველოს პრეისტორიულ ამბებს, აიეტის საბრძანებლად ვანია წარმოჩენილი, კოლხეთის დედაქალაქის აიას ნაცვლად, ოქროს საწმისი კი, რომელიც ისტორიული წყაროების მიხედვით, ვერძის ტყავზე შესრულებულ წარწერას წარმოადგენდა ოქროს მოპოვებისა და დამუშავების შესახებ, რომანში უბრალო ვერძის ტყავია, რომელიც იმ მტკრით დაიფარა დროთა განმავლობაში, ვანელი ოქრომჭედლების დახლებიდან რომ იფანტებოდა მთელს ქალაქში. სწორედ ამ თავისებური ინტერპრეტაციებით ახერხებს მწერალი, მკითხველმა ახლებურად გაიაზროს მითიც და ისტორიაც, შეცვლილი გეოგრაფიული სივრცეც და კარგად ნაცნობი თუ უცნობი სახელებიც. ერთ თავის ინტერვიუში ოთარ ჭილაძე ამბობს, „მწერლობა უფრო ძეგლია, ვიდრე მოლოდინი“..., ისტორიულ პროზამდე კი არ მივდი, არამედ თავიდანვე „ისტორიული პროზით დავიწყე... ისტორიული პროზის, ისევე როგორც საერთოდ ლიტერატურის, ყურადღება ადამიანისკენაა მიპყრობილი... მე ადამიანი მაინტერესებს დროისა და სივრცის უსასრულობაში, რამდენადაც არასოდეს არ ვიცი წინასწარ, როდის, როგორ მოიქცევა იგი.“ [3. გვ.157]

რომანი სამი ნაწილისგან შედგება: „აიეტი“ (მეფე), „უხეირო“ (მეომარი) და „ფარნაოზი“ (ხელოსანი), შექმნილია სამი ამბის ერთგვარი სამკუთხედი, რომელშიც პირველისგან მეორე გამომდინარეობს, მეორესგან მესამე და მესამე ისევ პირველს უკავშირდება.

აიეტი ნაწარმოების ერთ-ერთი შთამბეჭდავი სახეა. იგი სამშობლოს ძლიერებაზე ზრუნავს, კოლხეთის მეფე ტრაგიკული პიროვნებაა. მისი მორალური მრწამსი იქითკენაა მიმართული, რომ კარზე მომდგარ მათხოვარშიც „მოყვასი“ დაინახოს და შეიფაროს. კეთილი ზნეობრივი იმპულსი მისი არსებობის გამართლებაცაა, მისი სიძლიერეც და სისუსტეც. ამგვარმა სისუსტემ დაამხო კოლხეთის ძლიერება. „შემოჩენილი“ ფრიქსეს რეალური სახე მხოლოდ ქარისამ იგრძნო, მიხვდა, რომ მისი ქმარი სულაც არ იყო მეფისწული, მაგრამ ქარისა ქალურმა სიამაყემ დაადუმა და აიძულა მოვლენების განვითარებას დალოდებოდა. ფრიქსეს კი საკუთარი სიმართლე ჰქონდა და ეს სიმართლე ღრმად გვახედებს ადამიანის კი არა, ხიზანის ბუნებაში. „მწერალი გვანიშნებს რომ ადამიანი ხიზანთან არ უნდა გაიგივდეს. „ხიზანის ბუნებაზე ხომ ასეთია: ის რა თქმა უნდა, მადლობელია პური რომ გაუყავი, ჭერქვეშ რომ შეიფარე, ცეცხლთან ადგილი გამოუწახე, მაგრამ ამავე დროს გული შურიტ ევსება, რადგან მას არც საკუთარი პური, არც საკუთარი ჭერი და არც საკუთარი ცეცხლი გააჩნია. მართალია, შენ (მისი შემფარებელი) ამაში სრულებითაც არ ხარ დამნაშავე, მაგრამ მისი ფარული სიძულვილი უმთავრესად შენსკენაა მომართული, შენ გაქვს ის, რაც შეიძლება მასაც ჰქონოდა და თუკი ასეა, მაშინ ბუნებრივად იზადება მის აფორიაქებულ გონებაში ამგვარი კითხვაც, რატომ გაქვს შენ და არ აქვს მას?“ [1. გვ.6] აიეტის და ფრიქსეს მხატვრული სახეების დაპირისპირება თვალსაჩინოს ხდის მწერლის სათქმელს, არ მოუდუნო უცხოთა ყურადღება, არ ანდო მას ის, რასაც შენი დამარცხება შეუძლია.

აიეტის დამარცხება ვანში ოყაჯადოს გამეფების საფუძველი ხდება. მეჯინიზის შვილის მეფედ დასმა ვანელებისთვის სასიკეთო მოვლენას არ წარმოადგენს, იგი სხვისი პოლიტიკის (ისევ მეფე მინოსის) გამტარებელია კოლხეთში. აბსურდზე აგებული სამეფოს, აბსურდული მეფე, მხოლოდ ძალადობით

ამახსოვრებს ვანელებს თავს. მისი უფუნქციობის საუკეთესო მაგალითად კი, ფარნაოზის დისშვილი კუსა გამოგვადგება, რომელიც საკუთარ თავსაც ვერ უხსნის, რას აკეთებს ოყაჯადოს სასახლეში, სადაც დროც კი გამქრალია, თუმცა კვდომის პროცესი ნათელი და შეუჩერებელი. მკვლევარი აპ. ცანავა თვლის, რომ რომანში ოყაჯადოსა და მისი მეუღლის, კამას სახეები „ქართული ზღაპრიდანაა გადმოტანილი. „მარიონეტი ოყაჯადოს სახე ცნობილია ქართული ხალხური ჯადოსნური ზღაპრიდან, „უზუნდარას ზღაპარი“, აქ ერთ-ერთ გმირად გამოყვანილია „ოყაჯადო დევი“, რომელიც, თავისი მბრძანებლის ყველა სურვილს უსიტყვოდ ასრულებს.“ [6. გვ.4] ოყაჯადო კვდომის და უფუნქციობის მაგალითია, ერის გამოსაფხიზლებლად შემოყვანილი პერსონაჟი.

მწერალმა გააშიშვლა ტირანული სახელმწიფოს მექანიზმი, გვიჩვენა მისი არსი, რომელიც ძირითადად ძალმომრეობაზეა დამყარებული. ქვეყანაში, რომელიც ოყაჯადომ შექმნა, უკანონოა კანონის ძალმოსილებას იძენს.

რომანის მეორე ნაწილი უხეიროს თავგადასავალია, სამშობლოს კეთილდღეობაზე მზრუნველი და მაფიქრალი მეომარი, ერთგულებისთვის დევნილა და „ჭა“, რომელსაც ხშირად ჩასცქერის აიეტის მეორე მე, თუ ფიქრად განსხეულებული სინდისი, სწორედ უხეიროს სამყოფელია, თუმცა მან შეძლო და ამ „ჭიდან“ სამშობლომდე მოაღწია, დავიწყებისთვის განწირულმა, უკვე დასნეულებულმა და გაუბედურებულმა. უხეირო სამყაროზე გულაცრუებული პერსონაჟია, იგი საყვარელი მეუღლის გარდაცვალებაში ვაჟს, ფარნაოზს, ადანაშაულებს, რადგან სწორედ მასზე მშობიარობას გადაჰყვა მარეხი, მათი ქორწინების ამბავს კი მწერალი ბერძნული მითის ახალი ვერსიით გვთავაზობს ისევ, ესაა აკონტიოსისა და კიპიდეს შეუღლების ისტორია, მათ მსგავსად, უხეირომაც წარწერიანი ვაშლი დაუგორა მარეხს, ფიცით – „ვფიცავ, არავის გავყვე ცოლად უხეიროს გარდა.“ რომანის ამ ნაწილის გააზრებისთვის მნიშვნელოვანია განსაკუთრებული პასაჟი, ის ტილო, რომელსაც უხეირო ქარგავს და რომელზეც ყველაფრის ამოკითხვა შეიძლება, რაც ამ პერსონაჟს განუცდია და გამოუვლია.

რაც შეეხება რომანის მესამე ნაწილს, „ფარნაოზი“, ვფიქრობთ, ეს ნაწილი განსაკუთრებულია, რადგან, სწორედ ფარნაოზმა უნდა მიიყვანოს ლოგიკურ დასასრულამდე ამბავი. ფარნაოზს, იშვიათთაგანს მთელს რომანში, სიყვარულის და ერთგულების უნარი აქვს. თუმცა გაურკვეველი შიში ვილაცისა თუ რაღაცის მიმართ, მას გამბედაობის უნარს აცლის.

მწერალი რომანის მესამე ნაწილში ისევ ბერძნული მითის ინტერპრეტირებას იძლევა, კერძოდ, ესაა მითი იკარუსისა და დედალუსის შესახებ, ო.ჭილაძის დედალუსი კრეტელია და მას ფრთების შექმნის იდეა, კუტი შვილის გამო უჩნდება. მკვლევარი მ.ანთაძე წერს: „მართალია, იკარუსი და დედალუსი ფარნაოზის სამშობლოში დაბრუნების შემდეგ სიუჟეტში აღარ ფიგურირებენ, მაგრამ ამ დიდებული მითის იდეა რომანის ბოლო ნაწილის ძირითად თემად იქცევა. აფრენის სურვილი ვანელ ბავშვებს მოიცავს და პატარა უხეიროს გმირობა, ცოტა ხნით მაინც შესახამს ხორცს ამ ოცნებას. საყურადღებოა ისიც, რომ ფინალურ ეპიზოდში -სიკვდილისწინა ზმანებაში, ფარნაოზი სწორედ ამ კუტ ბავშვს, იკარუსს, დაანახევებს სამყაროს სიდიადეს.

ფარნაოზის ტრაგიზმი დაკარგულ სიყვარულშია. ინოს სახეს იგი ქვაში აცოცხლებს, თუმცა ქვის ინოც ვერ ჰგვრის შვებას, ვერც ერთგვარი მობოდიშება შავთვალეზა მაღალს მხრიდან, ფარნაოზისთვის უცხოდა აქცია დრომ და სივრცემ საყვარელი ქალი, რომელიც ეგონა რომ სამუდამოდ შერჩებოდა მის სულს.

რომანის მეორეხარისხოვანი პერსონაჟებიდან ძალიან საინტერესოა ბედია-ქვეყნის ფხიზელი თვალი. იგი პირველი მიხვდა, რომ „ზღვა რაღაცას ეშმაკობდა“, მან თოკით გადაზომა მანძილი ნავების სადგომიდან ზღვამდე, თოკი კი კისერზე შემოიხვია. რომანის დასაწყისშივე მწერალი რაღაც უბედურების მომასწავებელ ამბავზე მიგვანიშნებს; „ეს იმდროინდელი ამბავია, როცა ვანი ზღვისპირა ქალაქი იყო. როცა კოლხეთის მიწაზე პირველმა ბერძენმა დადგა ფეხი და მორიდებულად ითხოვა თავშესაფარი. ზღვამაც სწორედ იმ დღეს გაბედა და ხანგრძლივი ყოყმანის შემდეგ პირველი ნაბიჯი გადადგა უკან. მთავარი პირველი ნაბიჯი იყო, მერე ყველაფერი თავისით მოხდებოდა, ან ვინ გაუბედავდა შეჩერებას,...ზღვამ ისინი რაღაცა დიდი ცოდვის გამო მიატოვა, დიახ, მიატოვა, როგორც მარჩენალმა-ოჯახი,ქმარმა-ცოლი.“ [5. გვ. 4] ფინალში კი ბედია თოკით თითქმის დაფარულია, ზღვის ადგილას უზარმაზარი ჭაობია გაწოლილი, მაგრამ ვანელებს არც თავში მიუქცევიათ ყურადღება ამისთვის და არც ბოლოში. პირიქით, დასცინიან ზღვის უცნაურობას მიხვედრილ ადამიანს.

მნიშვნელოვანია ბოჩიასა და ფოთოლას სახეების გააზრებაც, მათი სიყვარული უბერებელია, არც კი იციან რამდენი შთამომავალი აჩუქეს ქვეყანას, მეაკვნე ბოჩია, რომელიც დღემუდამ ფიცრის ანთალ ბურბუშელაშია ჩამუხლული, საყვარელ მეუღლესთან ერთად, დროის მდინარეებს აჩერებს.

შავთვალეზა მაღალო და მისი ქალიშვილები ვანის ფუქსავატი საზოგადოების წარმომადგენლები არიან. ქალაქი მათი სიმღერის ფონზე იღვიძებს, ეს პასაჟი კი მკვლევარ მ.ანთაძეს ბერძნული მითოლოგიის მომაჯადოებელი ხმის მქონე სირინოზებს აგონებს, რომლებიც ხმით აბრუებდნენ

მსმენელებს. შავთვალემა მალალო და მისი ქალიშვილები თანატოლებივით გამოიყურებიან, დრო მათთანაც გაჩერებულია და მხოლოდ ფინალში, იქ სადაც ყველა მოვლენა ლოგიკურ დასასრულამდე მიდის, ვაწყდებით მოხუც, დამახინჯებულ ქალს, რომელიც პატიებას ითხოვს ფარნაოზისგან და გვიან, მაგრამ მაინც სთხოვს მას იწო არ მიტოვოს.

მედვინე ბახას ღვინის სარდაფი აქვს გახსნილი, მაგრამ უკვე არავის არ შეუძლია გაიხსენოს, რა დროიდან ამარაგებს ბახა ვანს ღვინით, სარდაფში ჩამავალი კიბე ორმოცსაფეხურიანია, იქ ჩასული ადამიანი კი ნეტარების და სიამოვნების ბურუსში ეხვევა, რადგან ბახასნაირი მასპინძლობა არავინ იცის. „ბახას ტამარი არ იყო ჩვეულებრივი ღვინის სავაჭრო, ბახა ღვთაებრივი დიონისეს თავისებური იპოსტასია, მას ღვინოში წყალი არასოდეს გაურევია, ეს დიდ ცოდვად მიაჩნდა, არც ფულზე იყო დახარბებული. ბახა ზეიმისთვის იყო გაჩენილი, დროსტარებისთვის, სიყვარულისთვის...“ [5. გვ. 4] უცნაურად გაჩერებული დრო ბახასთანაც ბუნების კანონზომიერებას ემორჩილება-მას სამი დღის გარდაცვლილს იპოვიან და დავიწყების საბურველში ეხვევა ბახას ღვინის სარდაფიც, რადგანაც ამ სარდაფს ბახასნაირად ვერავინ ამუშავებს.

რომანის ერთ-ერთი გამორჩეული პერსონაჟია კუსა, ფარნაოზის დისშვილი, მედროვეობის, კარიერიზმის, ბოროტების და უზნეობის სიმბოლო. კუსას არ შეუძლია სიყვარული და ვფიქრობთ, გამართლებულია მწერლის გადაწყვეტილება, არ გაამრავლოს კუსას შთამომავლები ვანში. უცნაურია ბიძა-დისშვილის ურთიერთობა რომანში, კუსა არც ერთ შემთხვევას, რომელიც ფარნაოზის შეურაცხყოფის შესაძლებლობას მისცემს, ხელიდან არ უშვებს. საინტერესოა რომანის ფინალში გაელვებული ფაქტი, ფარნაოზს ესიზმრება რომ ორმოში ვერ ეტევა და მისი დისშვილი ფეხებს აჭრის. ამ ეპიზოდით მწერალი მითს აცოცხლებს ავაზაკ პროკრუსტეს შესახებ, რომელიც ყველას თავისი საწოლის თარგზე აჭრიდა ფეხებს.

საოცარი მხატვრული სახეების გალერეას წარმოადგენს რომანის პერსონაჟი ქალები : ცუცა, ქალუკა, პოპინა, პატუ, რახილო, თინა, ზიარა, ვფიქრობთ, მათი ტიპაჟების შესწავლა და პარალელების დამებნა, საინტერესო კვლევის საგნად იქცევა.

რომანის არსის გააზრება შეუძლებელია დარიაჩანგის ბაღის სიმბოლიზირებული სახის განმარტების გარეშე... „დარიაჩანგის ბაღიც ეყოფოდა კაცს სამზერლად და სანატრელად. ამ ბაღის ერთი ბოლო რომ კვირტს იკეთებდა, მეორე ბოლოს ნაყოფი ჩამოსდიოდა..“ [7. ო.ჭილაძე. „გზაზე ერთი კაცი მიდიოდა“] ეს ბაღი იყო მედეას სილალისა და ფარნაოზის ბედნიერი დღეების მოწმე, ვანის დიდების დასტური ოქრომჭედლების საოცარ უბანთან, მოლივლივე ზღვასთან და ბახას ღვინის განთქმულ სარდაფთან ერთად. სიმბოლურია ის ფაქტიც, რომ სწორედ ფარნაოზი იხილავს სიკვდილისწინა ზმანებაში მოხასხასე დარიაჩანგის ბაღს, როგორც იმედს, რომელიც გვაუწყებს, რომ ძველი დიდება უკვალოდ არ გამქრალა, თუ აღორძინებას მოჰყვა სიკვდილი, მაშინ სიკვდილს უნდა მოჰყვეს სიცოცხლე, რადგანაც, მითოეპიკურ სამყაროში ყველაფერი ურთიერთკავშირშია: სიცოცხლე და სიკვდილი, დასასრული და დასაწყისი, კონკრეტული და აბსტრაქტული.

ზემოთქმულზე დაყრდნობით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ რომანი „გზაზე ერთი კაცი მიდიოდა“, წარმოადგენს მე-20 საუკუნის ერთ-ერთ გამორჩეულ მხატვრულ ნააზრევს, რომელშიც მწერალმა მითების საბურველში გაახვია ძირითადი სათქმელი, მწერალს ურთულეს საკითხთა და პრობლემათა რკალში შევყავართ, რომელთა დიდი ნაწილი არა მხოლოდ ეროვნული, არამედ ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობისაა, იგი არ შემოიფარგლება მხოლოდ ისტორიული ვანის ტრაგიკული ბედის ასახვით.

რომანი უძრაობის ხანაშია დაწერილი, ვფიქრობთ, მწერალმა განგებ აირჩია მითოლოგიური ჭრილი სათქმელის თამამად გამოსახატავად, არ მოერიდა მითების ერთგვარ ინტერპრეტირებასაც. პირველი შთაბეჭდილებით ნაწარმოები წმინდად მითოლოგიური ხასიათისაა, თუმცა დაკვირვებული, ერუდირებული მკითხველისთვის არ წარმოადგენს სირთულეს, ამოიკითხოს ეპოქის სახე.

მკვლევარი ა. ცანავა თვლის, რომ მთავარი, რაც ართულებს ამ რომანის მარტივად აღქმას, ესაა პარადიგმების ორი დონის შეპირისპირება, ერთის მხრივ ისტორიული ვანის, აიეტისა და მისი ოჯახის თავგადასავალი, არგონავტების ლაშქრობა, მეფე მინოსის იმპერიული ზრახვები და ამ მითოსურ მოდელებში რეპროდიცირებული თანამედროვე საქართველოს მწარე ხვედრი რუსეთის იმპერიაში.

მწერალი ერთგვარად მორალისტის ფუნქციას ითავსებს, მკითხველს აფრთხილებს, ასწავლის, ახსენებს.... რომ ბრმა ჰუმანიზმი, გულუბრყვილობა დამლუპველია (აიეტი და ფრიქსე), სამშობლოს, ძმის და მამის ღალატი გაუმართლებელი (მედეა), ტირანიის მოთმენა დამლუპველი (ოყაჯადო)... რომ გაფრენის სურვილი თავისუფლების მოყვარე სულს ახასიათებს მხოლოდ, მშობლიურს გაფრთხილება სჭირდება (ბეღია და ზღვა, ფარნაოზი და დარიაჩანგის ბაღი), უნდა შეძლო და არავის, არასდროს არ მისცე იმის უფლება, საკუთარი ინტერესები გაატაროს შენს მიწა-წყალზე. სხვა შემთხვევაში ისევე დაემხოები და განადგურდები, როგორც ძველი კოლხეთის იგავმიუწვდენელი დიდება.

მ. ანთაძეს თუ დავესებებით, ვიტყვით, რომ ანტიკური და ქართული ხალხური ასოციაციები, განზავებულია ავტორის პოეტიზირებული სტილითა და ნაწარმოების შინაარსით (ვგულისხმობთ, იმ გარემოებას, რომ აქ „მითისებრ“ ჩაშიფრულია საქართველოს ისტორიული სინამდვილის გარკვეული სურათი) რაც განუმეორებელ, ერთგვარად მოუხელთებელ ხიბლს ანიჭებს რომანს.

ლიტერატურა:

1. არჩვაძე ლ. „ზუნება ხიზანისა“, გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“, 16 ივნისი, 1989, გვ. 6.
2. ანთაძე მ. „ახალი შუქით განათებული მითები“, ჟურნალი „მნათობი“, #8, 1989, გვ. 119-128.
3. გაფრინდაშვილი ნ. „შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის თეორიული საფუძვლები“, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2012, გვ. 122-160.
4. გაფრინდაშვილი ნ. მირესაშვილი მ. „ლიტერატურათმცოდნეობის საფუძვლები“, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2014.
5. პაჭკორია ო. „ლირიკის წიაღიდან ეპოსამდე“, ქართული ენა და ლიტერატურა“, ტომი-5, გამოცდების ეროვნული ცენტრი, თბილისი 2009, გვ. 252-255.
6. ცანავა ა. „პარადიგმების მხატვრული ძალმოსილება“, გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 26 ივნისი, 1989.
7. ჭილაძე ო. „გზაზე ერთი კაცი მიდიოდა“, „არეტე“, თბილისი 2006.

Ekaterine Pangani

Sokhumi State University

MYTH AND HISTORY IN THE NOVEL “A MAN WAS WALKING DOWN THE ROAD” RESUME

‘A Man was going down the road’ by Otar Chiladze represents one the most influential artworks of the 20th century, in which the author wove the main idea in the mythological form. This artwork takes us into an array of the most serious issues and events, most of which have not only national but also common human values.

In general, if you look at Hegel's view on matter of the historical accuracy in relation with literary artistic truth, we can agree with his opinion given in following context: historical deviations are a matter of science, artworks are being written for needs of the wider society; artworks of historical character are written not to become the subject of scientists and historians' research, but to be understandable to everyone without explanations of ‘intermediaries’.

The novel was written in times of stagnation, we think, writer deliberately chose mythological cut for a bold expression, did not avoid any interpretation of myths to be truthful to himself and the reader. The idea is fulfilled, since on first impression artworks are of pure mythological character, but for attentive, erudite reader it is not difficult to recognize the face of era.

The researcher A. Tsanava believes that the main thing that makes this novel easy to understand is the confrontation of two levels of paradigms. On one hand adventures of historical town of Vani, king Aeetes and his family, march of the Argonauts, the imperial designs of king Minos and the reproduction in this mythical model of bitter role of present Georgia within the Russian Empire.

At the same time the writer tries on a moralist's functions, warns the reader, teaches, reminds ...that blind humanism and naivety are detrimental (Aeetes and Phrixus); betrayal of the homeland, brother, and father cannot be justified (Medea); patience at the tyranny might be disruptive (Oqajado)... That desire to fly is uniquely for a freedom-loving soul, should guard native (Bedia and the sea, Pharnavaz and Dariachangi's garden); you should be able to never let anyone to advance their interests in your land. Otherwise, you will be defeated and destroyed like the fabulous glory of old Colchis.

Finally, we believe that ‘A Man was going down the road’ by Otar Chiladze is an interesting and varied material for research and for the artistic understanding of two worlds of old civilizations, relations between old Greek and old Colchis.

ქრისტესმთავარი რწმენითი საზრისი ყრმა ილია ჭავჭავაძისა

ილია ჭავჭავაძის მსოფლმხედველობითი მრწამის ჩამოყალიბების თვალის გასადევნებლად ფრიად საყურადღებოა სტუდენტობის ის „ძვირფასი ოთხი წელიწადი“, რომელსაც თავადაც გამორჩეულად აფასებს. პავლე ინგოროყვა დეტალურად აღადგენს სტუდენტი ილიას შეჭირვებული ცხოვრების პერიპეტიებს: „ილია 1857 წლის ზაფხულიდან მოკიდებული, ვიდრე 1859 წლის ზაფხულამდე რუსეთში იმყოფებოდა. მაგრამ 1859 წელს ილია ავადმყოფობის გამო დროებით ჩამოხრუნდა საქართველოში. ზაფხული და შემოდგომის დასაწყისი მან საქართველოში გაატარა. ილია ისევ გაბრუნდა რუსეთში 1859 წლის შემოდგომაზე...

ილიამ 1860-1861 წლებში მოისმინა მეოთხე კურსის ლექციები. მაგრამ ილიას აღარ დაუცდია საგნების ჩასაბარებლად. 1861 წლის გაზაფხულზე ილია წამოვიდა საქართველოში, ჩანს ისევ ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო. ილია ჩამოვიდა თბილისში 1861 წლის მაისში. ზაფხული და შემოდგომის დასაწყისი ილიამ თბილისსა და კახეთში გაატარა“.

ამჯერად, ჩვენი განხილვის საგანიც უმთავრესად მოიცავს ილია ჭავჭავაძის პოეზიის სტუდენტობის დროინდელ პერიოდს. ილიას ნაწარმოებთა ტექსტისა და ქრონოლოგიის სარედაქციო შენიშვნებში პავლე ინგოროყვა მიუთითებს, რომ „ილიას მხატვრული შემოქმედების მთავარი რკალი ამ პერიოდს ეკუთვნის“, რაც განსაკუთრებით მის პოეტურ ქმნილებებში აისახა.

ილია ჭავჭავაძის მოღვაწეობისა და შემოქმედების საპროგრამო სამი ღვთაებრივი საუნჯის ცნობილ პოსტულატში მამულსა და ენასთან განუყოფელია სარწმუნოება. ეს ერთარსი სამება მამულის კეთილდღეობისათვის ბრძოლაში წაიმძღვარა ილიამ, როგორც სამოციანელთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სამოქმედო პროგრამა. მისი ღრმა რწმენით, „ერთობა სარწმუნოებისა ერთობას ერისას მოასწავებდა“. ამიტომაც იყო, რომ ილია ჭავჭავაძე სიყრმიდანვე დაეწაფა ქრისტიანულ მოძღვრებას და სიცოცხლის ბოლომდე ერთგულებდა მას. მწერალი და პუბლიცისტი გრიგოლ ყიფშიძე იხსენებს: „ილიას თითქმის მოხუცებამდე შერჩა სიყვარული საღმრთო წერილის კითხვისა, მისი ქართულის ენა-მზიანობისა და სიღრმე-ძალისა, აგრედვე სახარების კარგის, კილოიანის კითხვისა ეკლესიაში. ილია იმ აზრს ადგა, რომ ქართულის ღრმად და ყოველ მხრივ შესწავლისათვის აუცილებლად საჭიროა კითხვა საღმრთო წიგნებისა, ცოდნა ძველის ქართულისა. ქართულს ის შეისწავლის საფუძვლიანად, ვინც ხშირად კითხულობს საღმრთო წერილის წიგნებს, კითხულობს შეგნებით და უკვირდება ძველის ქართულის საგრამატიკო ფორმებს, მის მომხვრასა, სინტაქსსაო. თვითონაც ხშირად კითხულობდა ძველ ქართულ წიგნებს, სახარება-სამოციქულოს და მოსმენაც უყვარდა ეკლესიაში მისი წაკითხვისა; ისე აღდგომა არ გათენდებოდა თითქმის, რომ განსაკუთრებული გულის-ძგერა არ აშლოდა და არ მოენდომებინა ეკლესიაში წასვლა, უფრო-კი სახარების კითხვის მოსასმენად“.

ყოველივე ამის შემდეგ მართლაც სარწმუნოა რელიგიური ექსტაზით შეპყრობილი ყრმა ილიას დაუოკებელი სურვილი ბერ-მონაზვნად შედგომისა. და ჭაბუკი პოეტი „მუხლმოდრეკილი, ლმობიერი“, უფლის ნამცნების სიყვარულით გულანთებული, მოწიწებით აღავლენს წმინდა ლოცვას:

მამაო ჩვენო, რომელიცა ხარ ცათა შინა!
მუხლმოდრეკილი, ლმობიერი ვდგევარ შენს წინა;
არცა სიმდიდრის, არც დიდების თხოვნა არ მინდა,
არ მინდა ამით შეურაცხყო მე ლოცვა წმინდა...
არამედ მწყურის განმინათლდეს ცით ჩემი სული,
შენგან ნამცნების სიყვარულით აღმენთოს გული,
რომ მტერთათვისაც, რომელთ თუნდა გულს ლახვარი მკრან,
გთხოვდე: „შეუნდე, - არ იციან, ღმერთო, რას იქმან!“ („ლოცვა“).

ეს ლექსი დაწერილია ტიარლევოში 1858 წელის ივლისში; და ილია ჭავჭავაძე იმავე წლის აგვისტოში კიდევ ერთ ლოცვას უძღვნის უფალს და ღმერთს შესთხოვს, განარიდოს დემონის ურწმუნოებისა და მაცდურობისაგან: „ოდეს დემონი ურწმუნოების, უკუ-თქმისა და მაცდურობის საწამლავით თვის სავსეს თასს მაცდურს წინ დაუდგამდეს ჩემს სულსა უძლურს, - ნუ მანდობ, ღმერთო, ბედისა ტრიალს, - ნუ დამაწაფებ დემონის ფიალს, და უკეთუ არს შესაძლებელი, მე განმარიდენ იგი სასმელი. მაგრამ თუ, ღმერთო, შენ ღვთაებას სურს, რათა გამოცდა მით ჰქონდეს ჩემს სულს, განჰქრნენ

შენ ხმასთან სურვილნი ჩემნი და იყავნ ნება, უფალო, შენი! ფაქტობრივად, ესაა ღმერთის მინდობილი ყრმის ღაღადისი“ („ლოცვა“).

აკაკი ბაქრაძე ამ ლექსში ხედავს ღვთაებრივ კანონზომიერებას: „ილიას სევდა ბუნების შეცნობილი კანონზომიერების და ღვთაების ნების აღიარებაა“, ხოლო გურამ ასათიანის აზრით, „ილიას პოეტიკისათვის ასევე არაორდინალური პირობითი სახეა ქრისტიანული მითოლოგიის პერსონაჟი დემონი“. ნიშანდობლივია, რომ ლექსი „ლოცვა“ დაწერილია 28 აგვისტოს - მარიამ ღვთისმშობლის ხსენების დღეს.

ცხადია, არც ისაა შემთხვევითი, რომ ილია „აჩრდილშიც“ ღვთისმშობელს ავედრებს მის წილხვედრ ტანჯულ ქვეყანას:

„დედავ ღვთისაო! ეს ქვეყანა შენი ხვედრია...
შენს მეოხებას ნუ მოაკლებ ამ ტანჯულს ხალხსა;
საღმრთოდ მიიღე სისხლი, რომელ ამ ხალხს უღვრია,
ჩაგრულთ სასოო, ნუ არიდებ მოწყალე თვალსა!
რაცა ტანჯულა ეს ქვეყანა, ტანჯვად ეყოფა,
მოეცი ძალი დავრდომილსა კვლავ აღდგომისა,
სახელოვანი განუახლე წარსულთ დღეთ ყოფა,
მამა-პაპური სული, გული მოჰმადლე შვილსა.
ძლიერო ღმერთო! შენთვის ჰბრძოდნენ ქართველისა ძენი,
დასაბამითვე არ იციან - რა არს მშვიდობა,
იკმარე საღმრთოდ მათ პატიჟნი და სისხლის ძღვენი,
თუ რამ შეგცოდეს, - შეისყიდეს ტანჯვით შენდობა.
მოჰმადლე ქართველს ქართველის ნდობა და სიყვარული
და აღუდგინე მშვენიერი ესე მამული!..
ჰოი, სახიერო! ცისარტყელა განავლე ცასა,
რათა წარღვნისა მოლოდინი წარხოცო ხალხსა!..“

(„აჩრდილი“, XXVI, 26 იანვარი, 1859 წ., პეტერბურგი)

მართებულად შენიშნავს გურამ შარაძე, რომ „ბევრი ბრწყინვალე პოეტური ქმნილება, რითაც ილია ჭავჭავაძის სახელი სამუდამოდ უკვდავყოფილია ქართულ პოეზიაში, სწორედ პეტერბურგში, ტიარლევოსა და პავლოვსკშია დაწერილი“.

საერთოდ, პეტერბურგულ პერიოდში ილიას პოეზია მოცულია ქრისტესმცემის რწმენითა და საზრისით, რასაც სათანადო ახსნას უძებნის გიორგი ჯიბლაძე: ადამიანმა რომ შეიცნოს „სიცოცხლის ფასი“, უნდა გაისიგრძეგანოს, რომ სიცოცხლე - ეს არის „უკვდავი ნიჭი“ და თავყვანს უნდა სცემდეს „ღვთიურს ნიჭსა“; მკვლევარი იქვე დაგვაკვლიანებს: „მთელი ეს ფილოსოფიური იდეა და ქრისტიანული მორალი გადმოცემულია 1858 წელს დაწერილ ლექსში „როდემდის“:

როდემდის უნდა ჩვენ არ ვსცნობდეთ სიცოცხლის ფასსა?
როდემდის არ ვსცემთ ღვთიურს ნიჭსა ღირსსა თყვანსა?
მის ყოველ წუთსა სიფრთხილითა რატომ არ ვხაჯავთ
და მის აქ ყოფნას ამოებად რისთვისა ვსახავთ?
ძრწოდე, სულელო! ნუთუ ქრისტეს არ სცნობ სიტყვათა,
ნუთუ შენს თავსა მტვრითა შექმნილს ჰხედავ კვლავ მტვრათა.
და შენს სიცოცხლეს, ამ უკვდავ ნიჭს, მტვრის თანამგზავრად?
რომ მარტო მისთვის იგი არ გაქვს, ქრისტემ სთქვა ცხადად...
ნუთუ არ იცი რას გამცნებდა ღმერთი ჯვარცმული,
როს ბრძანა: „ვითა მამა ზეცის, იყავ შენც სრული“.

აქვე გაგვახსენდება სიცოცხლის ამაოებაზე ერთი წლით ადრე დაწერილი ლექსი „სანთელი“, სადაც ილია ჩამწვარ სანთელს ადარებს ადამიანის აღსასრულსა და მტვრად ქცევას: „ეგრეთაც კაცი ძლიერი ჰქრება, რა ეწვევა მას სიკვდილი - მტერი; მშვენიერ არსის მაგიერ გვრჩება ერთი მუჭა-ღა გამხმარი მტვრი“.

ამავდროულად არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ამის დამწერი ოციოდე წლის ჭაბუკია და ეს ნაადრევად დაბრძენებული ჭაბუკი ქართველ სტუდენტებს მოუწოდებს, ჩადგნენ დაობლებული მამულის სამსახურში: „მამულისა შვილნი ჩვენც ვართ და მიტომ ვზრდით ჭაბუკს სულსა, რომ ოდესმე გამოვადგეთ დაობლებულს ჩვენს მამულსა“ („ქართველ სტუდენტების სიმღერა“); ერთ უსათაურო ლექსში კი უმაქნისებს დაამუნათებს: „ვაი მას, ვინცა ჭაბუკობას ჭაბუკ არ არი!“.

ჭაბუკი ილია ოდენ ლოცვა-კურთხევით კი არ კმაყოფილდება, არამედ ჰყოფნის გაბედულება და ღმერთთან მიახლებული პოეტი სტუდენტობიდანვე ემზადება, „რომ წარუძღვს წინა ერსა“, ნიადაგ

მასთან იყოს „ჰმუნვასა და სიხარულში“ და ქართველ ერს მოსწმინდოს „ტანჯვის ცრემლი“ („პოეტი“), რისთვისაც უცილობელ პირობად მიიჩნევს თაობათა ურთიერთ თანადგომას: „მარტო ის გვაქვს გულში ფიქრად, რომ რომ წინანი უკანასთვის უნდა იქნენ გზად და ხიდად“ („ქართველ სტუდენტების სიმღერა“).

უთუოდ ანგარიშგასაწევია ისიც, რომ ჯერ კიდევ რუსეთში მყოფი ილია ჭავჭავაძე გულმტკივნეულობს: „ოხ, ღმერთო ჩემო, სულ ძილი, ძილი, როსდა გვეღირსოს ჩვენ გაღვიძება?!“ („ელეგია“, 1857 წ., პეტერბურგი). ამ საღათას ძილიდან გამოფხიზლების ერთ-ერთ მძლავრ საწინდრად ილიას ესახება ერთგულეობა ქრისტეს მცნებისადმი, რისთვისაც თავად უცოლშვილო ჭაბუკი ქართველ დედას მოუწოდებს:

„აქ არის, დედავ, შენი მაღალი
დანიშნულება და საღვთო ვალი!
აღზარდე შვილი, მიეც ძალა სულს,
საზრდოდ ხმარობდე ქრისტესა მცნებას“

(ქართველ დედას“, 1858წ., 15 დეკემბერი; პეტერბურგი).

საერთოდ, ქრისტეს მცნება გახლავთ ილია ჭავჭავაძის ცხოვრება-მოღვაწეობისა და შემოქმედების კრედო, რისთვისაც არ უღალატია მთელი სიცოცხლის მანძილზე და მზად არის, „ვემსხვერპლოთ ქრისტესა მცნებასაო...“; როცა ილია ამბობს: „ქრისტეს ნამცნების სიყვარულით აღმენთოს გული“, ცხადია, მომდინარეობს სახარებიდან: „ღმერთი სიყვარული არს“; იგი ვერ ურიგდება ადამიანის მონურ ბუნებას, რისთვისაც კვლავ ქრისტეს იწინამძღვრებს: „მონება კაცს არ შეშვენის, ქრისტეა ამის მოწამე“-ო („ჩემი თარიარალი“) და მოწოდებასავით შემოგვძახებს: - „კაცო, გიყვარდეს!..

ჩვენც გავისივრებოდეთ ილიასეული ქრისტესმიერი საზრისი და ერთხელ კიდევ შევიგრძნოთ ილია მართლის მჭერმეტყველური სიტყვიერების ძალმოსილება: „ქრისტე-ღმერთი ჯვარს ეცვა ქვეყნისათვის და ჩვენც ჯვარს ვეცვით ქრისტესათვის. ამ პატარა საქართველოს გადავუღელეთ მკერდი და ამ მკერდზე, როგორც კლდეზედ, დავუდგით ქრისტიანობის საყდარი, ქვად ჩვენი ძვლები ვიხმარეთ და კირად ჩვენი სისხლი, და ბჭეთა ჯოჯოხეთისათა ვერ შემუსრეს იგი... გავწყდით, გავიჟლიტენით, თავი გავიწირეთ, ცოლ-შვილნი გავწირეთ, უსწორო ომები ვასწორეთ, ხორცი მივეცით სულისათვის და ერთმა მუჭა ერმა ქრისტიანობა შევინახეთ, არ გავაქრეთ ამ პატარა ქვეყანაში, რომელსაც ჩვენს სამშობლოს, ჩვენს მამულს - სამართლიანობის თავმოწონებით ვეძახით“ („რა გითხრათ, რით გაგახაროთ?“).

ილია ჭავჭავაძისადმი მიძღვნილ მონოგრაფიაში გიორგი ჯიბლაძე ხაზგასმით მიუთითებს, რომ ილია თავის შემოქმედებაში ხშირად ახსენებს ღმერთსაც და ქრისტესაც იმ პერიოდშიც კი, როცა იგი სრულიად გამოუცდელი იყო როგორც თეორიული, ისე პოეტური მოღვაწეობისადმი; თუმცა - განაგრძობს მკვლევარი - ღვთაებისა და ქრისტეს მცნებებისადმი მიდრეკილება ცხადად აღბეჭდილიყო მის სულსა და გულში. ამიტომაც აღარ გვიკვირს, სრულიად ახალგაზრდა ილია გულმზურვალედ რომ გამოეხმაურა გარიბალდის ტრიუმფს იტალიის თავისუფლებისათვის ბრძოლაში და კვლავ და კვლავ ღმერთს შეჰღადადებს: „ღმერთო, ღმერთო, ეს ხმა ტკბილი გამაგონე ჩემს მამულში“ („მესმის, მესმის“).

ყრმა ილიას მეგზური ნიადაგ იყო ბიბლია და საღვთო წიგნები. ამიტომაცაა, რომ მის პოეზიაში არაიშვიათად გაკრთება ხოლმე ბიბლიური ცნებები თუ სტროფები: წმინდა ტაძარი; წმინდა მადლი; წმინდა სიტყვა; წმინდა გრძნობა; წმინდა განზრახვა; წმინდა წამი; წმინდა სისხლი; წმინდა სამარე... არეთვე ბიბლიური შეგონებანი: იყავნ ნება, უფალო შენი; შეუნდე, - არ იციან, ღმერთო, რას იქმან; კაცო, გიყვარდეს...

ის კი არა და, ილია სახარებისეულ ფრაზასაც კი იმოწმებს ლექსში „როდემდის“: „ნუთუ არ იცი, რას გვამცნებდა ღმერთი ჯვარცმული, როს ბრძანა: **„ვითა მამა ზეცის, იყავნ შენც სრული“**“. შდრ.: მათეს სახარება: **„იყვენით თქვენ სრულ, ვითარცა მამაი თქუენი ზეცათაი სრულ არს“**, მ., 5, 48. მათეს სახარების ფრაზას - „განყარეთ მტუერი თქუენთა ფერხთაი“ - უნდა უკავშირდებოდეს სიცოცხლის ამაოებაზე დაფიქრებული ილიას საზრისი: „მშვენიერ არსის მაგიერ გვრჩება ერთი მუჭა-ღა გამხმარი მტვერი („სანთელი“).

ილია ჭავჭავაძისათვის არც ძველქართული ლექსიკაა უცხო; ღმერთისადმი მოწიწებით მიმართულ ფრაზაში: „მუხლმოდრეკილი, **ღმობიერი** ვდგევარ შენს წინა“, ქართველი ლექსიკოგრაფების განმარტებით, **ღმობიერის** მნიშვნელობაა - გულმტკივნეული, მოწყალე (ილია აბულაძე); ანდა - გუნება-მშვიდი და წყნარი (საბა). და როცა ღმერთს შესთხოვს, ჩემს ერს აკმარე „პატიჟნი და სისხლის ძღვენიო“, არქაული მნიშვნელობითაა ნახმარი სიტყვა **პატიჟი** - სასჯელი (ილია აბულაძე); ტანჯვა (საბა). საერთოდ, ილიას ყრმობისდროინდელი პოეზიის ენისათვის დამახასიათებელია არქაული სტილი, რასაც მისი ლექსების თემატიკაც განაპირობებს.

ასე რომ, ილია ჭავჭავაძე სიყრმიდანვე შეპყრობილია ბიბლიური ვნებებით და მთელი ცხოვრების მანძილზე მას კვებავდა „სასულიერო წყურვილი“: „რა დავდიოდი ბნელს უდაბნოსა, სასულიერო წყურვილი მკლავდა“-ო; მას ყოველთვის ჰქონდა დაუოკებელი წყურვილი სულისა: „მწყურს მე

განმინათლდეს ცით ჩემი სული“-ო („ლოცვა“); მაგრამ პოეტის „სულის წყურვილს“ არ დასცალდა საწადელის აღსრულება: „ეჰ, რაც ჰსურდა, არ დასცალდა ჩემს წყურვილსა სულისასა“-ო. მიუხედავად ერთგვარი გულგატეხილობისა, ილია ჭავჭავაძისათვის მაინც მარადიულია წყურვილი სულისა, ვინაიდან: „რაცა სწყუროდა აქამდე მის სულს, იგივე უნდა ბოლომდე სწყურდეს“.

მართლაც „სრულიად ნათელია, რომ ილიას შემოქმედებაში ქრისტიანული ზნეობა მიჩნეულია პიროვნებისა და ერის მხსნელ მოძღვრებად“ (აკაკი ბაქრაძე, ილია ჭავჭავაძე, 2006 წ.).

და ჩვენც, ილია მართლის ქრისტესმიერი რწმენით დამოძღვრილნი, შევთხოვთ უფალს: „მოჰმადლე ქართველს ქართვის ნდობა და სიყვარული და აღუდგინე მშვენიერი ესე მამული“ („აჩრდილი“).

ლიტერატურა:

ილია აბულაძე - 1973: ძველი ქართული ენის ლექსიკონი, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი.

გურამ ასათიანი - 1988: ილია ჭავჭავაძე, კრებული - ილიას სამრეკლო, გამომცემლობა „განათლება“, თბილისი.

ახალი აღთქმა, წმინდა ოთხთავი - 1963: საკათალიკოსო საბჭოს გამოცემა, თბილისი.

აკაკი ბაქრაძე - 2006: ილია ჭავჭავაძე, გამომცემლობა „პეგასი“, თბილისი.

ივანე იმნაიშვილი - 1986: ქართული ოთხთავის სიმფონია-ლექსიკონი, თსუ გამომცემლობა.

პავლე ინგოროყვა - 1951: ილია ჭავჭავაძე (ბიოგრაფიული ნარკვევი), ლექსები, ტ. I, სახელმწიფო გამომცემლობა, თბილისი.

სულხან-საბა ორბელიანი - 1966: ლექსიკონი ქართული, თბილისი.

თენგიზ სანიკიძე - 1986: ილია ჭავჭავაძის პოეზიის ლექსიკონი, თსუ გამომცემლობა.

გრიგოლ ყიფშიძე - 1987: ილია ჭავჭავაძე, (ბიოგრაფია), გამომცემლობა „მერანი“, თბილისი.

გურამ შარაძე - 1987: ილია ჭავჭავაძე - ცხოვრება, მოღვაწეობა, შემოქმედება, ორ წიგნად, წიგნი I, გამომცემლობა „ხელოვნება“, თბილისი.

ილია ჭავჭავაძე - 1951: თხზულებანი, სრული კრებული, ათ ტომად, პავლე ინგოროყვას რედაქტორობით, ტ. I, სახელმწიფო გამომცემლობა, თბილისი.

როინ ჭიკაძე - 2017: სამი ღვათებრივი საუნჯე ილია ჭავჭავაძისა, ლინგვისტური სჯანი, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი.

გიორგი ჯიბლაძე - 1984: ილია ჭავჭავაძე, პროზა და მსოფლმხედველობა, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი.

Roin Chikadze

Iakob Gogebashvili Telavi State University

CHRISTIAN FAITH OF YOUNG ILIA CHAVCHAVADZE RESUME

In order to follow the ideological world view of Ilia Chavchavadze, we should pay special attention to the "precious four years of his life" when he studied in St. Petersburg, as they are of particular importance. In those years, Ilia's poetry was full of the commandments of Christ, and when young Ilia Chavchavadze calls us "Let us sacrifice for Christ's commandment," it becomes clear that the poet's creative food from the very beginning was the Bible, the holy books, and the commandment of Christ to which he remained faithful for the rest of his life.

**მარადიული პრობლემების ხედვა თანამედროვე მოთხოვნაში
(გ. სოსიაშვილის მოთხოვნის „გასვლა სხეულიდან“ მიხედვით)**

მიმდინარე ლიტერატურული პროცესი საკმაოდ ქაოტურად ვითარდება, დღეისათვის პრობლემას არავისთვის წარმოადგენს დასაწერი თემატიკის შერჩევა; ყოველგვარი ზღვარი მოშლილია და ინტერნეტ-საიტებიც აჭრელებულია იმ თანამედროვე ავტორთა ნამუშევრებით, რომელთაც არც პოპულარობა აკლიათ და არც მკითხველი, თუმცა ხშირ შემთხვევაში თემატიკა არა პრობლემატურობიდან გამომდინარეა შერჩეული, არამედ - სკანდალურობიდან და, სამწუხაროდ, რიგ შემთხვევაში - თავისუფლების განცდის განუსაზღვრელი შემეცნებიდან: მთავარია, არ მოგერიდოს, სირცხვილის შეგრძნებამ არ შეგაწუხოს და შედეგად სახეზეა - ერთ თვეში წიგნებსაც ბესტსელერად აქცევ და მკითხველ საზოგადოებასაც საფუძვლიანად „ჩაეკვები“ მეხსიერებაში.

ამ მიმდინარეობას ლიტერატურაში, ალბათ, თავის დროზე ჰეროსტრატის ღამა დაარქმევენ, თუმცა ამ შემთხვევაში ზემოთ მოყვანილი გარემოების, საპირისპირო მიმართულებით მიიწივს მოვატრიალო მკითხველის ყურადღება, ვინაიდან, უამრავ ჰეროსტრატის ღამის მიმდევარ შემოქმედს შორის, საბედნიეროდ, აქა-იქ უკუნში გამკრთალი სინათლის სხივივით აშუქებენ თითოეულ ჩამოსათვლელ ახალგაზრდა მწერლებს. სწორი გზა რთულიც არის, ამიტომ მათ ერთი თვე და ერთი წელი არ ჰყოფნით მკითხველამდე მისასვლელად, გაცილებით მეტი დრო და შრომაა საჭირო. ამიტომ ხდება ზოგჯერ - აღმოაჩენ ახალგაზრდა მწერალს, გაიხარებ, დამწყებ შემოქმედს ეს რა კარგად დაუწერიაო და ჰოი, საოცრებავ, რა დამწყები - წლების წინ შექმნილ ნაწარმოებს კითხულობ, რომელსაც წინ კიდევ არაერთი მშვენიერი ნამუშევარი უძღვის. გვიან კი მხოლოდ იმიტომ გაიგე, რომ ავტორი არც ყვირის, არც იგინება, არც სირცხვილის შეგრძნება აქვს დაკარგული; არის თავისთვის და წერს, წერს იმას, რაზეც ეწერება, რასაც პრობლემატურად მიიჩნევს და რაც მისი და შენი ტკივილია. წერს და გელოდება მოთმინებით...

გიორგი სოსიაშვილის მოთხოვნები ჩემთვის ახალი არ არის, არც ავტორი გამიცნია ახლახანს, მისი, როგორც მწერლის პორტრეტი ჩემს წარმოსახვაში, დიდი ხანია, მკვეთრად გახლავთ ჩამოყალიბებული, თუმცა ამ თემაზე დაწერა ზემოთ განხილულმა გარემოებებმა გამისურვილა, თან მისი 2007 წელს გამოქვეყნებული კრებული „გასვლა სხეულიდან“ ხელმეორედ გადავიკითხე და ცეცხლზე ნავთის დასხმასავით გამოვიდა სწორედ.

კონკრეტულად, კრებულში შესულ ერთ მოთხოვნაზე (რომლის სათაურიც ავტორს მთლიანი კრებულის სახელწოდებადაც აურჩევია) „გასვლა სხეულიდან“ შეგჩერდებით, ვინაიდან ვთვლი, რომ შეუძლებელია აღნიშნული ნაწარმოების წაკითხვის შემდეგ უცნაურმა სევდამ არ შეგიპყროს, ყელში მარყუჟივით ბოლმამ არ წაგიჭიროს და, თუ ცოტათი მაინც ხარ წერას ნაჩვევი, შენი ემოციის და დამოკიდებულების ფურცელზე გადატანა მოთხოვნილებად არ შეგეთვისოს.

მოთხოვნა კაცობრიობის უმძიმეს ცოდვას - ჩვილ ბავშვთა ჩანასახში მოცილებას, ეგრეთ წოდებულ აბორტით დახოცილ, დაბადებამდე სიცოცხლემოსწრაფებულ ბავშვებს შეეხება. ავტორი მტკივნეულად განიცდის და მკითხველსაც შემადრწუნებლად, მაგრამ რეალისტურად და ემოციურად აწვდის საკუთარ განწყობას. განწირული ბავშვები ზეცაში განაგრძობენ არსებობას, განაგრძობენ და ზემოდან დაჰყურებენ მათ გამწირავ სასტიკ დედამიწას, რომელმაც ისინი არ მიიღო და არ შეიფარა. სამაგიეროდ, მზემ შეივრდომა ისინი: „აქ ცხოვრება გირჩევნიათ, აქ არასდროს შეგძულდებათ ერთმანეთი, მუდამ ასეთები იქნებით: მომღიმრები, კეთილები, ხმაკისკისები, გულმხიარულები“, - ეუბნება მზე „ღრუბელზე ჩამოსკუპებულ ბალებს“. რომლებსაც „ოქროსფერი თმები ჰქონდათ და ანგელოზის ფრთები, ქერუბიმებივით ისხდნენ ღრუბლებზე, რომელიც ნიავის წამოქროლვაზე საამურად ირწოდა“.

„აბორტით დახოცილი ბავშვები უსხდა გვერდით ფაფუკ ღრუბელზე ცხრათვალა მნათობს“.

ავტორი მდიდარი ფანტაზიისა და გონივრული ხედვის წყალობით, საოცრად რეალურად ხატავს არარეალურ სურათს. მკითხველს ერთგვარ ბურუსში ახვევს და უცბად, ძალიან უბრალოდ, სრულიად რეალურ ამბავზე - ერთი გოგოს, მარიუქას ირგვლივ დატრიალებულ ოჯახურ დრამაზე გადადის. ახალგაზრდა ქალმა საკუთარ ქმართან ურთიერთობა ვერ ააწყო. ორი რადიკალურად განსხვავებული ადამიანი ერთმანეთს ვერ შეეწყო. განხეთქილების ნაღვერდალი გაღვივდა, ცეცხლი დაინთო და ხანძრად იქცა. ამ დროს სასოწარკვეთილმა ორსულმა ქალმა, საკუთარ თავთან დაიწყო განსჯა, „იმ პატარა არსებისთვის რა ექნა, რომელიც მის წიაღში ბინადრობდა. იფიქრა, იფიქრა და თითქოს სწორი

გადაწყვეტილება მომდინარეობს, შვილისთვის მეტი რა სიკეთე გაეკეთებინა, რომ ტანჯვის წუთისოფელში მოსვლა აეცილებინა თავიდან“.

მწერალი გულმოდგინედ ცდილობს დედის პოზიციის გასიგრძეგანებას, რადგან ყველა ქმედებას აქვს გარკვეული მიზეზი–შედეგობრივი კავშირი. იქნებ, იყოს შემამსუბუქებელი გარემოება ცოდვის ჩამდენისთვის, იქნებ, მასაც აქვს თავისი სიმართლე. არც ეს უნდა მიიჩქმალოს და ღიად, სააშკარაოზე უნდა იქნეს აწონილი ცოდო–მადლი. ამიტომ, ერთი შეხედვით, ავტორი მთლიანად ირგებს და ითვისებს საკუთარი ცოდვილი გმირის როლს და პოზიციას, თუმცა არის სხვა პოზიცია და ეს პოზიციები იმდენად ურთიერთსაწინააღმდეგოა, რომ მკითხველს უთუოდ გაოცებას მოჰგვრის. გაოცებას კი მხოლოდ პოზიციებთან მრავალმხრივი მიდგომით არ დაგვაჯერებს მწერალი, რადგან ფაქტის გამოგნებლად შთამბეჭდავი თხრობაა წინ:

„სიკვდილის მოახლოება იგრძნო პაწია არსებამ და თვალი გაახილა. დედის სამყაროს მოავლო მზერა, მცირე ხანს უყურა ბნელ კედლებს. მერე თვალნათლივ დაინახა როგორ განათდა ერთ წერტილში და ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის სახე გამოიკვეთა. – ნუ გეშინია, პატარავ, ჩემთან წაგიყვან, – ღვთიური ხმა იყო, ენით აუწერელი. მერე ღვთისმშობელი გაქრა და ორი წვერწამახული ჩანგალი გამოჩნდა, რომელიც მის მოსაკლავად შემოეყო დედის წიაღში თეთრხალათიან ჯალათს. რამდენჯერმე დაუსხლტა, დედის კედელს აეკრა, ერთიხანოა იფიქრა კიდეც – გადავრჩიო, მაგრამ ბავშვების სიკვდილში დახელოვნებული მაინც მისწვდა და წუთისოფლის უხილავად წავიდა ზეცისკენ. დედაღვთისამ ჩაიკრა და იესოსავით გაახვია ანგელოზების მიერ მოქარგულ ქსოვილში.“

შეუძლებელია ამ პასაჟის წაკითხვამ ღრმად არ დაგაფიქროს, კაცობრიობის უადრესად ცოდვიანი ნაკლის რეალური სახე თვალწინ არ გადაგიშალოს, თითქოს თავად ხდები „ორი წვერწამახული ჩანგლის“ მსხვერპლი, ისე ხორციელად შეიგრძნობ „სიკვდილში დახელოვნებული ხელის“ სიახლოვეს, ისეთი ამაზრზენად განიცდი ჩვილის უსუსურობას, რომელსაც საკუთარი დედის წიაღი სასაკლაოდ გადაქცევია და განტევების ვაცივით, უსამართლოდ და უმიზნოდ ეწირება სხვათა ცოდვებსა და ცდომილებებს. ეწირება და მიდის არაფრიდან პირდაპირ მარადიულობაში, საფეხურების გაუვლელად, სიცარიელით, უწარსულობით... მისი წარსული მხოლოდ ის ამაზრზენი სურათია, ავტორი რომ გვიხატავდა, ამიტომ რჩება გაუთვითცნობიერებელი და სუფთა ცარცმიუკარებელი დაფასავით, უწარსულო, უახლოვლო. მისი ახლობელი სითეთრეა, სისუფთავეა, მზეა, ღრუბლებია, ღმერთია, თუმცა ავტორს მაინც რჩება ეჭვი, იქნებ, ასეც სჯობდა?! „სიცოცხლე ხომ ლოდინია, დიდი ლოდინი. მოსაცდელზე მყოფი მგზავრით ელოდება ადამიანი სიკვდილის გამოჩენას. ავტობუსი ხან იგვიანებს, ხან კიდეც დროზე უფრო ადრე მოდის, რას გაიგებ. მიქელგაბრიელიც ეგრება, ჩამოგიქროლებს იმ ვეება ტრანსპორტივით და მიგიყვანს ბოლო ალაგამდე, იმ ბოლო ალაგზეა ღმერთი. მარადიული არაფერია, მარადიულობას მხოლოდ სიკვდილი თუ გაზიარებს კაცს.“

ავტორი დაბეჯითებით არაფერს გიმტკიცებს, ის მხოლოდ ფაქტებს მოგიტოვებს და ამ ფაქტების შეფასების ყველა ვარიანტზე გაყენებს საქმის კურსში. დასკვნები თავად უნდა გააკეთო, ხოლო ეს რომ შესძლო, ფიქრებით მაინც, თუნდაც წამიერად უნდა ამაღლდე, ამაღლდე და ზემოდან გადმოხედო სამყაროს.

„შორს სივრცეში ჩაკიდული დედამიწა მოჩანდა, მძიმე იყო დედამიწა, ძალიან მძიმე, მაგრამ მაინც ეკიდა, ეკიდა და ბრუნავდა თავის ცოდვებთან ერთად.“

მზე კი უღიმოდა ქათქათა ღრუბლებზე ჩამომჯდარ ბალებს“.

დაბოლოს, გვინდა მოთხრობაზე საუბარი იმით დავასრულოთ, რითიც დავიწყეთ, თანამედროვე მწერლებში განვითარებული ტენდენცია, თანამედროვე ხედვა რიგითი თუ მარადიული პრობლემებისა, ხშირ შემთხვევაში დამახინჯებულად, ხელოვნური გადაჭარბებულობით და, რაც ყველაზე უარესია, შეგნებული უხამსობითა და სირცხვილის განცდის იგნორირებით გამოიხატება. საბედნიეროდ, გ. სოსიაშვილი მწერალთა იმ არცთუ მრავალრიცხოვან ნაწილს მიეკუთვნება, რომლებიც ამსხვრევენ ამ არასახარბიელო სტერეოტიპს საკუთარი მოღვაწეობით.

ვფიქრობთ, რომ გიორგი სოსიაშვილის მოთხრობა „გასვლა სხეულიდან“ სრულყოფილად შეიცავს პოსტმოდერნის ყველა მახასიათებელს, მასში არის ორი ტექსტი ორი ამბით, არის ერთგვარი დაეჭვება თითქოს დამკვიდრებული კანონზომიერების შესახებ, არის სრულიად რეალურისა და სრულიად არარეალურის ბუნებრივი შერწყმა, არ არის ჭეშმარიტების დადგენის მცდელობა, პირიქით, ნაჩვენებია ერთი პრობლემის ყველა რაკურსი და მკითხველისთვისაა მინდობილი ვითარებაში გარკვევა და ჩამოყალიბება.

აქედან გამომდინარე, თამამად შეგვიძლია სოსიაშვილის მოთხრობა კიდეც ერთ მაგალითად მოვიშველიოთ, რათა მავანს და მავანს ვუჩვენოთ, რომ პოსტმოდერნისტულ მიმდინარეობაში შესაძლებელია წერო დელიკატურად.

მოთხრობაში გ. სოსიაშვილის მიერ გამოყენებული ხერხები და მეთოდები ზუსტად მიესადაგება თხრობის მანერასა და პრობლემატიკის შინაარსს, შედეგად კი სურათი სულის შეძგრამდე ემოციური, შთამბეჭდავი და ამაღლებელია. ამიტომ გვჯერა - ამ მოთხრობის წამკითხავი ყველა პოტენციური მშობელი შეიძლება და გაიუცხოვებს „მის არსებაში ჩასახლებული სამყაროს ახალი ბინადრის“ განადგურების ამაზრზენობას.

Giorgi Khorbaladze

Gori State Teaching University

**THE VISION OF ETERNAL PROBLEMS IN A CONTEMPORARY NOVEL
ACCORDING TO G. SOSIASHVILI'S NOVEL "LEAVING THE BODY"
RESUME**

The current literary process is quite chaotic. Nowadays it is not a problem to select a topic to write about; There are no limits, and internet sites are also full of works by some modern authors who are not lacking neither popularity nor readers, but in most cases the topic is chosen not for being actual but for being scandalous and, unfortunately, in certain cases, because of the unconscious cognition of freedom: the main thing is not to be shy and here is the outcome – the books will be turned into bestsellers in a month and you will be also stuck into the reader's memory. Long time ago this current in literature, perhaps could have been called the "Herostratism", but in this case we want to draw the readers' attention to different direction. As among many "creators" who are the followers of the "Herostratism", fortunately here are few young writers who are like the light in the darkness. Following the right path is difficult, so a month or a year is not enough to reach the reader. Much more time and work is needed. So sometimes it happens – you discover a young writer and you are happy because of his or her good writing and amazingly you find out that you are reading a work created many years ago which is preceded by many wonderful works had been created before it. You found out about it so late only because the author does not speak about it loudly, neither screams nor cries, but writes just for himself, writes about what he thinks is problematic and what is his and your pain. Writes and waits for you patiently ...

The trend in the contemporary writers, contemporary vision of ordinary or eternal problems, is often expressed with artificial excesses and ignorance of feeling of shame. Fortunately, the author discussed in this study, G. Sosiashvili belongs to the number of the writers who break this unfavorable stereotype with their own works and show us the golden ratio between modern and earlier literary processes.

გულნარა ჯიოშვილი

სსიპ - გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ატენის საჯარო სკოლა

ტროპის ძირითადი სახეები „ვეფხისტყაოსანში“

„ვეფხისტყაოსანი“ უდიდესი მხატვრული ეპიკური ნაწარმოებია, რომელიც მდიდარია ტროპული მეტყველებით. მასში უხვად მოიპოვება ისეთი ტროპები, როგორიცაა: ჰიპერბოლა, კონტრასტი, გამეორება, მეტაფორა, გაპიროვნება, ეპითეტი, შედარება და სხვა.

ჰიპერბოლა ერთ-ერთი ძირითადი ხერხთაგანია პოემა „ვეფხისტყაოსანში“. ის პერსონაჟთა მოქმედება-საქმიანობასთან არის დაკავშირებული. თინათინი მზეს იწუნებს სილამაზით, „თინათინ მზესა სწუნობდა, მაგრამ მზე თინათინებდა“ (სტ. 52-ე)

„ვეფხისტყაოსნის“ გმირები სილამაზეში მნათობებს ეცილებიან, ხოლო მკლავის ძალით ლომ-ვეფხვებსა და მთელ ჯარსაც აღმატებიან. მაღალმხატვრული ჰიპერბოლის მაგალითს წარმოადგენს ტარიელის ბრძოლა ხატაელებთან;

„ახლოს მივე, შემომხედნეს, „შმაგაო“, ესე თქვესა,
მუნ მივჰმართე მკლავმაგარმან, სად უფროსი ჯარი დგესა;
კაცს შუბი ვჰკარ, ცხენი დავეც, მართ ორნივე მიჰხდეს მზესა,
შუბი გატყდა, ხელი ჩავყავ, ვაქებ, ხრმალო, ვინცა გლესა!“ (სტ. 452-ე)

ამ სტროფის მიზანი ტარიელის იდეალიზაციაა. პოეტი დინჯად და თანმიმდევრულად შეამზადებს ამ ჰიპერბოლურ სიტუაციას (ასოცდაათი ათასი კაცისაგან შემდგარ რაზმში სამასი კაცით შეჭრა, ცხენ-კაცის დაცემა და გორის დადგმა, წინა ორი რაზმის ამოწყვეტა და ა.შ.) ასეთი ფიზიკური რიგის ჰიპერბოლეზია გამოყენებული: ნადირობისას, ქაჯეთის ციხის აღებისას, ფრიდონთან ერთად ბრძოლისას და სხვა. მაგრამ უფრო მეტია მარტივი ჰიპერბოლა. მაგალითად: ტარიელი ავთანდილს უამბობს, რომ ახალგაზრდობაში „ვითა კატას, ვხოცდი ლომსა“ (სტ.332), „ჭირად არ მიჩნდის ლომისა მოკლვა, მართ ვითა სირისა“. (სტ.325)

ჰიპერბოლა მარტო ფიზიკური მხარის წარმოსაჩენად კი არ არის გამოყენებული, არამედ გმირთა სულიერი მდგომარეობის გადმოსაცემადაც. ავთანდილის სულიერ მდგომარეობას, როდესაც იგი გაიპარება ტარიელის დასახმარებლად გადმოსცემს შემდეგი სტროფი:

„წამ-წამ მობრუნდის, იაჯდის მისთვის მზისავე მზობასა, / უჭვრეტდის, თვალნი ვერ მიჰხსნის, თუ მოხსნის, მიჰხდის ცნობასა“. (სტ.841)

ავთანდილის ცრემლთა დენა, მისი სისწრაფე და რაოდენობა მდინარე ტიგროსის დენასთანაა შედარებული. აქ გაზვიადების მიზანი ცხადზე უცხადესია. ასეთივე მდგომარეობაში არიან სხვა გმირებიც. მაგ.: „დედოფალი ზღვასა შეიქმს, მას რომ ცრემლი დაუღვრია“. ამ მხრივ მოლოდინს აჭარბებს ტარიელი: „შეგჯე, წამოველ, მდიოდა ნაკადი ცრემლთა მილისა“. ტარიელს ძილიც კი არ შეუძლია:

„ერთხელ ქვაბში: ცოტა მიწვა, მიიძინა, თუცა ყოლა ვერა მეტი,

შეკრთა, დიდნი დაიზახნა, წამოიჭრა ვითა რეტი, / იზახნის და წამ-წამ იკრის გულსა ლოდი, თავსა კეტი“.

ჰიპერბოლის სტილთან ორგანულ კავშირშია კონტრასტი. აღსანიშნავია, რომ პოემის პერსონაჟები მეტად მკაცრი და ამავე დროს ნაზი, მოქნილი ბუნებისანი არიან. როსტევენი, როცა ავთანდილის გაპარვას გაიგებს, განრისხდება. მისი რისხვისა ვეზირსაც კი ეშინია.

„დადრკა, სკამნი შემოსტყორცნა, ჰკრნა კედელსა, შეალეწნა“ (სტ. 766) და ვაზირს მიმართა:

„შმაგო, ენა ვით იხმარე აწ მაგისა ჩემად კადრად! / აგრე შმაგი არ ვაზირად, არა ვარგხარ არცა სხვად რად!“ (სტ.763)

მაგრამ იგივე როსტევენი უნაზესია, მამობრივი გრძნობით ტირის ავთანდილის წასვლის გამო:

„მოთქვამს, იტყვის: „ვა, გაზრდილო, ვეღარ გნახენ თვალნი რეტნი!“

.....

სად წაჰხე და სად დაჰკარგენ სინათლისა ეგე სვეტნი?“ (სტ. 831)

შემდეგ კი გასცემს განკარგულებას გლაზაკთა განკითხვისას და ბრძოლისას.

უფრო მეტად კონტრასტულია ავთანდილისა და ტარიელის ბუნება. ისინი მოწინააღმდეგესთან რამდენადაც მკაცრნი, დაუნდობელნი და შეუბრალებელნი არიან, იმდენად ნაზნი და გულწვილნი არიან ახლობლებთან. სადისტურად კლავს ავთანდილი ჭაშნაგირს, ბეჰდიან თითსაცკი აჭრის; ტარიელმა კი ხვარაზმშას შვილი კარვის ბოძზე თავით მიახეთქა და ასე მოკლა. ინტენსიურად იცვლება მათი ზნეობრივი მხარე უძღურთა დაცვისას. მხედველობაში მაქვს ტარიელის დახმარება ფრიდონისადმი. ავთანდილისა - ვაჭრებისადმი, ხოლო სამივესი კი ურთიერთისადმი.

ყველაზე მეტად მათი ბუნების სინაზე ვლინდება ქალებთან ურთიერთობისას. ეს უდიდესი ძალ-ღონის რაინდები ქალებზე უფრო ტირიან, მოთქვამენ და ხშირად მათ წაქეზებას ემორჩილებიან.

სახეთა კონტრასტების გარდა „ვეფხისტყაოსანში“ არსებობს სიტუაციათა კონტრასტი. როცა ავთანდილი მოაგონებს ტარიელს ნადირობისას მათი შეხვედრისა და მონათა დახოცვის ამბავს, ტარიელი ასე უპასუხებს:

„რას მაქმნევდით, რად გინდოდით, ერთმანერთსა რითა ვჰგვანდით

თქვენ მორჰმულნი სთამაშობდით, ჩვენ მტირალნი ღაწვთა ვბანდით“. (სტ.299)

გარდა ზემოხსენებული ხერხებისა, მათ შორის აღსანიშნავია: მოტივების (ამბის) გამეორება, ლექსიკური გამეორება და პოეტურ ხერხთა (ალიტერაცია, ასონანსი, რითმა) გამეორება. გარემოებანი თანმიმდევრულად არ არის დალაგებული „ვეფხისტყაოსანში“, იგი გაბნეულია სხვადასხვა ამბავში. მაგალითისათვის მოვიტან ძირითადად პოემის პროლოგსა და ეპილოგს. ორივე ნაწილი უხვად შეიცავს ამ სტილის ბევრ თავისებურ სახეს. ასეთია მაგალითად თამარის შესახებ სტროფები. მათში მსგავსი ეპითეტები და მეტაფორებია გამოყენებული. (ღაწვ-ბადახშ, თმაგიშერი, ბროლ-ბადახშისა თლილისა).

გამეორებათა სტილი კულმინაციურ წერტილს აღწევს ავთანდილისა და შერმადინის პირველსა და მეორე საუბარში. მოვიტან რამდენიმე მაგალითს: მაგალითად:

I „ხამს მეფეთა ერთგულება, ყოფა გვმართებს ყმასა ყმურად“ (სტ. 159)

II „აწ მეფეთა სამსახურად პირველ თავი დაამზადე“ (სტ. 787)

I „რა მონამან მოისმინა, გაუკვირდა, შეეზარა“ (სტ. 165)

II „ესე ესმა, ცრემლი ცხელი შერმადინსცა თვალთა სდინდი“ (სტ. 789)

I „რა მიჯნური ველად რბოდეს, მარტო უნდა გასაჭრელად“ (სტ. 167)

II „თუ მიჯნური ვარ, ერთი ვხამ ხელი მინდორთა მე რებად“ (სტ. 792)

I „ხამს, თუ კაცი არ შეუდრკეს, ჭირს მიუხდეს მამაცურად“ (სტ. 159)

II „ხამს მამაცი გაგულოვნდეს, ჭირსა შიგან არ დაღონდეს“ (სტ. 793)

ასეთივე ხერხია გამოყენებული ავთანდილისა და ასმათის გამოქვაბულში შეხვედრისას.

„ამარტის ველად შეცვალა ბროლი ცრემლისა ბანამან“ (სტ. 271)

და ტარიელისაგან თავისი გამიჯნულების ამბის მზობისას.

„ზაფრანის ფერად შეცვალა ბროლი ცრემლისა ბანამან“

ასეთივეა ავთანდილისა და ტარიელისაგან ქალაქების აღწერაც. ავთანდილი ამბობს:

„ქალაქი ჰქონდა მაგარი საზაროდ სანაპიროსა“ (სტ. 154)

ტარიელი ამბობს: „ქალაქი მქონდა მაგარი, მტერთაგან მოურევალი“ (სტ. 565)

პოემა „ვეფხისტყაოსანში“ ვხვდებით ასონანსისა და ალიტერაციის მაგალითებს. გვხვდება ა, ი, ე და ო ხმოვნების გამეორების მაგალითები:

ი: „იყო არაბეთს როსტევან, მეფე ღმრტისაგან სვიანი,

ა: „მაღალი, უხვი, მდაბალი, ლაშქარ-მრავალი, ყმიანი“ (სტ. 33)

„შენი ქალი არად მინდა, გაათხოვე, გამარიდე!“ (სტ. 572)

ო: „მოსამართლე და მოწყალე, მორჭმული, განგებიანი“ (სტ. 33)

ე: „ვერ გათნევ, თქვენმან კეთილმან აწ ეგე არ მართალია“ (სტ. 571)

ალიტერაციისას გვხვდება შემთხვევა, 1. როცა თანხმოვანი სიტყვის დასაწყისში და 2. როცა თანხმოვანი (ხმოვნითურთ) სიტყვის ბოლოში მეორდება. მაგ.: „მიჰხოცდეს და მიისროდეს, მინდორს სისხ-ლთა მისახმიდეს“ (სტ. 78)

„ვეწერ ვინმე მესხი მელეხსე მე რუსთავლისა დამისა“ (სტ. 1658)

2. „ამარტის ფერი შეცვალა ბროლი ცრემლისა ბანა მან,

დიდხანს იტირეს ყმამან და მან ქალმან შაოსანამან;

შეჰსხნა, შეიღო აბჯარი, ცხენიცა შეიყვანა მან;

დადუმნეს, ცრემლნი მოჰკვეთნა შავმან გიშრისა დანამან“ (სტ. 271)

ამ სტროფში რვაჯერ განმეორდა ბგერათა კომპლექსი „მან“, ხოლო ნ-ბ ბგერა 16-ჯერ, რაც დიდ მუსიკალურობას სძენს სტროფს.

ალიტერაციის საუკეთესო ნიმუშია აგრეთვე შემდეგი სტროფი:

„კარვის კალთა ჩახლართული ჩაჰქერ, ჩავაკარაბაკე“ (სტ. 564)

მეტაფორა ძირითად მხატვრულ ტექსტს წარმოადგენს „ვეფხისტყაოსანში“. შეიძლება ითქვას, რომ მთელი პოემა ერთი დიდი მეტაფორული ნაწარმოებია. მასში განსაკუთრებით ხშირია მუდმივი მეტაფორა. სტრუქტურულად მეტაფორა ორგვარია: 1. მარტივი და 2. რთული. მარტივია მეტაფორა, როცა იგი ერთი სიტყვითაა წარმოდგენილი. მაგალითად, ავთანდილის შესახებ ავტორი ამბობს:

„რა მოშორდის, ვერ მჭვრეტელმან ვარდი შეიქმს ფერნაკლულად;“ (სტ. 42)

„თქვა: „ზედა-ზედა მომხედების ნახვა ბროლ-ფიქალისა“ (სტ. 43)

რთულია მეტაფორა, როცა ის რამდენიმე მარტივს აერთიანებს. მაგალითად: „ქალი ტირს და ცრემლსა აფრქვევს, ჰხრის ყორნისა ბოლო-ფრთათა“ (სტ. 47). აქ ყორანი თვალთა, ხოლო ბოლოფრთა-წამწამები. ანდა: „მთით ჩამოვიდა ავთანდილ, გავლნა წყალნი და ტყენია, / მინდორს აცორვებს ტაიჭსა, შეჟღერნით მონაწყენია. / გასცურვებოდეს მკლავნი და მისნი სიამაყენია, / ბროლისა ველსა სტურფობდეს გიშრისა მუნ საყენია“. (სტ. 198). აქ კი ბროლის ველი-თეთრი, სუფთა სახეა, ხოლო საყენი - წამწამები.

ეპითეტი ეპოსის ძირითად ხერხს წარმოადგენს და ყველა გრამატიკულ ფორმას მოიცავს. რუსთაველი „ვეფხისტყაოსანში“ ეპითეტის ყველა გრამატიკულ ფორმას ხმარობს, სახელდობრ: 1) ზედსართავი სახელი, რომელიც არსებითს განმარტავს; 2) არსებითი სახელი. მაგალითად; 1) „ფატმან ხათუნ თვალად მარჯვე, არ-ყმაწვილი, მაგრა მზმელი, / ნაკვთად კარგი, შავ-გვრემანი, პირ-მსუქანი, არ პირ-ხმელი“ (სტ. 1080). 2) „ხანი გამოხდა, იკითხა: ნეტარ, რასა იქმს ქალიო, ჩემი ღვინი და ჯავარი, ჩემი სოფლისა წყალიო?“ (სტ. 107)

პირველ მაგალითში 7 ეპითეტია, ზედსართავი სახელით გადმოცემული, ხოლო მეორე მაგალითში 3 ეპითეტია არსებითი სახელით გადმოცემული.

„ვეფხისტყაოსნის“ ეპითეტები მნიშვნელოვანი მოვლენაა განმეორებათა კომპოზიციისა, კონტრასტისა და კეთილზმოვანების (ეფფონიის) შექმნისათვის და, თუ მას განვიხილავთ თემატურად,

მაშინ იგი ორ ნაწილად გაიყოფა: კონკრეტული და აბსტრაქტული ეპითეტები. პოემაში სჭარბობენ კონკრეტული ეპითეტები, რომელთაგან აღსანიშნავია ფერის ეპითეტები: თეთრი, ყვითელი, მოწეული, შავი, ნათელი, მკრთალი, ვარდისფერი, წითელი (ბადახში), გამჭვირვალე, სხივოსანი და მრავალი სხვა. აი ზოგიერთი ნიმუში:

„ვის ჰშვენის-ლომსა, - ხმარება შუბისა, ფარ-შიმშერისა
მეფისა მზის თამარისა, ღაწვ-ბადახში, თმა-გიშერისა“ (სტ. 3)
„მიბრძანეს მათად საქებრად თქმა ლექსებისა ტკბილისა,

.....
ზროლ-ბადახშისა თლილისა, მის მიჯრით მიწყობილისა“ (სტ. 5)

„დაღრეჯით იყო მჯდომარე მოწეულითა რიდითა“ (სტ. 128)

სინათლის, ბრწყინვალეების აღსანიშნავად, გარდა ხაზგასმული სიტყვებისა, იხმარება თეთრი, მკრთალი, ხოლო მათ საპირისპიროდ - შავი.

ფერთა ეპითეტები, გარდა მოვლენათა გარეგნობის აღნიშვნისა, იხმარება აგრეთვე პერსონაჟთა განწყობილების ნათელსაყოფადაც. ფერთა ეპითეტები, ჩვეულებრივ, პირდაპირი მნიშვნელობით იხმარება პოემაში, მაგრამ ფერთა ეპითეტად ხშირად მეტაფორაც გვხვდება. მაგალითად:

„ვარდას ხლეჩდეს, ბაგეთაგან კბილნი თეთრნი გამოსჭვირდეს“ (სტ. 288)

„ვეფხისტყაოსანსი“ გვხვდება აგრეთვე სიშორე-სიახლოვისა და სმენითი ეპითეტები: სიშორე-სიახლოვეს გამოხატავენ ამ ტაეპში:

„ცხეს ვზი ეზო მაღალსა, თვალნი ძლივ გარდასწვდებიან“ (სტ. 1309)

„ხე დიდდონი, თვალ-უწვდომი, მაღლა კლდისა ანაყრდენი“ (სტ. 224)

„მას მიჰხვდა წვერი სადგურად მაღლისა მთისა დიდისა,

გამოჩნდა მუნით მინდორი, სავალი დღისა შვიდისა.“ (სტ. 189)

სმენითი ეპითეტები ხმაურის და სიწყნარე-სიმშვიდის აღმნიშვნელია. მაგალითად:

„ისმენდიან, გაჰკვირდიან, რა ატირდის, ატირდიან,

იმღერს ლექსთა საბრალოთა, ცრემლნი სდიან“ (სტ. 976)

„რა მინდორს შევჯდი, ხარითა ხმა იყო ბუკთა ცემისა“.

„ხარმცა ბრძნად მქმნელი საქმისა, იყავ წყნარი და ცნობილი!“ (სტ. 49)

ადამიანის ზნეობრივი და ემოციური მხარის აღმნიშვნელი ეპითეტებია სტროფში, რომლითაც პოეტი როსტევემ მეფეს ახასიათებს: „მაღალი, უხვი, მდაბალი, ლაშქარ-მრავალი ყმიანი, /მოსამართლე და მოწყალე, მორჩმული განგებიანი“ (სტ. 33)

როგორც რუსთაველის საერთო ლექსიკიდან, ისე მისი ეპითეტებიდან ჩანს, რომ პოეტი საეპითეტო მასალას ცხოვრებისა და ბუნების სხვადასხვა სფეროებიდან იღებს. დასასრულ უნდა აღვნიშნო „ვეფხისტყაოსნის“ ეპითეტთა ერთი თავისებურება: მარტივი და რთული ეპითეტების გარდა, ამ მაღალ კლასიკურ ეპოსს ახასიათებს მუდმივი, მყარი ეპითეტები, რაც ფეოდალური წყობის თავისებურ გამოძახილს წარმოადგენს. პერსონაჟთა ეპითეტები ხშირად განსაზღვრული, მაგრამ ამავე დროს მეტისმეტად მდიდარია. მისი როლი სახეთა და მოვლენათა იდეალიზაციაში მდგომარეობს. მაგალითად:

„ნურადინ ფრიდონ მეფეა ამა ქვეყნისა ჩვენისა,

მოყმე მხნე, უხვი, ძლიერი, ფიცხლად მომხტომი ცხენისა;

ვნება არავის არ ძალუც მის მზისა ოდნად შვენისა,

იგია ჩვენი პატრონი, მსგავსი ცით შუქთა მფენისა“ (სტ. 980)

ეს სტროფი ფრიდონის (მაშასადამე, ფეოდალურ მეფეთა) იდეალიზაციის ნიმუშს წარმოადგენს.

გარდა ზემოაღნიშნული ტროპებისა პოემაში უხვად მოიპოვება შედარების მაგალითები. პოემის შედარებები სამი ელემენტისაგან შედგება: შედარების სუბიექტი (ის, რაც უნდა შეუდარონ), შედარების ობიექტი (ის, რასთანაცაა შედარებული) და პრედიკატი, საფუძველი შედარებისა. შედარება საგანთა შორის მსგავსებას ამყარებს ამა თუ იმ ნიშნის მიხედვით ისე, რომ შედარებულსა და შესადარებულს (სუბიექტსა და ობიექტს) შორის იგივეობის ნიშანი არ დაისმის.

შედარება შეიძლება იყოს ვრცელი და შემოკლებული, ხოლო ფორმით - უარყოფითი და დადებითი სახისა. ამ დიფერენციის გარდა, შედარება ნაწილდება თემატიკის მიხედვითაც. გენიოსი მწერალი შოთა რუსთაველი შედარების ყოველ ფორმას, სახეს და ნიუანსს იყენებს. სტროფში:

„უბრძანა: „წადით, გახსენით, რაცა სად საჭურჭლენია!

ამილახორო, მოასხი რემა-ჯოგი და ცხენია!“

მოიღეს, გასცა უზომო, სიუხვე არ მოსწყენია.

ლარსა ხვრეტდიან ლაშქარნი, მართ ვითა მეკობრენია“.

მეოთხე ტაეპში შედარება წარმოდგენილია სამივე ელემენტით. შედარების სუბიექტია ლაშქარი, ობიექტი-მეკობრეები, შედარების საფუძველია „ლარსა ხვრეტდიან“. აქედან სურათის შინაგანი

დინამიურობა - ისე სწრაფად ჰკრეფდნენ ნაბოძვარს, როგორც მეკობრეები, გვამცნობს პოეტი. მსგავსი მაგალითები: „სპათა სპასპეტი, ჩაუქი, ვითა ვეფხი და ლომია“ (სტ. 58)

„მიჯნურსა თვალად სიტურფე ჰმართებს მართ ვითა მზეობა“ (სტ. 23)

„იგია ჩემი სიცოცხლე, უწყალო ვითა ჯიქია“ (სტ. 19)

„თვალნი მზეებერ გამირეტდეს, გული მეტად შემოდრწუნდა“ (სტ. 93)

„ცრემლსა სისხლი ერეოდა, გასდის ვითა ნაგუბარი“ (სტ. 91)

„ხელთა ნაჭედი მათრახი ჰქონდა უსხოსი მკლავისა“ (სტ. 87)

აღსანიშნავია, რომ მოცემულ მაგალითში სუბიექტი და ობიექტი დაშორებულია ერთმანეთისგან: ერთი წინა ფრაზაშია, ხოლო მეორე მომდევნოში. ხშირია უფრო მეტი დაშორებაც:

„ვითა ცხენსა შარა გრძელი და გამოსცდის დიდი რბევა,
 „მოზურთალსა-მოედანი, მართლად ცემა, მარჯვედ ქნევა,
 „მართ აგრეთვე მელექსესა-ლექსთა გრძელთა თქმა და ხევა“ (სტ. 13)

ამგვარად, ეს შედარება გარკვეულად ვრცელი ფორმისაა.

„ვეფხისტყაოსანში“ არა ერთი მაგალითი მოიპოვება იმისა, რომ სტროფში არა თუ ორი, არამედ სამი, ოთხი, ხუთი შედარებაა და, რაც მთავარია, შედგენილი, კომპოზიტიური შედარებები უხვად არის წარმოდგენილი. ტარიელი ასე უხასიათებს თავის თავს ავთანდილს:

„მზესა მე ვსჯობდი შევენებით, ვით ბინდსა ჟამი დილისა;
 „იტყოდეს ჩემნი მნახავნი: „მსგავსია ედემს ზრდილისა,
 აწ მაშინდლისა ჩემისა სახე ვარ ოდენ ჩრდილისა“ (სტ. 333)

რამდენიმე შედარებაა შემდეგ ტაეპებში:

„ხუთისა წლისა შევიქმენ მსგავსი ვარდისა შლილისა;
 ჭირად არ მიჩნდა ლომისა მოკლვა, მართ ვითა სირისა“ (სტ. 325)

„ვითა მკვდარი უსულო ქმნა, ვითა მიწა დაამიწა“ (სტ. 214)

„ვითა სიცილი ტირილსა, მიჯობს ვაგლახი მღერასა.“ (სტ. 1579)

„ვითა მე შენთვის დამწვარ ვარ, ეგრევე შენ ჩემთვის დნებოდი“ (სტ. 1579)

„ვეფხისტყაოსანში“ გვხვდება ეგრეთწოდებული დადმავალი შედარების ნიმუშებიც. როცა ფსიქიკური ხასიათის მოვლენა შედარებულია ფიზიკურთან. მაგალითად:

„აწ ხელთა ნაცვლად ლხინისა, ჩალა მაქვს და ნაბადია“ (სტ. 334)

„იგი ჭირი არ უნახავს, არ რამინს, არცა ვისსა“ (სტ. 202)

შედარების ერთ-ერთი სახეა აღმავალი შედარება; მასში ფიზიკური ედარება ფსიქიკურს, ზნეობრივს. მაგალითად: „ჩალად მიჩნს ყოვლი სოფელი, მისთვისვე შემოწონია“ (სტ. 267)

საგულისხმოა ის ფაქტი, რომ პოემა „ვეფხისტყაოსანში“ გვხვდება უარყოფითი შედარების ნიმუშები, რომელიც ფოლკლორული ხასიათისაა და ამტკიცებს „ვეფხისტყაოსნისა“ და ქართული ფოლკლორის ახლო ურთიერთობას. მომაქვს უარყოფითი შედარების მაგალითი:

„ვის ბადახში არა ჰგვანდეს და ლერწამი ტანად ეზროს,
 იგი სადმე გადარიბდეს, სამყოფთაგან იაბეზროს.“ (სტ. 182)

უფრო ზუსტად არის წარმოდგენილი უარყოფითი შედარება რამაზ მეფის სიტყვებში:

„არც რამე ჩვენ ვართ ჯაბანნი, არც ციხე-უმაგრონია“ (სტ. 406)

უარყოფითი შედარება: „იგი ჭირი არ უნახავს არ რამინს და არცა ვისსა“ (სტ. 202) საუკეთესოდ ახასიათებს ავთანდილის მდგომარეობას, სულიერ განწყობილებას, რომელიც დიდი ხნის ტანჯვისა და წვალების შემდეგ „მიჰხვდა რასმე ქვეყანასა უგემურსა, მეტად მქისსა,
 თვე ერთ კაცსა ვერა ნახავს, ვერას შვილსა ადამისსა“ (სტ. 188)

ზემოთ აღვნიშნე, რომ უარყოფითი შედარებები ფოლკლორული ხასიათისაა და ამტკიცებს „ვეფხისტყაოსნისა“ და ხალხური სიბრძნის მჭიდრო კავშირს. აი მაგალითი „ამირანიდან“:

„ამოდ იარე, ყამარო, გზათა ვერ დაჰლეგ ბრძოლითა,
 არცა ვარ ტყისა ხოხობი, მომინადირონ ქორითა;
 არცა ვარ ჭალის კურდღელი, რომ დამიჭირონ მწევრითა,
 არცა ვარ ხისა ფურცელი, გადამიტანონ ქარითა“ და სხვა.

რაც შეეხება შედარების ფორმალურ აგებას, განსაკუთრებით მაკავშირებელსა და არა მაკავშირებელ ნაწილაკებსა, თუ სიტყვებს. მათ შესახებ შემდეგი უნდა ითქვას: რუსთაველის შედარებათა უმრავლესობა დაკავშირებულია „ვით“ და „ვითა“ სიტყვებით. მაგალითად:

„გარე მომრტყმოდეს ჯალაბი, ვითა ჩამსხდომნი ნავისა“ (სტ. 354)

„აგნობე ჩემი სიკვდილი, - იყავ მართ ვითა მთრვალია“ (სტ. 163)

„თხუთმეტისა წლისა ვიყავ, მეფე მზრდიდა ვითა შვილსა“ (სტ. 337)

„ხელო მოჰკიდა, მოჰყვანდა, ვით მთვარე მოსავანებლად“ (სტ. 286)

სიტყვა „ვითა“ გამოიყენება კითხვის და ძახილის აღსანიშნავადაც. მაგალითად:

„ერთი კაცი შემაქცევრად შენად ვითა დაგელია?“ (სტ. 278)

„პასუხად ვწერდი: „მთვარეო, შენმცა მზე ვით მოგერია?“ (სტ. 387)

„საუბართა და საქმეთა ვითა ძლივ ვათქმევ ენასა!“ (სტ. 315)

„მზე თუ არ ვნახო, არ ვიცი, ვიარო ვითა და ვითა!“ (სტ. 410)

გარდა „ვით“ და „ვითა“ სიტყვების გვხვდება კიდევ მრავალი სხვა მაკავშირებელი სიტყვებიც, რომელთაგან აღსანიშნავია „მსგავსი“, „მსგავსად“. მაგალითად:

„მთვარისა მსგავსი, შევნებით მზისაგან ვერ-შეფლობილი“ (სტ. 331)

„იგი უებრო ქუშად ჯდა, ელვისა მსგავსად შევნოდა“ (სტ. 126)

„შეიქმნა სმა და პურობა, მსგავსი მათისა ძალისა.“ (სტ. 489)

შედარება „ვეფხისტყაოსანში“ გამოხატულია აგრეთვე „ებრ“ სუფიქსით, რომელიც სემანტიკურად „ვით“ სიტყვის ბადალია. იგი ხშირად გამოყენებულია გაორმაგებული შედარების გადმოსაცემად. მაგალითად: „შენ სინათლედ თვალთა ჩემთა მიჩნდა, მზეებრ სანახველად“.

„ვეფხისტყაოსნის“ შედარებები, ისე როგორც მთელი პოემა, იზიარებს ე.წ. განმეორებათა სტილის კანონს. მეორდება არა მარტო სუბიექტი და ობიექტი, არამედ ხანდახან ორივე ერთად. მაგა.:

„საწოლს შემოვე, შემექმნა ცნობა მართ ვითა რეტისა“ (სტ. 495)

„შეკრთნა, დიდნი დაიზახნა, წამოიჭრა ვითა რეტი“ (სტ. 274)

„თინათინ ადგა, მივიდა, მიჰყვა მამისა ნებასა,

უგავს პირისა სინათლედ, მთვარისა მოვანებასა.“ (სტ. 109)

დასასრულ უნდა აღვნიშნო, რომ მიუხედავად ქალისა და ვაჟის ფიზიკური განსხვავებისა (რაც სათანადო შედარებებით არის წარმოდგენილი პოემაში), ხშირად ორივე შედარება ერთსა და იმავე ობიექტთან არის შედარებული: მზე, მთვარე, ალვა, სარო და სხვა. ამით რეალიზებულია შოთა რუსთაველის ცნობილი აფორიზმი: „ლეკვი ლომისა სწორია“. ეს გარემოება გარკვეულად მიუთითებს პოეტური ხერხებისა და მწერლის იდეოლოგიის მთლიანობაზე, მათ განუყრელ კავშირზე.

ლიტერატურა:

1. სიმონ გაჩეჩილაძე, ლიტერატურისმცოდნეობის შესავალი, თბ., 1955.
2. შოთა რუსთაველი, „ვეფხისტყაოსანი“ (მესამე სასკოლო გამოცემა), გამომცემლობა „განათლება“, თბილისი, 1986.

Gulnara Jioshvili

LEPL - Gori Municipality Village Ateni Public School

MAIN TYPES OF TROPE IN "THE KNIGHT IN THE PANTHER'S SKIN" RESUME

A number of poetry issues are thematically represented in the conference scientific work. Particularly, "Vepkhistkaosani" of Shota Rustaveli is rich with the tropic speech. The wealth and the strength of poetic lexic is the most important for the work. In this way too, Rustaveli is the inaccessible peak in the Georgian poetry. The poetic comparison, epithets, metaphors, hyperbole and the other means used by him upon the time of expressing his opinion, is really amazing.

This small volume work comprises the basic information relating to the issue.

Based on the title, we learn, which question arises and which sphere it belongs to.

ოჯახი - ბავშვის პიროვნებად ფორმირების მთავარი ფაქტორი

ოჯახი და ოჯახური ცხოვრება არის მოვალეობისა და ბედნიერების შერწყმის ტიპური სარბიელი. ოჯახში მიმდინარეობს ბავშვის პიროვნებად ფორმირების რთული პროცესი, რაც მოვალეობების მთელ სისტემას გულისხმობს. ოჯახის მიმართ მოვალეობები იმდენად რთულია და მრავალფეროვანი, რომ იგი ყველა სხვა მოვალეობას მოიცავს: სამშობლოს, საკუთარ თავის, მეუღლის, შვილების, მშობლებისა და სხვა ახლობლების, წინაპრების, ნათესავებისა და მეგობრების წინაშე მოვალეობებს.

ამავე დროს ოჯახი შეიძლება იყოს ბედნიერების წყარო, თუკი ყოველი მოვალეობა სიყვარულზე იქნება დაფუძნებული. რულიე აღნიშნავდა, რომ: „ბავშვის აღზრდის საქმეში სრული უპასუხისმგებლობა ერთ-ერთი მიზეზია ოჯახის მარცხისა“ [4.12].

არაფერი ისე არ აწუხებს და აშფოთებს მშობელს, როგორც შვილის ავადმყოფობა და სისუსტე. შვილის ჯანმრთელობა მშობლის ბედნიერებისა და კეთილდღეობის ერთ-ერთი პირობაა, მშობელი არასოდეს არ დაიშურებს შვილის ჯანმრთელობისა და სიცოცხლის გადარჩენისათვის არათუ რაიმე მატერიალურ სიმდიდრეს, არამედ საკუთარ სიცოცხლესაც კი. აკ. ნარგიზიშვილის თქმით: „საოჯახო აღზრდა ორ სტრატეგიულ ამოცანას ისახავს მიზნად, ეს არის შვილის ჯანმრთელობის დაცვა და მისი მომავალი ცხოვრებისეული გზის განსაზღვრა“ [3.25]. კარგი მშობელი არ კმაყოფილდება შვილის ფიზიკური აღზრდა-განვითარებით. იგი ასეთსავე მოვალეობად მიიჩნევს ზრუნვას შვილის გონებრივი განვითარებისთვისაც.

მშობელი უნდა ცდილობდეს ბავშვში გააღვიძოს ცოდნის წყურვილი, არ დაზოგოს დრო და ენერგია ბავშვისათვის საინტერესო საკითხებზე საუბრისათვის.

კარგი მშობელი შვილისადმი თავისი უანგარო დამოკიდებულებით პირად მაგალითს აძლევს მას, თუ როგორ უნდა მოექცეს იგი თავის შვილს, ხოლო მშობლისადმი დამოკიდებულებით იმას ასწავლის, თუ როგორ უნდა მოექცეს შვილი მშობელს. აღზრდაში პირად მაგალითს და განსაკუთრებით მშობლის მაგალითს, უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ყველაზე მეტად ეს ზნეობის სფეროს ეხება. უზნეო მშობელი ვერასოდეს გაზრდის წესიერ შვილს, თუ მხოლოდ მასზე იქნება დამოკიდებული შვილის აღზრდა.

აღზრდას ფრაგმენტულად კი არა, არამედ მუდმივად უნდა ანხორციელებდეს მშობელი. გ. ხუხუა აღნიშნავდა, რომ „ბავშვს ძალიან ფაქიზი ყურადღება და შთაბეჭდილების უნარი აქვს, იგი ზოგჯერ ისეთ ზნეობრივ დეტალს შეამჩნევს, მშობლის მოქმედებაში, რასაც შეიძლება მშობელი ვერ ამჩნევდეს, ამიტომ ბავშვისადმი დამოკიდებულების პრინციპი მოითხოვს არა იმას, რომ ოსტატურად შევნიშნოთ ჩვენი უზნეობა, არამედ აღვკვეთოთ იგი“ [6.58]. მშობელს ევალება არა მარტო ის, რომ შეძლებისდაგვარად უზრუნველყოს შვილის მატერიალური და სულიერი კეთილდღეობა, არამედ ისიც, რომ მეგობრული ურთიერთობა ჰქონდეს შვილთან და მშობლიური სიყვარულის უმაღლეს გრძნობას კიდევ უფრო აძლიერებდეს მეგობრული ურთიერთობის კეთილშობილური გრძნობა.

ცნობილია, რომ კარგი მეგობარი გულის ტოლი და მესაიდუმლეა.

ბავშვის ცხოვრებაში ყოველთვის (განსაკუთრებით მომწიფების პერიოდიდან) არის ისეთი მომენტები, როცა მას მესაიდუმლე და მრჩეველი სჭირდება. მშობელი ისეთი მაღალი ავტორიტეტია შვილისათვის, რომ იგი ვერ ბედავს, ვერ ახერხებს ყოველი თავისი პრობლემა ან სიხარული გაუზიაროს მშობელს და მიიღოს მისგან რჩევა-დარიგება. ვერ ახერხებს ამას იმიტომ, რომ მისი ინტერესები და მისწრაფებები ხშირად მშობლებისათვის მოსაწონი არ არის. გზა, რომლითაც ახალგაზრდა იწყებს ცხოვრებაში შესვლას, ბურუსითაა მოცული, თუ დროზე არ გაიფანტა ეს ბურუსი, იგი შეიძლება ასცდეს სწორ გზას და ჩამოყალიბდეს როგორც ძნელად აღსაზრდელი.

ა. კოჩეტოვის განსაზღვრით: ძნელად აღსაზრდელი ეხება ბავშვს, „რომელსაც იმ შეცდომების გამო, რაც მშობელმა დაუშვა აღზრდის პროცესში, გამოუმუშავდა აღზრდის პროცესზე უარყოფითად რეაგირების ჩვევა“ [1. 18]. ამიტომაცაა აუცილებელი, რომ მშობელი დაუმეგობრდეს შვილს, მაგრამ დამეგობრება არ შეიძლება მოხდეს მშობლის ავტორიტეტისა და გავლენის შესუსტების ხარჯზე.

სამწუხაროდ, ასეთი შეცდომები ხშირია. ასეთი დაახლოება აზრს მოკლებულია. სულიერი სიახლოვე მიღწეულ უნდა იქნას არა ზნეობრივი დისტანციის დარღვევით, არამედ ამ უკანასკნელის მკაცრი დაცვით. ცხოვრებაში ხშირად ვხვდებით ამის სრულ საპირისპირო მოვლენას. მშობლები შვილების მიმართ ცივები და მიუკარებლები არიან. არაფერი არ უნდათ იცოდნენ შვილებზე, გარდა მათი ჯანმრთელობისა და სწავლისათვის ზრუნვისა. ზოგიერთი მშობელი სიმკაცრესა და ოფიციალობაში ხედავს მშობლიური გრძნობის გამოვლენის საუკეთესო ფორმას, სწორედ ამას გამოხატავს მაკარენკოს ცნობილი პრინციპი: „მაქსიმალური დაფასება და მაქსიმალური მოთხოვნა“.

ოჯახის უფროსობა, მისი მოვლა და პატრონობა არ ნიშნავს მხოლოდ იმას, რომ ფული შემოიტანოს სახლში, უზრუნველყოს ოჯახის წევრები ჭამა-სმით, ჩაცმა-დახურვით და სხვა. ეს ელემენტარული მოთხოვნაა. ოჯახი უნდა იყოს მის წევრთა კულტურული განვითარების, სიხარულის და ბედნიერების წყარო.

შ. ნადირაშვილი აღნიშნავდა, რომ „ბავშვი ყოველთვის ეძებს ცხოვრების აქტიურ, ემოციურ ინტერესს და ობიექტს ყურადღების კონცენტრაციისათვის. იგი ეძებს ადამიანურ სითბოსა და სიტკბოს. თუ ასეთი რამ არ არის ოჯახში, მაშინ მას გარეთ მიუწევს გული, გარეთ კი ბავშვები ყოველთვის წესიერ გარემოში არ ხვდებიან“ [2. 41]. ქუჩაში მოხვედრილი ბავშვები ქუჩის კანონებით იწყებენ ცხოვრებას. ეცემა მათი გემოვნება, ხასიათი, ქცევა და ზნეობა; სხვანაირად აზროვნებენ. რაც ხშირად სავალალო შედეგით მთავრდება. მშობლები კი ამ დროს კითხულობენ, რატომ არ არიან მათი შვილები კარგები. იმას კი არ ფიქრობენ, რომ კარგი შვილის აღზრდას კარგი აღმზრდელი უნდა.

ოჯახის და ოჯახური აღზრდის პიროვნულ და საზოგადოებრივ როლსა და მნიშვნელობას ყოველთვის ცნობდა და აღიარებდა კაცობრიობა. ამას მოწმობს პედაგოგიკის კლასიკოსთა დამოკიდებულება ამ საკითხისადმი. მეცნიერული პედაგოგიკის ფუძემდებელი, I საუკუნის რომაელი მეცნიერ-პედაგოგი და ორატორი მარკუს კვინტილიანე მნიშვნელოვან ადგილს უთმობს ოჯახური აღზრდის პრობლემას თავის „ორატორის დარიგებანი“ XII ტომეულში. მისი აზრით: „აღზრდაში აუცილებელია სიყვარული, რომელიც გამოიხატება სითბოში, ალერსსა და მოფერებაში, სიახლოვეში, თანადგომასა და დაცვაში, ამის საშუალება კი მხოლოდ მშობლებს, სისხლხორცეულ ნათესავებს გააჩნია“ [6. 24]. კვინტილიანე ხაზს უსვამს ბავშვის ცნობისმოყვარეობისა და მიმზამველობის დიდი უნარის მიზანმიმართულად და ოპტიმალურად გამოყენების აუცილებლობას ადრეული ასაკიდანვე.

ჯონ ლოკს ოჯახი მიაჩნდა სხვათა უზნეობისგან თავდაცვის მთავარ გარანტიად. მშობლებისგან მოითხოვდა კეთილზნეობის მაგალითი ყოფილიყვნენ შვილებისათვის. ღვთის მოწიწება და შრომისმოყვარეობა ჩაენერგად აღზრდაში. ჟან-ჟაკ რუსომ დედა გამოაცხადა აღზრდის მთავარ ფიგურად: „არ არის დედა, არ არის აღზრდა“. ქართული პედაგოგიკის ფუძემდებელს, იაკობ გოგებაშვილს ენის შენარჩუნებისა და ეროვნული ცნობიერების განვითარების საიმედო კერად ოჯახი მიაჩნია. განსაკუთრებით აფასებდა დედის როლს შვილის აღზრდაში, ამიტომ მოითხოვდა იგი ქალთა მაღალ განათლებას, რადგან სწამდა, რომ განსწავლული დედა კარგი აღმზრდელი იქნებოდა. ვაჟა-ფშაველამ ხოტბა შეასხა ღირსეული შვილის აღმზრდელ დედას. „ლამაზად შვილის აღმზრდელი, დედა მიცვნია ღმერთად“. ოჯახის ამ ურთულეს, მაგრამ საპატიო ფუნქციას დღესაც არ დაუკარგავს თავისი ძალა, მაგრამ აღზრდა დღეს ისეთი პრობლემური გახდა, როგორც არასდროს. XXI საუკუნე ამორალობის, ბოროტების, მატერიალიზმის, კომერციის და ეგოცენტრიზმის აპოგეად იქცა, მილიონობით ადამიანს სიღარიბეში ხდება სული. ბევრ ადამიანში სიხარბემ, ბოროტებამ და განდიდების მანია დააზიანა მათში პიროვნება და ინსტიქტების დონეზე დაიყვანა. სამწუხაროდ ზოგიერთ ოჯახმა და სკოლამაც დაკარგა თავისი ფუნქციონალური მოვალეობა. ოჯახში ფიზიკური გადარჩენის ინსტიქტებმა იმძლავრა და სულიერმა ფასეულობებმა უკანა პლანზე გადაინაცვლა.

გახშირდა ფიზიკური ძალადობა ოჯახში, ასევე სკოლებშიც. მოზარდებს შორისაც ბულინგს აქვს ადგილი და ფიზიკურადაც უსწორდებიან ერთმანეთს, რაც სავალალო შედეგით მთავრდება. ბავშვი ხელმიშველებული დარჩა თავის ინსტიქტებთან. ბიოლოგიზაციამ გადაასწრო სოციალიზაციას და დაირღვა ბავშვის ყოველმხრივ ჰარმონიული განვითარების უზენაესი კანონიც და უფლებაც. თავის დროზე სოლომონ ბრძენმა დაწერა: „თავის ნებაზე მიშვეებული ყმაწვილი დედის შემარცხვენელიაო“ [3. 72].

დღეს მშობლის მისია ძალზედ რთულია, მაგრამ ის უნდა გაიცნობიერონ, რომ მშობლობა არის სერიოზული პასუხისმგებლობა ღვთის, საზოგადოებისა და თვით შვილის წინაშე. ცუდად აღზრდილი შვილი არა მარტო ოჯახისთვის, არამედ სხვისთვისაც პრობლემაა. მკვლეელი, ყაჩაღი, მრუში, უმეცარი, მატყუარა, მუქთახორა, ეგოისტი და სხვა უკეთური თვისების მქონე ადამიანი, მთელი ქვეყნის უბედურებაა.

კარგად აღზრდილი, გონიერი და ზნეობრივი პიროვნება კი სამშობლოს სიმდიდრეა. პედაგოგიკის კლასიკოსთა აღზრდის ის პრინციპები, რომელნიც ნებსით და უნებლიედ ემთხვევა ბიბლიურს, ჟამთა ცვლას არ ემორჩილება და დღემდე აქტუალურია.

შვილის აღზრდაზე მშობლები ერთნაირად არიან პასუხისმგებლები. მეცნიერულად არის დადასტურებული, რომ ბავშვები, რომელნიც მოკლებულნი არიან მშობლების ალერსსა და სიტბოს, ფსიქოლოგიურად და ფიზიკურად ნორმალურად არ ვითარდებიან. ჯანსაღი გრძნობებისა და ემოციების განვითარება, ისევე გრძნობებისა და ემოციების ზემოქმედებით არის შესაძლებელი. მართალია ყველა მშობელი პედაგოგი არ არის, მაგრამ თავის დამოკიდებულებით, ზნეობრივი და ღირსეული ქცევითა და მოქმედებით მისცემს შვილებს კარგ მაგალითს, აზიარებს პატიოსნებას, ადამიანებთან, ცხოველებთან, ბუნებასთან კეთილ და მზრუნველ დამოკიდებულების ელემენტებს.

ვ. სუხომლინსკი მიუთითებდა: „ბავშვობა კაცის ცხოვრების უმნიშვნელოვანესი პერიოდია, მომავალი ცხოვრებისათვის მზადება კი არა, ნამდვილი ნათელი, თვითმყოფადი, განუმეორებელი ცხოვრებაა, თუ როგორ ჩაიარა ბავშვობამ, თუ ვის დაჰყავდა ბავშვი ხელჩაკიდებული პატარაობისას, რა შეითვისა მისმა გონებამ და გულმა გარესამყაროსგან, დიდადაა დამოკიდებული როგორ ადამიანად გაიზრდება დღევანდელი ცეროდენა“ [5. 120].

ბავშვი, როდესაც სკოლაში მიდის, მას უკვე ჩამოყალიბებული აქვს თავისებური მორალური კოდექსი, რომლისგანაც განთავისუფლება არც ისე იოლი საქმეა, ამიტომ მშობლები ვალდებული არიან, განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ შვილებს.

დისტერვეგის თქმით: „შეუძლებელია მისცე სხვას ის, რაც თავად არ გაგაჩნია“.

ცნობილია, რომ ბავშვის გულში და თავში ინფორმაციების ჩანერგვა ადვილი არ არის, მაგრამ არის აღზრდის პედაგოგიური და ბიბლიური პრინციპები და მეთოდები, რომელთა რეზონულად გამოყენება ახდენს სასწაულებს. მაგალითად, ბავშვის ასაკობრივი და ინდივიდუალური თავისებურებების, სიყვარულისა და პატივისცემის, დადებითზე დაყრდნობის, ლოგიკისა და სიყვარულის პრინციპების ოპტიკური გამოყენება, შემეცნებითი ინტერესებისა და სასწავლო მოტივაციების გამოწვევა ბავშვს აყენებს იმ გზაზე, რომელსაც მიჰყავს სიკეთისა და ბედნიერებისაკენ. მიზანმიმართული და მორგებული გარემოპირობების მოწყობის ხელოვნებას დაუფლებული მშობლები და მასწავლებლები ადვილად აგვარებენ აღზრდის პრობლემას, ვიდრე შიშველ პრაქტიციზმზე და სუბიექტურ მოსაზრებაზე მინდობილი აღზრდელები. თუ აღზრდაში სისტემატურობა და ჰარმონიულობა არ იქნება დაცული, ეს იგივეა, რაც ალაგ-ალაგ რგოლგაწყვეტილი ჯაჭვი.

როგორც ცნობილია, აღსაზრდელის ცხოვრებაში ყველაზე რთული პერიოდია გარდატეხის ასაკი. იგი მოიცავს 12-15 წლებს. ეს სირთულე ამ ასაკისთვის დამახასიათებელი ფიზიოლოგიური და ფსიქოლოგიური ცვლილებებით არის გამოწვეული. თუ ის პირველი (12) წელი ნაყოფიერად იმუშავა ოჯახმა და სკოლამ, აღნიშნული სირთულე შეიძლება მინიმუმამდე იქნეს დაყვანილი.

სკოლამ უნდა იზრუნოს მშობელთა პედაგოგიზაციაზე, რომ ისინიც სკოლის აქტიური მოკავშირეები იყვნენ, რათა ერთობლივი ძალით მიზანი მიღწეული იქნეს, მშობლებს გარკვეული წარმოდგენა უნდა მიეცეთ აღზრდის მიზნისა და ამოცანების, კანონებისა და პრინციპების, ფორმებისა და მეთოდების, განსაკუთრებით აღსაზრდელის ასაკობრივ და ინდივიდუალური თავისებურებების შესახებ. ეს თავისებურება კი მდგომარეობს იმაში, რომ მათ ამ პერიოდში ახასიათებთ სქესობრივი მომწიფება, მოზღვავებული გრძნობები, დამოუკიდებლობის მოთხოვნილებები და ოჯახისა და სკოლის მიერ დადგენილ შეზღუდვებს ვერ ეგუებიან. ადვილად ითენთებიან და გუნება-განწყობა უფუჭდებათ იქამდე, რომ ზოგჯერ ნერვოზის და ფსიქოზის ნიშნებიც კი აღენიშნებათ, მართალია ყველას არა, მაგრამ ბევრს რთულად, მტკივნეულად გადააქვს ეს პერიოდი.

ამის შესახებ მშობლები უნდა იყვნენ ინფორმირებული. ასეთი მოზარდები ჯერ გამოუცდელები არიან და საჭიროებენ მშობლებისა და მასწავლებლებისაგან მხარდაჭერას, გულისხმიერ მოპყრობას, საჭირო ინფორმაციების მიწოდებას ზოგჯერ პირდაპირ, ზოგჯერ კიდევ ირიბად, ინდივიდუალურად, ბუნებრივად.

მოზარდებში განსაკუთრებით სახიფათოა ინტერნეტი, პორნოგრაფიული ფილმები, მავნე თამაშების ყურება, რაც იწვევს სექსოლოგიურ, მორალურ და ემოციურ პრობლემებს, რაც ზოგჯერ თვითმკვლელობითაც მთავრდება (ლურჯი ვეშაპი) ამ მხრივ აუცილებელია მშობლებმა გამოიჩინონ დიდი სიფხიზლე და ბავშვს შეუზღუდონ ინტერნეტის თავისუფლად, უკონტროლოდ გამოყენება..

დასჯის მეთოდები ნაცადი საშუალებაა, ცნობილია ისიც, რომ მის გარეშე ყოველთვის ვერ დავაღწევთ თავს აღზრდასთან დაკავშირებულ პრობლემებს, მით უფრო, როცა არც ისე ბევრი გაგიკეთებია თავიდან და რაც ახლა არ მოგვწონს, ის შედეგია ხელმიშვებულობისა, როცა მწარე შედეგი სახეზეა, მერე ერთბაშად გამკაცრება და რადიკალური ზომების მიღება არაეფექტური მეთოდია. განრისხება შეიძლება უფრო სავალალო შედეგით დამთავრდეს. ასეთ დროს ბავშვის სახლიდან წასვლა, თვითმკვლელობა ან მცდელობა და მსგავსი შემთხვევები არც ისე იშვიათია. მოსალოდნელი ხიფათები თავიდან რომ ავიციდინოთ, მშობლებს ბევრ დათმობაზე უწევთ წასვლა. ასეთ შემთხვევაში უმჯობესია მოზარდისათვის ავტორიტეტული პიროვნების დელიკატური ჩართვა, რომელიც თვალს აუხელს ბავშვს,

შეუქმნის წარმოდგენას სულიერ და ზნეობრივ ფასეულობებზე, ცხოვრების არსზე. მაგ. გერმანიაში არის სპეციალური სამსახური, რომელიც მწელად აღსაზრდელებს მიუჩენს სპეციალისტს, რომელიც საკომპენსაციო და საკორექციო პედაგოგიური მუშაობის შედეგად აღწევს სასურველ მიზანს. მშობლები ხშირად კიდევ ერთ პრობლემას აწყდებიან, ბავშვები იზრდებიან და იცვლებიან, მშობლები კი სტატისტიკურ მდგომარეობას ინარჩუნებენ და მათ შორის შეხების წერტილები თანდათანობით ერთმანეთს სცილდება. მშობლები უკვე მათთვის აღარ არიან ავტორიტეტები. მშობლის ავტორიტეტს კი გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს აღზრდაში. რასაც ბავშვს უწუნებს მშობელი, ის წუნი თავად არ უნდა ჰქონდეს და იმ დარიგებებს დამრიგებლის ქცევაში უნდა ხედავდეს, რომ სარწმუნოდ მიიღოს. ასევე ბავშვები დიდი ყურადღებას აქცევენ მშობელთა გარეგნულ იერ-სახეს. ჩაცმულობას, მანერებს, მეტყველებას და თუ ეს მათ იდეალს არ პასუხობს. უპატივცემულოდ ექცევიან, მათ მოთხოვნებს ნაკლებად ემორჩილებიან.

მოზარდი დარწმუნებული უნდა იყოს, რომ პრობლემის დროს მშობლისაგან მიიღებს გაგებასა და თანადგომას, რომ ოჯახი ის ადგილია, სადაც ელოდებიან, უფრთხილდებიან, მასზე ფიქრობენ და მის ბედნიერ და ღირსეულ მომავალზე ზრუნავენ.

ამრიგად, ოჯახურ აღზრდაში ყველაზე ეფექტური მეთოდებია: მშობლების პირადი მაგალითი, შვილებისათვის მნიშვნელოვანი დროის დათმობა, მათი აზრებისა და სურვილების გაგება, კანონიერი მოთხოვნების დაკმაყოფილება, ეთიკური საუბრები, მეგობრობა, თანაგრძნობა, თანადგომა და ა.შ.

გაცნობიერება იმის, რომ მშობლებს შვილების აღზრდაზე უფრო დიდი საქმე არ ავალიათ და რომ მასწავლებელი ამ საქმეში ყველაზე კომპეტენტური და ერთგული მოკავშირეა.

ლიტერატურა:

1. Кочетов А. Н. работа с трудными детьми, М, 1999.
2. ნადირაშვილი შ. სკოლაში სააღმზრდელო მუშაობის აქტიური პრობლემები, გამომც. „პირველი სტამბა“, თბ., 2000.
3. ნარგიზიშვილი აკ. საოჯახო პედაგოგიკა, თბ., 2008.
4. რულიე ო. ბავშვის აღზრდა, მოსკოვი, 1999 (რუსულ ენაზე).
5. სუხომლინსკი ვ. ა. გულს ვუძღვნი ბავშვებს (ქართულ ენაზე) თბ. 1980.
6. ხუხუა გ. პედაგოგიკა, თბ. 2009.

Tsiuri Bakradze

Gori State Teaching University

THE FAMILY – THE MAIN FACTOR OF BRINY CHILD’S PERSONALITY RESUME

In the family the child could be shaped not only physically but also mentally and morally.

The most effete methods of upbringing in the family are: personal example of parents, to share considerable amount of time with children, to understand their thoughts and desires, to satisfy the legal requirement, ethical conversations, sympathize, support ets...

Parents should also be aware that there is nothing important than the upbringing of their children. And as well a teacher is the most competent and loyal ally in this cast.

აღზრდის პროცესის მორალური ტენდენციები

პედაგოგიკის შესწავლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მხარეა აღზრდა. აღზრდაში იგულისხმებს პიროვნების ან მისი რომელიმე თვისების მიზანმიმართული, სისტემატური და ორგანიზებული ფორმირების პროცესი, რომელიც ხორციელდება აღზრდელის ხელმძღვანელობით. აღზრდის შინაარსი და პროცესი უნდა შეესაბამებოდეს საზოგადოებრივი ცხოვრების ინტერესებსა და მოთხოვნებს. ამ კუთხით პედაგოგიკა და ეთიკა მჭიდროდ უკავშირდებიან ერთმანეთს, ვინაიდან აღზრდის პროცესში წარმოდგენილია მორალური მომენტის გაუთვალისწინებლობა.

აღზრდა, როგორც პროცესი, კავშირშია საზოგადოების ეკონომიკურ განვითარებასთან. განვითარების დღევანდელ ეტაპზე განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მორალური ტენდენციების შესაბამისობა ეკონომიკური განვითარების მზარდ დონესთან.

XXI საუკუნის განვითარების ერთ-ერთი ნიშანია მორალური განგაში. კაცობრიობის აზროვნებაში ნათლად გამოიკვეთა სამყაროსთან ჰარმონიული ურთიერთობის რღვევის განცდა.

განვითარების დღევანდელ ეტაპზე მატერიალურ ფასეულობათა მოპოვებისა და დაგროვების ზღვარდადებულმა მისწრაფებამ საფრთხე შეუქმნა კაცობრიობის სულიერებას. რა აზრი აქვს მორალურ სულიერებას? ან აქვს კი მას აზრი საერთოდ? მორალური იდეალები აშკარად შეცვალა ეკონომიკური წარმატების სურვილმა. თუმცა, ცნობილი ფაქტია, რომ ცალკეული ადამიანის სულიერების დონე განსაზღვრავს კაცობრიობის განვითარების ხვალისდელ დღეს. დროის ცვალებადობას უძლებენ მხოლოდ მარადიული მორალური ღირებულებები. მათი ჩამოყალიბების ერთ-ერთი საშუალება კი ახალგაზრდის სწორი აღზრდაა. ადამიანთა აღზრდასა და ფორმირებაზე გავლენას ახდენს ოჯახი, სასწავლო დაწესებულებები, სახელმწიფო-პოლიტიკური სისტემა, საზოგადოებრივი ურთიერთობანი და საერთოდ ის გარემო, რომელშიც ყალიბდება პიროვნება.

აღზრდის პროცესს დღეს გაცილებით მეტი ევალეზა სულიერი განვითარების თვალსაზრისით, ვიდრე თუნდაც ანტიკურ ხანაში. როგორც ანდრე მორეა წერდა, „მომავალი საუკუნე ან სულიერებისა იქნება, ან არ იქნება საერთოდ“.

ნებისმიერი აღზრდის სისტემა უნდა ემყარებოდეს გარკვეულ ფილოსოფიურ სისტემებს, განსაკუთრებით მის ერთ-ერთ ნაწილს, ეთიკას. ეთიკას განსაზღვრავენ როგორც ფილოსოფიურ მიმდევარს მორალის შესახებ. თვითონ მორალი განიმარტება როგორც ადამიანთა ურთიერთდამოკიდებულება და ყოფაქცევის ნორმები ამა თუ იმ საზოგადოებაში.

სრულყოფილი პიროვნების ჩამოყალიბების ერთ-ერთი უნიშვნელოვანესი მხარეა მორალური აღზრდა. იგი გულისხმობს საზოგადოებრივი ურთიერთობის პროცესში ჩამოყალიბებული კვლევის წესების, ნორმების შეთვისებას და შესაბამისი ქცევების გამომუშავებას.

მორალურ აღზრდას შორეულ წარსულშიც უდიდეს ყურადღებას აქცევდნენ. ძველი ბერძენი ფილოსოფოსი პლატონი მნიშვნელოვან ცნობებს გვაწვდის იმის შესახებ, რომ თურმე ძველი ბერძენი მასწავლებლებიდან კატეგორიულად ითხოვდნენ, მათი შვილების ზნეკეთილობაზე უფრო მეტი ეზრუნათ, ვიდრე კითხვასა და მუსიკაზე.

მორალური აღზრდა ისტორიული ხასიათისაა. მორალური წარმოდგენები იცვლებიან საზოგადოების ცვალებადობასთან ერთად. ეს ცვლილებები არ ხდება სტიქიურად. მათი მიზეზია ეკონომიკასა და საერთოდ საზოგადოების სტრუქტურაში მომხდარი ცვლილებები. სწორად წარმართული მორალური აღზრდის პროცესი უზრუნველყოფს მორალური შეგნებისა და ქცევის ერთიანობას. მორალური აღზრდის მიზანია ადამიანში ისეთი აზრის დანერგვა, რომ მორალური მოქმედება გაცილებით მომგებიანია, ვიდრე არამორალური. დადებით მორალურ თვისებებს ქადაგებდა საუკუნეების განმავლობაში რელიგია და სხვადასხვა მორალურ-ეთიკური თეორიები.

ეთიკური თეორიები ხაზს უსვამენ იმ გარემოებას, რომ მორალური აღზრდა მთელი აღზრდელობითი სისტემის განმსაზღვრელია. იგი ყოველთვის განიხილებოდა აღზრდელობითი

საქმიანობის კრიტერიუმად. ცნობილი გერმანელი პედაგოგი იოჰან ჰერბარტი აღნიშნავდა, რომ აღზრდის მთელი შინაარსი და ამოცანა შეიძლება ერთი სიტყვით გამოიხატოს – მორალი.

აღზრდის პროცესი, რომლებიც ადამიანზე მიზანდასახულ ზემოქმედებას გულისხმობს არის სუბიექტისა და ობიექტის ურთიერთობა. მორალური აღზრდა წარმოადგენს სუბიექტების ურთიერთობას და შეისწავლება ეთიკის მიერ. აღზრდაში ვლინდება აღმზრდელის ზრუნვა და დახმარება აღსაზრდელისადმი. ამდენად, ეს პროცესი თავისთავად მორალურია.

თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ მორალი არ იფარგლება მხოლოდ სხვებისადმი ზრუნვით და დახმარებით. ეს პროცესი აუცილებლად შეგნებული უნდა იყოს.

აღზრდის პროცესში თითოეული მონაწილის მოქმედება განსაზღვრულია პედაგოგიური ნორმებით და წესებით.

პედაგოგის მიერ წარმართული აღზრდის პროცესი, მათ შორის მორალურიც, არ დაიყვანება სუბიექტის, როგორც ხელმძღვანელის წარმმართველის და ობიექტის, როგორც მის მართვასდამორჩილებულის ურთიერთობაზე. აღსაზრდელისა და აღმზრდელის ურთიერთობა თავის თავში მოიცავს სიყვარულისა და სიძულვილის, პატივცემისა და უპატივცემულობის, ყურადღებულობისა და უყურადღებოების დიალექტურ ერთიანობას. ეს ურთიერთობები ყალიბდება თვითონ აღზრდის პროცესში და ვითარდება გარკვეულ ღირებულებათა მიღების ან არმიღების რომელიმე ღირებულების წინ წამოწევის ან უკან გადაწევის. ამ დროს ყალიბდება შეფასებითი ურთიერთობები.

აღმზრდელი აღსაზრდელში უნდა ხედავდეს არა მხოლოდ ისეთ ობიექტს, რომელიც უნდა აღზარდოს და განათლება მიაღებინოს, არამედ მათ შორის უნდა არსებობდეს ურთიერთპატივისცემის, მეგობრობის, სიყვარულის მორალურ-ღირებულებითი ურთიერთობები.

მორალური აღზრდა ორმხრივი ბუნებისაა, როდესაც ადამიანი ზრუნავს მორალურ ღირებულებით განხორციელებაზე. ამ დროს ხდება თვითაღზრდის პროცესიც. სწორედ ამიტომ მოგვიწოდებს ძველი ბერძენი ფილოსოფოსი სოკრატე „შეიცანი თავი შენი“.

მორალური აღზრდის პროცესი ეყრდნობა ისეთ მორალურ საშუალებებს, როგორიცაა საუბარი–რჩევა–დარიგება, გაკიცხვა, საყვედური. ამ საშუალებათა მოქმედება განპირობებულია აღზრდის პროცესის ობიექტური კანონზომიერებებით და რეალური სიტუაციით. მორალური აღზრდის წარმატება განპირობებულია იმით, თუ რომელი ღირებულებანი გამოდიან როგორც საშუალება ღირებულებაში და როგორც მიზანი–ღირებულებანი.

მორალური აღზრდის მრავალმხრივობა აუცილებლობით მოიცავს მორალურ შეგნებას, რომელიც თავისთავში აერთიანებს მორალურ მოთხოვნილებასა და ნებისყოფას და მორალურ გრძნობას. მორალური აღზრდის სრულყოფა დაფუძნებულია მორალურ ნორმებზე, მათ ცოდნა ადამიანს აძლევს საშუალებას მრავალი სასიკეთო ნაბიჯი გადადგას. ან ზოგჯერ თავი შეიკავოს. სწორედ ეს ნორმები აჩვენებს ახალგაზრდებს საზოგადოებასთან, ოჯახთან, თანატოლებთან ურთიერთობას და მათ წესებს. მორალური წესებთან ზიარება და მათი ცხოვრების წესად გადაქცევა დაუშვებელია მხოლოდ სიტყვიერი მოწოდებებით. ადამიანი თვითონ უნდა დარწმუნდეს მათ სისწორეში. მითუმეტეს, როცა საქმე ეხება ახალგაზრდას. მან რეალურად უნდა დაინახოს თავის გარშემო – სკოლა, მასწავლებელი, გარემო და საზოგადოება მთლიანად.

მორალური აღზრდა თავის თავში აერთიანებს ისეთ ეთიკურ ღირებულებებს, როგორიცაა გულკეთილობა, გულისხმიერება, თავმდაბლობა, თავაზიანობა, სამართლიანობა, პრინციპულობა, დისციპლინაობა, გარემოს მოყვარეობა, ეკოლოგიური პასუხისმგებლობა. დაუშვებელია ამ ეთიკური ცნებების ცალსახა როლზე საუბარი, ისინი განიხილება კომპლექსურ მთლიანობაში.

მორალური აღზრდა მუდმივად ცვალებადი პროცესია, მაგრამ საწყისი ფორმა მაინც ბავშვობის ასაკია, რადგან ამ ასაკს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ადამიანის მორალური სრულყოფისათვის.

ადამიანის პიროვნების განვითარების სამი ძირითად ასპექტი აქვს: ფიზიკური, გონებრივი და სოციალური. მორალური აღზრდა ამ უკანასკნელს ემსახურება, კერძოდ, პიროვნების მომზადებას საზოგადოებრივ ურთიერთობებში. თუმცა, ამ საქმეში მნიშვნელოვანია თვითონ საზოგადოებრივ ურთიერთობათა ზეგავლენა ადამიანზე. თუ საზოგადოებრივი ურთიერთობები საწინააღმდეგო მაგალითს უჩვენებს პიროვნებას, თუ გარემომცველ სამყაროში ფასი არა აქვს სიმართლეს და პატიოსნებას და ყველაფერი ერთეულთა უხეშ ძალაზეა დამყარებული, მაშინ მხოლოდ მორალური შეგონებანი მიზანს ვერ აღწევენ.

მე, შენ, ის – ურთიერთობა არის ნებისმიერი აღზრდის და მით უფრო მორალური აღზრდის მიზანი. პატივი ვცეთ ადამიანს, ნიშნავს „შეგზავნოთ მას ყოველთვის როგორც მიზანს და არასოდეს როგორც საშუალებას“, – გვაფრთხილებდა დიდი გერმანელი ფილოსოფოსი იმანუელ კანტი.

ლიტერატურა:

1. გ. ზანძელაძე, ეთიკა, თბ., 1980.
2. მ. ზანძელაძე, ეთიკისა და საყოფაცხოვრებო ქცევის ზოგიერთი საკითხი, ქუთ., 1998.
3. თ. კუკავა, ეთიკა, თბ., 1998.
4. მ. მალაზონია, პედაგოგიკა, თბ., 2001.
5. ნ. ვასაძე, პედაგოგიკა, თბ., 2000.

Manana Bandzeladze
Akaki Tsereteli State University
Darejan Chkhirodze
Kutaisi University

MORAL TENDENCIES IN THE PROCESS OF EDUCATION RESUME

One of the major characteristics of the 21st century development is moral alarm. The aspiration for gaining and accumulating material comforts has posed a serious threat to the spiritual values of mankind. An individual, exhausted by everyday problems, frequently raises the question whether there is any point in morality. In protest at such kind of thought the significance of moral upbringing is increasing. Family, educational institutions, political system, social relations and general environment are the key factors determining the formation of the personality. Moral upbringing is based on certain philosophical systems, especially on one of their branches – ethics – which is defined as the discipline dealing with moral principles. Morals constitute standards of good behavior and relationship between the people in a specific community. Moral upbringing carries historical nature and is changing with the development of society. The causes of the change are shifts in economy and social structure. Properly conducted process of moral upbringing leads to the unity of highly developed moral sense and behavior. Moral upbringing aims at convincing the human beings of the advantages of moral action over immorality. Moral upbringing contributes to the perfection of the social aspect of the individ.

ელენე გეგეშიძე
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

წარსულის გამოცდილება თანამედროვე პედაგოგიკაში

საზოგადოებრივ მეცნიერებათა მრავალფეროვან სისტემაში ერთ-ერთი გამორჩეული ადგილი უჭირავს პედაგოგიკას, როგორც მეცნიერებას, მოზარდი თაობის აღზრდის შესახებ. პედაგოგიური მეცნიერების საყოველთაო ხასიათი ქმნიდა იმის ილუზიას, რომ პედაგოგიკა მაცნიერება კი არაა, საზოგადოებრივი ცნობიერების ფორმაა, რომელიც უფრო მეტად ხელოვნებას ემსგავსება. არადა, პედაგოგიკა მეცნიერებაა და მას საამისოდ ყველა ნიშან-თვისება გააჩნია. იგი დამოუკიდებელი მეცნიერებაა და აქვს საკუთარი კვლევის მეთოდები. ხელოვნება კი სწავლებისა და აღზრდის პროცესია.

საქართველოში მიმდინარე განათლების რეფორმა დღის წესრიგში უპირობოდ აყენებს განათლების ხარისხის ამაღლებას. სახელმწიფოს წარმატებული განვითარებისათვის უაღრესად მნიშვნელოვანია ქვეყნის პედაგოგიური გამოცდილების შესწავლა ისტორიულ კონტექსტში. მიგვაჩნია, რომ განათლებაში ხარისხის ამაღლება უნდა პასუხობდეს მეცნიერების თანამედროვე მოთხოვნებს, გათვალისწინებული უნდა იყოს მსოფლიო პრაქტიკა და ის მიდევნები, რომლებმაც დარგი პრიორიტეტული გახადა მსოფლიოს მოწინავე ქვეყნებში, მაგრამ ამავე დროს განათლების ხარისხის ამაღლება ადაპტირებული უნდა იყოს ქვეყნის ისტორიულ წარსულთან, მის ტრადიციებთან და სხვა უამრავ ფაქტორთან, რომლებიც ერთიან მთლიანობაში წარმოადგენს განათლების განვითარების უწყვეტ სისტემას. ვთვლით, რომ საქართველოს,

როგორც სახელმწიფოს წინსვლა უპირობოდ დაკავშირებულია განათლების ევროპული სისტემის რაც შეიძლება დაახლოებასთან, მის სრულყოფასა და შემდგომ განვითარებასთან. თანამედროვე საზოგადოებაში მიმდინარე ცვლილებებმა განათლების სპეციალისტების წინაშე დააყენა საკითხი, რომ ახლებურად, თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე, კომუნისტური მმართველობის პერიოდისაგან განსხვავებული პარტიული ინტერესების გარეშე, საფუძვლიანად იქნეს შესწავლილი და განზოგადებული განათლების დაფუძნების და განვითარების ისტორია საქართველოში, რაც პირველ რიგში დაადგენს ისტორიულ სიმართლეს განათლების დარგის განვითარებაში და საფუძველს შექმნის სრულყოფილად იქნეს გაანალიზებული და გაზიარებული საგანმანათლებლო პოლიტიკა თანამედროვე ეტაპზე და დასახული იქნეს პრობლემის გადაჭრის მეცნიერული გზები. ქართული საგანმანათლებლო სისტემის მიერთება ბოლონის პროცესთან, ქართველი ერის შეუქცევად სწრაფვას ევროპისაკენ, თან უნდა სდევდეს ქვეყანაში მაღალგანვითარებული ევროპული სისტემის შექმნა, რაც დაფუძნებული უნდა იყოს წარსულში მიღებული გამოცდილებების გაანალიზებასა და გათვალისწინებაზე, სადაც ბუნებრივია თავისი წვლილი უნდა შეიტანოს ეროვნული სკოლის ჩამოყალიბებამაც, რომელიც წარმოადგენს სახელმწიფოს ეროვნული იდეოლოგიის ერთ-ერთ მყარ და ფუნდამენტურ საფუძველს.

კლასის მაღალი აკადემიური მოსწრება იმ სასწავლო ატმოსფეროზე დამოკიდებული, რომელიც სუფევს საკლასო ოთახში და რომლის შექმნაშიც ძალიან დიდი წვლილი პედაგოგს მიუძღვის. თანამედროვე პედაგოგიკა მთავარ ორიენტირად სწავლების პროცესში მოსწავლის ინდივიდუალურ საჭიროებას აყენებს, სადაც მოსწავლის პიროვნული ღირებულება წინა პლანზეა წამოწეული. დღევანდელი საგანმანათლებლო სისტემა პედაგოგისაგან მოითხოვს დაადგინოს მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებები, მათი ინტერესთა სფერო და შესაბამისად დაგეგმოს გაკვეთილი, რაც მოსწავლეთა გაკვეთილზე მაღალი ჩართულობის გარანტიას იძლევა.

ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევის დროს თვალნათლივ გამოჩნდა, რომ საწყის საქართველოში ეს ყოველივე შორეულ წარსულში იღებს და „თავისუფალი აღზრდის“ თეორიის სახელითაა ცნობილი. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ თანამედროვეობასთან პარალელის გავლება მხოლოდ ლუარსაბ ბოცვაძისეული „თავისუფალი აღზრდის“ ხედვით შეიძლება.

„თავისუფალი აღზრდის“ თეორია ჟან-ჟაკ რუსოდან მომდინარეობს. ის თავისუფალი, ბუნებრივი აღზრდის იდეას იცავდა, თუმცა აღზრდელის ხელმძღვანელ როლს ის არ უარყოფდა. „თავისუფალი აღზრდის“ თეორიტიკოსები რუსეთში - ვენტცელი, გორბუნოვ-პოსალოკი, ლ. ნ. ტოლსტოი და სხვები, აღზრდის სისტემას ხედავდნენ, როგორც ბავშვის თვითგანვითარებასა და თვითაღზრდას და ისინი უარყოფდნენ ყოველგვარ პროგრამას, სასწავლო გეგმას და ასევე მასწავლებლის ხელმძღვანელ როლსაც. 1915 წელს ჟურნალ „განათლებაში“ ვენტცელი წერს: „...არ უნდა არავითარი წინასწარ შედგენილი პროგრამა, არავითარი წინასწარ დანაწილება კლასებად და არავითარი მასწავლებელთა პერსონალი. ნამდვილი ჭეშმარიტი სკოლა უნდა იყოს უპროგრამოდ და უმასწავლებლოდ“ [1, გვ.264].

საქართველოში „თავისუფალი აღზრდის“ თეორიას პროპაგანდას ლუარსაბ ბოცვაძე უწევდა. მან არაერთი სტატია მიუძღვნა ამ თემას. ლუარსაბ ბოცვაძემ თავის სტატიაში „თავისუფალი აღზრდა ბავშვისა“ დაასაბუთა, რომ არსებული სისტემა, რომელიც ხორციელდებოდა სკოლებში, ანგარიშს არ უწევდა მოსწავლის ინდივიდუალურ თავისებურებას, მის ინტერესსა და შესაძლებლობებს. 1908 წლის ჟურნალში „განათლება“ ის წერს: „ოფიციალურ სკოლებში მთელი სწავლება ისეა მოწყობილი, რომ ის არ იძლევა პასუხს ბავშვის სულის შეკითხვაზე, არ აინტერესებს და არ შეიძლება დააინტერესოს მოწაფე“ [2, გვ.123]. ლუარსაბ ბოცვაძე წუხილით გადმოგვცემს თავის სტატიებში, რომ ასეთ პირობებში მოსწავლეებს უწევთ შიშის ქვეშ ყოფნა, რაც თავისთავად უარყოფით გავლენას ახდენს სასწავლო პროცესზე. მისი აზრით, აღზრდის ძველი სისტემის ძირითადი პრინციპი არის მოსწავლის მორჩილება ავტორიტეტისადმი, რაც უკვე ძირშივე კლავს მოსწავლის ნებას და მის სურვილებს და სწორედ ამიტომ, ლუარსაბ ბოცვაძე ავტორიტეტისადმი მორჩილების პრინციპს უპირისპირებს ბავშვის ყოველმხრივ თავისუფალ, ინდივიდუალურ განვითარებას და თვლის, რომ ამ პრინციპის არსი ბავშვის ბუნების და ინდივიდუალური თავისებურებების პატივისცემაში მდგომარეობს.

ვთვლით, რომ „თავისუფალი აღზრდის“ თეორიის ლუარსაბ ბოცვაძისეული ხედვა დღევანდელი საგანმანათლებლო სივრცისათვისაც აქტუალურია, რადგანაც ისე როგორც ერთი საუკუნის წინ, დღესაც წინა პლანზეა წამოწეული მოსწავლე როგორც პიროვნება.

დღევანდელი საგანმანათლებლო სისტემა აწყობილია მოსწავლის საჭიროებებზე. პედაგოგები პროფესიული საქმიანობის კვლევას მოსწავლეთა ინდივიდუალური თავისებურების და საჭიროების გავლით ახდენენ. პედაგოგები ვალდებული არიან შეისწავლონ მოსწავლეები, გამოიკვლიონ მათი ძლიერი და სუსტი მხარეები, მათი ინტერესთა სფეროები და შესაბამის ინფორმაციაზე დაყრდნობით დაგეგმონ და წარმართონ გაკვეთილი. ყოველმა პედაგოგმა, როდესაც ის ახალ ჯგუფში შედის, სასურველია თავდაპირველად გამოიკვლიოს რა ტიპის შემსწავლელები არიან მოსწავლეები. ამისათვის

მრავალი ტესტი და ქვიზი არსებობს მაგალითად, როგორც არის - ტესტი „What's your learning style” და მკითხვარი „About me”, რომლის საშუალებითაც პედაგოგი ეცნობა მოსწავლეთა ინტერესებს, სურვილებს, რა მოსწონთ მათ და რა არა, რა არის მათი ძლიერი და სუსტი მხარეები და ა. შ. ასევე ძალზე მნიშვნელოვანია დიაგნოსტიკური ტესტის ჩატარება პერიოდულად კონკრეტული მიზნის გათვალისწინებით, რაც ეხმარება პედაგოგს სწორად დაგეგმოს თითოეული აქტივობა საგაკვეთილო პროცესისათვის. ჩვენი იკვლევის პროცესში ჩვენ სამივე ამ მეთოდს მივმართეთ, დავადგინეთ მოსწავლეების სწავლის ტიპი, შემდეგ მათი ინტერესთა სფერო და ბოლოს დიაგნოსტიკური ტესტის საშუალებით უშუალოდ გამოვავლინეთ მათი ძლიერი და სუსტი მხარეები, რაც დაგვეხმარა ჩვენი კვლევის პროცესი უფრო ორგანიზებული და ნაყოფიერი ყოფილიყო.

ლუარსაბ ბოცვაძის აზრით, „თავისუფალი აღზრდის“ საქმეში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მოსწავლეთა გრძნობებს, მათ თვითმოქმედების და შემოქმედებითი უნარების განვითარებას. ჟურნალში „განათლება“ 1908 წელს ლუარსაბ ბოცვაძე წერს: „ბავშვი აღზრდელისათვის არც თიხაა, რომლისგანაც შეუძლია გააკეთოს რაც უნდა და არც სუფთა ქაღალდი, რომელზედაც დასწეროს რაც მოუნდება, არამედ მზა ორგანული არსებაა, რომლის წესიერსა და სრულ განვითარებას შეიძლება ხელი შევეშალოთ არ შევუწყოთ“ [2, გვ. 119]. არ შეიძლება არ დავეთანხმო ლუარსაბ ბოცვაძეს, რომ ჩვენი, პედაგოგების უპირველესი მოვალეობაა ბავშვს აღვუძრათ მოთხოვნილება, სურვილი იმისა, რომ ყველაფერი საკუთარი თავალით დაინახოს, არ დაკმაყოფილდეს სხვის მიერ ჩატარებული ცდით და ეცადოს თავად მოძებნოს კითხვებზე პასუხი.

ჩვენი კვლევის პროცესში აქ უკვე მივმართეთ დიმიტრი უზნაძეს და მის „განწყობის თეორიას“. დ. უზნაძის მიხედვით, განწყობა წარმოადგენს ადამიანის მთლიან პიროვნულ მზაობას გარკვეული ქცევისადმი. განწყობის ქცევის შინაარსს დ. უზნაძე ინდივიდის მიზანშეწონილ ქცევის ანალიზიდან გამოდინარე ხსნის. რა განსაზღვრავს ადამიანის ქცევას? მოთხოვნილება, რომელიც რაღაცის დეფიციტს გულისხმობს. მოთხოვნილება არის ის სუბიექტური, მაგრამ არასაკმარისი ფაქტორი, რომელიც აუცილებელია ქცევის განსაზღვრელობად. თუ ადამიანს შემეცნებითი მოთხოვნილება აქვს, ის სათანადო სიტუაციას ეძებს მის დასაკმაყოფილებლად. მაშასადამე, სიტუაცია, გარემო წარმოადგენს ობიექტურ, აუცილებელ ფაქტორს ქცევის განხორციელებისთვის. მოთხოვნილების დაკმაყოფილებას ესწრაფვის, სიტუაციის შესატყვისად იცვლება.

დიმიტრი უზნაძის აზრით ეს ყველაფერი უნდა იცოდეს მასწავლებელმა, რაც დაეხმარება მას გაკვეთილების, აქტივობების წარმატებით ჩატარებაში. რადგან მასწავლებელს და მოსწავლეს ყოველ ახალ აქტივობაში ჩასართავად სჭირდებათ სპეციალური მზაობა, განწყობა, რომელიც ამოქმედებს მოსწავლის სათანადო ძალებსა და უნარ-ჩვევებს. მასწავლებელმა მოსწავლეს სამოქმედოდ განწყობილ ძალებზე გათვლილი აქტივობები უნდა მიაწოდოს. სასწავლო პროცესი იმაზე უნდა იყოს ორიენტირებული, რომ მოსწავლეს ადამიანის ერთ-ერთი დამახასიათებელი მოთხოვნილება, ინტელექტუალური მოთხოვნილება (ცნობისმოყვარეობა), ე. წ. ცოდნის წყურვილში გადაეხარდოს.

აქედან გამომდინარე, განწყობის თეორია ხომ არსებითად ქცევის ახსნითი მოდელია. როგორც მოტივია, ისეთია ქცევაც. მოტივი (ან მოთხოვნილება) განსაზღვრავს ქცევის ფსიქოლოგიურ შინაარსს.

ბუნებრივია, ისმის კითხვა როგორ უნდა გამოვიყენოთ დ. უზნაძის კონცეფცია საკლასო ოთახში? ჩვენი აზრით მასწავლებელმა უნდა გადადგას შემდეგი ნაბიჯები:

1. შეუქმნას მოსწავლეს დადებითი განწყობა;
2. მოარგოს მასალა მოსწავლის განწყობას /აქტუალური დონე + წინსვლა/;
3. შექმნას მოსწავლის სწავლაზე ორიენტირებული სასკოლო გარემო, რაც მოსწავლეების ინტერესებისა და სურვილების გათვალისწინებას გულისხმობს.
4. ავუმადლოთ მოსწავლეს მოტივაცია [4, გვ. 23].

ჩვენი კვლევების პროცესში გადაწყვიტეთ ძირითადი აქტენტები გაგვეკეთებინა მოსწავლის მოტივაციის ამაღლებაზე, მაგრამ არა ბიჰევიორისტული მიდგომით, [5, გვ. 10] რომელიც ყურადღებას გარეგან მოტივაციაზე ამახვილებს, არამედ შინაგანი მოტივაციის ფონზე. აქედან გამომდინარე ყველა ჩვენი გამოყენებული მეთოდი თუ დაგეგმილი აქტივობა მიზნად ისახავდა მოსწავლეებში შეგვენარჩუნებინა მაღალი აკადემიური მოსწრება შინაგანი მოტივაციის ფონზე. ჩვენ მიერ შერჩეული აქტივობები მოსწავლეთა ინტერესებიდან გამდინარეობდა. მოსწავლეებს მიეცათ დავალება მეთოდი - სასწავლო მენიუ (Learning menu)-ს საშუალებით, სადაც კვლევის პროცესში ჩვენთვის პრიორიტეტი აქტივობები მოვათავსეთ ბოლო-არჩევით ე. წ. დესერტის ნაწილში. ეს არის დამატებითი სასწავლო აქტივობები, რომელთა შესრულებაც სასურველია, მაგრამ არა სავალდებულო თემის კარგად შესწავლისათვის. ჩვენი კვლევის მიზანი იყო, მოსწავლეებისათვის ისე მიგვეწოდებინა ეს აქტივობები, რომ მათთვის მისი შესრულება ყოფილიყო იმდენად საინტერესო, რომ არასავალდებულო აქტივობები შეესრულებინათ ისე, როგორც სავალდებულო.

შესაბამისად შევიმუშავეთ ოთხი ასეთი აქტივობა, რომელიც შესაბამისობაში იყო ეროვნულ სასწავლო გეგმასთან, მაგრამ ერთი შეხედვით უინტერესო ჩანდა მოსწავლეთათვის. ჩვენი მიზანი კი იყო, რომ ეს ყოველივე ისე მიგვეწოდებინა მოსწავლეებისათვის, რომ მათ ეს სიამოვნებით შეესრულებინათ:

1. How to write an instruction - მოსწავლეებს დავავალეთ მოეტანათ ისეთი ინსტრუქციები, რომელთაც ისინი ყოველდღიურად ცხოვრებაში იყენებდნენ, როგორიცაა მაგალითად: როგორ დავდო „პოსტი“ ფეისბუქზე, ან როგორ გაეგზავნათ შეტყობინება მობილურიდან, როგორ გადაეღოთ „სელფი“ და ა.შ. ამ მიდგომამ აშკარად გაამართლა. მოსწავლეებმა სიხარულით შეასრულეს დავალება. მომდევნო გაკვეთილზე კი უკვე თავად ბავშვებს შევამოწმებინე ინსტრუქციების სისწორე. ისინი შეეცადნენ მიყოლოდნენ ერთმანეთის ინსტრუქციებს და შეემოწმებინათ მათი სიზუსტე.

2. Language of messaging - მოსწავლეებმა ინდივიდუალურად მოიძიეს ინფორმაცია SMS-ების არაფორმალური ენის შესახებ, როგორ მოკლდება თითოეული ფრაზა თუ სიტყვა, ასევე თუ რომელი emoji (ხასიათის გრაფიკული გამოსახულება) რას გამოხატავს. შემდეგ გალერეა-მეთოდის გამოყენებით შევადგინეთ ლექსიკონი, რომელსაც არაფორმალური მიწერ-მოწერის დროს აქტიურად ვიყენებთ.

3. A post card - მოსწავლეებს მივეცი დავალება, ღია ბარათი (რომელშიც დაცული იქნებოდა ყველა სათანადო წესი) მიეწერათ ერთმანეთისთვის, რომლის საშუალებითაც ისინი ისაუბრებდნენ ყველაზე დასამახსოვრებელი დღის შესახებ მათ ცხოვრებაში (the most memorable day in my life). შემდეგ კი ჯგუფს გაუზიარებდნენ თვითნებ შთაბეჭდილებებს წაკითხულთან დაკავშირებით.

4. A biography - მოსწავლეებს მიეცათ დავალება დაეწერათ მათი საყვარელი პიროვნების ბიოგრაფია, იქნებოდა ეს ცნობადი სახე თუ ოჯახის წევრი. ბიოგრაფიას თან უნდა ჰქონოდა დართული ფოტოსურათიც. ეს აქტივობაც საკმაოდ წარმატებული აღმოჩნდა. ბიოგრაფიებში განსაკუთრებით საინტერესო იყო ის ნაწილი, სადაც მოსწავლეები წერდნენ თუ რატომ აირჩიეს კონკრეტული პიროვნება ამ აქტივობისთვის.

დღეისათვის საგაკვეთილო პროცესში პედაგოგები მიმართავენ პროექტზე დაფუძნებულ სწავლებას, რომლის დროსაც ვითარდება კვლევითი, შემოქმედებითი, თანამშრომლობითი და საკომუნიკაციო უნარები. პროექტი აქტიური და მიზანმიმართული სწავლების საშუალებას იძლევა, რომელზეც მუშაობისას შეძენილ უნარჩვევებს მოსწავლე იყენებს პრაქტიკაში. პროექტზე დაფუძნებული სწავლება მოსწავლეებში ამაღლებს მოტივაციას. ისინი ხალისით მუშაობენ. რაც არ უნდა რთული იყოს დასახული მიზანი, ისინი ერთად ეძებენ გზებს. მასწავლებელი ამგვარი სწავლის დროს არის ექსპერტი, დამკვირვებელი და დამხმარე. ძირითადი ვალდებულებები მოსწავლეებს აღებული აქვთ საკუთარ თავზე, სწავლება ხალისით მიმდინარეობს, მოსწავლეს არ აქვს განცდა, რომ ის შეზღუდულია, შესაბამისად, შედეგზეც უფრო მალე გავდივართ და პროექტის განმავლობაში მიღებული ცოდნა მოსწავლეს აქტიურ მეხსიერებაში დიდი ხნით უნარჩუნდება.

ჩვენი კვლევის პროცესში ვიმუშავეთ ხუთ პროექტზე:

1. "You are what you eat";
2. "Modern wonders"
3. "Technology that changes the world"
4. "Interview"
5. "My TV"

აქედან ორი - ვიდეო პროექტი იყო, რომლებმაც განსაკუთრებული ჩართულობა გამოიწვია მოსწავლეებში. მათ ჩაწერეს ინტერვიუები წყვილებში, რომელშიც კითხვები, თემატიკა და ადგილი მათი სურვილის მიხედვით იქნა არჩეული. ასევე გადაიღეს მინი გადაცემა „თქო შოუ“, სადაც წამყვანები, სტუმრები, ჟურნალისტები და გადამღებებიც თავად იყვნენ.

მოსწავლის ცოდნის შემოწმება-შეფასება პედაგოგიური პროცესის მნიშვნელოვანი ეტაპია. მოსწავლის შეფასების მიზანია სწავლა-სწავლების ხარისხის მართვა, რაც გულისხმობს სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე ზრუნვას და კონტროლს. შეფასების სისტემამ მრავალი გზა განვლო და დღემდე ექსპერიმენტის საგნად რჩება. თავდაპირველად არსებობდა შეფასების ორი სახე: „იცის“ და „არ იცის“, შემდეგ გამოიყენებოდა მოსწავლის ცოდნის შეფასების სიტყვიერი სისტემა: „ფრიადი“, „კარგი“, „დამაკმაყოფილებელი“ და „ცუდი“. შემდეგ დაინერგა შეფასების ციფრობრივი სისტემა - 1, 2, 3, 4 და 5, რომელმაც შედარებით კონკრეტული გახადა მოსწავლის ცოდნის შემოწმების პროცესი. ბოლო პერიოდში ისევ შეიცვალა შეფასების სისტემა. დღეისათვის არსებობს ორი ტიპის შეფასება: განმსაზღვრელი და განმავითარებელი, რომელსაც კვლევის პროცესში აქტიურად მივმართავდით. განმსაზღვრელი შეფასება აკონტროლებს სწავლის ხარისხს და ადგენს მოსწავლის მიღწევის დონეს. ამ ტიპის შეფასებაში იწერება ქულები, რომელიც დღესდღეობით არის ათ ბალანის სისტემით წარმოდგენილი. რაც შეეხება განმავითარებელ შეფასებას, ის აკონტროლებს თითოეული მოსწავლის განვითარების დინამიკას და ხელს უწყობს სწავლის ხარისხის გაუმჯობესებას. განმავითარებელი შეფასებისას გამოიყენება ისეთი

საშუალებები, როგორიცაა: სიტყვიერი კომენტარი, რჩევა-დარიგება, დაკვირვების ფურცელი და ა.შ. როგორც ვხედავთ, შეფასების დღევანდელი სისტემა ძალზე ახლოს არის დ. უზნაძის მიერ ერთი საუკუნის წინ შემოთავაზებულ შეფასების „უნიშნო სისტემასთან“.

დიმიტრი უზნაძე პირველი იყო, რომელმაც მეოცე საუკუნის დასაწყისში სულ სხვაგვარად დასვა საკითხი ცოდნის შემოწმება-შეფასებისთვის. მან შეეცადა დაენერგა შეფასების უნიშნო სისტემა, რომლის განხორციელებაც „სინათლის“ საზოგადოების ქალთა სასწავლებლიდან დაიწყო და მისივე თქმით, შედეგი ძალევე დაინახა, რადგანაც სკოლის სუსტი კონტიგენტი საგრძნობლად გამოსწორდა.

დ. უზნაძის აზრით, მთავარი იყო შეგვეფასებინა არა ის, რა იცის მოსწავლემ, არამედ ის, რაც არ იცის, რადგანაც, მისი აზრით, მოსწავლეს როცა ეცოდინება რა არ იცის, აუცილებლად შეეცდებოდა მიეღწია იმისთვის, რაც უნდა იცოდეს. მისი აზრით: „ნიშანი, როგორც შედეგი შეფასებისა, ყოველთვის სუბიექტური ხასიათისაა და, როგორც ასეთი, მოსწავლესა და მასწავლებელს შორის მუდამ გაუგებრობას ქმნის და ესეც რომ არ იყოს, თვით შეფასება მასწავლებლის მიერ ხდება, რომელიც, როგორც საგნის მთლიანი ბუნებიდან, ისე ბავშვის მომავალი ინტერესებიდან ამოდის. ბავშვისათვის, როგორც ერთი, ისე მეორე გაუგებარია და ამიტომ იგი, უმეტეს შემთხვევაში, უკმაყოფილო რჩება“ [3, გვ.16].

მიუხედავად იმისა, რომ დ. უზნაძემ გარკვეულ წარმატებას მიაღწია უნიშნო სისტემით სწავლების პროცესში, მან სხვადასხვა მიზეზთა გამო ვერ შეძლო ცოდნის შეფასება-შემოწმების საკუთარი სისტემის განხორციელება და დანერგვა. რა შეიძლება ყოფილიყო ამის მიზეზი? ჩვენი აზრით, დ. უზნაძე უნიშნო სისტემით შეფასების პერიოდში წააწყდა სირთულეებს, რამაც განაპირობა ის, რომ მომდევნო წლებში მას უნიშნო სწავლების უპირატესობის შესახებ და აკადემიური წარმატების ნიშანზე შეფასების წინააღმდეგ აზრი არსად არ გამოუთქვამს.

ვთვლით, რომ მოსწავლის ცოდნის შემოწმება-შეფასება ძალზე ობიექტური და მოსწავლის აკადემიურ წარმატებაზე ორიენტირებული უნდა იყოს, რასაც, ჩვენი აზრით, დღევანდელი შეფასების სისტემა სრულად პასუხობს. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ უზნაძის მიერ გადადგმული პრაქტიკული ნაბიჯი ნამდვილად პროგრესული ხასიათისაა, რომელმაც საუკუნის წინ საფუძველი ჩაუყარა შეფასების დღევანდელ სისტემას.

განხილული საკითხის თეორიული და პრაქტიკული ღირებულება მდგომარეობს იმაში, რომ ნაშრომს გარკვეული წვლილი შეაქვს პედაგოგიკის თეორიისა და ისტორიის კვლევაში. კვლევის პროცესში მიღებული შედეგების შემოქმედებითად მიდგომა გამოადგება ყველა ტიპის ამჟამად არსებულ სასწავლებლებს. მიღებული შედეგების გამოყენება ასევე შესაძლებელია უნივერსიტეტებში განათლების ისტორიის სპეცკურსებზე. მიღებულ შედეგებზე დაყრდნობით შეიძლება მომზადდეს პედაგოგიკური აზროვნების ისტორიის სალექციო კურსი, რომელიც დაეხმარება უნივერსიტეტის პედაგოგიური განხრის სტუდენტებს, მასწავლებლებს და განათლების ისტორიით დაინტერესებულ პირებს. კვლევის ჰიპოთეზა მდგომარეობს მასში, რომ თუ საფუძვლიანად იქნება შესწავლილი განათლების წარსულის მემკვიდრეობა, თუ ობიექტური შეფასება და ანალიზი გაუკეთდება ადრე არსებული სასწავლებლების განვითარებას, სწავლა-განათლების შინაარსს, გამოვლინდება დადებითი და უარყოფითი მხარეები, რითაც მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგმება წარსული მემკვიდრეობის კულტურულ ათვისებაში და რაც ძალზე მნიშვნელოვანია ერის კულტურული განვითარებისათვის.

განათლებაზე საუბრისას ხშირად ვახსენებდი სიტყვებს „პროგრესული“ და „ახალი“. თუმცა არ მინდა არ გამოვხატო ჩემი მტკიცე შეხედულება იმის თაობაზე, რომ ფუნდამენტური საკითხია არა ახალი განათლება ძველის წინააღმდეგ ან პროგრესული განათლების ტრადიციულისადმი დაპირისპირება, არამედ როგორი უნდა იყოს ის, რაც ღირსეულად იმსახურებს სახელს – განათლება. ვიმედოვნებ და მწამს, რომელიმე მიზნის ან მეთოდის მიმართ ჩემი კეთილგანწყობის მიზეზი მხოლოდ ის არ არის, რომ მათ შეიძლება სახელად პროგრესული ეწოდოს. ძირითადი საკითხი ეხება თავად განათლების ბუნებას, მისთვის ყოველგვარი მახასიათებელი ზედსართავი სახელის წამდგარების გარეშე. ის, რაც ჩვენ გვსურს და გვჭირდება, არის წმინდა, მარტივი განათლება და უფრო დამაჯერებლად და სწრაფად მივაღწევთ პროგრესს, როდესაც საკუთარ თავს მივუძღვნით იმის ძიებას, რა არის განათლება და რა პირობები უნდა დაკმაყოფილდეს იმისთვის, რომ განათლება რეალობა იყოს და არა ცარიელი სახელი ან ლოზუნგი. სწორედ ეს გახლავთ ის ერთადერთი მიზეზი, რის გამოც ხაზი გავუსვი გამოცდილების ჯანსაღი ფილოსოფიის შექმნის აუცილებლობას.

განათლება, იმისათვის, რომ მიაღწიოს თავის მიზნებს როგორც ინდივიდუალური შემსწავლელისთვის, ისე მთლიანად, საზოგადოებისთვის, უნდა დაეფუძნოს გამოცდილებას, რომელიც მუდამ რომელიმე პიროვნების რეალური ცხოვრებისეული გამოცდილებაა.

ლიტერატურა:

1. ჟურნ. „განათლება“, 1915 წელი, N4.

2. კახაბერი, თავისუფალი აღზრდა ბავშვისა, ჟურნ. „განათლება“ 1908 წელი, N7-8.
3. დ. უზნაძე, „სინათლის“ საზოგადოების ქალთა სასწავლებლის 1915-1916 სასწავლო წლის ანგარიში.
4. მ. მელიქიშვილი, დიმიტრი უზნაძის პედაგოგიკური კონცეფცია; მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი; 2013.
5. მ. მელიქიშვილი, მოტივაცია, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი; 2013.

Elene Gegeshidze

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

PAST EXPERIENCE IN MODERN PEDAGOGY RESUME

The high academic performance of the class depends on the academic atmosphere created by the teacher in the classroom, and in which there is a great deal of experience that the enlighteners and public educators have collected for centuries. The article deals with „Free Education”, which was propagated by Luarsab Botsvadze in Georgia. As well as individual needs of the students, Dimitri Uznadze's „The Theory of Mood”, motivation, project-based teaching and knowledge-assessment. These issues are very important for the improvement and retention of higher academic performance.

Nino Davitashvili

Gori State Teaching University

LISTENING SKILL AND SONGS FOR TEACHING LISTENING

Abstract

The possibility of using songs to teach a foreign language is widely discussed.

A song as a piece of music with words (Hornby, 1990) is a great language package that bundles culture, vocabulary, listening, grammar and a host of the other language skills in just a few rhymes. The use of song stimulates and motivates students.

Communicative approach in English Language Teaching Methodology emphasizes listening and speaking skills, our English textbooks are full of listening and speaking activities. Songs are also used in our textbooks as one of the listening tools.

Key Words: songs, pre-listening activities, while-listening activities and post-listening activities.

Introduction

Listening is considered to be a difficult skill and it is more than perception of sounds (Oxford, 1993, p. 203). According to Saricoban (1999) listening is one of the main skills.

Taking Communicative Approach into consideration, listening and speaking skills are the main skills. Songs are one of the popular listening tools and are widely used. They are especially used with young learners.

Useful Listening Strategies

Analyzing cognitive, metacognitive and social/effective listening strategies O'Malley, Chamot & Copper (1989), Young (1997) and Goh (2000, 2002) suggest us the following activities to do:

activities with using metacognitive strategies

- Discuss the plot;
- Analyze the words connected to the plot;
- Identify the aim of listening;
- Practice regularly to understand the listening material;
- Write down the words connected to the plot;
- Evaluate how the students understand the listening task;
- Use selective listening;
- Pay attention to visual aids, body language, tone, interval.

activities with using cognitive strategies

- Identify new words by context and visual aids;
 - Use general knowledge;
 - Use previous knowledge;
 - Imagine the situation you are listening;
 - Connect one part of the listening material to the next one;
 - Identify the most difficult part of the listening material, define its importance and decide to listen to it carefully or to ignore it;
 - Predict the plot of the listening material before listening.
- activities with social/affective strategies*
- Paraphrase the speaker's speech;
 - Ask the speaker to repeat what he/she says;
 - Encourage yourself to listen.
- Listening strategies help us guide EFL/ESL students improve their listening skills.

Listening Skill in our Textbooks

As Communicative approach in English Language Teaching Methodology emphasizes listening and speaking skills, our English textbooks are full of listening and speaking activities. Analyzing such textbooks as English World and Inspiration, the following instructions of pre, while and post listening activities are found:

- listen and point;
 - listen, read and point;
 - listen and read;
 - listen and say;
 - listen and write a letter;
 - listen and write the names;
 - listen and circle the right person;
 - listen and match;
 - listen and repeat;
 - listen and find five mistakes in the text;
 - Festival Radio interviewed people at the Glastonbury. Listen and complete the chart for Holly and Matt. Use these phrases;
 - listen and choose the correct answer;
 - listen and decide: true or false;
 - listen and complete the chart with dates and numbers;
 - listen and choose the correct answer;
 - listen and number A-E in the correct order;
 - listen and say what has happened;
 - listen and tick the things you have to do and cross by the things you don't have to do;
 - listen, look at the sentences below and guess who says that;
 - listen and correct the false sentences.
- As it is shown above our textbooks contain various instructions of listening activities.

Songs for Teaching Listening

Songs are considered as one of the most important tools in teaching ESL/EFL (Cullen, 1998, 1999). They help teachers to make friendly and safe atmosphere in classrooms. Songs provide:

- Excellent opportunities for repetition and practice;
- opportunities for real language use.

Songs also:

- help students focus on aspects of pronunciation;
- help students focus on stress;
- contain some usefully predictable elements.

According to Wilson (2010) songs can be enjoyable, memorable and stimulating for the students. Songs are often familiar, particularly when a teacher gives students the opportunity to bring songs to their choice to work with in class.

Songs still remain to be one of the most popular sources for authentic listening material and they are widely used by teachers for teaching young learners. Wilson (2010) classifies the following instructions for listening activities and presents them:

Using songs for ELT
Pre-listening activities
<ul style="list-style-type: none"> ➤ Complete each line with one word (fill the gap). ➤ Guess what the song is about from the title.

- In pairs, students have alternate lines from the song (student A has the even-numbered lines, student B has the odd-numbered lines). Guess what the other lines are before listening to check.
- In groups, pick a song and use news reports, drama, storytelling, poster-making, etc. to present the song before the class hears it.

While-listening activities

- Sing along.
- Listen for pleasure. The inner voice will be singing along!
- Mime the story or actions contained within it.
- The teacher provides ten words from the song on pieces of card. Stick them on the wall and grab them as you hear them. Variation: the teacher gives an extra word which isn't in the song.
- Clap out the rhythm of the song.
- Put down the lyrics (written on strips of card) as you hear them.
- Write all the words you hear that are connected to the topic (e.g. telephoning, cooking, travel).
- Fill the gaps.

Post-listening activities

Creative activities

- Write a letter or diary entry from a character in the song.
- Write another verse.
- Illustrate the song (young learners).

Reformulation activities

- Re-order the lyrics on strips of paper.
- Brainstorm words you heard.
- Paraphrase the song.
- Compare two songs on the same theme and teach vocabulary from your song.

To conclude songs with pre- , while- and post-listening activities are affective resources for teaching listening.

A Successful Song-based lesson

According to Simpson (2015) we often have to be very creative in the techniques we use. What makes music such a great teaching tool is its universal appeal, connecting all cultures and languages. This makes it one of the best and most motivating resources in the classroom, regardless of the age or background of the learner. He advises us to examine what it is you want your class to learn in the lesson, think about the language level of your class and our students age, if there are any specific cultural issues regarding the make-up of your class and what kind of access we have to the song.

To have a successful song-based lesson Simpson (2015) recommends to follow six steps for making a song the focus of our class. They are:

1. listen to a song;
2. ask some questions about the title;
3. listen to the song again, this time with lyrics;
4. focus on a particular verb tense or aspect of grammar;
5. focus on vocabulary, idioms and expressions;
6. round things off with some creativity.

To sum up using songs as one of the best and most motivating resources in the classroom needs to follow some steps.

Conclusion

To conclude:

- listening strategies help us guide EFL/ESL students improve their listening skills;
- listening is considered to be a difficult skill and it is more than perception of sounds;
- listening is one of the main skills;
- songs one of the popular listening tools and are widely used;
- they are especially used with young learners.

Songs provide:

- excellent opportunities for repetition and practice;
- opportunities for real language use.

Songs help students focus on aspects of pronunciation, focus on stress and contain some usefully predictable elements.

Songs with pre- , while- and post-listening activities are affective resources for teaching listening and our English textbooks are full of listening and speaking activities.

References:

1. Cullen, B. (1998). Music and song in discussion. *The Internet TESL Journal* 4, 10. Retrieved December 20, 2015 from <http://iteslj.org/Techniques/Cullen-Music.html>
2. Cullen, B. (1999). Song dictation. *The Internet TESL Journal* 5,11. Retrieved December 20, 2015 from <http://iteslj.org/Techniques/Cullen-SongDictation.html>
3. Goh, C. (2000). A cognitive perspective on language learners. Listening comprehension problems. *System*, 28, 55-75.
4. Goh, C. (2002). *Teaching Listening in the Language Classroom*. Singapore: SEAMEO Regional Language Centre.
5. Hornby, A. S. (1990). *Oxford Advanced Learner's Dictionary of Current English*. Oxford: Oxford University Press
6. O'Malley, J. M., Chamot, A. U., & Kupper, K. (1989). Listening comprehension strategies in second language acquisition. *Applied Linguistics*, 10, 4: 418-437.
7. Oxford, R. L. (1993). Research Update on Teaching L2 Listening. *System*, 21 (2).
8. Saricoban, A. (December 1999). The Teaching of Listening. *The Internet TESL Journal*. Retrieved January 22, 2018 from <http://iteslj.org/Articles/Saricoban-Listening.html>
9. Simpson A (2015). How to use songs in the English language classroom. Retrieved January 15, 2018 from <https://www.britishcouncil.org/voices-magazine/how-use-songs-english-language-classroom>
10. Young, M. Y. C. (1997). A serial ordering of listening comprehension strategies used by advanced ESL learners in Hong Kong. *Asian Journal of English Language Teaching*, 7, 35-53.
11. Wilson J. (2010): *How to teach listening*. Essex: Pearson Longman.

ანა იმნაძე

გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

ნუგზარ შატაიძის მოთხრობის - „მოგზაურობა აფრიკაში“ სწავლებისათვის

მკვლევარი გია არგანაშვილი აღნიშნავს, რომ „ნუგზარ შატაიძის მოთხრობა „მოგზაურობა აფრიკაში“ არა მხოლოდ თანამედროვე ქართული ლიტერატურისთვის, არამედ მწერლის შემოქმედებისთვისაც სასიამოვნო თემატური სიახლეა. კარგი თემის მოგება კი ოქროს ძიებას ჰგავს. ერთი ცნობილი არაკის მიხედვით, ღმერთი კაცს სანამ სისხლს არ დაანთხევინებს, არაფერს მისცემს. მე არ ვიცი, რა სიმწარე გადაიტანა მწერალმა ამ მოთხრობის დაწერამდე, რა გამოცდილება შეიძინა. ისიც კი არ ვიცი, თვითონ თუ უმოგზაურია აფრიკაში. არ ვიცი და არც ვკითხულობ. ნუგზარ შატაიძე ისეთი ოსტატია, ტალახიც მოზილოს, მაინც პურს გამოაცხობს. ამ მოთხრობაში ქუჩის მტვერი, უპატრონო ბიჭების ბედი და აფხაზეთის ტრაგედია მუყაოს ყუთშია მოხელილი და მე ვიტყვოდი, მწერლის შემოქმედებისთვის ეს საუკეთესო ნაცხოზია.“ [1]

ნუგზარ შატაიძის შემოქმედებასთან დაკავშირებით მალხაზ ხარბედიასთან ინტერვიუში კოტე ჯანდიერი აცხადებს: - “მაშინ ჩვენ ვიცოდით ერთი რაღაც, რომ ქართულ სალიტერატურო ენას, რეზო ინანიშვილის გარდაცვალების შემდეგ, ფაქტობრივად, მარტო შეუდგა ნუგზარი და მარტო ქაჩავდა ამხელა უღელს. ვიცით, რომ როგორც ბიომრავალფეროვნება არის შესანარჩუნებელი, ასევე უნდა გადავარჩინოთ ქართული ენის ლექსიკური და იდიომატური მრავალფეროვნება. და ეს მრავალფეროვნება გაქრება, მოკვდება, თუ ის არ არის გამოყენებული. და მთელი ამ სიმდიდრის გამოყენება შეუძლიათ შატაიძეს, რეზო ინანიშვილს და კიდევ რამდენიმე სხვა მწერალს, რომლებიც ცხოვრობენ ენაში” [4].

მოთხრობაში „მოგზაურობა აფრიკაში“ ავტორი აღწერს აფხაზეთში მიმდინარე ომის შემდგომ პერიოდს, როდესაც საკუთარ სამშობლოში დევნილად ქცეული ქართველთა ნაწილი ცდილობს შეეგუოს, ან მოერგოს მძიმე რეალობას. ნაწარმოებში მოქმედება იშლება 13 წლის თედოს ცხოვრების ფონზე, რომელიც დედაქალაქის მძიმე და ცივ გარემოს პროტესტს უცხადებს და ამ პროტესტის გამო ცდილობს

დაბრუნდეს უკან - ბავშვობაში, მამის წიაღში. სწორედ მამის წიაღში დაბრუნების ალუზიას იწვევს თედოს თავგანწირული მცდელობა - იპოვოს მამა ქაოსში - ოკუპირებულ აფხაზეთში. ყურადღებას შევაჩერებთ ერთ ასპექტზე, როდესაც ავტორი აღწერს თედოს ცხოვრებას თბილისში და შემდეგ მის ხეტიალს აფხაზეთში, თვალში გვეცემა ის ფაქტი, რომ საქართველოში, თბილისში თედოს ყველა უცხო სხეულად მიიჩნევს, თვითონ მასაც ასეთივე გაუცხოების, შიშის და მიუღებლობის გრძნობა აქვს თბილისთან. „მეტროშიც თბილა. მეტროთი ვინ დადის, სულ უბრალო ხალხი, არა? ... მეტრო იმით არის ცუდი, რომ იქ პოლიციაა. ერთხელ დამიჭირეს, მაგრამ მცემეს და იმ დღეს ნაშოვნი ფული - სამლარნახევარი სულ წამართვეს“ [3; 17]. თბილისის გაუსაძლისმა ყოფამ აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა ნაწილი ნამდვილ დევნილად აქცია, დევნილად საკუთარ სამშობლოში, სადაც აგრესია, ძალადობა და შიმშილია გამეფებული, ამიტომ დევნილ ბავშვთა ნაწილი სწორედ ქუჩაში ცხოვრებისთვის და უპატრონოდ სიკვდილისთვის გაიწირა: „მუყაოს ყუთში ძილი სოხუმელმა ბიჭმა, გოშვამ მასწავლა. კაი რამეა, გარედან სიცივეს არ უშვებს, შიგნიდან სითბოს. მაგრამ როცა ყინავს, მაშინ მაინც ცივა“ [3; 15]. თბილისში დაკარგა დედა, დაკარგა ემოციურად, ქალმა ვერ გაუძლო იმ ყოფას, დევნილის სტატუსი რომ აძლევდა: „გამყიდველად მუშაობს ცივ ჯიხურში, რომლის პატრონი, ერთი ავყია დედაკაცი, სულ მუდამ ქურდობას აბრალებს, მერე კი როცა გამოირკვევა, რომ არაფერიც არ დაკარგულა, ბოდიშსაც არ უხდის... [დედა] გალოთდა, არყის სმას სიცივის გამო დაეჩვია“ [3; 19]. თედოს მიერ დედის აღწერისას თვალშისაცემია ერთი ფაქტი, ავტორი ხაზგასმას აკეთებს, იმაზე, რომ სანამ ოჯახში, აფხაზეთში, სამოთხეში ცხოვრობდა, დედას სხვადასხვა ფერის თვალები ჰქონდა - მწვანე და ცისფერი, ხოლო მას შემდეგ, რაც სმა დაიწყო, მისი ეს გამორჩეული ნიშანი დაიკარგა და თვალები გაუნაცრისფრდა. აფხაზეთის ზღვისა და მიწის სიმბოლიზირებული სხვადასხვა ფერის თვალები თბილისის ნაცრისფერმა რუხმა თვალებმა შეცვალა. თედო დედას გაექცა ფიზიკურად, ემოციურად კი მამის მოძებნა სწორედ დედის დაბრუნების მცდელობაა.

განსხვავებული სურათი იხატება თედოს აფხაზეთში მგზავრობის დროს. ერთი შეხედვით მკაცრი და მტრული გარემო სულაც არაა მტრული. აფხაზეთის ტერიტორიაზე გადასული თედო ყველამ შეიფარა, ყველამ დააპურა, გაათბო. აფხაზი დედაბერი მას შვილიშვილად გააცნობს რუს მესაზღვრეებს, პრობლემა რომ არ შეექმნას, შემდეგ დისშვილს ჩააბარებს ოჩამჩირეში წასაყვანად. სწორედ აქედან იწყება ახალი ეტაპი. იქ, მტრულ გარემოში, შეიფარებს თედოს აფხაზი ოჯახი, რომელიც დააპურებს, დაამძინებს და არც საგზაოს დაიშურებს ბიჭისთვის. ისევ აფხაზების დახმარებით, ტყვარჩელში უსაფრთხოდ მისული თედო კი ყველაზე მძიმე რეალობის წინაშე აღმოჩნდება. ავტორი გაპარტახებულ-დაცლილი ქალაქის ჩვენებით გვიხატავს, როგორ დაიცალა, განადგურდა საწყისი, წიაღი. მამამ სხვაგან შექმნა ოჯახი, სისხლი სხვას გაუყო. ერთადერთი ნივთი, რომელიც თედომ თბილისში წამოიღო - ეს იყო ბავშვობის სათამაშო - დათუნია, რომელიც იმდენად იყო დაზიანებული, რომ ვეღარ აღადგინა. საათი კი, გაჩერებული საათი, მეზობლის სახლში ინახება, რაზეც თედო უარს ამბობს. მოხუცი მეზობელი, გრძნობს რა უხერხულობას, ეხვეწება თედოს, თან წაიღოს საათი, მაგრამ ბავშვის შეურყვნელი გონება, მიუხედავად გამოვლილი განსაცდელისა, გრძნობს, რომ წარსული, გაჩერებული დრო თან არ უნდა ათრიოს და უნდა დატოვოს. ავტორი არაა ორიენტირებული ბედნიერი დასასრულის და ზედმეტად ტკბილი ფინალის ჩვენებაზე. რეალობას დაბრუნებული თედო, ახლა უკვე მიზანმიმართულად ცდილობს, გაექცეს რეალობას და ტოქსიკომანიით ცდილობს თავი შეაფაროს სხვა სამყაროს. აქაც საინტერესოა ავტორის არჩევანი - ეს სხვა სამყარო უდაბნოა. ადამიანების გარეშე დარჩენილი უდაბნო, სადაც თედოს სულს და ხორცს აფთარი ჩასაფრებია.

სალომე კაპანაძე სტატიაში „სიცოცხლის დრო ანუ ჟამი ფიქრებისა“ შენიშნავს, რომ მწერლები ახერხებენ იმას, რასაც პოლიტიკოსები ვერ აღწევენ ხოლმე: „ემოციათა დაცხრომის საფეხურზე საზოგადოების გონიერი ნაწილი კრიტიკული თვალთა უმზერს იმას, რაც ცოტაოდენი ხნის წინათ მესიანიზმისა და ეროვნული გამორჩეულობის იდეებით განიცდებოდა. იწყებოდა მტანჯველი კათარზისი. ბრძოლა იმისათვის, რათა არ დაუშვან ამის გამეორება. სამყარო თითქოს პატარავდება და მშვიდობის ელჩების სამიზნე ხდება.“ [5; 44].

ბოლო პერიოდში საზოგადოებაში აქტიურად მიმდინარეობდა ნუგზარ შატაიძის მოთხრობის, "მოგზაურობა აფრიკაში" განხილვა. მოთხრობა, რომელმაც საზოგადოების ერთი ნაწილის აღშფოთება გამოიწვია, სასკოლო პროგრამაში, კერძოდ კი, მე-9 კლასის ლიტერატურის სახელმძღვანელოშია შეტანილი.

საქმე ისაა, რომ მოთხრობაში შეხედვებით ისეთ ფრაზებს, როგორებიცაა "ბოლომდე ჩაეშვა", "წებოთი კაიფობს" და ასე შემდეგ. სანამ იტყოდით, ამას აჩვენებს მერე სკოლის ბავშვებსო? - გეტყვით: თანამედროვე თინეიჯერებს ამ ყველაფერთან შეჩვევა საერთოდ არ სჭირდებათ. ისინი ყოველდღიურად ისმენენ ამ და ამაზე ბევრად უარეს ფრაზებს. მთავარი არაა "ცუდი" და "კარგი" სიტყვებია, არამედ კონტექსტი. უცნაური იქნებოდა, ქუჩაში მცხოვრები ბავშვი რომ ისეთი ქართულით ლაპარაკობდეს,

როგორც აღშფოთებულ მშობლებს მოეწონებოდათ. კარგი მწერლის ოსტატობაც ამაშია: დაგაჯეროს ის, რასაც თავად ხედავს. ენა კი ამისთვის უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტია. განვიხილოთ, რა ფორმითაა შესაძლებელი მე-9 კლასის მოსწავლისთვის მსგავსი ტექსტის მიწოდება და რა სქემით უნდა წარიმართოს საგაკვეთილო პროცესი.

ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, მე-9 კლასში მხატვრული ტექსტის გაგება და თვითგამოხატვა სწავლების ამ ეტაპზე მოზარდთა ასაკობრივი ფსიქოლოგიისა და ინტელექტუალური შესაძლებლობების გათვალისწინებით უნდა მოხდეს შედარებით რთული და მრავალფეროვანი ლიტერატურული მასალის შერჩევით. შერჩეულმა მხატვრულმა ტექსტებმა ხელი უნდა შეუწყოს მოზარდთა დამოუკიდებელი, შემეცნებითი, შემოქმედებითი და მხატვრულ-ესთეტიკური გემოვნების განვითარებას. ლიტერატურული ტექსტები უნდა გამოიჩინოს აქტუალური (როგორც მხატვრული, ისე ყოფითი თვალსაზრისით) პრობლემატიკით, რათა მოზარდს მიეცეს მისთვის მნიშვნელოვან და საინტერესო საკითხებზე მსჯელობის, განსხვავებული თვალსაზრისის გამოთქმის საშუალება. სასურველია, სახელმძღვანელოში შევიდეს სხვადასხვა ეპოქის ლიტერატურული ტექსტები, რომლებიც მოზარდთათვის თვალსაჩინო გახდის ლიტერატურაში ასახული კონკრეტული პრობლემის სხვადასხვა კულტურულ კონტექსტში, სხვადასხვაგვარად გააზრების აუცილებლობას. მნიშვნელოვანია ისიც, რომ მოზარდს შეეძლოს გარკვეული თეორიული წარმოდგენა ლიტერატურის, როგორც სოციალურ-კულტურული ფენომენის შესახებ, შეძლოს ყოფითი რეალობისა და მხატვრული გამონაგონის ურთიერთმიმართების თავისებურებების გაცნობიერება. თანამედროვე ქართულ ლიტერატურულ ნაწარმოებებთან ერთად სასურველია უცხოური ლიტერატურის იმ ნიმუშების შეთავაზებაც, რომლებიც ტიპოლოგიისა და პრობლემატიკის თვალსაზრისით მსგავსებას ამჟღავნებს სწავლების ამ ეტაპისათვის შერჩეულ მხატვრულ ნაწარმოებებთან.

აღნიშნული მითითების მიხედვით საგაკვეთილო პროცესი, სადაც განხილული იქნება ნუგზარ შატაიძის მოთხრობა „მოგზაურობა აფრიკაში“ შეიძლება ასე დალაგდეს

სასწავლო მიზნები

- ნაწარმოების თემის, იდეის განსაზღვრა და სიღრმისეული წვდომა.
- პრობლემის იდენტიფიცირება, სინამდვილის რეპრეზენტაცია.
- ლექსიკური ერთეულებისა და სტილის თავისებურებაზე დაფიქრება.
- საკუთარი დამოკიდებულების ჩამოყალიბება ტექსტში წამოჭრილი ძირითადი პრობლემის მიმართ.

ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტი

ქართ. IX. 5. მოსწავლეს შეუძლია დისკუსიისა და კამათის სტრატეგიების გამოყენება.

ქართ. IX. 6. მოსწავლეს შეუძლია პრობლემურ ან სადავო საკითხებზე სხვადასხვა თვალსაზრისის შემცველი მხატვრული და არამხატვრული ტექსტების მიმართ საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა.

ქართ. IX.9. მოსწავლეს შეუძლია სადავო ან პრობლემურ საკითხებზე საკუთარი თვალსაზრისის წერილობით გადმოცემა; მოცემულ საკითხზე განსხვავებული შეხედულებების შეჯამება.

ტექსტის გაცნობის შემდეგ სასურველია მოსწავლეებს მიეცეთ რეკომენდაცია და ნახონ გიორგი ოვაშვილის მხატვრული ფილმი „გაღმა ნაპირი“ ასევე, ჩვენ მიერ შერჩეული დოკუმენტური ფილმი, რომელიც ეხება აფხაზეთის ომს, რათა მოსწავლეებს მიეცეთ საშუალება კიდევ უფრო კარგად გაერკვნენ ომის მიზეზებსა და შედეგებში.

აქტივობა: შემაჯამებელი მინილექცია ნუგზარ შატაიძის „მოგზაურობა აფრიკაში“ და გიორგი ოვაშვილის „გაღმა ნაპირი“ ერთ-ერთ ყველაზე ატუალურ თემას ეძღვნება: აფხაზეთის ომის ტკივილიანი ისტორია და საზოგადოების გულგრილობა, ინდიფერენტული დამოკიდებულება, რომელიც მოზარდის ცხოვრების ტრაგიზმის გამომწვევი მიზეზია. ძალიან მნიშვნელოვანია ნაწარმოების ეკრანიზაცია, რა თქმა უნდა, მწერალს თავისებური ხედვა აქვს, ხოლო რეჟისორის წარმოსახვა უფრო ვიზუალურია, რეჟისორმა შესაძლოა, ცვლილებები შეიტანოს; ნაწარმოების ზოგიერთი ეპიზოდი კადრს მიღმა დარჩეს ან, პირიქით, დაამატოს კიდევ. ამის მაგალითიც გვხვდება, თუნდაც სათაურის განსხვავებულობა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ორივე შემთხვევაში მასალაში ასახულია მიუსაფარი, ქუჩაში დარჩენილი ბავშვების მძიმე ყოფის ამსახველი ფოტოები, ამონარიდები ბავშვთა უფლებების კონვენციიდან. მუსიკალურ ფონად გასდევს გია ყანჩელის ნაწარმოები „სევდა“. მთავარი სათქმელი ცალსახაა - ომის უმძიმესი შედეგებისა და საზოგადოების გულგრილობის მსხვერპლის, ბავშვობადაკარგული მოზარდის ტრაგედიის ჩვენება. საინტერესოა ნაწარმოებში გამოყენებული ლექსიკა, სლენგი. სწორედ ეს სიტყვები ქმნიან ხასიათს, კოლორიტს. თხრობას კიდევ უფრო მეტ ბუნებრიობასა და ემოციურობას ანიჭებენ. ამიტომაც გამოირჩევა ნაწარმოები განსაკუთრებული ექსპრესიულობით.

აქტივობა: მინილექციის შემდეგ კიდევ ერთხელ ვსვამთ შემაჯამებელ კითხვებს: შეკითხვა და სავარაუდო პასუხები:

რატომ უწოდა მწერალმა მოთხრობას „მოგზაურობა აფრიკაში“ მოთხრობის მთავარი პერსონაჟები ტოქსიკური წებოთი თრობისას ჰალუცინაციებით „აფრიკაში მოგზაურობენ“, აფრიკული სიზმრები ერთადერთი თბილი გარემოა, რომელიც ცხოვრების სისასტიკეს ავიწყებთ. „იმ დამით უამრავი ცხოველი მოვიდა...“ რისი თქმა სურს ავტორს ამ ფრაზით? ცუდი რეალობის მიუღებლობა თედოს აიძულებს, ისევ დაუბრუნდეს ძველ ცხოვრებას მიეძალოს ტოქსიკურ წებოს. ფილმში არის ისეთი ეპიზოდები, რომლებიც ტექსტში არ გვხდება (თედოს დედის ურთიერთობა უცხო მამაკაცთან, ენგურის ხიდთან ახალგაზრდა ბიჭის მოკვლა მესაზღვრეების მიერ, თედოს იძულებითი ცეკვა...) როგორ ფიქრობთ, რატომ ჩართო ეს დეტალები რეჟისორმა? რეჟისორისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ფილმის ვიზუალური მხარე, ამავდროულად, სათქმელის მეტი დრამატიზება და გამძაფრება. თქვენ ნახეთ ფილმი „გადმა ნაპირი“ რა მსგავსება-განსხვავებაა მთ შორის? ორივე აფხაზეთის ომის თემას ეხება, ხოლო განსხვავება ისაა, რომ ერთი მხატვრული ფილმია, ხოლო - მეორე დოკუმენტური, რეალური ფაქტებია ასახული.

განხილული და წარმოდგენილი მასალა გვამღვს იმის დასკვნის უფლებას, რომ აღნიშნული მოთხრობა ძალიან ფრთხილად უნდა მიეწოდოს მოსწავლეს, მასალა იძლევა იმის საშუალებას, რომ მე-9 მოსწავლეს მისთვის მისაღებ ენაზე დავანახოთ ომის საშინელება და საფრთხეები, ასევე შესაძლებლობის ფარგლებში და ძალიან ზომიერად მოხდეს მათში სამოქალაქო და სახელმწიფოებრივი აზროვნების ჩამოყალიბება.

ლიტერატურა:

1. გია არგანაშვილი - ჟურნალი „არილი“, 2010.
2. ეროვნული სასწავლო გეგმა
3. „ხიდი“ ქართულ-აფხაზური მოთხრობათა კრებული; თბ 2007 წ. 618 გვ.
4. ხარბედია მ., ნუგზარ შატაიძის „შეხვედრა“ <http://www.radiotavisupleba.ge>
5. კაპანაძე ს., „სიცოცხლის დრო ანუ ჟამი ფიქრებისა“ „ჩვენი მწერლობა“ 2012 წ #22, გვ. 44

Ana Imnadze

Gori State Teaching University

ON THE TEACHING OF NUGZAR SHATAIDZE STORY "TRAVEL TO AFRICA" RESUME

Recently the society was actively discussing Nugzar Shatayadze's story, "Journey to Africa". A story that has caused anger in part of the public is included in the school program, namely, in the 9th grade literature textbook.

The thing is that you will find the phrases like "To the end", "glue cries" and so on. Until you say, do you like this after school children? - I will tell you: Modern teenagers do not need to do anything at all. They are listening daily and much worse than these. The main is not "bad" and "good" words, but the context. It would be odd that a child living on the street speaks in literary Georgian, language is a very important tool. We discussed how it is possible to deliver a similar text to the 9th grader and how to carry out the task process.

კრიტიკული აზროვნების ტექნოლოგიის გამოყენება ფიზიკის გაკვეთილზე

ფიზიკა წარმოადგენს საბუნებისმეტყველო სამეცნიერო განათლების და სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის ფუნდამენტს. სასკოლო ფიზიკური განათლების სრულყოფა იყო და რჩება განათლების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრობლემად. ფიზიკის სწავლების დაწყებით საფეხურზე საფუძველი უნდა ჩაეყაროს მოსწავლის შემოქმედებითი და გარემოსადმი სწორი დამოკიდებულების ჩამოყალიბებას. საბუნებისმეტყველო დისციპლინების სწავლების მიზანია აზიაროს მოსწავლე საბუნებისმეტყველო მეცნიერების საფუძვლებს და განუვითაროს კვლევის უნარ-ჩვევები, რაც მას საშუალებას მისცემს შეიცნოს და გაითავისოს სამყარო, ჩაერთოს საზოგადოებრივი საქმიანობის სხვადასხვა სფეროში, იგრძნოს პასუხისმგებლობა საკუთარი თავის, საზოგადოებისა და გარემოს მიმართ.

სწავლების პროცესს თავისი ობიექტური კანონზომიერებანი აქვს. სწავლების კანონზომიერებათა გახსნა კი სწავლების თეორიის უმნიშვნელოვანესი საკითხია, რომელსაც მარტო თეორიულ-შემეცნებითი მნიშვნელობა როდი აქვს, მისი გათვალისწინება სწავლების ოპტიმალურად რაციონალური წარმართვის ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა.

სწავლების პროცესის არსი, მისი კანონზომიერების საკითხი, პირველ ყოვლისა, უკავშირდება შემეცნებითი პროცესის არსს, მის კანონზომიერებას, რადგან სწავლება შემეცნების სპეციფიკური სახეა, მას საქმე აქვს სინამდვილის ასახვასთან მოსწავლის ცნობიერებაში.¹

მოსწავლეთა სწავლებისა და აღზრდის ურთულესი პროცესის განხორციელების საქმეში დიდი მნიშვნელობა ენიჭება მოქმედების იმ მიმართულებას, იმ ამოსავალს, საყრდენ დებულებებს, რომლითაც წარმართავთ ჩვენს მუშაობას.

სწავლების პროცესში მოსწავლე არა მარტო ცოდნას იძენს, არამედ მას უყალიბდება ჩვევები, შეხედულებანი, ინტერესები, მსოფლმხედველობა. ეს კი მისი აღზრდაა. ცოდნის შეძენის პროცესში თავისთავად აღიზრდება მოსწავლე. ცოდნის შეძენის პროცესი იწვევს აზროვნების უნარის განვითარებას, ეს კი უკვე აღზრდაა.

სწავლება უნდა იწყებოდეს სათანადო ასაკში. ის მოსწავლისათვის უნდა წარმოადგენდეს სიძნელეს, მაგრამ ისეთი სიძნელეს, რომლის დაძლევის უნარიც მას შესწევს. სწავლება უნდა რთულდებოდეს და ფართოვდებოდეს მოსწავლის საერთო განვითარებასთან ერთად იმ საფუძველზე, რომ მოსწავლე, ერთი მხრივ, არ დუნდებოდეს, ხოლო მეორე მხრივ, არ ვიწვევდეთ მისი ძალების ზედმეტად დამაბულობას და განვითარების შეფერხებას. სწავლება უნდა წარიმართოს ისეთი მიმართულებით, რომ იგი ხელს უწყობდეს მოსწავლეში მაღალი ზნეობრიობის აღზრდას მისი ძალების და საერთო განვითარების დონის გათვალისწინებით.

გონებრივი შესაძლებლობების გასავითარებლად უნდა შემოვიტანოთ ისეთი ამოცანები, ცდები, კომპიუტერული თამაშები, სადაც მოსწავლე მკვლევარის როლში იგრძნობს თავს, მასწავლებლის მიერ მიწოდებულ ინფორმაციასთან ერთად ის თვითონაც მოიპოვებს საჭირო ინფორმაციას და გააკეთებს საჭირო დასკვნებს. არ მივცეთ მზა, მშრალი განმარტება, ეპიზოდურად გავაცნოთ მეცნიერების მიღწევები, ისტორიული მასალები, განვავითაროთ მათი აზროვნების დამოუკიდებლობა შემოქმედებითი ამოცანებით. სწავლების მთავარი მიზანი უნდა იყოს კვლევითი პრინციპების გამოყენება და მოსწავლეთა მიერ მეცნიერული მეთოდების დაუფლება. სწორედ ეს პრინციპი უდევს საფუძვლად იმ მოვლენას დიდაქტიკაში, რომელსაც კრიტიკული აზროვნება ეწოდა და ეს ითვლება თანამედროვე სწავლების ორგანიზების ერთ-ერთ საშუალებად.²

კრიტიკული აზროვნება აზროვნების მაღალი დონეა, რომელიც თანდაყოლილი უნარი არ არის და ვითარდება პედაგოგის დახმარებით. კრიტიკულად მოაზროვნე ადამიანი მანიპულირება თითქმის შეუძლებელია. ამდენად, კრიტიკული აზროვნების უნარი ადამიანისთვის ყოველთვის მნიშვნელოვანი იყო. განათლების სპეციალისტები გვარწმუნებენ, რომ XXI საუკუნის ადამიანისათვის ის, უბრალოდ, სასიცოცხლოდ აუცილებელია.

¹ მაისურაძე ნ. მოსწავლეებში მეცნიერულ ენაზე მეტყველების განვითარების ოპტიმიზაციის თანამედროვე პედაგოგიური ტექნოლოგიები (ფიზიკის სწავლების მაგალითზე). თბ., უნივერსალი, 2011.

²

. 2004.

თანაბარწრფივი მოძრაობის დროს ტოლ შუალედებად დროის დაყოფა ჩვენი არჩევანია, იგი შეიძლება ნებისმიერი იყოს. თანაბარწრფივი მოძრაობის განსაზღვრების შემდეგ სასურველია მოსწავლეს მივცეთ მარტივი სავარჯიშო. ამას ვაკეთებთ იმისათვის, რომ მან შეძლოს წაკითხულის გააზრება არა რეპროდუქციულ დონეზე, არამედ პროდუქციულზე. „საწვეთურის ონკანი ისე გავაღოთ, რომ წვეთები უფრო ხშირად ვარდებოდეს და გავიმეოროთ ცდა. როგორი იქნება ურიკას მიერ გავლილი მანძილების შეფარდება?“ ეს სავარჯიშო მოსწავლეს საშუალებას აძლევს დაინახოს თანაბარწრფივი მოძრაობის განსაზღვრებაში დროის ნებისმიერ ტოლ შუალედებად დაყოფის აუცილებლობა.

1. მოსწავლეებს ვთხოვთ, თითოეულმა დააფიქსიროს ამ მოვლენის ახსნის ვერსია დამოუკიდებლად (3 წთ.);

2. დავყოფთ კლასს 4-5 კაციან ჯგუფებად, რომელთაც მიეცემათ დავალება, შეაჯერონ თავიანთი ვერსიები (2 წთ.);

3. თითოეულ ჯგუფს მივცემთ დავალებას შეადგინონ მოთხრობა, სადაც გამოიყენებენ შემდეგ სიტყვებს: თანაბარი მოძრაობა, სიჩქარე (5 წთ);

4. თითოეული ჯგუფი აფიქსირებს თავის პასუხს და ასაბუთებს (5 წთ).

❖ გააზრება (შინაარსის რეალიზება): 20 წთ

სიჩქარის ცნებაში წვდომა საკმაოდ რთულია. საქმე მარტო ის კი არ არის, რომ სიჩქარის ცნება პირველი წარმოებული ფიზიკური ცნებაა, არამედ სიჩქარის ცნების საფუძველზე პირველად ეცნობიან მოსწავლეები ფიზიკურ ფორმულას. სიჩქარის ცნების შემოტანისას, განსაკუთრებულ ყურადღებას ვუთმობთ კერძო - ზოგადი - კერძო ციკლის განხორციელებას.

მაგალითების მეშვეობით ვიხილავთ სამ შემთხვევას. სამივე შემთხვევაში სხეულები თანაბარწრფივად მოძრაობენ. პირველ შემთხვევაში ერთსა და იმავე დროში ორი სხეული სახვადასხვა გზას გადის; მეორეში - სხვადასხვა დროში ორი სხეული ერთსა და იმავე გზას გადის; მესამეში - სხვადასხვა დროში ორი სხეული სხვადასხვა გზას გადის. სამივე შემთხვევისათვის ცალ-ცალკე ვახასიათებთ მოძრაობის სისწრაფეს და მივდივართ სიჩქარის განსაზღვრებამდე.

ვსვამთ კითხვას: „რას ნიშნავს, რომ მანქანა მოძრაობს 72 კმ/სთ სიჩქარით?“ შემდეგ ისევ მაგალითებით ვაჩვენებთ, რომ სიჩქარე არის ვექტორული სიდიდე, ე.ი. მას აქვს მიმართულება. ამის საფუძველზე ვარკვევთ, რომ მისი მნიშვნელობა შეიძლება იყოს როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი სიდიდე. ბოლოს კი, მაგალითების საშუალებით მივდივართ იმ დასკვნამდე, რომ თანაბარაჩქარეული მოძრაობის სიჩქარე მუდმივი სიდიდეა.

იმართება მსჯელობა-დისკუსია ტექსტის გარშემო. მოსწავლეები აქტიურად მონაწილეობენ საკითხების დასმასა და პრობლემის გადაწყვეტაში. ამავე დროს მსჯელობისას ვეხებით საინტერესო საკითხებს, რომელიც სახელმძღვანელოში არ არის განხილული.

❖ რეფლექსია: 10 წთ.

დავსვამ კითხვას, რომელზეც პასუხის წარდგენას ვთხოვთ თითოეულ ჯგუფს: ვრცელდება თუ არა სინათლე თანაბარწრფივად?

მოსწავლეებს შევთავაზებ სახლში იფიქრონ და მოიძიონ პასუხები შემდეგ კითხვებზე:

1. რამდენწაირად შეგიძლიათ განსაზღვროთ თანაბარი მოძრაობა?

2. რამდენი მ/წმ-ია 72 კმ/სთ-ში?

პრობლემის შემოთავაზებული გადაჭრის მიზანშეწონილობა უზრუნველყოფს თვალსაჩინო დიდაქტიკურ შედეგს: განაპირობებს შემეცნებითი შესაძლებლობების და შემოქმედებითი აზროვნების განვითარებას, ცოდნის, უნარჩვევების სიღრმისეულ და მტკიცე შეთვისებას.

მაგალითი II

- გაკვეთილის თემა: მოძრაობის ფარდობითობა

გაკვეთილის მიზანი: მოძრაობის ფარდობითობის გათვითცნობიერება. სათანადო უნარის გამომუშავება და ფარდობითობის თეორიის საფუძვლებში გარკვევა. ანალიტიკური აზროვნების განვითარება, შეძენილი ცოდნის პრაქტიკულად გამოყენება.

წინაპირობა: მოსწავლეებს უნდა ჰქონდეთ შესწავლილი მექანიკური მოძრაობა, მისი სახეები, სიჩქარე.

გამოყენებული მეთოდები: ექსპერიმენტზე დაყრდნობით ვარაუდების გამოთქმა, პაუზებით კითხვა, კითხვების დასმა.

მუშაობის ფორმები: ინდივიდუალური, ჯგუფური.

დრო: 45 წთ.

❖ გამოწვევის ფაზა: 15 წთ.

გაკვეთილის ვიწყებთ კონკრეტული მაგალითების მოყვანით და ისევ და ისევ ვავითარებთ პრინციპს კერძოდან ზოგადისკენ და ისევ კერძოსკენ. მაგალითების მეშვეობით მოსწავლე მიგვყავს იმ დასკვნამდე,

რომ მოძრაობა ფარდობითია. შემდეგ დავსვათ შემდეგი სახის კითხვა: „უძრავია თუ მოძრავი სკოლის შენობა?“

1. მოსწავლეებს ვთხოვთ, თითოეულმა დააფიქსიროს ამ მოვლენის ახსნის ვერსია დამოუკიდებლად (3 წთ.);

2. დავყოფთ კლასს 4-5 კაციან ჯგუფებად, რომელთაც მიეცემათ დავალება, შეაჯერონ თავიანთი ვერსიები (2 წთ.);

3. ვიხილავთ კუსა და აქილევის მოძრაობას. ვპოულობთ რა დროში დაეწევა აქილევის კუს, ათვლის სხეულად ვიღებთ კუს (5 წთ);

4. თითოეული ჯგუფი აფიქსირებს თავის პასუხს და ასაბუთებს (5 წთ).

❖ **გაზრება (შინაარსის რეალიზება): 20 წთ.**

განვსაზღვროთ სხეულის სიჩქარე ფარდობითი მოძრაობის დროს. რასაკვირველია, ამას ვაკეთებთ მაგალითების საშუალებით. ვიხილავთ სამ მაგალითს. პირველში - მგზავრი უძრავია მოძრავი ესკალატორის მიმართ. ესკალატორის სიჩქარე ცნობილია. მეორეში - მგზავრი მოძრაობს უძრავ ესკალატორზე. მგზავრის სიჩქარე ცნობილია. მესამე მაგალითში მგზავრი მოძრაობს მოძრავი ესკალატორის მიმართ. ორივეს სიჩქარე ცნობილია. სამივე მაგალითში ვსაზღვრავთ მგზავრის სიჩქარეს დედამიწის მიმართ.

იმართება მსჯელობა-დისკუსია ტექსტის გარშემო. მოსწავლეები აქტიურად მონაწილეობენ საკითხების დასმასა და პრობლემის გადაწყვეტაში. ამავე დროს მსჯელობისას ვეხებით საინტერესო საკითხებს, რომელიც სახელმძღვანელოში არ არის განხილული.

❖ **რეფლექსია: 10 წთ.**

მოსწავლეებს ვამღებთ შემდეგი სახის კითხვას: “რას უდრის მგზავრის სიჩქარე დედამიწის მიმართ, თუ ის ესკალატორის საპირისპიროდ მოძრაობს?”

მოსწავლეებს შევთავაზებ სახლში იფიქრონ და მოიძიონ პასუხები შემდეგ კითხვებზე:

1. რის მიმართ არის უძრავი და რის მიმართ მოძრაობს მდინარეში ნავი?

2. დაასახელეთ რის მიმართ მოძრაობს დედამიწა.

3. მოტორიანი ნავის სიჩქარე მდინარის მიმართ არის 7 მ/წმ, მდინარის დინების სიჩქარეა 2 მ/წმ. გამოვთვალოთ ნავის სიჩქარე დედამიწის მიმართ. რისი ტოლი იქნება ნავის სიჩქარე, თუ ის იმოძრაავებს მდინარის დინების საპირისპიროდ?

4. მეტროს ესკალატორი მოძრაობს 0,7 მ/წმ სიჩქარით. მგზავრი ესკალატორის მოძრაობის მიმართულებით 0,3 მ/წმ სიჩქარით მოძრაობს. რა დროში გაივლის მგზავრი დედამიწის მიმართ 15მ-ს?

მაგალითი III

• **გაკვეთილის თემა:** მასა - ინერტულობის ზომა

გაკვეთილის მიზანი: ინერტულობის ცნებისა და მასის სიდიდის შემოტანა, სათანადო უნარის გამომუშავება და ფარდობითობის თეორიის საფუძვლებში გარკვევა. ანალიტიკური აზროვნების განვითარება, შეძენილი ცოდნის პრაქტიკულად გამოყენება.

წინაპირობა: მოსწავლეებს უნდა ჰქონდეთ შესწავლილი კინემატიკის ელემენტები..

გამოყენებული მეთოდები: ექსპერიმენტზე დაყრდნობით ვარაუდების გამოთქმა, პაუზებით კითხვა, კითხვების დასმა.

მუშაობის ფორმები: ინდივიდუალური, ჯგუფური.

დრო: 45 წთ.

❖ **გამოწვევის ფაზა: 15 წთ.**

გაკვეთილს ვიწყებთ იმის შეხსენებით, რომ სხეულის სიჩქარე იცვლება მასზე სხვა სხეულის მოქმედებით. შემდეგ აღვწერთ ცდას, საიდანაც ვასკვნით, რომ ბუნებაში სხეულები ცალმხრივად არ მოქმედებენ. ყოველთვის ადგილი აქვს ურთიერთქმედებას. მოგვყავს სათანადო მაგალითები. სასარგებლოა აქვე ჩავრთოთ კითხვა, რათა მოსწავლემ ურთიერთქმედების მნიშვნელობა კარგად გაიგოს. ის შეიძლება შემდეგი სახის იყოს: “თოფიდან გასროლისას ხდება უკუცემა. რატომ?”

1. მოსწავლეებს ვთხოვთ, თითოეულმა დააფიქსიროს ამ მოვლენის ახსნის ვერსია დამოუკიდებლად (3 წთ.);

2. დავყოფთ კლასს 4-5 კაციან ჯგუფებად, რომელთაც მიეცემათ დავალება, შეაჯერონ თავიანთი ვერსიები (2 წთ.);

3. ვიხილავთ კუსა და აქილევის მოძრაობას. ვპოულობთ რა დროში დაეწევა აქილევის კუს, ათვლის სხეულად ვიღებთ კუს (5 წთ);

4. თითოეული ჯგუფი აფიქსირებს თავის პასუხს და ასაბუთებს (5 წთ).

❖ **გაზრება (შინაარსის რეალიზება): 20 წთ.**

ვარკვევთ, თუ რაზეა დამოკიდებული სხეულთა სიჩქარეების ცვლილება, რომელიც ურთიერთქმედებით არის განპირობებული. ვეყრდნობით ცდას და შემოგვაქვს ინერტულობის ცნება. ყურადღება უნდა გავამახვილოთ იმაზე, რომ ინერტულობა სხეულის თვისებაა. ის ყველა სხეულს გააჩნია. მასას ვსაზღვრავთ, როგორც ფიზიკურ სიდიდეს, რომელიც ინერტულობის ზომაა. როგორ გავზომოთ მასა? აქ არსებითია იმის გათვალისწინება, რომ საჭიროა რომელიმე სხეულის მასა პირობითად ერთეულის ტოლად ჩავთვალოთ. ესაა ეტალონის მასა. სხვა სხეულების მასას ვადარებთ მასის ერთეულს ურთიერთქმედებისას შეძენილი სიჩქარეთა მიხედვით. მოსწავლეებს არ უნდა დარჩეთ წარმოდგენა, რომ ასეთი შედარება ხელოვნურია. საჭიროა მოვიყვანოთ მაგალითები, როდესაც მასების შედარება სიჩქარეთა მეშვეობით ერთადერთი ხერხია. ასეა პლანეტების მასების შედარებისას, აგრეთვე მოლეკულების მასების შედარებისას. მაგრამ პრაქტიკაში ასეთი შედარება მოუხერხებელია, ამიტომ ვიყენებთ აწონას.

იმართება მსჯელობა-დისკუსია ტექსტის გარშემო. მოსწავლეები აქტიურად მონაწილეობენ საკითხების დასმასა და პრობლემის გადაწყვეტაში.

❖ რეფლექსია: 10 წთ.

მოსწავლეებს ვაძლევთ შემდეგი სახის კითხვას: ორი სხეულის დაჯახების შემდეგ ერთის სიჩქარე 10 მ/წმ-ია, მეორესი – 20 მ/წმ. რომელია მეტად ინერტული? რომლის მასაა ნაკლები?

მოსწავლეებს შევთავაზებ სახლში იფიქრონ და მოიძიონ პასუხები შემდეგ კითხვებზე:

1. ურთიერთქმედების შედეგად ორმა უძრავმა სხეულმა ერთნაირი სიჩქარე შეიძინა. რას ნიშნავს ეს?
2. რას ნიშნავს გამოთქმა, რომ ერთი სხეული უფრო ინერტულია, ვიდრე მეორე?
3. როგორ შეიძლება აწონით განვსაზღვროთ მასა?
4. დაჯახებისას 0,1 კგ მასის სხეულის სიჩქარე 15 სმ/წმ-ით შეიცვალა, მეორესი კი – 45 სმ/წმ-ით. რას უდრის მეორე სხეულის მასა?
5. რამდენ ტონას უდრის ერთი მილიგრამი?
6. გაწონასწორებისას საწონის მასა 2,5 კგ-ის ტოლია. რამდენ ცენტნერს უდრის სხეულის მასა?

პრობლემის შემოთავაზებული გადაჭრის მიზანშეწონილობა უზრუნველყოფს თვალსაჩინო დიდაქტიკურ შედეგს: განაპირობებს შემეცნებითი შესაძლებლობების და შემოქმედებითი აზროვნების განვითარებას, ცოდნის, უნარ-ჩვევების სიღრმისეულ და მტკიცე შეთვისებას.

ლიტერატურა:

1. მაისურაძე ნ. მოსწავლეებში მეცნიერულ ენაზე მეტყველების განვითარების ოპტიმიზაციის თანამედროვე პედაგოგიური ტექნოლოგიები (ფიზიკის სწავლების მაგალითზე). თბ., უნივერსალი, 2011.
2. - 2004.
3. “ ”, “ : , 2002.
4. ხაზარაძე თ. რელატივისტური კლასიკური ფიზიკის საფუძვლები სასკოლო კურსში. თბ., თსუ 2005.
5. მაისურაძე ნ. ფიზიკის კურსის მეთოდოლოგიური სისტემის ორგანიზაცია სწავლების საბაზო საფეხურზე. თბ., უნივერსალი, 2012.

Nana Maisuradze

Sokhumi State University

THE USE OF CRITICAL THINKING TECHNOLOGY IN PHYSICS LESSONS RESUME

In the case of realization of the hardest process of education and upbringing of student there is a great importance of that activity direction, that basic, supporting regulations, by which we manage our work. In teaching process, the student acquires not only knowledge, but also, he establishes habits, beliefs, interests, world view. And this is his upbringing. In the process of acquiring knowledge, the student is being educated itself. The process of acquiring knowledge causes the development of thinking skill, and this is the upbringing already.

The teaching should start at the appropriate age. It should be difficult for student, but in such way, he has an ability to overcome it. Teaching should become wider and difficult with the general development of student on the ground of, first of all, the fact the student shouldn't relax, and secondly, we shouldn't cause excessive tension on his forces and interruption of his growth.

It's impossible to solve this problem only by traditional technologies, it's necessary to use pedagogic innovations. The main goal of teaching should be the application of research principles and acquiring of scientific

methods by student. This principle is the base of that phenomenon in didactics, which was called the critical thinking and is considered as one of the means of modern teaching organization.

Critical thinking is the high level of thinking, which isn't innate ability and is developed with the help of teacher. It is almost impossible to manipulate by the person with critical thinking. So, the skill of critical thinking always was important for person. Critical thinking is the searching of common sense – to judge objectively and act logically, as from the self-point of view, also considering others' thoughts. Critical thinking, which can promote new ideas and new opportunities, is very important when solving the problem.

The work presents one of the directions of modern education modernization and the use of this direction on the lessons of the physics on specific topics.

თეიმურაზ ორმოცაძე
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სასკოლო კონფერენციები როგორც ცოდნის გაღრმავების საშუალება (ორთოცენტრული ტეტრაედრის ზოგიერთი თვისების შესახებ)

საშუალო განათლების მიმართ მოთხოვნათა ყოველდღიური ზრდა ბადებს სწავლებისა და აღზრდის პრობლემებს, რომელთა გადაწყვეტაც ტრადიციული სწავლების მეთოდებითა და ხერხებით უკვე თითქმის შეუძლებელია. სწავლების მხოლოდ საგაკვეთილო ფორმა ვერ იტევს იმ დიდაქტიკურ ფუნქციების სიმრავლეს, რომელსაც თანამედროვე სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესი შეიცავს. სასწავლო მეცადინეობათა ფორმების მრავალფეროვნების აუცილებლობა “ეროვნულ სასწავლო გეგმაშია” აღწერილი. ამ დოკუმენტში რეკომენდებული სასწავლო მეცადინეობათა ფორმებიდან თითოეულზე და არა მხოლოდ რომელიმე ერთზე იქმნება უკეთესი პირობები სასწავლო მასალის უკეთ აღქმისა, შეძენილი ცოდნის დამოუკიდებლად განზოგადებისა და ამ ცოდნის სისტემაში მოყვანის უნარის გამომუშავებისათვის.

ვფიქრობთ, რომ მოსწავლეთა ცოდნის სისტემაში მოყვანა, გარდა გაკვეთილისა, ასევე შესაძლებელია სასკოლო კონფერენციებზე.

სასწავლო კონფერენცია სასურველია ჩატარდეს მთელ კლასთან (დაინტერესების შემთხვევაში შესაძლებელია სხვა კლასებთან გაერთიანებაც) ერთად შესაბამისი საგნის კაბინეტში, გაკვეთილების ცხრილით განსაზღვრულ დროს.

სასკოლო კონფერენციის დიდაქტიკური ფუნქციებია:

- ✓ კლასგარეშე ლიტერატურის გაცნობისა და შესწავლის უნარის ჩამოყალიბება.
- ✓ წაკითხული მასალის განზოგადებისა და მასში ძირითადი მასალის გამოყოფა.
- ✓ ამხანაგების მოხსენებებიდან ინფორმაციის მიღების უნარის შეძენა.


სასკოლო კონფერენციის წარმატებით ჩატარება დამოკიდებულია მოსამზადებელ პერიოდზე. დავალებათა ნაირსახეობა შესაძლებლობას ქმნის გავზარდოთ კონფერენციაზე მონაწილე მოსწავლეთა რიცხვი, ამით ავამაღლებთ მეცადინეობისადმი მათი ინტერესს, რომელიც ძალზე საჭიროა დღევანდელ საჯარო სკოლებისათვის.

წინამდებარე სტატიაში წარმოვადგენთ კონფერენციაზე წარსადგენ ერთ-ერთი საკითხს, კერძოდ – ტეტრაედრის ელემენტებს შორის ზოგიერთ საყურადღებო კავშირების შესახებ, რომლებსაც არავითარი ყურადღება არ ექცევა ელემენტარული მათემატიკის კურსში. ვფიქრობთ რომ აღნიშნული საკითხები დიდ დახმარებას გაუწევს მათემატიკის გაღრმავებული ცოდნით დაინტერესებულ პირებს.

ყველა ტეტრაედრეს არა აქვს ის ლამაზი თვისება, რომელიც სამკუთხედის სიმაღლეებს ახასიათებს, კერძოდ,

სამკუთხედის სიმაღლეების შემცველი წრფეები ერთ წერტილში (ორთოცენტრში) იკვეთებიან.

მაგრამ ზოგიერთ ტეტრაედრს აქვს ეს და სხვა მრავალი საინტერესო თვისება. მაგალითისთვის წარმოგიდგენთ ასეთ ტეტრაედრს, რომელიც მოცემულია (ნახ. 1) -ზე.



(ნახ. 1)

ტეტრაედრს, რომლის სიმაღლეები ერთ წერტილში იკვეთებიან, **ორთოცენტრული** ტეტრაედრი ეწოდება.

მოვიყვანოთ ორთოცენტრული ტეტრაედრის რამდენიმე საინტერესო თვისება:

1). ორთოცენტრულ ტეტრაედრში სიმაღლეების ფუძეები შესაბამისი წახნაგების ორთოცენტრებს წარმოადგენენ.

2). ორთოცენტრულ ტეტრაედრში საპირისპიროდ მდებარე წიბოები მართობულნი არიან.

3). ორთოცენტრულ ტეტრაედრში საპირისპიროდ მდებარე წიბოების კვადრატების ჯამი ტოლია.

4). ორთოცენტრულ ტეტრაედრში საპირისპიროდ მდებარე წიბოების შუაწერტილების შემაერთებული მონაკვეთები, რომლებსაც **ბიმედიანები** ეწოდებათ, ტოლია.

5). ორთოცენტრულ ტეტრაედრში მოპირდაპირე ორწახნაგა კუთხეების კოსინუსები ტოლია.

6). ორთოცენტრულ ტეტრაედრში წახნაგების ფართობთა ჯამი ოთხჯერ მცირეა მოპირდაპირე წიბოების ნამრავლთა კვადრატების ჯამზე.


თუ $ABCD$ ტეტრაედრში (ნახ. 2) შემოვიტანთ შემდეგ აღნიშვნებს: a, b, c, a_1, b_1, c_1 - თი აღვნიშნავთ წიბოებს, m_a, m_b, m_c - თი კი ბიმედიანებს, ხოლო $\hat{a}, \hat{b}, \hat{c}$ - თი წიბოებთან მდებარე ორწახნაგა კუთხეებს, მაშინ ზემოთ ხსენებული ორთოცენტრული ტეტრაედრის თვისებები შეიძლება ასეც ჩამოვყავალიბოთ:

ა) $a \perp a_1; b \perp b_1; c \perp c_1$,

ბ) $m_a = m_b; m_a = m_c; m_b = m_c$,


გ) $a^2 + a_1^2 = b^2 + b_1^2 = c^2 + c_1^2$,

დ) $\cos \hat{a} \cdot \cos \hat{a}_1 = \cos \hat{b} \cdot \cos \hat{b}_1 = \cos \hat{c} \cdot \cos \hat{c}_1$.



(ნახ. 2)

თუ ტეტრაედრის წიბოებზე გავავლებთ სიბრტყეებს რომლებიც მოპირდაპირე წიბოების პარალელური იქნება, მაშინ ეს სიბრტყეები შემოსაზღვრავენ პარალელებიპედს (ნახ.3), რომელსაც ტეტრაედრზე შემოხაზული პარალელებიპედი ეწოდება.



(ნახ. 3)

ასევე საინტერესოა ტეტრაედრის და მასზე შემოხაზულ პარალელებიპედის ელემენტებს შორის არსებული შემდეგი თანაფარდობანი:

1). ტეტრაედრზე შემოხაზული პარალელებიპედის სიმაღლეები ტეტრაედრის სიმაღლეების ტოლია.

2). ტეტრაედრზე შემოხაზული პარალელებიპედის მოცულობა სამჯერ მეტია ტეტრაედრის მოცულობაზე.

3). ტეტრაედრზე შემოხაზული პარალელებიპედის დიაგონალები ტეტრაედრის წახნაგებს სიმძიმის ცენტრის წერტილებში კვეთენ და ამ წერტილებით ისინი იყოფიან შეფარდებით 2:1-თან, იმ წეროს მხრიდან, სადაც პარალელებიპედისა და ტეტრაედრის წვეროები ერთმანეთს ემთხვევა.

თუ $ABCD$ ორთოცენტრული ტეტრაედრია, H მისი ორთოცენტრი, O და R მასზე შემოხაზული სფეროს ცენტრი და რადიუსი, ხოლო m მისი ბიმედიანის სიგრძე, მაშინ

➤ შემოხაზული პარალელებიპედის წვეროდან, რომელიც ტეტრაედრის A წვეროს მოპირდაპირეა, BCD წახნაგზე დაშვებული მართობი O წერტილში გადის.

➤ O და H წერტილები სიმეტრიულია ტეტრაედრის სიმძიმის ცენტრის მიმართ.

➤ $OH^2 = 4R^2 - 3m^2$.

➤ ტეტრაედრის წიბოების შუაწერტილები და ბისიმაღლეების ფუძეები ერთ სფეროზე მდებარეობენ.

➤ შემოხაზული პარალელებიპედისა და ტეტრაედრის სიმძიმის ცენტრები და წახნაგების ორთოცენტრები ერთ სფეროზე მდებარეობენ.

ვფიქრობთ, აღნიშნული საკითხი ერთ-ერთია იმ ულამაზესი საკითხების ჩამონათვალიდან, რომელიც შესაძლებელია მოსწავლეებმა სასკოლო კონფერენციაზე გამოიტანონ და გააცნონ ფართო საზოგადოებას (თავიანთ თანატოლებს). ასევე სასარგებლო და საყურადღებო იქნება საჯარო სკოლის მოსწავლეებისათვის და არა მარტო მათთვის, ზემოთ ნახსენები ზოგიერთი ტერმინის უფრო ახლოს გაცნობა.

ლიტერატურა:

1. თეიმურაზ ორმოცაძე - სასწავლო მეცადინეობათა ფორმების როლი მოსწავლეთა ცოდნის ამაღლებაში, საერთაშორისო პერიოდული გამოცემა "განათლება", 2010, №2.
2. თეიმურაზ ორმოცაძე - **The Role of Forms of Studies in Improving Pupils Knowledge**, Internacional periodical jurnal EDUCATION, 2010, №1.
3. თეიმურაზ ორმოცაძე - მართკუთხა სამკუთხედის რამდენიმე თვისების შესახებ, ფიზიკა - მათემატიკა სკოლაში, 2002.
4. I. V. Demidov, BI Kaverin. Logic. Questions and answers. M., 2002.
5. A. B. Beloshistaya. Methods of teaching mathematics in grade school. M., 2007.

Teimuraz Ormotsadze
Sokhumi State University
SCHOOL-AGE CONFERENCES AS A GREAT SOURCE OF KNOWLEDGE ACQUISITION
(SOME TRAITS OF ORTHOCENTRAL TETRAHEDRON)
RESUME

Increasing demand of education causes a lot of problems related to teaching and upbringing. It's nearly impossible to solve this problem with only traditional methods. Today's format of lesson doesn't give teachers chance to diverse process of learning. Despite of the fact that necessity of diversity is described in national syllabus, only few of teachers really try to accomplish it.

In my essay, I tried to talk about one interesting problem. To my mind this will help people who are interested in mathematics and especially in stereometry and beautiful figures of its field. Teachers also might find it helpful to make their lessons more interesting and comprehensible.

რუსუდან ფიფია, ქეთევან ჟორჟოლიანი
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

არაქართულენოვან მოსწავლეთა აკადემიური ჩართულობა სასწავლო პროცესში

ეროვნული უმცირესობების საზოგადოებაში ინტეგრაციისათვის მნიშვნელოვან როლს ასრულებს განათლების სისტემა. სრულფასოვანი მოქალაქის ჩამოყალიბებისთვის საჭიროა სახელმწიფო ენის ცოდნა და ლინგვისტური და კულტურული იდენტურობის დაცვა. განათლების სისტემამ უნდა უზრუნველყოს ზოგადადამიანური და ზოგადსახელმწიფოებრივი ღირებულებების შესწავლა და მიღება, ასევე ეროვნულ უმცირესობათა კულტურული იდენტურობის დაცვა და ინტერკულტურული განათლება.

გაერთიანებული ერების ბავშვთა კონვენციის თანახმად ყველა ბავშვს ენიჭება განათლების მიღების უფლება, ხოლო ხელმოწერი ქვეყნები აღიარებენ, რომ ბავშვის განათლება მიმართული უნდა იყოს "ბავშვისათვის თავისი მშობლებისადმი, თავისი კულტურული თვითმყოფადობის, ენის და ფასეულობების პატივისცემის ჩანერგვისაკენ; ბავშვის აღზრდისაკენ იმ ქვეყნის ეროვნული ფასეულობებისადმი პატივისცემის სულისკვეთებით, რომელშიც ის ცხოვრობს, ასევე იმ ქვეყნისა, სადაც იგი არის წარმოშობით" (გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, 1989). საქართველო 1994 წლიდან შეუერთდა ბავშვთა უფლებათა კონვენციის მხარდამჭერ ქვეყანათა რიცხვს. შესაბამისად საქართველოს მთავრობას აქვს პასუხისმგებლობა უზრუნველყოს ხარისხიანი ზოგადი განათლება ქვეყანაში მცხოვრები ყველა ბავშვისთვის განურჩევლად მათი ეთნიკური და რელიგიური წარმომავლობისა.

ხარისხიანი ზოგადი განათლების ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებული ფაქტორები განხილულია სხვადასხვა ორგანიზაციის მიერ სხვადასხვა პერიოდში ჩატარებულ კვლევებში. აღნიშნული კვლევების მიხედვით, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი ახალგაზრდებისთვის ხარისხიანი განათლების კუთხით განსაკუთრებული საჭიროებები არსებობს.

საქართველოში დღეისათვის 234 არაქართულენოვანი სკოლა (საჯარო სკოლების საერთო რაოდენობის 11%) და 404 არაქართულენოვანი სექტორი ფუნქციონირებს. საქართველოში დაახლოებით 72 ათასი ეთნიკურად არაქართველი მოსწავლეა. რაც შეეხება არაქართულენოვანი სკოლების პედაგოგთა რაოდენობას, ისინი საქართველოში მომუშავე საჯარო სკოლის მასწავლებელთა საერთო რაოდენობის (სულ 68779 პედაგოგი) 9,5%-ს (6541 პედაგოგს) შეადგენს.

გაეროს ბავშვთა ფონდის ინფორმაციით ზოგად განათლებაში ჩართულობის მაჩვენებელი განსხვავდება მოსწავლეების ეთნიკური მიკუთვნებულობის მიხედვით. დაწყებით სკოლაში დადის ეთნიკურად აზერბაიჯანელი ბავშვების 86%, ეთნიკურად სომეხი ბავშვების 93% და ეთნიკურად ქართველი ბავშვების 94%.(დევენპორტი, 2014). ხოლო ზოგადი განათლების საშუალო საფეხურზე ჩართულია ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი მოზარდების 59%, მაშინ როდესაც ეთნიკურად ქართველი მოსწავლეების 85% ირიცხება საშუალო საფეხურზე (International Institute for Education Policy, Planning and Management, 2011). არაქართულენოვანი მოსწავლეების განათლების ხარისხის დონეზე შეიძლება მიუთითებდეს სასკოლო საატესტატო და მისაღები გამოცდების შედეგები.

2012 წლის საატესტატო გამოცდებზე საკმაოდ დაბალი ქულები მიიღეს არაქართულენოვანი სკოლის მოსწავლეებმა. უფრო მეტიც, გარკვეულმა რაოდენობამ ვერ მოაგროვა გამოცდების ჩაბარებისთვის საჭირო ქულები. არაქართულენოვანი სკოლის კურსდამთავრებულებში ჩაჭრილთა პროცენტული რაოდენობა სხვადასხვა საგანში 8,23%-დან 29,95%-მდე მერყეობს. მაშინ როდესაც იგივე მაჩვენებელი საქართველოს მასშტაბით 1,53%-დან 4,54%-მდეა. (ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი მოსწავლეების საგანმანათლებლო საჭიროებების კვლევა 2016). არაქართულენოვანი სკოლების და ქართულენოვანი სკოლების მოსწავლეების საატესტატო შედეგების შედარებისას ნათელი ხდება, რომ არაქართულენოვან სკოლებში სწავლის ხარისხი შედარებით დაბალია ქართულენოვან სკოლებთან შედარებითაც.

ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების კუთხითაც მსგავსი სურათი იკვეთება. მიუხედავად იმისა, რომ ერთიანი ეროვნული გამოცდების ზოგადი უნარების ტესტს, სომხურენოვანი და აზერბაიჯანულენოვანი აბიტურიენტები მათ მშობლიურ ენაზე აბარებენ, 2010-2013 წლების მისაღებ გამოცდებზე ზოგადი უნარების ტესტებში სომხურენოვან და აზერბაიჯანულენოვანმა კურსდამთავრებულების ნაწილმა ვერ მოაგროვა მინიმალური ზღვარის გადალახვისათვის საჭირო ქულების რაოდენობა. მაშინ როდესაც ქართულენოვანი აბიტურიენტების 10% ჩაიჭრა უნარების ტესტების ჩაბარებისას, მათი სომხურ და აზერბაიჯანულენოვანი თანატოლების შემთხვევაში ეს მაჩვენებელი 27,8% შეადგენს (სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრი, 2014)

მნიშვნელოვანია აღნიშნოს, რომ სკოლის არჩევანის შესაძლებლობის თვალსაზრისით ერთ-ერთ მნიშვნელოვან დაბრკოლებას წარმოადგენს სწავლების ენა. ამ არჩევანს განსაკუთრებით ზღუდავს ბილინგვური სკოლების არარსებობა, რადგან ხშირ შემთხვევაში მშობელს სურს როგორც სახელმწიფო ენის სწავლება საკუთარი შვილისთვის, ისე მშობლიური ენის შენარჩუნება. შესაბამისად, არაქართულენოვან სკოლებში ბილინგვური პროგრამებისა და მოდელების არარსებობა ზღუდავს მშობლის არჩევანს ამ კონკრეტულ კონტექსტში (სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრი, 2014, გვ. 57).

მიუხედავად იმისა, რომ ეთნიკურ უმცირესობათა შედარებით დიდი ჯგუფებისთვის (აზერბაიჯანელი, სომეხი) სწავლება შესაძლებელია მათ საკუთარ ენაზე, სასკოლო წიგნები ქართული სახელმძღვანელოების თარგმნილი ვერსიებია. კვლევის მონაწილეებმა ხაზი გაუსვეს თარგმანების შედარებით ცუდ ხარისხს. ასევე პრობლემად დასახელდა ის გარემოება, რომ სომეხი და აზერბაიჯანული თემებისთვის ქართული ენის სწავლების საათები სკოლებში არ არის საკმარისი (გაეროს ქალთა ორგანიზაცია, 2014).


2016 წელს ჩატარებული ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი მოსწავლეების საგანმანათლებლო საჭიროებების კვლევის მიხედვით ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი მოსწავლეების საგანმანათლებლო პროცესთან დაკავშირებული პრობლემები უკავშირდება სახელმძღვანელოების, მასწავლებლების პროფესიული განვითარებისათვის საჭირო რესურსებს, არაქართულენოვანი მასწავლებლების ენობრივ კომპეტენციას და სხვა რესურსებზე ხელმისაწვდომობას. ამ მოსწავლეების წინაშე არსებული გამოწვევები ძირითადად უკავშირდება უმღლესი განათლების ხელმისაწვდომობას და არაქართულენოვან სკოლებში სწავლების ხარისხს, რომლებიც რიგი ხელშემწყობი და „საშელავათო“ ინიციატივების მიუხედავად კვლავ წარმოადგენს მნიშვნელოვან ბარიერს ხარისხიანი განათლების მისაღებად.

ამავე კვლევის მიხედვით ისეთი ინიციატივები, როგორიცაა ქართული ენის სწავლების ხელშემწყობი სახელმწიფო პროგრამები, გაზრდილი ვაუჩერული დაფინანსება არაქართულენოვანი მოსწავლეებისათვის, თარგმნილი სახელმძღვანელოები, უმაღლეს სასწავლებლებში კვოტირების სისტემა, გამარტივებული ჩარიცხვა უმაღლესი განათლების საფეხურზე, ქართულ ენაში მომზადების ერთწლიანი საუნივერსიტეტო პროგრამა და სხვა მთლიანობაში დადებითად ფასდება. თუმცა აღნიშნული ღონისძიებები ვერ აღმოჩნდა საკმარისი საუნივერსიტეტო განათლების ხელმისაწვდომობის რადიკალურად გაზრდის თვალსაზრისით.

ჩატარებული კვლევისა და არსებული ლიტერატურის მიმოხილვის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი მოსწავლეები მართლაც დგანან გარკვეული გამოწვევების წინაშე, რომელიც შეიძლება არ იყოს პრობლემატური მათი ქართულენოვანი თანატოლების შემთხვევაში.

ლიტერატურის ანალიზის უკეთ საილუსტრაციოდ ჩავატარეთ არაქართულენოვან მოსწავლეთა აკადემიური ჩართულობის კვლევა. კვლევის მიზანს წარმოადგენდა არაქართულენოვან მოსწავლეთა აკადემიური სირთულეების გამოკვეთა საშუალო საფეხურზე და იგივე მიმართების დადგენა უმაღლეს საფეხურზე. კვლევის ფარგლებში გამოყავით ორი მიზნობრივი ჯგუფი - (1) სკოლა და (2) უმაღლესი სასწავლებელი. ამჯერად წარმოგიდგენთ სკოლებში ჩატარებული კვლევის შედეგებს, რომელზე დაყრდნობითაც ჩვენ ვიკვლიეთ უმაღლესი სასწავლებლების არაქართულენოვანი სტუდენტების საჭიროებებიც.

დიაგრამა 1



საკვლევ საკითხს წარმოადგენდა მოსწავლეთა აკადემიური ჩართულობა სასწავლო პროცესში ნინოწმინდის N1 საჯარო სკოლის (სომხურენოვანი) და კირხილოს საჯარო სკოლის (აზერბაიჯანულენოვანი) მაგალითზე.

სამცხე-ჯავახეთში, ქალაქ ნინოწმინდის N1 საჯარო სკოლაში ირიცხება 303 მოსწავლე და 46 მასწავლებელი. კვლევის მიზანი იყო აკადემიურ ჩართულობასთან დაკავშირებული სირთულეების გამოკვეთა.

პროცესის აღწერა: პირველ ეტაპზე გამოვიყენეთ კვლევის თვისებრივი მეთოდი: ფოკუს ჯგუფი, რამაც საშუალება მოგვცა რაოდენობრივი კვლევისთვის კითხვების სწორად ფორმულირებაში. ფოკუს ჯგუფის მიმდინარეებისას მონაწილეობას იღებდა 10 სომეხი ეროვნების საშუალო საფეხურის მოსწავლე. ფოკუს ჯგუფის წარმართვისას ორივე სკოლის შემთხვევაში ძირითად სირთულეს ენობრივი ბარიერი წარმოადგენდა. თავდაპირველად, სწორედ სუსტი ენობრივი კომპეტენციის მიზეზით ერიდებოდნენ პასუხის ვრცლად ჩამოყალიბებას, თუმცა დამაზუსტებელი შეკითხვების მეშვეობით მოხერხდა ძირითადი აზრის გაგება კონკრეტულ საკითხებთან დაკავშირებით.

სასწავლო პროცესში არსებულ ძირითად სირთულედ მოსწავლეები ქართული ენის არასათანადო ცოდნას და წერითი დავალებების შესრულებას მიიჩნევენ. მათი თქმით მასწავლებლები კითხვა-პასუხის მეთოდითა და საინტერესო შეჯიბრებებით, თამაშებით ცდილობენ მათ გააქტიურებას საგაკვეთილო პროცესში. თავის მხრივ მოსწავლეები თვლიან, რომ ისინი მეტი ხალისით ჩაერთვებიან სასწავლო პროცესში უფრო თანამედროვე და საჭიროებებზე მორგებული ფიზიკური გარემოს არსებობის შემთხვევაში. მეცნიერები თვლიან, რომ ცოდნის სულ მცირე 60%-ს ბავშვი აგროვებს იმ გამოცდილების საფუძველზე, რომელსაც ის ვიზუალურად და შეხებით ღებულობს. სწორედ ამიტომ მნიშვნელოვანია გარემო, რომელშიც მოსწავლეს უხდება ახალი ცოდნისა და გამოცდილების შეძენა. ერთ-ერთი მათგანი ამბობს: " მაგალითად, ქიმიის, ფიზიკის თანამედროვე კაბინეტები რომ იყოს უფრო საინტერესო და გასაგები იქნებოდა გაკვეთილები ჩემთვის".

ფოკუს ჯგუფის მონაწილე მოსწავლეთა უმეტესობა აღნიშნავს რომ ხშირად არ სტუმრობენ ბიბლიოთეკას, რადგან ცოტა წიგნია და ისიც ძველი, ხშირად მათთვის საინტერესო წიგნები არ აღმოჩნდა არსებულ მედიათეკაში. სკოლაში არსებული სწავლების დონით ძირითადად კმაყოფილებას გამოთქვამენ, ერთადერთი რესურსი რაც მათ ხელიშემშლელ ფაქტორად დაასახელეს იყო უინტერესო სახელმძღვანელოები.

ეფექტური სასწავლო გარემოს შექმნა როგორც კომფორტულ ფიზიკურ გარემოს, ასევე უსაფრთხო ემოციური ატმოსფეროს შექმნას გულისხმობს. მასწავლებლის მხრიდან პოზიტიური დამოკიდებულების დემონსტრირება კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია უსაფრთხო გარემოს შესაქმნელად. მოსწავლეები ერთხმად აღნიშნავენ მასწავლებლების მხრიდან პოზიტიურ დამოკიდებულებას. ერთ-ერთი მათგანი

ამბობს: "ყველანი კარგი ადამიანები არიან, ყველა მასწავლებელთან მაქვს კარგი ურთიერთობა. მე ისინი ძალიან მიყვარს".

რაოდენობრივი მეთოდის ფარგლებში გამოიკითხა ნინოწმინდის N1 საჯარო სკოლის საშუალო საფეხურის 40 მოსწავლე. გამოკითხულთაგან 25 გოგო და 15 ბიჭია. მოსწავლეთა 82 %-ისათვის მისაღები სასწავლო გარემოა სკოლაში, ხოლო 18% - თვის მიუღებელი. მათი 52% კმაყოფილია სკოლაში არსებული სწავლის დონით, 48% უკმაყოფილოა.

მოსწავლეთა 40% მიიჩნევს, რომ მასწავლებელი იშვიათად ითვალისწინებს მათ შეხედულებებს, 37% არასოდეს, 23% ყოველთვის.

მასწავლებლისთვის დახმარების თხოვნით იშვიათად მიუმართავს მოსწავლეთა 42%, 30% არასოდეს, ხოლო არ ახსენდება მსგავსი შემთხვევა 10 %.

მოსწავლეთა 40%-ისათვის წერითი დავალებების შესრულება წარმოადგენს ყველაზე დიდ პრობლემას. 27%-ისთვის მომზადებული მასალის ზეპირი გადმოცემა, 11% მოსმენილი მასალის გააზრება, 10% მასალის ათვისება, 7% პრეზენტაციების მომზადება, 5% ლიტერატურის გაგება .

მოსწავლეთა 30 % მიიჩნევს, რომ თანაკლასელებზე უფრო ნაკლებადაა ჩართული სასწავლო პროცესში და ამის მიზეზად 75% თანაკლასელებთან ურთიერთობის ბარიერს ასახელებს, ხოლო 25% მასწავლებლებთან ურთიერთობის ბარიერს.

დამოუკიდებლად ინტერნეტის საშუალებით ინფორმაციის მოძიებას გამოიკითხულთა 75 % ახერხებს, ვერ ახერხებს 10 %, უჭირს 15 %.

აკადემიური ბარიერების ადვილად დაძლევის მოლოდინი აქვს მოსწავლეთა 45%, ხოლო ბარიერების დაძლევა სირთულედ ეჩვენება 55%.

მეორე სამიზნე სკოლა მდებარეობს მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ კირიხლოში. სკოლას ჰყავს 164 მოსწავლე და 21 მასწავლებელი.

ფოკუს ჯგუფის მიმდინარეობისას გამოიკვეთა რამდენიმე საინტერესო ფაქტი. სასწავლო პროცესში არსებულ ძირითად სირთულედ მოსწავლეები ქართული ენის არასათანადო ცოდნას და ნასწავლი მასალის ზეპირად გადმოცემას მიიჩნევენ. სასწავლო პროცესში მოსწავლეთა აქტიურად ჩართვას მასწავლებელი ცდილობს ექვსკურსიებით, პრეზენტაციის, ჯგუფური მუშაობისა და საკლასო დისკუსიის მეთოდის გამოყენებით. მოსწავლეები თვლიან, რომ საგაკვეთილო პროცესში კომპიუტერის და ინტერნეტის უფრო ხშირი გამოყენების შემთხვევაში მეტი ხალისით ჩაერთვებიან სასწავლო პროცესში. ერთ-ერთი მათგანი ამბობს: „მინდა უფრო ხშირად გამოვიყენოთ ინტერნეტი და კომპიუტერი გაკვეთილზე, ვფიქრობ ასე უფრო სახალისო იქნება“.

ფოკუს ჯგუფის მონაწილე მოსწავლეთა უმეტესობა აღნიშნავს რომ არასდროს სტუმრობენ ბიბლიოთეკას, რადგან სასურველი ინფორმაციის მოძიებას ინტერნეტის საშუალებით ახერხებენ. მოსწავლეებმა ერთხმად აღნიშნეს მასწავლებელთა პოზიტიური დამოკიდებულება და სკოლაში არსებული სწავლების დონით კმაყოფილებას გამოთქვამენ, მათ ვერ დაასახელეს რაიმე ხელისშემშლელ ფაქტორი, რაც შეიძლება შემაფერხებელ ფაქტორად ჩაითვალოს სასწავლო პროცესის უკეთ წარმართვაში.

რაოდენობრივი მეთოდის ფარგლებში გამოიკითხა კირიხლოს საჯარო სკოლის საშუალო საფეხურის 40 მოსწავლე. გამოკითხულთაგან 29 გოგო და 11 ვაჟია.

სომხურენოვანი საჯარო სკოლის მონაცემებისგან განსხვავებით, აზერბაიჯანულენოვან სკოლაში არსებული აკადემიური სასწავლო გარემო მისაღებია გამოკითხული მოსწავლეთა 100%-ისათვის და მოსწავლეთა იგივე რაოდენობა არის კმაყოფილი სკოლაში არსებული სწავლის დონით. მოსწავლეთა 92,5% ხშირად მიმართავს მასწავლებელს დახმარების თხოვნით, ხოლო 7,5% იშვიათად იყენებს მასწავლებლის დახმარებას სწავლის პროცესში. მოსწავლეთა 87,5%-ის აზრით მასწავლებლები ყოველთვის ითვალისწინებენ მათ შეხედულებებს, 12,5 % თვლის, რომ მასწავლებლები იშვიათად ითვალისწინებენ მათ მოსაზრებებს.

მოსწავლეთა 40% ყველაზე ხშირად ჩართულია ჯგუფურ მუშაობაში, 32,5% პრეზენტაციის მომზადებაში, ყველა აქტივობაში 17,5%, საკლასო დისკუსიაში 5% და იგივე მაჩვენებელია იმ მოსწავლეების შემთხვევაშიც, ვინც არცერთ აქტივობაში არ იღებს მონაწილეობას. დასახელებული აქტივობებიდან მოსწავლეთა 52,5 %-ისათვის ყველაზე დიდ სირთულეს მომზადებული მასალის ზეპირი გადმოცემა წარმოადგენს. 30% მოსმენილი მასალის გააზრება, მასალის ათვისება 7,5% და იგივე პროცენტული მაჩვენებელი მოდის პრეზენტაციის მომზადებაზე, ლიტერატურის გაგება სირთულეს წარმოადგენს 2,5 %-ისათვის. არცერთი გამოკითხული მოსწავლისათვის არ წარმოადგენს სირთულეს წერითი დავალებების შესრულება.

გამოკითხული მოსწავლეების 100% მიიჩნევს, რომ ის ისევე ჩართული სასწავლო პროცესში როგორც მისი თანაკლასელი. ჩართულობის დონე სასწავლო პროცესში სწავლის დაწყებიდან გაიზარდა

მოსწავლეთა 90 % -ის თქმით, ხოლო შემცირდა 10 %. მოსწავლეთა 87,5% ახერხებს ინფორმაციის დამოუკიდებლად მოძიებას, 7,5 % ვერ ახერხებს, ხოლო უჭირს 5%.

ყველა გამოკითხული მოსწავლე თვლის რომ ადვილად დაძლევა დია მოსალოდნელ აკადემიური ბარიერები უნივერსიტეტში და სახელმწიფო ენის უკეთ ცოდნის შემთხვევაში.

კვლევის შედეგად მიღებული მონაცემებით გამოიკვეთა, რომ სასწავლო აქტივობები, რომელიც საუნივერსიტეტო სწავლებისას უნდა განახორციელონ მომავალმა სტუდენტებმა და მათმა მასწავლებლებმა, შეიძლება იყოს იმაზე რთული, ვიდრე მოსწავლეებს ეს წარმოუდგენიათ, რადგანაც საუნივერსიტეტო სწავლება ფუნდამენტური მეცნიერებების ქართულ და უცხოურ ენაზე სწავლაზეა ორიენტირებული. ამიტომაც, როცა სწავლების საკითხებში მეთოდური პრობლემები წამოიჭრება, ვთანხმდებით მიდგომაზე, რომ მეთოდები მუდმივად იცვლება და, ერთი ცხადია, არ არსებობს ყველასთვის უნივერსალური მეთოდი, მთავარი არის შემსწავლელზე ორიენტირება და, აქედან გამომდინარე, სწავლების სხვადასხვა მეთოდის თუ მათი ცალკეული ელემენტების მოდიფიცირება, შერწყმა. უფრო და უფრო აქტუალური ხდება შემსწავლელის ავტონომიურობის გაღრმავება, კოგნიცია და შემოქმედებითი სწავლება, ახალი მედიების გამოყენება სწავლების პროცესში, ქმედებაზე ორიენტირება ისე, რომ შემსწავლელმა მართლაც თავისუფლად შეძლოს უცხოენოვან გარემოში ენობრივი „ქმედება“ და არ შემოიფარგლოს გაკვეთილზე რეალური სიტუაციის სიმულაციით (თინათინ კილურაძე, ეკატერინე ქუთათელაძე: გვ.4). ასეთი მიდგომა არაქართულენოვან მოსწავლეთა სწავლებისადმი გაზრდის მათ აქტიურობას და, შესაბამისად მათი ჩართულობაც სასწავლო პროცესში, ყველა საფეხურზე, იქნება შედეგიანი.

ლიტერატურა:

1. ბავშვთა უფლებების კონვენცია, გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, 1989. From:http://unicef.ge/uploads/CRC_georgian_language_version.pdf
2. გაეროს ქალთა ორგანიზაცია. ეთნიკური უმცირესობების ქალთა საჭიროებები და პრიორიტეტები საქართველოში, თბ., 2014.
3. დევენპორტი, ს. ეთნიკურად აზერბაიჯანელებისა და სომხების სტატუსი. პროექტი, გაეროს ბავშვთა ფონდი. თბ., 2014.
4. ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი მოსწავლეების საგანმანათლებლო საჭიროებები (კვლევა და პოლიტიკის დოკუმენტები), რედაქტორები: თ. მოსიაშვილი, ს. გორგოძე, ს. ჯანაშია, თბ., 2017.
5. სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრი. ზოგადი განათლების ვაუჩერული დაფინანსების ეფექტურობის კვლევა თანასწორობის კონტექსტში. თბ., 2014.
6. თინათინ კილურაძე, ეკატერინე ქუთათელაძე, ქართულის, როგორც უცხო ენის, სწავლების მეთოდოლოგია, თბ., 2013.
7. International Institute for Education Policy, Planning and Management. Education Access and Equity in the Caucasus Region. Georgia, 2011
8. Krause, Kerry-Lee. Understanding and promoting student engagement in university learning communities. Queensland. James Cook University. 2005.
9. Kuh, George. The national survey of student engagement: Conceptual and Empirical Foundations. Bloomington. Indiana University. 2005.
10. Pike, Gary and Kuh, George. A Typology of Student Engagement for American Colleges and Universities. Kluwer Academic Publishing. 2005.

Rusudan Pipia, Ketevan Zhorzholiani
Sokhumi State University

ACADEMIC ENGAGEMENT OF NON-GEORGIAN STUDENTS IN THE EDUCATIONAL PROCESS RESUME

The educational system has an important role in integrating minorities into the society. Knowledge of the state language and the protection of linguistic and cultural identity is required for the establishment of a full-fledged citizen. The education system should ensure the study and adoption of general and general-state values, as well as the protection of cultural identity of national minorities and intercultural education.

According to various studies, the challenges faced by pupils are mainly related to availability of higher education and the quality of teaching in non-Georgian schools, which, despite a number of facilitating and "grace" initiatives, still provide a significant barrier for quality education.

We have conducted research on the academic engagement of non-tutoring pupils in order to assess the needs and future educational interventions in the future. The aim of the research was to identify the academic difficulties of non-Georgian students at the secondary level and to establish the same direction at the highest level.

Based on our research and review of the existing literature, we can conclude that the representatives of ethnic minorities are really faced with some challenges that may not be problematic for their Georgian peers.

პაატა ქურდაძე
გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

რუსთაველის „მიჯნურობის“ აღმზრდელობითი მნიშვნელობა

რუსთველი პოემა „ვეფხისტყაოსანში“ გამოყენებული მრავალფეროვანი მოტივებიდან გამომარჩევს მიჯნურობას. რატომღაც რუსთველმა უპირატესად მიიჩნია იგი, რაკი მის შესახებ პროლოგშივე მსჯელობს. ჩვენი აზრით მან პოემის დასაწყისშივე განგვიმარტა, რომ პოემის განვითარება სწორედ მიჯნურობას და მიჯნურთა საქმეების აღწერას შეეხებოდა. რუსთველოვანია ამ საკითხს თითქმის ყველა მკვლევარი შეეხო და თავისებურად წარმოაჩინა. მაგრამ მიუხედავად რუსთველისეული მიჯნურობის სხვა და სხვაგვარი გაგებისა, მათი უმეტესობა აღნიშნავს, რომ „ამ „საცოდნელადნელად ძნელ გვარს „პოეტი ამაღლებულ, საზეო საქმეთ მიჩნევს და მას პლატონის იდეათა სამყაროში პირველობას ანიჭებს“ (3, 3). მთელ „ვეფხისტყაოსანში“ რუსთველი მხოლოდ ერთად-ერთ ტერმინს განმარტავს. ეს ტერმინია „მიჯნური.“ რუსთველი გვიხსნის მის მნიშვნელობას, რომ სიტყვა „მიჯნური“ არაბული ენიდან მომდინარეობს:

„მიჯნური შმაგსა გვიქვიან არაბულითა ენითა,

მით რომე შმაგობს მისისა ვერ-მიხვდომისა წყენითა“.

„მართლაც, არაბულში არის ტერმინი „მაჯუნ“, რაც ზებუნებრივი სიყვარულით შეპყრობილ ადამიანს ნიშნავს. ეს ტერმინი გამოიყენებოდა სუფისტურ ლიტერატურაში, სადაც ხშირად ქალისადმი გაშმაგებულ მიჯნურობაზე იყო საუბარი, მაგრამ მასში ალეგორიულად ღმერთისადმი მისწრაფება იგულისხმებოდა.“ (9, 29). რუსთველი აქვე სტროფის მეორე ნაწილში გვიხსნის მიჯნურის გაშმაგების მიზეზს, ეს მიზეზია „მისისა ვერ-მიხვდომისა წყენითა“. მკვლევარა ერთი ნაწილის (7, 30) აზრით, სიტყვაში „მისისა“ ღვთაება, ღმერთი იგულისხმება. მაშასადამე რუსთველთან მიჯნურობაში არ იგულისხმება მარტო კაცისა და ქალის სიყვარულის ჩვეულებრივი გაგება. იგი ფიზიკური რეალობიდან განსხვავებული სიყვარულის გამორჩეული, განსაკუთრებული ფორმაა. საერთოდ, განზოგადებულად თუ ვიმსჯელებთ, სიყვარული შეიძლება გულისხმობდეს ქალის, მშობლის, მეგობრის სამშობლოს ან ცხოველის, საგნის სიყვარულს. ასეთი სახის სიყვარულში აუცილებელი არ არის იყოს გამოხატული აქტიური მოქმედება. მაგრამ მისგან განსხვავებით რუსთველი მიჯნურობაში გულისხმობს „გაშმაგებულ“ სწრაფვას, დინამიურ ქმედებას მიზნის მისაღწევად. სიშმაგე შეიძლება გამოწვეულია იმით, რომ ამისათვის დიდი ენერგია და ძალისხმევაა საჭირო. თუმცა შეყვარებული კაციც ცდილობს საყვარელი ქალის გულის მონადირებას. რუსთველი, რა თქმა უნდა, ამის შესახებაც საუბრობს, რომ საყვარელს უნდა უჩვენო საგმირო საქმენი:

„ბედით ბნედა, სიკვდილი რა მიჯნურობა გგონია?

სჯობს საყვარელსა უჩვენო საქმენი საგმირონია,“

მაშასადამე, რუსთველის აზრით, პასიური განცდა სიყვარულისა მიჯნურობასთან შეუფერებელია, ეს არ არის მიჯნურის დამახასიათებელი უნარი. მიჯნურობა არ არის პასიური, მიჯნური უნდა მოქმედებდეს, საგმირო საქმეებს უნდა სჩადიოდეს, რათა უჩვენოს სატრფოს, რომ მისი ქმედება მიზანსწრაფულია დასახული სიმაღლეების დასაპყრობლად. ეს სიმაღლე, რუსთველის აზრით, ზენა სამყაროა, მხოლოდ ზენა სამყაროდან მიიღწევა უფალთან მიახლოება. რაც მიჯნურისათვის მთავარი საწადელია.

გმირობის გაგება ორნაირად შეიძლება: ერთი საზოგადო, რომელიც მტერთან ბრძოლაში ვლინდება. გმირობა ამ შემთხვევაში არის განსაკუთრებული სიმამაცით ბრძოლა, რაც განასხვავებს გმირს დანარჩენი

მებრძოლებისაგან, ბრძოლაში უშიშარ ძალიხმევით, მეორე არის ბრძოლა პიროვნული ფორმირების გზაზე მავნე, არასასურველ ჩვევებისა და სურვილების წინააღმდეგ. პირველ შემთხვევაში მოწინააღმდეგედ გვევლინება მომხდური უცხო მტერი, ხოლო, მეორე შემთხვევაში, არასრულყოფილი შინაგანი „მე“. პირველ შემთხვევაში მიზანი საკუთარი ოჯახის, სამშობლოს დაცვაა. მეორე შემთხვევაში, მიზანი საკუთარი პიროვნული „მეს“ სრულყოფა და ამის საფუძველზე ღმერთისკენ სწრაფვაა. ესე იგი ზემოთ პოემის სტროფში მოცემული „მიჯნურის“ შმაგობის მიზეზი არის განაწყენება ღვთიურობამდე, ანუ ღმერთამდე მიუღწევლობა „ვერ-მიწვდომობა“ და იგი გაშმაგებული იღვწვის მის მისაღწევად.

ზვიად გამსახურდია თავის ფუნდამენტურ მონოგრაფიაში „ვეფხისტყაოსნის სახისმეტყველება“ რუსთველისეული „მიჯნურობის“ პარალელებზე მიგვანიშნებს შუასაუკუნეობრივ დასავლეთ ევროპის არაბულ და ტრუბადურულ პოეზიასთან (4, 82). ეს პარალელები მართლაც ძალიან საინტერესოა, მათი ანალიზის მეშვეობით შესაძლებელი ხდება „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის შინაარსში სიღრმისეული წვდომა.

განვიხილოთ ტრუბადურული პოეზიის „მიჯნურის“ მდგომარეობის ოთხი ძირითადი ეტაპი: 1. *soupirant* (კაცი, რომელიც იტანჯება ოხრავს, სულს დაფავს); 2. *suppliat* (ხვეწის პოზიციაში მყოფი, მავედრებელი კაცი); 3. *amant agre* (შეწყნარებული მჯნური); 4. *amant charnetlle* (ხორცადი მიჯნური). რაც, შეეხება ტრუბადურული „მჯნურის“ სიქველეს, ესენია: სიმდაბლე, მორჩილება, სიმამაცე, ერთგულება, გულიანობა, ლოიალობა, მსახურება, მიჯნურობით შმაგობა, მხიარული ბუნება, ხალისიანობა, სირწველე, განშორებისას ურვა და ოხვრა და სხვ. მისი თვისებებია: კეთილშობილი წარმოშობა, მშვენება, სიუხვე, სინაზე, გრაციოზულობა,

ხვრა, გულადობა. ამასთანავე უმთავრესი სათნოებაა ლოცვა ღვთისადმი მიჯნურთან შესაერთებლად, სიყვარულში დასახმარებლად (9, 208). ზვიად გამსახურდიას მიხედვით ტრუბადურული მიჯნურის ოთხ ეტაპს შეესაბამება ვეფხისტყაოსნის გმირთა მდგომარეობა სხვადასხვა ეპიზოდებში, აგრეთვე პროლოგში მოცემული განსაზღვრებანი მიჯნურისა. შემდეგში ზ. გამსახურდია ერთმანეთს ადარებს ტრუბადური მიჯნურის თვისებებს და სიქველეს რუსთველისეულ მჯნურის სიქველესა და თვისებებთან. მისი აზრით, პროლოგში მოცემული რუსთველური მიჯნურობის კრედო, ანუ „მიჯნურთ ზნეობა“ შეიცავს ყველა იმ ძირითად შტრიხებს რაც ტრუბადურულ მიჯნურთან გვხვდება (4, 83). ეს მართლაც ასეა. აქვე გვინდა ყურადღება გავამახვილოთ იმ თვისებებზე, რაც რუსთველის აზრით აუცილებელია მიჯნურისთვის:

„მიჯნურსა თვალად სიტურფე ჰმართებს, მართ ვითა მზეობა,
სიბრძნე, სიმდიდრე, სიუხვე, სიყმე და მოცალობა,
ენა, გონება, დათმობა, მძლეოთა მებრძოლთა მძლეობა,
ვისაც ეს სრულად არა აქვს, აკლია მიჯნურთ ზნეობა“.

განვიხილოთ ეს თვისებები ცალ-ცალკე. „სიტურფე“ მას ხელნაწერში „სიკეთე“ ენაცვლება და არა „სილამაზე“. „სიტურფის“ უპირატესობას პოემაშივე ეძებნება ახსნა სინტაგმით „გაეტურფა სინაზესა“. ეს თვალსაჩინოს ხდის, რომ პოეტი „სიტურფეში“ მარტო ფიზიკურ თვისებას არ მოიაზრებდა. იქნებ, ამავე აზრს ემოწმება ბარათაშვილის სატროფიც

„თვით უკვდავება მშვენიერსა სულში მდგომარებს“.

სულხან-საბაც „ტურფას“ განმარტავს, როგორც „უცხო რამ ლამაზს“ (3, 5)

ის, რომ რუსთველი „ტურფაში“ მოიაზრებდა, როგორც ფიზიკურ საგნებს, ასევე ადამიანის სილამაზეს და მის სულიერ ღირებულებებს, ჩანს იქიდან, რომ „ტურფად“ „ვეფხისტყაოსანში“ ნახსენებია როგორც სულიერი, ასევე უსულო საგნები: სახე, ენა, ბაღნარი, სიმღერა, მიჯნურობა, ტაიჭი, სიტყვა. ეს ორი ცნება, რომ გარკვეული ნიუანსით გამოიჯნულია, ჩანს სინონიმურ წყვილად მათი წარმოდგენითაც: „ტურფასა და ლამაზსა“, „სიტურფე სინაზეა“, „სიტურფის“ უპირატესობაზე ხაზგასმას გვკარნახობს. ჩახრუხადის ფრაზაში „სტრფობს ჯვარი“, შერწყმულია სილამაზე ფიზიკური და სულიერი. (4, 5) სიტყვა «ტურფას» განმარტებისას ო. ქვრივშვილი ამ სიტყვის არსის განმარტებისას ეყრდნობა დიონისე არეოპაგელისეულ ტერმინს „ტრფიალებას“. დიონისე არეოპაგელი აღნიშნავს, რომ მიწიერი სიყვარულის გაიგივება არ შეიძლება ტრფიალებასთან, ისინი სხვადაცხვა ცნებებია.

რაც შეეხება ჭეშმარიტ ტრფიალებას, იგი სიკეთესთან ერთად ღმერთის უმთავრესი ნიშანია. სწორედ პირველმიზეზში (სიკეთეში) არსებულმა ტრფიალებამ პირველმიზეზს ქმნადობისაკენ უბიძგა. ყოველგვარი ღვთაებრივი ქმნადობის სათავე ტრფიალებაა (7, 31).

რუსთველიც სრულად იზიარებს არეოპაგელის კონცეფციას იმის შესახებ, რომ „ჭეშმარიტი ტრფიალებია უფროის სიყვარულისა“. ტრფიალება სიკეთეში არსებული მარადიული ძალაა. ამქვეყნად იგი სიყვარულის სახითაა წარმოდგენილი, რაც, მართალია, დაბალი ფორმაა ტრფიალებისა, მაგრამ მისი აღწერით შესაძლებელია წარმოდგენა შევიქმნათ მის ღვთაებრივ წარმომავლობაზე - ჭეშმარიტ ტრფიალებაზე. დიონისე არეოპაგელის „ტრფიალება“ და სუფისტური „მიჯნურობა“ მსგავსი ცნებებია.

იმის თქმაც შეიძლება, რომ სუფისტური ტერმინი სწორედ არეოპაგისეული ტერმინის ინტერპრეტაციდან მომდინარეობს (7, 32).

ზემოთ ხსენებულ ტექსტში მეტად საკამათო საკითხია ტერმინი „სიმდიდრის“ განმარტება. „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტში სიტყვა „სიმდიდრის“ რეალობაში და „მიჯნურის“, ანუ იგივე რაინდის თვისებებში მის აუცილებლობაზე პირველი დაეჭვდა რუსთველოლოგი ი. აბულაძე, მან H 559 ხელნაწერის მიხედვით უპირატესობა მიანიჭა სიტყვა „სიმდაბლეს“ ამის საფუძველზე 1926 წლის „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემულ ტექსტში „სიმდიდრის“ ნაცვლად შეტანილ იქნა სიტყვა „სიმდაბლე“, რამეთუ ის უფრო შეფერება რაინდის, იგივე „მიჯნურის“ უნარებს (3, 7). სიმდაბლე, რომ რუსთველის „მიჯნურისათვის“ ტრუბადურული რაინდის მსგავსად აუცილებელი ატრიბუტია, ამის შესახებ ზ. გამსახურდიაც მიუთითებს, თუმცა არაფერს ამბობს, თავს იკავებს ტექსტში არსებულ სიტყვა „სიმდიდრის“ მართებულებაზე (4, 84) „ტრუბადურულ soupirant-ის მსგავსად რუსთველისეული მიჯნური ოხრავს, რა მოსცილდება სატრფოს და განამრავლებს „სულთქმა უშს“. მისი სიმდაბლე და მორჩილება სატრფოსადმი თვალსაჩინოა: „დათმოს წყრომა მოყვასისგან, მისი ქონდეს, შიში კრძალვა“. (4, 82) ი. აბულაძეს ეთანხმება პ. ინგოროყვაც (6, 37) მაგრამ მიუხედავად ამისა, ნ. მარმა 1954 წლის გამოცემაში, რატომღაც მაინც „სიმდიდრეს“ მისცა უპირატესობა (3, 7) ჩვენი აზრით, ტექსტში „სიმდაბლე“ უფრო სავარაუდოა, რამდენადაც სიმდაბლე ზნეობრივი ფენომენია და უფრო უფრო მიესადაგება „მიჯნურის“ ხასიათს, ვიდრე სიმდიდრე.

რაც შეეხება „სიბრძნეს“, ამ სიტყვას არ სჭირდება დაწვრილებითი განმარტება, დავძენთ, მხოლოდ იმას, რომ სიბრძნე გულისხმობს ადამიანურ ქმედებაში სწორ, სამართლიან, და ოპტიმალური გადაწყვეტილებების მიღებას. რთულ, გამოუვალ მდგომარეობებში ცივი გონებით და სიკეთით განმსჭვალულ ქმედითობას. ეს უკანასკნელი მართო საღი გონების საფუძველზე შეუძლებელია, მას ასევე სჭირდება სათანადო ფსიქოლოგიურ, ნებელობითი უნარები, რომლებიც დამახასიათებელია მხოლოდ სრულყოფილად ჩამოყალიბებული ინდივიდუალობისა და პიროვნებისათვის. თუმცა ეზოთერული თვალსაზრისით, მითოლოგიაში სიბრძნე განიხილება, როგორც ჯადოსნური ძალა, რომლის მეშვეობითაც ადამიანი იმარჯვებს ქვენა ბუნებაზე (4, 40) ეს უკანასკნელი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, არის ერთ-ერთი აუცილებელი პირობა ინდივიდუალური ფორმირებისათვის. ხსენებული პიროვნებისა და ინდივიდუალობის ჩამოყალიბებას ეძღვნება სწორედ რუსთველის მთელი პოემა.

პოემის ტექსტში სიტყვა „მოცალოების“ შესახებ სხვადასხვა მკვლევარს განსხვავებული აზრი და ვარაუდი აქვთ გამოთქმული. „მოცალოების“ ცნების დაზუსტებამ გრძელი გზა განვლო. იგი პოემაში ორჯერ არის ნახსენები. „რადგან ამ ცნების ნიკო მარისეულმა - () პოპულარობა მოიპოვა. თუმცა, მისი სინონიმებიც გაჩნდა: „სიწყნარე“, „დასვენება“, „მოცლილობა“. მოგვიანებით, კონცეფციის ამ დაზუსტებას წერილი უძღვნა ნ. გოგოჭურმა. მან საკვლევი სიტყვის სემანტიკაზე დაყრდნობით „მოცალო“, ახსნა, როგორც მეწყვილე. გაიოზ იმედაშვილმა კი ამის დასტური პოემაშივე მოიძია: „სიყვარული საყვარელსა შეგიცალო, შეგიწონო“ (3, 8). ჩვენი აზრით, „ვეფხისტყაოსნის“ ხსენებულ სტროფში უფრო სავარაუდოა ვიგულისხმეთ „სიწყნარე“. ამ მოსაზრებას გვიმაგრებს პოემის შალვა ნუცუბიძისეული თარგმანი, მოცემულ სტროფში მან მოცალობა სწორედ „სიწყნარედ“ () გადათარგმნა (8, 11)

„

„

საერთოთ, რაც შეეხება შ. ნუცუბიძის „ვეფხისტყაოსნის“ რუსულ თარგმანს, იგი მანამდე არსებული თარგმანებიდან ძირითადად იმით განსხვავდება, რომ, როგორც ფილოსოფოსმა შ. ნუცუბიძემ პოემის დედანს თარგმნისას შეუნარჩუნა ის ფილოსოფიური, ეზოთერული, თეოსოფიური სიღრმისეულება, რაც შ. რუსთველმა ალეგორიურად წარმოაჩინა. ამდენად, ჩვენი მოსაზრების მიხედვით, „სიწყნარე“, იგივე „სიმშვიდის“ ცნების მატარებელი და ერთ-ერთი ის ძირითადი თვისებათაგანია, რაც უნდა ახასიათებდეს „მიჯნურს“, ანუ სრულყოფილ ინდივიდუალობას. სიმშვიდე, რომ პიროვნების ფორმირებაში მნიშვნელოვანი აუცილებელი პირობაა ამის დასტურად შეიძლება მოვიყვანოთ ამონარიდი ახალი აღთქმიდან, სახარება მათესი: „ნეტარ არიან თვინიერნი, რამეთუ მათ დაიმკვიდრონ ქვეყანა“. (1, 7). ჩვენი აზრით, „თვინიერი“ ასოცირდება სიმშვიდესთან.

ასევე მეტად მნიშვნელოვანია „დათმობა“, როგორც ტრუბადურისათვის, ასევე რუსთველის „მიჯნურისათვის“. ზ. გამსახურდიას მიხედვით „დათმობა“ მიჯნურისათვის იგივეა, რაც ტრუბადურისათვის ვასალ-სიუზერენის დამოკიდებულება. „დათმოს წყრომა მოყვასისგან, მისი ქონდეს შიში კრძალვა“ (4, 82). სულხან-საბას ლექსიკონში „დათმობა“ განმარტებულია, როგორც „მოთმინება“.

ქართული ოთხთავის სიმფონია-ლექსიკონში „დათმობა“ არ ფიქსირდება, „დათმენა“ კი განმარტებულია, როგორც „მოთმენა“ და დამოწმებულია მაგალითები ოთხთავიდან (13, 57): „...ასულმანდაუთმო უსჯულობანი“ და მათესთან (10, 22) „რომელმან დასთმოს სრულიად, იგი ცხონდეს“ (3, 8). შ.

ნუცუბიმემ ეს ტერმინი გადათარგმნა, როგორც „ბრძნული“ ძალა სურვილებს დასათრგუნად „

“ (8, 177). რასაც ჩვენ აბსოლუტურად ვეთანხმებით და მიგვაჩნია, რომ იგი პიროვნული ნებისთვის და შინაგანი თავისუფლების ძირითადი აუცილებლობაა, რომელზეც დაწერილებით ვისაუბრებთ, აფორიზმის „ რაც არა გწადეს, იგი ქმენ, ნუ სდევ წადილთა ნებისას“ განხილვისას. ჩვენი აზრით „დათმობაში“, ასევე შეიძლება ვიგულისხმოთ ანტიკური სიბრძნის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი სიქველე, რომელიც აუცილებელია სრულყოფილი პიროვნებისათვის. ეს არის გრეთქოდებული „ოქროს შუაღედი“, რომელსაც რუსთველი პოემაში მიჯნურის სხვა თვისებებთან ერთად წარმოაჩენს, ეს პოემაში სხვაგან უფრო გამოკვეთილად არის წარმოდგენილი. იმისათვის, რომ პიროვნებამ მიაღწიოს თავისი ინდივიდუალობის სრულყოფას, საჭიროა ყველგან და ყველგან დაიკავოს ოქროს შუაღედი, ამ უკანასკნელის რეალიზებისათვის კი „დათმობა“ აუცილებელი ფაქტორია.

ო. ქვრივიშვილის აზრით, (7, 44), თუ რუსთველის მოღვაწეობის პერიოდს დავაკვირდებით, შევამჩნევთ ერთ ნიშანდობლივ თავისებურებას. თითქოსდა დაემთხვა, რომ მთელ ცივილიზებულ სამყაროში, როგორც აღმოსავლეთში, ასევე დასავლეთში, ერთსა და იმავე პერიოდში თითქმის ერთმანეთის თანამედროვე მწერლები და პოეტები ქმნიან გრანდიოზულ ქმნილებებს, ან და ძველად გასაიდუმლოებულ თემატიკას რაიმე სახის წერილობითი ფორმით გადმოსცემენ. საფრანგეთში, კრეტიენ დე ტრუა გენიალურ პომას ქმნის, სადაც იგი მოგვითხრობს წარსულის მნიშვნელოვან სულიერ ფაქტებზე, რომელიც მანამდე მხოლოდ ვიწრო წრისათვის, საიდუმლო ორდენის წევრებისათვის, იყო ცნობილი, რაც გადმოგვცა პარციფალის ისტორიაში, რომელიც შეიცავს გასაიდუმლოებული წმინდა გრაალის მისტერიის ამბავს.

შემდგომში იმავე პერიოდში იგივე თემაზე წერენ სხვა ევროპელი გამორჩეული მწერლებიც: ვოლფრამ ფონ ეშენბახი, დე ბორნი, ალბრეხტ შარფენბერგელი. ისინი თავიანთ ნაწარმოებებში გადმოსცემენ მანამდე დაფარული, ძველი, ეზოთერული სიბრძნის შესახებ, გამარტივებული სულიერი სიმბოლიკით, ფართო მასების გასაგებ ენაზე. ამავე პერიოდში დანტე ალეგიერი ფართო მასებისათვის გასაგები ენით საუბრობს ფსევდო დიონისე არეოპაგელის საიდუმლო საღვთო, ურთულეს საკითხებზე თავის გენიალურ ნაწარმოებში „ღვთაებრივი კომედია“. ამავე პერიოდში, ასევე იცვლება ებრაული ეზოთერისტიკის დამოკიდებულება კაბალისადმი, ზემოთ დასახელებულთა მსგავსად, ისინიც კაბალის შინაარსს უფრო გასაგები ენით გადმოსცემენ. ამ პერიოდს განეკუთვნება იბნ ელ არაბის და სხვა სუფისტ მოაზროვნეთა ნაწარმოებები. ამავე პერიოდში, პედაგოგიური აზროვნების ისტორიაში ცნობილი მიმდინარეობის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი თომა აქვინელი წარმოგვიდგენს არისტოტელეს ნააზრევს ქრისტიანულ დებულებების მიხედვით კომენტირების შესახებ იწყებს საუბარს. დაახლოებით ამ ეპოქას განეკუთვნება ისლანდიელი სწორი სტრულოსონის სულიერი შინაარსის ნაწერები, რომელიც მან პროზაული ფორმით გადმოსცა „უმცროს ედაში“ (5, 53).

„მე-12 საუკუნეში უფრო მასობრივი სახე მიეცა „მოქცევის“ „გახალხურებასაც“. სწორედ ამ მიზნით მისი რედაქტირება ნიკოლოზ I კათალიკოსს დაევალა“ (7, 45). სწორედ ამ ეპოქისათვის დამახასიათებელ მოვლენად უნდა ჩაითვალოს შოთა რუსთველის მიერ „ვეფხისტყაოსნის“ შექმნა, სადაც რუსთველი ზემოთ ხსენებულ შინაარსის ნაწარმოებს ქმნის და შეიძლება ითქვას, რომ მან უფრო ლამაზი პოეტური ენით ალევორიული სახით გადმოგვცა ძველი სასულიერო ღვთიური სიბრძნე, ისეთნაირად რომ ერთი და იმავე დროს ის ღვთიურ ზესშთა სიყვარულსაც უმღერის თავის „მიჯნურობაში“, გადმოგვცემს ძველი მისტერიული პიროვნების, ინდივიდუალობის ფორმირების მისტერიული ინიციაციის გზას, ანუ ძველი სამყაროს აღზრდის მეთოდს და ამავე დროს საერო ცხოვრებისეულ სიბრძნესა და სიქველეზე მოგვითხრობს. ჩვენი აზრით, სწორედ ამაში მდგომარეობს რუსთველის მიჯნურობის აღმზრდელი მნიშვნელობა.

ლიტერატურა:

1. ახალი აღთქმა და ფსალმუნები. სტოკჰოლმი, 1991.
2. აბულაძე ი. რუსთველოგიური ნაშრომები, თბილისი, 1967.
3. ანდლულაძე ლ. „დათმობა“ „ვეფხისტყაოსნის“ სამიჯნურო კონცეფციით. რუსთველოგიური ნაშრომები, თბილისი, 2005 – 2006 წლები.
4. გამსახურდია ზ. ვეფხისტყაოსნის სახისმეტყველებ, თბილისი, 1991 .
- 5 ვასაძე ნ. პედაგოგიკის ისტორია, თბილისი, 1998.
6. ინგოროყვა პ. თხზულებათა კრებული, ტომი 1. თბილისი, 1963.
7. ქვრივიშვილი ო. ვეფხისტყაოსნის ძირითადი მოტივები, თბილისი, 2006.
8. , 1966.
9. Cropp M. – Le Vocabulaire des Trubadures, Pariz, 1975

Paata Kurdadze
Gori State Teaching University
EDUCATIONAL VALUE OF RUSTAVELI'S "FONDNESS"
RESUME

The article describes Rustaveli's understanding of "fondness", its supernatural character. The author of the article emphasizes the fact, that "fondness" is not to be understood alone as a ruthless love for a woman. He is a different kind of physical nature, it is a aspiration to the world. At the same time, it is more interesting as educational value. Rustaveli's "beloved one" is a perfect person. His path is a way of perfection of personality, who must acquire certain features on this road. According to the author, there is a parallel between Rustaveli's "fondness" and medieval "knight". The characteristic features of "beloved one" is similar of seven medieval condescension.

ბროლისა წულაია
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

**ბუნებისმეტყველების საკითხები იაკობ გოგებაშვილისა და ვაჟა-ფშაველას
შემოქმედებაში**

სამართლიანად მიიჩნევენ, რომ ბუნებისმეტყველების, ბიოლოგიის დაფუძნება მისი მრავალფეროვანი დარგებით მეცნიერულ ნიადაგზე დაიწყო XIX საუკუნიდან.

ბუნება ადამიანის შემეცნებისა სილამაზის აღქმის ძირითადი წყაროა. ბავშვები ბუნების წიაღსა და მის გარემომცველ სამყაროში ეძებენ სიახლეებს, უვითარდებათ სიღრმისეული კვლევა-ძიების სურვილი.

მოზარდი თაობა რომ აღზარდოთ ბუნების სიყვარულით, უდიდეს საშუალებას გვაძლევს სახელმძღვანელოებში მოცემული ნაწარმოებები. ქართული სახალხო სკოლის მესამი კვლის, იაკობ გოგებაშვილის, სახელთან მჭიდროდ არის დაკავშირებული საბუნებისმეტყველო განათლების ახლებური ჩამოყალიბება, რისი დასტურიცაა „დედა ენა“ და „ბუნების კარი“. ბუნებას იაკობ გოგებაშვილის პედაგოგიურ მემკვიდრეობაში თავისებური ადგილი უჭირავს. ეს, პირველ რიგში, იმით აიხსნება, რომ პედაგოგიური საქმიანობის ასპარეზზე იაკობის გამოსვლის დროს ხალხის ცხოვრებისა და საზოგადოებრივ ყოფაში მომხდარ არსებითი ცვლილებების შესაბამისად, ბუნების გაგებისა, ბუნებათმეცნიერული ცოდნისა და მისი პრაქტიკულად გამოყენების საქმეში დიდ ძვრებს ჰქონდა ადგილი და ცხადია, ამასთან დაკავშირებით, სკოლის წინაშეც მკაფიოდ დაისვა საკითხი ბუნების შესწავლისადმი, დამოკიდებულების პრინციპულად ახალ ნიადაგზე დაფუძნების შესახებ.

სახალხო სკოლაში საპატიო ადგილს უთმობდა ბუნებას, ი. გოგებაშვილი მოვალე იყო სათანადო სიღრმით შეესწავლა ყველა ის სიახლე, რაც ბუნებათმეცნიერული დარგების განვითარებისათვის იყო დამახასიათებელი გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან, XX საუკუნის 20-იან წლებამდე შეეჯერებინა. იგი კიევში სტუდენტობის წლებში შესწავლილ ბუნებისმეტყველურ დებულებებთან და ყოველივე ეს ჩამოყალიბებინა, როგორც ძირითადი სამოქმედო პრინციპი სახალხო სკოლის მუშაობის შინაარსის განსაზღვრისათვის.

იაკობი თამამად იბრძვის რათა სახალხო სკოლა უკუაგდოს უსარგებლო, გახევებული დოგმატებით, უშინაარსო წიგნობრიობა და მთელი საქმიანობა მკვიდრად დაუქვემდებაროს ხვალისდელი დღის ამოცანებს, ბუნებაში მიმდინარე სასიცოცხლო პროცესების ცოცხლად, საგნობრივად, თვალსაჩინოდ ჩვენებასა და სწავლებას, სამოციანელების საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისად იაკობი სახალხო მასწავლებლის მხარდაჭერით გოლიათურ მუშაობას ეწევა, რათა არსებული დაბრკოლებანი გადალახოს და სწავლა აღზრდის მთელი საქმე სახალხო სკოლებში შემდეგი პრინციპული სქემით წარმართოს.

დედა ენის სწავლება, მისი შინაარსი მკვეთრად დაუფუძნოს გარემომცველ ბუნების თემატიკიდან ენობრივი და მხატვრული თვალსაზრისით სათუთად შესრულებული, მარტივი სიუჟეტის ლექსების, მოთხრობების, სტატიების, მისაწვდომი და მიმზიდველი, კონკრეტული სახით გაცნობას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გარემომცველი ბუნება გოგებაშვილისთვის ღრმა შინაარსის მომცველი ცნებაა. იგი მოიცავს ფიზიკურ-გეოგრაფიულ ფაქტორებს, მახლობელი გარემოს ფლორასა და ფაუნას, ხალხის შრომა-საქმიანობას, ყოფა-ცხოვრებას, სულიერ კულტურას და იმ მემკვიდრეობას, რაც ამ კულტურას განაპირობებდა. ისტორიულად და რაც ხალხმა შეისისხლორცა, შეიტკბო და გაითავისა.

ი. გოგებაშვილი სამართლიანად თვლის, რომ დაწყებითი სკოლის ასაკი მსჯელობებისა და ცნებითი აზროვნების წლებია, იგი შესასწავლი მასალის უშუალო აღქმით, ათვისების ასაკია და ამდენად, დაწყებით სკოლაში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, რომ შესასწავლად შერჩეული მასალა საგანმანათლებლო თვალსაზრისით იყოს საღი ფასეულობის, ამასთან არა გაუბრალოებული, არამედ მარტივი და თვითონ მეტყველებდეს თავის თავსა და ღირსებაზე.

ი. გოგებაშვილი ბუნების შესწავლას პრაქტიკულ-გამოყენებითი კუთხით უდგება. მაგრამ, ამ დროს ის არასდროს ივიწყებს იმ საგანმანათლებლო მინიმუმს, რაც სავალდებულო წესით უნდა მისცეს ბავშვს სახალხო სკოლამ დედა ბუნებისა და ბუნებასთან ადამიანის გონივრული დამოკიდებულების სფეროდან ბავშვს. ამ მიზნით, იგი შესანიშნავი ოსტატობით იყენებს სასაუბროს თვალსაჩინოებით. ეს გზა ბუნების გაცნობისა ისე ფართო გავრცელებად პოულობს, „დედა ენაში“, რომ აქ აუცილებელია ეს ნიმუში მოვიყვანოთ მაგალითად.

1901 წელს გამოცემული ამ სახელმძღვანელოს 98-ე გვერზე ორ მწკრივად არის დახატული 8 სხვადასხვა ბალახი: სურათებს თან ხედავს შემდეგი ტექსტით, „მინდორში საქონელი რას სძოვს? აქ დახატულ ჯგუფში პირველად რა ბალახსა ჰხედავთ? პიტნის შემდეგ რა არის დახატული? იონჯას რა მოსდევს? სამყურას მერე მეორე რიგში პირველი ადგილი რა ბალახს უჭირავს?

„დედა ენაში“ დიდი რაოდენობით არის მოხდენილი სასაუბრო წელიწადის დროთა, ბუნების მოვლენათა და სხვა საინტერესო საბუნებისმეტყველო თემაზე, ამ სასაუბროში უცნობთან ნაცნობის შეთანაბრების ნიადაგზე ბავშვთა აქტიურობის უნარიანად სტიმულირების შედეგად ხდება ყმაწვილების გათვითცნობიერება ბუნების უმთავრეს მოვლენებში, მცენარეული საფრისა და ცხოველთა სამყაროში არსებულ კანონზომიერებებში და, ყოველივე ეს ეფუძნება ხელშესახებ საგნობრივ საწყისებს. ამ მაგალითებიდან რად ღირს თუნდაც ის, რომ ყმაწვილი გზას იგნებს ჩვენში გავრცელებული ბალახეულის სამყაროში. დაწყებითი კლასის სახელმძღვანელოთა ავტორები დიდ ყურადღებას უთმობენ სწავლებაში ბუნების სიყვარულის აღზრდას. ბუნებასთან კავშირში მასალის შესწავლა უზრუნველყოფს მოსწავლეების ესთეტიკურ აღზრდას. იზრდება ბავშვებში ჰუმანური დამოკიდებულება ცხოველებისადმი და ამას დიდი მნიშვნელობა აქვს კეთილშობილი ადამიანური თვისებების ჩამოყალიბებისათვის. აი, მაგალითად, როგორ მიგნებულად არის შერჩეული ამ თვალსაზრისით ლექსი „კატა“. სახლში, რომლის მკვიდრია დედა კატა, ბიჭუნა კოტემ ყველი მოიპარა. მაგრამ კოტეს მაგიერ კატა დასაჯეს. უდანაშაულოდ დასჯილი კუდამოძუებული დედა კატა ნაღვლიანად უყვება ამბავს სხვას, რომელიც დედა კატას თანაგრძნობით შეჰკრუტუნებს:

„კოტემ თევზი მოიპარა, შეშინდა და გადაჰფიცა;
მე ქურდობა შემომწამა, ურცხვად ღმერთი დაიფიცა.
ის გადარჩა, მე გამცოცხეს, ის მტყუანი, მე მართალი,
ამისთანა სიმართლეს კი დაუდგება ორთავ თვალი“.

მსგავსი მრავალმხატვრული ნიმუშები მრავლად არის წარმოდგენილი „დედა ენისა“ და „ბუნების კარში“.

იაკობ გოგებაშვილი მოწოდებულია ბიოლოგიური თემები შესაძლებლობისამებრ, საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ცხოვრებას დაუკავშიროს და ამით უფრო მეტი ინტერესი გამოიწვიოს მისადმი. კარგად ხედავს, რომ საქართველოს მოსახლეობის ეკონომიკური ჩამორჩენლობის ერთ-ერთი მიზეზი ბუნების ძალების უცოდინრობა იყო. ამიტომაც დიდი პედაგოგი მოითხოვდა ქართველი ახალგაზრდობის იდეალური განათლების საფუძველზე აღზრდას, ბუნების კანონების შესწავლას. „ბუნება ემორჩილება-ამბობს ი. გოგებაშვილი,- მხოლოდ იმას, ვინც მისი კანონების ცოდნით აღჭურვილია, მისთვის აზრის სიმდიდრის წყაროა, ვისაც მისი ძალთა გამოყენება შეუძლია.“ „იგი სავსეებით მართებულად აღნიშნავდა: „უმეცარი კაცი შეიძლება შიმშილით მოკვდეს თვით მდიდარ ბუნებაში, თუ მას ამ ბუნების არაფერი გაეგება. თვით ღატაკი ბუნება შეიძლება ადამიანმა შექმნას სიმდიდრის წყაროდ, თუ მან ზედმიწევით იცის, საიდან უნდა მოუაროს ამ ბუნებასა და როგორ გაიხადოს იგი თავისი მოთხოვნილების მოსამსახურედ.“ იაკობ გოგებაშვილის მრავალი ლექსი და მოთხრობა, ბუნების სიყვარულისა და მისადმი მზრუნველური დამოკიდებულების მასალას

წარმოადგენს, აქ საკმარისია აღინიშნოს მისი ნაწარმოებები: „ვანო და ჩიტი“, ორი სახნისი,“ „ალექსი და აქლემი“ და სხვა.

იაკობ გოგებაშვილი თავის სახელმძღვანელოებსა და სტატიებში მოითხოვდა საგნებისა და ბუნების მოვლენების შესწავლას, რაც თავის მხრივ, საწინდარია ხალხის განათლებისა და ქვეყნის ეკონომიკური სიძლიერისა. მას მთელი შეგნებით უყვარდა მისი ბუნება და იბრძოდა იმისათვის, რომ ყველას ასე ჰყვარებოდა იგი. ამასთან ერთად იგი ახალგაზრდობას ასწავლიდა, როგორ შეეცნო და დაეცვა თავისი ქვეყნის მშვენიერი ბუნება.“ ჩვენ ამ მდიდარი ბუნების, არაფერი გაგვეგება, უკუღმართი აღზრდის წყალობით. მის გამო ჩვენ ბუნებას ეპატრონებიან უცხოელები, შეიარაღებული რეალური ცოდნით. უმეცრება ჩვენი ამ მხრივ კიდევ უფრო შორს მიდის, მთავარნი მტერნი ყოველგვარი მოსავლისა არის სხვადასხვა ჭია-მატლები, რომლებიც უღრღნიან, აფუჭებენ საჭირნახულო მცენარეულობას ფესვებს, ფოთლებსა და ნაყოფს და დიდ ზიანს აყენებენ მხვნელ-მთესველთ“ და იქვე განაგრძობს: „ნადირთა და ფრინველთა შორის მოიპოვებიან იმისთანანი, რომლებიც ემატებიან ამ მავნე ჭია - მატლებს, სდევნიან მათ და აუარებელს მათ რიცხვს ჟლეტენ დღე და ღამე, მაგრამ ეს ჩვენმა უვიცმა ხალხმა არ იცის, მტრულად ეკიდებიან ამ თავის დაუფასებელ მეგობარს და უმოწყალოდ ჟლეტს მათ თავის საზარალოდ“ [გოგებაშვილი 1912:342].

თითქმის ერთი საუკუნის განმავლობაში იბრძებოდა ჩვენი ახალგაზრდები ი. გოგებაშვილის სახელმძღვანელოებსა და მოთხრობებზე, მარტო „დედა ენა“ და „ბუნების კარი“ კმარა იაკობის სამარადისო ძეგლად ქართველი ხალხის ისტორიაში.

ვაჟა-ფშაველა ერთ-ერთი მგოსანია, რომელმაც თავის შემოქმედებაში აალაპარაკა ბუნება. მის შემოქმედებას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს დაწყებითი კლასების სახელმძღვანელოებშიც, იგი მთელი შთაგონებით ხატავს ბუნების პანორამას თავის ნაწარმოებებში.

ვაჟა-ფშაველას პოეზია, სწორედ ბუნების შინაგანი ჰარმონიაა, ეკოლოგიური ეთიკა, როგორც უმაღლესი სათნოების პრინციპი. ვაჟა-ფშაველა ფასდაუდებელ მოსაზრებებს გამოთქვამს ბუნების შესახებ, იგი დიდ როლს ანიჭებს აღსაზრდელებში ბუნებასთან გონივრული დამოკიდებულების ჩვევების გამომუშავებასა და იმის გააზრებას, რომ ადამიანი ბუნების ნაწილია და როგორც არ უნდა მოიხმაროს იგი საკუთარი მიზნებისათვის, მაინც იძულებულია თავისი ყოფა შეაგუოს მის კანონებს, არა ბუნების უხეში მოპყრობა, არამედ ბუნებისა და საზოგადოების ერთობლივი ჰარმონიული თანაარსებობა და განვითარება, - აი ხსნის ერთ-ერთი გზა, სხვანაირად კაცობრიობას გადარჩენა არ უწერია. ვაჟა-ფშაველა ჩააგონებს ადამიანებს, რომ მათი ურთიერთობა ბუნებასთან ეთნიკურ საწყისებზე უნდა იყოს დამოკიდებული, რადგან ბუნება თვით სათნოებაა, ხოლო ადამიანი მისი ნაწილი. ბუნებას უნდა შევხედოთ და მასთან ურთიერთობა დავამყაროთ არა დღევანდელი მხოთხოვნილებებიდან, არამედ მომავლის ინტერესებიდან გამომდინარე.

დღევანდელობამ სავსეებით დაადასტურა ვაჟას ამ მოთხოვნათა შესრულების აუცილებლობა. ბუნებასთან არა გონივრულმა დამოკიდებულებამ მსოფლიოს სერიოზული სიძნელეები შეუქმნა. ეკოლოგიური პრობლემები, რომელთა ადრე ლოკალური ხასიათი ჰქონდა, დღეს კი საერთაშორისო რიგის გლობალურ პრობლემად იქცა. ვაჟა-ფშაველა თვლის, რომ ადამიანი ბუნების ღვიძლი შვილია, ბუნების თანაზიარია და ადამიანის ადამიანობის, მის კაცურ - კაცობამდე ამაღლების გზა იმაზე გადის, რომ მან, ადამიანმა, ბუნების ორგანულ ნაწილად იგრძნოს თავი ადამიანმა უნდა გააცნობიეროს ის რეალური სინამდვილე, რომ ბუნებას-მცენარეს, ცხოველს, ფრინველს დაწყებული ერთუჯრედიანი არსებიდან გონიერ ადამიანებამდე ერთი მშობელი ჰყავს და ეს მშობელი დედამიწაა. ეს ღვთისაგან კურთხეული ყველას დედაა, ყველასთვის ის ზრუნავს, ყველა იმის ზურგსა ჰკიდია, იკურთხოს შენი ძეგლი, ჩვენო დედავ, ჩვენო გამზრდელი, ჩვენო ძეგლს მაწოვებელი“ ხომ ასე გულუხვია დედამიწა, ხომ გულუხვი წყაროა სიცოცხლისა, მაგრამ ამავე დროს, მეტად ფაქიზი და უმწეოა მისი მკერდი. თანამედროვე ადამიანს, თუ მას ბუნებისადმი, დედა-მშობლისადმი უსაზღვრო სიყვარული არ ამოძრავებს, სულ მალე შეიძლება დაადუმოს ორგანული სამყაროს მაჯისცემა. ვაჟა არა მარტო აღიარებს სამყაროში ჰარმონიის არსებობას, არამედ ითხოვს, რომ ადამიანები გაუფრთხილდნენ მას.

ბუნებაში არსებულ კანონზომიერებასა და წონასწორობას ვაჟა-ფშაველამ თავის ცნობილ ლექსში „ღამე მთაში“ შემდეგი შეფასება მისცა:

„ბუნება მბრძანებელია;
იგივ მონაა თავისა,
ზოგჯერ სიკეთეს იხვეჭავს,
ზოგჯერ მოქმელია ავისა.
ერთფერად მტკირთველი არის
საქმის თეთრის და შავისა,
საცა პირიმზეს ახარებს,

იქვე მოხრელია ზვავისა,
მაინც კი ლამაზი არის,
მაინც სიტურფით ჰყვავისა.“

რა ბრძნულად და ორიგინალურად არის ამ სტრიქონებში ასახული ბუნების შიგნით ერთმანეთში შეწინდელი დაპირისპირებანი და მრავალფეროვნებანი, რაც გვეხმარება ღრმად ჩავწვდეთ ბუნების საიდუმლოს და დავინახოთ, რომ ბუნებაში არაფერია უაზრო, უმიზნო და შემთხვევითი. იქ ყველა არსებას, თვით ჩრდილსაც კი თავისი ადგილი აქვს. ბუნებაში თავისთავად ადამიანისათვის თვალსაჩინოდ ხდება ისეთი მოვლენები, რომლებმაც ადამიანი უნდა დააფიქროს, დაკვირვება სჭირდება იმას, რომ დაინახო ბუნებაში ერთის სიკვდილი ან დასუსტება მეორის სიკვდილისა და დასუსტებას იწვევს და ყველა არსება ერთმანეთთან არის დაკავშირებული.

ბუნების ორგანიზმი ერთიანია. ბუნებაში არ არსებობს დიდი და პატარა. აქ განსაზღვრული რაოდენობით ყველა არსებაა საჭირო. ვაჟას მიხედვით „არ შეიძლება კაცთა ცხოვრებაში ისეთი რამ მოვლენა დავასახელოთ, რომ მისი მსგავსი თვით ბუნებაშიც არ მოიპოვებოდეს.“

„დღეს ბედნიერები იყვნენ იქ მყოფნი, მხოლოდ ტყე, ბუნება არ იყო ბედნიერი; ტყე ტიროდა, ტიროდა დიდი ფერდა, კალთა მთისა, რომელიც მდელს, საცა ირემს ატყავებდნენ თავს დაჰყურებდა. ტყე არის ირმის დედა, ძუძუს აწოვებდა, აკვანს ტყე არწევდა, საბნადაც ტყე ეხურებოდა“. ყოველივე ზემოთქმული მრავალ კითხვას აღძრავს ბავშვებში. თვალცრემლიანი ბავშვები კითხულობენ: რა ქნას ადამიანმა ხე არ მოჭრას? ხარ-ირემი ან ჯიხვი არ მოკლას? მტაცებლები არ გაანადგუროს? კითხვა უამრავია და სწორ, გამართლებულ პასუხს მოითხოვს. პასუხი კი ასეთია: ბუნებაში ყველა არსებას თავისი ადგილი აქვს. ბუნებაში არაფერია უაზრო, უმიზნო და შემთხვევითი. მართალია, ადამიანი გვერდს ვერ უვლის ამა თუ იმ მცენარის ან ნადირის შემცირებას, მაგრამ ეს ისე უნდა მოხდეს, რომ ბუნებრივი წონასწორობა არ დაირღვეს.

დაწყებითი კლასის სახელმძღვანელოში ნამდვილი მარგალიტია ვაჟა-ფშაველას „შვლის ნუკრის ნაამბობი“ ბუნებისადმი გასაოცარი სიყვარულით გამთბარი ეს პატარა მოთხრობა პირველი სტრიქონიდანვე მთლიანად იპყრობს მკითხველის ყურადღებას.

„პაწაწა ვარ, ობოლი. ბედმა დამიბრიყვა, ცუდ დროს დავობლდი. ტანზე მაცვია პატარა, მოკლე ბეწვიანი, თეთრი თვლებით მოწიწკლული თხელი ქათიბი. ჯერ რქები და კბილები არ ამომსვლია, ჩიქლებიც არ გამმაგრებია.... ნუკრის ქვითინი“-ვარ ობოლი, და ვინ იცის, ვინ დაეპატრონება, ვინ შეიღებავს ჩემი სისხლით ხელებს?-მძაფრ ზეგავლენას ახდენს ბავშვის სულზე და განა მარტო ბავშვის სულზე!“

ერთი გონიერი პედაგოგი „შვილის ნუკრის“ ემოციური ზეგავლენის ძალაზე, აღნიშნავდა, რომ ბავშვებს სუნთქვა ეკვრით, ცრემლი ახრჩობთ, ნამდვილად ცოდონი არიანო... მაგრამ ი. გოგებაშვილი აღნიშნავს.... რას ვიზამთ ჟან-ჟაკ რუსოსი არ იყოს, თუ ბავშვი სიყმაწვილის პერიოდში გაჭირვებას არ გამოცდის, ცხოვრებას იგი თვალს ვერ გაუსწორებს.

რამდენად ღრმად უნდა ყოფილიყო ჩანერგილი ვაჟას გულში, მის მთელ არსებაში ბუნებისადმი სიყვარული, რომ ასე თამამად, ასე ლაღად ეთქვა: „ნისლი ფიქრია მთებისა“, ასე გასაოცრად გულწრფელი ნატვრით მიემართა მათთვის“-რატომ არ იმღერეთ, მთებო! „მოესმინა და შეესმინა მთების გულის ცემა და ნისლების სიმღერა:

„რა ყურმა უნდა გაუძლოს
იმ მთების გულის ძგერასა...“

- მე ვარ, ნუ გეშინია შავზნელო!... ვაჟას ვედრება-მიწავს, შენ გეზარებოდეს ეს ჩემი ტურფა იაო, შენ უპატრონე ემშობლე, როგორც შენი ზნეაო! რამდენი სიყვარული, სევდა, მზრუნველობა არის ჩაქსოვილი ამ სტრიქონებში.

ბუნების სიყვარული საფუძველია სამშობლოს სიყვარულისა. რამეთუ არ უვლი, არ გიყვარს შენი გარემომცველი ბუნება, არ გეყვარება შენი სამშობლო, შენი ეროვნული ფასეულობანი, შენი მიწა, შენი კუთვნილი ჰაერი, რომლებიც დასაბამითგან ღვთისა და ერის წინაშე შენია.

ცხადია, დღევანდელ პირობებში ბუნებისმეტყველების სფეროში იაკობ გოგებაშვილის მიერ XIX საუკუნის ბოლოს შემუშავებული მემკვიდრეობა საკმარისი აღარაა ქართული სასკოლო სახელმძღვანელოებისათვის, ამიტომ არის, რომ ამჟამად ჩვენს წინაშე მთელი სიმწვავეთ დგას ბუნების დაცვის ღონისძიებათა ქმედითი სისტემის შემუშავების ამოცანა, მაგრამ ეს ფაქტი როდი ნიშნავს იაკობ გოგებაშვილისა და ვაჟა-ფშაველას მემკვიდრეობისა და გამოცდილებაზე უარის თქმას, ან ვაჟა-ფშაველას შესანიშნავი თხზულებების გვერდზე გადადებას, ჩვენ უნდა შევძლოთ და ამ მდიდარ ტრადიციებზე დაყრდნობით სიახლეები დავნერგოთ ბუნებისმეტყველების სასკოლო სახელმძღვანელოებში. როგორც იაკობ გოგებაშვილი იტყოდა „ოსტატობითა და სიადვილით“ გავამდიდროთ მოსწავლეთა გონება, ვასწავლოთ, „ზედმიწევით ბუნების ძალთა მოხმარება“ და ავავსოთ ბავშვების გულები „მაღალი

ადამიანური გრძნობებით“ [გოგებაშვილი 1990: 229; ინასარიძე 2009: 6]. დღევანდელი სკოლის უმთავრესი ფუნქციაც ხომ ის არის, რომ ჩამოაყალიბოს მოსწავლე სამოქალაქო ღირებულებების მატარებელ პიროვნებად, რომელსაც გააზრებული აქვს თავისი მოვალეობები კაცობრიობისა და ბუნებრივი გარემოს მიმართ.

ლიტერატურა:

- გოგებაშვილი 1912: ი. გოგებაშვილი, დედა ენა, ტფილისი. 1912.
- გოგებაშვილი 1990: რჩეული თხუზულებანი ტ. 2. თბილისი. 1990.
- ვაჟა-ფშაველა, ქართული პროზა, 12. თბილისი 1986.
- რ. გახოკიძე, გზა ხსნისა. თბილისი 1991.
- დონოვანი 2010: მ. სიუზან დონოვანი და კონ დ. ბრენსფორდი, როგორ ვასწავლოთ: ისტორია, მათემატიკა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი, წიგნში: სტატიები განათლების საკითხებზე. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი. თბილისი. 2010.
- ელბაქიძე: ნ. ელბაქიძე, საგნის სწავლების მეთოდები დაწყებით საფეხურზე ბუნებისმეტყველების სწავლებისათვის. მასწავლებელთა პროფესიული ცენტრის გამოცემა. მასწავლებელი. 4 (10) თბილისი 2010.
- რატიანი: მ. რატიანი, მ. სეხნიაშვილი, მ. ბლიაძე. ეკოლოგიური წიგნიერება. მასწავლებლის წიგნი. თბილისი 2016.
- ინასარიძე 2009: მ. ინასარიძე, ს. ლობჟანიძე, შ. მამუკაძე, “მასწავლებლის ეთიკური სახელმძღვანელო, სიტუაციები სასკოლო ცხოვრებიდან,, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი. თბილისი. 2009.
- ობოლაძე 1999: უ. ობოლაძე, გ. ქაჯაია, ბუნება და ადამიანი იაკობ გოგებაშვილის ლიტერატურულ მემკვიდრეობაში, თბილისი, 1999

Brolia Tsulaia

Sokhumi State University

ISSUES OF NATURALISM IN THE WORKS OF IAKOB GOGEBASHVILI AND VAZHA PSHAVELA RESUME

Heritage developed by Iakob Gogebashvili at the end of XIX century is not enough for Georgian school textbooks in today's educational sphere, that is why now we have the task of developing an effective system of nature protection measures, but this fact does not mean that Iakob Gogebashvili and Vazha Pshavela's heresy and experience to refuse, and we should be able to innovate novelties in the textbooks of natural science based on these rich traditions. The main function of today's school is to establish a student as a person who is a citizen of the world who has his / her duties towards human and natural environment.